n/p K 102958/2

94(479.22)
9(479.22)
ბ938ბ
7-3-2016-104032
К10293 58
2
50981

მარი ბროსსე

საქართველოს ისტორია

ნაწილი პირველი

მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ხრონოლოგიით

ნათარგმნი და განმარტებული სიმ. ღოლობერიძის მიერ.
გამოცემული ნიკ. ღოლობერიძის მიერ.

ტფილისი
1895
სტამბა მ. შარაძის და ამხ., ნიკ. ქ. № 21.
Типографія М Шарадзе и К-о

თ. ც. ს.-ისტორიული
ბიბლიოთეკა
Т.Ц.Н.-ИСТОРИЧЕСКАЯ
БИБЛИОТЕКА

Дозволено цензурою, Тифлисъ, 19-го Октября 1894 г.

გამომცემლისაგან

ეს „საქართველოს ისტორია“ ჩვენის ისტორიის გამოჩენილის მკვლევარის და არხეოლოგის, აკადემიკოსის მარი ბროსსესი გარდმოგვცა იმისმა შვილმა, პატივცემულმა ბ. ლავრენტიმ, რომლისათვის მას უგულითადესს მადლობას ვუძღვნით. ზემოხსენებული თხზულება შეადგენს საქართველოს ისტორიის მასალების ხანგრძლივ შესწავლის და კრიტიკულად გარკვევის ნაყოფს. მ. ბროსსეს დაუწერია იგი რუსულად შემდეგის სათაურით: Очеркъ критической исторіи Грузіи. ბ. ლავრ. ბროსსემ საშვალება მოგვიპოვა გადაგვეთარგმნა ქართულს ენაზე და დაგვებეჭდა ეს ხელნაწერი, რომელიც აქამდის გამოცემული არ არის. რადგ ნ ქართულს ენაზე არ მოიპოვება წესიერად შედგენილი საქართველოს ისტორია და, რადგან საზოგადოებაში უკვე აღიძრა სურვილი ჩვენი წარსულის შესწავლისა, ამისათვის განვიზრახეთ ზემოხსენებული შრომა მ. ბროსსესი გამოგვეცა ქართულს ენაზე. იმედი გვაქვს, რომ იგი საზოგადოების მოთხოვნილებას რაოდენადმე დააკმაყოფილებს. მეორე ნაწილის თარგმანი,—რომელიც შეიცავს საქართველოს ისტორიას სამეფოებად დაყოფის შემდეგ მეფე ერეკლე II-ს დრომდე,—უკვე მზადდება და მოკლე ხანში გამოვა.

მთარგმნელისაგან

საქართველოს ისტორიის პირველი ნაწილი, რომელიც ეხლა დაიბეჭდა, მ. ბროსსეს შეუდგენია 1855 წ. და შეიცავს ჩვენს ისტორიას უძველეს დროიდან 1469 წ.-დე, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც მოგვითხრობს ჩვენს ისტორიას სამეფოებად და სამთავროებად გაყოფიდან 1744 წ-დე, მას დაუწერია 1858 წ. ავტორს ჰქონია აგრეთვე დაწყებული მეფე ერეკლეს მეფობის აღწერაც, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია; იმედი კი გვაქს, რომ პატივცემული ბ. ლავრენტი ბროსსე—რომელმაც ვრცელი ბიოგრაფია თავის მამისა და სამაგალითო საძიებელი იმის თხზულებათა შეადგინა [1]),—არ დაიშურებს იმის გამოგზავნასაც ქართულს ენაზე დასაბეჭდავად. ხელნაწერი რუსულს ენაზე ავტორს წარუდგენია ს. პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში, რომელსაც გაუსინჯავს იგი და თავის ბიულეტენებში 3 ავგ. 1855 წ. პირველ ნაწილზე ამას ამბობს; «მ. ბროსსემ წარმოადგინა საქართველოს ძველის ისტორიის მიმოხილვა რუსულს ენაზე... ამ შრომის უმთავრესს ღირსებას შეადგენს ის, რომ ავტორს საქართველოს ძველს ისტორიაში შემოაქვს არა მხოლოდ უმთავრესი ფაკტები, ქართულ მატიანებში მოხსენებული, არამედ მრავალი სხვა წვრილმანი ამბები, აღმოჩენილი ძველ დროის ისტორიულს ნაშთებში და უცხოელების—ევროპიელების და აზიელების—წყაროებში».

---

[1]) Bibliographie analityque des ouvrages de M. Marie. Félicité Brosset. SPB. 1887.

ხოლო მეორე ნაწილზე, რომლის თარგმანს უკვე შევუდექით— აკადემიის ბიულეტენებში ვკითხულობთ შემდეგს: „მ. ბროსსემ წარმოადგინა ისტორიული მიმოხილვა—ცალცალკე შედგენილი—ქართლისა, კახეთისა, სამცხე-საათაბაგოისა ანუ ახალციხის მხარისა და იმერეთისა საქართველოს სამეფოებად გაყოფიდან 1744 წ-მდე, რომელიც სრულიად დაუმთავრებია. ეს შრომა წარმოადგენს არა მხოლოდ ვახუშტის მარტივს შემოკლებულს მოთხრობას, არამედ იგი შეიცავს ნარკვევს (résumé) ხრონოლოგიის წესზე შედგენილს, სადაც ჩართულია ახალი ფაკტები, დამყარებული როგორც ნამდვილ საბუთებზე და უცხო ტომთ წყაროებზე, აგრეთვე მათის ერთმანეთის შეთანასწორებაზე. ამ თხზულებაში ამასთანავე შესწორებულია და კრიტიკულად განხილული ხრონოლოგია მოყვანილ ფაკტებისა, რომელნიც ავტორს ყოველგვარ სხვა და სხვა მასალებიდან გამოუკრებია [1]).

თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ქართულად შედგენილი ავტორის ბიოგრაფია, მაგრამ მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს იმის მოღვაწეობას პერიოდიულ გამოცემებიდან და სხვა და სხვა წიგნებიდან. ვის არ ახსოვს ის ღრმა პატივის ცემა და დიდება, რომლითაც იმას მუდამ იხსენიებდა ჩვენის ისტორიის დაუცხრომელი მკვლევარი და არხეოლოგი დიმ. ბაქრაძე, რომელიც თავისს ისტორიაში სწერს: „დიდად საჭიროა რომ ორივე შრომა (ბროსსესი): Additions-იც და Introduction-იც ქართულად ითარგმნოს.“ ამ ჟამად ჩვენ უფრო საჭიროდ ვპოვეთ მ. ბროსსეს „საქართველოს ისტორიის“ თარგმნა, რადგან ქართულს ენაზე არამც თუ ჩვენი ერის პრაგმატიული ისტორია არ მოგვეძევა, არამედ—წესიერად შედგენილი სახელმძღვანელოც არ არის. ისტორიული თხზულებანი ზოგი დაძველდა და ზოგი თავის სიდიდით და სიძვირით მკითხველთათვის მიუწდომელი შეიქნა. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენს დროში დიდი მოთხოვნილებაა იმ ნაირ ისტორიულ წიგნისა, რო-

[1]) Bull. hist- phil. t. XIII, col. 79 და t. XV col. 349.

მელიც საფუძვლიანად, თან შემოკლებით და ხელოვნებით იყოს შედგენილი, ისტორიულ მასალებზე იყოს დამყარებული და თანაც ჩვენს წარსულ ცხოვრებას წესიერად შემუშვებულს, გვიხატავდეს. ამას გრძნობენ როგორც მოსწავლენი, აგრეთვე მრავალი სხვა პირები, რომელთაც სურთ შეავსონ თავისი ცოდნა და ხელად ჰქონდესთ ისტორიული ცნობების შესასწორებლად სარწმუნო წყარო. ამ ნაკლულევანების შესავსებლად ჩვენ ვიკისრეთ ბროსსეს ისტორიის გადათარგმნა. მართალია, ავტორს არა აქვს ის შემოქმედებითი ძალა და ხელოვნება, რომელიც, მაკოლეის სიტყვით, ისტორიკოსის უმთავრესს ნიჭის ხარისხს შეადგენს, მაგრამ მკითხველი ჰპოებს ნაამბობს ნამდვილ ფაკტებზე დამყარებულს (კურნოს სიტყვით — ისტორია ფაკტების მეცნიერებაა), ფაკტების ფრთხილს გამოკრებას და მკაფიო და სწორს მოთხრობას, რომელიც სრულიად მოკლებულია გადაჭარბებულ მაღალფრასოვანობას, ასე გავრცელებულს ისტორიულ თხზულებებში. ხანდისხან ავტორი, თითქო მემატიანე იყოს, ისე წელიწადებით ჩამოსთვლის ფაკტებს. ამ შემთხვევაში იმის გასამართლებლად ტენის აზრი მოგვყავს: „ქრონიკა სრულებით შესაფერია იქ, სადაც ჯერხანად ისტორია უდროო არის". ჩვენის ისტორიის პირველ ხანაში, ესრედ წოდებულ გმირულში, შეგვხვდება ხოლმე მოგონილი ამბავი, მაგრამ ამასაც თავისი საფუძვლიანი ახსნა აქვს. ამის შესახებ სამართლიანად ამბობს ლ. რანკე, გერმანიაში ისტორიის ახალი სკოლის დამფუძნებელი: „თვით მოგონილ ამბავში არის თავისი სიმართლე, რამდენათაც ის წარმოადგენს უძველესს ზეპირ გადმოცემას (ტრადიციას). არის პერიოდები, სადაც ზეპირგადმოცემა და ისტორია განუყოფელად ერთმანეთში გარდაკვანძულია". მეორე გამოჩენილი ისტორიკოსი მაკოლეი სწერს: „შეთხზული ამბავი ისე ჰგავს ფაკტს და ფაკტი — შეთხზულ ამბავს, რომ ზოგიერთს ძლიერ შესანიშნავს დაწვლილებას ვერც ვერწმუნებით და ვერც უარვყოფთ, და ამისგამო ვრჩებით უსიამოვნო და დაუსრულებელს გამოურკვევლობაში. ვიცით, რომ აქ უნ-

და იყოს სიმართლე, მაგრამ არ შეგვიძლია ნამდვილად განვარკვიოთ, სად არის ის". შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ავტორს ღრმად ჰქონდა შესწავლული ჩვენი ისტორიის ყველა წყაროები, რომელიც კი იმის დროს მოიპოვებოდა და რომ ამ შესწავლას მან თითქმის 60 წელი თავის სიცოცხლისა შესწირა.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ ხნობით კიდევ აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის დასაწყისში, იმის „პირველ ფურცლებზე" ვიმყოფებით, რომ აღმოსავლეთის შესწავლა შედარებით ახალი მეცნიერებაა, რომელიც ჯერ კიდევ მაგარ ნიადაგზე არ არის დამყარებული,— რომ თვით ეგვიპტის, ძველ სპარსეთის, ასსურეთის, ბაბილონის, ინდოეთის და ჩინეთის ისტორიას სრულიად ახალი ელფერი მოეფინა მას შემდეგ, როდესაც შეუდგენ იმის შესწავლას ადგილობრივ წყაროების საშუალებით,—რომ გამოჩენილმა ორიენტალისტმა რენანმა სიკვდილის წინეთ შემდეგის სიტყვით მიმართა თავისს მსმენელებს: „თქვენ ბედნიერნი ხართ მით, რომ მოესწრებით ასსურეთის და ბაბილონის აგურების წიგნთ-საცავის წაკითხვას, რომელიც სრულიად შესცვლის ამ ქვეყნების ისტორიაზე გავრცელებულ შეხედულობას".—თუ ეს ითქმის აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლის შესახებ, რომელსაც ეს ერთი საუკუნე მეტია შეუდგენ, რას უნდა გვაძლევდეს ამ ჟამად საქართველოს ისტორია, რომლის შესწავლა დიდი ხანი არ არის, რაც დაიწყეს. სამართლიანად ამბობს პროფ. ცაგარელი: „ამ საუკუნოს დამდეგს ფიქრობდენ, რომ ქართულს მწერლობაში დაბადების, საეკლესიო და საღვთისმეტყველო წიგნების გარდა, მოიპოვება მხოლოდ ისტორიული კრებული „ქართლის ცხოვრება" და რამდენიმე ხელნაწერი. ხოლო ჯერ მე-30 წლ. ბროსსემ უკვე შეადგინა ქართულ ლიტერატურის ნაშთების სია, რომელშიაც ას თხზულებაზე მეტი იყო მოხსენებული, და 1838 წ. მანვე დაბეჭდა 300 მეტის ნაშთების კატალოგი; ხოლო ამ სწავლულის სიცოცხლის დამლევს,

მე-80 წლ., აღმოჩენილი და თითქმის სიითაც აღნუსხული იყო არა ნაკლებ 2000 ნაშთისა; ამ უკანასკნელ 12—14 წ. კიდევ 2000-ზე მეტი ნაშთი აღმოჩნდა. ამ ნაირად ჩვენ გვაქვს დღეს პატივსადები რიცხვი ქართულის ლიტერაცურის ნაშთებისა, ვარაუდით ხუთი ათას ეკზემპლიარამდე. ამ რიცხვიდან აქამომდე სრულიად დაბეჭდილია მხოლოდ 30 ავტორამდე და 10-დე გადათარგმნილია ევროპიულ ენებზე, ხოლო დანარჩენებისათვის ჯერ ხეირიანი და ვრცელი კატალოგიც არ არის შედგენილი. ამას გარდა აქამომდე ცნობილია სამი ათასამდე ეპიგრაფიული ნაშთი (VII საუკუნოიდამ) და აღმოჩენილია დიდ ძალი იმათი რიცხვი ჯერ კიდევ გარდმოუღებელი და წაუკითხავი. ამ მოკლე აღნუსხვიდან სჩანს, რომ ამ საუკუნის დასაწყისიდან ჩვენი ცნობანი ქართულ მწერლობის შესახებ თანდათან ვრცელდება და არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ თვით ახლო მომავალში ამ ნაშთების რიცხვმა არ მოიმატოს,—პირიქით, ყოველივე გვარწმუნებს, რომ ეს ასე უნდა მოხდეს".

ძნელად გასაგებ ადგილებს და ნაკლებად ცნობილ გეოგრაფიულ სახელებს მთარგმნელი თავთავის დროს შენიშვნებში ხსნის. ის აგრეთვე უჩვენებს ავტორის შემდეგ აღმოჩენილს ახალ წყაროებს. ყველა შენიშვნები მთარგმნელს ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის გენეალოგია მეფეთა ხრონოლოგიის ჩვენებით, რომელიც მან ბროსსეს და ვახუშტის გამოკვლევაზე დაამყარა. პირუთნეველ კრიტიკის ყველა შენიშვნას მთარგმნელი მადლობით მიიღებს.

საქართველოს ისტორიის მეორე ნაწილის თარგმანს—რომელიც ჩვენს ისტორიას სამეფოებად და სამთავროებად გაყოფიდან 1744 წ.-დე შეიცავს,—მთარგმნელი უკვე შეუდგა და იმედი აქვს ამ მოკლე ხანში იგიც დაამთავროს და თან ძველის საქართველოს კარტაც დაამზადოს.

1895 წ.

წინა-სიტყვაობა ავტორისა.

ჩვენ გვაქვს ერთად ერთი წყარო, საიდამაც შეგვიძლია ამოვკრიბოთ ნამდვილი ცნობა ძველის იბერიის შესახებ; ეს არის „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ჩვენ აქ გვსურს მოკლედ განვიხილოთ. ეთნოგრაფიული მხრით რომ გავსინჯოთ ეს მატიანე, ის ხშირად არ ეთანხმება დაბადების თქმულებას უთუოდ იმიტომ, რომ, როდესაც ზეპირ-გარდმოცემა ქართველთ ერისა დაწერილ იქნა, ის უმეცრების გამო უკვე დამახინჯებული იყო. ის მცირე და შემოკლებული საისტორიო ცნობა პოლიტიკური ცხოვრებისა ალექსანდრე დიდის დროამდე, რომელიც მოიპოვება მატიანეში, არაფრად არ ეწინააღმდეგება მოსაზღვრე ერთა — სპარსელების ‌ და სომხების — თქმულებათა. ბერძნების შემოსევის შემდეგ გაქრისტიანებამდე „ქართლის ცხოვრება“ ყველგან სრულს ცნობას ვერ იძლევა, მაგრამ, თუ გამოვიკვლევთ მას და შევუთანასწორებთ რომის და ბერძნების ისტორიულ თქმულებათ, საზოგადოდ, სარწმუნო გამოდის; ხოლო, თუ შევადარებთ მას ასიის ისტორიულ სინხრონიზმებს, ჩვენ ამ გვარადვე დავრწმუნდებით მის უმთავრეს თქმულებათა სინამდვილეში. — მეოთხე საუკუნიდამ მეთორმეტემდი იწყება მოთხრობები მირიას და გურგასლის მეფეებზე, იმპერატორის ირაკლის შემოსევაზე, იმ მეფეებზე, რომელთაც მისვლა-მოსვლა ექონდათ ბიზანტიის იმპერატორებთან და მაჰმადიანი დამპყრობლებთან და თვით მეჯვაროსნეებთან, თამარზე და რუსუდანზე და სხ. ამ მოთხრობებში იგივე ნაკლულევანება და თან სინამდვილე იხატება როგორც საერთოდ, ისე კერძოდ მრავალ წვრილმან თქმულებაში.

ჩვენ არაფერი არ ვიცით იმის თაობაზე, თუ ვინ შეკრიბა თავდაპირველად ერის ზეპირ-გარდმოცემა და ან რა დროს ცხოვრებდა მემატიანე; ვიცით მხოლოდ, რომ საზოგადო ქართული მატიანე მერვე საუკუნის დასაწყისამდე მოკლედ იყო დაწერილი ვიღაც ჯანშერ-ჯანშერიანის მიერ, ხოლო განკერძოებით მირიანის და გურგასლანის, ბაგრატ III და IV, აგრეთვე დაკით აღმაშენებელის ისტორიას თანამედროე ნაწერის ბეჭედი ატყვია [1]).

---

[1]) ავტორმა დასწერა ეს საქართველოს ისტორიის მიმოხილვა 1855 წელში, როდესაც ჩვენი ისტორიის მასალები ძალიან ნაკლებად შემუშავებულნი და გარკვეული იყვნენ. მას შემდეგ ჩვენი ისტორიის მკვლევარნი უფრო გულდადებით შეუდგენ ამ მასალების ძიებას და შესწავლას. ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მოვიყვანოთ აქ ჩვენი ძველ ნაშთების მკვლევარების და არხეოლოგების დიმ. ბაქრაძის, ბ. ექ. თაყაიშვილის და თ. ყორდანიას და ა. ხახანაშვილის დასკვნანი შესახებ „ქართლის ცხოვრების“ პირველ წყაროებისა.

დიმ. ბაქრაძე იმ აზრისა იყო, რომ „ქართლის ცხოვრება“ შეადგენდა სხვა და სხვა ვრცელთა კერძო ხრონიკთაგან შემოკლებით გამოწერს საზოგადო საკითხავ წიგნსა. სირიულ მამათა და სხვა წმინდათა ცხოვრების ავტორები ვიცით ვინ არიან, ამას ვერ ვიტყვით საზოგადოდ საერო კერძო ხრონიკებზე, რადგანაც იმათ არ მოუღწევიათ ჩვენამდი, ან ჯერ არ არიან იგინი აღმოჩენილნი.—სუმბათის ხრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი მარიამ დედოფლის „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში; დაბეჭდილ „ქ. ცხ-ბაში“ „და სხვა დედნებში კი დაგლეჯილია და აქა იქ დაფანტული.—„მოქცევა ქართლისა“ იოანე ბერაის ხელით ჩვენ მიგვაჩნია შესამჩნევ წყაროდ“. სჯ. ისტ. გვ. 54, 55 და 57.

ბ. ექ. თაყაიშვილი სწერს: „თუ ბროსსეს არ შეეძლო თქმა, რა ეკუთვნოდა ვახტანგს ქართლის ცხოვრებაში, ჩვენ, მარიამ დედოფლის ვარიანტის განხილვით, თითებზე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის, რაც ვახტანგს „ქ. ცხ-ბაში“ შეუტანია.

თუმცა ბ. თ. ყორდანია ბ. თაყაიშვილს ამ დასკვნას ტრ. ბახობად სთვლის, თითონ კი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ ქართლის ცხოვრება თამარ მეფის სიკვდილამდი შესდგება ცხრა სხვა და სხვა კერძო მატიანეთაგან.

აგრეთვე დამტკიცებულია ის, რომ ქართული მატიანე მეთოთხმეტე საუკუნემდი არსებობდა იმავე სახით, როგორც ეხლა ვხედავთ სომხების მეისტორიენი მეთოთხმეტე და შემდეგ საუკუნოებისა ხშირად ხმაროობენ ამ მატიანეს, რომელიც არა უგვიანეს 1311 წ. უკვე სომხურ ენაზე შემოკლებულად გადათარგმნილი იყო.

ბ. ყორდანია სწერს, რომ ,,ქეშმარიტი ყოფილა ვახუშტის ცნობა შესახებ იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალემდე ქართლის ცხოვრება დაწერილი იყო, ხოლო გიორგი ბრწყინვალიდამ ვახტანგ მეფის ბრძანებით შეადგინესო ქ. ცხ—ება სხვა და სხვა წყაროებითა. პირველი ნაწილი ქ. ცხ—ბისა ალექსანდრე მაკედონელის შემოსევამდი ამოღებულია ნებროთიანისაგან, რომელიც არის უუძველესი მატიანე როგორც ქართველთა, ისე სომეხთა და სპარსთა.—ნებროთიანიდამ ცნობები მერმე უნდა შეეტანათ; უუძველეს ქ. ცხ—ბაში, რომ ეს ცნობები არ ყოფილა შეტანილი, ამისი დამსახელებელი არის ქრონიკა „ქართლის მოქცევისა," რომელშიაც ეს ცნობები არ იპოვება.—ალექსანდრე მაკედონელიდამ დაიწყო წამდეილი ისტორია საქართველოისა, ხოლო აქამდის ჩვენს მატიანეს მითოლოგიური სახე აქვს, ხოლო მითოლოგიური ნაწილი ყველა ერთა ისტორიაში მერეა შეტანილი და, რასაკვირველია, ჩვენს მატიანეშიაც მერე იქნება ჩაწერილი მოხსენებულ წყაროდან (ნებროთიანისაგან).—მეორე წყარო ანუ მატიანე, რომლისაგან შეუდგენიათ ქ. ცხ—ება, არის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის შემოსევისა, აზონ და ფარნავაზის შეფეთა.—ამას იქით, სჩანს, მერმე გაუგრძელებიათ სხვა ქრონიკებით. აქაც თითო-ოროლა ცნობები მერე შემოუტანიათ ბერძენთა ანუ სპარსთა ისტორიიდამ და საეკლესიო მატიანედამ.—მესამე მატიანე ანუ წყარო ქ. ცხ—ბისა არის ცხოვრება მირიანისა და „ქართლის მოქცევა"—შემდეგ ის შეუმსიათ „სომეხთა მოქცევისაგან" (აგათანგელისა). რაოდენიმე ცნობები ამ მატიანეში შემდეგვე შემოუტანიათ ბერძენთა და სპარსთა ისტორიიდამ.—ქ. ცხ—ბაში შეუტანიათ ვრცელი მოთხრობა წ-და ნინოს ცხოვრებისა ჯერ თვით მატიანით და შემდეგ მეტაფრასით.—მეოთხე წყარო ანუ კერძო მატიანე, რომელიც მთლად შეუტანიათ ქ. ცხ—ბაში, არის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა" და რაოდენიმე ცნობა ამოღებულია ქართლის მოქცევის ქრონიკიდამ.—მეხუთე წყარო ქ. ცხ—ბისა არის ჯუ-

თუ მივიღებთ ყველა ზემოხსენებულ საბუთებს მხედველობაში, ჩვენ სამართლიანად და საისტორიო კრიტიკის წესის თანახმად ვპოებთ, რომ ივერიელთ თქმულებანი თავის ქვეყანაზე ჭეშმარიტად მივიღოთ, ნამეტურ მაშინ, როცა გარეშე მოწმობა არა იპოვება რა; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შევათანასწორებთ „ქართლის ცხოვრების“ თქმულებას უცხო ტომთ წაამბობთან და მივიღებთ მხოლოდ მას, რაც არ იქნება წინააღმდეგი სხვა მეისტორიებისა, უკვე ცნობილთა. დასასრულ — ქართულ მატიანების ნაკლს შევკრებთ მოსაზღვრე ადგილების და აგრეთვე, შეძლებისაგვარად, დასავლეთის ერთა ისტორიულ წყაროებიდამ.

ეს საქართველოს ისტორიის მიმოხილვა შედგენილია თანახმად ამა წესისა. უმთავრესი მისი მასალა გამოკრებილია ქართველების თქმულებიდამ და გარკვეული და შევსებული ზოგიერთ უცხო ტომთ მწერალთაგან.

იმ ქვეყანას, რომლის ისტორიის მიმოხილვას მე ვწერ, სამი უმთავრესი სახელი ეწოდებოდა: ერთი ეროვნულია, გა-

---

ანშერის ისტორია — რადგან 200 წლის მატიანეს ჯუანშერ ოთხ-ვერ აღწერდა, ამის გამო ეჭვიც არ უნდა ვიქონიოთ იმაზე, რომ ჯუანშერს კერძო ისტორიული წყაროთაგან შეუდგენია თვისი მატიანე ვახტანგ დამარჩილის მეფობამდი. — შემდეგს მატიანეს მართლა ეტყობა იმისი ყალი, რომ იგი დაწერილია სხვა და სხვა დროს თვით — მხილველისაგან და თანამედროესაგან. თვით მემატიანე უნდა იყოს ქახელი. მეშვიდე მემატიანე, რომელსაც გაუგრძელებია ქ. ცხ-ბა, არის ბაგრატ IV ცხოვრების აღმწერელი, ამ მემატიანეს უსარგებლებია სუმბატის ქრონიკით. — მერვე მატიანე, რომელიც შეუტანიათ ქ. ცხ — ბაში, არის დავით აღმაშენებელის მემატიანე, თვით მხილველი, სამღვდელო პირი, და უნდა იყოს იოანე ანუ სვიმონ ჭყონდიდელი და ანუ არსენი იყალთოელი. მეცხრე ერელი მატიანე, რომლისაგან შესდგება შემდეგი ნაწილი, ქ. ცხორებისა, არის თამარ მეფის მატიანე, დაწერილი თანამედროვისაგან ანტონ ჭყონდიდელისაგან. ქრონიკები თ. ორდანიასი. წინასიტყვაბაო.

ა. ხახანაშვილი ამბობს, რომ „ზემოხსენებულნი წყაროები (საქართველოს ისტორიისა) და ახლად აღმოჩენილნი გვიმტკიცებენ, რომ ქართ. ცხ-ება არა თუ რყვნიდა ისტორიულ ნაშთებს, არამედ აკავშირებდა მათ ასე თუ ისე ხელოვნურად. ამის გამო ქართულმა მატიანემ სწავლულთ განხილვაში უფრო სხვა მნიშვნელობა უნდა იქონიოს და უფრო სამართლიანი დაფასება უნდა გამოიწვიოს მათის მხრით". Источники по введению

რეშე ქვეყნებში სრულიად უცნობი, ქართლი,—რომლის მცხოვ-
რებელნი ქართველებად იწოდებოდენ, საიდამაც წარმოსდგა
საქართველო, იგივეა რაც ქართლი; მეორე სომხური—ვირქ [1])
ვრაცტან, რომლის მკვიდრნი ვრატებად იწოდებოდენ. აქე-
დამ წარმოსდგა ბერძნული იგერია, ლათინური იბერია, იგერი-
ელნი; მესამე სახელი იყო სპარსულად გურჯისტან, არაბულად
გურზან, რომლის მკვიდრნი იწოდებოდენ გურჯებად და გურ-
ზებად. აქედამ წარმოდსგა რუსული გურზია, გრუზია,
და ფრანგული ჯეორჯი. ამ ქართველთა ქვეყნის საზოგადო სა-
ხელებს უნდა მივუმატოთ სხვა და სხვა ამის ნაწილების კერძო
სახელები, როგორადაც: 1) ქართლი [2]) შუა ნაწილი საქარ-
თველოსა, 1469 წ. საქართველოს გაყოფის შემდეგ—რუსულად
კარტალინია და კარტალინებად წოდებულნი, 2) კასეთი, რუსუ-

христіанства въ Грузіи въ 1 т. 3 вып. Древн. вост. моск. археол. общ. за 1898 г. Составъ и источники начальной груз. лѣтописи. Журн. мин. нар. пр.

[1]) ბროსსეს აზრით ვირქ მრავლობ. რიცხვია სიტყვისა ვირ და წარმოსდგება სომხური ლექსიდამ ვერ, ი-ერა—ზემოთ, ზევით. იხ. ავტორის Introduction 1 ნაწ. გვ. IV. შეადარე უცნაური ეტიმოლოგია შოპენისა, რომელსაც ი'რი, ა'ირ-ი—დამ გამოყავს „ვირ" და აქედამ ლათინური vir—მამა—კაცი. Нов. зам. на древн. истор. Кавказа и его обитателей И. Шопена გვ. 204 და სხ.

[2]) შოპენს თავის ახირებული ეტიმოლოგიით ქართლი გამოჰყავს „ლექსიდგან კარ—იდამ, რაც ნიშნავს ქალდიურად რქიან საქონელს და დაცულია ზუდის კარელიაში; ის დაცულია აგრეთვე ადგილობრივ (ე. ი. ქართლში) ფორმაში ხარი; ეს ის ხარები და კარები არიან, რომელნიც მტკვრის და იმის შენაკადების პირად დაბინავდენ და შეადგინეს ერი, რომელმაც განდევნა ყველა თავისი მეზობლები და, დროს გამოშვებით, ბატონობდენ და იწოდებოდენ ქართველებად." გვ. 211 და შემდ. ქართლი და კელტი—ამ ორ ლექსთ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს; იქნება ეს სახელები მაო დაერქვათ იმიტომ, რომ ქართ-ებში ცხოვრობდენ, მაშინ როდესაც მათი მეზობლები უბინაოდ დაეხეტებოდენ. და შორებულ აზიის მცხოვრებნი ქართა სახლს, სადგურს უწოდებენ.... კიდევ უფრო ზევით ჩრდილოეთში „კორ" ნიშნავს შინაურ ირემს, აქედამ—კორიაკის ერი. ბრაჰმანებში (ინდოეთში) კარა—სპილოს ჰქვიან; პუნიკური (აფრიკაში) კარტაგენა ნიშნავს დედა-ქალაქს საბინადრო ცენტრს, რაც

ლად კასეტია, კასეტინტი, 3) იმერეთი, რუსულად იმერეტია, იმერეტინტი; 4) ეგრისი, მენგრელია, მეგრელია, რუსულად მენგრელტი (სამეგრელო ყოველთვის შეკარშირებული იყო ქართველ ერთან). აქვე უნდა მოვიხსენიოთ 5) გურია და 6) მესხეთი ანუ სამცხე, შემდეგში სასთასბაგო, აწინდელი ასალტიხის მაზრა, რომლის თითქმის ყველა ნაწილი რუსთ მეფეების სკიპტრას ქვეშ იმყოფება.

მკითხველი აქედამ დაინახავს, თუ რა მიზეზისა გამო ძველ დროის ისტორიაში მე ნიადაგ და თითქმის მარტო ქართულ საერო სახელ-წოდებას ვხმაროობ და აქა იქ სომხურსაც,—რუსულ სახელებს კი-იშვიათად, გარემოების შეხედვისა გვარად, რის გამო ნაამბობს უფრო ადვილ გასაგებად ვხდი [1]).

მიეტევებოდა ვ ა ხ უ შ ტ ი ს, რომელსაც ამგვარადვე ი ვ ე რ ი ა ლექსიდამ „ვერიე“ (მოვერიე) გამოჰყავდა და ბატონიშვ. დ ა ვ ი თ ს, რომელმაც კ ო ლ ხ ი დ ა ქ ა ლ ი—ხ ი დ ა დ მიიღო, ის აღარ მიეტევება შ ო პ ე ნ ს და ზოგიერთ ჩვენ თანამედროე ფილოლოგიის უცნაურ მკვლევართ, როდესაც შედარებითი ფილოლოგია სამეცნიერო წესზე დამყარებულია. წარჩინებული ენათა მეცნიერი ბ ი უ რ ნ უ ფ ი სამართლიანად სწერს: „ამ გვარ მკვლევარ კაცმა უნდა შეუდგეს სიფრთხილით და შეადაროს ურთიერთს მხოლოდ ის ფორმები, რომელთ ჰეშმარიტი ბუნება ორისავე მხრით ნათლად არის გამოკვლეული. ჯერ კიდევ ბევრს არ სწამთ შედარებითი ფილოლოგია და, თუ ამ მეცნიერების მკვლევარნი სასტიკ სიფრთხილეს არ გამოიჩენენ სხვა და სხვა შედარების და დასკვნის დროს, მაშინ ხსენებულ ურწმუნოებას ფილოლოგიისადმი საფუძველი მიეცემაო“.

[1]) ავტორის აზრი ფრიად მოსაწონად მიგვაჩნია ისტორიულ და გეოგრაფიულ აღწერაში. შემდეგში, როდესაც ზეპირგარდმოცემა თან და თანიკარგება ერში, ეს შეცვლილი და ახლად გამოგონილნი სახელები ბევრს ეჰვს დაბადებენ და დაბნევენ მკვლევართ და მკითხველებს. აი, რას სწერს სამართლიანად ამის შესახებ ა ნ დ რ ი ე ვ ს კ ი, კარგად ცნობილი ჩვენში თ. ვ ო რ ო ნ ც ო ვ ი ს დროს: „მიუხდომელობის ასაშორებლად და არევ—დარევის მოსასპობლად, რომელიც მომავალში ადგილების გამოკვლევაში ასე ადვილად შეიძლება მოხდეს, მე ვფიქრობ, რომ არამცთუ სასურველი,

საქართველოს ისტორია 1469 წლამდე.

ქართველები ძველი ზეპირგარდმოცემით თავის მამამთავრად ქართლოსს, თარგამოსის შვილს, ნოეს შვილის შვილს იაფეტის შთამომავლობიდამ აღიარებენ [1]). ბაბილონის ენების შერევნის შემდეგ 3317 წ. დასაბამიდან სოფლისა 2191 წ. ქრ. შ. წინეთ ქართლოსმა [2]) დასტევა სომხეთში თავისი ძმა ჭაოსი, სომეხთ წინაპარი, გარდავიდა ჩრდილოეთში და დაემკვიდრა თავის მამის, თარგამოსის მიერ მიცემულ მხარეში, რომელიც მდებარეობდა მდ. იერის, ბამბაკის მთის, შავი ზღვის, ლეისის და კავკასიის მთების შუა [3]). იმავე დროს ორი მისი ძმა

არამედ მრავალთა მიზეზთა გამო ძლიერ სასარგებლოც იყოს ძველი სახელები აღვადგინოთ. მას, სხვათა შორის, შემდეგი მაგალითი მოჰყავს: „იმ მცირე მდინარისაგან,—რომელიც აბანოს უვლის,—ხეობას და თვით აბანოს ახლაც ოცხის აბანოს უწოდებენ. ხოლო რუსებმა ამის მიუხედავად მთელს ხეობას მიათვისეს სხვა სახელი, რომელიც მას წინეთ არაოდეს არ ერქვა და რომელიც მათ სოფ. აბასტუმნიდამ შემოიღეს. Главнѣйшія изъ Карталинскихъ минеральныхъ водъ. Э. Андріевскаго 1852 г.

[1]) დაბადების თქმით თოგორმა, თორგუმაზ (იგივე თარგამოს) იყო ძე ღამერისა იაფეტის ძისა. (დაბ. თ. 10).

[2]) რუმიანცევის მუზ. ქ. ცხ-ბით პირველ ძმას ერქვა ქართლოს, მეორეს ჭაოს. ქართლოს იყო ყოველთა ზედა უხუცეს და უმთავრეს და ესრეთა პატივსა სცემდენ ყოველნი ძმანი მისნი, ვითარცა მფლობელსა თვისსა.

[3]) ბატონიშვილი თეიმურაზი უჩვენებს ქართლოსის წილს შემდეგ საზღვრებში: აღმ. ზღვა გურგენისა, დასავლ. ზღვა პონტოისა, სამხრ. მთა დაწყებული პონტიის ზღვის მახლობელ

დაესახლენ: ჭერეული იორის და ალაზანს შუა, ევრეული — რიონის ხეობაში და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე. ამ უკანასკნელთაგან წარმოსდგენ ჭერეთლები, რომელნიც დაემკვიდრენ ეხლანდელ სიღნაღის მაზრაში, და მეგრელები — სამეგრელოს და სამურზაყანოს მკვიდრნი. ამ გვარად სამი ძმის სამფლობელო შეიცავდა მტკვრის მთელს ხეობას სათავიდამ ალაზნის შესართავამდე, აგრეთვე რიონის მთელს ხეობას ზოგიერ მთიულ მდინარეებით, რომელნიც ჩრდილოეთით შავს ზღვას ერთვიან და ამასთანავე — ჩრდილოეთ ნაწილს მდ. ჭოროხის ხეობისას, — სადაც ეხლაც ქართულს ენას ხმაროობენ. მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ იმ ჩვენგან დაშორებულ დროს ოთრგამოსის ოჯახი ერთ საზოგადო ენას — საგონებელია — სომხურს ხმაროობდა [1]).

ერის ზეპირგარდმოცემით ამ დროს მხოლოდ ერთი დიდი შემთხვევა მოხდა იბერიაში. — ეს იყო ბრძოლა ნებროთთან, სპარსეთის პირველ მფლობელთან (რომელსაც მთელი

ტრაპიზონისა და მუნით წამოსული განვლის საშუალ არზრუმისა და ბასსიანისა და ყოველი საზღვარი სამცხე-საათაბაგოისა ვიდრე დიდის სომხითის საზღვრამდე, მთამდე მასისისა და მთითა საშუალ ერივნისა და საქართველოისა, რომელნიც მიიწევიან ვიდრე მდ. არეზისა. ჩრდილოეთად საზღვრამდე რუსეთისა და მცირე თათართა. საქართვ. ისტორია გვ. 27.

[1]) ავტორი ამ დასკვნას ამყარებს მის მიერ გამოცემულ „ქართლის-ცხოვრებაზე", ხოლო რუმიანცოვის მუზეუმის ქართლის ცხოვრებაში და ზოგიერთ სხვა დედნებში, აი, რას გარდმოგვცემენ; „აქამომდე ქართლოსიანთა ენა იყო მხოლოდ ქართული, რომელსაც ზრახვიდენ; ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხვნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც გარყვნეს ენა თვისი და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა მორთული. დ·იმ ბაქრაძის ისტ. საქართვ. 1889 გვ. 63. შენიშვნა.

დასავლეთ აზიის დაპყრობა სურდა). თარგამოსის თემებმა [1]), ჰაოსის წინამძღოლობით შეერთებულებმა, მოჰკლეს ეს ამაყი ხელმწიფე და გაფანტეს იმის ჯარი 3388 წ. დასაბამიდამ სოფლისა, 2120 წ. ქრ. შობამდი.

ამის შემდეგ ქროლოსი წავიდა თავის სამფლობელოში და დაიწყო ციხის შენება მთაზე, რომელიც მტკვრის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობს იქ, სადაც არაგვი შეერთვის მას. ამ მთას ქართლოსის აქ მყოფობისა გამო დაერქვა სახელად ქართლის მთა, სადაც შემდეგ იყო არმაზი: ხოლო იქ ახლო მომდინარე ღელეს უწოდეს ქართლის-სკვი ე. ი. ქართლის მდინარე. იმ მხარეს კი, სადაც ქართლოსის შვილები დამყარდენ, დაერქვა ქართლი, სიქართველო და თვით ერს—ქართველი.

ქართლოსმა აგრეთვე ააგო ორბის-ციხე, [2]) ახლანდელი სამშვილდე და მტკვრის-ციხე, შემდეგში წოდებული სუსანად და ციხ-ყალად იქ, სადაც ხრამი ერთვის მტკვარს [3]). ქართლოსი დამარხეს ქართლის მთაზე, ხოლო იმის რომელს მხარეზე, ჯერ

---

[1]) რუმიანცოვის მუზეუმის ქართლის ცხოვრებით: „... განუყო თარგამოს ქვეყანა და ნათესავი თვისი რვათა მათ ვმირთა; ხოლო ქართლოსს მისცა უფლება ექვსთა ძმათ ზედა და ჰაოს მეფობდა თავისსა ნაწილსა და ემონავებოდა და აძლევდა ხარჯსა მეფესა ასურასტანისასა.... და ჰაოს ევედრა ქართლოსსა და სხვათა ძმათა თვისთა, რათა შეეწივნეს მას განთავისუფლებად თვისის ნაწილისა ასურასტანის მოხარკეობისაგან... ხოლო ნებროთ ახდა ერთსა გორსა ზედა ზრახვად ჰაოსისა და ეტყოდა დამორჩილებასავე მისსა... ხოლო ჰაოს რა მიეახლა ნებროთს ღალატით სტყორცნა ისარი და მოკლა ნებროთ“. შეადარე ეს ნათქვამი ბატონიშვილის თ ე ი მ ურ ა ზ ი ს ისტოიას გვ. 27: „პირველი ნათესავთ-მთავარი ყოველთა ნათესაობათა თჳსთა ზედა იყო ქართლო (ესე იგი ქართლოს), მფლობელი ძმათა, ძეთა და ერთა მათთა ზედა და შთამოვალობითა რომლისათჳს ქართლოს იწოდებოდა ნათესავთ-მთავართა მთავრად“.

[2]) ციხე ორბითისა, იგივე ორბეთი არს. ბატონიშვ. თ ე ი მ ურ ა ზ ი.

[3]) მდაბიონნი რუსთავისა ნაგებებს უწოდებენ, აწ დარღვეულ არს იგი. idem.

გამოკვლეული არ არის; იმის სიკვდილის შემდეგ მისმა მეუ-ლლემ ორი ციხე აგო: „დედა-ციხე“ კახეთში და რიშა, რუს-თავი ანუ ბოსტან-ქალაქი მტკვრის მარცხენა ნაპირზე მტკვრის-ცი-ხის მახლობლად. ქართლოსის შვილები გაჩიოს, კუსოს და კასოს დაესახლენ იმ მხარეებში, რომელთაც აქამომდე უწოდებენ გაჩიანს, კუსეთს და კასეთს; ხოლო მათ ში უფროსმა, მცხეთოსმა ააშენა მცხეთის ციხე იქ, სადაც არაგვი შეერთვის მტკვარს, არმაზის მთის პირ-და-პირ და საიდამაც საკუთარი იმის სამფლო-ბელო იწყებოდა არაგვის მარჯვენა ნაპირიდამ და იმ მხრიდამ, სადაც ახლა ქ. ტფილისი არის სეზრის ანუ შავი ზღვის პირამდი.

მცხეთოსს სამი შვილი ჰყავდა: ოძრასოს, რომელმაც სი-მაგრენი ოძრხე [1]) და თუსარისი აგო მთიან და კლდოვან მხა-რეში ტასის-კარის [2]), ეხლანდელ ბორჯომის ხეობისა და შავი ზღვის შუა; ჯავასოს, წუნდის და არტაანის დამაარსებელი —მტკვრის სათავის ხეობაში; უფლოს, უფლის-ციხის, ურბნისისა და კასპისა დამფუძნებელი, რომლის საკუთარი სამფლობელო არაგვიდამ და არმაზიდამ დაწყებული ტასის-კარამდი იყო. მცხე-თოსი და იმის საკუთარი შთამომავლობა ითვლებოდა ქართ-ლოსის ნათესავთა მიერ უმთავრეს მამასახლისად ანუ პატრიარ-ქად მთელის ქართლისა.

თუმცა ხშირად ასტყდებოდა დავა და ცილობა მცხეთო-სის სხვა და სხვა შთამომავალ გვართა შუა, ისინი მაინც ყო-ველთვის გარეშე მტრის წინაალმდეგ მცხეთის მამასახლისის წინამძღოლობით შეერთდებოდენ ხოლმე, და ნიადაგ ფიცუ-ლობდენ საერთო თავიანთ ნათესავთ-მთავარს, ქართლოსის სა-ფლავს. გარნა შემდეგში მათ დაივიწყეს ერთ არსი ღმერთი და თაყვანს სცემდენ მზეს, მთვარეს და შვიდ ვარსკვლავს.

რასაკვირველია, ერის ამ ზეპირ-გარდმოცემას ჩვენ ვე-

---

[1]) ეხლანდელი ოცხე (ოძრხზე ანუ აბასტუმანი).

[2]) ეხლანდელი ტაშის-კარი.

რაფრით ვერ დავამტკიცებთ, მაგრამ ჩვენ დიდს სიმკაცრეს გამოვიჩენთ, თუ უარვყავით ზოგიერთ იმის ნაამბობთ სინამდვილე, მით უმეტესს, რომ ის არ ეწინააღმდეგება უკვე ცნობილთა და დამტკიცებულთ ფაქტებსა.

ქართლოსის მოდგმის დამკვიდრების შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში შემოსვლამდე ათას ხუთასზე მეტმა წელმა განვლო და ამ დროს ისტორიკოსები თითქმის სრულიად არ იხსენიებენ არც ივერიელებს და არც მათ მხარეს. ამბობენ, რომ 3801 წ. დასაბამიდამ, 1647 წ. ქრ. შობამდი თარგამოსის თემნი შეესიენ საზარებს, რომელნიც კავკასიის ჩრდილოეთით ცხოვრობდენ და ააოხრეს ისინი. თავის მხრით საზარებმაც, როგორც კი წამოიკეთეს ამ საშინელ დარბევის შემდეგ, არ დაიგვიანეს ზედ დაცემა კავკასიის აქეთა მხარეზედ; გაძარცვეს და ტყვედ წაიყვანეს აქეთა მხარის მკვიდრნი, აიღეს ყველა ციხეები ერიშით, გარდა შიდა-ქართლისა, რომელნიც მდ. მტკვრის და ეგრისის ჩრდილოეთით მდებარეობდენ; დასასრულ—დაადვეს ამ მხარეს ხარკი, რის გარდახდევინება მით უმეტეს უადვილდებოდათ მათ, რომ ორივე გზა, მიმავალი სამხრეთისაკენ, კარგად შეისწავლეს: დარიალანისა მდ. არაგვის დაყოლებით და დარუბანდისა კასპიის ზღვის ნაპირად. პირველ შემოსევის დროს საზარების მფლობელის ერთმა მხლებელმა, ვინმე უობოსმა [1]), საჩუქრად მიიღო ყველა ტყვეები, წარტაცებულნი ქართლიდამ და სომხეთიდამ (ჩრდილოეთ იმის ნაწილიდამ) და დაესახლა ერთად იმათთან იმ ხეობებში, რომელნიც უმთავრეს კავკასიის ქედის შუა მდ. ლომეკის ანუ თერგის დასავლეთით მდებარეობენ. ეს უობოს შეიქნა დამაარსებელი და ბატონი იმ ერისა, რომელიც იმის სახელით შემდეგში წოდებული იქნა ოვსებად, ანუ ოსებად, ვინაიდგან იმ მხარეს, სადაც ისინი ცხოვრებენ, ქართულად ოსეთი ჰქვიან. ეს

---

[1]) თეიმურაზით „ობოს".

თქმულება მით უფრო დასაჯერებელია, რომ ოსური ენა სპარსული ენიდამ არის წარმომდგარი და სომხურთან ერთი ფესვისა არის.

ამბობენ აგრეთვე, რომ ფერუდინმა [1]), სპარსეთის მეფემ ფეიშდადიანის დინასტიიდამ, დაიპყრა კავკასიის მთების სამხრეთით მდებარე მხარე, დაადვა მას ხარკი და თავისი ერისთავები ე. ი. მმართველები დააყენა. ერთმა ამ ერისთავთაგანმა არდამოსმა [2]) ყველა ხაზარები ქართლიდამ განდევნა, დარუბანდს ტისე ააგო, მცხეთა გაამაგრა, არმაზს ქვიტკირის გალავანი შემოავლო და პირველად მან ასწავლა ქართველებს ამ გვარი შენობის აგება. ეს მოხდა დაახლოვებით 3901 წ. დასაბამიდამ, 1607 წ. ქრ. შობის წინეთ. ფერუდინის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში არეულობა მოხდა და ქართველებმა ამ დროს მოახერხეს სპარსელებისგან განთავისუფლება და მეოთხე იმათგან დადგენილი ერისთავი მოჰკლეს. ხოლო ის მხარე, რომელიც მდ. ეგრისის ე. ი. ენგურის იქით მდებარეობდა, დარჩა ისევ ბერძნების მფლობელობაში და ჰერეთი—სპარსელების ხელში.

რასაკვირველია, ამ ძველ დროის ამბავებში ყოველთვის ვერ ვიხელმძღვანელებთ სპარსული ისტორიის ჩვენებით, მაგრამ ძლიერ დასაჯერებელია, რომ სპარსეთის მეფენი მაშინაც ცდილობდენ დაეპყრათ მშვენიერნი და ნაყოფიერნი ხეობანი, კავკასიის მთების ძირში მდებარენი, და აგრეთვე ისიც, რომ აქ დასახლებულნი სუსტნი მკვიდრნი ყოველთვის ვერ ახერხებდენ თავის დამოუკიდებლობის დაცვას მძლავრი ჩრდილოეთის და სამხრეთის მეზობლებთაგან.

ხოლო ამ დროსვე ბერძნების შემოსვლა შავი ზღვის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნაპირზე აიხსნება შემდეგის სანახევროდ ზღაპრულის ნაამბობით: ზეპირ-გადმოცემა გვიამბობს,

---

[1]) ქართლის ცხოვრებით აფრიდონ, თეიმურაზით ფრიდონ, ფრიდინ.

[2]) ქ. ცხ—ებით არდამ.

ვითომც ეგვიპტის მეფემ სეზოსტრის დიდმა დაიპყრა მთელი ზღვის პირად მდებარე ასია, ხმელეთით და ზღვით, და თავისი ჯარი თვით შეიყვანა კოლხიდაში (სამეგრელოს ძველი კლასიკური სახელია), და იქ ახალშენებიც დააფუძნა. ამ ჟამსვე ბერძნები გამოელაშქრენ კოლხიდაში, რის საბაბად ვითომც ოქროს მატყლოვანი ვერძი იყო, წარმოტაცებული ელლადიდამ ვინმე ფრიქსის მიერ, რომელიც გარდმოიხვეწა თესსალიიდამ. ბერძნების წინამძღოლმა, ასონმა მისანის მედეიას [1]) შემწეობით ხელთ იპყრა საწმისი და თანამოგზაურებითურთ (არგონავტები) წავიდენ ზღვით ჩრდილოეთისაკენ. აქ ზღვის პირად მან რაოდენიმე ახალშენები დააარსა — სახელდობრ: დიოსკურია, ეხლანდელი ისკურია, იზგაურ, ისკურჩე სოხუმის ციხის მახლობლად. რასაკვირელია, არგონავტების მოგზაურობა, მომხდარი დაახლოვებით 1200 წ. ქრ. შობამდი, დაწვლილებით არ არის გამორკვეული; მაგრამ, როდესაც ჩვენ კარტაზე, რომლითაც ბერძნების გმირებს გაუვლიათ, განვიხილავთ მდინარეებს და ადგილებს, რომელნიც თანამედროვენი და მერმინდელნი კლასიკურ პოეტების ლექსებში იხსენებიან, უნებლიეთ გვებადება აზრი, რომ აღნიშნულ დროს ბერძნებმა დაათვალიერეს კოლხიდა ან ომის და ან სააღებ-მიცემო მიზნით და იწყეს მტკიცედ გამაგრება ევკსინის პონტის [2]) ჩრდილოეთ მხარეზე. ეს სრულიად კმარა გასამართლებელად ზემოხსენებული ზეპირგარდმოცემისა, რომელიც როგორც ქართველებს, ისე ბერძნებს შორის აქამომდე დაცულია.

3993 წ. დასაბამიდამ სოფლისა სპარსეთის მეფემ, ქეკაუსმა [3]), ქაიანის დინასტიის შთამომავალმა, დაემკვიდრა რა თა-

---

[1]) თეიმურაზით მედია.

[2]) შავი ზღვის.

[3]) ქეკაპოს ქ. ცხ.-ებით, ქექაოზ, (ქეპაოს ვ. მეფ. ქ. ც-ბ.) თეიმურაზით, დიმ. ბაქრაძით ქეკაპოს—ლეკეთში მგრძნობლისაგან დაბრმავებული—არის ქაი-კაოსი ანუ ქიასკარი, (ციასკარი) რომელიც ცხოვრობდა მე-VII საუკ. ქრ. შ. წ. საქ. ისტ. გვ. 68.

ვის ტახტზე, ხელახლავ დაიპყრა კავკასიის მხარეები; მან აგრეთვე გაილაშქრა ლეკებზე და, შემდეგ რაოდენიმე წლისა, აღმოსავლეთის თურქებზე, მაგრამ იმათგან იძლია. ამის მიმხედველნი თარგამოსის თემნი აღუდგენ მას და განთავისუფლდენ სპარსეთის დამოკიდებულებისაგან. ქეკავოსმა შემოიკრიბა ლონე და დაამარცხა თარგამოსიანები, რომელთაც ისარგებლეს, დაახლოვებით 4084 წ. დასაბამიდამ სოფლისა, მტრის დაუძლურებით, განდევნეს ის და დაიცვეს თავის დამოუკიდებლობა.

შემდეგ ამისა რაოდენიმე საუკუნემ განვლო, ხოლო ჩვენ ამა ჟამისა დაწვლილებით და დროს აღნუსხვით არ ვიცით, რა მოხდა საქართველოში. აქამომდე დაცული „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს გარდმოსახლებულებზე, რომელნიც სხვა და სხვა ქვეყნებიდან შემოვიდენ ამიერ კავკასიაში, დააარსეს ქალაქები და სიმაგრეები და შეიქნენ მამა მთავრებად ეხლანდელ მძლავრ გვარებისა.

ქართლის მატიანე მოგვითხრობს, რომ სპარსეთის მეფის ქეკავოს შვილის ქაიხოსროს დროს რაოდენიმე თურქების [1]) ოჯახი, დევნილი ამა მეფისაგან კასპიის ზღვით და მდ. მტკვრის აყოლებით ავიდენ ქართველების ლედა-ქალაქამდინ, მცხეთამდი, შეეეედრენ მამასახლისს დასასახლებლად ადგილის მიცემაზე და აღუთქვეს ქართველებს თავის მკერდით დაცვა სპარსელების მტრობისაგან. მათი თხოვნა შეწყნარებულ იქნა და ამ გვარად ისინი დაესახლენ და სიმაგრეები აიშენეს სარკინეს [2]) მღვიმეებში, მცხეთის დასავლეთისაკენ. მეორე თქმულებით ეს გარდმოსახლებულნი თურქები კი არა, არამედ უფლისწულები ყოფილან ჩინეთის სამეფო გვარისა ჯენ-ბაჯურისა. ისინი დიდის ჯარით შემოვიდნენ ქართლში ჩრდილოეთით დარიალანის კარით და-

---

[1]) ბუნთურქნი ნათესავნი სასტიკნი. მოქცევაჲ ქართლისაჲ. სამ ისტ. ხრონ. ექ. თაყაიშვილისა გვ. 1.

[2]) ციხე-დიდი სარკინისა ძეგვის მახლობლად ხევში მდებარებს; ნანგრევი მისი ეხლაც მოჩანს. ხრონიკები ჟორდანიასი გვ. 11. შენიშვნა 14.

ითხოვდენ აგრეთვე თავშესაფარს და დასასახლებლად ადგილს იმავე პიროობითა, როგორც თურქნი. მამასახლისი დაეკითხა ხალხს და იმის თანახმობით მისცა მათ ორბეთის-ციხე, ეხლანდელი სამშვილდე, რომელშიაც ისინი დაესახლენ ორბელიანის ანუ ჯამბაკურ ორბელიანის წოდებით. ორბელიანები შეიქნენ საქართველოში შემდეგ მეფისა პირველი თავადები. როდის მოხდა ეს შესანიშნავი ამბავი, ყოვლად შეუძლებელია გარდაწყვეტით ვუჩვენოთ; ჩვენ ვიცით მხოლოდ მატიანიდან, რომ ის იყო დაახლოვებით ათასი წლის წ. ქრ. შ.

ვიცით აგრეთვე, რომ ისრაელის სამეფოს დამხობიდამ სალმანასარის მიერ 821 წ. ქრ. შ. წ. და იერუსალიმის აღების შემდეგ ნაბუქოდონოსორის მიერ 607 [1]) ქ. შ. წ. დიდი რიცხვი ებრაელებისა ტყვედ წაიყვანეს ასსურეთის ჩრდილოეთის ნაწილში. იმათგანი ზოგი მიდიაში, ეხლანდელ ადერბეიჯანში და ზოგი ექვსინის პონტის სამხრეთ ნაპირებზე ე. ი. გურიაში დაესახლა. ამ უსაცილო, ყველასაგან მიღებულ ფაქტისაგან, უეჭველად წარმოსდგა ეს ისრაელების განმრავლება, რომელსაც ვპოებთ ეხლა დასავლეთ საქართველოში. ქართულ ზეპირგადმოცემით რაოდენმე ებრაელი მცხეთის პირდაპირ, არაგვის გაღმა მხარეში, დაემკვიდრა და ქართლის მამასახლისის ქვეშევრდომობა მიიღო, რისგამო ამ მხარეს უწოდეს სურკი ე. ი. მოხარკე მხარე [2]). სპარსეთის ჩრდილოეთ მხარეში ებრაელების დასახლებას მოჰყვა აგრეთვე შესამჩნევი ბედი სომხეთისათვის და საქართველოსათვის. როდესაც ისრაელები ასსურეთში მივიდნენ, სომხეთის მეფემ სრადშემ იმათ დამპყრობულს ერთი

---

[1]) მსოფლიო ისტორიაში იერუსალიმის აღების დროს—ნაბუქოდონოსორის მიერ ანუ როგორც ნამდვილ ტექსტში, უსრედ წოდებულთ ლურსმულ ანუ სოლის გვარ წარწერებში, მას უწოდებე ნაბუ-ქუდურ-უსსურად, რაც ნიშნავს „ნაბო—დაიცევ გვირგვინი,"—უჩვენებენ 587 წ. ქრ. შ. წ. და არა 607, როგორც ავტორი სწერს.

[2]) დავით რეკტორით ხერკი არის საგურამო.

ისრაელი შამბათი გამოსთხოვა, მიიღო იგი დიდის წყალობით და მიუბოძა მას თარხნობა და სპეერის მამულები მაზრაში, რომელიც საზღვრავს სამეგრელოს და სამცხეს. ამ შამბათის სახლეულობა ძლიერ გამრავლდა სომხეთში და ამის შთამომავალი იყო ვინმე ბაგრატი, რომლის სახელით შამბათის მთელი შთამოება იწოდებოდა. ესენი იყვენ დიდებულნი ბაგრატიდნი, რომელნიც სომხეთში მეფის შემდეგ პირველ გვარს წარმოადგენდენ და რომელნიც შემდეგში სომხეთის და საქართველოს ტახტზე ავიდნენ. ეს ბაგრატიდების გვარი ჩვენ დრომდე არსებობს და ქვეყნიერებაზე ყველაზე უფრო ძველი სამეფო დინასტიას წარმოადგენს. ეს უსაცილო ფაქტია, დამტკიცებული მრავლის ეჭვ-მიუტანელ საბუთებით, კრიტიკულად განხილული და შემოწმებული.

ამ ეპოქაში ივერია ხან სპარსეთის დამოკიდებულების ქვეშ იმყოფებოდა და ხან განთავისუფლდებოდა მათგან. ამიტომაც მოგვითხრობენ, რომ სპარსეთის მეფემ კაიანის გვარისა შთამომავალმა სპანდიატ-რვალმა ე. ი. ფოლადიანმა ხელახლად იმის დამორჩილება განიზრახა, მაგრამ თავისი ძალ-ღონე უნდა მიეხმარა მეამბოხე აღმოსავლეთის თურქების წინააღმდეგ, რომელთაც ის კიდეც მოკლეს. იმის შვილმა ბაამან, რომელიც უთუოდ დასავლეთის ისტორიკოსების კიროსი უნდა იყოს, [1]) მთელი აზიის აღმოსავლეთი დაიპყრო და ივერიას ხარკი დაადვა 4978 წ. დასაბამიდამ სოფლისა და 530 წ. ქრ. შ. წ. ზემოაღნიშნულიდამ სჩანს, რომ ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში შემოსევის დაახლოვებულ ეპოქამდე ივერიის ძირითად მკვიდრს შეადგენდენ უმეტესად ქართველები და სომხები, თარგამოსის შთამომავალნი, და რომ ეს მხარე იყო სავანედ მრავალ უცხო ტომთათვის, სახელდობ: სპარსთა, ბერძენთა, ხაზარ-

---

[1]) „ბ ა ა მ ა ნ მეფე სპარსთა კ ი რ ო ს გინა კ ი რ“. ვახუშთი. საქ. ისტ. გვ. 35. კ ვ ი რ ო ზ მ ა მოიწია ივერიად ადგილთა შინა“. თეიმ. ისტ. გვ. 106.

თა და აგრეთვე ისრაელთა და იუდიანთა ტყვეთათვის. მოსე ხორენელიც ამტკიცებს, რომ ზოგიერთნი ებრაელნი, ნაბუქოდონოსორის მიერ დატყვეებულნი, დასავლეთ ივერიაში გარდაიყვანეს და რომ სომხეთის მეფის ვრშაკ დიდის დროს ვიღაც მისრდაშს მინდობილი ჰქონდაო იმათზე ზედამხედველობა 150 წ. ქ. შ. წ., როდესაც ის დაინიშნა ამ ადგილზე.

ამ გვარ ტომთა შერევნას, რასაკვირველია, რაოდენადმე ექნებოდა გავლენა ქართველების ზნეზე, სჯულზე და ენაზე. დიახაც, თუ ზეპირგარდმოცემას ვერწმუნეთ, მაშინ ივერიაში ექვს ენაზე ლაპარაკობდენ,—სახელდობრ: ივერიულზე, სომხურზე, სპარსულზე, ასურულზე, ბერძნულზე და ხაზარულზე. როგორც ამბობენ, ივერიელნი ოდნავ კერპების და ვარსკვლავთ თაყვანის მცემელნი იყვენ, ქორწინებაში ნათესაობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ და ველურებივით ცხოვრობდენ. ზეპირგარდმოცემა გვიამბობს, რომ ისინი ვითომც შვილებს მსხვერპლად კერპებს სწირავდენ, რომ ვითომც ისინი კაცის და აგრეთვე პირუტყვის მძოვრის მჭამლები იყვენო. ამ სამს ფაკტში ჩვენ შეგვიძლია ვერწმუნოთ მხოლოდ პირველს, ვინაიდგან კაცის მსხვერპლად შეწირვა დასავლეთშიაც მრავალმა ერმა იცოდა, ხოლო უკანასკნელს ორს ნაამბობს სრულიად ვერ ვეთანხმებით, თუ მხედველობაში ივერიის მიწის ნაყოფიერებას და განათლებულ ერთა, ბერძნებსა და სპარსთა, მეზობლობას მივიღებთ [1]). უფრო სარწმუნოა ის, რომ ივერიელებმა, ვი-

[1]) ბატონიშვილი თეიმურაზი იმის შესახებ, თუ საიდან წარმოსდგა ეს უსაფუძვლო ზეპირგარდმოცემა, სწერს: „ეკკლესიისა ჩვენისა მოძღვარნი უძაგებდენ მათ გარდაცვლილთა წინაპართა მათთა და მათსა ეტყოდეს მრავალთა უწესოთა ქცევათა და არა წმინდათა და მკვდართა ჭამასა ხორცთა კაცთასა, რათა ამით დაავიწყონ წინაპართა თვისთა კერპთმსახურებისა საქმენი“. თეიმ. ისტ. გვ. 54. თეიმურაზი უარყოფს აგრეთვე ქართლოსიანთა შვილთა მსხვერპლად კერპთა დაკვლისა. idem გვ. 56. იხ. აგრეთვე თეიმურაზის ახსნა თქმულისა „კარსნელთა მართებსო კოდმანელთა ხუთი მკვდარი“. ერთი სოფელი მეორეს სთხოვდაო ნაცვლად თვისა ლაშქრობაში წასვლას და შემდგომში ის სოფელი გავიდოდა მეორის ნაცვლად „რათა გარდეხადა ვალი თჳსი და რაოდენიც კაცნი ბრძოლასა შინა დააკლდებოდათ მათ, ე. ი. პირის-პირ მტერთ მიერ მოიკვლოდეს, ეგოდენი რიცხვი მკვდრისა დაედებოდათ მათ ვალად, რომელთაცა

თ. ბ. ს.-ისტორიული
ბიბლიოთეკა
T.I.H.-ИСТОРИЧЕСКАЯ
ინ. K 102958
5098

თარცა სანახევროდ მთიულმა ხალხმა, შეურაცხყოფისათვის მაგიერის გარდახდა და მტრისათვის სისხლის ზღვევა იცოდენ. ეს ისეთი ზნე-ჩვეულებაა, რომ ვერც ერთს მართებლობას ამდენს ხანს იმის მოსპობა კორსიკის კუნძულზე და კავკასიის ყველა ტომებში ვერ მოუხერხებია.

მაგიერად წარსულიყვნენ იგინი ბრძოლად მტერთა". „ესე ვითარი ჩვეულება მოთხრობასა შინა გარდასხვაფერსიტყვ ვდა და ითქვა სხვებრ, რათა ქრისტეს სიტყვასა ზედა მოქცეულთა ერთა შეიძულონ ჩვეულებანი და ზნენი წინა-პართა მათთა კერპთ მსახურებისანი „id. გვ. 55. შეადარე აგრეთვე სეხნია ჩხეიძის ნაამბობი ქირმანის ახლოს მომხდარ ომზე ბატონიშვილის ლევანის და ბელუჯთა ხანის შორის, „როდესაც ჩვენმა ყარაულმა გინებით მისცა პასუხი: „მოვიდა რისხვა ღუთისა თქვენზედაო, მობრძანდა საქართველოს თვალი ლევან, ახლავს ქართველნი ჯარნი კაცის-მჭამელნიო". „შექმნეს ურვა დიდი ბელუჯთა. ეს კი არ იცოდნენ ორმოციოდე კაცი ქართველი გვახლდა, თითო ქათმის შეჭმაც არ შეგვეძლო, მაგრამ ჩვენმა ყარაულმა კარგი ტყუილი გამოიყვანა, შეგვექმნა ჩვენ აქ სიცილი. გაიმარჯვა მაშინ ლევანმა"; თეიმურაზის თქმით, „ერნი აზიისანი, სპარსეთისა და უმეტეს უშორესთა ადგილთა მცხოვრებნი, უსწავლელნი და გაუნათლებელნი, რომელნიცა არიან მათ შორის, არა იჭვნეულ არიან ამას ზედა, რომელ ქართველთ ნათესავნი არ იყვნენ კაცის მჭამელ" id. გვ. 56. იხ. აგრეთვე ექ. თაყაიშვილის მოსაზრება: „ეს ზნე და ჩვეულებანი, რომელნიც ჩვენი ხრონიკის (ქართლის მოქცევის) სიტყვით ბუნთურქთ ჰქონდათ, ქართლის ცხოვრების შემდგენს ქართველთათვის მიუთვისებია, რათა ამით დაემცირებინა ქართველების წარმარტება და კულტურა ქრისტეს სჯულის მიღებამდე". სამი ისტორ. ხრ. გვ 2. ქართლის მოქცევა მოიხსენიებს ბუნთურქთ ანუ თურქთ შემდეგის სიტყვებით, რომელნიც მემატიანეს ქართველებზე გარდმოუტანია. „სასტიკი ბუნთურქნი... იებოსელთა ნათესავნი იყვნენ, ყოველსა კორციელსა სჭამდენ, და სამარე მათი არ იყო, მკვდარსა შესჭამდეს".

აქვე საჭიროდ ვრაცხთ დავურთოთ ბ. ექ. თაყაიშვილის კრიტიკული განხილვა შესახებ ვახტანგ მეფის „ქ.-ცხ." რედაქციისა, რომელიც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ. ბ თაყაიშვილს გამოკვლევით „სუმბატის ისტორიის შექსოვა და შეკერება ქ.-ცხ. ტექსტისათვის ვახტანგ VI რედაქციას ეკუთვნის".—ვახტანგის რედაქციას ახლად შეუტანია ქ.-ცხ-ში: 1) ვრცელი ისტორია იესო ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანისა; 2) ღვთის-მშობლისადმი წილად ხდომა საქართველოს ქვეყნის მოქცევისა და ანდრია მოციქულის მოწვევა და ქადაგება საქართველოში; 3) ცხოვრება მურვანოზისა ანუ წმ. პეტრესი; 4) ცხოვრება ათორმეტთა სირიელთა მამათა; 5) დადგენილება მეექვსე მსოფლიო კრებისა ქართველ კათალიკოსების სამწყსოს დამოუკიდებლობის შესახებ....; 6) ქრონოლოგიური ცნობები ტაოელ ბაგრატიონებთ შესახებ....; 7) მოთხრობა დავით კურატპალატის მიერ ბარდა სკლეროსის დამარცხებისა... 8) მოთხრობა და ცნობები სიმონ და

რაც შეეხება ენას, რომელზედაც ეხლანდელი ევროპელნი ლაპარაკობენ, მისი ფესვი რომ გავსინჯოთ, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ იგი ყოვლის ეჭვის მიუტანელად ესრედ წოდებულ ინდო-ევროპიულ ენების გვარს ეკუთვნის, ე. ი., რომ უფრო გადაჭრით ვთქვათ, იგი მონათესავეა სომხურის და ძველ სპარსულ ენებისა და ერთად იმათთან დაკავშირებულია ძველ ინდიურ ანუ სანსკრიტულ ენასთან; ხოლო ამ ენებისაგან ერთი თვისებით განირჩევა: ქართული მიმღეობა, როგორც სემიტური, ნიადაგ ასოთი **მ**-იწყება. [1])

მელქისადეკ კათალიკოსების შესახებ ბაგრატ III, გიორგი I და ბაგრატ IV დროს; 9) მცხეთის გუჯარი 1040 წ. 10) მოთხრობა, თუ როგორ ინახულა გიორგი მთაწმინდელმა კოსტანტინეპოლში ბაგრატ IV და მარიამ დედოფალი... 11) ცნობები ბაგრატის ასულის მართას გაგზავნის შესახებ საბერძნეთში... 12) ვახტანგის რედაქციას ეკუთვნის უეჭველად ზოგიერთი სიტყვები და ფრაზები, რომელნიც უძველეს ვარიანტებში არ მოიპოვებიან"... ნახე აგრეთვე მისივე ახალი ვარიანტი ნინოს ცხოვრებისა, გვ. X—XIV, XX, XXIV, LV შენ. I. LVII შენ. I.

[1]) ავტორის აზრი შესახებ ადგილისა, რომელიც ქართულ ენას უჭირავს ენების კლასსიფიკაციაში, ერთობ გადაჭრით წარმოთქმულია. ეს აზრი პირველად ფილოსოფოსის ლ ე ი ბ ნ ი ც ი ს მიერ წარმოთქმული და შემდეგ პროფესსორის ბ ო პ პ ი ს ა გ ა ნ აღსარებული, ჩვენი თანამედროვე წარჩინებულ ლინგვისტების მიერ შეწყნარებული არ არის. ზოგნი, როგორც სახელგანთქმული მ ა ქ ს მ ი უ ლ ე რ ი, ჩვენს ენას იმის იდიომებითურთ მიაკუთნებენ თ უ რ ა ნ ი ს ენათა გვარსა, სხვანი კი როგორც კ ლ ა პ რ ო ტ ი, შ ლ ე ი ხ ე რ ი, პ ო ტ ტ ი, ბ ი უ რ ნ უ ფ ი, ფ რ. მ ი უ ლ ე რ ი გ ა ტ ტ ე რ ი ა ს ი და სხვანი ევროპის წარჩინებულნი მეცნიერნი მას განსაკუთრებულს გვარად რაცხვენ. გ ა ტ ტ ე რ ი ა ს ი ს სიტყვით, „მომეტებული ნაწილი ქართულთა სახელ-არსებითთა და ყველა მის ფესვთა ეკუთვნიან განსაკუთრებითს გვარსა, რომელსაც ჩვენ ვუწოდთ ქართულ გვარად. თუ მომეტებული ნაწილი ამ სიტყვებისა იპოება სომხურ ენაში, ეს იმას ამტკიცებს, რომ იგინი სომხურს ენას შეუთვისებია ქართულის ენიდამ, რომელიც დიახ გავრცელებული უნდა ყოფილიყო დიდს სომხეთში, ვიდრე არიელების შემოსევამდე". ეს აზრი ჩვენ ჭეშმარიტებასთან უფრო დაახლოვებულად მიგვაჩნია. ამ სამს მიმართულებას, რომელიც შესახებ ქართულის ენისა ენათ მეცნიერებაში არსებობს, ჩვენ კიდევ უნდა დავუმატოთ მეოთხე მოსაზრება, წარმოთქმული არხეოლოგის ბ ა ი ე რ ნ ი ს და არმენისტის ნ. მ ა რ ი ს მიერ. პირველი, ცნობილი ვითარცა სამთავროს მონოლიტების და სასაფლაოს ამომთხრელი, სამწუხაროდ ლინგვისტიკაშიაც ჩაერია და ქართველები თავის გამოკვლევით სემიტების მოდგმას მიაწერა. იმის უვიცობა და უმეცრება ლინგვისტიკაში აშკარად დაანახა ქვეყანას კავკასიის

დასავლეთის ისტორიკოსები არა ვითარ ცნობებს არ გვაძლევენ შესახებ იმისა, თუ ალექსადრე მაკედონელმა დაიპყრა თვით ივერია, და ან თუ იყო ივერიაში ეს მთელი აზიის დამპყრობელი. ერთად ერთი ᲙᲕᲘᲜᲢ-ᲙᲣᲠᲪᲘᲣᲡᲘ მოიხსენიებს, — ისიც გაკვრით, — სომხეთს, როდესაც ის მაკედონელების მიერ დაპყრობილს ქვეყნებს ჩამოთვლის. ივერიაზე კი სრულად არას ამბობენ, თუ ჩვენ არ ჩავთვლით ერთს სომხურს წიგნს „ალექსანდრეს ცხოვრებას“ და ქართულს მატიანეს. ჩვენთვის ესეც საკმაოა, ვინაიდგან თვით ალექსანდრეს ანუ რომელიმე იმის სარდლის შემოსევა სრულიად არ ეწინააღმდეგება მას, რაც ჩვენ

ეტნოგრაფიის, გეოგრაფიის და დაღესტნის ენების წარჩინებულმა მცოდნემ, აწ განსვენებულმა ლ. ზაგურსკიმ. საოხუჯო კილოთი მან სასაცილოდ აიგდო ბაიერნი, რომელსაც დასამტკიცებლად თავის აზრისა, — ქართველების სემიტებიდამ შთამომავლობისა — სხვათა შორის, შემდეგი უმგვანო მაგალითი მოჰყავდა: ქართული ლექსი თარხანი წარმოსდგებაო ებრაულის სახელიდამ თარ-დამ, რომელიც აბრაამის მამას ჰქვიოდაო და ხან-დამ, სპარსული წოდებიდამ. — გამოდიოდა, რომ ვიღაც თარს სპარსელებისგან ხან-ის მაღალი წოდება მიუღია. მაშინ როდესაც ჩვენ ვიცით, რომ თარხანი თურქული სიტყვაა, სელჯუკთაგან სპარსეთში შემოტანილი და ნიშნავს ხარჯის და დამოკიდებულებისაგან თავისუფალს. — ბ. ნ. მარმაც, ახალგაზდა არმენისტმა, ამ ნაირივე აზრი ქართველების სემიტურ შთამომავლობაზე გაზ. „ივერიაში“ სრულიად დაუსაბუთებლად წარმოსთქვა. ეს ხმა გარვცელდა და ამ ბოლოს დროს, ჩვენდა განსაცვიფრებლად, ჩვენ იგივე აზრი პროფესორის კრასნოვის (სვანეთში მოგზაურობის აღწერაში), Недѣля-ში ვიპოვეთ. ამ ნაირივე მსუბუქი მსჯელობა გამოიჩინა აფხაზურ ენაზე თავის „ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევაში“ ბ. გ. წერეთელმა, როდესაც ის ამტკიცებდა, რომ „აფხაზური ენა საკუთრად ქართველთა, ტომის ენებს უნდა ეკუთვნოდესო“. ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ბ. ა. ცაგარელის მოსაზრებას, რომ ჯერ ადრე არის დასკვნა, სანამ ქართული ენა შტოებითურთ (დიალეკტებით, იდიომებით და კილოებით) ყოველის მხრით შესწავლული არ არის. ნამდვილი და სამეცნიერო საშუალება ამ ცილობის მოსასპობლად, რომელიც არსებობს აგერ ერთი საუკუნე ნახევარია, არის გულდადებით და ყოვლის მხრით გამოკვლევა, — წინადვე აჩემებულის თვისების მიუხედავად, — ქართულის ენისა (განსაკუთრებით მის ფონეტიკისა) და მის მონათესავე იდიომებისა, — მეგრულისა, ჭანურისა და სვანურისა — და აღდგენა შედარებისა და დედუქციის გზით ძველის ძველ ივერიულ ენისა, რომელიც საფუძვლად დასდებია ქართულ დარგის ხსენებულს ენებს. А. Цагарели, о грамматической литературѣ грузинскаго языка.

ვიცით ამ დროის მომხდარ ამბავზედ სარწმუნო წყაროებიდამ და ჩვენც შეგვიძლია ჭეშმარიტად ვიცნოთ ქართველების და სომხების ნაამბობი. არბელის გამარჯვების შემდეგ ალექსანდრე უეჭველად დაედევნა დარიოსს სპარსეთის ჩრდილოეთ მხარეებში და იძულებული შეიქნა სომხეთი და შემდეგ ივერია დაეპყრა.... გვიმტკიცებენ, რომ ამ უკანასკნელში მან ექვსი თვის განმავლობაში შესძლო დაპყრობა ყველა სიმაგრეებისა გარდა თუხარისისა [1]) და მტკვრის-ციხისა. სარკინეთში მცხოვრები თურქები არ დაემორჩილენ და წინააღმდეგობა აღმოუჩინეს მაკედონელებს, რომელთაც ამის გამო სარკინეთის იერიშით აღება განიზრახეს. ხოლო მკვიდრთ მალულად გათხარეს რბილი კლდე, რომელშიაც ქალაქი იყო გამოქვაბული და მთებში გაიქცენ. ამას შემდეგ მაკედონელებმა მთელი მხარე დაიფლეს, ყველა უცხო ტომები ამოსწყვიტეს, მათი ცოლ-შვილები ტყვედ წარიტაცეს და მარტო ადგილობრივი მკვიდრნი, ქართლოსის შთამომავალნი შეიწყნარეს [2]).

---

1) კლარჯეთში.

[2]) თუმცა ავტორს შესაძლებლად მიაჩნია საქართველოს დაპყრობა ა რ ბ ე ლ ი ს ომის შემდეგ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დიდის მიერ, თუმცა დიმ. ბაქრაძეც ამბობს, რომ „შესაძლებლად მიგვაჩნია საქართველოს დაჭერა არა თვით ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს მიერ, არამედ იმის ჯარისაგან,“ თუმცა ბ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი ც გვარწმუნებს, რომ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე საქართველოში შემოვიდა,—რის დასამტკიცებლად მას მოჰყავს ის, რომ ახალციხის ახლოს ახლაც არის ერთი მთა, რომელსაც „კუროს-თავი“ ჰქვიანო, რაც ბერძნულად ბ უ ც ე ფ ა ლ ს ანუ ბ უ კ ე ფ ა ლ ს, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს საყვარლის ცხენის სახელს ნიშნავს—ვინაიდგან სწორედ ამ ადგილს ეს ბ უ ც ე ფ ა ლ ი მოუკლესო,—მაგრამ ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია თანამედროე გერმანიის ისტორიკების გამოკვლევა, რომელშიაც ისინი ხსნიან კვინტ—კურციუსის და სხვა არა სარწმუნო მწერლების თქმულებას მით, რომ მათ მიერ მოხსენებული კავკასიის მთა, ალექსანდრესაგან გარდავლილი ბ ა ქ ტ რ ი ა ნ ს და ა რ ი ა ნ ს შორის მდებარე ქედი იყო, იმ დროს კავკაზად წოდებული და არა ჩვენი კავკასიის მთა.

ალექსანდრემ ივერიის მმართველად დაადგინა ვინმე პატრიკი აზონი ასი ათასი ბერძნის ჯარით [1]) და დაუბარა მას გავრცელება ამ მხარეში მზისა, მთვარისა და ხუთთა ვარსკლავთა თაყვანის ცემისა, თითონ კი გაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ აზონმა დაანგრია მცხეთა და შესავალ გზების დასაცველად დასტევა ქართლში მხოლოდ ოთხი ციხე-სიმაგრე: იმათგან პირველი იყო არმაზის ციხე, მეორე—არმაზის მთის ბოლოს, მესამე—მცხეთის მაზრის შესავალში და მეოთხე—მცხეთის დასავლეთისკენ. მანვე დაიპყრა მთელი საქართველო მდ. ბერდუჯამდე და სპერის ზღვამდე და სამეგრელო, და ამასთანავე ოსებს და ლეკებს ხარკი დაადვა.

ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ 324 წ. [2]) ქრ. შ. წ. აზონმა მიუხედავად იმის ბრძანებისა ივერიაში კერპთაყვანის მცემლობა შემოიღო და გატის და გაიმის კერპები ააგო; მან დაიწყო აგრეთვე მკვიდრთა შევიწროება და ბრძანება გასცა დაეხოცნათ ქართველები, რომელნიც სიმხნით და ვაჟკაცობით შესამჩნევნი იყვენ.

იმ დროს მცხეთაში ცხოვრობდა ფარნაოზი, მცხეთოსის შვილის, უფლოსის ჩამომავალი, რომლის დედა ისპაანელი ქალი იყო. ბიძა მისი სამარ, მცხეთის მამასახლისი, მაკედონელებმა მცხეთის აღების დროს მოჰკლეს; ფარნაოზი კი, სამი წლის ყმაწვილი, დედამ გადაარჩინა და კავკასიის მთებში შეხიზნა. როცა ის სამშობლოში დაბრუნდა, ნადირობაში სიმარდით და ცხოვრებაში სიბრძნით თავი გამოიჩინა და აზონსაც გააცნო

---

[1]) დავით რეკტორი თავის ეგზემპლიარზე ვახუშტის ისტორიისა სამართლიანად მიაწერს: „ვიდრე ათასნი. ხოლო სხვასა ქართლის მცირეს მატიანესა შინა სწერს მეისტორიე ქართლისავე ბერძენთ ორასისა მხედრისა დატევებასა ქართლად აზონითურთ, რომელიც ესე უკვე უფრო ჭეშმარიტ არს ორასისა მხედრისა დატევება“. ამ რიცხვსავე უჩვენებს დავით ბატონიშვილი თავის საქართველოს ისტორიაში.

[2]) მსოფლიო ისტორიაში ალექსანდრე დიდის სიკვდილის წელს უჩვენებენ 323 წ. და არა 324 წ.

თავი. დედა მისი მუდამ ემუდარებოდა მას, რომ მაკედონელის მმართველის წინაშე მას თავი არ ეჩინა თავის ხასიათით და ნიჭიერებით.

ერთხელ ეხლანდელ ტფილისის მახლობლად კლდეებში, სადაც ის ირმებზე ნადირობდა, მას გზა დაებნა და იძულებული იყო ღამე კლდის ძირში გაეთენებინა; დილით რომ გამოიღვიძა, მან დაინახა გამოქვაბული, რომლის კარები ქვით ამოშენებული იყო და შიგ თურმე ვერცხლის და ოქროს მრავალი სიმდიდრე ინახებოდა. დედის და დის დახმარებით მან ხუთ ღამის განმავლობაში ყველა ეს საუნჯე გარდმოზიდა და ეს ამბავი აუწყა ქუჯს, ეგრისის ერისთავს, რომელსაც განუზიარა მან ნაპოვნი საუნჯე. თათბირის შემდეგ ქუჯთან, ფარნავაზმა ოსებში და ლეკებში ჯარები შეკრიბა, როცა აზონზე თავდასხმა გადაწყვიტა, და, ბერძნების განდევნის შემდეგ, სურდა მთელი ივერიის მეფედ აღეარნა თავი. ეს მოხდა 5206 წ. დასაბ. სოფლისა და 22 წ. ალექსანდრე დიდის სიკვდილის შემდეგ. მოკავშირე საშველ რაზმით და ეგრისელ დიდძალ ჯარით მან ისე შეაშინა ბერძნები, რომ იმათგან ათასიოდე შემოიერთა. მთელი ივერია აღელდა. ფარნავაზმა ჯილო მცხეთა და ოთხი ქართლის ციხე-სიმაგრეები და დესპანი გაუგზავნა სირიის მეფეს ანტიოქს (სელევკ-ნიკატორს), რომელმაც მას გვირგვინი მიუბოძა და ბრძანება გასცა, რომ ყველა იმის (ანტიოქის) ქვეშევრდომნი მიშველებოდენ ფარნავაზს. მაშინ აზონი კლარჯეთის მხარეში გაიქცა.

შემდეგ წელში აზონი წინააღუდგა ფარნავაზს, რომელმაც ქართველ მხედრობის გარდა მეგრელები და ოსები შეკრიბა და რომელსაც თანახმად სირიის მეფის ბრძანებისა სომხის ჯარიც მიეშველა და ქაჯთა-ქალაქს, აწინდელ არტაანს მიადგა. აქ მომხდარ სასტიკ ომში ბერძნები დამარცხდენ და თვით აზონიც ომის ველზე მოიკლა. მაშინ ფარნავაზმა მოსაზღვრე საბერძნეთი ანძანძორამდი და ეკლეციის მხარე მდ-

ევფრათის და ლიკის [1]) სათავეებში დაიპყრა და კლარჯეთით დაბრუნდა მცხეთას გამარჯვებული და დიდძალი დავლით გამდიდრებული. ბერძნებს მხოლოდ მდ. ეგრის ანუ ენგურის იქითი მხარეღა დარჩათ; ხოლო მთელი ივერია და სამეგრელო ფარნავაზმა დაიპყრა და იგი მეფედ აღსარებულ იქმნა. [2])

---

[1]) ლიკი ანუ ლიკოს ყიზილ-ირმაკია, აწინდელ განდერნის მახლობლად, სადაც შემდეგში ნიკოპოლოსი გააშენეს Mommsen. Hist Rom. t. VI.

[2]) ქართლის მოქცევის ხრონიკით აზოდ, რომელიც უდრის ქ. ცხ—რების აზონს, ყოფილა ძე არან ქართველთა მეფისა. ეს ხრონიკა პირველ მეფედ არანს, მეორეს აზოდს, ძეს არანისას და მესამედ ფარნავაზს იხსენიებს. ხოლო არან ქართლის მეფე ყოფილა და არა „ტომით ბერძენი ძე იარედისისი“, როგორც ქარ. ცხ-ება გარდმოგვცემს მას. აქ მოგვყავს ბ. თ. ყორდანიას მოსაზრება, ამ ახალ წყაროს აღმოჩენის შემდეგ გამოთქმული, ქართლში მეფობის დამყარების თაობაზე: სჩანს, რომ მცხეთა ყოფილა ცალკე სამეფო ანუ სამამასახლისო: ხოლო ქართლი სხვა სამეფო ანუ სამამასახლისო. ქართლის მეფემ ანუ მამასახლისმა აზომ, ძემან არან ქართლის მამასახლისისამან, ბერძნების მხარე დაიჭირა, უშველა მათ მცხეთის აღებაში და ამის სანუქფოდ მაკედონელმა მეფემ, გარდააგდო რა მცხეთის მამასახლისი სამარა, აზოს მისცა მცხეთა და დაუმორჩილა მასვე ყველა მწკრილ-მწვრილნი ტომნი ქართველთ ერისა. ამ ნაირად ბერძნებმა პირველად შეადგინეს ერთი სახელმწიფო ქართველთ ტომისაგან და დააყენეს აზო მეფედ. ამას შემდეგ აზომ გარდმოასახლა ქართლიდამ მცხეთას (მცხეთა იყო ნაწილი სარკინეთისა) თჳსნი ნათესავნი და, კერპთმსახურთ ჩვეულებისამებრ, თან გადმოატანა სანათესაო კერპები ქართლისა—გაიმ და გაცი,—(პლ. იოსელიანის გაიმ და გაც ნიშნავენ ბედნიერების და სიმდიდრის ღმერთებს. Описаніе древностей г. Тифлиса გვ. 15 შენ. 13.), რომელნიც მოხსენებულნი არიან სხვა მრავალ წყაროებში.—მცხეთის წინანდელ მეფეთა ანუ მამასახლისთა შთამომავალნი კმაყოფილნი არ იქნებოდენ ამით და ეს უნდა ყოფილიყოს მიზეზი იმისა, რომ, რაკი ბერძნებს გავლენა სიქართველოში ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ შესუსტდა, ამ ტომთაგან აღსდგა ერთი სახელით ფარნავაზ, რომელმაც ასურეთის მფლობელ ბერძენთა შემწეობით დაამხო ქართველთ მეფეთა მფლობელობა მცხეთაში, დაიბრუნა უწინდელი უფლება და დაიმორჩილა სხვა ტომნიცა“. თ. ყორდანიას ქრონიკები, გვ. 13.

მაშინ ფარნავაზმა თავისი სამეფო რვა საერისთაოდ და ერთ სასპასპეტოდ გაჰყო. პირველი საერისთავო მარგვისისა [1]) იყო სამხრეთ იმერეთში უმთავრეს ციხე-სიმაგრეებით შორაპანით და დიმნით;-მეორე საერისთაოს შეადგენდა კახეთი არაგვის მარცხენა ნაპირზე და შესდგებოდა კახეთისგან და კუხეთისგან;—მესამე საერისთაო იყო სუნანისა ანუ გარდაბანისა მდ. ბერდუჯიდამ (ეხლანდელ ქციიდამ) ქ. ტფილისის მაზრამდი; მეოთხე საერისთაო იყო სამშვილდისა, რომელიც ტაშირის და აბოცის მხარეთაგან შესდგებოდა მდ. სკვირეთიდამ [2]) მიყოლებული მთამდე; მეხუთე საერისთაო იყო ჯავახეთისა—წუნდაში ფარავანის ტბიდამ მდ. მტკვრის სათავემდი; მეექვსე—ოძრხისა, ტაშის-კარიდამ, ეხლანდელ ბორჯომის ხეობიდამ, არსიანის მთამდი და ექვსინის პონტამდი სამცხის მხარეში; მეშვიდე საერისთაო იყო კლარჯეთისა არსიანის მთიდამ ზღვამდე; მერვე—ეგრისისა, ეხლანდელი სამეგრელოისა მდ. რიონამდე [3]). ბოლოს, საშვალ სასპასპეტო შესდგებოდა იმ ადგილებიდამ, რომელნიც ეხლანდელ ქ. ტფილისის, მდ. არაგვის და ფარავნის ტბას შუა მდებარებენ, და რომელთაც მაშინ შიდა-ქართლს უწოდებდენ. ამ გაყოფის შემდეგ ფარნაოზი მშვიდობიანად მეფობდა იმიტომ, რომ ივერიელნი მას ემორჩილებოდენ, ხოლო ბიზანტიელნი ბერძენნი გართულნი იყვენ ეპირის მეფის პიროსისგან ატეხილ ომში. ცოლად მან აღირჩია დურძუკელთ თემის ქალი, რომელიც ქართლოსის ძმის, კავკასოსის შთამომავალი იყო, და რომლისაგან მას შეეძინა შვილი საურმაგ. ფარნაოზმა თავისი სიცოცხლე მმართველის ვალდებულების შესრულებას შესწირა. გაზაფხულს და შემოდგომას ის ატა-

---

[1]) აწინდელი არგვეთი.

[2]) ვახუშტით—აწინდელი ვერე.

[3]) თეიმურაზი: „ყოველი კოლხიდა სვანეთითურთ და დასავლით ზღვამდე“. თ. ისტ. გვ. 116.

რებდა მცხეთის დედა ქალაქში, რომელსაც გარს კედელი შემოავლო, ზაფხულს წუნდაში დაჰყოფდა და ხანდისხან— ეგრისში და ჯავარეთში, სადაც წეს-წყობილებას ამყარებდა. მან აღადგინა ყველა ქალაქები, მტრისაგან დაქცეული და არმაზის ძთაზე ამართა სპარსთა ღმერთის ზადენის კერპი, რომლის სახელით თითონაც იწოდებოდა [1]) და კაცის მსხვერპლად შეწირვის ნება დართო. ამასთანავე იგი დიდის მოწყალებით მართვიდა სამეფოს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნავდა.

ფარნაოზის მეფობაში ქართული ენა,—როგორც მაშინ ყველა ენაზე უფრო გავრცელებული ქართლში—წარმატებაში შევიდა. მაშინ შეადგინეს ესრედ წოდებული მსედრული ქართული ანბანი, რომელიც აქამომდე ხმარებაშია; ეს ანბანი შეთხზულია მიმზგავსებით ზენდურ ასოებისა, რომელთაც ჩრდილოეთ სპარსეთში ხმაროობდენ. თვით სახელწოდება ახალ შეთხზულ ალფაბეტისა სრულიად უდრის ფესლეურს ე. ი. საგმირო ენას, რომლიდგანაც იგი წარმომდინარეობს და რომელსაც ძლიერ დაახლოვებული მნიშვნელობა აქვს ქართულს მხედრულთან [2]).

ფარნავაზი 27 წლისა იყო, როდესაც გამეფდა; გარდაიცვალა შემდეგ 65 წლ. მეფობისა 237 წ. ქრ. შ. შ. და დამარხულ იქნა არმაზის კერპის ფეხების მახლობლად. ფარნაოზის შვილის საურმაგის ტახტზე ასვლის უმალ ივერიის დიდებულებმა იმის წინააღმდეგ შეთქმა განიზრახეს. საურმაგი დურძუკელებთან გაიქცა და თვისის ცოლის ნათესავების შემწეობით და აგრეთვე მიშველებით ბერძნებისა და ოსებისა, რომელნიც წინეთ მიეკერძენ ფარნაოზს, დაიმორჩილა მეამბოხენი და მთელი ივერია დაიპყრა.

---

[1]) სპარსულად ფარნავაზს არმაზ ერქვა.

[2]) ქართულ მწერლობის შემოღებაზე განსვენებული არქეოლოგი და ქართულ ისტორიის მკვლევარი დიმ. ბაქრაძე სრულიად წინააღმდეგი იყო

დასაჯილდოებლად ამ ერთგულებისა მან გარდმოასახლა გამრავლებულ დურძუკების თემის ნახევარი ნაწილი უმთავრესის კავკასიის ქედის [1]) ხეობებში, კახეთის საზღვრიდამ დაწყებული თვით სამეგრელომდი და დაარქვა ამ მხარეს სვანეთი, რაც ნიშნავს სავანეს, თავ შესაფარებელს.

ის მუდამ მოწადინებული იყო მცხეთის ქართლის და უმთავრესი ქალაქების გამაგრებაზე და სამს კერპს, რომელთაც მის დრომდი ივერიაში თაყვანს სცემდენ, ჯინისა და დანანა

ჩვენის ავტორის აზრისა და ის გადაჭრით სწერდა: „ჩვენში სულ ძველად იხმარებოდა ხუცური ასომთავრული, საიდამაც მე-VII—VIII საუკ. იბადება ხუცურივე ანბანი და აქედამ მე-X საუკუნეში ჩნდება მხედრული, რომელსაც მე-XI—XII საუკ. ჯერ კიდევ ხუცური ასოების თვისება აქვს. რომ ხუცური ასო-მთავრული ძველის-ძველია, რომ იმითგან მომდინარეობს ორივე დანა"თენი ანბანი, ამ აზრის საფუძველს გვაძლევენ: ძველი ჩვენი მანეთები მე-V საუკ., ძველი მანუსკრიპტები ანუ ხელნაწერები (მე-V და მე-VII საუკუნ.), ჯვარის მონასტრის წარწერანი (მე-VII საუკ.) და უძველესნი გუჯრები.—აქ ისიც უნდა დავურთოთ, რომ, თუმცა ქართული ალფავიტი, როგორც ამტკიცებენ, შეკავშირებულია ინდოეთის ალფავიტთან (Brosset, Elémènts de la langue géorgienne, p. 6—9 ილ. ოქრომჭედლიშვილისა: ვინ გამოიგონა ქართული ანბანი, „ივერია" 1881 წ. № 10), მაგრამ ასოების რიგი სრულიად იმ ალფავიტს ეკუთვნის, რომელიც კადმურ ალფავიტად არის ცნობილი და რომელიც საბერძნეთიდამ შეტანილია მცირე აზიის ქვეყნებში—ლიზიაში და ფრიგიაში. ვახუშტის ისტორია გვ. 39. შენიშვნა და ისტორია საქართ. დიმ. ბაქრაძისა გვ. 84 და 85. შეადარე დ. ფურცელაძის აზრიც: „მხედრული წარმოსდგა ხუცურიდამ და თანახმად გუჯრებისა ეს უნდა მომხდარიყოს XI საუკ. დასაწყისში". Тр. Тифл. предвар. кам. 1881. Сообщеніе Д. Пурцеладзе о научномъ значеніи церк. гуджаровъ. Прил. лит. Г., სადაც მოყვანილია ქართული ანბანები, რომელნიც რიგ-რიგად ბ.ბ. ცაგარელს და ილ. ოქრომჭედლიშვილს დაუწყვიათ.

[1]) ქ. ცხ. „ძურძუკეთის მ ო ჭ ა რ ბ ე მცხოვრებთ". დიმ. ბაქრაძით „დურძუკნი იყვენ წინაპარნი აწინდელთა ქისტთა, ინღუშთა და ღლიღველებთა".

ე. ი. ვენერა და დიანა მიუმატა.[1]) მან შეირთო სპარსელი ქალი ქ. ბარდის მოურავის ასული და, რადგან ვაჟი არ მიეცა, დაიბარა სპარსეთიდამ და იშვილა მირვანოზი, თავის ცოლის მამიდაშვილი, მიათხოვა მას თავისი ქალი და მზითვად გაჩიანის მაზრა და სამშვალდის საერისთაო მისცა.

მეორე ქალი საურმაგმა მიათხოვა ეგრისის ზემოხსენებულ ერისთავის ქუჯის შვილს [2]) და თავის მამიდის შვილს. ის გარდაიცვალა 162 წ. ქრ. შ. და ტახტი თავის სიძეს დაუტოვა [3]).

ორივე ეს მეფენი მამით ივერიის პირველ დინასტიის ქართლოსიანისას ანუ ფარნავაზიანისას ეკუთვნოდენ, რომლის მამრობითი მოდგმა მირვანოზის შემდეგ გარდავიდა. მირვანოზ I-ით იწყება მეორე დინასტია, ნებროთიანად წოდებული იმიტომ, რომ მირვანოზი, როგორც სპარსელი, პირველ სპარსეთის მთავრის ნებროთის შთამომავალი იყო. იმის მეფობის დროს დურძუკები კავკასიელ ჭართლელებითურთ—დაეცენ კახეთს და ბაზალეთს, და ხეობაში და მთებში შესავალ გზებში გამაგრდენ. მირვანმა სისწრაფით შეკრიბა ჯარი და დაეცა დურძუკელებს, რომელთაც ქართველების კვეთებას ვერ წინააღუდგენ და მთებში და კლდეებში განივლტენ. მეფე სდევნიდა მათ თვით შუაგულ მხარეში, ააოხრა ის, და მოსასპობლად ამ გვარის შემოსევისა უმთავრეს ხეობაში ჩამოკიდა კარები, რომელნიც მიბჯენილნი იყვენ კლდეებზე და დაარქვა ამ ადგილს დარუბალი. ამბობენ, რომ ეს კარები იქ იყო, სადაც ეხლა დარიალი არის, ლარსის და ყაზიბეგის (მყინვარის) შუა. მირვანოზმა მიათხოვა თავისი ასული სომხეთის მეფეს, არშაკ I-ის შვილს და დაახლოებით 112 წ. ქრ. შ. წ. მოკვდა.

---

[1]) ვენერა, იგივე აფროდიტა ბერძნების მითოლოგიით სიყვარულის და სიმშვენიერის და დიანა ანუ არტემიდა მთვარის და ნადირობის მდედრობითი სქესის ღმერთები იყვენ. თეიმურაზი და ვახუშტი აინინას და დანანას—ანიან და დანიანად სწერენ.

[2]) თეიმურაზით „ქუჯის შვილიშვილს“.

[3]) თეიმურაზი ქუჯის მემკვიდრეთ გარდაყენებას და ტახტზე მირვანის აყვანას დურძუკთ და ჭართელების შემოსევას მიაწერს. ისტ. გვ. 119.

შვილმა და მემკვიდრემ მირვან I-სა, ფარნაჯომმა ააშენა რაოდენიმე ქალაქი და ციხე, იმათ რიცხვში ქ. ზადენი, [1]) რომლის მდებარეობა არ არის ცნობილი, და სულქარის ანუ ნეკრესის ქალაქი [2]) კახეთში, ალაზნის გაღმა. რაღაც აქამომდე გამოურკვეველ მიზეზისა გამო ფარნაჯომი შეიქნა ცეცხლ-მსახურების აღმსარებელი და მოიწვია ივერიაში მოგვები, რომელნიც მცხეთის ახლო დაასახლა იმ ადგილზე, რომელსაც შემდეგში მოგვთას უწოდებდენ. როცა ივერიელებმა სცნეს, რომ მათი მეფე კერპებს თაყვანს აღარ სცემდა, შეიძულეს იგი და დესპანების პირით ითხოვეს სომხეთის მეფისაგან, რომ მას მიეცა მეფედ ძე თვისი არშაკი, რომელიც ივერიის სეფეწულის მეუღლე იყო.

სომხების მეფე დასთანხმდა ივერიელების თხოვნაზე იმ პირობით-კი, რომ ყველა ივერიის ერისთავებს იმისათვის მიეცათ მძევალი. როდესაც უფროს ერთი დაეთანხმა ამ პირობაზე, არშაკი მხედრობით შემოვიდა ივერიაში. თავის მხრით ფარნაჯომმაც შესაწევნად მოიწოდა დიდი რიცხვი სპარსელებისა და შეებრძოლა ივერიელებს ტაშირის მაზრაში, მაგრამ იძლია და ომის ველზე მოკლულ იქნა, ხოლო ჯარი მისი გაიქცა. მისი ძუძუმწოვარი შვილი მირვანი მამა-მძუძემ სპარსეთში წარიყვანა, ხოლო სომხების მეფის შვილი არშაკი გამეფდა ივერიაში დაახლოვებით 93 წ. ქრ. შობის წ.

---

[1]) ქალაქი ანუ ციხე ზედაზენი ქ.-ცხ. იხსენიება I, გვ. 241. ამ ადგილზე მე-VI საუკ. წმ. იოანე ზედაზნელმან აღაშენა მონასტერი „ზედაზადენსა“, ე, ი. იმ მთაზე, რომელზედაც წინეთ იყო კერპი ზადენისა და მის გამო მონასტერს ეწოდა „ზედაზნის მონასტერი“. თ. ჟორდანიას ქრონიკები. გვ. 14, შენიშნვა 20. ზედაზენის მონასტერი არაგვის მარცხნივ ძევს, მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით იმ ქედზედ, რომელსაც ზედაზენის მთას უწოდებენ, ზადენ—იუპიტერის (ზევსის) სახელ-წოდებით“. Д. Бакрадзе. Кавказъ въ др. памятн. христіанства. გვ. 71. [2]) ნეკრესის ქალაქი ყვარელის წყალზე იყო, რომელიც ალაზანს ერთვის. id. გვ. 7 და 112. იხ. აგრ. თეიმურ. ისტორ. გვ. 120.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სომხების არშაკიდების დინასტია დაარსდა სწორედ 150 წ. ქრ. შ. წ., საურმაგის ივერიაში მეფობის დროს, და ამ ეპოქაში კლარჯეთის, ეგრისის და ოძრხის საერისთაოანი—შავი ზღვის სამხრეთ ნაპირითურთ—თითქმის მთლად შედიოდენ არშაკიდების სამეფოში, მეფის ვაჭარშაკის გამარჯვების შემდეგ მეამბოხებზე, მიურფილიკიანებზე. ვიცით, რომ ამ სომხის მეფემ ყველგან თავისი მოურავები დასვა და საზაფხულო სასახლეები ჰქონდა განწყობილი მთელს ტაიკის მაზრაში (მდ. ჭოროხის ხეობაში) და სამეგრელოში, და გუგარკის (სამხრეთ-ივერიის, ხრამის გაღმა) გამგეობა მიანდო სომხის მოურავს მიხრდატს, რომელმაც არშაკიდის დინასტიის მეფის ტიგრანის ასული შეირთო. ამით აიხსნება ისიც, თუ რისთვის მიათხოვა ივერიის მეფემ, მირვან I-მა თავისი ასული არშაკს, სომხის მეფის შვილს, რომელმაც ფარნაჯომი მოჰკლა, და ამითვე შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ დროის ივერიის სამეფოს საზღვრები.

ჩვენ უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ ფარნაჯომის მეფობის დროს კერპთაყვანისცემა სომხეთში ერთობ გავრცელდა. მეფე არტაშესმა საბერძნეთიდამ გარდმოატანინა კერპების ღმერთები, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესისა: დიანასი, ჰერკულესისა, აპოლლონისა [2]), ვაკხისა [3]), მინერვისა [4]), ვულკანისა [5]) და ვენერისა,—მაშინ როდესაც ფარნაჯომი ერთგულად იცავდა სპარსელების სჯულს, ცეცხლის მსახურებას. ამის გამო ამ ორ ერთ შორის ასტყდა ბრძოლა, რომელშიაც დროებით ნებროთიანის გვარის მეფობა მოისპო.

---

[2]) აპოლლონი, იგივე ფები, ბუნებრივი სინათლის ღმერთი და აგრეთვე მეცნიერების და ხელოვნების მფარველი იყო.

[3]) ვაკხი ანუ დიონისი—ღვინის კეთების, მხიარულების და სევდის ღმერთი იყო.

[4]) მინერვა ანუ ათინა სიბრძნის და სამართლიან ომის მდედრთა სქესის ღმერთი იყო.

[5]) ვულკანი ანუ გეფესტი მიწის ქვეშე ცეცხლის ღმერთი და მჭედელთ ხელობის მფარველი იყო.

არშაკ I, სომხის არშაკიანის დინასტიის ჩამომავალი, 12 წელი მეფობდა ივერიაში და ქ. წუნდა, ჯავახეთში გაამაგრა. იმის სიკვდილის შემდეგ 81 წ. ქრ. შ. წ. იმის შვილს და შემკვიდრეს ართაგს დიდის ძალით დაეცენ სპარსელები, მათ გარდაუხადეს ფარნაჯომის სისხლი და მთელი ივერია დაიპყრეს.

იმის მეფობის დროს 66 წ. ქრ. შ. წ. [1]) რომის მხედართ-მთავარმა პომპეიმ გამოედევნა მიტრიდატს დიდ სომხეთში და ივერიაში. რომაელებმა არმაზის ციხე დაიპყრეს, ართაგი კი

---

[1]) წარჩინებული ისტორიკოსი მომზენი თავის რომის ისტორიაში უჩვენებს პომპეის გამოლაშქრებას ივერიაზე 65 წ. ქრ. შ. წ. და არა 66 წ. და შემდეგი სიტყვებით მოიხსენიებს იმ დროის ივერიელებს: „ეს მამაცი, განათლებული და მიწის მუშაკი ერი“. ის ამბობს, რომ ართაგს თითონ მიუცია შვილი პომპეისათვის მძევლად. Th. mommsen Hist. rom. ტ. VI. აქ საჭიროდ ვპოეთ და მოგვყავს კავკასიის ენების გამოჩენილის ლინგვისტის, პ. უსლარის შესანიშნავ თხზულებიდამ ერთი ადგილი კოლხიდის და ივერიის ამა დროის კულტურაზე, რომელშიდაც კლასსიკური გეოგრაფის სტრაბონის ნარკვევიც არის ჩართული. ჩვენი საუკუნის პირველ ხარისხოვანი გეოგრაფი რიტტერი ამბობს, რომ სტრაბონმა ზედმიწევნით იცოდა ჩვენი მდგომარეობა; ის კ-პადოკიელი იყო ქ. ამასიიდამ და თითონ მიმოუვლია ჩვენი მხარე და მისი პაპის ძმა მოაფერნი კოლხიდის მოურავად იყო, როგორც თითონ სწერს: Gèorgraphie de Strabon ტ. II, გვ. 403.

წინათვე ბოდიშს ვიხდით მკითხველთან, თუ ეს უსლარიდამ ციტატი გრძელი გამოვიდა. უსლარი სწერს: „თავის ყოფნის დროს კავკაზს აქეთა მხარეში პომპეის მოხსენდა ცნობა სახმელეთო აღებ-მიცემობის გზაზე ინდოეთიდამ შავ-ზღვამდე. პლინის თქმით, იმან კასპიის ზღვის მახლობლად სცნო, რომ შვიდი დღის განმავლობაში შეიძლება მისვლა ინდოეთიდამ ბაქტრიაში იკარის მდინარეზე, რომელიც ოქსუსს (აწინდელ ამუ-დარიას) უერთდება, იქიდამაც კასპიის ზღვით ზემოთ მტკვრითა; შემდეგ სავაჭროები არა უმეტეს ხუთისავე დღისა გადააქვთ ხმელეთით ფაზისამდე და შეაქვთ ევქსინის პონტში. სძლია თუ არა მიტრიდატსა, პომპეიმ შეისაკუთრა ამ უკანასკნელის საგანძური, რომელმაც რომში დიად დიდი მნიშვნელობა მისცა პომპეის ტრიუმფსა. მოპოებულ იქნა აურიცხველი სიმრავლე მარგალიტებისა და ძვირფასის ქვებისა, რომელთა შორის რამდენიმე იმ დრომდი

განივლტო მტკვრის გაღმა და დასწვა ხიდი, რომელიც არმაზის ციხეს და მცხეთას აერთებდა. მიუხედავად ამისა პომპეიმ მაინც დაიმორჩილა იგი, მაგრამ არტაგმა შორს მდ. პელოროსის, — არაგვის გაღმა გავიდა. პომპეი მას კვალდაკვალ დაედევნა. ბოლოს ივერიელები შეებრძოლენ რომაელებს, მაგრამ დამარცხდენ და მათი მეფის შვილი მიჰგვარეს პომპეის ტყვედ. აქედამ პომპეიმ სისწრაფით დაედევნა მიტრიდატს, რომელიც კოლხიდით თავის ბოსფორის სამფლობელოში გაიქცა. ამ ეჭვმიუტანელ მოთხრობიდამ სჩანს, რომ იმ დროს სამეგრელო მიტრიდატის ექვემდებარებოდა ან იმის მოკავშირე მაინც იყო. ეს ჩვენება გვიმტკიცებს მას, რაც ჩვენ წინეთ წარმოვსთქვით დასავლეთ ივერიის მდგომარეობაზე.

ბარტომ I-მა, არტაგის შვილმა, იწყო ივერიის ყველა ქალაქების გამაგრება; ამასობაში მირვანი, ფარნაჯომის შვილი სრულ წლოვანი შეიქნა და ცდილობდა ივერიელები თავისკენ მიემხრო იმ დაპირებით, რომ კერპთაყვანისმცემლობას არ

არც კი იცოდნენ რომაელებმა. პლინი ამბობს, რომ მხოლოდ ბრძოლის დასრულების შემდეგ მიტრიდატთან გავრცელდა რომში ლტოლვილება ძვირფასის ქვებისადმი. დასაჯერებელი არ არის, რომ მხოლოდ მიტრიდატის შემძლეობას და უფლების გავრცელებას შემოეკრიბა შავი-ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზე, სააღებ-მიცემო გზების შორეულად, იმოდენა განძეულობა, რომ აღეძრა განცვიფრება მთელის კლასსიკურის ქვეყნისა, რომელსაც უკვე ჰქონდა შეგნებული სიმდიდრე მთელის დასავლეთის აზიისა. სიმრავლე ძვირფასის ქვებისა და მარგალიტისა კავკაზიის მხარეებში შეიძლება აიხსნას ამ მხარის საუკუნოების განმავლობაში დამოკიდებულობიო ინდოეთთან და იმ ქვეყნებთან, სადაც მოიპოვებოდა მარგალიტი, ე.ი. ცეილონთან და სპარსეთის ყურესთან. ჩვენ არ შეგვიძლიან არ ვუჩვენოთ აქ რიტტერის აზრი უშუამდგომელო აღებ-მიცემობაზე, რომელიც ძველისძველად არსებობდა შორის კავკაზის ქვეყნებისა და სპარსეთის ყურე ნაპირებისა. ეს უშუამდგომელო დამოკიდებულება შეადგენდა, უნდა ვიფიქროთ, აღებ-მიცემობის საიდუმლოსა. ცხადია, ჰეროდოტსაც ჰქონდა ცნობა ამ უშუამდგომელო გზისა, თუმცა იმაზე იგი გულ-ახსნით არას ამბობს და თითქმის შიშობს, არა წამომცდეს რაო. ერთს ადგილს ჰეროდოტი სწერს: კოლხიდას მიდია არა ჰშორავს, რადგანაც ამ ქვეყანათა შორის მდებარე-

ვსდევნიო. ზოგიერთი შეუერთდა მას, მაგრამ უფროს ერთი ბარტომის ერთგული დარჩა. სპარსელების დახმარებით მირ-

---

ობს მხოლოდ ერთი ქვეყანა სასპირებისა; როდესაც ამ უკანასკნელს გაივლით, თქვენ შედიხართ მიდიაში... შემდეგ კიდევ ამბობს: ის ქვეყანა, რომელიც სპარსელებს უჭირავთ, ვრცელდება ერითრეს ზღვად წოდებულს, სამხრეთ ზღვამდე. იმათ ზემოთ ჩრდილოდ სცხოვრობენ მიდიელნი, მიდიელთ ზემოთ საპირნი, ხოლო საპირებს იქით კოლხნი, რომელნიც საზღვრავენ ჩრდილო ზღვას (ევქსინის პონტსა), სადაც მიმდინარეობს ფაზი. ამ ოთხთა ტომთა უპყრიათ მთელი სივრცე ზღვიდამ ზღვამდე.—ამ ოთხთა ტომთა დაახლოებაში ერთისა მეორესთანა რიტტერი პოულობს საბუთს ძველის უშუამდგომელო სახმელეთო დამოკიდებულობისას ევქსინის პონტისას და სპარსეთის ყურესას. უფრო ნამდვილ ამის საბუთს ვპოულობთ ალექსანდრე მაკედონელის ისტორიაში; თავის ყოფნის დროს სუზაში ალექსანდრემ მიიღო მოხსენება პონტიდამ და გაოცდა, რა გზით უნდა მოეტანათ იგი ასეთის სისწრაფით".

„თავის მოგზაურობაში კასპიიდამ პონტამდე ინდოეთის სავაჭროები გადიოდა ხან ხმელეთით, ხან წყლითა. სტრაბონის თქმით, სავაჭროები მიჰქონდათ ფაზის სარაპანამდე (შორაპანი). მდინარის თვისების მიხედვით ეს თქმულება საეჭვოდ მიგვაჩნია უფრო იმიტომ, რომ თვით იგივე სტრაბონი გვარწმუნებს, რომ მხოლოდ შემდეგ გლავკუსისა და ჰიპპუსის შეერთებისა ფაზთან, ნავით სასიარულო არისო ფაზი. რაც უნდა იყოს, ეჭვი არ არის, რომ ძველის-ძველად ფაზით სწარმოებდა სააღებ-მიცემო ნავით მსვლელობა. სარაპანს ზემოდ სავაჭროები შეჰქონდათ ზემო-ნაწილის მდინარის მიხვეულ-მოხვეულ ხეობებით, რომელსაც გადიოდენ 120 ხიდითა. სტრაბონი ფაზის ზემო-ნაწილად უწოდებს, რასაკვირველია, ყვირილასა. ახლა წამ-დაუწუმ გადიხართ ამ მდინარეს ფონით და არა ხიდებით... როდესაც სტრაბონი ეხება ივერიას, ის ამბობს: ივერია თავის სივრცის მომეტებულს ნაწილზე მოფენილია სოფლებითა და ქალაქებით, რომელნიც ისე კარგად არიან ნაშენნი, რომ იქ ჰპოულობთ კრამიტიან სართულებსა, საცხოვრებელ სახლებსა, რომელნიც აღმართულნი არიან იმ რიგზე, რა რიგსაც სახუროთ-მოძღვრო წესდება მოითხოვს,—ბაზრებსა და საზოგადო შენობებსა. უფრო შესანიშნავია შემდეგი თქმულება სტრაბონისა: ოდესმე კოლხიდელების ქსოვილების ქარხანები იყვნენ დიდად განთქმულნი და კოლხიდიდამ გამოდიოდა სხვა ქვეყნებში მრავალი ქსოვილები.—ამ საგანზე სტრაბონზე 450 წ. წინად გვიამბობს თვით ჰეროდოტი: მხოლოდ კოლხნი ამუშავებენ სელსა იმ წესით, როგორც ეგვიპტელნი ბერძნები უწოდებენ სარდონელ სელად იმ სელსა, რომელიც ეგვიპტედამ გააქვთ... უკეთესს საბუთს ამ მხარის აყვავე-

ვან შეებრძოლა ბარტომს ბერდუჯის ახლოს და დაამარცხა ბარტომი, მოჰკლა იგი და შეირთო იმის ცოლი, რომელიც დიდხანს ეომებოდა მას გამაგრებულ სამშვილდეში. მირვანმა იწყო მეფობა მცხეთაში. შემდეგ ბრძოლისა, რომელშიაც

ბულის მდგომარეობისას გამოუკვლეველს ეპოქაში ჩვენ გვაძლევენ სარწყავი არხები კავკაზის აქეთის მხარისა, რომელთაგან აქამომდე მცირე ნაწილი-ღა დარჩენილა. შირაქის და მუღანის უდაბურები, ახლა უწყლო-უნაყოფონი და მიტოვებულნი, ოდესმე ირწყებოდენ უხვად არხებითა, რომელნიც შორიდამ იყვნენ გამოყვანილნი. ამ გვარნი ნამუშევარნი უჩვენებენ შეერთებულ შრომას მთელის ტომისას ანუ რამდენისამე ტომისას და სჩანს, იგინი ანუ გრძნობდენ შრომის საჭიროებას საზოგადო სარგებლობისათვის, ანუ უმაღლესის მთავრობის განკარგულებანი იყვნენ ამისნი მოთავენი. როგორც უნდა ყოფილიყოს, ამ გვარნი ნამუშევარნი გვიმტკიცებენ, რომ ოდესმე წესიერება არსებულა იქ, სადაც ისტორიის რთულ საუკუნეთა მომდინარეობაში მხოლოდ შფოთსა და ამბოხებას ემთავრნია, მცირე ჟამთა მეუდროებას გარდა. გარეშე ფანტაზიურ თქმულებათა კოლხიბზე, ჩვენ ვპოულობთ უეჭველს საბუთებს იმათის ცივილიზაციისას. კლასიკურნი მწერალნი აქებენ იმათ სტუმართ-მოყვარეობას, შემწეობას, რომელსაც იგინი აღმოუჩენდნენ ზღვის ღელვით დაზიანებულებს და ამასთანავე შემწეობდნენ კიდეც იმათ ფულით სამგზავროდ. ჩვენამდე მოუღწევია ცნობას კოლხიდელ ფილოსოფოსზე მარსიასზე. გვიამბობენ, რომ კოლხიდის გზებზე ამართული იყოო ქვის ფირფიტები, რომელნიც მოგზაურებს თურმე უჩვენებდნენ გზის მიმართულებას და სადგურების ადგილ-მდებარეობას". Древнѣйшія сказанія о Кавказѣ. П. Услара, გვ. 421 427. ეს ფირფიტები ჯერ ქვისა იყო და შემდეგ—ხისა. მათ ეწოდებოდა კურბეისი -იგივე სახელი, რომელიც ერატოსთენმა უწოდა ათინელთა ძველ ფიცრებს. უეჭველია, რომ ეს ფირფიტები ნასახია ლანდ-ქარტებისა და ადვილად საფიქრებელია. რომ ჰეროდოტეს თვალწინ ჰქონდა ამისთანა ფირფიტები, როცა ჩამოსთვალა (IV, 21—25) ჩრდილოეთის ერთა სავაჭრო გზები ბორისთენისა და პონტის მიდამოებში. „Карль Риттеръ. Исторія землевѣдѣнія.

ამ გვარივე აზრი კოლხიდისა და ივერიის განათლებაზე და კულტურაზე წარმოსთქვეს წარჩინებულმა მწერალმა XVIII საუკ. მონტესკიემ თავის განთქმულ თხზულებაში De l'esprit des lois და ფრ. ლენორმანმა, დაუვიწყარმა მკვლევარმა ჩვენის ენისა და ისტორიისა, თავისს Histoire ancienne de l'orient. ტ. I, n. IV. ამ ერთობ გაგრძელებულს შენიშვ-

ბარტომი მოიკლა, ამ მეფის ასული, შეუღლებული ქართამთან, ეგრისის მთავრის ქუჯის ჩამომავალთან, გაიქცა სომხეთში და იქ ჰშვა ძე ადერკი, რომელიც რაოდენიმე წლის შემდეგ ივერიის ტახტზე ავიდა.

23 წ. ქრ. შ. წინეთ არშაკ II შეიქნა მემკვიდრე თავის მამის, მირვან II; დედით ის არშაკიდის დინასტიას ეკუთნოდა, მამით კი—ნებროთიანისას და ფარნაოზიანისას.

არშაკმა მამაცობით სახელი განითქვა; მან ნეკრესის ქალაქი კახეთში გაამშვენიერა და ქ. უფლის-ციხის სიმაგრეები გაადიდა. ამ დროს ადერკი, ქართამის და ბარტომ მეფის ასულისა შვილი იზრდებოდა სომხეთში და მონაწილეობას ღებულობდა სომხეთის და სირიის მეფეთ შორის ყველა მომხდარ ომებში. ის წავიდა ივერიაში სომხეთის მეფის ჯარით შესაბრძოლებლად თავის ბიძასთან (დედის მხრით), არშაკთან. ორივე ჯარი ერთმანეთს შეეყარნენ თრიალეთის მაზრაში და არშაკმა ხმალში გამოიწვია ადერკი. ეს უკანასკნელი შეიარაღდა და მტრები ერთმანეთს ეკვეთნენ.

ისინი იბრძოდენ შუბ-ნაჯახით და როდესაც შუბები გარდაუტყდათ, ლახტებს მოჰკიდეს ხელი და ამ ნაირად მთელი დღე დაღამებამდი ბრძოლაში გაატარეს. მეორე დილას ისინი გამოვიდენ შვილდ-ისრებით და ცხენის ჭენებით ერთმანეთს ისრებს ესროდენ, ადერკმა გულში სტყორცა ისარი არშაკს, რომელიც ვერ დაიფარა ჯავშანმაც. არშაკი ცხენიდამ გადმოვარდა. მაშინ ადერკი მიუბრუნდა და გარდასძახა სომხებს: თქვენი ღმერთების გულისათვის შეაწყნარეთ ომი თქვენ მოძმეთ ივე-

---

ნას ვასრულებთ დიუბუას სიტყვებით, რომლის წიგნი „Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les abkhases, en Colchide, en Georgie, en Arménie et en Crimée, აქამომდე სამართლიანად უკეთეს წყაროდ კავკასიის შესწავლისა ითვლება: თვით მეფე, რომელმაც არგონავტები, ტირიელები, ტროადელები და სხვ. მიიღო, და თვით მისი ერიც განათლებით ბევრად უფრო მაღლა იდგა იმ ავანტურისტებზე და იმ ჯარებზე რომელნიც ესტუმრენ მას იმისივე გასაძარცველად და სტუმართ-მასპინძლობის წესის დასარღვეველად". ტ. I. Dubois de Montpéreux.

რიელებზე, რომელნიც თქვენის შემწეობით ჩვენი ქვეშევრდომ-ნი შეიქმნენ". მერე ის მიუახლოვდა ივერიელებს და უთხრა მათ: „მე თქვენი მეფეების ჩამომავალი ვარ. სომხები ძლივს შევაჩერე, სცანით ჩემი უფლება». ივერიელებმა, განცვიფრებულებმა ყველა ამ მომხდარ ამბვით და უმეფოდ დარჩენილებმა, სიხარულით აღიარეს თავის მეფედ ადერკი.

მეფე ადერკი [1]) დედის მხრით ქართლოსიან დინასტიას ეკუთნოდა და მთელს ქართლს და ეგრისს ფლობდა. ცოლად მან სომხის ბატონიშვილის ასული ითხოვა და ცხოვრობდა მცხეთაში, სადაც მშვიდობით მეფობდა.

ადერკის მეფობის პირველი წელი ყოვლად ღირს-შესანიშნავია: იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე [2]). იერუსალიმში მოგვთა მეფეთ მისვლის უმალვე ყველა ივერიელ ებრაელებს, ბოდბის მღვდლებს, კოდის-წყაროს მწერლებს და ხანაანიდამ გარდმოსულთ სობიის თარჯიმნებს სურდათ იუდეაში წასვლა, ვინაიდგან ყველგან გავრცელდა ხმა, ვითომც სპარსელებს წმინდა ქალაქი აეღოთ. შემდეგ კი დაწყნარდენ, როდესაც შეიტყვეს, რომ სპარსელები მისულიყვენ თაყვანის საცემლად ყრმისა, რომელიც მეფის დავითის შთამომავალი იყო. ოცდა-ცამეტი წლის შემდეგ მცხეთის ურიები ანნა მღვდელთ-მთავრის მიერ იერუსალიმს მოწოდებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მსჯავრის დადგინებაში შესახებ მაცხოვრისა. ამ მიპატიჟებისა გამო ელიოზ მცხეთელი, ელეაზარის გვარისა, დედის მხრით დიდებულ მღვდელ-მთავრის ელიასი ჩამომავალი, წავიდა იერუსალიმს თანახლებით ლონგინოზ კარსნელისა ანუ სხვა მოწმობით ვინმე მევრელისა ქუთაისიდამ. ელიოზის დედა

---

[1]) ქართლის მოქცევის ქრონიკაში წოდებული როკად. სამი ქრონიკა ე. თაყაიშვილისა გვ. 8.

[2]) ახლად აღმოჩენილი ნინოს ცხოვრება, მაცხოვარის მოღვაწეობას და სიკვდილს ამაზაერის მეფობის დროს მიაწერს და არა ადერკისა, ანუ როკის დროს.

ემუდარებოდა მას, რომ ის ივერიაში დარჩენილიყო; მან იმ წამსვე განუტევა სული, როდესაც გოლგოთაზე შეიქნა ჩქრიალი სამსჭვალებისა, რომლებითაც მაცხოვარი ჯვარ-ცმულ იქმნა; ელიოზს ლონგინოზითურთ წილში ერგო უკერავი კვართი უფლისა და იგი შინ დაბრუნდა. მცხეთის მოახლოვების უმალვე გზაზედ დახვდა მას და, გამოსთხოვა რა მას წმინდა კვართი, ჩაიცვა იგი და უცებ განუტევა სული, ვინაიდგან ის შეიპყრა მწუხარებამ, გამოწვეულმა მით, რომ იმის ძმამ მონაწილეობა მიიღო უღვთო მსჯავრის დადგენაში. რადგანც იმის სიკვდილის შემდეგ ველარაფრით მოაცილეს იმის გვამს კვართი, ამის გამო იგი კვართითურთ დამარხეს მცხეთაში ერთს აქამომდე აღმოუჩენელს ადგილზე [1]).

მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, როდესაც მოციქულებმა წილი ჰყარეს და ქვეყნიერება დაინაწილეს ურთიერთშორის, ივერია ჰხვდა ყოვლად წმიდა ღვთის-მშობელს, რომელმაც ეს ქვეყანა თავის მფარველობის ქვეშ მიიღო და თავის ძის ბრძანებით იქ ანდრია პირველ წოდებული გაგზავნა და მიუბოძა მას ხელთუქმნელი თავისი და დაუსაბამოს ძის ხატი, რომელიც სასწაულებრ გარდავიდა ფიცარზე. ეს ხატი აქამომდე ცნობილია აწყურის ღვთის-მშობლის სახელით.

იმ დროს, როდესაც ადერკი ქალაქებს ამაგრებდა და მცხეთის გამოლმა კედლებზე სიმაგრეებს აშენებდა, წმიდა ანდრია ტრაპიზონში მოვიდა, იქიდამ ზღვით აბხაზეთში შევიდა ბ რკინის-ჯვარის ხეობით აჭარის მხარეში გარდავიდა, სადაც ქრისტია-

---

[1]) ბ. თ. ჟორდანიას სიტყვით ეს წმ. კვართი საუკუნოდ შთავიდა მიწის სიღრმეში ერთად სიდონიასთან („ხოლო ადგილი იგი ვერავინ სცნა მიერ უამითგან ვიდრე დღესამომდე ჩვენდა, სადა მდებარე არს წმინდა იგი კვართი"), დაცულია სვეტის-ცხოველის ქვეშე და არა წაღებული საქართველოდამ შაჰ-აბაზისა მიერ, რომელმაც ის ვითომ საჩუქრად გაუგზავნა რუსეთის მეფეს მიხეილ თეოდორეს ძეს, და რომლისაგან იქმნა მრავალი ასწაულებითი კურნება მოსკოვში, როგორც რუსეთის მწერლობაში დამკვიდრდა აზრი. იხ. დასაბუთებული ამით გამოკვლევა თ. ჟორდანიას ქრონიკებში, გვ. 15 შენიშნვა.

ნობას უქადაგებდა. იქაურ მკვიდრთ, უმეცრების სიბნელით გარემოცულთ, ღმერთი არა სწამდათ და გარყვნილობაში იმყოფებოდენ, მაგრამ წმ. მოციქულის ქადაგება რომ მოეხსმინეს, ქრისტიანობა მიიღეს; ანდრია არ გაუშვეს იმ დრომდი, სანამ არ გარდმოაღებინეს მას პირი წმიდა ხატისა, რომელიც ღვთის მადლით ისრე გარდავიდა ფიცარზე, რომ სრულიად დედანს დაემზგავსა. ის მერმე შევიდა სამცხის არეში, დაბა ზადენგორას, სადაც კერპთა თაყვანის მცემლები ცხოვრობდენ; წმ. მოციქულმა ხატის ძალით დაამხო და დაამტვრია ყველა კერპი იქიდან ის გაემგზავრა ხოსანგეთს [1]), აწინდელ აწყურს და დაბინავდა იმ ადგილზე, სადაც იმათი ბომონი იდგა და რომელიც ეხლაც ძველ-ეკლესიად იწოდება. იმ დროს ამა მხრის მმართველად იყო ვინმე ქვრივი გვარად სამძივარი, რომელიც ძლიერ შეწუხებული იყო თავის ერთად-ერთის ვაჟის ახლად გარდაცვალებისა გამო. როგორც კი წმ. მოციქულმა იწყო ქადაგება იესო ქრისტეზე, მკვდრეთით აღდგომაზე, ქვრივს იმედი მიეცა და აღმოიჩინა გულითადი მიდრეკილება სარწმუნოებისადმი.

მაშინ ანდრიამ დაასვენა ხატი ცხედარზე, და შეევედრა ღმერთს, ხელით აიყვანა ყმაწვილი, რომელმაც მაშინვე გაახილა თვალები და გაცოცხლდა. ამან ყველა მესხნი გააცვიფრა. ისინი შეიკრიბენ საკრისის ველზედ [2]), სადაც დიანის და აპოლლონის კერპი იყო აგებული. ზოგს მაშინვე სურდა მიეღო ქრისტიანობა, მაგრამ უმეტესმა გარდაწყვიტა, კიდევ გამოეცადათ ხატის ძლიერება. ის ჩაასვენეს ყოველ მხრივ დახურულ ბომონში სხვა კერპთა შორის და ორივე მხარემ მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. მეორე დღეს წარმართების ღმერთები იპოვნეს იატაკზე დამსხვრეული, ხოლო ხატი იდგა მშვენიერის ბრწყინვალებით. მაშინ მთელმა ხალხმა ირწმუნა ქრისტე. იმათი თხოვნით წმ. მოციქული იძულებული იყო დაეტევებინა ამ ძველ-ეკლესიაში შესამჩნევი ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც ახლა

---

[1]) დ. ბაქრაძით საზანგეთს. ნ. ჩუბინოვით სოსანეთი. Свѣд. о пам. груз. письменности. А. А. Цагарели, т. I В. 3. 1894 წ. გვ. 35.

[2]) დ. ბაქრაძით რკისის ველზე.

გელათის მონასტერში ასვენია. ამის შემდეგ წმ. ანდრია დიდ-ხანს ქადაგებდა მთელ სამცხეში მტკვრის სათავემდი და ბოლოს უკანვე იერუსალიმში დაბრუნდა. ყველა საეკლესიო მწერლე-ბი თანახმანი არიან, რომ ქრისტეს სჯული ივერიაში პირველ საუკუნეშივე იყო ნაქადაგებიო. პაპმა კლიმენტიმ, იმპერატო-რი ტრაიანის დროს პონტის ნაპირზე განდევნილმა, ანდრია მოციქულის დაწყებული ქადაგება განაგრძო და, როგორც ქვეით იქნება ნათქვამი, მეფე ლევს, რომელიც მეორე საუკუ-ნეში ცხოვრობდა, ესმოდა, თუ რა იყო ქრისტეს სჯული.

ადერკი ძლიერ განრისხდა იქაურ ერისთავზე, რომელმაც წინააღმდეგობა ვერ აღმოუჩინა ქრისტიანობის გავრცელებას მისდამი რწმუნებულს მხარეში, და ძალდატანებით აიძულა მკვიდრთა ერთი ნაწილი მიბრუნებოდა წარმართობას. მიუხე-დავად ამისა წმ. ანდრიამ თავის მოწაფით სიმონ კანანელით მეორედ მოასწრო მესხეთით გარდასვლა აფხაზეთში. ისინი ორ-ნივე ერთად გარდავიდნენ სვანეთში, ოსეთში და ბოსფორის სამზღვრებამდი; წმ. სიმონმა დაამკვიდრა სჯული აბხაზთა შო-რის სევასტოპოლის, აწინდელ სოხუმში, და მეგრელთ შორის, და გარდაიცვალა სვანეთში; მისი გვამი გარდმოსვენებული იყო ანაკოფიის ქალაქში. ამის შემდეგ ანდრია გაეშურა ჩრდილოეთი-საკენ. ადერკის დრომდე ივერიის სახელმწიფო, მეფის სიკვდილის შემდეგ, მემკვიდრეს განუყოფელად რჩებოდა ხოლმე; ადერკმა განიზრახა იმის ორად გაყოფა; ჩრდილოეთის ნაწილი დედა ქა-ლაქით მცხეთით მისცა უფროს შვილს ბარტომს, ხოლო სამ-ხრეთის მხარე არმაზის ციხით—უმცროსს—ქართამს. ის გარ-დაიცვალა 57 წ. ქრ. შობის შემდეგ. ადერკის მეფობას მია-წერენ რაოდენიმე შემთხვევას, რომელთაც რომის ისტორიკო-სი ტაციტი იხსენიებს. 20 წ. ქ. შ. შემდ. ივერიაში მეფობდა, მოგვითხრობს ის, ფარსმანი, რომლის უმცროსმა ძმამ მიტრი-დატმა სომხეთში რომაელებს დაეხმარა სპარსელების მეფის არ-ტაბანის ტახტიდამ გარდაგდებაში. ფარსმანის შვილი, რადამის-ტი წინააღუდგა თავისს ბიძას და სიმამრს, მიტრიდატს—სომ-ხების ტახტზე მჯდომარეს; გარნა რომაელებმა აიძულეს ის გა-

ქცეულიყო ივერიაში თავისის ორსულის ცოლით, ზენობიით, რომელიც გზაზე ქმარმა ხანჯლით მოჰკლა და, შიშის გამო, რომ ის მტრის ხელში არ ჩავარდნილიყო, მდ. არაქსში გარდააგდო. თითონ კი რადამისტი იმპერატორი ნერონის მეფობის დასაწყისში თავის მამის მიერ მოკლული იქნა. რადგანაც ივერიის ისტორია არ იხსენიებს არც ამ ამბავს და არც ამ მეფეებს, ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ივერიის მეფეები კი არ უნდა იგულისხმებოდენ, არამედ მეორე ხარისხის მთავრები ანუ ერისთავები, რომელნიც ფლობდენ სამხრეთ ივერიას,—საკუთრად სომხითისა ჩრდილოეთ მხარეს,—და ურთიერთში აშლილნი იყვნენ[1]).

---

[1]) ავტორს, სამწუხაროდ, არ მიუღია მხედველობაში დანარჩენი ჩვენება დიდებულის ისტორიკოსის—ტაციტისა, რომლის მოწმობით სომხითი იმ დროს დიდად შესუსტებული სამეფო იყო. ის ერთ დროს ეჭირა იბერიის მეფეს ფარსმანის ძმას მიტრიდატს, იქვე მეფობდა ფარაზმანის შვილი რადამისტი, მამისაგან აქ მეფედ დადგენილი. Tacite annales livre VI თ. 32 და შემდეგ, livr. XII თ. 44 და 45. რომ იბერიის სამეფოს შესამჩნევი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერატორის ნერონისა, ვესპასიანისა, ტიტისა, დომიციანისა და ადრიანის დროს ამას ტაციტის გარდა გვიმტკიცებენ დიონკასსიუსი, ელისპარტიანი და სხვ. კეისარის ადრიანის ბრძანებით ფარსმანს დიდი პატივი სცეს რომში, რომელიც პარფიის მეფეს შეშურდა და შესჩივლა იმპერატორს,—და მას (ფარსმანს) ძეგლი დაუდგეს ბელლონის ტაძარში. ელისპარტიანი სწერს: „იმპერატორი ადრიანე არც ერთ მეფეს არ უძღვნიდაო იმდენს საჩუქრებს, რამდენსაც თურმე უგზავნიდა იბერიელთ მეფეს“. მან გამოუგზავნა ფარსმანს სხვათა საჩუქართა შორის სპილო. Помяловскій. Сб. гр. и рим. надписей Кавказа გვ. 66, 69, Ганъ 174.

ახლად ნაპოვნი (1876 წ.) მცხეთის ახლოს ქვა, რომელიც ციხეში ყოფილა ჩასმული და ეხლა დაცულია თბილისის მუზეუმში, გვაძლევს მტკიცეს და შეურყეველს საბუთს ტაციტის ფარსმანის და მიტრიდატის სინამდვილისას. ამ ქვის ბერძნული წარწერა ეკუთვნის 75 წ-და იხსენიებს მიტრიდატს, შვილად ფარსმანისა და მეგობრად როგორც კეისარის ვესპასიანის და იმის შვილების ტიტისა და დომიციანისა,—შემდეგში იმპერატორებისა,—აგრეთვე—რომის ერისა. მოგვყავს აქ სიტყვა სიტყვით თარგმანი ჩვენი წარსულის ამ შესანიშნავის ნაშთისა: „იმპერატორმა, კეისარმა, ვ ე ს პ ა ს ი ა ნ ე მ, ავგუსტუსმა, უზენაესმა მღვდელ-მთავარმა, რომელ-

როდესაც იმპერატორმა ვესპასიანემ 70 წ. იერუსალიმი აიღო, მრავალმა ურიამ თავი მცხეთას შეიფარა; იმათ შორის იყვნენ შვილნი ბარაბასი, რომელიც ნაცვლად იესო ქრისტესა სასიკვდილოდ დასჯისაგან განთავისუფლებული იყო. ბარტომ II-ს და ქართამის მემკვიდრენი იყვნენ მათი შვილები კაოს და ფარსმან პირველი 72 წ. ქრ. შ. შემ. იმ დროს ივერიის მეფენი, ნამეტურ არმაზელები, სომხების დაახლოვებულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდენ: ეს ცხადად სჩანს როგორც იმისაგან, რომ სომხების მეფემ ეროვანდმა წაართვა ფარსმანს ქალაქი წუნდა და მთელი მხარე მტკვრამდი, აგრეთვე მითაც, რომ დასავლეთ ივერიაში ვაჟკაცობით ომში თავი იჩინეს. როდესაც კაოსი და ფარსმან I გარდაიცვალენ 87 წ. ქ. შ. შემ., იმათ მემკვიდრებად დარჩენ შვილნი მათნი არმაზელ და აზორკ ორთავე მეფეები შეთანხმდენ სომხების ივერიიდამ განდევნის შესახებ და შესაწევნელად ოსებს და ლეკებს მოუწოდეს. ოსეთის მთავრები ბაზუკი და ამბაზუკი გამოვიდენ თავის ჯარით, რომელსაც შეუერთდენ ჯიქნი და პაჭანაკნი, ხოლო ლეკებმა მოიყვანეს დურძუკები და დიდოელები. ყველამ ერთად თავს დაესხნენ სომხეთის მაზრებს: შირაქს, ვანანდს და ბაგრევანდს. მდ. არაქსის დასაწყისში დაარბიეს ტაშირის მხარე ნახჭევანამდი

საც მეშვიდედ აქვს ტრიბუნის უფლება მიცემული,—იმპერატორმა მეთოთხმეტედ, კონსულმა მეექვსედ და აღმორჩეულმა მეშვიდედ, მამულის მამამ, ცენზორმა და იმპერატორმა ტ ი ტ უ ს მ ა, კეისარმა, ავგუსტუსის შვილმა, რომელსაც მეხუთეჯერ ტრიბუნის უფლება მიცემული აქვს, მეოთხეჯერ კონსულმა და მეხუთეჯერ ამორჩეულმა, ცენზორმა და დ ო მ ი ც ი ა ნ ე მ კეისარმა, ავგუსტუსის შვილმა, მესამეჯერ კონსულმა და მეოთხედ ამორჩეულმა,—ივერთა მეფეს მიტრიდატს, ფარსმანის და იამაზდის შვილს, მეგობარს კეისრისას და მეგობარს რომის ერისას—აუშენეს ციხე". Ганъ Извѣстія др. гр. и римс. писателей о Кавказѣ, ტ. I, გვ. 114. Записки общ. люб. Кавк. археологіи. кн. I приложеніе. ცნობილია აგრეთვე, რომ რადამისტის, ფარსმანის შვილის ბედკრულობა სიუჟეტად ჰქონდა ფრანგების მწერალს კრებილიონს თავის ტრაგედიაში „რადამისტი და ზენობია". ამ ტრაგედიაში „რადამისტის" დახასიათებას აღტაცებაში მოყავს განთქმული რუსის პოეტი ვ. ჟუკოვსკი V ტ. გვ. 410.

და მკვიდრნი ტყვედ წამოასხეს. სემბატ ბივრიტიანმა[1]), რომელიც იმ დროს ჰმართვიდა სომხითს, მოჰკლა მეფე ეროვანდი, სამეფო ტახტზე დასვა იმისი ძმა არტაშესი[2]), მსწრაფლ შეკრიბა სომხების ჯარი და გამოუდგა კვალ და კვალ მტრებს მტკვრის გაღმა, კამბეჩოვანის მაზრაში მდ. ივრის ნაპირზე, სადაც ისინი ინაწილებდენ ერთმანეთში ნადავლს. როდესაც მათ წინადადება მისცეს, რომ დაკმაყოფილებულიყვნენ ნადავლით და ტყვეები კი დაებრუნებიათ, ოსეთის ორთავე მთავრებმა პასუხის ნაცვლად სემბატი ხმალში გამოიწვიეს, მაგრამ ორივე იძლიენ სემბატისაგან. ამას შემდეგ შეიქნა საზოგადო კვეთება, რომელიც ექვს საათს გაგრძელდა; ივერიის მეფენი იძულებულნი შეიქმნენ ომის ველი დაეთმოთ სომხებისთვის და განივლტნენ მცხეთას. სემბატმა დაიპყრა მთელი ივერია და ააგო ციხე დემოთი, აწინდელ დიმის მაზრაში, იმერეთში ოძრხის მახლობლად. მიუხედავად ამისა ივერიელნი ჩაიკეტენ თავიანთ ციხეებში და თავს იცავდენ, ხოლო ოსები გაუწყვეტელად ებრძოდენ სომხებსა.—ამ დროს განმავლობაში ივერიის ერისთავები ოძრხისა და კლარჯეთისა მეფეს ერთგულად დარჩენ, აკავებდენ თავიანთ მხარეების საზღვრებზე მტერს და ამით თავისი დამოუკიდებლობა დაიცვეს. ხანდისხან თვითონ ისინი შეესეოდენ სომხეთის მაზრას, ტაიკს, ქართულად ტაოსს[3]). დრო გამოშვებით ივერიის მეფეებიც ჩრდილოეთიდამ აბოცის მხრით შემოდიოდენ მათ დასახმარებლად. ეს რომ შეიტყო სომხების მეფემ არტაშესმა, მცხეთას ჯარი გარს შემოარტყა და ხუთის თვის შემდეგ აიძულა მეფენი პატიობა გამოეთხოვათ და ამ გვარად დაემორჩილენ მას. რამდენიმე წლის შემდეგ ამისა, რომაელებს და სპარსელებს შორის ატყდა ომი, ივერიელებმა თანადახმარებით მოკავშირე ერისა აუჯანყდენ სომხებსა. არტაშესი

---

[1]) ქ.-ცხ.-ით სუმბატ.

[2]) ქ.-ცხ. არტაშანი.

[3]) ტაო ორ ნაწილად იყოფოდა: ერთი ნაწილი ქართველებს ეკუთვნოდა და მეორე—სომხებს.

აჩქარდა და მსწრაფლ გამოგზავნა ივერიაში ჯარი თავის შვილის ზარენის წინამძღოლობით. მოხდა ჯავახეთში ომი ტბის ჰირად და ზარენი დამარცხდა; ის დაატყვევეს და დარიალანის ციხეში დაატუსაღეს. სამი წლის შემდეგ სემბატ ბივრიტიანი ჯარით შევიდა ივერიაში, თრიალეთის მაზრაში და ორთავე მხარემ შეკრა ზავი, რომლის ძალით ბატონისშვილი ზარენი უნდა დაებრუნებიათ მამისათვის, ხოლო ივერიელნი ვალდებულნი გახდენ: 1) სომხების საჭიროებისა გვარ დახმარებოდენ მათ ჯარით ათას კაცამდე და 2) ფული არტაშესის სახით[1]) უნდა მოეჭრათ. ნაცვლად ამისა მათ დაიბრუნეს ყველა ციხეები და მაზრები, ამას წინედ მტრისაგან წართმეული. აზორკი და არმაზელი მოკვდენ დაახლოვებით 103 წ. იმათი მემკვიდრენი იყვნენ დეროკ—შიდა-ქართლში და ამზასპ—არმაზში, ხოლო ამათი სიკვდილის შემდეგ 113 წ. მირდატ I და ფარსმან II მეფობდენ. აქამომდე ივერიის მეფეები ერთმანერთთან მეგობრულად სცხოვრობდენ და მტერს ებრძოდენ ხოლმე ურთიერთ მეგობრების თანადახმარებით. ხოლო ამაყმა და მოსისხლე მირდატმა, შეირთო რა სპარსეთის მეფის ნათესავი, მოიწადინა ღალატობით მოეკლა ფარსმანი, რომელსაც გულ-კეთილობისა და ვაჟკაცობისათვის ქველად უწოდებდენ, და რომელიც თვით შიდა-ქართლელებსაც კი უყვარდათ. ეს რომ ვეღარ მოახერხა, სპარსელების შემწეობით დაუწყო მას ბძროლა, ხოლო დამარცხდა და გაიქცა სპარსეთში, საიდამაც დაბრუნდა სპარსეთის ჯარით რკინის-თავის ხეობაში. მუდამ დღე ორივე მხარე ხმალში იწვევდა ურთიერთს, და მაშინ ფარსმანმა ჩვიდმეტს სპარსეთის ბუმბერაზს სძლია, ხოლო იმისმა სარდალმა ფარნავაზმა—ოცდა-ოთხს. შემდეგ ფარსმანის მიერ ხმალში გამოწვევისა განთქმულის ვაჟკაცისა, ჯუანშერისა,—რომელიც მან მოჰკლა,—ორივე მხრით ჯარები სასტიკად ებრძოდენ ერთმანეთს, და ივერიელებმა ხელ-მეორედ დაამარცხეს სპარსელები. მირდატი მეორედ გაიქცა სპარსეთში. შემდეგ წელში მირ-

---

[1]) „არდაშენ მეფესა ხატით“ ქ.-ცხოვრებით.

დატი შემოესია ივერიას დიდძალ სპარსელების ჯარით და დაიბანაკა იმ ადგილს, რომელსაც ეწოდება ჯაჭვი, მცხეთის პირდაპირ, სადაც იმალებოდა ფარსმანი, ვინაიდგან მას ერთობ მცირე ჯარი ჰყავდა. ყოველ დღიურ ბელადთა შორის შეტაკებაში ფარსმანი და ფარნავაზი არამც თუ გამარჯვებულნი რჩებოდენ, არამედ შემდეგ წესიერად გაწყობილის ომისა ივერიელებმა აიძულეს მირდატი უკუქცეულიყო თავისის მომხრეებით. სპარსელებმა ფარსმანის ჯავრი მით ამოიყარეს, რომ ის მზარეულის ხელით მოწამლეს და ივერიაში შემოიყვანეს მირდატი, რომელმაც დაიფლო ფარსმანის სამეფო, სადაც ერისთავად სპარსელი დანიშნა, ხოლო მხედართ-მთავარი ფარნავაზი სომხეთში გაიქცა ცოლით და თავისის მეფის შვილით, რომელსაც ერთგულად მარტო მეგრელები-ღა დარჩენ. იმ დროს სომხები დაუმეგობრდენ ბერძნებს და რა, მიიღეს იმათგან მაშველი ჯარი, იწყეს სპარსელებთან ბრძოლა; იმათ მიემხრენ აგრეთვე ზოგიერთი ივერიელები და მეგრელები. თავისის მხრით სპარსელები მიეშველენ მირდატს და შემოვიდენ შიდა-ქართლში მცხეთის დასავლეთით. დაბა რეხში მომხდარ ომში სპარსელები ქართველებითურთ დამარცხდენ და მირდატი და სპარსელი ერისთავი დაიხოცნენ. ამ გვარად გათავდა ორ-მეფობის ეპოქა, რომელიც 75 წელს გაგრძელდა — თუმცა ამ ფაქტში ისტორიისათვის ჯერ ბევრი რამ კიდევ გამოურკვეველი რჩება [1]). — 129

---

[1]) ისტორიაში ამ ესრედ წოდებულ დუარხიას ანუ ორ მეფობას ასე განმარტებს თეიმურაზი: განყოფდა ქალაქსა მცხეთასა საშუალ მდინარე მტკვარი, გამოღმით მცხეთა და გაღმით არმაზი. დაადგინა (ადერკიმ) პალატსა შინა მცხეთისასა ქართამ და პალატსა შინა არმაზისას ბარტომ და ამცნა მათ, რათა მარად დღე შეკრბენ ერთბამად უსჯიდნენ ერთა და განაგებდენ. სჯულუდვა მათ, რათა ერთი მათგანი განაგებდეს ყოველსა საქმესა სამხედროსასა და გარეგანთ საქმეთა; ხოლო მეორე შინაგანსა საქმესა ყოველსავე საქვეყნოსა. ბრძოლისა ჟამსა ერთი მათგანი წარვიდოდეს ლაშქარსა ხოლო მეორე უმზადებდეს მას ყოველსა საჭიროებასა; საჭურველთა, საზრდოთა და ყოველთა სახმართა სამხედროსათა". ავტორი თავისს „introduction"-ში და დ. ბაქრაძე ერთს გარემოვბას მიაქცევენ ყურადღებას. „საკვირველია,

წ. ქრ. შ. შემ. ფარსმან II შვილი ადამი ავიდა ტახტზე; ის მოკვდა 132 წ. და დარჩა მას მცირე წლოვანი შვილი ფარსმან მეფის ქვრივის მზრუნველობის ქვეშ.

ფარსმან III, ადამის შვილი 36 წელს მეფობდა; მისი შვილი ამზასპ II ავიდა ტახტზე 182 წ. ქ. შ. შემ. იმის მეფობაში ოსები ანაზდეულად შემოესიენ დვალეთით ლიახვის ხეობას და განიზრახეს მცხეთის აკლება. მამაცი ამზასპ მსწრაფლ გარდავიდა, ცოტა შეისვენა და დაიბარა ყველა თავის ერისთავები; ამასობაში ამირ სპასალარმა შეკრიბა ცხენოსანი ჯარი. მოკლე დროში დედაქალაქის დასაცავად შეკრებულ იყო 30 ათასი ქვეითი და 10 ათასი ცხენოსანი ჯარი, რომელიც მდ, არაგვის ორივე ნაპირზე დაბინავდა. იქ ყოველ დღეს ორთავე ჯარის ბელადები ხმალში იწვევდენ ურთიერთს; მაშინ გამოიჩინა თავი ამზასპმა და მოჰკლა, როგორც იქნა, ხუანცუ, სახელ განთქმული ოსის ბუმბერაზი. ამის შემხედავი ივერიელები იერიშით მივიდენ, დაამარცხეს დიდძალი მტრის ჯარი და ოსებს მეფეც მოუკლეს. მომავალს წელში თითონ ამზასპ სომხების დახმარებით თავს დაესხა ოსეთს და მთელი ეს მხარე დაიპყრა. ამის შემდეგ ამზასპ გაამაყდა, მესისხლე და საზიზღარი შეიქნა ივერიელებისათვის; ის დაუახლოვდა სპარსელებს, ხოლო სომხების მეგობრობაზე ხელი აიღო. მაშინ ხუთმა დასავლეთის ერისთავმა, რომელთაგან ორი ეგრისისა და დანარჩენი სამი ოძრხისა, კლარჯეთისა და წუნდისა იყვენ, ივერიის მეფედ გამოსთხოვეს შვილი სომხის მეფეს, რომელსაც ცოლად ამზასპის და ჰყავდა. ის დათანხმდა, ივერიაში დიდძალი თავისის და ბერძნების ჯარით შევიდა. ოსები თავკვერის ხეობით შეუერთდენ მეგრელებს შურის საგებლად მოკვლისათვის თავის თანამოძმეთა, რომელნიც წინანდელ ლაშქარში დაიხოცნენ. ამზასპმა შეკრიბა სპარსელები და ზოგიერთი თავის მომხრე ქართვე-

---

რომ ორნივე მეფენი ერთსა და იმავე დროს ასრულებენ თავის მოვალეობას და ასე გეგონებათ, რომ ისინი ანუ ერთად იხოცებიან, ანუ როდესაც უხუცესი კვდება, მაშინ უმრწემესიც თავის ნებით სტოვებს თავის უფლებას“.

ლები და წავიდა მტრის შესახვედრად. რადგანაც ვერც ერთმა ვაჟკაცმა ხმალში ამზასპის გამოწვევა ვერ გაბედა, ასტყდა ომი გუტის-ხევში, სომხეთში. ამზასპ ომის ველზე მოიკლა, ხოლო მისი ჯარი გაიქცა; სომხების მეფემ დასვა ივერიის ტახტზე თავისი შვილი რევი, დისწული ამზასპისა. 186 წ. ქ. შ. შემ. მეფე რევმა, ბიძით არშაკიდმა, შეირთო ცოლად სეფელა, ბერძნის დიდებულის ასული, რომელმაც თან მოიტანა აფროდიტის კერპი და მცხეთის შესავალში ამართა. რევს რამდენამდე ქრისტეს რჯულიც შემეცნებული ჰქონდა. მან მოსპო კერპების სადიდებლად მცირე წლოვან ბავშვების მსხვერპლად შეწირვა და ბრძანება გასცა, იმათ ნაცვლად ცხვრები და კამბეჩები ემსხვერპლათ, რითაც დაიმსახურა სახელწოდება მართალისა. რევის მემკვიდრედ იმისი შვილი ვაჩე შეიქნა 213 წ., ვაჩეს შემდეგ – მისი შვილი ბაკურ I 231 წ., ბაკურის შემდეგ—მირდატ II 246 წ.; მირდატის მემკვიდრე ასფაგურ იყო 264 წ. და მეფობდა სამი წელი. მან განამაგრა უჯარმა კახეთში. ასფაგურის დროს სომხითში მეფობდა ხოსრო [1]) დიდი, რომელსაც მან გაუგზავნა საშველი ჯარი საბრძოლველად არდეშირ ბაბეკონის წინააღმდეგ, რომელმაც სპარსეთში სასანიდის დინასტია დააფუძნა და რომელსაც ქართული მემატიანე შეცდომით ქასრეს უწოდებს. მან გაუხსნა მთებში შესავალი კარები ყველა მთიულებს—ოსებს, ლეკებს და ხაზარებს, თითონ კი იმათივე მომხრეობით შეესია არდეშირის სამფლობელოს და მრავალჯერ დაამარცხა ის. აღშფოთებულმა არდეშირმა ერთს შორებელ ხოსროს ნათესავს, ანაგს მიანდო იმის მოკვლა. ანაგი ვითომ სპარსეთის მეფეზე გარდამტერებული სომხითში გარდავიდა, ხელ-შემწე შემთხვევით ისარგებლა და ნადირობაში ხოსრო მოჰკლა, მაგრამ თითონაც თავისის ოჯახით სომხებისაგან ამოწყვეტილ იქმნა. ერთად ერთი მცირე წლოვანი ანაგის შვილი წაყვანილ იქმნა საბერძნეთში; ეს იყო ის გრიგოლი, რომელიც შემდეგში შეიქნა სომხეთის განმანათლებლად.

---

[1]) ქ. კ. კ[illegible].

ხოლო ხოსროის შვილმა, თრდატმა, ბერძნების იმპერატორის მფარველობის ქვეშე დროებით თავი შეინახა. არდეშირმა დაიპყრა სომხითი და ივერია. მეფე ასფაგურ მოკვდა თავისის ქვეშევრდომების დაცვის დროს; მას არავინ დარჩენია გარდა ერთის ასულის აბეშურისა.

ამ გვარ მდგომარეობაში ჩავარდნილი ივერიელები შეწუხდენ და თავი შეიკრიბეს მცხეთის სპასპეტთან, მაიჟანთან [2]) და, რა მიიღეს მხედველობაში მეზობლის სომხითის ბედკრულება, ივერიაში მეფის მემკვიდრეობის მოსპობა და თავის დაცვის შეუძლებლობა, გარდასწყვიტეს ისევ არდეშირს მიმართონ თხოვნით, რომ მან ერთი თავისი შვილი მოსცეს ივერიას მეფედ და საქმროდ აბეშურისათვის, რომელიც სამის მეფის მემკვიდრე იყო. არდეშირმა კარგად რომ გაიცნო ივერიის სამეფოის სივრცე-განი, ძლიერება და იმის მომიჯნავე მტრების ღონე, მოისაზრა რა, რომ ივერია ჩრდილოეთის ხალხების სპარსეთში შემოსევის ზღუდედ გამოადგებოდა. შეიწყნარა ივერიელების თხოვნა და წავიდა მცხეთას, სადაც შვიდი წლის თავის შვილს მირიანს, შეძენილს მეორე ხარისხოვანის მეუღლისგან [2]), მეფე ასფაგურის ასული აბეშურა შერთო. მირიანით იწყება ივერიის მეოთხე დინასტია—ხოსროიანებისა. არდეშირმა, დაადგინა რა ის დედა-ქალაქში, მცხეთაში, გარდასცა მას მთელი ივერია კერძისითურთ, სომხითი, რანი და მოვაკანი, ე. ი. ყარაბახისა და შირვანის მაზრები. ამის გარდა მან მიანდო სპარსეთის დიდებულს მირვანოზს 40 ათასი მხედრებით დაჭერა იმ მხარეებისა, რომელნიც საზღვრავდენ ივერიას სამხრეთით და აღმოსავლეთით და დაავალა მას, არაოდეს ივერიაში მხედრობა არ შეეყვანა, გარდა ხუთი ათასისა, რომელნიც მეფის მცველად ინიშნებოდენ. მირიანი, ვითარცა სპარსი, ცეცხლის მსახურების

---

[2]) დ. ბაქრაძით „მუჟანთან".

[3]) ქართლის მოქცევის მატიანე მირიანის მამად ჰხადის ლევს და არა ქასრე არდაშერს, ე. თაყ—ის სამი ისტ. ქრ. 11. თ. ჟორდანიას ქრ. 18 და 19.

სჯულის აღმსარებლად უნდა დარჩენილიყო, ხოლო ქვეშევრდომთ გულის მოსაგებად მას არ უნდა შეევიწროებინა კერპთაყვანის მცემლობა.—მთელი კავკასიის ერთ დაპყრობის შემდეგ არდეშირი დაბრუნდა სპარსეთში, მირვანოზს კი დაუბარა, რომ ხაზარებს მუდამ ებრძოლოს. ამ განკარგულების გამო მირვანოზმა ძლიერ გაამაგრა ნეკრესის ქალაქი; ხოლო მეფე მირიანმა არამც თუ ივერიის ენა შეისწავლა და გარდაეჩვია სპარსულს, არამედ თაყვანს სცემდა და შესაწირავებით ამკობდა შვიდს კერპს, რომელთაც აღმერთებდენ ივერიაში: გაცის, გაიმს, არმაზს, აინანას, დიანას, ზადენს და აფროდიტას; თითონ მეფე კი ცეცხლს თაყვანს სცემდა. ამით მან დაიმსახურა სიყვარული, როგორც თავისის ერისა, აგრეთვე მისის უფლების ქვეშ მყოფთ სომხეთის მაზრების მკვიდრთა.—როდესაც მირიანი 15 წლისა შეიქნა, მას მეუღლე აბეშური გარდაეცვალა; ამის შემდეგ მან დაიბარა საცოლოდ პონტოის მხარიდამ ნანა, ულიოთორის ასული. ამ ხანებში მან იწყო ბრძოლა ხაზარებთან. ლეკები ხან შეუერთდებოდენ მას მტრის წინააღმდეგ, ხან გადაუდგებოდენ და ხაზარებს გაუშვებდენ დარუბანდის ხეობაზედ კავკასიონის ქედის გადაღმა, სადაც ხშირად მოხდებოდა მათთან შეტაკება. როგორც კი ისინი დარუბანდიდან გამოჩნდებოდენ, მირიანი მსწრაფლ გარდავიდოდა და აიძულებდა მათ გაბრუნებას. ამბობენ, რომ მამის სიკვდილის შემდეგ მირიანმა განიზრახა სპარსეთის ტახტის დაჭერა, მაგრამ სპარსელები წინააღუდგენ მას იმ მიზეზის გამო, რომ ის დაიბადა არდეშირის ხასისაგან, მაშინ, როდესაც იმის ძმას და მეტოქეს ბარტომს, ანუ ბახრამს, დედად ინდოეთის მეფის ასული ჰყავდა. ნაცვლად ამისა სპარსელები დათანხმდენ მოემატებიათ მირიანის სამეფოსთვის მესოპოტომია, ასურეთის ნახევარი ნაწილი და ადერბადაგანი. უცხოეთელი ისტორიკოსები არას მოგვითხრობენ ამ ამბებზე; მართლაც გასაკვირვებლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ივერიამ თავის საზღვრები განავრცელა თავრიზის იქეთ. ჩვენ კი უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ძველს დროს ივერიელნი, როგორც კი გაძლიერდებოდენ, ყოველთვის ზედ დაე-

ცემოდენ ჩრდილო სპარსეთს და ხარკს ადებდენ მას. ეს არა ერთხელ მომხდარა, და ხშირადაც გაუმარჯვიათ. მირიანი რომ დაბრუნდა, ოსეთის წინამძღოლები ბეროიასი და კაკეია დაეცენ ივერიას: მირიანი გამოედევნა მათ კვალ და კვალ ოსეთში ხაზარეთამდი, და დვალეთის ხეობით უკან დაბრუნდა. რამდენიმე წლის შემდეგ ხაზარები თავს დაესხენ დარუბანდს. იმ დროს, როდესაც მირიანი მივიდა იმის საშველად, ურიცხვი გუთების [1]) ურდონი შეცვივდენ საბერძნეთში და იმათმა წინამძღოლმა ხმალში გამოიწვია იმპერატორი დიოკლიტიანე. ბერძნებმა მასთან საბრძოლველად წინ წამოუყენეს თრდატი [2]), სომხების მეფის ხოსროს შვილი, რომელიც წინეთ მოვიხსენეთ. თრდატმა, იმპერატორის ტანისამოსში დაამარცხა მტერი, რომლის ჯარი გაიფანტა. დასაჯილდოებლად ამ დამსახურებისა იმპერატორმა აღადგინა სომხების სამეფო, სადაც თრდატი მეფედ დასვა 287 წ. ქრ. შ. შემ. თრდატმა თავისს დახელოვნებულ მოქმედებით და ვაჟკაცობით თავის არეებიდან განდევნა ივერიელების ერისთავები. როცა მირიანმა ეს შეიტყო, დაბრუნდა, სპარსელები დასახმარებლად მოიხმო, თვისი ქალი მისცა ფეროზს, ერთს თავის ნათესავს, და მზითვად მისცა არეხუნანიდამ ბარდამდი. ამის შემდეგ ორივე მეფენი ივერიისა და სომხისა, განუწყვეტლივ ურთიერთს ებრძოდენ, მაგრამ თრდატმა სძლია და თან და თან მოახერხა გამობრუნება სირიისა, მესოპოტამიისა და მთელი იმ მხარისა, რომელიც წინეთ სომხებისგან სპარსელებს დაპყრობილი ჰქონდათ. ამის შემდეგ მირიანმა შემოიერთა თავისი ძმისწული, ბახრამის შვილი, სპარსეთის მეფე, და დაეცა სომხითით რომის სამფლობელოს. იმპერატორმა კონსტანტინემ, რომელიც იმ დროს მოინათლა, დაამარცხა ის, აიძულა უკუქცეულიყო შაპური, სპარსეთის მეფე, და მირიანმა მას ხელი მოუწერა ზავის პირობაზე. იმპ. კონსტანტინემ მძევ-

---

[1]) გოთები ანუ გუთები იყვნენ გერმანიის ტომის ხალხი.

[2]) იგივე ტირდატი.

ლად წაიყვანა ბაქარი, შვილი ივერიის მეფისა, და არამც თუ შეარიგა ის თრდატს, არამედ ამ უკანასკნელმა მიათხოვა თვისი ქალი სალომე რევს, მეორე შვილს მირიანისას. ახალ შერთულნი ცოლ-ქმარნი მირიანმა დაასახლა უჯარმას, დედა-ქალაქში მათთვის დაარსებულის სამეფოისა, რომელშიაც აგრეთვე კახეთი და კუხეთი შედიოდა. მას შემდეგ თანახმად იმპერატორის ნებისა ყველა მხარენი, რომელნიც მდებარეობდენ იმ მდინარეების პირად, რომელნიც ჩრდილოეთიდამ არაქს ერთვიან, თრდატს საკუთრად უნდა დარჩენოდა, ხოლო მაზრები, მდებარენი იმ მდინარეების პირად, რომელნიც სამხრეთიდამ მტკვარს შეერთვიან, მირიანის სამეფოს უნდა კუთვნებოდა. ამ გვარად ივერიის სამეფოს იმ დროს ე. ი. დაახლოებით 318 წ. ქ. შ. შემ. შეადგენდენ მაზრები: რანი და მოვაკანი, მტკვრის ხეობა ალაზნის ჩასართავამდე და რიონი ენგურამდე. რევი, მირიანის შვილი, ფლობდა მდ. ივრის სათავეს და ფეროზი, მეფის სიძე — მდ. ხრამის ხეობას [1]).

---

[1]) თუმცა ბაქრაძე სწერს, რომ „ეს თქმულება სპარსთა მეფის ბრძოლაზე კონსტანტინე დიდთან ისტორიული სიცრუეა“, რომ კონსტანტინესგან „ჯვარის წარძღომა, დამარცხება სპარსთა და შემდეგ ნათელ-ღება სხვადა-სხვა დროს შემთხვევა არისო. თუმცა ის ამბობს, რომ. მართალია, ჯვარის ძალით კონსტანტინემ სძლია თავის მტერს 312 წ., მაგრამ ის მტერი იყო მაქსენცი და არა სპარსეთის მეფეო. კონსტანტინემ ნათელ-იღო სიკვდილის წელს 337 წ.—ჩვენი მატიანის გარდმოცემა მირიანის შვილზე ბაქარზე, რომელიც ვითომც კონსტანტინესაგან მძევლად იყო გაყვანილი და შემდეგ სახარების მიღებისა მირიანისაგან წარმოგზავნილი უკანვე, საეჭვო ცნობად უნდა მიგვაჩნდესო. მართალია ბიზანტიელების თქმულება იხსენიებს „იბერიის მეფის ძეს ბაკურიუსს“, მაგრამ როგორც სჩანს, ის სხვა პირიაო“. თუმცა ჩვენი ისტორიის სხვა თანამედროე მკვლევარნიც უარ-ყოფენ ჩვენის მატიანის ამ თქმულებას. მაგრამ ბ. თ. ჟორდანია თავის ქრონიკებში სწერს: რომ „თქმა მირიან მეფის ბრძოლაზე კონსტანტინესთან სიცრუეთ მიაჩნიათ მხოლოთ მისთვის, რომ ამაზე ჯერ სხვა ცნობანი არ აღმოჩნდა. მაგრამ ბაქარის მძევლად მყოფობა კონსტანტინეს ხელში რითი აიხსნება, თუ არ დავიჯერეთ ქ.-ცხ. თქმულება?“ შემდეგ მოჰყავს თავისი მოსაზრება, რომ კონსტანტინე დიდი იმ პოლიტიკით

ამ განკარგულებას ის შედეგი ჰქონია, რომ მირიანი თრდატის ერთგული მოკავშირე შეიქნა, და მიიღო მისგან 30 ათასი შემწე ჯარი, რითაც მან განდევნა ივერიიდამ მთიულები, რო-

---

ხელმძღვანელობდა, რომ აღმოსავლეთის მწვრილ ერთაგან შეედგინა ერთი საქრისტიანო—სახელმწიფო, ქრისტიანობრივი კავშირით შეკრულ-შეერთებული და სხვ. ბოლოს მიაწერს, რომ შიო მღვიმის ხელნაწერში № 170 ნაამბობიაო, რომ „მათ დღეთა შინა იქმნა შესვლა მირიან მეფისა და ძმის წულისა მისისა სპარსთ მეფისა საბერძნეთად, რომელნი ესე კონსტანტინე მეფემან ბერძენთამან აოტნა ძალით ქრისტესითა და ჯვარისა მისისა წინაწარმოძღვანებითა ყოველით სპარსეთით ჰათით“. ამ დამარცხების შემდეგ მირიანმა მძევლად მისცა კეისარს ძე თვისი ბაქარ“.—„კონსტანტინე მეფისაგან მირიანისა დამარცხება და მძევლად ბაქარის მიცემა უნდა ყოფილიყოს 321—322 წ.“ არა უმეცარ იყო (მირიან) სჯულისა ქრისტესისა, ვინათგან თვით მებრ აწვია საბერძნეთით მომავალ იყო“. ისვე და № 160 ხელნაწერები. უნდა ვიფიქროთ, რომ მირიან მეფე სპარსებითურთ მიშველებოდეს მეფე ლიკინის (ლიცინის?) წინააღმდეგ კონსტანტინესა იმ ბრძოლაში, რომელიც მოხდა მათ შორის 322—323 წ. და რომელშიაც იძლია ლიკინი (ლიცინი?) გვ. 29. შენ. 57 და 61. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. ჟორდანია ბევრად არ აფასებს ბერძნების მეისტორიეთა თქმულებას, რომელნიც ერთის სიტყვითაც არ მოიხსენიებენ ამ ბრძოლას კონსტანტინე დიდისა მირიანთან. წინეთ ჩვენი სხოლიასტები ამ ბრძოლას კონსტანტინე და მაქსენცის შორის—იმ შეტაკებას, რომელიც მოხდა მათ შორის 321 წ. მიაწერდენ. ეხლა ბ. ჟორდანია ბრძანებს: „უნდა ვიფიქროთ, რომ მირიან მეფე სპარსელებითურთ მიშველებია მეფე ლიკინის (ლიცინი ?) წინააღმდეგ კონსტანტინესა იმ ბრძოლაში, რომელიც მოხდა მათ შორის 322—323 წწ.“ და შემდეგ დაბეჯითებით ამბობს, რომ „ამ დამარცხების შემდეგ მირიანმა მძევლად მისცა კეისარს ძე თვისი ბაქარ“. თვით ავტორს თავისს Hist. de la Georgie, 1, 132. ეჭვი შემოაქვს მატიანეს ამ თქმულებაზე და ამბობს, რომ ბაკურიუსი ივერიის მეფის შვილი კი არ იყო, არამედ ვიღაც წარჩინებული პირიო; ჩვენ შევნიშნავთ, რომ მარტო შიო მღვიმის ხელნაწერზე ვერ დაემყარება კაცი ამისთანა შესანიშნავ მსოფლიო ისტორიის ამბავის აღწერაში... ჩვენ გვგონია, რომ ჯერ თვით ის ფაქტიც დასამტკიცებელია, რომ ვითომც მძევლად წაყვანილი ბაკურიუსი მირიანის შვილი იყო, ხოლო ბ. ჟორდანიას ეს ამბავი მტკიცედ, შეურყეველად მიაჩნია და კითხულობს. „რითი აიხსნება ეს ამბავი, თუ ქ.-ცხ. თქმულება არ დავიჯერეთო“. ამას გარდა სპარსეთის ისტორიის მცოდნე მალკოლმი სწერს, რომ „სპარსეთში არდეშირის მემკვი-

მელთაც საშინელი შემოსევა სპარსეთის მეფემ, შაპურმა [1]) გამოიწვია; თითონ მირიანმა ბარსიელების წინააღმდეგ მონაწილეობა მიიღო იმ ომში, რომელიც ქ. ბარდას ახლოს მოხდა, და დაეხმარა თრდატს მათ განდევნაში კავკასიის მთის იქით. მოსე ხორენელის თქმით ეს მოხდა მაშინ, როდესაც ორივე მეფემ ქრისტიანობა მიიღეს 319 წ. ქრ. შ. შემ. დაახლოვებით [2]).

ეხლა გადავიდეთ ამ შესამცნევ ცვლილების მოთხრობაზე. ზეპირ გარდმოცემით ვინმე ზაბილონმა, კაპადოკიელმა, იერუსალიმში შეირთო სუსანა, იმა წმ. ქალაქის პატრიარქის და. მას ეყოლა ქალი სახელად ნონა [3]), ანუ ნინო, რომელიც მოსამსახურეთ მისცა ნიათორე-სარას, დოვინელ სომხის ქალს. ამ სახლში ნინომ შეისწავლა, როგორც იმ დროს ივერიელებზე გავრცელებული ამბვები აზიაში, აგრეთვე მოთხრობა უფლის კვართზე, რომელიც ლონგინოზმა [4]) მოიტანა მცხეთაში და განიზრახა ამა მაზრის ნახვა. მაშინ იმპერატრიცა ელენე ქ. ეფესოში ბრძანდებოდა და ემზადებოდა წმ. ნათლის-ღების მიღებას. ნინო წავიდა ეფესოში და გაეცნო იქ მცხოვრებს, სომხის უფლის წულს რიფსიმეს. როდესაც მიღებულ იქმნა იმის სახლში, მო-

---

დრედ დაჯდა მისი შვილი შაბურ I, რომელსაც მოწინააღმდეგე არავინ გამოჩენია". ხოლო შიო-მღვიმის ხელნაწერით ბ. ყორდანია ამტკიცებს, რომ მირიანის ძმის-წული სპარსების მეფედ იყო. აქ უნდა დავასახელოთ აგრეთვე, რომ „ქართლის მოქცევის" ქრონიკებში ბაქარ ანუ ბაკურ არის ძე რევისა და არა მირიანისა. ე. თაყაიშვილის სამ. ისტ. ქრონ. გვ. 22.

[1]) ანუ შაბურ I (იგივე საპირი).

[2]) ბ. ყორდანია ერთსა და იმავე თავისს მე-62 შენიშვნაში ორს სხვა-და-სხვა წელს მირიანის მოქცევისას უჩვენებს. ჯერ ამბობს, რომ ჩვენ ჯერ-ჯეროობით უფრო საბუთიანად მიგვაჩნიაო მირიანის სასწაულითა მოქცევა 20 ივლისს 323 წ. და ორ სტრიქონს შემდეგ მასვე იმეორებს, და, ცოტა ქვეით, შემდეგ ორის სტრიქონისა, დასძენს: „თუმცა მირიანის მოქცევა და ეკლესიის აშენება ჩვენ 324 წ. გვგონია, მაგრამ მეფის მონათვლა 325 წ. უნდა ყოფილიყოს". რომელ ერთს ამ წელთაგანს ერწმუნოს მკითხველი?

[3]) ბ. ლანგუა ამტკიცებს, რომ სახელწოდება ნინო, ნუნე ნიშნავს მონაზონს, nonna réligieuse.

[4]) ლონგინოზ კარსნელი.

აქცია რიფსიმე ქრისტეს მცნებაზე, დედა-მძუძე გაიანე ⁄ რაოდენიმე სხვა ქალებითურთ. ამ დროს გარყვნილმა მაქსიმიანემ, იმპერატორის კონსტანტინეს ამხანაგმა, ბრძანება გასცა, ეძებნათ მისთვის უუმშვენიერესი ქალი მთელს იმპერიაში, და ამის გამო აღებულ იქნა უფლის წულის რიფსიმეს სურათი; მაგრამ ამ უკანასკნელს აღთქმა მიეცა ღვთისათვის, მთელი სიცოცხლე ქალწულად გაეტარებინა, და, ვინაიდგან მას მაქსიმიანის შიში ჰქონდა, გარდაიხვეწა სომხეთში გაიანეთი და 70 ქალწულების ამალით. ეს რომ თრდატმა შეიტყო, განიზრახა ან იმპერატორთან გაეგზავნა რიფსიმე, ან თითონ დამტკბარიყო იმის სიტურფით. მაგრამ ვერაფრით ვერ დააჯერეს რიფსიმე და ვერ დაიყოლიეს ნებას; მაშინ განძვინებულმა მეფემ უბრძანა მოეკლათ რიფსიმე გაიანეთი და ყველა იმის ამალაში მყოფნი ქალწულნი. ეს მოხდა 311 წ. ამ გვარი დანაშაულობისთვის თრდატი დაიასაჯა მით, რომ აუვარდა საშინელი ზაფრა; მას წარმოუდგა, რომ ის ეშვად გარდაიქცა და, მანამ ვერ მოვიდა გონზე, სანამ ქრისტეს სჯული არ აღიარა.

ნინომ მოასწრო სომხეთიდამ გაქცევა და მივიდა ივერიის საზღვარზე ორბანთში [1]), სადაც ზამთარი დაჰყო. გაზაფხულზე ჯავახეთში შევიდა და იქ ფარავნის ტბის ახლო დახვდენ მეთევზეები და მწყემსები, რომელნიც არმაზს და ზადენს თაყვანსა სცემდენ. ვინაიდგან ისინი ლაპარაკობდენ სომხურად, რომელიც ნინომ ნიაფორესთან შეისწავლა, მათგან გამოკითხვით შეიტყო, რომ ისინი დაბა საფურცლედამ, ქინძარის [2]) არედამ არიან, კახეთის არჭნის მთებიდამ და დიდ მცხეთის ქალაქიდამ, რომელიც მდებარეობს მდინარეზე, რომელიც ტბიდამ გამოდის. ძილში ესიზმრა ანგელოზი, რომელმაც უბრძანა ქრისტეს სჯულის ქადაგება ივერიის მხარეში. ამის გამო ის დაჰყვა მდინარე მტკვრის პირს და წარმართების ქვეყნით მიაღწია დაბა ურბნი-

---

[1]) „ორბანად“ ვახუშტი. შიო მღვიმის ვარიანტში „ურბნისად“. ახალ-ვარიანტში ნინოს ცხოვრებისა „ულოპორეთ“. ე. თაყაიშვილი გვ. 15.

[2]) „საფურძლისა, ქინძნარისა“ ვახუშტით.

სამდე, სადაც ურიები ესახლენ. მან დაჰყო ამ ადგილს მთელი თვე, და როცა შეამჩნია, რომ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად მიდიოდა მცხეთას არმაზის თაყვანის საცემლად, თითონაც გაჰყვა მათ და შეჩერდა დაბა მოგვთაში. მეორე დღეს საყვირის ცემით, და საშინელის ყვირილით, კიჟინით და ხელში ყვავილების თაიგულებით ხალხი მეფე მირიანს და დედოფალს ნანას უკან მიჰყვებოდა არმაზისკენ. როდესაც ნინო მთაზე ავიდა, მან დაინახა მაღალი ბრინჯაოს კერპი, რომელსაც ხელთ ეპყრა მსწრაფლ ყოველ მხრისაკენ სატრიალებელი ბრწყინვალე მახვილი; ხალხი იმას უახლოვდებოდა კრძალვით ტ ეშინოდა თავიანთ ცოდვებისა, რომელთ შორის ირიცხებოდა მაგალ. ისიც, თუ ოდესმე დაულაპარაკნია ურიას ცეცხლის თაყვანის მცემლებთან. ეს იყო ცრუ-ღმერთი არმაზი. იმის მარჯვენა და მარცხენა მხარეზედ იდგენ ცრუ-ღმერთების კერპები: ოქროისა—გაცისა და ვერცხლისა—გაიმისა. ნინო სწუხდა ამ გვარ ხალხის უმეცრებაზე და ევედრებოდა ღმერთს, გამოეჩინა თვისი ძლიერება კერპზე. როგორც კი გაათავა მან ლოცვა, უცებ ამოვარდა ნისლიანი დასავლეთის ქარი საზარელი სუნით, იწყო ელვა-ქუხილი; გავარდა მეხი და ვეებერთელა სეტყვამ მოფინა მიწა. კლდეები სკდებოდენ ტ ინგრეოდენ. შეშინებული ხალხი ამბობდა, რომ ვითომც ითრუშანი[1]) ძველ დროს წარმოეკლინა. ზოგნი ამბობდენ, ვითომც ღმერთი, რომელმაც თრდატი ეშვად გარდააქცია და შემდეგში ისევ დაუბრუნა მას კაცობრიული სახე, —ახლა სჯიდა კერპთ თაყვანის მცემლებს. იმ დროს ივერიაში ხმა ქრისტეს რჯულზე უკვე გავრცელებული იყო. ეს მოხდა 6 აგვისტოს ფერის-ცვალების დღეს 318 წ. ქრ. შ. შემ. როგორც კი გრიგალი ჩავარდა, ნინომ სასიხარულოდ დაინახა, რომ კერპები უკვე დამსხვრეულნი ეყარნენ მიწაზე. ავიდა არმაზის მთის მწვერვალზე და დასასვენებლად ხის ქვეშ დაჯდა. აქ შეეყარა მას შროშანა, სასახლის მოსამსახურე[2]) და მიიპატიჟა იგი მეფის სასახლეში;

---

[1]) „ითრუშანა“ ახ. ვარიანტით ნინოს ცხ.

[2]) სეფე-ქალი—ვახუშტით.

ნინო არ დათანხმდა და ჩამოხტა მეფის მებაღისას, რომლის ცოლმა ანასტასიამ მიიწვია ის. მან დაჰყო იქ 9 თვე და თვისი ლოცვებით ეეედრებოდა ღმერთს, მიენიჭებინა ანასტასიასა და იმის ქმრისთვის სანატრელი ვაჟიშვილი. ამ ოჯახმა იდუმალ ირწმუნა იესო ქრისტე. იქედამ რომ გავიდა ნინო, თავი შეიფარა ქალაქის გარედ ეკლის ბუჩქს [1]) ქვეშ, სადაც ახლა სამთავრის არხიეპისკოპოზის ეკლესია არის აგებული. მან გააკეთა აქ ჯვარი ვაზისაგან, დაასვენა იგი ახლოს, თითონ კი დღე და ღამე ლოცვასა და მარხულობაში ატარებდა. ამასთანავე ის ხშირად დადიოდა ურიათ ქალაქში ურბნისში და მოაქცია ქრისტიანობაზედ მღვდელი აბიათარი, მისი ცოლი სალომე და ექვსი ქალი, რომელნიც შემდეგში მისი მოწაფენი შეიქნენ. სამი წლის განმავლობაში მან მრავალი სასწაულები ჰქმნა და განკურნა მრავალნი სნეულნი უფრო ღვთისაგან მოვლინებულის ძალით, ვიდრე წამლობით. როგორც წინეთ ვთქვით, მაშინ მირიანი სპარსეთის მეფესთან ერთად ეპრძოდა იმპერატორს კონსტანტინეს.—წმ. ნინოს მოწაფე მღვდელი აბიათარი მოგვითხრობს შემდეგს: ნინოს მოსვლის დროს, ამბობს იგი, ანტიოქიის ებრაელებმა შემომითვალეს, რომ ჩვენი ხალხის აწინდელი დაჰფანტვა დედამიწის ზურგზე, უსაცილოდ, შედეგია იმისა, რომ ჩვენთა წინაპრთ ჯვარს აცვეს ნაზარეველი იესო ამ სამასის წლის წინეთ. ამან მაიძულა მე გამომეკითხა ქრისტეზე ნინოსათვის და, როდესაც ყოველივე ვსცანი, მოვინათლე ჩემის ასულით სიდონიათი. მართლაც, როდესაც მეფე მირიან დაბრუნდა მცხეთის საბერძნეთზე გალაშქრების შემდეგ, ნინო სამი წლის განმავლობაში დაუფარავად ქადაგებდა ქრისტეს სჯულს და მეფის მებაღე ცოლითურთ აშკარად ცდილობდა გაევრცელებია ქრისტეს სწავლა, და აბიათარი კინაღამ მსხვერპლადაც შეიქნა იმ გულმოდგინებისა, რომელიც მან გამოიჩინა ამ საქმეში.—ხოლო ნინომ სასწაულთ მოქმედებით დაამტკიცა თვი-

---

[1]) „ბრწამლის“ ვახუშტით. დავით სეკტორის სიტყვით—ბრწამლი ეკალა-ღიჭს ნიშნავს. ახ. ვარ, ნინოს ცხოვრებ.—„მაყვლოვანსა“.

სი ქადაგების ჭეშმარიტება. დედოფალმა ნანამ, რომელიც საშიშ სნეულებით ავათ გამხდარიყო, გაიგო რა ნინოს მოღვაწეობა, ბრძანა იმის მოყვანა, მაგრამ ნინომ არ ისურვა მოშორება ბუჩქნარისა და ჯვარისა, რომელიც მან ააგო. თვითონ დედოფალი მიგვარეს მას ცხენდარით და ბატონიშვილის რევის და აუარებელის ხალხის თანახლებით. როგორც კი დედოფალი დადვეს კილიკსაზედა [1]), რომელზედაც ნინო ჩვეულებისამებრ იწვა ხოლმე, წმინდამან გულმხურვალედ ევედრა ღმერთს, ავათმყოფის სხეულს შეახო ჯვარი, და ბოლოს ჯვარი გარდასახა. დედოფალი უცებ განიკურნა და სთქვა: „არ არის ღმერთი, გარდა ქრისტესი“ და ამის შემდეგ გულმოდგინედ ისწავლა ქრისტეს სჯული აბიათარის და იმის ასულის სიდონიის შემწეობით.—მაშინ მეფე მირიანმა თავის დაახლოვებულ პირებს დაუწყო ქრისტეზე გამოკითხვა, და ხშირად ესაუბრებოდა აბიათარს ძველს და ახალს აღთქმაზე; შეადარა რა იმისი მოძღვრება ნებროთის [2]) წიგნს, რომელშიაც არხისტრატეგი მიხეილი უწინასწარმეტყველებდა ბაბილონის გოდოლის აღმაშე-

---

[1]) „ფალასი ბანლისა“ დავით რეკტორით.

[2]) ჩვენ არ შეგვეძლია გაკვრით არ მოვიხსენიოთ ის საოცნებო იმედი, რომელიც ბ. ჟორდანიას დაუმყარებია „ჩვენის მწერლობის წარჩინებულ მეცნიერის და სიბრძნის მოყვარის თ. ნ. ტ. დადიანის ნაამბობზე ნებროთიანის შესახებ“. ბ. ჟორდანია გვარწმუნებს, რომ „ნ. დადიანს ჰქონია დედის მზითევში რაჭიდამ მოყოლილი ერთი ცალი ამ შესანიშნავი წიგნისა ტყავზე ნაწერი მეტად უცხო ასოებით, რომელიც ხუცურითგანაც განირჩევიან და მხედრულიდამაც, თუმცა კი ორსავე ემზგავსებიან. ნ. დადიანს სრულიად წაუკითხავს ის წიგნი, შინაარსი მისი კარგად ახსოვს (?) და რამდენიმე ადგილი (უფრო-კი შელოცვები უცნობ ენაზე დაწერილები) ზეპირად სცოდნია(?!).—ეს წიგნი, განაგრძობს ბ. ჟორდანია, სამწუხაროდ, ცეცხლს შთაუნთქავს 1871 წ. დ. ყვირილაში. ეხლა დაგვრჩენია მხოლოდ ვეეედრნეთ და დავავალოთ ბ. ნ. ტ. დადიანს, აღგვიდგინოს დაკარგულის წიგნის შინაარსი და თვით პალეოგრაფიული მისი ხასიათი იმდენად, რამდენად შეიძლებს მისი მეხსიერება“. ჩვენ უნებლიეთ გვაგონდება ერთი ჩვენი პროფესორის ლექცია, რომელშიაც ის ამ გვარადვე გატაცებული იყო ერთი მემატიანის სიტყვით შესახებ უცნობის XI საუკ. რუსის პოეტის ღი-

ნებლებს მომავალი მესსიის მოსვლაზე და იესო ქრისტეს ტანჯვაზე, თვით მირიანიც თანდათან მიეკერძა ქრისტეს სჯულის აღსარებას, რომელსაც ნინო ქადაგებდა. მირიანი ჯერ მაინც არ ტევებდა კერპთ თაყვანისცემას და ნინოსაგან სასწაულებს იმით ხსნიდა, რომ ვითომც ისინი ცრუ-ღმერთების არმაზის და ზადენის ძლიერებით მომხდარიყვენ, ხოლო ნინო იმდენად არ ეწინააღმდეგებოდა მირიანს სიტყვით, რომელსაც მას სულიწმინდა აგონებდა, გარნა დასამტკიცებლად თვისის სიტყვისა მან ჯვარის გარდასახვით განკურნა მძიმე ავადმყოფი ხორასანის უმთავრესი მოგვი, გრძნეულის სულით შეპყრობილი. განკურნების შემდეგ ეს მოგვი ერთგულ ქრისტიანედ შეიქნა. ბოლოს მირიანმაც აღიარა ქრისტეს სჯული.

322 წ. მეფე ნადირობდა თხოთის მთაზე მუხნარის, აწინდელ მუხრანის მიდამოში. უდაბურს ტყეში გზა დაებნა, და ისეთი სქელი და ბნელი ბურუსი მოეხვია მას [1]) რომ არ იცოდა საითკენ წასულიყო. მაშინ მიმართა ლოცვით ნინოს ღმერთს, აღთქმა დასდვა, რომ ირწმუნოს ის და ჯვარის სადიდებლად ამ ადგილზედ ტაძარი ააგოს, თუ კი განთავისუფლდებოდა იგი ამ განსაცდელიდან. ლოცვის გათავების შემდეგ ცამ უცებ გაანათა და მეფემ მიირბინა დაბა ქინძარას, მცხეთის ჩრდილოეთით, სადაც მას დახვდენ მეფის ნახვის იმედ გადაგაკარგული დედოფალი და ხალხი. დაბრუნების შემდეგ მეორე დღეს მან გაუგზავნა დესპანები იმპერატორს [2]) კონსტანტინეს და აუწყა ყვე-

---

რსებისა და აღტაცებით გვითხრა: „ახლა ჩვენ უნდა გადვიდეთ იმ სახელოვანს და შარავანდით მოსილს პოეტზე, რომლის წინა უნდა განქრნენ ჰომიროსის, გიოტესი და შილლერის სახელები, მაგრამ აქ, სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ, არამც თუ თხზულებანი ჩვენის დიადის პოეტისა არ დაგვრჩენია, არამედ თვით იმის სახელიც არ არის მოხსენებული მატიანეში, რომელშიაც სწერია მხოლოდ, რომ ერთი დიდი მგოსანი ამ საუკუნეში ცხოვრობდაო“ . . . . . ნეტარ არიან მორწმუნენი!

[1]) „შუა სამხრისს ოდენ დაბნელდა მათ ზედა მზე“.

[2]) ახ. ვარ. წმ. ნინოს ცხოვრებისა ეს ადგილი არ მოიპოვება, ნათქვამია მხოლოდ, რომ „მირიანმა წარავლინა მოციქულნი საბერძნეთსა“.

ლა თვისი თავ-გარდასავალი; მას სთხოვა მღვდლების გამოგზავნა თავისის და თავის ერის მოსანათლავად. სანამ პასუხს მიიღებდა, მეფემ განიზრახა დედა-ქალაქში, მცხეთაში, ტაძრის აშენება და დანიშნა ამისათვის ის ბოსტანი [1]), რომელშიაც ნინომ დიდი ხანი დაჰყო.

როგორც კი ააშენეს ხის კედლები ოთხისავე მხრით, შუაში კვიპაროსის ხისა ხუთი სვეტი ააგეს ჭერის დასაჭერად, მაგრამ მეექვსე სვეტი ვერასფერ ღონისძიებით ველარ ასწიეს. ამასობაში კიდეც დაღამდა. ნინო თავისი მოწაფეებით ღამეს ლოცვაში ათევდა და საკვირველი საწინასწარმეტყველო ჩვენება ნახა: ვითომც ორივე მთები არმაზისა და ზადენისა საშინელი ხმაურობით დაირღვენ და შეაყენეს მდ. მტკვრის და არაგვის მომდინარეობა, რის გამო მცხეთა უკვე წყლით მოდებული შეიქმნა. ამასობაში ვითომც სპარსელები დაეცნენ ქალაქს და მახვილით ამოსწყვიტეს იმის მკვიდრნი. ბოლოს ვითომც თვით მეფე მირიანი ტყვედ წარიტაცეს. წმინდა ნინომ იწყო გულმოდგინედ ლოცვა და სცნა, რომ ეს ჩვენება მოასწავებს კერპების დამხობას, და აგრეთვე უწმინდურ სულების განრისხებას და სიძულვილს ახლად მოქცეულის ერის წინააღმდეგ. განთიადზე ნინოს გამოეცხადა ანგელოზი, რომელმაც ანუგეშა იგი რაოდენიმე სიტყვით. ამის შემდეგ მიწაზე მდებარე სვეტი ნელ-ნელად აღემართა პიედესტალზე და დამაგრდა მასზე მეფის თვალების წინ, რომელიც იმ დროს ეკლესიაში შედიოდა. ეს სვეტი შემდეგში წოდებული იქნა სვეტიცხოველად, ბრწყინვალედ და სასწაულთ-მოქმედად. ქართული მისი წოდება — სამირონე შემდეგში ახსნილი იქნება. იმპერატორმა კონსტანტინემ და დედამისმა ელენემ გულით განიხარეს ივერიაში მომხდარ ამბავით და დაეშურენ გამოეგზავნათ კეთილ-მსახური ეპისკოპოსი იოანე მღვდლით და დიაკვნებით. იმათ მოსვლის შემდეგ მეფე მირიანმა შეკრიბა დიდებულნი და კარის კაცები, და მიიღო წმინდა ნათლისღება წმ.

---

[1]) „სამოთხე“ ვახუშტით.

ნინოს ხელიდამ; დედოფალი და იმის შვილები მოინათლენ მღვდლისა და დიაკვნების მიერ; ხოლო დიდებულთაგანი თითეული მონათლეს ცალ-ცალკე მტკვარში, რომელიც აკურთხა ეპისკოპოსმა მოგვთა კარების ახლოს, ურიების მღვდლის ელიაზარის სახლის მახლობლად. მაშინ მოინათლა რაოდენიმე ათასი სული დაბალი ხალხისა, რომელთაც მიჰბაძეს მეფის მაგალითს; მოინათლენ აგრეთვე რაოდენიმე ებრაელნიც, რომელთა შორის 50 კაცი იყვენ შთამომავალნი ბარაბისა. ამის გამო ამ ოჯახმა მიიღო ჯილდოდ დაბა ციხე-დიდი. ხოლო მთიულები არ დათანხმდენ გაქრისტიანებაზედ; აგრეთვე მონათვლა არ ისურვა მირიანის სიძემ, ფეროზმა, რომელიც რანის მაზრისა, ივერიაზე თითქმის დამოუკიდებელისა, გამგე იყო. დაახლოვებით ამა დროსა 326 წ. იერუსალიმში იპოვნეს ჯვარი პატიოსანი. მეფე მირიანმა გაუგზავნა კონსტანტინე იმპერატორს ეპისკოპოზი იოანნე ერთი თვისი დიდებულით გამოსათხოვნელად როგორც ნაწილისა ძელი-ჭეშმარიტისა, აგრეთვე მღვდლებისა და ხუროთ მოძღვრებისა ეკლესიების ასაშენებლად; იმპერატორმა გარდა ამისა, რასაც მეფე თხოულობდა, მიუძღვნა ძვირფასი საჩუქარი — ფიცარი, რომელზედაც მიჭედილი ჰქონდა ჯვარზე მაცხოვარს ფეხები, და აგრეთვე ერთი სამსჭვალი იმის ხელიდამ. ხოლო ოსტატებს — მაშენებლებს, რომელნიც ივერიაში მოდიოდენ, იმპერატორმა უბოძა აუარებელი საუნჯე და უბრძანა აეგოთ ეკლესიები ყველგან, სადაც საჭირო და მოსახერხებელი იქნებოდა. როდესაც ერუშეთის მაზრაში მოვიდა ეპისკოპოზი იოანნე, ააშენა იქ ეკლესია, სადაც დასტევა სამსჭვალი მაცხოვრის ხელიდამ ამოღებული; მეორე ეკლესია მან ააგო მანგლისში, სადაც მაცხოვრის ფეხის ფიცარი შესწირა. მეფე მირიან უკმაყოფილო დარჩა ამ ნაირი განკარგულებით და ინუგეშა მით, რომ კვართი უფლისა უსაცილოდ დედა-ქალაქში იყო, თუმცა ნამდვილად კი არ იცოდენ, რომელ ალაგს იყო. ის აგრეთვე ნუგეშობდა მით, რომ დაიწყო საეპისკოპოზო ეკლესიის შენება მცხეთის შესავალში, სადაც ნინო ბრწამლის ჩიქვში ცხოვრობდა. შემდეგ გაზაფხულს 228 წ. ბატონის შვილ-

მა რევმა განიზრახა დიდი ჯვარის აგება ერთ ხისაგან, რომელიც მცხეთის მახლობლად იდგა. ყოველ საღამოს ამ ხის ახლოს ჩნდებოდა ცეცხლის ჯვარი ვარსკვლავების გვირგვინით, რომელნიც ცისკრის დრომდე ბრწყინავდენ. განთიადზე ორი ვარსკვლავი შორდებოდა მას და მიიმართებოდა აღმოსავლეთისკენ და დასავლეთისკენ და მუდამ ერთ ადგილს ჰქრებოდენ, მაშინ როდესაც თითონ ჯვარი ზევით აიწევდა მდ. არაგვის მომდინარეობაზე და დიდებულად ცაში ამაღლდებოდა. ნინოს ჩვენებით ორი ჯვარი ააგეს იმ მთებზედ, რომლებზედაც ვარსკვლავები ჰქრებოდენ ე. ი. ზემოხსენებულ თხოთის მთაზე და უჯარმის ქალაქში, ხოლო სასწაულთ-მოქმედი მცხეთის ჯვარი ჯვარის მთაზე დაასვენეს მაგარ პიედესტალზე. ეს მოხდა წმინდა კვირიაკეს დღეს, რომელსაც შემდეგ დროში მთელი საქართველო დღესასწაულობდა სვეტი-ცხოვლობას.

ორმოცდა ათი დღის შემდეგ ჯვარზე გამოჩნდა ჯვარედინად სხივი, რომელიც ირგვლივ თორმეტი ვარსკლავების გვირგვინით იყო გარემოცული, ხოლო იმის ზევით მოჩანდა ცეცხლის გრკალი, მზის სხივებზე უფრო ბრწყინვალე. როგორც ამა ჩვენებით, ისრე ერთად-ერთის თვისის ვაჟის განკურნებისა გამო ჯვარის შეხებით განცვიფრებულმა რევმა ჯვარის დახურვა უბრძანა სახურავით, რომელიც იყო დასაწყისი ახლანდელის ჯვარი-პატიოსნის ეკლესიისა.—ამ დროს ნინოს, მეფეს და ივერიის ერს მოუვიდა რომის პატრიარქისაგან მოსალოცავი და გამამხნევებელი ეპისტოლე და მეფე მირიანმა გარდასწყვიტა,—თუმცა მას იარაღის ხმარებაც დასჭირდებოდა ამისთვის—მთიულები გაექრისტიანებინა. ნინომ თან წაიყვანა იოანნე ეპისკოპოზი ჩრდილოეთ ივერიაში, შემოიარა წარაბანი[1]),

---

[1]) ქ. მოქც.-თ. „წობენი". საზოგადოდ ეს ქრონიკა უფრო მრავალს ისტორიულ და გეოგრაფიულ ცნობებს იძლევა, ვინემ „ქ. ცხ-ბა" და სხვა წყაროები. წმ. ნინოს ქადაგებას ის იხსენიებს წობენში, ჭართალელთა, ფხოელთა და წილკანელთა შორის, ჟალეთში და ბედეშში ერწუთიანელთა და ყვარელთა შორის, თოშებთა და კხოეთ შორის, კაწარეთში, ქველ დაბაში, ბოლინში და სხვა.

ჭართალნი, ფშაველების და გუდა-მაყარების მხარენი, რომელთაც არ ისურვეს მონათვლა, მაგრამ მახვილით იძულებულნი შეიქნენ დამორჩილებოდენ, ამავე დროს მათი კერპები დამსხვრეულიქმნენ.—მთიულეთიდამ ნინო ჩამოვიდა ყაზეთში, მოაქცია ქრისტეს სჯულზე თიანეთლები და ერწოელები მაშინ, როდესაც ფშაველები გარდავიდენ თუშეთში, რის გამო ისინი, როგორც დანარჩენი მთიულები დასჯილნი შეიქნენ ხარჯის გადიდებით, რომელიც ბევრად აღემატებოდა წინანდელს. ნინო აგრეთვე გადავიდა რანის მაზრაში ფეროზის გასაქრისტიანებლად, მაგრამ გზაში ავად გახდა და ბუდეში[1]), ჰერეთში, ეხლანდელ ქ. სიღნაღის ახლო დაბინავდა. მეფე და დედოფალი, რევი თავისის მეუღლით სალომეთი, ეპისკოპოზი იოანნე და რაოდენიმე დიდებულნი იმასთან იმყოფებოდნენ. წმ. ნინომ მოკლედ გარდასცა მათ თვისი ცხოვრების მოთხრობა, რომელიც მის კარნახობით დასწერა სიდონიამ, აბიათარის ასულმა. მერე ნინომ მიიღო წმ. საიდუმლო და გარდაიცვალა 15 წლის შემდეგ ივერიაში შემოსვლისა 322 წ.[2]) ქრ. შ. შემ. და თანახმად იმის სურვილისა დამარხულ იქნა ბოდბეში. საქართველოს ეკლესია იმის დღეობას 14 იანვარს დღესასწაულობს, ხოლო დასავლეთის ეკლესია—ერთი თვის წინედ 19 დეკემბერს. წმ. ნინოს სიკვდილის შემდეგ იმპერატორმა კონსტანტინემ გამოუგზავნა მეფე მირიანს მეგობრული წერილი და დაუბრუნა მას შვილი ბაქარი, მძევლად წაყვანილი. ამ დროს მეფემ დაამთავრა მცხეთის საარხიეპისკოპოზო ეკლესია, რომელიც მან საჯაროდ დიდის ამბვით აკურთხებინა. ხალხში დარჩა გარდმოცემა, ვითომც მაშინ მირიანი იერუსალიმს წავიდა და იმპერატორის მიერ ნაბოძებ ადგილზე მან ააშენა დიდი ივერიის მონასტერი, რომელიც ჯვარის ეკლესიად წოდებული ახლაც არსებობს. ამის დასამტკიცებლად ჩვენ არა გვაქვს არავითარი ნა-

---

[1]) ეხლანდელი ბოდბე.

[2]) ბ. თ. ყორდანიის მოსაზრებით 338 წ. ყორდ. ქრონ. შენიშვნა 62 და 74.

მდვილი საბუთი; ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ მეხუთე საუკუნეში წმ. ქალაქში არსებობდა ქართველების უდაბნო, რომელიც იუსტინიანე დიდის მეფობაში ხელ-ახლად აღდგენილი იყო. 25 წლის შემდეგ ქრისტეს სჯულის მიღებისა მოჰკვდენ ერთი მეორის მიმყოლი ბატონისშვილი რევი და მამა მისი მირიანი, რომელმაც გარდასცა გვირგვინი თავის შვილს ბაქარს 347 წელსა.

რასაკვირველია, ჩვენ ვერ აღვნიშნავთ შეურყეველი სისწორით ქრონოლოგიას ზემო ნაამბობთ შემთხვევათა, რომელთაც ზოგნი რამდენიმე წლით ადრე უჩვენებენ და ზოგნი უფრო გვიან. ზოგიერთ წყაროებში ჩვენ ვპოებთ იმისთანა ფაქტების დაწვრილებით ამბვებს, რომელნიც სხვა მწერლებს არა აქვთ. ჩვენის აზრით ეს არ უნდა იყოს ისე შესამჩნევი იმიტომ რომ, როგორც აღმოსავლეთის, ისრე დასავლეთის ისტორიკოსები თანხმად აჩვენებენ დროს, უმთავრესთ მოქმედებათ და ღირსს შესანიშნავს გარემოებას. თანამედროვე მწერალი რუფინი, რომელმაც ლათინურ ენაზე დასწერა საეკლესიო ისტორია, ამბობს, რომ მან შეკრიბა თვისი ივერიაზედ მოთხრობა ნაამბობიდამ ქართველის წარჩინებულის ბაკურისა, რომელიც თვით დამსწრე იყო ქრისტიანობის შემოღებისა საქართველოში და რომელიც მერე საბერძნეთში სამსახურში შესულიყო. ერთის სიტყვით, კრიტიკის მიერ დადგენილია, რომ იმპერატორი კონსტანტინე დიდის მეფობაში დაახლოებით იმ დროს, როდესაც ჯვარი პატიოსანი იპოვეს იერუსალიმში, ივერია მოიქცა ქრისტეს სჯულზე წმ. ნინოს ქადაგებით, რომელიც ერთხმით შერაცხილ არის წმიდად, ვითარცა ივერიის განმანათლებელი.

მირიანის შვილმა, მეფე ბაქარ I-მა მრავალი კავკასიელნი მოაქცია, მაშინ მოინათლა აგრეთვე ფეროზი, ბაქარის სიძე, რომელსაც რანის[1]) ბარდითურთ მაგიერ საუფლისწულოდ მისცეს მხარე, მდებარე სამშვილდედამ გაყო-

[1]) რანი—ყარაბახი.

ლებით აბოცამდე, რომელიც ბაქარმა სომხებს წაართვა. ამასობაში სომხებმა განიზრახეს დაესვათ ივერიის ტახტზე ბატონიშვილის რევის ძე, ნაშობი სომხის მეფის ასულის სალომესაგან, გარნა ბაქარი დაუახლოვდა სპარსეთის მეფეს ხოსროს, რომელიც მამით იმის ბიძა იყო; მან სძლია ჯავახეთში სომხებს, შეურიგდა თავის ძმის წულს და დასწერეს ზავის წერილი, რომლის ძალით რევის შთამომავლობა ავიდოდა ტახტზე იმ შემთხვევაში, თუ ბაქარის მოდგმა მოისპობოდა. ამასთანავე ბაქარმა მისცა მას საშვილი-შვილო საერისთაოდ კუხეთი. შემდეგ ბაქარმა წილკანში ეკლესია ააგო და 365 წ. მოკვდა. ბაქარის შვილის მირდატის III დროს კლარჯეთში ააშენეს რამდენიმე ეკლესია, და ერუშეთის და წუნდის ტაძრები ხელახლავ გაამშვენიერეს. ღვთის მოსავნი ივერიელნი ხშირად მოჭრიდენ ნაწილებს სასწაულთ-მოქმედის სვეტი-ცხოველისას, რომელიც მცხეთის ტაძრის ახლოს იდგა,—მეფეც არ უშლიდა ამას, ვინაიდგან ამ ჩამონაჭრებიდან გაკეთებული ჯვარები მთელს ივერიაში იგზავნებოდა და სასწაულს შვრებოდა. ბოლოს მირდატმა უბრძანა, რომ სვეტი-ცხოველისათვის ქვითკირის კედელი შემოევლოთ, და დაეფარათ იგი შებღალვისაგან,—და ზევით ჯვარი დაესვენებიათ. მას შემდეგ მცხეთის უმთავრეს ტაძრის ხის სვეტი ქვის შენობად შეიცვალა და აქამომდესაც დაცულია. მეორე ივერიის ეპისკოპოზის იაკობის სიკვდილის შემდეგ იმ ადგილზე დადგენილ იქმნა იობი, სომეხი, კათალიკოსის ნერსეს პირველის მიერ გამოგზავნილი.

მირდატ III-ს შემდეგ მეფობდა იმის შვილი ვარაზ ბაქარი ანუ ბაქარ II, რომელმაც უჯარმის მეფის რევის შვილის ტირიდატის ასული შეირთო. ბაქარის შვილი მურვანოზი 12 წლისა იყო, როცა იმპერატორმა თეოდოსი მცირემ დაახლოებით 409 წ. თავის მამის ერთგულობის სიმტკიცისათვის მძევლად დაიბარა. მურვანოზი კოსტანტინეპოლში მივიდა, და ის ძალიან ღვთის მოსავი და მლოცველი შეიქნა, ფარულად პალესტინაში გაიქცა იერუსალიმის პატრიარქის ანასტასის დროს, იქ ბერად ეკურთხა მის მიერ აშენებულ უდაბნოში, და მონოზნობაში

იწოდებოდა პეტრედ. მან, ვითარცა პილიგრიმმა, მთელი წმიდა ქვეყანა და ეგვიპტე მიმოვლო და შემდეგ დაბრუნდა თავის მონასტერში. ქ. მაიუმის[1]) მკვიდრებმა, როდესაც მათ ეპისკოპოზი მოუკვდათ, იმის ადგილზე აირჩიეს პეტრე ბერი, რომელსაც იცნობდენ მისი წმინდა ცხოვრებით და რომელიც სურვილის წინააღმდეგ იძულებულ იყო მიეღო ეპისკოპოზობა.

ხალკიდონის კრების დროს 451 წ. პეტრე წინააღუდგა ამა კრებას და იმპერატორი მარკიანეს განაჩენს, ვინაიდგან ეს განჩინება იმის აზრით არ ეთანხმებოდა ქრისტეს სჯულის ჭეშმარიტებას. ის მოკვდა 477 წ. და ივერიის ეკლესიამ, თუმცა აღიარა იგი წმიდანების რიცხვში, მაგრამ არ დღესასწაულობს იმის დღეობას. ამ პეტრეს მოიხსენიებენ, როგორც პატრიარქი მიხეილ ასორი თავის მსოფლიო ასტორიაში, აგრეთვე სხვა სირიის მწერლებიც.

ვარაზ-ბაქარმა შეირთო ფუროზის შვილი, მირიანის შვილისშვილი, რომლის ხელში შეეძინა ვაჟი ფარსმანი. ამის გარდა მას ჰყავდა პირველ ცოლის ხელში მირდატი და ტრდატი. ვარაზ-ბაქარი არა თუ არ სცდილობდა ქრისტეს სჯულის გავრცელებას, არამედ ვერც კი დაიცვა თავისი მხარე სპარსელებისაგან, რომელნიც ივერიას შემოესიენ და იწყეს ტფილისის აშენება შუაგულ ადგილზე კავკასიის კარებიდამ[2]). მან მხო-

---

[1]) Introduction-ში გვ. XXXIX ავტორი ამ ქალაქს მომად ანუ მაიუმად უწოდებს. მურვახოზის ანუ წმიდა პეტრეს ცხოვრებას მოგვითხრობენ როგორც მისი მოწაფე ზაქარია სირიულს ენაზე,—შემდეგში მღვდლის მაკარის მიერ ქართულად გარდმოთარგნილი,—აგრეთვე უცხოელნი მემატიანენი, მაგალითად, სირიის პატრიარქი მიხეილი, ასსემანი (XVIII-საუკ.) თვის აღმოსავლეთის ეკლესიის მამათ-ცხოვრებაში და სხ. ბ. ჟორდანიას აზრით „პეტრე და მისი განთქმული მოწაფე იოანე იყო ერთი პირველ მთარგმნელთაგანი საღმრთო და საეკლესიო წიგნთა ებრაულ-ასსირულ ენათაგან ქართულ ენაზე“ ქრონ. შენ. 86.

[2]) „ვარაზ-ბაქარის, მიტრიდატის შვილის მეფობის დროს სპარსელებს სიმაგრეები ჰქონდათ ტფილისის გარეშემო. ახლო მდებარე მთების მწვერვალებზე, და გაჯავრებულნი ვარაზ-ბაქარის შეკავშირებით ბიზანტიის იმპე-

მხოლოდ ერთი ციხე ხიდარი

როპმა ეს დიახ შესამჩნევი საქმე შეასრულა თავის ხალხისათვის, მან განიზრახა ანბანის შედგენა ივერიელებისათვის. ბაქარ მეფისა, ივერიის ეპისკოპოზის მოსესა და თარჯიმანის ჯაყის ანუ ჯაყელის მფარველობით მან გამოიგონა აქ ხუცური, ე. ი. სასულიერო ანბანი—ძლიერ მიმსგავსებული ახლად გამოგონილ სომხის ანბანზე—თუმცა ნამდვილად კი ის განსხვავდებოდა მხედრულ ფარნაოზის ანბანისაგან მხოლოდ მარტო სწორის და ოთხ-კუთხივ მოხაზულობით [1]). მეფე არამც თუ არ ეწინააღმ-

---

[1]) ავტორი ამ აზრს ამყარებს სომხების მეისტორიეთ მოთხრობაზე, „რომელნიც,—როგორც სამართლიანად ამბობს ფრ. ლენორმანი,—მომდინარეობენ მოსე ხორენელის წიგნისაგან; ეს წიგნი კი, როგორც თვით ხორენელი აღიარებს, სულ ერთიანად დამყარებულია სირიულ მწერლის მარ-აბაზ კატინას ისტორიაზე, რომელიც დაიწერა ქრისტიანობის პირველ თუ მეორე საუკუნეში და შეიცავს უფრო ბევრს ტყუილს, ვიდრე სიმართლეს". ამ აზრისავეა მოსე ხორენელზე მეორე თანამედროვე ფრანგების ორიენტალისტი, კარრიერი, რომელმაც ეს აზრი წარმოსთქვა ახლად გამოსულ თვისს თხზულებაში „ახალი წყაროები მოსე ხორენელზე" (Nouvelles Sources de Moïse de Khoren Wienne. 1894) კარრიერი უარს ყოფს ამ მწერალზე ყველა გავრცელებულ ლეგენდებს. სომხები ამტკიცებენ, რომ იმის ისტორია დაწერილია 460 და 480 წლებს შორის. (შეადარე აღტაცებული აზრი მოსე ხორენელზე უცნაურ შაპენისა, რომელიც მას უწოდებს სომხითის ტაციტად. Нов. изслѣд. о др. ист. Кавказа и его обитателей 1866). ხოლო კარრიერი ამტკიცებს, რომ „მოსეს თავის სომხეთის ისტორიაში უსარგებლნია Acta Silvestri-ის თხზულებით და სოკრატის საეკლესიო ისტორიით. გარნა სომხური თარგმანი ლათინური წყაროისა არ შეიძლებოდა გამოსულიყო VI საუკ. ადრე, ხოლო სოკრატის ხელწერილი გადათარგმნილი იყო სომხურად მხოლოდ 690 წ. მრავალ შიგ ჩართულ და შეტანილ ამბვებითა, რომელნიც მოსემ გარდიტანა თავისს ხელწერილში; აქედამ ცხადად სჩანს, რომ მას არ შეეძლო დაწერა თვისის ისტორიისა მე-VIII საუკ. პირველ წლების ადრე. ვინაიდგან მოსე ერთად-ერთი სომხითის ძველ მეისტორიეთაგანია, რომელიც ასეა თუ ისე ხრონოლოგიას იცავს, ამის გამო კარრიერი თვისი ჩვენებით უარყოფს სომხითის მთელს ხრონოლოგიას. როგორც სწერენ, კარრიერს ეს ანაზდეულად კი არ აღმოუჩენია, არამედ შემდეგ სისტემატიურის შესწავლისა იმ წყაროებისა, რომელთაგანაც მოსეს შეუკრებნია თავისი ამბვები. ჯერ კიდევ პირველ თავის გამოკვლევაში „მოსე ხორენელი და პატრიარქების გენეალოგია",—კარრიერმა დაამტკიცა, რომ

დეგებოდა ხალხში ამ გვარ წერის გავრცელებას, არამედ ნება დართო მესროპს ივერიის ყმაწვილ კაცობაში მოეგროვებინა საკმაო რიცხვი მოწაფეებისა, რათა მით გაევრცელებინა ქვეყნისათვის სასარგებლო განათლება. ეს ფაქტები, რომელთაც მოწმობენ თანამედროვე მწერლები და X და XI საუკუნის ის-

---

მოსემ ისე აღგვიწერა სომხების პატრიარქების ცხოვრება, თითქო ბიბლიის პატრიარქები იყვენ და მთელი იმისი შრომა ამა მხრით, წმინდა თაღლითობაა. ჯერ კიდევ 1892 წ. დანიელ ბერმა თავისს თხზულებაში „ცრუ-კალლისტენის გამოკვლევაში“, სომხურ ენაზე გამოცემულში, დაამტკიცა, რომ მოსემ თავის ისტორიაში ამ ცრუ ავტორისაგან ბევრი გამოკრიბა. ამ გვარად, სომხითის განთქმული ისტორიის მამა „გამოდის ამ ახალ გამოკვლევით პლაგიატორი, სხვის თხზულების მიმთვისებელი და რწმენის მცირე ოდნად ღირსი“. „ეს ქრისტიანე პატრიოტი VIII საუკ., განაგრძობს კარრიერი, ბერძნის მწერლების ყველა თარგმანებით სარგებლობს, იმათგან გამოკრებს იმ ამბვებს, რომელნიც მას მოსწონს, გარდააქვს ისინი სომხითში, ამახინჯებს ფაქტებს, გარდააკეთებს სახელებს და სხვა“. კარრიერის ეს გამოკვლევა სომხურ ენაზედაც გამოსცეს მხიტარისტებმა, რომელნიც ვერ შეაჩერა იმ მოსაზრებამ, რომ ამით გამოაშკარავდა თაღლითობა იმ მწერლისა, რომელმაც მოატყუა თვისი ხალხი, აქამომდე გაამაყებული მით, რომ მას ამისთანა ბრწყინვალე წარსული ჰქონდა და ამისთანა დიდი ისტორიკოსი ჰყავდა. რასაკვირველია, პატივის ღირსნიც არიან სწავლულნი ბერები, რომელთაც ასეთი მიუდგომლობა და სიმართლის მოყვარეობა გამოიჩინეს.

ეს მოსე ხორენელი, რომლის ავტორიტეტი ასე დაამცირა კარრიერმა, აი, რასა სწერს იმ საგანზე, რომელზედაც ჩვენ ჩამოვაგდეთ საუბარი: „კურიონის (სომხის ეპისკოპოზი იყო) თქმით თვით წმიდა მესროპი შევიდა (მოსე ხორენელის მოწმობით ივერიის მეფის ბაკურის დროს, რომელიც ვითომც ვარაზ-ბაქარი იყოს) საქართველოში, რომელსაც ზენარის მადლის შთაგონებით მიანიჭა საკუთარი ალფავიტი“.

ვიმეორებთ, ავტორმა ალბად წარმოსთქვა თავისი აზრი მესროპის მიერ ქართულ ანბანის შემოღებაზე, რა ერთხელვე დაეფუძნა მოსეს თქმულებას, თუმცა თავის Introduction-ში თვითონვე სწერს: „თუმცა ლაზარე ფარბეცი (მესროპის თანამედროვე მეისტორიე), რომელიც ასე ვრცლად მოგვითხრობს წმ. მესროპის შრომაზე, სრულიად არას ამბობს იმაზე (მესროპის მოღვაწეობაზე), რაც საქართველოს შეეხება“. გვ. XVI. ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ ავტორსაც ეჰვი შესვლია მესროპის მიერ ქართულ ანბანის შემოღებაზე. ჩვენის მხრით ჩვენ უფრო ვეთანხმებით დიმ. ბაქრაძის

ტორიკოსები რაოდენადმე მაინც ამართლებენ მეფე ვარაზ-ბაქარს იმ ბრალდებაში, რომელსაც მას მიაწერენ, ვითომც ის ერთობ სუსტი იყო და ქრისტიანობას არ უმხრობდაო.

ვარაზ ბაქარის შემდეგ, რომელსაც შვილები ერთობ ყმაწვილები დარჩენ, ივერიის დიდებულებმა ტახტზე აიყვანეს მოხუცებული ტრდატი, გარდაცვლილ მეფის სიმამრი, რომელსაც მიანდვეს მისი შვილის-შვილების აღზრდა. ვარაზ ბაქარის მესამე შვილს სამშვილდის ერისთავი ზრდიდა.

ტრდატი[1]) ბრძნულად განაგებდა სამეფოს; დაამშვიდა მან სპარსელები, წაართვა სომხებს ქალაქი რუსთავი ანუ რიშა მტკვრის მარცხენა პირზე, სადაც ეკლესია ააშენა და ალაზნის გაღმა ნეკრესის ქალაქი გარდააკეთა. როდესაც ეპისკოპოზი იობი გარდაიცვალა, მან დანიშნა იმის ადგილზე ილია და საზოგადოდ სჯულისათვის დიდად ზრუნავდა.

ტრდატის შემდეგ 405 წ. გამეფდა ფარსმან IV, ვარაზ ბა-

აზრს, რომელიც მან წარმოსთქვა თავისს „ისტორია საქართველოისა"-ში, გვ. 83, 84, 85, 160, 161 და „Грузинская полеографія"-ში тр. V-го археологическаго съѣзда въ Тифлисѣ გვ. 207, 234; ვახუშტის ისტორიაში გვ. 86 და „პრ. პატკანოვი და ქართული ისტორიის წყაროები" 1884 წ. გვ. 23. მოგვყავს აქ დასკვნა დიმ. ბაქრაძისა, რომელსაც ქართულ პალეოგრაფიის ცოდნაში ტოლი არა ჰყავდა: „ეჰვ ქვეშ გვაქვს სომხური თქმულება ქართულ ანბანზე. ეს თქმულება თავ-და-პირველად გადმოგვცა კურიონმა და იმის სიტყვებს იმეორებენ მოსე ხორენელიცა და შემდეგნი სომხითის მწერალნიცა.—რომ მესროპის დრომდე ჩვენში ხუცური ასო-მთავრული ხმარებაში იყო, ეს ცხადია. ისტ. VI—VII საუკ. გვიჩვენებს ისეთ წარმატებას, რომელიც პალეოგრაფიულის კანონით მხოლოდ საუკუნეთა განმავლობაში ეძლევა ყველა ალფავიტებსა. შესაძლებელი საქმეა, რომ მესროპმა მხოლოდ შეავსო,—როგორც სომხური ბერძნულიდამ,—ქართული ხუცურიც ზოგიერთი ასოებით, რომელნიც იმას აკლდა, მაგ. ხმოვანი ასოები, რომელნიც იმ დროს არ იხმარებოდენ არა თუ სომხურში, თვით სემიტურ ანბანებშიაც".

ბატონიშვილი თეიმურაზიც სწერს ამაზე: „რომელიმე მეისტორიენი ჩვენნი მსიტყველობენ, რომელ ხუცური იყო პირველ ფარნაოზისაც". იხ. გვერდ. 116.

[1]) იგივე თრდატი და ტირიდატი.

ქარის უფროსი შვილი, რომელმაც ილიას სიკვდილის შემდეგ დანიშნა ეპისკოპოზად სვიმონი. ამ მეფემ მოიწვია ბერძნები შესაწევნელად, სპარსელებს უარი უყო ხარკის გარდახდაზე; მთელს ივერიაში ეკლესიები გარდააკეთა და ბოლნისში ახალი ტაძარი ააგო.— იმის მემკვიდრედ იყო მისი ძმა მირდატი IV, ძლიერი ვაჟკაცი, თუმცა შიში ღვთისა არა ჰქონდა. მან განიზრახა წაერთმია ბერძნებისათვის კლარჯეთი და სპარსელებს ხარკის გარდახდაზე უარი განუცხადა. მაგრამ სპარსეთის მეფემ იეზდეჯერდმა I-მა გამოგზავნა ივერიაში დიდ-ძალი ჯარი სპასპეტის უბარაბის წინამძღოლობით, რომელმაც საშინლად დაამარცხა მირდატი გარდაბანის მხარეში, მდ. ქციის გაღმა, დაატყვევა თითონ ის და სპარსეთში წაიყვანა, სადაც ის დაახლოებით 410 წ. მოჰკვდა. ამ დამარცხების შემდეგ სპარსელებმა ივერია დაიჭირეს, ეკლესიები იქ დააქციეს და ჯვარის ნიშანი ყოველგან აღმოხოცეს. მეფის სახლეულობიდამ ვინც კი გადარჩა, ისინი ეპისკოპოზი სვიმონითურთ კახეთში შეიმალენ.

მის შემდეგ ტახტზე აიყვანეს არჩილ I, მირდატის შვილი, რომელმაც მარიამი, იმპერატორის იოვიანის შთამომავლობის ქალი შეირთო. ის წინააღუდგა სპარსელებს, უბრძანა როგორც ჯვარის აღდგენა, აგრეთვე ივერიიდან ცეცხლის თაყვანის მცემელთა განძევება. მანვე დაეცა არანის [1]) მაზრას, მოვაკანს და ადერბადაგანს და, გაიმარჯვა რა ამ მაზრების მმართველზე ბერდუჯის პირზე, დაამკვიდრა ქრისტიანობა თვის საბრძანებელში და ააგო მცხეთას, არაგვის კარებთან წმ. სტეფანეს ეკლესია, რომლის კვალიც ეხლა აღარ მოიპოვება. ის მუდამ ჯარით გზავნიდა თავის შვილს მირდატს ზემოხსენებულ არეებში; ხოლო სპარსეთის მეფე ამ დროს გართული იყო ინდოეთის ომში და ივერიელებისაგან ვერ იფარავდა თავის სამფლობელოს. მაშინდელი რანის ერისთავი ბარზაბოდი [2]) იმით კმაყოფილდებოდა, რომ თავის ქალაქს ამაგრებდა და არაოდეს

---

[1]) არანი იგივე რანია.

[2]) ბარაზბოდი იგივე ბარაზაბუდ.

ქართველების წინააღმდეგ ჯარი არ გამოჰყავდა. მას ჰყავდა საოცრად ლამაზი ქალი საგდუხტი. ეს რომ შეიტყო არჩილის შვილმა, მირდატმა, ის შეუყვარდა და იმის შერთვის ნებას სთხოვდა თავის მამას ბარზაბოდთან დაზავების შემდეგ. მირდატს იმედი ჰქონდა, რომ, თუ ვინიცობაა სპარსეთის მეფემ მაგიერი გარდაუხადა ქართველებს დამარცხებისათვის, ის შეიძლებს იმის დამშვიდებას. არჩილ დასთანხმდა ამაზედ და შვილისთვის ითხოვა საგდუხტი, რომელიც მოუყვანეს მას მცხეთას. ქორწინების შემდეგ მეფემ აჩუქა მირდატს სამშვილდის საერისთაო. მირდატმა, მიანდო რა სწავლულ კაცებს წმიდა სახარების გადათარგმნა ქართულ ენაზე, დაუწყო თავის ცოლსაც სწავლება, რათა მას ერწმუნებინა ერთარსი ღმერთი და იესო ქრისტე ქვეყნის სახსნელად განხორციელებული.

არჩილის მეფობის დროს სამი ეპისკოპოზი იოანე, გრიგოლ და ვასილი მოჰკვდა და ეპისკოპოზად დანიშნულ იყო მობიდანი, ტომით სპარსელი. ის მარტო გარეგნობით აღიარებდა მართლ-მადიდებლობას, ხოლო ნამდვილად კი ცეცხლის თაყვანის მცემლების მიმდევარი იყო; მან შეთხზა მრავალი სჯულის წინააღმდეგი და საეჭვო წიგნები [1]), რომელნიც შემდეგში დასწვეს. არჩილს და იმის მეფობაში წმ. მესროპის შემოსვლას სამხრეთის ივერიის გუგარკის მხარეში კერპთ თაყვანისმცემლობის უკანასკნელ ნაშთების მოსასპობლად სომხეთის ისტორიკოსი მოსე ხორენელი მოიხსენიებს.

არჩილის სიკვდილის შემდეგ 434 წ. მემკვიდრედ მისი შვილი მირდატი V დარჩა. დედოფალს საგდუხტს დაებადა ჯერ ასული ხვარამზე და მერე ვაჟი ვარან-ხოსრო-ტანგი, ქართული გამოთქმით ვახტანგი, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულების მიხედვით სპასპეტს საურმაგს მისცეს აღსაზრდელად. მეორე—მეფის ასული მიხრანდუხტი გაიზარდა კასპის ერისთვის სახლში. მირდატის სიკვდილის დროს, რომელიც 446 წ. მიხრანდუხტის დაბადების ერთი წლის შემდეგ მოხდა, ვახტანგი შვიდი წლისა

---

[1]) ...„ფარულად სწერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურებისასა“ ქ. ცხ.

დარჩა.—დედოფალს საგდუხტს, რომელიც მართავდა სამეფოს, ეშინოდა თავის მამისა ბარზაბოდის შურისძიებისა, როგორც გაქრისტიანებისა გამო, აგრეთვე იმ ზიანისა გამო, რომელიც იმისმა მამამთილმა და ქმარმა სპარსეთს მიაყენეს და წავიდა ბარდას მამასთან სათხოვნელად შენდობისა და იმის ქართველებისადმი კეთილ-განწყობილობისა. ბარზაბოდმა თავის ასულის სიყვარულისა გამო შეიწყნარა იმისი თხოვნა, მხოლოდ ის პირობა დაადებინა, რომ სასულიერო პირს, რომელსაც ზედამხედველობა ჰქონდა კერპთ თაყვანის მცემლებზე, ნიადაგ ივერიაში უნდა ეცხოვრა და ამა სჯულის მიღების მსურველთ არავითარი შევიწროება არ უნდა ჰქონოდათ. ამის გამო ბარზაბოდმა გაგზავნა მცხეთას მოგვები, ცეცხლის მსახურნი, და იმათი უმთავრესი წინამძღვარი ბინქარი. ბარდავის ერისთვის სიკვდილის შემდეგ იმისი შვილი ვარზაბაქარი, დედოფლის საგდუხტის ძმა, სპარსეთის მეფის მიერ ამ ადგილზე დანიშნულ იქმნა. ვინაიდგან ზოგიერთმა ივერიელთაგანმა, უფრო ღარიბ ხალხიდამ, ბინქარის შეგონებით აღიარეს კერპთ-თაყვანის მცემლობა, დედოფალმა საბერძნეთიდამ დაიბარა ეპისკოპოსი მიხეილი, კაცი კეთილ-მორწმუნე, რომელმაც შემდეგ მობიდანისა იმის ადგილი დაიჭირა.

როდესაც მეფე ვახტანგი 9 წლისა შეიქნა, დიდძალი რასმოსოკის ანუ ყაბარდოს ჯარი შემოესია ალბანიას, სომხეთსა და ივერიას, კასპის სამხედრო მაზრის გარდა მათ ქალაქები არ აუოხრებიათ, მაგრამ მათ დაატყვევეს მრავალნი მცხოვრებნი—მტკვრის სათავიდამ მოყოლებული ხუნანამდე, სადაც ხრამი მტკვარში შეერთვის, წარიტაცეს მეფის ასული მუხრანდუხტი და შემდეგ შინ დაბრუნდენ დარუბანდის კარით.

იმავე დროს ბერძნები ენგურის გაღმიდამ თავს დაეცენ იმის პირზე მდებარე მხარეს, რომელიც იმის წინედ ყაბარდოელებს ძლივს გადურჩა, და დაიპყრეს იგი. მათ განიზრახეს ლაზების მეფის გუბაძის, ბერძნების ქვეშევრდომის, დაცვა სპარსეთის მეფის დაპყრობისაგან. მაგრამ მიუხედავად ამისა ქართველი ხალხის გრძნობა მაინც შეურაცხყოფილი შეიქნა მით უმეტეს,

რომ მეფის სიყმაწვილეში მტრის დასჯა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ხუთი წლის შემდეგ ამისა ივერიელებმა მეფის, უმაღლეს სამღვდელოების და სპასპეტის ჯვანშერის თანადასწრებით შეიკრიბენ სათათბიროდ იმაზე, თუ რა უნდა ექნათ ამ მდგომარეობაში. მაშინ ჭაბუკმა ვახტანგ მეფემ, ცხადად დახატა რა ის უბედურება, რომელიც იმის ქვეყანასა და დას ეწია, თითონ იკისრა ჯარის წინამძღოლობა და ყაბარდოში შესევა. თავის მჭევრმეტყველობით მან აღძრა იქ დამსწრეთ წრეში მამულის სიყვარული იმ ხარისხამდე, რომ იმავე წამს დაადგინეს წინააღუდგენ მტერს და მაგიერი გარდაუხადონ ყაბარდოელებს. როცა ვახტანგმა გარდასწყვიტა ეს ლაშქრობა, მან შეჰკრიბა ასი ათასი ქართველი ცხენოსანი ჯარი და სამოცი ათასი ქვეითი და შემწეობა სთხოვა თავის ბიძას ვარაზ ბაკურს, რომელმაც თორმეტი ათასი ცხენოსანი გამოუგზავნა. მთელი ჯარი ბანაკად დაეწყო მუხნარში, აწინდელ მუხრანში და ხერკში [1]), მდინარე არაგვის ორივე ნაპირზე. მეფემ გამგეობა დედას საგდუხტს და დას ხვარამზეს გარდასცა და უბრძანა, თუ ვინიცობაა, თითონ იგი ლაშქრობაში სიკვდილს ვერ გადურჩებოდა, იმისი და წაჰყოლოდა მიხრანს, მეფის ახლობელ ნათესავს, რომელიც იყო რუვის, მირიან მეფის შვილის შთამომავალი, და რომელიც უნდა დამჯდარიყო ქართლის ტახტზე. თითონ წავიდა თიონეთში, სადაც კავკასიის მთავრები შეუერთდენ მას ორმოცდა-ათი ათასის მხედრებით დარიალანის ანუ ხევის-კარით. ის შევიდა ოსეთში, ე. ი. ყაბარდოში, სადაც მას მტერი ხაზარებითურთ ჩრდილოეთის არაგვის ანუ თერგის პირზე დაუხვდა. შვიდი დღე ორთავე მხრით ჯარები ერთმანერთის პირდაპირ შეუტაკებლად იდგენ, ხოლო მხედარნი სათითაოდ ხმალში იწვევდნენ ურთიერთს; ამ შეტაკებაში ხაზარი თარხანი გამარჯვებული დარჩა ფარსმან ფარუხზე, სპარსელების გასაოცარ ბუმბერაზზე. ამის შემდეგ ყველას თარხანისა ეშინოდა და იმას-

---

[2]) ხერკი—საგურამოა.

თან შებმას ვერავინ ბედავდა. ამის შემხედველმა ვახტანგმა გამოიწვია თარხანი საომრად. ჯერ შეეკედრა ღმერთს, გამარჯვება მიენიჭებინა და შემდეგ შუბით წელში გამსჭვალა მტერი და, რა მოსჭრა მას თავი, შეჯდა ცხენზე და გამარჯვებული დაბრუნდა თავისიანებთან. მეორე დღეს აღმოჩნდა მეორე მამაცი ოსების თემისა სახელად ბაყათარი, რომელიც ხმალში იწვევდა ვახტანგს, ან ვინმე იმის მხედართაგანს. მეფე დათანხმდა მხოლოდ იმ პირობით, რომ ბაყათარი გამოსულიყო მდინარეს გამოღმა, როგორც ეკადრებოდა იმის მოწინააღმდეგის მაღალ წოდებას. მაშინ ვახტანგი, ჯავშანში ჩამსხდარი შეჯდა ცხენზე. ბაყათარმა ორი ისარი ფარში სტყორცა ვახტანგს და მესამით იმისი ცხენი დასჭრა. მაგრამ მეფე გაეშურა და ხმალი შუა გულში დასცა მას. იმის მეტოქე ცხენიდამ გადმოვარდა, ვახტანგი მოაჯდა იმის ცხენს და განამხნევებდა თავისს ჯარსა [1]).

ქართველები მიდიოდენ შემდეგი წესით: წინ მიუძღოდათ მხედრები, რომელთ ცხენები აბჯარით იყვნენ დატვირთულნი; იმათ უკან მიჰყვებოდა ქვეითი ჯარი და მას უკან დანარჩენი მხედრობა. ოსების მხრით იგრიალეს ისრებმა, მაშინ, როდესაც ქართველების მხედრები, რკინაში ჩამსხდარნი, ცხენებით ავიდნენ მთაზე და ძლიერის იერიშით მივიდენ მათზე. არტავაზმა, მეფის ბიძის შვილმა, სპასპეტმა საურმაგმა და დიდებულმა ბივრიტიანმა გამოიჩინეს იმისთანა ვაჟკაცობა, რომ მტერი აირ-დაირია და გაიქცა. ვახტანგმა დაიპყრა ოსეთი, ააოხრა ყანჩალი და ჩრდილოეთის თემების შემოსევის ასაცილებლად დარიალანის კარი ააგო. აქედამ ის გადავიდა დასავლეთისაკენ, დაიპყრა პაჭინაგნი და ჯიქები, რომელნიც შემდეგ დაესახლენ მდ. დნესტრის და დონის შუა და კავკასიის ქედის დაბოლოებამდე. ვახტანგი ოსეთში დაბრუნდა თვისის დის, ოსების მიერ მოტაცებულის, განსათავისუფლებლად, რომლის დახსნისათვის

---

[1]) „რამეთუ იყო გორგასლანი საზარელ და გოლიათ... რამეთუ იყო სიგრძე მისი თორმეტი მტკაველი“.

მან 30,000 ტყვე დაუბრუნა ოსებს; ამას გარდა მან გასცვალა 350,000 ტყვე ამდენივე ქართველებზე და იმას დარჩა კიდევ 65,000 ტყვედ წამოყვანილი ოსი, პაჭინაგი და ჯიქი.

ოთხი წლის ბრძოლის შემდეგ ვახტანგმა დაითხოვა სპარსელები და კავკასიის მთავრები, გაგზავნა თავისი და ქართლში დარიალანის კარით, თითონ კი გაელაშქრა აფხაზეთის დასაპყრობად, რომელიც ამას წინეთ ბერძნებმა წაართვეს მას. როდესაც ის გამარჯვებული დაბრუნდა მცხეთას, აჩუქა მრავალი ტყვე, ცხენები და ვაყები, როგორც თავის დედის ბიძას, ვარაზ ბაქარს, აგრეთვე სპარსეთის მეფეს ურმიზდს, რომლის ასულს ბალენდუხტს თხოულობდა ცოლად. სპარსეთის მეფე დათანხმდა და მზითვად თავის ქალს აჩუქა მთელი სომხეთი და კავკასიის მხარეები, და ვახტანგი მიიწვია ბერძნების იმპერატორთან საომრად. მან და იმის ბიძამ ვარაზ-ბაკურმა შეჰკრიბეს 200,000 ჯარი და ამოდენივე რიცხვი რანის, ადერბაგანის და მოვაკანის მხედრებისა და გაემზადენ სალაშქროდ. ამ დროს ის 22 წლის შეიქნა და განთქმული იყო ვაჟკაცობით, ახოვნობით და საოცარი ბუნებრივი ძალ-ღონით.

სომხეთში გარდასვლის დროს ფეროჟ-კაფარში [1]) მან შემოიერთა სომხეთის ერისთავები არეგი სიუნული, ჯვანშერ ვასპურაკანელი და სხვები, რომელნიც კარახპოლის, აწინდელ არზრუმის ქალაქის ასაღებად მიადგენ, თუმცა კი ვერ გაიმარჯვეს. მანვე ანწითენის და ეკეღეცის მაზრებით გადაიარა და ქალაქს პონტოს ანუ ტრაპეზონს ასაკლებად მიადგა; სამი თვის განმავლობაში იმის გარშემო იდგა. რომ ქრისტიანებს რაოდენადმე შეუმსუბუქოს უბედურება, ის მოშორდა ამ ქალაქს. ამის გამო ატყდა დავა მოკავშირეთა შორის; ბერძნები დაეცენ სპარსელების ჯარს და ვახტანგი იძულებული იყო თავის დასაცავად იმათ შებმოდა ბრძოლაში. მან სძლია ბერძნები და ამის შემდეგ ბერძნის იმპერატორმა დაუბრუნა მას თუხარისი და კლარჯეთის მაზრა და ამის გარდა აღუთქვა აფხაზეთის მიცემაც, თუ ვახტანგი იმის ქალს შეირთავდა. შერიგების შემდეგ ვახტანგი წავიდა კლარჯეთს, სადაც თავისს ბიძაშვილს

[1]) ბარდა?

არტვაზს უბრძანა ციხე არდანუჯი აეგო; როდესაც მცხეთას მივიდა, მოგვთა მთავარი ბინქარი გააგდო და ეპისკოპოზად მართლ-მადიდებელი მიხეილი დანიშნა.

ამასობაში დაახლოებით 461 წ. მოჰკვდენ სპარსეთის მეფე ორმუზდი II და იმისი ქალი ბალენდუხტი, ვახტანგ მეფის მეუღლე, რომელმაც ტყუპი შვა: ერთი ვაჟი არჩილი ანუ დარჩილი და მეორე—ქალი. გავიდა სამი წელიწადი. სპარსეთის მეფემ გამოილაშქრა ვახტანგზე და შემოვიდა ინდობრანთში. ივერიის მეფემ მოიწვია შესაწევნელად ბერძნები, თითონ კი 100,000 ჯარით დილომში დაებანაკა.—ამ დროიდან ივერიელებმა უწოდეს თავის მეფეს გორგასალ მიტომ, რომ მას ოქროს მუზარადზე ეხატა წინ მგლის თავი და უკან ლომისა. ზოგიერთთა ნაამბობით მას ვითომც მარტო მგლის თავი ჰქონოდეს მუზარადზე. სპარსელებს ისე ეშინოდათ იმისი ომის ველზე, რომ დანახვაზედ ეუბნებოდენ ერთმანეთს „გაშორდით მგლის თავსაო“. ეს სახელ-წოდება ვახტანგისა სპარსულ ენაზე გურგა-სარ, ქართულად გურგასალ ან გურგასლანი ისტორიაში დარჩა. ყოველ დღეს იმართებოდა ორთავე ჯართა შორის შეტაკება არმაზთან და არაგვისა და მტკვრის პირებზე. ხოლო როცა სპარსეთის მეფემ შეიტყო რომ, ბერძნების იმპერატორმა გამოუგზავნა ვახტანგს საშველი ჯარი 80,000 კაცამდე, ის დათანხმდა ზავი დაედვა ივერიასთან და საბერძნეთთან შემდეგი პირობებით: სპარსეთის მეფე ფეროზი ვალდებული იყო დაებრუნებია ბერძნებისათვის პალესტინა წმინდა ქალაქით, იერუსალიმით. სამაგიეროდ მას უნდა დაჰბრუნებოდა მესოპოტომიის ხუთი ქალაქი—და მდინარე ტიგროსის სათავის ერთი ნაწილი თანახმად ზავისა, რომელზედაც ასი წლის წინედ იმპერატორს იოვიანეს ხელი მოეწერა. ამას გარდა მან დაუთმო მეფე ვახტანგს რაოდენიმე მაზრები და სთხოვა მას სალაშქროდ გაყოლა არაბებზედ და სხვა ინდოეთის ხალხებზე იმის მტრების წინააღმდეგ. ბერძნის ელჩის, ანტიპატის ლეონის რჩევით ვახტანგი დათანხმდა ხოსროს ამ ორ მოთხოვნილებაზე. მან მიათხოვა მას თავისი და მიხრანდუხტი და აღუთქვა მას საომრად წაყვანა ინდოეთში

10,000 ბერძნის ჯარით. როდესაც ვახტანგი სალაშქროდ გაემგზავრა, მან სამეფო გვირგვინით აკურთხებინა თავისი ხუთი წლის ვაჟი დარჩილი და დააწესა საბჭო, რომელსაც შეადგენდენ შვიდი ერისთავი: სპასპეტი ჯვანშერი, ზემო ქართლის ჯარების სარდალი, დემეტრე—კახეთის და კუხეთის ერისთავი, ჰერეთის ერისთავი—გრიგოლი, ხუნანისა—ნერსარანი, სამშვილდისა—სამანგირი, მარგვისის და თაკვერის ერისთავი—ბაკური. ამ ჩამოთვლისგან სჩანს, რომ მეხუთე საუკუნეში ივერიის ტომის საზღვრები და სამფლობელო იგივენი იყვენ, რაც ეხლა არიან.

მეფემ დაიბარა, რომ მისი შვილი დარჩილი უჯარმაში გაეზარდათ და თან წაიყვანა ერისთავები კლარჯეთისა—არტვაზი, წუნდისა—ნასარი, ოძრხისა—ბივრიტიანი, მსახურთ უხუცესი საურმაგი, 10,000 დარჩეულ-მხედრებით და 10,000 ბერბნები, რომელნიც ანტიპატმა ელეონმა ამას გარდასცა სრულს მის განკარგულებაში. უმეტესი ნაწილი საჩუქრებისა, რომელნიც მან სპარსეთის მეფისგან მიიღო, ბერძნების იმპერატორს გაუგზავნა და თითონ თავის დედით და დით ხვარამზითურთ ჯერ იერუსალიმს გაემგზავრა, სადაც ყველა წმინდა ადგილებზე მან თავის ოჯახითურთ მოილოცა. მერე წავიდა სპარსეთში 50,000 ჯარით, რომელიც შესდგებოდა ბერძნებისგან, ივერიელებისგან და სომხებისგან; ქ. ქთეზიფონტში მან გარდიხადა ქორწილი თავის დის მიხრანდუხტისა, რომელიც ხოსროს მიათხოვა. ამის შემდეგ დედოფალი საგდუხტი ასულით ხვარამზით წავიდა ქ. ურხაში[1]), სადაც მათ უნდა დაეცადათ მეფის დაბრუნებამდის.

ორივე მეფე პირველად შევიდენ ჯორჯანის მხარეში, რომელიც დაიჭირეს და სპარსეთის სამუდამო ქვეშევრდომად გახადეს. შემდეგ ამისა სამი წლის განმავლობაში ინდოეთი დაიპყრეს, ზღვის პირად მდებარე დიდ ქალაქების გარდა და ძალიან დიდი ნადავლი შეიძინეს. იქიდამ სინდში გარდავიდენ. სინდის მეფე ჩაიკეტა ციხეში, ხოლო იმისი ჯარი ყოველ დღე ებრძოდა სპარსელებს. ერთ დღეს ათი დარჩეული სინდის მხედარი ჩაესაფრენ და ერთმა მათგანმა უზარმაზარის ტანისამ ივე-

---

[1]) ანუ ედესსი მესოპოტომიაშია.

რიის მეფე ხმალში გამოიწვია. ერისთავი საურმაგი ეცა მას, მაგრამ ამ დროს ჩასაფრებულ მხედრებისაგან მოკლულ იქმნა. ვახტანგმა თავის ამალით დაედევნა მტერს ქალაქის კედლებამდი, თითონ პირდაპირ დახვდა სინდის მეფეს და დასჭრა იგი. ის მხოლოდ მაშინ დაბრუნდა უკან, როდესაც მტერს დაადებინა პირობა, რომლის ძალით ამას შემდეგ წინდაწინ ხარჯი უნდა ეძლიათ სპარსელებისათვის ყოველ-წლივ. ამ ომმა ოთხ წელს გასწია. თუ ვერწმუნეთ ბერძნების ნაამბობს, სპარსეთის მეფე ფერუზ II, იგივე ქართველების ურმუზდა, მოკლულ იქნა ომში ჯორჯტანის მაზრაში თავის 30 შვილით ომში, თუმცა ბევრად უფრო გვიან, ვიდრე ნაჩვენებია ქართველთ მიერ, სახელდობრ—485 წ. ქრისტეს შობის შემდეგ; და მემკვიდრედ მისი ძმა ვაგარამ II შეიქნა. შემდეგ ამისა სპარსელები სინდიდამ წავიდენ არაბეთში, რომელიც მაშინ ჰუნნო-ქუშანებს ეპყრათ, და იქედამ მათ ნახევარი ნაწილი მკვიდრთა გადმოასახლეს ხორასანს,

ვახტანგი დაბრუნდა სპარსეთში რვა წლის შემდეგ და წავიდა ურხაქალაქს ანუ ედესსას თავის ოჯახეულობასთან. სპარსეთის მეფეს სურდა მისთვის მიეთხოვებინა თავისი ასული, მაგრამ ვახტანგმა უარ-ყო ეს წინადადება იმიტომ, რომ მას დანიშნული ჰყავდა ბერძნის იმპერატორის ასული. როდესაც ის მივიდა ბერძნების და სომხების საზღვარზე, მხლებლები გაგზავნა თავისს სახლეულობის მოსაყვანად, აგრეთვე უბრძანა მათ მოყვანა ქათალიკოზისა პეტრესი და თორმეტ ეპისკოპოზისა, რომლებზედაც მაშინ მოლაპარაკება ჰქონდათ, ვინაიდგან სურდათ ივერიის ეკლესია დამოუკიდებელი ყოფილიყოს [1]); ამ განკარგულებით ძლიერ უკმაყოფილო დარჩა ერთად-ერთი მაშინდელი ივერიის ეპისკოპოსი მიქელი. როცა მან შეიტყო, რომ იმის მაგიერ იბარებენ ეპისკოპოზად სამუელს, ის სიძულვილმა გაიტაცა და იმდენად გაკადნიერდა, რომ ფეხი მიარტყა პირში მეფეს, როდესაც ეს უკანასკნელი საამბორებლად მივი-

---

[2]) ესრედ წოდებულ ავტოკეფალურ ეკლესიად.

და მასთან. მეფემ უბრძანა გარდაეცათ ის ბერძნების ელჩებისათვის, რომელთაც ის კონსტანტინეპოლში წაიყვანეს. მაშინ იქაურმა პატრიარქმა გაგზავნა ანტიოქიაში მღვდელი პეტრე და ბერი სამუელ ეპისტოლეთი, რომელშიაც ეწერა: „ვინაიდგან პირველი ივერიის ეპისკოპოზი დანიშნული იყო ანტიოქიის პატრიარქის მიერ, ამიტომ კათალიკოზი და ივერიის ეპისკოპოზები იმისგანვე უნდა ეკურთხებოდენ“. მართლაც კონსტანტინეპოლის პატრიარქობა დაწესდა შემდეგ მეორე კოსტანტინეპოლის კრებისა, ბევრად უფრო გვიან, ვიდრე ანტიოქიისა და ამ პატრიარქს ექვემდებარებოდა აქომამდე მთელი აღმოსავლეთი. ამ მინდობილობის შემდეგ ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე კნიფემ აკურთხა კათალიკოსი და 12 ეპისკოპოზი და ამასთანავე მან განაცხადა ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობა უზენაესს მართველობის ქვეშ მხოლოდ ანტიოქიის პატრიარქისა.

მოკლე ხნის შემდეგ ყველა ეს სასულიერო პირები მოვიდენ კონსტანტინეპოლში და იმპერატორის ლეონისგან მიიღეს ძვირფასი საჩუქრები, რომელნიც უნდა მიერთმიათ მეფე ვახტანგისათვის. იმავე დროს იმპერატორმა მიათხოვა ივერიის მეფეს თავისი ასული ელენე, რომელიც დიდის ამბით გაგზავნეს ივერიაში და ჩააბარეს ივერიელებს სომხითის მიჯნაზე. მეფე ვახტანგმა დააწესა, რომ ქვემო აღნიშნულ ადგილებზე ეცხოვრათ მაღალ სასულიერო პირებს: კათოლიკოზს ეკუთვნოდა, მცხეთის უმთავრესი საკათედრო ეკლესია ათორმეტ მოციქულების სახელზე აშენებული, ეპისკოპოზს სამუელს—სამთავროს ეკლესია; დანარჩენი სამღვდელ-მთავრო ეკლესიები იყო შემდეგნი: ახიზისა, კლარჯეთისა, არტაანისა, ერუშეთისა, ჯავახეთისა, მანგლისისა, ბოლნისისა, (ბოლნისში) რუსთავისა, ნინოწმინდისა, უჯარმის მახლობლად თვით გურგასლანის მიერ აგებულისა, ჭერამისა, მის მიერვე აშენებულისა, ჩელეთისა, ხორნაბუჯისა, ბ აგარაკისა—ხუნანის მაზრაში. ქათალიკოსობის დაწესება 475 წ. მოხდა. თუ ვერწმუნებით სომხების მეისტორიეთ, სომხეთის მოქცევის შემდეგ წმიდა გრიგოლ განმანათლებელმა თვისი შვილის-შვილი გრიგოლისი გააწესა აღოვანის და ივერიის კა-

თალიკოსად. მაგრამ აქ უნდა ვიგულისხმოთ არა საკუთრად ივერია, არამედ ივერიის ნაწილი სომხითისა მდ. ქციის გაღმა, რომელიც ძალიან ხშირად გარდადიოდა ხან ივერიელების და ხან სომხების ხელში, და რომელსაც სომხების ხელში ერქვა, ივერია (ვრაცტანი), ხოლო ქართველების ხელში—სომხეთი. ჩვენის აზრით ქართული მემატიანეს ნაამბობი ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა ნამდვილ ამბვად მივიღოთ. ამის შემდეგ გურგენ-ლანმა ააგო ნიქოზში წმიდა რაჟდენის სახელზე ეკლესია იქ, სადაც ადრე ცეცხლ-მსახურთა ბომონი იდგა. რაჟდენმა, ტომით სპარსელმა, დებდოფლის ბალენდუხტისა მამა მძუძემ, ქრისტიანობა მიიღო. ამისათვის და აგრეთვე ცეცხლის მსახურებას რომ აღარ მიუბრუნდა, ივერიელებთან ომის დროს წამებულ იქმნა. ქართული ეკლესია დღესასწაულობს იმის დღეობას 3 აგვისტოს.

ვახტანგს მეორე ცოლის, ბერძნის ქალის ხელში ერთი ვაჟი და ორი ასული დარჩა. მან მეფეცა დაჩის, თავის შვილს პირველი ცოლისგან შობილს, საუფლისწულოდ ქალაქები ჭერამი, ნეკრესი, კამბეჩი და ხორნაბუჯი მდ. მტკვრის აღმოსავლეთად მდებარე ადგილებით, თითონ კი ცხოვრობდა უჯარმაში, რომელიც მან გაამშვენიერა შენობებით; მისი კვალი ახლაც სჩანს. თავისი და ხვარამზე მიათხოვა ბაკურს, სომხეთის მმართველს, რადგან მაშინ მთელი მხარე ქციის გაღმა ივერიას ეკუთვნოდა. შემდეგ რაოდენიმე ხანისა მოკვდა სპარსეთის მეფე ხოსრო და იმის მემკვიდრედ მისი შვილი ხოსრო შეიქნა; მან მეფე ვახტანგს, რომელიც მაშინ ტფილისს აშენებდა, დესპანები გაუგზავნა და ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლაში შეერთება სთხოვა. ამასთანავე ის ვახტანგს სთხოვდა ცოლად იმის ასულს. მეფემ უარ-ჰყო ეს წინადადება და ყველას უბრძანა მთებში ასვლა და კავკასიის სქელ ტყეებში დახიზვნა. დაჩი თავის ცოლით წავიდა ლოფათის ხეობაში, სადაც ცეცხლის მსახურნი სცხოვრობდენ... ვახტანგი დარჩა უჯარმის ციხეში, ხოლო უმთავრესმა ერისთავებმა, რომელთაც მინდობილი ჰქონდა მცხეთის დაცვა, შეატყობინეს ეს ამბავი ბერძნის იმპერატორს.

ვახტანგი 60 წ. იყო, როდესაც სპარსეთის მეფე დაეცა ივერიას, დაიპყრა კამბეჩოვანის მხარე, ჭერამი და ველის-ციხე და დაებანაკა გამაგრებულ ქ. დარნახის მახლობლად. მეფე ვახტანგმა წინადვე იგრძნო თავისი მომავალი ბედი: დაუბარა კათალიკოსს პეტრეს, რომ მას უჯარმიდამ ფეხი არ მოეცვალა, თითონ კი ჯარით სპარსელებისაკენ წავიდა და ბრძანება გასცა, რომ ყოველმა მხედარმა ეცადოს, რომ მოიტანოს მტრის თავი ანუ ხელი. დილით ადრიანად ის დაეცა მეფის კარავს და ბატონიშვილს ბარტომს თავი მოჰკვეთა. სპარსეთის მეფემ ძლივს გაასწრო, მაგრამ ერთმა მტერთაგანმა ვახტანგს გულში ისარი სტყორცა და სასიკვდილოდ დასჭრა. ომმა შუადღემდის გასწია. სპარსელებს დაეკარგა აუარებელი კაცი, ცხენი და უკუ იქცენ რუსთავს. როცა გაიგეს, რომ ივერიის მეფე მძიმედ დაჭრილია, მოარბიეს ტფილისი, არმაზი, მუხნარის მაზრა და მთელი მცხეთის მიდამო—ჯრაგვის და ქსნის შუა. იმ ხანად გარდაიცვალა ვახტანგის სიმამრი იმპერატორი ლეონი და მისი მემკვიდრე ზენონი მოისწრაფოდა ივერიის საშველად. როცა ის სპერს მოვიდა და შეიტყო ვახტანგის ჭრილობა, ივერიაში აღარ შემოვიდა; ის წავიდა კარნუ-ქალაქში; აქ სასტიკი ბრძოლა ასტყდა ბერძნებს და სპარსელებს შუა, ხოლო გამარჯვება საეჭვო დარჩა.

როდესაც ვახტანგმა იგრძნო სიკვდილის ჟამის მოახლოება, მოიხმო ქათალიკოსი პეტრე. იმის და დიდებულთ თანადასწრებით მან დაუმტკიცა სამეფო გვირგვინი უფროს ვაჟს დაჩის, ხოლო იმის ძმებს ის მხარე, რომელიც ტაშის კარიდან და წუნდიდამ დაწყებული ზღვამდი მდებარებს. რაც შეეხება აფხაზეთს, ის ხომ დედოფლის ელენეს მზითევს შეაგენდა და ერგებოდა იმის შვილებს ლეონს და მირდახს, რომელნიც მეფემ გასაზრდელად მიაბარა ერისთავებს: წუნდისას—ნახარს, კლარჯეთისას—არტვაზს და ოძრხისას—ბივრიტიანს. ვახტანგის სიკვდილმა, რომელიც 499 წ. მოხდა, გამოიწვია ხალხის მწუხარება—და ღრმა მგლოვიარება; იმისი გვამი დასაფლავებული იყო მცხეთის საკათედრო ტაძარში და იმის სასაფლაო ქვაზე

განსვენებულ მეფის სახე გამოქანდაკებულია. გმირული მოღვაწეობა ამა მეფისა მადლიერს ივერიის მეხსიერებაში აქამომდე დაცულია [1]).

ვახტანგის მეფობაში ქრისტეს სჯულის აღმსარებელმა ივერიელებმა და მათ მომიჯნავე ხალხებმა სხვა და სხვა შევიწროება და დევნა გამოიარეს სპარსელებისაგან. 444 წ. ახლო ხანებში იეზდეგერდმა II, სპარსეთის მეფემ ომი გამოუცხადა ჰუნნებს—ქუშანელებს ანუ ჰეფტალიტებს, კასპიის ზღვის აღმოსავლეთით მცხოვრებლებს და შეკრიბა ჯარი ყველა იმის ქვეშევრდომთ კავკასიის აქეთ ხალხთ შორის, რომელთა რიცხვში სომხები, ავღანელები და ივერიელები იყვნენ. ეს უკანასკნელნი საკუთრად ქართველები კი არ იყვნენ, არამედ სამხრეთ ივერიის [2]) მცხოვრებნი. იზდეგერდმა ვერ გაიმარჯვა და დაითხოვა თვისი მაშველი ჯარი, ქრისტიანებისგან შემდგარი და მათ ნაცვლად სხვა ჩააყენა. როდესაც მან გაიმარჯვა 491 წ., თავის ჯარს უბრძანა დახოცვა ყველა მის სამსახურში მყოფ ქრისტიანე მხედრებისა, ვინაიდგან მათ არ ისურვეს ცეცხლის მსახურების აღსარება. იმ დიდებულთ შორის, რომელნიც იეზდეგერდმა გამოიწვია ზემოხსენებულ მაზრებიდამ, იყო ვინმე ვაზგენი, რომელსაც სომხების წმიდათა აღწერა უსაფუძვლოდ მცხეთის მეფედ, დიდ ივერიის ერისთავად უწოდებს. ნამდვილად კი ის იყო ერისთავი სადავო გუგარკისა, მდ. ქციის სამხრეთად. მას ცოლად ჰყავდა შუშანიკი ანუ სუსანნა, სომხის სარდლის

---

[1]) ნ. ჩუბინაშვილი თავის აღწერაში ჯვარის მონასტრისა სწერს, რომ დასავლეთ შემოსავალ კარებთან დახატულნი არიან სამნი მეფენი მოხუცებულნი გვირგვინ შერავანდედითა და პორფირებითა: მირიან, ვახტანგ გორგასლან და ბაგრატ კურატ-პალატი. ამათ ქართულადაც და ბერძნულადაც აწერია მათი სახელები Βαδὶλξυς და სხვ.; სრულიად ვერ წავიკითხეთ. Описаніе Крестнаго мон. б. Іерусалима и пр., сдѣл. Н. Чубиновымъ 1845 г. Свѣд. о памятникахъ груз. письмен. А. А. Цагарели. т. I, в. 3. стр. 45. 1894.

[2]) ეხლანდელ სომხითის ანუ გუგარკის მცხოვრებნი.

ვარდან მომიკონიანის ასული. ვაზგენი დათანხმდა ცეცხლის მსახურების სჯულის მიღებაზე და შეირთო ცოლად ბატონის ასული, სასანიდის სამეფო გვარისა.

როდესაც ის თავის სამფლობელოში დაბრუნდა, ყოველ-გვარი საშვალება იხმარა, რათა მიეღებინებინა სპარსეთის სჯული თავის ცოლის სუსანასათვის და შვიდი წლის შეპყრობის შემდეგ ოფრეთის ციხეში ისე სასტიკად სცემა, რომ ის იარებისაგან გარდაიცვალა 17 ოქტომბერს 458 წ. მისი წმინდა ნაშთი დასვენებული იყო ქ. ცურტავში სამხრეთ ივერიაში მდ. მაშავრის პირზე, ხოლო ახლა გარდმოსვენებულია მეტეხის ეკლესიაში, ავლაბარში. საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს იმის დღეობას 28 აგვისტოს. ქართველები და სომხები იხსენიებენ შუშანიკს დედოფლად, ვინაიდგან ეს ერნი თავის ჩვეულებისამებრ ამ სახელით უწოდებენ არა მარტო მეფის მეუღლეს, არამედ მთავრის და დიდებულის ცოლსაც. მართლაც ეტყობა, რომ იმის ქმარს დიდი გავლენა ჰქონდა ივერიაში. მოგვითხრობენ, რომ ვაზგენ ცხოვრობდა ეხლა დაქცეულ ქალაქში, ცურტავში, სადაც იმყოფებოდა ეპისკოპოზი აფოცი, შუშანიკის მოძღვარი, რომ ვითომც შუშანიკს წმ. ნინოს ჯვარის დასაცველად, — რომელიც გაკეთებული იყო ვაზისგან და შეკრული იმის თმითა, — მოესწროს იმის წარტაცება მცხეთიდან სომხეთში, სადაც ის დარჩენილიყოს XIII საუკუნის ნახევრამდე. რაც შეეხება ვაზგენს, მან 472 წ. ახლო ხანებში გამოუცხადა ომი ივერიის მეფეს, და მოიკლა ომში მდ. ანასკერტის პირად, აჭარის საზღვარზე. ქართული მატიანე შეცდომით მიაწერს წმ. შუშანიკის წამებას ბაკურ III მეფობას, ე. ი. ასი წლის შემდეგ გურგასლანისა. წმ. შუშანიკი იყო ასული ცნობილის სომხისა, მეხუთე საუკუნეში მცხოვრსებისა, ხოლო თანამედროე სომხების მეისტორიენი მოგვითხრობენ ვარდანზე, შუშანიკზე და ვაზგენზე ვახტანგ გურგასლანის დროს. ჩვენ ძლიერ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რომ ამ მეფეს ეკუთვნის სასანიდის დროის ფული, რომელზედაც მეფის თავის ზევით

დასმულია ქართული ასოები ЦЧ [1]), რაც შემოკლებით ნიშნავს გურგასლანის სახელს, რომელიც მას სიცოცხლეშივე დაარქვეს და რომლითაც ის ხშირად იხსენიება მატიანებში [2]).

---

[1]) ეს მონოგრამა და სასანიანთ დროს ცეცხლის სამსახური ემბლემა ნუმიზმატებმა ბარათაევის გარდა საეჭვოდ იცნეს. დ. ბაქრაძე 165 გვ.

[2]) არც ერთს ჩვენის ისტორიის ხანას, გარდა მითიურისა, ისე სამართლიანად არ შეეფერება მე-XVIII საუკუნის „მნათობის“, სკეპტიკის ვოლტერის მიერ წარმოთქმული ოხუჯობა—„L'histoire est une fable convenue“—ისტორია არაკი არისო ნამდვილის ამბვის ნაცვლად გამოგონილი, რომლითაც ურთიერთისათვის პირი მიუციათო— როგორც გურგასლანის მეფობის მოთხრობას. საფუძვლიანად ამბობს ბაქრაძე: „ვახტანგის ცხოვრება ისეა შედგენილი, რომ ზღაპრულ მოთხრობას მიემსგავსება; მაგალითად, იმისი გმირული თვისება და პირადი ბრძოლა სხვა-და-სხვა ბუმბერაზებთან ანუ გოლიათებთან; იმისი ბევრად-ბევრული ლაშქრები, ასი ათასობით მტრის დატყვევება; ყველგან ძლევა-მოსილი გამარჯვება,—ყოველივე ეს, ვიმეორებთ, სრულიად არაკი თუ არ არის, უეჭველად გაზვიადებულია პანეგირისტისაგან:...“ იმის გმირულ მამაცობას არ შეეძლო იმ დროს, როდესაც ვახტანგის ხელში იყო მხოლოდ ერთი საქართველოს ნაწილი, არავითარი წინააღმდეგობა მიეგო სპარსეთისათვის. არ უარ-ვყოფთ, რომ მიწვეული სპარსეთის მეფისაგან მონაწილეობის მისაღებად სპარსეთის მოსაზღვრე ჰუნების ანუ ხაზართ წინააღმდეგ, ვახტანგი ქართულის წყობით ახოვნებას გამოიჩენს და სახელ განთქმული დაბრუნდება.“ „ვახტანგის დროს სპარსეთის ჯარი თავისუფლად შემოდის ჩვენს ქვეყანაში; აქ სპარსნი აფუძნებენ თავიანთ აღსარებას ანუ ცეცხლის მსახურებას და ამ სარწმუნოების მღვდელ-მთავარსაც ადგენენ; აქვე თავსა ჰკვეთენ რაჟდენს, ცეცხლის მსახურების უარ-ყოფისა და ქრისტეს სჯულის მიღებისათვის; აქვე მოიკვლის იმათგან ვახტანგი. რომ ქართლი იმ დროს სპარსეთს ჰყავდა ქვეშევრდომად, ამასვე გვიმტკიცებენ ერთის მხრით ჩვენი მაშინდელი მანეთები, რომელზედაც ცეცხლის სამსახურო ემბლემა არის წარმოდგენილი; მეორე მხრით ბიზანტიელების თქმულება გუბაზზე, რომელიც მეფე თურმე იყო ლაზიკის ანუ შავი ზღვის პირის საქართველოისა და რომელიც ისე იყო შევიწროებული სპარსთაგან იმათ მომხრე ივერიელებით ურთ, რომ იძულებულ იქმნა 466 წელს შემწეობა გამოეთხოვა მას ბიზანტიის იმპერატორისაგან... ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ არცერთ შემთხვევაში, როდესაც სპარსნი ან ბიზანტიელნი ერთი მეო-

ვახტანგის შემდეგ მეფობდა იმისი შვილი დაჩი, ხოლო დედოფალი ელენე შვილებითურთ წავიდა საუფლისწულოში დასავლეთ ევერიაში. ისინი ზაფხულობით წუნდას და ზამთრობით ოძრხეს ცხოვრობდენ, მთავარ ერისთავებად იწოდებოდენ და ექვემდებარებოდენ თავის უფროს ძმას. დაჩიმ განაახლა და გაამაგრა ყველა ქართლის ქალაქები და ტფილისი, თანახმად თავისის მამის ანდერძისა, შენობებით განამშვენიერა და დედაქალაქად გახადა.

კათალიკოს პეტრეს სიკვდილის შემდეგ პატრიარქად სამუელი იყო: იმისობას ამაოდ ცდილობდენ კახეთის მოსაზღვრე მთიულების მოქცევას. როდესაც მოკვდა ლეონი, დედოფლის ელენეს ერთმა შვილთაგანმა, დაჩიმ, შეისყიდა თავის ძმისა, მირდატისაგან მისი წილი, რომელიც მდ. ეგრის და კლისურის შუა (ეხლანდელი კელა-სური) მდებარეობდა და ნაცვლად მისცა მას ჯავახეთი—ფარვანის და ტაშისკარიდამ მოყოლებული სპერის ზღვამდე. მან წყაროს-თავის ეკკლესია ააშენა.

12 წლის მეფობის შემდეგ დაჩი გარდაიცვალა. თავისი გვირგვინი მან გადასცა შვილს ბაკურ II, რომელიც 13 წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა. იმის მემკვიდრედ მისი შვილი იყო ფარსმან V, რომელიც ავიდა ტახტზე 528 წ..

ფარსმანის მეფობაში სამუელს შემდეგ კათალიკოსად თავ-

რეს ანუ ვისმე ებრძვიან ვახტანგის თანაზიარად, არ ა ვ ი თ ა რ ც ნ ო ბ ა ს ა რ ვ პ ო ულ ობ თ ვ ა ხ ტ ა ნ გ ზ ე, გარეშე „ქართლის ცხოვრებისა“, მ ა შ ი ნ დ ე ლ ს მ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ულ წ ყ ა რ ო ებ შ ი“.

როგორც ეტყობა, ვახტანგის მეფის ისტორია ცალკე საკითხავ გასართობ წიგნად ყოფილა შეთხზული და „ქართლის ცხოვრებაში“ შემდეგ შეტანილი.

ნუ დავივიწყებთ, რომ ისტორია ყველაზე უპირველეს ჭეშმარიტი და მართალი უნდა იყოს, ანუ როგორც ფლეცერი ამბობს—prima lex historiae ne quid falsidicat—და რომ კიდევ ძველმა კლასიკებმა ანდერძად დაგვიტოვეს:—„Amicus Plato, sed magisque amica veritas“—პლატონი მეგობარია და მიყვარს, მაგრამ იმაზე უფრო ჭეშმარიტება მიყვარსო.

ფაჩაგი იყო; ხოლო იმის შემდეგ ჩირმაგი [1]). სპარსელები შემოესიენ ივერიას, ანუ, როგორც ზოგნი მოგვითხრობენ, ვითომც ისინი მიეშველენ მათ ყაბარდოელების წინააღმდეგ. ამის შემდეგ ქართველები სპარსეთის მოხარკეებად შეიქნენ იმ პირობით კი, რომ სპარსელები არ უნდა შეხებოდენ ქრისტეს სჯულს და ეკლესიებს და მათ თავისი პატივისცემა არ უნდა მოკლებოდათ. ეს პირობა მიიღეს სპარსელებმა. იმ დროსვე მირდატის შთამომავალნი დასავლეთ ივერიაში ბერძნების გავლენის ქვეშ მოემწყვდენ. უეჭველია, აქ უნდა იწყებოდეს დასაბამი ლაზიის სამეფოისა, რომლის ისტორიას ქვემოდ მოვიხსენიებთ.

ფარსმანს, რომელიც 542 წელს მოკვდა, მემკვიდრედ მისი ძმისწული ფარსმან VI დარჩა. იმის მეფობაში კათალიკოსად ჯერ იყო საბა და მერე — ევლავი. საბას დროიდამ იმპერატორმა იუსტინიანემ შეიწყნარა ივერიელების თხოვნა და იმათ ეკლესია იცნა დამოუკიდებლად. ამ დროდამ მათ მიენიჭათუფლება, კათალიკოსის ტახტზე აეყვანათ მხოლოდ მკვიდრთაგანი, საქართველოს დიდ-გვარების შთამომავალნი, და მღვდელმთავრებს ჰქონოდათ თავის სამწყსოში უზენაესი უფლება მთელ სამღვდელოებაზე. მიუხედავად ამისა ფარსმანმა სირიიდამ დაიბარა ცამეტი ბერი დიაკონითურთ, რომელნიც ივერიაში გადმოესახლენ და თორმეტი საეპისკოპოსო ეკლესია ააშენეს. აი, მათი საკუთარი და ზედ მეტი სახელები, რომელნიც მათ დაერქვათ იმ ადგილების მიხედვით, სადაც ისინი დამყარდენ: იოანე ზედაზადენელი, მდაბიურად ზედაძნელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტომყოფელი, ანუ მარტყოფელი, იესე წილკნელი, მათე [1]) სტეფან-წმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავ-

---

[1]) ახალ ვარიანტით ნინოს ცხოვრ. „ჩამგა“, დავით რეკტორის სიითა და ბ. იოსელიანით ჩიგირმან. ჟორდ. ქრ. შენ. III

[1]) დიმიტრი ბაქრაძე მათე სტეფანწმიდელის მაგიერ „თათეს მამებელს“ სწერს — და, ვგონებ, კორრეკტურის შეცდომით, იოსებს „ხირსელს“ უწოდებს. „საქ. ისტ“. გვ. 182. დავით რეკტორის სიით მათე, იგივე თათე, „თადე-დ“ იწოდება.

ნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი და დიაკონი ილია[1]). ივერიაში იმათი შემოსვლის დრო ნამდვილად იმ დროიდამ ვიცით, როდესაც წმ. იოანე გამოვიდა თავის ამხანაგებით სირიიდამ და როდესაც ის აკურთხა და გზა დაულოცა წმ. სვიმონ მესვეტემ, რომელიც ჯერ კიდევ არ ასულიყო სვეტზე, და რომელიც სცხოვრობდა 521 და 596 წლებს შორის. ამას გარდა ვიცით, რომ ისინი მიღებულნი იყვნენ ქართლში კათალიკოსის ევლავის მიერ, რომელიც მღვდელმთავრის ტახტზე ავიდა 550 წ. ახლო ხანებში. ამის გარდა ეს ამბავი უნდა მომხდარიყოს ყოვლის ეჭვის გარეთ მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში, ფარსმან VI-ს მეფობაში. ივერიის ეკლესია წმინდანების რიცხვში რაცხს ყველა ამ სახელ-განთქმულ პირებს, რომელთაც სამონაზნო მოღვაწეობაში დიდი ღვაწლი მიუძღვისთ. იმათი საფლავები იზიდავენ დიდძალს თაყვანის მცემელთა და წირვა-ლოცვის დროს მუდამ იხსენიებენ მათ სახელებს შესაფერის დიდებით.

ფარსმანის მეფობა განთქმულია აგრეთვე იმ გვარის შემთხვევით, რომელსაც ქართული მემატიანები სრულიად არ იხსენიებენ, თუმცა დასავლეთ საქართველოში მოხდა. უკვე ცნობილია, რომ ჯავახეთის მაზრა გურგასლანის შვილებს სამემკვიდროდ დარჩა და ისინი ბერძნების მორჩილების ქვეშ იყვნენ. ამ გარემოებით შეიძლება აიხსნას ქართველ მემატიანეს დუმილი ლაზიკის სამეფოზე, რომელიც ამ მხარეებში დაარსდა. ის შეიცავდა მთელს სამეგრელოს და იმერეთს, სამცხეს—მტკვრის სათავის გარდა, გურიას და ლაზისტანს ქ. ტრაპიზონამდი, და მას უვლიდენ ჭოროხი და რიონი, ყვირილა, ძირულა და ჩხე-

---

[1]) შიომღვიმის ხელ-ნაწერი № 120 გვ. 66... ათორმეტთა ძმათა სახელები: 1) შიო (მღვიმელი), 2) დავით (გარესჯელი), 3) იოსებ ალავერდელი), 4) ანტონი (მარტმყოფელი), 5) თეოდოსიოს, 6) თათა. 7) პიროს (ბრეთელი), 8) ელია (დიაკონი), 9) პიმენ, 10) ნათან, 11) აბიბოს (ნეკრესელი), 12) იოანე.“ ხოლო მეცამეტე თვით ზედა-ზნელი. თ. ჟორდანიას ქრონ. შენიშ. 117.

რიმელა ქართლამდი, რომელსაც ის საზღვრავდა ბორჯომის ხეობით. ვინაიდგან ლაზიკას ამ გვარი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, ის, რასაკვირველია, ითვლებოდა უზენაეს მფლობელად ყველა მთის თემთა, რომელნიც ლაზიკას ესაზღვრებოდენ და გზა იმაზე ჰქონდათ. ამ თემებს შეადგენდენ: სვანები, მასიმიანები, აფსილები და აფხაზები.

პირველი ჩვენ მიერ ცნობილი იმათი მეფე იყო გუბაზი, რომელიც ბერძნების დახმარებით ებრძოდა სვანებს 461 წ.[1]. მერე მიემხრო სპარსელებს და იძულებული შეიქნა დაეთმო გვირგვინი შვილისათვის; ხოლო თითონ კოსტანტინეპოლში წავიდა (ლეონ I დროს).

522 წ. მეფე წათესმა, დამნაზის შვილმა, აღიარა ქრისტიანობა და წავიდა იქვე (კოსტანტინეპოლს), რათა სპარსეთის დამოკიდებულებისაგან თავი განითავისუფლოს და სამეფო რეგალიები იმპერატორის იუსტინე პირველისაგან მიიღოს. მან შეირთო ცოლად ვალერიანა, ბერძნის დიდებულის ქალი. შემდეგ წელში სპარსეთის მეფე კობადი, განრისხებული განდგომისა გამო ლაზებისა, რომელნიც წინეთ სპარსეთის დამოკიდებულებაში იყვენ, ჯარით შემოვიდა ივერიით ლაზიკაში, საიდამაც ბიზანტიელების მიერ ივერიის მეფედ წოდებული გურგენი საბერძნეთში გაიქცა; ეს გურგენი უნდა ყოფილიყოს სომხეთის ერთი ერისთავთაგანი, რომელმაც არ ისურვა ცეცხლის თაყვანის ცემა. წათესის მემკვიდრედ შეიქნა 528 წ. შვილი მისი გუბაზი II, რომელსაც ბერძნები შეეწიენ დაპყრობაში ყველა იმის მამის სამფლობელოისა, რომელიც წინეთ მას სპარსელებმა წაართვეს. 533 წ. ივერია და სპარსეთი დაზავდენ, მაგრამ ივერიელნი, რომელნიც კოსტანტინეპოლში იმყოფებოდენ, ვერ ბედავდენ შინ დაბრუნებას. შემდეგ წელში მეორე ერისთავი ზამანარსი ცოლითურთ გაიქცა კოსტანტინეპოლში, ვინაიდგან ფარსმანის მეფობაში სპარსელები ხშირის თავდაცემით მოსვე-

---

[1]) გუბაძე. გურიაში აქამომდე ერთ ხეობას გუბაზეული ჰქვიან.

ნებას არ აძლევდენ ივერიას; მაგრამ ისინი უკანვე მალე დაბრუნდენ.

541 წ. ლაზები, აღშფოთებულნი ბერძნის სარდლის იოანე ციბუსის ცუდის ყოფა-ქცევით, აჯანყდენ ბერძნების წინააღმდეგ,—რომელნიც ციხე პეტრას აშენებდენ,—და სპარსელებს მიემხრენ. ეს უკანასკნელნი სპასპეტ ანიაბედის წინამძღოლობით შემოესიენ ლაზიკას სამხრეთ ივერიიდამ, დაიპყრეს პეტრა [1]), რომელიც ისტორიკოსების ჩვენებით ჭოროხის მარცხენა ნაპირზე იყო, ზღვის ახლო, ერთ დღის მანძილზე აფსარუსიდამ, უკანასკნელ ჭანების სიმაგრისაგან, ეხლანდელ გონიის დაბასთან; 545 წ. სპარსეთის მეფე ხოსრო ანუ შირვანი უკუიქცა იქედამ და დადვა იუსტინიანესთან ზავი 4 წლით.

ამ ვადის გასვლის შემდეგ ხოსრომ გაგზავნა ლაზიკაში ჯარი მერმეროის წინამძღოლობით დასაპყრობად ამა მხარისა, რომელიც თითქმის აღარ ემორჩილებოდა მას. ივერიის ხეობიდამ, სადაც ის დიდად დაამარცხეს, მერმეროემ ცხრა დღის განმავლობაში შევიდა პეტრაში; მეფე გუბაზი ბერძნის იმპერატორის და სარდლის დაგისტეს შემწეობით გარს შემოადგა ამ ციხეს და კიდეც აიღებდა, რომ მერმეროეს საკმაო სურსათი არ დაემზადებინა. დაბრუნების დროს სპარსელები ორჯელ დამარცხდენ ლაზებისაგან, და გავიდენ ამ მხრიდან 549 წ. შემდეგ წელში სარდალი ხორიანესი შემოესია ჩრდილოეთ ლაზიკას და დაიბანაკა მუხაროზისს, აწინდელ ვაკის მინდვრებში, ქუთაისის სამხრეთად. აქ გაიმართა რმი, რომელშიაც იგი დამარცხდა და მოკლულ იქნა.

ამასობაში ბერძნები სარდლის ბესსის წინამძღოლობით მეორედ შემოერტყენ 551 წ. პეტრას ჯ იერიშით აიღეს ჯ დააქციეს. იგი იმ დროს, როდესაც სპარსელი სპასპეტი ნაბედი წინანდელზე ბევრად უძლიერესის ჯარით და სპილოებით მიდიოდა აფსილიაში,

---

[1]) აქამომდე არ არის გამოკვლეული პეტრას მდებარეობა. დიუბუა ეძებდა მას ეხლანდელ ვაშნარში, თ. ნაკაშიძეების მამულში, ოზურგეთის ახლოს. ბიბზონი პეტრას უნყენს ზღვის პირად თ. XLVI, გვ. 128.

აწინდელ სამურზაყანოში, რომელიც ლაზიკის და აფხაზეთის შუა მდებარებდა. აქ მან აიღო ერთი კარგი ციხე წიბილი[1]), დაატყვევა ლაზიის მეფის ოპსიტის გუბაძის ბიძის ქვრივი და 60 მძევალი, რომელნიც სპარსეთში გაგზავნა. ლაზები წინა-აღუდგენ სპარსელებს და ამოხოცეს ყველა ისინი, და განათავისუფლეს იმათგან აფსილია იმ დროს, როდესაც მერმეროე მივიდა ქ. პეტრას საშველად. რაკი მან შეიტყო მის აღება, ფონით გავიდა რიონში და პირ-და-პირ არხეოპოლისში ანუ ციხეგოჯს, აწინდელ ნაქალაქევს წავიდა. აქ დაბანაკებული იყო ბერძნის ჯარი, ხოლო მეორე წყობა ჯარისა მდინარის ჩასართავში იდგა. თითონ ლაზებმა დააქციეს ქალაქები—სკანდა, შორაპანი და როდოპოლისი ანუ ვარ-ციხე, რომელნიც იმათი მხარის შესავალში მდებარეობდენ—იმ განზრახვით, რომ სპარსელებს არ შესძლებოდათ ისინი თავის სასარგებლოდ გამოეყენებიათ. მერმეროემ აღადგინა სკანდა და წავიდა ბერძნების ბანაკისაკენ, რომელიც რიონის მარჯვენა ნაპირზე იყო. მან ისინი იქ ვერ ნახა და დაბრუნდა არხეოპოლისს, რომელიც კინალამ აიღო ვერაგობით, და შემდეგ დაიზამთრა ქ. ქუთაისში, რომლის ნაწილი რიონის მარცხენა ნაპირზე სრულიად დატეეებული იყო ლაზების მიერ. მაშინ იუსტინიანე იმპერატორმა მეორე ზავი შეკრა სპარსელებთან ხუთი წლის ვადით. ამის მიუხედავად მერმეროემ ზამთარშივე გაამაგრა ქუთაისი, აღადგინა შორაპანი და ლაზიკის აზნაურის თეობიუსის ღალატით აიღო ციხე უხიმერიონი, ქუთაისის ჩრდილოეთად. 553 წ. მან დაიპყრა აგრეთვე ტელეფის ციხე, რომელიც ყვირილაზე იდგა; მაგრამ წიბილსა და არხეოპოლისთან დამარცხდა და ემზადებოდა დასცემოდა ბერძნების ბანაკს, ესრედ წოდებულს ლათინურად ინსულაზე, ე. ი. კუნძულზე. ეს ბანაკი იყო მდ. რიონის და დოკონის, აწინდელ ტეხურის შორის, რომლის წყალი არხით, ბერძნების მიერ გათხრილით, რიონს მესამე მხრით შეერთვიდა.

---

[1]) რიონის.

ბერძნების აქ მყოფობას მოწმობენ თვით სახელი ამ სოფლისა ისულეთი ანუ ისულია, რომელიც აქამდე ჰქვიან იმ ადგილს, სადაც ბერძნებს ბანაკი ჰქონდათ. მერმეროე, ხატროპოლის ე. ი. ქვერულის სიმაგრის აღების შემდეგ, ავად გახდა და წავიდა მეგუსტას ანუ მცხეთას, სადაც 554 წ. მოჰკვდა. როდესაც ხოსროომ შეიტყო იმის სიკვდილი, დანიშნა იმის ადგილზე ნახორაგანი. იმპერატორმა იუსტინიანემ, რა მოისმინა მეფე გუბაზის მოხსენება იმის სარდლების ცუდ მოქმედებაზე, გაგზავნა ბესსი აფხაზეთს, თავისი ჯარი კი ჩააბარა მარტინს, იუსტინს, ბუზეს, რუსტიკს და სხვ. ხოლო მარტინმა რუსტიკის თანხმომით მიიპატიჟა გუბაზი მდ. ხობის ანუ ხოპის პირზე ვითომც სათათბიროდ იმის შესახებ, თუ როგორ მივიდენ იერიშით უნაგირას ციხეზე რომელიც არხეოპოლის მახლობლად მდებარებდა და იქ მოკლა ის. ამის შემდეგ ბერძნები მალე უნაგირას შემოერტყენ, მაგრამ ნახარაგანმა საშველი ჯარი გაგზავნა, რომელმაც აიძულა ბერძნები, ციხე დაეტევებიათ და მდ. კოთარისის [1]) გაღმა შეეფარათ თავი წინედ მოხსენებულ ბანაკში.

ლაზებმა ბერძნების დატევება და სპარსელების მიმხრობა განიზრახეს, ხოლო იმას შიშობდენ, რომ სპარსელები მათ ცეცხლის მსახურების აღსარებას აიძულებდენ, და აზნაურის ფარმიძის რჩევით გარდასწყვიტეს იუსტინიანეს მიმართონ თხოვნით, რომ მან დაუმტკიცოს ტახტი წათესს, გუბაზ II [2]) შვილს, რომელმაც კიდეც მიიღო იმპერატორისაგან მეფის ღირსების ნიშნები გაზაფხულს 555 წ. გუბაზის ყველა მკვლელნი, როგორც სამართალი მოითხოვდა, დასჯილ იქმნენ [3]). ამ წლის დასა-

---

[1]) კოთარესი ხორგა უნდა იყოს.

[2]) გუბაძე II.

[3]) გუბაძის მკვლელობა იუსტინიანის ბრძანებით მოხდა და, როდესაც ლაზები შეძრწუნდენ ამ მკვლელობით, მან თავის გასამართლებლად გამოძიება დანიშნა და რაოდენიმე ბერძენი დაბალი წოდებისა სიკვდილით დაასჯევინა. გიბბონი თ. XLII გვ. 129, 130 décad. de l'emp.. Rom. შეადარე Баратова Исторія Грузіи გვ. 60 და 61.

წყისში მისიმიანები, რომელნიც აფსილებს და სვანებს შუა ცხოვრობდენ, დაემორჩილენ სპარსელებს, ვინაიდგან ბერძნების სარდლის სოტერიხის ავად მოპყრობისა გამო შევიწროებულნი იყვნენ. ნახორაგანი მიდიოდა არხეოპოლისს 60,000 ჯარით და, როდესაც ძლიერ დამარცხდა, გასწია ფაზისის, ანუ ფოთის ციხისაკენ, რომელიც,—რიონის, ზღვის და პალეოსტომის ტბის შუა („ძველი ჩასართავი" მდ. რიონისა) მდებარებს. აქ ნახორაგენი სრულიად დამარცხებულ იქმნა მარტინის მიერ და ქუთაისით და მუხაროზისით ის ივერიაში გარდავიდა, სადაც საზამთროდ დაიბანაკა. ნახორაგანს იმ შეცდომისა გამო, რომელიც მან ჩაიდაინა, და დამარცხებისათვის ცოცხალს ტყავი გააძვრეს. როდესაც სპარსეთის მეფე დარწმუნდა, რომ როდოპოლისი მას იუსტინე სარდალმა წაართვა და, სიძნელისა გამო, შორს ქვეყნებში ჯარის გაგზავნა მას არ შეეძლო და ამის გამო ლაზიკას ჰკარგავდა, 556 წ. ბერძნებს შვიდი წლით შეეკრა ზავით, რომელიც ლაზიკასაც შეეხებოდა.

ამ შერიგების ხელის მოწერამდი ბერძნებმა დაიკავეს მისიმიანების მხარის ციხეები, ტიბეთი და ცახერი, რომელნიც ძველითგანვე ლაზების ხელთ-ქვეშე იყვენ. სპარსელებმაც აგრეთვე სვანებზე ხელი აიღეს. 562 წ. სპარსელების და ბერძნების ხელმწიფეთა შორის 50 წლის ზავი შეიკრა, მაგრამ ვერც ამან მოუღო ბოლო იმათ ცილობას სვანეთის თაობაზე. ბოლოს, როგორც იქნა, სპარსელები დაეხსნენ იმაზე ლაპარაკს და უკანასკნელი იმათი ამ მხარეში შესევა მოხდა 590 წ. ორმუზდ IV მეფობაში. ამის შემდეგ ისტორიკოსები აღარ იხსენიებენ ლაზებს [1]).

იუსტინიანე დიდის დროს ბერძნების გავლენა ივერიაში

---

[1]) ლაზების გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა მოიპოვება გიბბონის „Décadence et chûte de l'emp. Rom. IV t. XLII, Stritter-ის Memoriae populorum მე-IV ტომში. დიუბუას მოგზაურობაში Voyage ტ. II, გვ. 67—133 და ჩვენის ავტორის Additions-ში გვ. 81—107. ნარკვევები შეტანილია ალ. ჭყონიის ქრისტომ. საქართველოს ისტორიისათვის.

ზემო მოთხრობილ ამბავის გარდა სხვანაირადაც იჩენდა თავს. ამ დროს, თუ ზეპირ გარდმოცემას ვერწმუნებით, მეფის სამი შვილი, სიდამონის გვარისა, როსტომ, ბიბილა და წილოსანი შვილებით და 70 კაცის ამალით იძულებულნი შეიქნენ იმათის უმფროსი ძმის შვილთაგან—განშორებოდენ დიდ ოსეთს ანუ ყაბარდოს და გარდმოსულიყვნენ ჩრდილოეთს ივერიაში. ისინი ჯერ ოსეთში ზახის ხეობაში გადაესახლენ და მერე იქედან დვალეთში გარდვიდენ. იქაურმა მკვიდრებმა ისინი თავიანთ უფროსებად არ იცნეს, ხოლო დაუთმეს მას ბიბილეთის მხარე, საიდანაც ისინი წოდებულ იქნენ ბიბილურებად. შემოსულნი აქ დაესახლენ, ხოლო მკვიდრთ დიდად განსაცვიფრებელად ვეებერთელა სახლები ააგეს, რომელთ მზგავსნი ჯერ არც კი ენახათ დვალეთში. ამის გამო ისინი გარდაიყვანეს იმ ადგილზე, რომელსაც ჰქვია ნაკაპუანი. ერთხელ როსტომი თავისიანებით წავიდა საშველად ცხრაზმიელებთან, რომელნიც გრუისის ციხეს ასაღებად გარს ადგენ და აიძულა ამა ციხის მცველნი დამორჩილებოდენ მას. ამის დასაჯილდოებლად ლარგვისის მამასახლისმა ხალხის თანხმობით მისცა როსტომს ადგილი საგვარეულო სამარხისათვის იქაურ მონასტრის ეკლესიაში ტრაპეზის მარჯვნით. ამის გარდა მას აჩუქეს საცხოვრებლად ქვენა-იფნევი ყველა იმ მამულებით, რომელნიც ცხრაზმიის მფლობელს ეკუთვნოდა. ეს განკარგულება მოიწონა იმპერატორმა იუსტინიანემ, რომელმაც უბოძა როსტომს თავისი მოსასხამი, ბეჭედი, საყურეები, თავისი სარტყელი, ჯავშნიანი ცხენი, დროშა და თავისი შუბი. მას შემდეგ ბიბილურთ ოჯახი იწოდებოდა ხან ლარგველებად და ხან ქვენიფლეველებად იმ ადგილიდამ, სადაც ცხოვრობდენ. შემდეგ ხანებში ეს ოჯახი ორ ნაწილად გაიყო და ისტორიაში ისინი ქსანის და არაგვის ერისთავებად იხსენებიან. ეს ზეპირ გარდმოცემა არ შეიძლებოდა არ მოგვეყვანა, როდესაც ფარსმან VI მეფობა მოვიხსენიეთ. ეს მეფე 550 წ. ჯარით შეეწია იმპერატორს დაპყრობაში მცირედ ცნობილის ტასკუნის ერისა, რომელიც აფხაზეთსა და ოსეთს შუა ცხოვ-

რობდა. სარწმუნოა, რომ მას აქეთ აფხაზებმა მიიღეს ქრისტეს სჯული, და წყალობითა საჭურისის ეფრატისა, (ამა მხარიდან გასულის), რომელიც იმპერატორმა გაგზავნა ამ მხარეში სახარების საქადაგებლად, ამიერიდგან აფხაზეთში აკრძალული იყო ვაჭრობა საჭურისებისა. იუსტინიანემ აქ ააშენა ბიჭვინტის ღვთის მშობლის ტაძარი, აქამომდე დაცული და სივრცით ყველა ივერიის ეკლესიებზე უდიდესი [1]). ფარსმანის მემკვიდრე იყო მისი შვილი ბაკურ III 557 წ.

ბაკურის მეფობაში დასხდა მეშვიდე კათალიკოზი მაკარი; იმის შემდეგ სიმონი იყო. სპარსეთის მეფეს ურმუზდს არ ჰქონდა ივერიელებისადმი კეთილი განწყობილება. ბაკურის სიკვდილის შემდეგ, რომელიც 570 წ. მოხდა, იმის მემკვიდრეობა ალარ ერგოთ იმის შვილებს, რომელნიც მცირე წლოვანები კახეთში დარჩენ; ამასობაში მირდატის შთამომავლები, გურგასლანის შვილისშვილები გამაგრდენ კლარჯეთის ციხეებში, ხოლო დანარჩენი ივერია და მთელი სომხითი სპარსელების მიერ დაპყრობილნი იყვენ, ვინაიდგან მეფე ურმუზდმა დაასახლა ბარდავში თავისი შვილი ქასრე პარვიზი [2]), რომელმაც მოფერებით და დაპირებით დაარწმუნა იქაური ერისთავები და დიდებულნი მეფისაგან დამოუკიდებლად გამოეცხადებინათ თავისი თავი. სპარსელები ებრძოდენ ბერძნებს მესოპოტამიის მხარიდან. თა-თრებმა ისარგებლეს ამით და შემოესიენ სპარსეთს; ბერძნებმა განდევნეს სპარსელები. ქასრე იძულებული შეიქნა მიშველებოდა თავის მამას, ხოლო ივერიელებმა მოსთხოვეს ბერძნების იმპერატორს მეფე, რომელმაც დანიშნა ვინმე გვარამი, ხალხში გურამ—პალატად წოდებული, კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი, რომელსაც გურგასლანის შვილის მირდატის და

---

[1]) კონდაკოვი საეკლესიო ხუროთ-მოძღვრობის სპეციალისტი ამტკიცებს, რომ ბიჭვინტის ტაძარი თავისის სტილით ქართულ სტილს წარმოადგენს და უნდა მიეწერებოდეს მე-X—XI საუკუნოებს. Пр. Кондаковъ. Др. грузинская архитектура გვ. 11—12, 59.

[2]) იგივე ამბარვეზი.

ჰყავდა ცოლად. ქართლის მატიანეს თქმით ეს 575 წ. მოხდა, მაგრამ უფრო სარწმუნო კი არის, რომ ეს 590 წ. ახლო ხანებში იმპერატორის მავრიკისობას მომხდარ იყოს.

აქ იჩენს თავს მეხუთე ქართლის დინასტია ბაგრატიდებისა, რომლის მომდინარეობა ზეპირ-გარდმოცემასა და დროთა წყვდიადში იკარგება. იმპერატორი კოსტანტინე პორფიროგენეტი, რომელმაც 952 წ. დასწერა ამბავი ივერიელ კურატპალატების ბაგრატიონის გვარისა, მოგვითხრობს, რომ იმათი ნაამბობით ეს ოჯახი წარმომდინარეობს ური დედაკაცისაგან, რომელიც მეფე დავით წინასწარმეტყველმა აცდუნა და ამ დავითის და ურის შთამომავლობა გარდაესახლა, დამატებს იგი, იერუსალიმიდამ სპარსეთში, და იქედამ—იმ ადგილზე, რომელიც მათ უჭირავსთ სომხითში, დაახლოებით 452 ანუ 552 წ. ქრ. შემ.

ქართლის მემატიანეს დარწმუნებით, ბაგრატიონის გვარი მომდინარეობს პირდაპირ დავით მეფისაგან. ასე, რომ მე-58 იმის მოდგმაში ვინმე სოლომონს ჰყავდაო შვილის შვილები: ბაგრატი, აბგავარი, მოაბატი [1]), გურამი, სააკი, ასამი და ვარაზ-ვარდა, რომელნიც, არ ვიცით, რა რიგად მოხვდენ ზემო სომხეთში და მოინათლენ ვიღაც დედოფლის რაქაელის მიერ, რომელმაც ერთს მათგანს მიათხოვა თავისი ქალი და ორს ცოლად შერთო სომხეთის სამეფო სახლის შთამომავალნი. ოთხი კი უკანასკნელნი წავიდნენ ივერიაში: სააკ ასამით და ვარაზ-ვარდით წავიდა კახეთში და შეირთო ნერსესის შვილის, ბაკურის ქალი; ასამმა და ვარაზ-ვარდმა ააჯანყეს კამბეჩოვანის მხარე სპარსელების წინააღმდეგ, მოკლეს მმართველი ვეზანი და დაესახლენ ხორნაბუჯში. მაშინ გურგასლანის დინასტიის უფლება მოისპო, მცხეთა დაეცა, ყალა ე. ი. ტფილისი აჰყვავდა. ამის შემხედველმა იმპერატორმა შეიწყნარა ივერიელების თხოვნა, როგორც წინეთ ვსთქვით. ამ ხანიდამ ქართველ ბაგ-

---

[1]) იგივე მოაბა.

რატიონების გენეოლოგია მატიანეში შეუწყვეტლივ მომდინარეობს ჩვენს დრომდე, თუმცა 160 წლის განმავლობაში 619—779 წ. ოთხი პირი, რომელნიც მართალია იხსენებიან მეფეების სიაში, მემკვიდრეობის ჯაჭვის შესავსებლად, მაგრამ ისტორიაში მცირედ ცნობილნი არიან.

მესამე გარდმოცემას ქართველ ბაგრატიდებზე ვპოულობთ სომხის მეისტორიეთა შორის. პირველი და უძველესი მათგანი, მოსე ხორენელი, მოგვითხრობს, რომ ისრაელების დატყვევების დროს მიდიაში 700 წ. ქრ. შ. წ. სომხების მეფემ ხრადშემ დანიშნა მოხელედ მეფის ნათესავი, როგორც ამბობენ, ურია შამბატ, რომლის შთამომავალი ბაგრატი დიდს პატივისცემაში ჰყავდა სომხეთის არშაკიდის პირველ მეფეს, ვაჰარშას და რომელმაც მიიღო მისგან საშვილიშვილო უფლება „თაგადირისა“, (გვირგვინის დამდგმელისა მეფის თავზე ტახტზე ასვლის დროს). ბაგრატის შთამოება განმრავლდა დასავლეთს სომხეთში, სადაც ისინი ბინადრობენ, სახელდობრ სპერის და ტაიკის მხარეში, ქართულად ტაოში, ტაოსკარში, აწინდელს ტავსკვერის სანჯაყში. ქართულ ისტორიაში ცნობილი სუმბატ ბივრიტიანი, სომხების სარდალი აზორკის და არმაზელის მეფობაში, II საუკ. ქრ. შობის შემდეგ იყო ბაგრატიონის გვარის შთამომავალი.

მე-VII საუკუნის დასასრულს და მე-VIII საუკუნეში სომხის ბაგრატიდები დაეხმარენ არაბებს მათი სამშობლოს განთავისუფლებაში სპარსეთის უღლიდამ და ამისთვის ხალიფებისაგან დიდის პატივის ცემით დაჯილდოებულნი იყვენ. 743 წ. ვინმე აშოტს, რომელიც სომხეთის მმართველად იყო დადგენილი ომაიადის ხალიფის მურვანისაგან, ჰყავდა ორი შვილი; მან უფროსსა დაუტევა სომხეთი სამკვიდროდ, ხოლო უმცროსს ვასაკს—ივერია. ამ ვასაკს ჰყავდა შვილი აშოტ კუროპალატი, ივერიის მეფე 786 წ.

ამ გვარად კითხვის დადგენის გამო, მე არ შემიძლიან არ აღვიარო, რომ კოსტანტინე პორფიროგენის აზრი არ არის

ისრე დასაბუთებული, რომ დავერწმუნოთ მას, ვითარცა კრიტიკულ საფუძველზე დამყარებულს. ქართული გარდმოცემა ბევრად უფრო სარწმუნოა, თუმცა ხან-და-ხან ზოგიერთ ბაგრატიონებზე ის არას მოგვითხრობს. სომხური გარდმოცემა, თუმცა უფრო მიემზგავსება სიმართლეს ვიდრე ზემოხსენებულნი, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს კრიტიკის ყველა მოთხოვნილებას, სახელდობრ იმიტომ, რომ ძლიერ ნაკლებად ვიცით მოქმედება ვასაკისა და იმის მამის აშოტისა, ივერიის კუროპალატისა.

შემდეგ მიცვლილის სიმონ კათალიკოზისა გურამმა დააყენა სამუელი. ბერძნების და სპარსების შებრძოლებაში იგი მოკავშირე იყო პირველებისა, და იმპერატორის შეგონებით და ხარჯით საშველად მოიწვია მთიულები: ოსები, ძურძუკები და დიდოელები, რომელთაც იწყეს ადერბაგანის რბევა და ძარცვა. მაგრამ, როდესაც მან შეატყო, რომ სპარსები ბახრამ [1]) ჩუბინის წინამძღოლობით წარმატებით ებრძოდენ თურქებს, ისინი მალე გამობრუნდენ ივერიაში და განივლტენ თავის ქვეყანაში.—ამასობაში მეფის ბაკურის შვილები უჯარმაში ცხოვრობდენ და სრულს მორჩილებაში იყვნენ გურამისა, რომელიც თავის ქალაქების გამაგრებას შეუდგა. ამ დროს მეფე ურმუზდი III ტახტიდამ გადმოაგდო ბარამ-ჩუბინმა, რომელიც დასხდა სპარსეთის მეფედ მოკლე ხნით, ვინაიდგან იმპერატორმა მავრიკიმ, ხოსრო ფარვიზის სიმამრმა დაიცვა თავისი სიძის უფლება იმპერატორის შუადგომლობით და იმის მფარველობით ივერიაში მშვიდობიანობა დამყარდა. მაშინ გურამი ცდილობდა საყდრების აშენებას. მან იწყო აგება ჯვარი-პატიოსნის ეკლესიისა, განაახლა ტფილისში სიონის საკათედრო ტაძარი, რომელიც იმის შემდეგ დაამთავრა ვიღაც ღვთის მოსავ ქვრივმა თავისის და სხვა და სხვა პირების შეწირულობით. რაიცა შეეხება საქართველოს ერისთავებს, გურამს არ ჩამო-

---

[1]) იგივე ბარამ.

ურთმევია მათთვის მემკვიდრეობა, ნაბოძები როგორც სპარსელების, აგრეთვე ბერძნების ხელმწიფეებისაგან. როდესაც კათალიკოზი სამუელი მიიცვალა, გურამმა დააყენა იმის ადგილზე მეორე სამუელი. გურამს ორი შვილი ჰყავდა: სტეფანოსი და დემეტრე, რომელთაგანს უფროსს, სტეფანეს, მან დაუტევა მემკვიდრეობა 600 წ.

გურამის მეფობაში ასტყდა ივერიელებსა და სომხებს შუა ცილობა სარწმუნოებისა გამო. ამ ამბავზე უნდა ვსთქვათ, რომ 451 წ. 1) იმპერატორის მარკიანეს მეფობაში მოხდა მეოთხე მსოფლიო კრება ხალკიდონში. ამ კრების განაჩენი არ მიიღეს სირიელებმა და სომხებმა, რომელნიც განდგნენ და აქამომდე მას არ ემორჩილებიან. 2) თანამედროე და შემდეგი დროის სომხების ისტორიკოსების თქმულებიდან სჩანს, რომმე-VI საუკ. დასასრულამდი ივერიაში იმყოფებოდა სომხის სასულიერო პირი, რომელსაც ზედა-მხედველობა ჰქონდა ამ სამეფოში მცხოვრებთ იმათ თანამემამულეებზე. ამ სასულიერო პირს სხვა-დასხვა ღირსებით მოიხსენებდენ — ჰაირაპეტად, ე. ი. პატრიარქად, კათალიკოზად, მიტროპოლიტად, არხიეპისკოპოზად, ეპისკოპოზად, არადშნორდად, ე. ი. წინამძღვარად. კურიონი, უკანასკნელი ივერიის არადშნორდი, რომელსაც იხსენიებს ძველი ისტორია, ყოველთვის ისახელება კათალიკოზად ისტორიკოსის უხტანეს-ურხაეცის მიერ, რომელიც X საუკუნის დასასრულს ცხოვრობდა, და თითქმის თანამედროე იყო მოსე კალანკატოვაცის. არადშნორდის უფლებას ექვემდებარებოდენ მთელს ივერიაში, გუგარკის მაზრაში და ეგერიაში, აწინდელ სამეგრელოში. მას თუმცა კანონიერი ბინადრობა მცხეთაში ჰქონდა დანიშნული, მაგრამ მუდამ იქ არ ცხოვრობდა. 576 წ. ერთის ამ არადშნორდთაგანის სიკვდილისა შემდეგ სომხის კათალიზმა მოსემ ივერიის დიდებულთ თხოვნით დანიშნა არადშნორ-

დად[1]) კურიონი[2]), ტომით ივერიელი, ჯავახეთში სოფელ სკუ-ტრაში დაბადებული, და მას თან გააყოლა ეპისკოპოზი პეტ-როსი, ივერიელივე. კურიონი მცხეთაში მისვლის უმალვე მიღებული იყო იქ შეკრებულთა სამღვდელოებისა და დი-დებულთა მიერ. კურიონმა ეპისკოპოზებად დაადგინა ისეთ-ნი პირნი, რომელნიც ცნობილნი იყვნენ ვითარცა ხალკიდო-ნის კრების განჩინების მომხრენი, რითაც გამოიწვია მან ამით მოკლე ხანში მოსე კათალიკოზის სიძულვილი, რომ-ელიც შემდეგის გარემოებისა გამო უფრო გაძლიერდა. ივერიის და სომხეთის საზღვარზე იყო ერთი დიდი ქალაქი ცურტავი[3]) რომელშიაც ოდესმე გუგარკის მმართველები სცხოვრობ-დენ. დედოფალ შუშანიკის დროს, რომელიც მოვიხსენიეთ გურგასლანის მეფობაში, აქ დააწესეს საეპისკოპოზო კათედ-რა და დედოფლის მეცადინეობით შედგენილი იყო ლი-ტურგია სომხურ ენაზე. პირველი ცურტავის ეპისკოპოზი იყო აფოტი, ანუ ფოტი, დედოფლის მოძღვარი. შემდეგ-ში ცურტავში შენახულმა წმიდა მოწამის ნაწილებმა მი-იზიდეს მრავალი რიცხვი თაყვანის მცემელთა, რომელთ უმ-რავლესი ნაწილი ივერიელნი იყვნენ, და ამისათვის კურიონმა უბრძანა გადაეთარგმნათ ქართულ ენაზე ზემოხსენებული ლი-ტურგია. პირველ წელიწადში კურთხევის შემდეგ კურიონმა დანიშნა ცურტავის ეპისკოპოზად ვინმე მოსე, სომხების ვარ-

---

[1]) ავტორის ეს აზრი სრულიად მისაღები არ არის. ეტყობა, ავტორს უხელმძღვანელია სომხური ისტორიის თქმულებით. საფუძვლიანად ამ-ბობს ბაქრაძე: „რა დასაჯერებელია ესა, როდესაც თვით სომხითის კათა-ლიკოსები გრიგოლ განმანათლებელის დროდამ ვიდრე სომხითის დაყოფამ-დე სპარსთა და ბიზანტიელთა შორის იკურთხებოდენ კესარიაში“. გვ. 160 ისტ. საქ.

[2]) დავით რეკტორის სიით სვიმონ 581—587 წ.

[3]) ცურტავი, იგივე ცორტავი ანუ სანადირო ქალაქი—გუგარკის დე-და-ქალაქად ირიცხებოდა.

თ. ჟორდანია ამტკიცებს ვითომც ცურტავი, აწინდელი გადშენკი, ვა-ხუშტის გაჩიანი (ახტალის ახლო, რუსების სოფელი каменка) მდებარე-ობდა გუგარკში ჰერეთისა და ქართლის საზღვარზე და ექვემდებარებოდა საქართველოს მეფეს და კათალიკოსს. ქრ. გვ. 320.

დაპეტთაგანი, რომელსაც არ მოსწონდა არც კურიონის ხალ-
კიდონის კრებისადმი მიდრეკილება და არც შეცვლა ლი-
ტურგიისა, რომელიც მან შემოიღო 580 წ. დაახლოვებით.
მოსემ მოახსენა ამაზე სომხის კათალიკოზს, რომელიც თავის
მხრით ეცადა, რომ კურიონს შეენანებინა, მაგრამ უკანასკნელმა
დიდ-ხანს პასუხი არ მისცა იმის ეპისტოლეზე და თავის აზრ-
ზე იდგა.

591 წ. მოხდა სომხეთის გაყოფა იმპერატორ მავრიკის
და სპარსეთის მეფის ხოსრო ფარვიზის შორის, რომლის უზე-
ნაესის უფლების ქვეშ იყო სუმბატი მარზაპანად სომხეთისა.
კათალიკოზი მოსეს სიკვდილის შემდეგ 593 წ. კურიონმა ცხა-
დად გამოაშკარა თავისი გრძნობა, დაიბარა ცურტავის ეპის-
კოპოზი, რომელიც მოვიდა ქ. ტფილისში და იქ გამოეცხადა
თავის მღვდელ-მთავარს. პირველ იმის ნახვის შემდეგ ის იძუ-
ლებული გახდა გარდამალულიყო იქედამ ოანა—ვანქში, არა-
გაძის მთის, ახლანდელ ალაგეზის ძირში.

კურიონს ბევრი ემუდარა აგრეთვე სომხის ვიკარი ვრტა-
ნესი, მაგრამ ის არ დამორჩილდა იმიტომ, რომ ვერ დარწმუნ-
და იმ დამტკიცებით, რომელიც ამ ვიკარს მოეყვანა თავის წე-
რილებში ხალკიდონის კრების წინააღმდეგ. აგრეთვე ეპისკო-
პოზი მოსეც მტკიცედ იყო თავის აზრზე კურიონთან სარწმუ-
ნოებაზე ცილობის დროს და ვერავითარი თხოვნით ივერიელ
დიდებულებმა ვერ დაითანხმეს, რომ დაბრუნებულიყო თავის სა-
მწყსოში, ცურტავში. ჩვენდა გასაკვირვებლად ზემო აღნიშნულ
დიდებულთ რიცხვში არ იხსენიება მაშინდელი ივერიის მმარ-
თველი გურამ-კუროპალატი. ხოსრო დასთანხმდა აბრაამის
არჩევანზე სომხეთის კათალიკოზად. არც ივერიის კათალიკოზს
კურიონს და არც—აღოვანისას არ მიუღიათ მონაწილეობა ამ
არჩევანში იმიტომ, რომ მათ აბრაამთან სარწმუნოებაზე ცი-
ლობა ჰქონდათ. აბრაამი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა
მიემხრო კურიონი თავისკენ და დაეჯერებინა ის, რომ ცურ-
ტავში აღედგინა სომხური ლიტურგია. კურიონმა უპასუხა, რომ

იმას კი არ გამოუცვლია ეს წირვის წესი,—თვით ცურტავის ეპისკოპოზმა შეადგინა ისაო; რაიცა შეეხება სჯულს, ცურტავის ეპისკოპოზებმა, რომელნიც მოსემდი იყვენ, სრულიად დაიცვესო სარწმუნოებრივი ერთობა ივერიელებთან და თვით მოსე იყოო ამ განხეთქილების მიზეზი. აბრაამმა უპასუხა, რომ 491 წ. კრებაზე სომხის კათალიკოზის ბაბგეტის სობას, ქალაქ ვაჰარშაპეტში ივერიის კათალიკოზი გაბრიელი, მცხეთის ეპისკოპოზი და 20 ივერიის და აღოვანის ეპისკოპოზები შეთანხმდენ იმაზე, რომ არ მიეღოთ ხალკიდონის კრების განჩინებაო. მაგრამ კურიონი სრულიად განდრეკელი შეიქნა. აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ივერიის კათალიკოზი გაბრიელი არ მოიხსენიება ვახტანგ გურგასლანის დროის სიებში; [1]) ხოლო აბრაამის ნაჩვენები 12 ივერიის ეპისკოპოზები შემდეგნი არიან: ბაგდენი ივერიის სამეფოს კარის, ეგინასი—ასურიაგში, სამუელი—თმოგვში, ჰაკობი—ცურტავში, სტეფანოსი—რუსთავში, საჰაკი—ტფილისში, ეგადესი—მანგლისში, ენესი—რუისში, ევგინოსი—სამთავისში. ოსეფი—ადოინში, ოვანე—ადუნში, ოვანესი—კუმურდოში. ესენი თუმცა კი იყვენ ივერიაში, არ არიან ნახსენებნი არც ერთ ქართველ მემატიანესაგან.

სუმბატ მარზაპანმა ამაოდ გამართა მიწერ-მოწერა ერთსა და იმავე დროს კურიონთან, ივერიის ეპისკოპოზებთან და დიდებულებთან—ადარნესესთან და აშუშანთან, რომ მოერიგებინა ისინი აბრაამ კათალიკოზთან: ყველა იმათგანმა ერთ ხმით უარი უთხრეს სომხებთან შეერთებაზე. ამის მიმხედავმა აბრაამმა მოიწოდა ქალ. დვინში 596 წ. კრება და დასწყევლა ივერიელები. მან აღუკრძალა თავის ერთ-მორწმუნეებს ქართველებთან რაიმე დამოკიდებულება ვაჭრობისა, ცოლ-ქმრობისა და მეგობრო-

---

[1]) პ. იოსელიანი გაბრიელს იხსენიებს მცხეთის კათალიკოზად, რომელიც შეედავა სარწმუნოებაზე სომხებს შესახებ მე-IV მსოფლიო კრებისა და რომელმაც 496 წ. ვაჰარშაპედის კრებაზე დასასწრებლად გაგზავნა ისააკი ანუ ისაკი (უხტანესი მას საკად უწოდებს) და ერთად მასთან მრავალნი ქართველთ მღვდელ-მთავარნი. Оп. др. г. Тифлиса.

ბისა იქონიონ; ყველას აღუკრძალა როგორც მცხეთას მისვლა ჯვარი-პატიოსნის თაყვანის საცემად, აგრეთვე პურის ჭამა იმ ხალხთან, რომელიც ვითომ სჯულს გადუდგა. სიმკაცრე მით უფრო გაძლიერდა, რომ რაოდენიმე წლის წინ სომხებმა იცნეს აღოვანის ქათალიკოზი მხოლოდ არხიეპისკოპოზის ღირსებით და ივერიისა — მიტროპოლიტად იმ საფუძვლით, რომ ძველითგანვე აღოვანი მოაქცია არა მოციქულმა, არამედ ელისემ, წმ. თადეოზის მოწაფემ, რომელიც სომხეთში სარწმუნოებას ქადაგებდა, ხოლო ივერიელნი მოიქცენ ბევრად უფრო გვიან ნინო განმანათლებელისაგან. ამ გარდაწყვეტილებით შეურაცხყოფილს კურიონს არას გზით არ სურდა სომხებთან შეერთება. [1])

ამ განხეთქილობის გამო იმპერატორმა მავრიკიმ უბრძანა მოწოდება კოსტანტინეპოლში მრავალთ ეპისკოპოსთა, როგორც ბერძენთა, აგრეთვე სომეხთა. ქათალიკოზის აბრაამის მიერ 19 გაგზავნილ ეპისკოპოსმა მიიღეს კრების გარდაწყვეტილება, მაგრამ ვარდაპეტ ვრტანესმა და ეპისკოპოსმა გრიგორიმ არ დაემორჩილენ მათ. ამის შემდეგ ჩამოვარდა ივერიელთ და სომხების შუა სარწმუნოების შესახებ განხეთქილება; ერთად ერთი მაზრა ივერიისა ჰერეთი, აღოვანის მოსაზღვრედ მდებარე, მე-X საუკ. სომხებთან განაგრძობდა ერთობას. [2]) სტეფანოზ I,

---

[1]) მოსე ცურტავის ეპისკოპოზის დროს საქართველოს კათალიკოზად ყურიონი იყო. ეს უნდა იყოს ქართული ისტორიით, სვიმეონი რომელსაც ებაასებოდნენ მართლ-მადიდებლობაზე და ხალკიდონის კრების ღირსებაზე სომხის ეპისკოპოსები, და რომელსაც რომის პაპმა წმ. გრიგორიმ გამოუგზავნა ეპისტოლე 603 წ. შემდეგის წარწერით: ქატალიკოზს კვირიკს და სხვა ეპისკოპოსებს იბერიაში Quirico et caeteris episcopis in Hiberia და რომელშიაც ის არწმუნებდა მას, რომ მას ხელ-მეორედ არ მოენათლა ნესტორიანები, რომელნიც მმართლ-მადიდებლობაში გადადიან.“ Пл. Іосселіани Др. гор. Тифлиса. გვ. 170.

[2]) ქართლის და სომხეთის განყოფა უფრო პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზით—სპარსების და ბერძნების ქიშპობისაგან—გამოწვეული იყო, ვინემ სარწმუნოების განხეთქილობით. არსენ კათალიკოზი თავის „განყო-

შვილი გურამისა იწოდებოდა მთავრად [1]) და არა მეფედ, იმიტომ რომ სპარსელების სრულის უფლების ქვეშ იყო. იმისობას ქათალიკოზად სამუელის შემდეგ ბართლომე იყო. თვითონ სტეფანოზი არ იყო ღვთის მოსავი, მაგრამ მისმა ძმამ დიმიტრიმ დაიწყო შენება ჯვარი-პატიოსანის ეკლესიისა, რომელიც ახლაც დაცულია მცხეთის პირდაპირ მთაზე.

602 წ. ბერძნებმა მოჰკლეს იმპერატორი მავრიკი და მისი

ფილათვის ქართლისა და სომხეთისა" სწერს, რომ „აიძულნა მეფემან პეროზ სომეხნი მსახურებად სჯულისა ნესტორ უღთოებასა". ჟორდ. ქრ. გვ. 315. ბ. ჟორდანია დასძენს, რომ ქალკიდონის კრების უკმაყოფილო პირთა აღუძრავთ სპარსთ მეფე და შეუგონებიათ, დიდად სასარგებლოა სომეხთ ამოწყვეტა მსოფლიო ეკლესიისაგან.—სპარსელებთან დაახლოვებას მოჰყვა გაძლიერება სპარსთა მარზაპანებისა, დამცირება სომეხთ მეფისა და დიდებულთა. არსენის თქმით ყოველივე ეს იყო ნაყოფი სომეხთ სამღვდელოების ანგარებისა და თვით 551 წლის განდგომა სომეხთა მსოფლიო ეკლესიისაგან იყო ამ ანგარების შედეგი.—ნესტორი დამაფუძნებელი იყო მონოფიზიტების (ერთ-ბუნებიანები) მწვალებლობისა, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ ძე ღვთისა ჯვარს ეცვა და მოკვდა არა ჭეშმარიტად, არამედ საოცრად ე. ი. მოჩვენებით, მოლანდებით. ხოლო შემდეგში იოანე მაირგომელმა მონიფიზიტების მწვალებლობა შერთო სომხურ ეკლესიის წიგნებს. მეექვსე მსოფლიო კრების (680 წ.) ძეგლის წერაში სომხები ასრე მოხსენებულნი არიან: თ. 1. გვესმა თუ ქვეყანასა სომხითისასა შაბათ-კვირიაკესა წმიდათა მარხვათასა ჭამენ ყველსა და კვერცხსა და სხვასა ყოველსა წუელსა. ეგრე უკვე უჯერო არს და სრულიად უწესო. თ. 32. გვეუწყა.... ვითარმედ ქვეყანასა მას სომხითისასა ღვინოსა გაუზავებელსა შესწირავენ ურიცხვსა მას შესაწირავსა ჟამის წირვისას. თ. 33. ესეცა გვესმა, ვითარმედ ქვეყანასა მას სომხითისასა და სხვათა რომელიმე გალობასა მას „წმინდაო ღმერთოებასა" ამას დაურთავენ: „წმიდაო უკვდაო, რომელ ჯვარს ეცვა ჩვენთვის, შეგვიწყალენ ჩვენ, რომელი ესე ენასა მათსა „ხაჩეცარ" ითქუმის, რომელი ესე წმინდათა მათ მამათა მიერ ქალკიდონს შეკრებულთა მომპოვნებელისა მის და გამომეტყველისათანა განდევნა სამღვთოებასა მის გალობისაგან...

მე-VIII საუკ. სომხებმა შემოიღეს უფუვარ პურით ზიარება და სხვა ცვლილება, რომლითაც სრულიად შესწყდა კავშირი მსოფლიო და სომხითის ეკკლესიათა შორის.

[1]) ანუ ერისთავთ მთავრად.

გვირგვინი ერგო ფოკას. სპარსეთის მეფემ ხოსროომ გამოილაშქრა საბერძნეთზე შურის საძიებლად იმპერატორის მოკვლისათვის, რომელიც იმის სიმამრი იყო, და ააოხრა საბერძნეთი აზიის ნაწილი. სტეფანოზი ამ დროს ტფილისში იმყოფებოდა, მიემხრო ხოსროს და მით განარისხა იმპერატორი ირაკლი, რომელმაც 610 წ. მოჰკლა ფოკა—და ავიდა ბიზანტიის ტახტზე.

622 წ. ირაკლი წავიდა სპარსეთში ლაზიკით, ივერიით და სომხითით. 614 წ. ყველა ლაზებმა, აფხაზებმა და ივერიელებმა, რომელნიც იმის ჯარში იყვნენ, მოატყუეს იგი და დაბრუნდნენ შინ. 626 წ. ის შეხვდა ტფილისის აღებაზე ჯიბგოს ანუ ჯიბო—ხანს, ხაზარების ხაყანს, რომელსაც ენათესავებოდა, და იმის დახმარებით ივერიის დედა-ქალაქს ასაღებად მიადგა. მეციხოვნები, შემოიმატეს რა სპარსეთიდამ გამოგზავნილი დარჩეული ჯარი შარაპიხის სარდლის წინამძღოლობით, ვაჟკაცურად იცვიდენ თავს და უკუ აქციეს ყველა მტრის თავ-დასხმა. როდესაც იმპერატორმა შეამჩნია ასეთი მედგარი ბრძოლა, დაითხოვა თავისი მოკავშირენი იმ განზრახვით, რომ მომავალს წელს დაბრუნებულიყო, რაც კიდეც შეასრულა. იმპერატორი და ჯიბუხი თავის შვილით შატით ხელახლავ შემოადგენ ტფილისს. მკვიდრნი, გაამაყებულნი თავის კედლების სიმაგრით, აგინებდენ ხაზარების წინამძღოლს, ხატავდენ მას ვითარცა ვეებერთელა გოგრას ოდნავ შესამჩნევ პირით და თვალებით და იმის სურათს ისრებს ესროდენ. ირაკლის უფრო უარესად შეურაცხყოფდენ და სასირცხვილო სახელებს უწოდებდენ. ორი თვის ბრძოლის შემდეგ სტეფანოზი მოჰკლეს ციხიდამ მტერზედ თავ-დასასხმელად გამოსვლის დროს. ამ მოთხრობით ეჭვი აღიძრვის სტეფანოზის სიკვდილის დროის შესახებ. ქართლის მატიანე მისი სიკვდილის დროს იხსენიებს 619 წ., მაშინ როდესაც ის მოხდა ტფილისის აღებამდე ირაკლის მიერ მეხუთე წელში იმის გალაშქრებისა სპარსეთის საშფლობელოში, მაშასადამე 626 ანუ 627 წ.—გურამის შვილის სტეფანოზის დროს ეკუთვნის წამება წმ. ესტატე მცხეთელისა, რომელიც არანის გან-

ძახში დაბადებული იყო. ის ცეცხლის მსახურებისაგან მოაქ-
ცია მიხეილ მღვდელმა, რომელმაც განძახში ყოფნის დროს
მონათლა და დაარქვა მას ესტატე. შემდეგ ესტატე მო-
ვიდა მცხეთაში და ქრისტიანის ქალი შეირთო. როცა შე-
იტყო ეს მცხეთის სპარსელმა მმართველმა, უსტამმა, ბრძანა
იმის დაჭერა და შეპყრობა ციხეში რაოდენიმე სხვა პირები-
თურთ. ექვსი წლის დამწყვდევის შემდეგ მარზაპანმა, რომე-
ლიც მაშინ საომრად გაემართა, შეიწყნარა თხოვნა ქათალი-
კოზის სამუელისა და იკერიის დიდებულთა გრიგოლისა, ქართ-
ლის მამასახლისისა, არაბები ბდეაშკისა და სხ. და გამოუშვა
საპყრობილედან ქრისტეანები. მეორე მარზაპანმა ვეჟან-ბუზ-
მინმა ხელ-ახლავ შეიპყრა ესტატე და ბრძანა იმის თავის მო-
კვეთა, ვითარცა მოგვთ სარწმუნოებაზე გადამდგარისა.

ქართველთ ეკლესია დღესასჩაულობს წმ. ესტატეს წამე-
ბას 29 ივლისს.

ადარნასე, ბაკურ III-ს შვილი შეიქნა მთავრად სტეფანო-
ზის შემდეგ; მან განაგრძო ტფილისის ციხის გარს შემორტყმა,
აიღო და გაანადგურა იგი. მეციხოვანთ უფროსს პირი ოქრო-
თი ამოუვსეს და ისე დააღრჩვეს და შემდეგ მას ტყავი გააძვრეს [1]).
ამ დროს იმპერატორი ირაკლი იყო გარდაბანის მხარეში, რო-
მელიც მდებარეობს ხრამისა სამხრეთით აწინდელ ელი-
სავეტოპოლამდი [2]). იქ იმას მტრულად დახვდა მთავარი ვა-
რაზ-გრიგოლი, სასანიდის მეფეების ნათესავი; ირაკლიმ დაამარ-
ცხა და მონათლა ის, როგორც ამბობს მემატიანე, რომელიც
მას ვარაზ-გაგელს უწოდებს; სომხეთის ისტორიიდამ კი სჩანს,
რომ ის წინეთ იყო მონათლული აღოვანის კათალიკოზის ვი-
რაის მიერ. არ არის გამოკვლეული, ვარაზ-გაგელი იყო თუ
არა მიმდევარი ხალკიდონის მსოფლიო კრების განჩინებისა.

მაშინ ბერძნებმა დაიპყრეს მთელი დასავლეთი ივერია სპე-

---

[1]) ვითარცა მოღალატეს და ციხის გამტეხს.

[2]) განჯამდი.

რით, კლარჯეთით, (სადაც გამაგრდენ სტეფანოზ მთავრის შვილები) და ზღვის პირის ადგილებით. ადარნასე მთავრობდა შუა ივერიაში და ერისთავებს მიანიჭა მემკვიდრეობითი მართვა თავიანთ საერისთაოებში. ბართლომეს სიკვდილის შემდეგ კათალიკოზად იყო იოანე, რომელიც ერთის ბერის თანახლებითა ხელ-დასმის გამოსათხოვნელად წავიდა ანტიოქიაში პატრიარქთან, ვითარცა ივერიის უზენაესის სამღვდელოების წინამძღვართან. კურთხევის შემდეგ იოანემ გამოითხოვა აგრეთვე, რომ მომავალს დროში ივერიის კათალიკოზები განთავისუფლებულნი ყოფილიყვნენ ანტიოქიაში მისვლისაგან, სიშორისა და იმ დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, რომელნიც ხშირად წარმოსდგებოდენ ომისაგან იმ ქვეყნებში, სადაც მათ გზად უნდა გაევლოთ. პატრიარქმა [1]) მოიწვია სინოდი და, განაცხადა რა შესახებ ამისა თავისი თანხმობა, დაადგინა, რომ ადგილობრივი ეპისკოპოსები და სამღვდელოება შეიკრიბებოდნენ მათგან ამორჩეულ კათალიკოზის ხელდასასხმელად და ამიერიდამ ისინი ვალდებულნი აღარ ყოფილიყვნენ ანტიოქიაში მისვლას. იოანეს სიკვდილის შემდეგ კათალიკოზად იყო ბაბილა.

628 წ. იმპერატორმა ირაკლიმ დაიპყრა ქალ. კტეზიფონი და წაართვა ხოსროს ძელი ჭეშმარიტი, რომელიც მან იერუსალიმიდამ მოიტაცა 14 წ. წინეთ; მან დაუბრუნა სპარსეთის მეფეს იმისი დედა-ქალაქი და თითონ დაბრუნდა ივერიაში, სადაც ნახა დამთავრებული ადანარსეს მიერ აშენებული ჯვარი-პატიოსნის ეკლესია. მან ბრძანება გასცა, რომ ყველა ცეცხლის მსახურნი მონათლულიყვენ, და ვინც არ აასრულებდა იმის ბრძანებას, უნდა მახვილით დაეხოცათ. ამის შემდეგ იმპერატორი საბერძნეთში წავიდა—მეშვიდე წელში სპარსეთის ომის დაწყებიდან. სამწუხაროდ მან წაართვა ივერიას ორი ძვირფასი ნაშთი მანგლისის და ერუშეთის ტაძრებში დაცული, —ფიცრები, რომლებზედაც მაცხოვარს ფეხები ჰქონდა მიჭედი-

---

[1]) თეოფილაქტემ.

ლნი ჯვარ-ცმის დროს და მისი სამსჭვალები. ეს ნაშთები კოსტანტინე დიდისაგან ნაჩუქარი ჰქონდა მეფე მირიანს. მეორე მხრით ზეპირ-გარდმოცემა მიაწერს ირაკლის აწყვერის ეკლესიის აშენებას, სადაც დასვენებული იყო სასწაულთ-მოქმედი ღვთის მშობლის ხატი, მის მიერვე ნაბოძები წმ. მოციქულის ანდრიასადმი.

ადარნასეს სიკვდილის შემდეგ, რომელიც 639 წ. მოხდა, მისი შვილი სტეფანოზი II შეიქნა ივერიის მთავრად. ის ძლიერ ღვთის მოსავი კაცი იყო. მან შემოავლო გალავანი ჯვარი-პატიოსნის ეკლესიას, ააშენა შიგ პალატნი და უბრძანა სამღვდელოებას და დიდებულებს პარასკეობით შეკრებილიყვენ და ეწირათ ჯვარი-პატიოსნის სადიდებლად. ამ ეკლესიის აღმოსავლეთის კედელზე ახლაც სჩანან გამოქანდაკებული სურათები: იმის მამის, მთავრის ადარნასესი უძველესი წარწერითა ქართულ ენაზე, რომელშიაც ის იწოდება იპატოსად, თითონ სტეფანოზისა — ქართლის პატრიკის წოდებით; დიმიტრის, სტეფანოზის ძმის, პირველ დამფუძნებელის ამა წმიდის ადგილისა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ [1]). ამ საფუძვლით ჩვენ გაბედვით შეგვიძლია მივაწეროთ მეშვიდე საუკუნეს დამთავრება ამა ეკლესიისა, რომელსაც უუძველესის ქანდაკობის ბეჭედი ატყვია.

ამასობაში იმპერატორმა ირაკლიმ შეიტყო ისმაიტელების [2]) გამარჯვება, გაეშურა თვის სამფლობელოში. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ოცი წლის წინედ სტეფანოზის მთავრად დანიშვნისა გამოცხადდა ცრუ-წინასწარმეტყველი მაჰმადი, რომელმაც განიზრახა სპარსეთის დაპყრობა. იმის მესამე მემკვიდრის დროს 638 წ. ხაბიბი გაგზავნილ იყო სირიაში მმართვე-

---

[1]) აქ მოგვყავს თვით წარწერები, რომელნიც შეადგენენ უუძველეს ნაშთს ქართულის მწერლობისას: 1) წმ. გაბრიელ მთ. ანგელოზო ადარნასე იპატოსსა მეოხ ეყავ; 2) ჯვარო მაცხოვრისაო სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე; 3) წმ. მიქელ მთ. ანგელოზო დემეტრეს იპატიოსსა მეოხ ეყავ.

[2]) არაბების ანუ სარკინოზების.

ლად და სომხეთის დასაპყრობლად. მან დაამარცხა ბერძნების სარდალი ამ მხარეში და წავიდა ჩრდილოეთისკენ. ივერიის პატრიკი, ალბად ეს ჩვენი სტეფანოზი იყო, დაემორჩილა მას და დათანხმდა აძლიოს მუსულმანებს ხარჯი — თითო ოქრო ყოველ ოჯახიდამ, რასაც მოწმობს აქამომდე დაცული არაბის მეისტორიეს მიერ წერილი ხალიბისა პატრიკთან. ხუნანის, გარდმანის და კახეთის მაზრები დაემორჩილენ ხაბიბს და ტფილისში მოსლემინების ციხის მცველნი შევიდენ.

სტეფანოს II-ს ორი შვილი ჰყავდა: მირი და არჩილი, რომელთაც მან გაუყო სამეფო საუნჯე: ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი თვლები. მან წაიღო ერთი წილი ყველა საუნჯისა და თან წაიყვანა უფროსი შვილი მირი ეგერიაში [1]), უმცროსი შვილი არჩილი საუნჯის მეორე წილით გაგზავნა კახეთში, სადაც მან დამალა ეს საუნჯე. დანარჩენი წილი საუნჯისა მან გარდამალა ერთ მთის ძირში, ჯავახეთში, რომელიც მას იმპერატორმა ირაკლიმ მიუბოძა. ხოლო საეკლესიო კუთვნილება შენახული იყო მცხეთის ტაძრის გუმბათში. შემდეგ არჩილი შეუერთდა ეგერიაში ძმას და მამას, რომელიც მოკლე დროს შემდეგ მიიცვალა. — აღმოსავლეთის მწერლობის მოყვარულებმა 40 წლის წინეთ ამისა რაოდენიმე ვერცხლის მანეთები აღმოაჩინეს სასანიდების დროს მოჭრილი, რომელთ ცალ გვერდზე დახატულია მეფის თავი სტეფანოზის სახელით ხუცურის ასოებით, ხოლო მეორე გვერდზე ტაძარი ჯვარით და თაყვანის-მცემლებით; ალბად ეს ფული სტეფანოს II მეფობას უნდა ეკუთვნოდეს.

სტეფანოზის მემკვიდრეებად 663 წ. მირი და არჩილი დარჩნენ და ერთად მართვიდენ ივერიის მხარეს.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ კრიტიკულად განვიხილავთ, ძნელი მისაღებია 1), ვითომც მირი და შემდეგ არჩილი 65 წელს მეფობდენ, იოანნე და ჯუანშერი, არჩილის შვილები — 68 და

---

[1]) ეგრისში ანუ სამეგრელოში.

69 წელს. ეს თაქტები, სამწუხაროდ, არავითარი გარეშე მოწმობით დამტკიცებულნი არ არიან. 2) ის ამბავები, რომელთაც მირ და არჩილისობას ქართული მემატიანე მოგვითხრობს, შეუძლებელია მომხდარიყვენ ამ დროის ვანმავლობაში, რადგან ამას არ ეთანხმებიან ნამდვილნი და ყოვლის ეჭვის მიუტანელნი ცნობანი არაბთ მწერლებისა. ამ გვარის მასალების ნაკლულევანებაში და შეუვსებლობაში ისტორიკოსი უნდა დაეფუძნოს მას, რაც ცხადია, ხოლო გვერდი აუაროს მას, რისიცგამოკვლევა შეუძლებელია. ამ დროს ე. ი. 731 წ. ვინმე მურვანი, ომაიადის შთამომავალი, ცრუ-წინასწარმეტყველის მაჰმადის ნათესავი, გაგზავნილი იყო არაბის ხალიფის გოშამის მიერ —რომელიც იმის ძმისწული იყო,—კავკასიის მხარეში, სადაც მოსლემინებმა კიდეც დაიჭირეს ციხე დარიალანი და ალანიის კარები. ამათ ყველა სურსათი ტფილისიდამ მოდიოდათ. მურვანმა დაიპყრა ხაზარები, აღოვანი, აწინდელი კახეთი, ალანები და ლეკები. 739 წ. მთელი კავკასია იმათ ხელთ ეპყრათ. სომხის მეისტორიენი მოკლედ მოგვითხრობენ იმის ულმობელობას, მაგრამ ქართველნი კი, რომელთ მამულნი მან ააოხრა მახვილით და ცეცხლითა, მას უწოდებენ მურვან-ყრუდ იმიტომ, რომ, როგორც ამბობენ, ის არავითარ რჩევას ანუ თხოვნას არ ისმენდაო. როდესაც მურვანი შევიდა სამცხეში 735 წ. 9,000 ჯარით თავს დაეცა ოძრახის ციხესთან ივერიელებს, რომელთაც წინამძღოლობდენ არგვეთის მთავარნი, დავით და კოსტანტინე. მან დაამარცხა ივერიელნი და წარტყვენა ორივე ძმები. ჯერ მურვანმა დაეკითხა, თუ აქვთ სურვილი მაჰმადიანებად გამხდარიყვნენ და ბევრიც ეცადა იმათ მოქცევაზე. როდესაც მათ უარი განაცხადეს, მურვანმა ბრძანა სასტიკად ეცემათ და შერე გადაეგდოთ ისინი მდ. რიონში (ანუ ტბაში, რომლითაც ეს მდინარე ოდესმე ზღვას ერთვიდა) წმ. მათი ნაწილები ქრისტიანების მიერ წამოსვენებულნი და დამარხულნი იყვენ მდ. წყალ-წითელის პირზე, სადაც ახლა მოწამეთის მონასტერი არის აგე-

ბული [1]). ზეპირ გარდმოცემა ამბობს, რომ ხსენებული მდინარის სახელი მომდინარეობს წამებულთ სისხლისაგან, რომელმაც მთელ მიდამოს მოწითალო ფერი დასდვა. წმ. დავით და კოსტანტინე განისვენებენ ერთ კუბოში, დიდს პატივის ცემაში არიან აქამომდე ქართველთაგან. მათ სახელის ხსენებას ღღესასწაულობენ ივერიაში 2-ს ოკტომბერს.

ამის შემდეგ მურვანი წავიდა ეგერიაში, სადაც იმყოფებოდენ მთავრები მირი და არჩილი. როცა შეიტყო, რომ ისინი შუაგულ აფხაზეთში გარდასულან, დაიბანაკა ჯიხან-ქვიჯას, აწინდელი ჭყონდიდის ანუ მარტვილის ხეობაში. — მირვანი გამოუდგა მათ კვალ-და-კვალ, ბრძოლის შემდეგ აიღო ციხე-გოჯი [2]), აწინდელი ნაქალაქევი, — კლისური ანუ კელასაური, ცხომი ანუ სოხუმი და მთელი აღმოსავლეთი ნაპირი შავი ზღვისა. იმ დროს, როდესაც ის ანაკოფიის ციხეს მიადგა, მთავარმა მირმა აუწყა უმცროს ძმას არჩილს ის ადგილი, სადაც მიწაში ჩაფლული იყო მთელი საუნჯე ივერიის ხაზინისა: ფული, გვირგვინები, ძვირფასი ნივთები და ეტრატებიანი ოქმები. ყველა ეს გარდამალული იყო ზოგი ქუთაისში, ზოგი ციხე-გოჯში და ზოგი უჯარმაში. მერე ორივე ძმამ გარდასწყვიტეს ციხიდამ გამოსვლა და მტრის თავზე დასხმა. ქრისტიანებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მირი სასიკვდილოდ დაიჭრა. ამ დროს მოსლემინები, რომელნიც დაბანაკებულნი იყვნენ აბაშას და ტეხურს შუა, საშინლად შეწუხებულნი იყვნენ სხვა-და-სხვა მოარულ სნეულების გამო. ადიდებულმა მდინარეებმა, რომელნიც გარშემო უვლიდენ ბანაკს, წაიღეს იმათი კარვები, კაცები და აურაცხველი სიმრავლე ცხენებისა და ამ ნაირად მოისპო მთელი მისი ჯარი. ზეპირ გადმოცემა გვიამბობს, ვითომ მდი-

---

[1]) მოწამეთა ქუთაისიდამ 4 ვერსზეა ტყიბულის რკინის გზაზე. წმ. დავით და კოსტანტინე არგვეთის მთავარნი იყვენ, გვარად მხეიძე.

[2]) წინააღმდეგ ამისა ბ. გ. წერეთელი ციხე-გოჯს ს. ჯიხაიშში, ტხონის ახლოს, ეძებს არ ასახელებს კი რომელ ჯიხაიშში: ფრიდონიანთ, დიდს თუ პატარა ჯიხაიშში!..

ნარეს აბაშას, რომლის სიახლოვეს დაიღუპნენ აბაშელების[1]) ურდოები, და მდ. ცხენისწყალს დაერქვათ აწინდელი მათი სახელებიო. იმის გამო, რომ პირველმა აბაშელთ ბანაკი წაიღო, ხოლო მეორემ—მათი ცხენები.

იმპერატორმა ლეონ ისავრელმა, როცა იუწყა თავის ელჩისაგან ყოველივე, რაც მოხდა ივერიაში, ბრძანა ივერიელების მთავრების გამხნევება, და გაუგზავნა თვითეულს მათგანს გვირგვინი ნიშნად კეთილის მათდამი განწყობილებისა; ლეონ აფხაზის ერისთავს მან უბოძა მემკვიდრეობითი ერისთაობა დასაჯილდოებლად იმა შეწევნისა, რომელიც მან აღმოუჩინა მირს და არჩილს.

ცოტა ხანს უკან მირ ჭრილობისაგან მიიცვალა; იმეფა 5 წელი. სიკვდილის დროს მან ჩააბარა ივერია თავის ძმას არჩილს, გარდასცა მას ეგერია და სვანეთი, რომელნიც იმის საუფროსო საუფლისწულოს შეადგენდნენ; დაუბარა მას, მიეთხოვებინა იმისი დაობლებული ასულები უთუოდ ერისთავებისათვის, და თანახმად ივერიის ჩვეულებისა, მზითებად დაუტევა მათ კლარჯეთი და შუა-სამეგრელო, ამასთანავე დაუბარა, რომ მათი მამის და თითონ მისი (მირის) ნაშთები უთუოდ გარდაესვენებინათ და დაეკრძალათ მცხეთის ტაძარში, ნიშნად კანონიერის ამა მხარის მფლობელობისა.

მირის სიკვდილის შემდეგ, არჩილმა მიათხოვა იმისი ასულები: პირველი—ჯავახეთის და კლარჯეთის მფლობელს, გურამ კურო-პალატს, მამის მხრით ბიძის შვილის-შვილს; მეორე—თრიალეთის და აბოცის მთავარს, მირიანის სიძის, ფეროზის შთამომავალს, მესამე—ნერსეს ნერსესიანს, გურგასლანის დიდებულის შთამომავალს, მეოთხე—ადარნასე ადარნასიანს, ნერსეს თან საერთოდ ქართლის მფლობელს, მეხუთე—ჯუანშერ-ჯუანშერიანს, მირიანის შთამომავალს, ბატონიშვილის რევის მოდგმიდამ. ამ უკანასკნელს მან გარდასცა ხერკი, ჯვარი, მთიულე-

---

[1]) აბაშელები არაბის ჯარის ნაწილს შეადგენენ.

თის და მანგლისის მაზრები — ტფილისამდი — რომელნიც პირადად მეფე არჩილს ►რ ექვემდებარებოდენ.

ამ გაყოფის შემდეგ არჩილმა, გარდასწყვიტა რა დამკვიდრება ქუთაისში და ეგერიაში, მიათხოვა მეექვსე ძმის-წული, სახელად გურანდუხტი აფხაზეთის ერისთავს[1]) ლეონს სანუქფოდ იმის დახმარებისა და აღიარა იგი მეფედ, მფლობელად ამა მხარისა კლისსურიდამ დიდ ხაზარეთის მდინარემდე.

არჩილი დაემკვიდრა მხარეში, რომელიც შეიცავდა მთელს ეგერიას შორაპნამდი, და ციხეც ააშენა გურიის და საბერძნეთის საზღვარზე.

მან დაჰყო ეგერიაში 12 წელიწადი ►ᲔᲛᲓᲔᲒ კახეთში წავიდა, სადაც მთელი ეს მხარე დაუნაწილა თავის მხლებლებს, რომელთაც აზნაურობა უბოძა. თითონ ააშენა იქ ციხე კასრი ლაგოეთის ხეობაში და ფოხნატო და იქაურნი მკვიდრნი მოაქცია ქრისტეს სჯულზე. მან შეირთო სტეფანოზის შვილის გურამ კურო-პალატის ქალი. მაშინ მოვიდენ მასთან სომხეთის ტარონის მაზრიდამ სამი ძმა, რომელნიც შაქის მხარეში თავ-შესაფარავადგილს ეძიებდენ. არჩილმა დაუთმო მათ, როგორც ეს მხარე, აგრეთვე ჰერეთის და კახეთი გულ-გულამდი, რომელნიც მურვანის მიერ აოხრებულნი იყვნენ. სხვა გარდმოსულთ მან ნება მისცა დასახლებულიყვნენ ტაოსის მხარეში, სადაც მათ კალმახის ციხე ააშენეს.

50 წლის შემდეგ არაბის სარდალმა ჭიჭუმმა ანუ ჭუმჭუმასიმმა განიზრახა კახეთზე თავდასხმა. არჩილმა რომ გაიგო ეს, შეატყო, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, თავის ნებით მივიდა მასთან. მუსულმანი ცდილობდა მოექცია არჩილ თავის სჯულზე; რაკი ვერ დაითანხმა, უბრძანა შეეგდოთ იგი საპყრობილეში. ჭიჭუმი ამაოდ პირდებოდა არჩილს სიცოცხლეს, მეფობას და უმეტესის უფლების მინიჭებას, თუ-კი იგი

---

[1]) ავტორი აქ აღარ იხსენიებს მირის მეშვიდე ქალს, მითხოვებულს ბარდავის ერისთავის შთამომავალის ვარზმანისადმი, რომელიც იმკვიდრებს კომანიდან ქურდის ხევამდე. დიმ. ბაქ. საქ. ისტ. 199 გვ.

მიიღებდა მის წინადადებას და აგრეთვე გარდასცემდა არაბებს საუნჯეს, რომელიც იმპერატორის ირაკლის და ადარნასე მთავრისობას მიწაში ჩამარხულ იყო. ერთმა გარდაბნის მთავარმა, სასანიდის გვარისამ, განრისხებულმა იმაზე, რომ ბიძა მისის მკვლელებმა თავი შეიფარეს ზემოხსენებულ მთავრისას, აუწყა ჭიჭუმ-ასიმს, ყველაფერი, რაც-კი ივერიაში მოხდა. არჩილი შეურყეველი დარჩა, და ჭიჭუმ-ასიმმა ბრძანა, თავი მოეკვეთათ მისთვის 20 მარტს, წელიწადი-კი ნამდვილად არ ვიცით. ქართული ეკლესია არჩილს მოწამედ რაცხს და იმის სახელის ხსენებას დღესასწაულობს 21 ივნისს. მოკლე მისი ცხოვრება აწერილია იმის ძმის-წულის ქმრის, ჯუანშერ-ჯუანშერიანის, მიერ.

უზენაესი უფლება არჩილის შემდეგ გარდავიდა მის შვილებზე იოანეზე და ჯუანშერზე. პირველი წავიდა ეგერიაში დედით და ორი დით, მეორე ორი დით დარჩა ქართლში და კახეთში. როცა ხაზარების ხაყანმა შეიტყო სიტურფე შუშანისა, რომელიც ყველაზედ უმცროსი იყო, მოციქული გამოუგზავნა ჯუანშერს და შუშანას ცოლად თხოულობდა. ჯვანშერი დაეკითხა დედას და თავის ძმას, რომელთაც უარი განაცხადეს. სამი წლის შემდეგ ხაზარის სარდალი ბლუჩანი დაეცა ივერიას ლაზისტანიდამ [1]) და შემოერტყა ციხეს, რომელშიაც ჯუანშერი თავისი დით შუშანით იმყოფებოდა. მან ომით აიღო ციხე და წაიყვანა ტყვედ ისინი; გზაზე შუშანს გაუპატიურების შეეშინდა, მიიღო საწამლავი, რომელიც მას ბეჭედში ჰქონდა და მით თავი მოიკლა. ხაყანმა თავის ბრძანების შეუსრულებლობისათვის სიკვდილით დასაჯა ბლუჩანი. მას ორმა მხედარმა კისერში ბაწარი ჩააბეს და აქეთ-იქით სწევდენ და თავი წასწყვიტეს. უკვე ცნობილია, რომ ამ დროს ხაზარები ხშირად თავს ესხმოდენ კავკასიის აქეთა მხარეს და აღმოსავლეთის მე-

---

[1]) აქ ავტორს lapsus calami მოსვლია, ლაზისტანის ნაცვლად დაღისტანი უნდა იყოს, ვინაიდგან ბლუჩანმა გარდამოვლო გზა ლეკეთისა, Hist. de la Géorgie გვ. 256.

ისტორიენი იხსენიებენ ამ გვარს იმათ თავ-დასხმას — ხალიფის გიშამის და აბდალლა ალმანსურის დროს. ერთ ამ თავ-დაცემის დროს ხაზარებმა დაიპყრეს უმეტესი ნაწილი აღოვანისა და კახეთის შვიდი მაზრა დაახლოებით 755 წელსა. — შვიდი წლის დატყვევების შემდეგ ჯუანშერი განათავისუფლა ხაყანმა დიდის პატივისცემით. სამწუხაროდ, სარკინოზებმა [1]), აიღეს-რა ტფილისი, თავისი უფლება მთელს ივერიაში განავრცელეს და ყოველ სულზე ხარჯს ახდევინებდენ. — ჯუანშერმა შეირთო ლატავრა სტეფანოზის II შვილის-შვილი, ბაგრატიონის გვარისა შთამომავალი. — ერთმა არაბების ემირმა, ხოსროომ აღადგინა ტფილისი, ხაზარების მიერ აოხრებული. —

ამ დროს ლეონი, აფხაზის ერისთავი განთავისუფლდა დამოკიდებულობისაგან ბერძენთა, რომელნიც მაშინ ძალიან დასუსტდენ, და დაიპყრა მთელი ეგერია ლიხის-მთამდე. როდესაც იოანე მთავარი მოკვდა, ლეონმა მეფედ აღიარა თავისი თავი. ჯუანშერი ღრმა მოხუცებულებაში უშვილოდ მოკვდა. ადარნასე, შვილი ნერსეისა, ძისა ვარაზ-ბაკურისა, — რომელიც სტეფანოზის I შვილის-შვილი და გურამ კურო-პალატის შვილი იყო — ჯუანშერის სიცოცხლეში შეიქნა მემკვიდრედ და ფლობდა კლარჯეთს, შავშეთს, აჭარას, ნიგალს, ალისფორს, არტაანს და მთელ ქვემო ტაოსის მაზრას, რომელნიც საუფლისწულოდ ვახტანგ გურგასლანის შვილებს იმათ დედის, ბერძნის ქალისაგან ერგოთ. მაშასადამე ადარნასეს შვილი, აშოტ-კუროპალატი, დედოფლის ლატავრას ძმა, ერთად-ერთი მფლობელი იყო სამხრეთ-დასავლეთ ივერიისა და ავიდა ტახტზე 787 წ. აშოტით იწყება ბაგრატოვანების დინასტია, რომელიც მართვიდა 1800 წლამდე ივერიას სხვა-და-სხვა სახელ-წოდებით: ქართლით, აფხაზეთით, კახეთით და იმერეთით. ამ გვარისავე შთამომავალნი მრავალნი იყვნენ დედოფლებად სომხითში, სამეგრელოში, გურიაში, რუსეთში, კოსტანტინეპოლში და ტრაპიზონში.

[1]) არაბებმა.

ექვს წლის წინეთ აშოტ კუროპალატის გამეფებამდი ახალი წელთ-აღრიცხვა შემოღებულ იქნა ევერიაში. უკვე ცნობილია, რომ 457 წ. ვინმე ვიქტორ აქვიტანელმა გამოიგონა 532 წლოვანი მზის მოქცევა წმიდა აღდგომის სწორედ გამოსაანგარიშებლად, და მეექვსე საუკუნის ნახევარში ეს ციკლოსი, შესწორებული დიონისი მცირეს მიერ, იხმარებოდა დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიებში, და აგრეთვე რომ მას დასაწყისი ჰქონდა ქრისტიანობის 1 წლიდამ. სომხებმა შეასწორეს თავისი წელთ-აღრიცხვა 552 წ. პასხალის ციკლოსით, ხოლო ევერიელებმა სირიის სამღვდელოების ჩაგონებით მიიღეს იგი 780 წელში, ე. ი. 1 წელში მეორე 532 წლოვან მოქცევისა რომის დაარსებიდამ ათასი წლის გასვლის შემდეგ, რომელიც მოხდა 248 წ. ქრ. შობის შემდეგ. ევერიელებმა ამ წლიდამ იწყეს წელთ-აღრიცხვა მაშინ, როდესაც ბერძნები იწყებდენ 436 წ. ვიქტორის მოქცევისას. ამის გამო ევერიელებმა არამც თუ გაუსწრეს ბერძნებს, არამედ, ვინაიდგან ხმაროდენ 532 წლოვან მოქცევას, ხრონოლოგიის ანგარიშისათვის ქრ. შობ. წინეთ, იძულებულნი იყვნენ დაესვათ ქვეყნის დასაბამი 96 წლით წინეთ, ვიდრე ბერძნული ხრონოლოგია უჩვენებს, ხოლო ქრისტეს სჯულის დასაწყისი—5604 წ. და არა 5508 წ.—ძველ ქართულ ხელ-ნაწერებში და აგრეთვე უძველესთ შენობათ კედლებზე მთელს საქართველოში ამ გვარ წელთ-აღრიცხვას ვპოულობთ. ხოლო მას შემდეგ, როდესაც ქართველებმა უფრო ახლო გაიცნეს დასავლეთი, მიიღეს ბერძნული წელთ-აღრიცხვა, ე. ი. აღიარეს ქრისტეს სჯულის დასაწყისი 5508 წ. დასაბამიდამ სოფლისა. რაც შეეხება პასექის მოქცევას ისინი წლევანდელს 1855 წ. [1]) რაცხვენ მეთერთმეტე წლად მე-15-ტე 532 წლოვან მოქცევისას. ეს პასექის წელიწადი—წოდებული ქორონიკონად—იწერებოდა თითქმის განსა-

---

[1]) ავტორს ამ წელს დაუწერია პირველი ნაწილი საქართველოს ისტორიისა.

კუთრებულად ყველა ხელნაწერებზე და ფულებზე საშუალ საუკუნოების დროს, ხატებზე და სხვა საქართველოს უძველეს ნაშთებზე, ხოლო, როდესაც ქართველ მწერლებმა თანდათან ქრისტეს შობიდამ იწყეს წელთ-აღრიცხვის ჩვენება, ხალხმაც დაივიწყა პასექის მოქცევა, რომელიც ახლა საქართველოში გარდა სამღვდელოებისა თითქმის აღარავინ იცის. [1])

მთავარი აშოტი ბარდავში ტ იმის მიდამო ადგილებში ცხოვრობდა, რადგანაც ტფილისი მუსულმანის მმართველს, ალიას შუაბის შვილს ეჭირა. აშოტი კუროპალატად წოდებული იქნა ბერძნების იმპერატორის მიერ, მაგრამ არ ვიცით კი, სახელდობრ რომლისაგან. ბაღდადის ხალიფი პატივს სცემდა მას. აშოტი გაელაშქრა გრიგოლ კახეთის მთავარზე, რომელსაც

---

[1]) ეს წელთ მომდინარეობა დაყოფილია მზის და მთვარის მოქცევაზე, რომელიც შეიცავს 532 წ. „რადგან მზის მოქცევა, ვახუშტის თქმით 28 წელია და მთოვარისა—19 და ესენი გაუსწორდებიან 532 წელს; ესრედ 28-ჯერ 19 იქნება 532 და 19-ჯერ 28 იქნება ასევ 532. ამისათვის ორნივ ამ 532 წელს მოიქცევიან და ისევ პირველსავე პიჰყვებიან". ამით ძველს დროში ხსნიდენ, რომ 532 წლ. შემდეგ ყველა პლანეტები ბრუნდებიან იმავე წერტილებზე, რომელთაგან დასაბამიდან სოფლისა იწყეს თავისი მსვლელობა მზის ირგვლივ, ასე რომ საკუთრად მოვარე 19 წლის შემდეგ და მზე 28 წლის შემდეგ ისევ მივლენ თავისს წინანდელ ადგილზე, რომლისაგანაც ამა ხნის განმავლობაში რავდენადმე გაშორდებიან. ამ საფუძვლით თვითონა ციკლი, კვიკლოსი „კიკლოსი ანუ ინდიკტიონი სამუდამოდ იწოდება, რადგანაც მუდამ მოიქცევა, და ვითარცა ფენიქსი, 532 წლ. შემდეგ განახლდება. ახლა ჩვენ ვიმყოფებით მე-15 ციკლში ანუ მოქცევაში, რომელიც 1844 წლიდამ დაიწყო. დაყოფა ქრ. წინადროებისა ციკლებად ეკუთვნის ვახუშტის Introduction LVI Таблица хроникона или грузинскаго лѣтосчисленія въ описаніи др. г. Тифлиса Пл. Іосселіани, გვ. 293—314. დ. ჩუბინაშვილი ამტკიცებს, რომ ქართულ წელთ-აღრიცხვას დასაბამი აქვს პონტიოს, ძველის კაპპადოკიის ერაში, ე. ი. 284 წ. ქრ. შ. წ. „Этнографія народовъ, населявшихъ древнюю континентальную и приморскую Каппадокію или Понтъ Римскихъ писателей" 1877. ამ გამოკვლევით ის ამტკიცებს, რომ მკვიდრნი ამა კაპპადოკიისა ქართველნი ანუ ივერნი იყვნენ.

ეწეოდენ მთიულები წანარები და ტფილისის ემირი. აფხაზის მთავარი-კი თევდოსი აშოტის მომხრე იყო. ის შეებრძოლა გრიგოლს მდ. ქსნის პირზე; სძლია რა იგი, წაართვა ყველა მისი სამფლობელო ქართლში. ამის შემდეგ იგი დარჩა მთავრად მთელი ამა ქვეყნისა ქსანსა და ჯავახეთ შორის.

შემდეგ ამისა ცოტა ხანმა განვლო, როდესაც ვინმე ხალილ-ემირმა, იეზიდის შვილმა, არაბეთიდამ მოსულმა, დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი. აშოტმა განიზრახა საბერძნეთში გაქცევა დედით ტ ცოლით. გზაზედ იმის მცირე ამალამ გაიმარჯვა სარკინოზებზე [1]) ფარავანის ტბასთან. იქედამ შავშეთსა და კლარჯეთში გადვიდა და დაესახლა ამ მხარეში, მურვან ყრუს მიერ აოხრებულში. მან აღადგინა არტანუჯის ციხე. აშოტს ჰყავდა ორი ვაჟი, ადარნასე და ბაგრატი. არტანუჯში მას შეეძინა კიდევ მესამე, გურამი. აქ ბერძნის იმპერატორის შემწეობით აშოტი გამაგრდა და მოახერხა თან-და-თან უკანვე დაებრუნებინა თავისი სამფლობელო.

ერთ დღეს აშოტი გამოვიდა არტანუჯის ციხიდამ მუსულმანების საბრძოლველად. სანამ იმის ბრძანებას აღასრულებდნენ და ჯარი შეიკრიბებოდა, სარკინოზები მოულოდნელად მას თავს დაეცენ, შეიმწყვდიეს ეკლესიაში, რომლის სახელს ისტორიკოსი არ იხსენიებს, და მოკლეს ტაძრის წინეთ 29 იანვარს 46 წ. პასხალიონისა, 826 წ. ქრ.-შობის შემდეგ. მისი გვამი წამოიღეს მოსამსახურეებმა და დაასაფლავეს მის მიერ აგებულს არტანუჯის წმ. მოციქულების ტაძარში. აშოტის სიკვდილის შემდეგ სარკინოზებმა დაიპყრეს ყველა იმისი მაზრები, შავშეთის და კლარჯეთის გარდა. ალის, შუაბის შვილს ეჭირა ტფილისის ქალაქი. ამასობაში აშოტის შვილები, რომელნიც არტანუჯში იყვნენ, შეიარაღდენ და თან-და-თან დაიბრუნეს მამის მამულები. გარდბანის ქორ-ეპისკოპოზმა სამუ-

---

[1]) სარკინოზები, რომელთაც დასავლეთში სარაცინებად უწოდებენ, იგივე არაბები არიან.

ილ დონაურმა, რომელიც დაჩის შვილის, იოანე ქვაბულიძის შემდეგ ამორჩეული იყო, დიდად დაამარცხა ემირი ხალილი გავაზში. ხალილი მეორედ თავს-დაესხა მას ტფილისის ემირის სააკის, ისმაელის შვილისობას და მაშინ-კი მოჰკლეს იგი ჯავახეთში. როდესაც იმის შვილი მაჰმადი მოვიდა ქართლში, ბაგრატი, მეორე შვილი აშოტ კუროპალატისა, მიემხრო მას, მიიღო მისგან ქართლი და მშვიდობიანად აღვიდა ტახტზე.— აშოტის მეფობის დროს მოხდა სჯულისათვის წამება წმ. აბო ბაღდადელისა. ეს წმიდა ეახლა ბაღდადს ცნობილს ნერსეის, ადარნასეს შვილს, ქართლის ერისთავს, რომელიც 876 წ. სამშობლოში დაბრუნდა შემდეგ სამი წლის დაპატიმრებისა. აბო, რომ გაქრისტიანდა მუსულმანებისაგან დევნისა ასაცილებლად ნერსეისთან გარდაიმალა ხაზარეთში და აფხაზეთში. შემდეგ ნერსეის წასვლისა ქართლის ერისთავად შეიქნა სტეფანოზი, მისი დის-წულის და გურგენ ერისთავის შვილი. ნერსე ისევ დაბრუნდა ქართლში, მას წმიდა აბოც თან ახლდა. შემდეგ სამი წლისა აბო დაპატიმრებული იყო, როგორც მაჰმადის სჯულზე გარდამდგარი, და, რადგანაც უარი განაცხადა ცრუ—წინასწარმეტყველის სჯულისა ხელახლად მიღებაზე, მას მოსჭრეს თავი 6 იანვარს 786 წ. მუსის ხალიფობაში და სამუილის კათალიკოზობაში. მისი წმიდა ნაშთები, მდ. მტკვარში გარდაყრილნი, ქრისტიანებმა ამოასვენეს და დაკრძალეს კლდეზე მეტეხის ციხის ძირში, სადაც აქომამდე დგას პატარა საჯვარე იმის სახელზე. საქართველოს ეკლესია დღესასწავლობს წმ. აბოს ხსენებას 7 იანვარს.

ბაგრატი I, აშოტის შვილი ძმებით დარჩა სარკინოზების მორჩილებაში და, მიემხრო რა ემირს მაჰმედს, ხალილის შვილს, იმის აშლის დროს ტფილისის ემირ სააკთან, დაიჭირა უფლისციხე. მაჰმედი, ომში [1]) დამარცხებული გაიქცა ბარდას დაახლოვებით 841 წ. თურქი ბუღა გაგზავნილ-იყო ჯურზანს [2])

[1]) რეხის ომში.

[2]) საქართველოში.

ხალიფის მახტაზეტის მიერ დასასჯელად ტფილისის ემირისა, რომელიც იმას აუჯანყდა; მან მოჰკლა ომში საკი. თევდოსი, აბხაზის მთავარი წინააღუდგა ბუღას, დამარცხდა კვერცხობში და გაბრუნდა ოსეთში. დაბრუნების დროს ბაგრატ კუროპალატს და ზიროკს, ბუღას მოადგილეს, გზაში დახვდენ გარდბანელები ტ ჯვარის-გვერდს სრულიად დაამარცხეს ტ, თუმცა ისინი ძალით უმეტესნი იყვნენ, მაინც ვერ მოახერხეს მტრის რაზმის გარღვევა და ოსეთში გარდასვლა იმიტომ, რომ აბულაბაზმა, სომხების მეფემ და ბაგრატის სიმავრმა და გურამ მამფალმა, ბაგრატის ძმამ, შეაიარაღეს ყველა მთიულები მუსულმანის საწინააღმდეგრდ. ამასთან მტრის ცხენებს ეჭამათ ელი [1]) ტყეებში, რისგანაც დაიხოცენ. ბუღამ უკან დაიხია ბარდაში და დაასახლა შამქორში და დბანისში ასი ოსის ოჯახი თითოეულს ქალაქში.

ხალიფმა იმის ნაცვლად დანიშნა მაჰმედი, ხალილის შვილი, შემდეგ მაჰმედისა — ისემი ხოშის შვილი და ამის შემდეგ — აბრაამი. იმ დროს გაბრიელ დონაური, სამუილის ძმა კახეთის ქორ-ეპისკოპოზად შეიქნა. ამის შემდეგ მაჰმედი დანიშნულიქნა კვალად ემირად და, როდესაც ის გამოსცვალეს, მის მოადგილედ დანიშნეს გაბლუცი, სირიის მთავარი, რომელიც დატყვევებული წამოიყვანა ივერიაში გურამმა, ბაგრატ კუროპალატის ძმამ. ამ გურამმა დაიკავა ჯავახეთის და თრიალეთის მაზრები, რომელნიც დაუყო შვილებს და გარდიცვალა 883 წ. ბაგრატ კუროპალატი მოკვდა 876 წ. მან დაუტოვა თავის უფროს შვილს, დავით კუროპალატს ძლიერ შესუსტებული უფლება შემდეგ თავ-დასხმისა გიორგისა, აფხაზეთის მთავრისა, რომელმაც დაიპყრა ქართლი, და აგრეთვე ჩიხაში ერისთავად დასვა თავისი ძმისწული, ტინენი. ეს ერისთავი მალე მოკლულიქნა მისი ბიცოლის, გიორგის ქვრივის ბრძანებით. იოანე, ამ უკანასკნელის მემკვიდრე აფხაზეთში მოკვდა 879 წ. იმის მემ-

---

[1]) asalia pontica.

კვიდრედ იყო იმის შვილი ადარნასე, რომელმაც ბაგრატ კუ-
როპალატის ძმისწული შეირთო. ამასობაში ლიპარიტ ორბე-
ლიანმა მიითვისა თრიალეთის მაზრა ქართლში და გამაგრდა
კლდე-კარში. ამ გვარი იყო ივერიის მდგომარეობა დავითის
ტახტზე ასვლის დროს.—აფხაზები შეუერთდენ დავითის ორს
ბიძაშვილებს, გურგენს და ნერსესს, და აპირებდენ ქართლის
დაპყრობას. სამხრეთით სომხეთის მეფე აშოტ დიდი თვით და-
ვითის და ლიპარიტის შემწეობით წარმატებით ებრძოდა მათ.
აშოტმა დაიპყრა გუგარის მაზრა, სამხრეთი ივერიისა და კავ-
კაზიის თემნი და დაჯილდოებული იქნა სამეფო გვირგვინით,
როგორც იმპერატორი ბასილის მიერ, ისრე ხალიფ მოხტადის
მიერ. სომხის მეისტორიე ვარდანის დარწმუნებით, მან აჩუქა
ივერიის მეფობა დავითს, თავის დისწულს, ბაგრატ I შვილს—
881 წ. დავით კუროპალატი მოჰკლა ნასრემ, რომლის წინა-
ალმდეგ შეერთდენ სომხები და ივერიელები, ლიპარიტი და
აშოტი, ძმა დავითისა. ნასრე დამარცხდა და გაიქცა საბერძნეთ-
ში, ხოლო ადარნასე II დაჯდა მამის ტახტზე.—ამ მეფემ და-
აფუძნა ბანაში, აწინდელ პანაქში საეპისკოპოზო ეკლესია.
იმის მეფობის დამდეგში ბაგრატი, ძმისწული აფხაზეთის მთავ-
რისა, ჯარით შემოვიდა საბერძნეთიდამ და დაიპყრა აფხაზეთი,
მოჰკლა იქაური მთავარი ადარნასე, რომლის ქვრივი ცოლად
შეირთო. ამითი არ დაკმაყოფილდა, დაიბარა საბერძნეთი-
დამ ნასრე და ჩააბარა მას ჯარი, რომლითაც ამ უკანას-
კნელმა აიღო ამ ომში სამი ციხე: ოძრხე, ჯვარის-ციხე და
ლომსიანთა, რომელნიც მამამისმა, გურამმა, ააგო. აქედან ნა-
სრე გაელაშქრა ქართლში ადარნასე კუროპალატისა წინააღმ-
დეგ, რომელიც დახვდა მას მტკვრის პირად და გაფანტა აფხა-
ზების ჯარი. თითონ ნასრეს მოეწიენ ასპინძაში და მოჰკლეს იგი
888 წ.—890 წ. მეფე ადარნასე წავიდა სომხეთში, როგორც
მეგობარი სანახავად სემბატისა მეფის, აშოტ დიდის შვილისა
და მემკვიდრისა. იქ ის დაიჭირა აბაზმა, სემბატის ბიძამ და შე-
იპყრა ციხეში, საიდამაც არ გამოუშვეს ის სომხებმა, სანამ

ორი ციხე და შვილი მისი დავითი მძევლად არ ჩამოართვეს. სომხის მეისტორიეს რწმუნებით ადარნასე მთელ ივერიით სემბატის უფლების ქვეშ იყო და მიიღო მისგან მეფის გვირგვინი 899 წ. დასაჯილდოებლად თავის ნამსახურისა. მეფე ადარნასეს ომი გამოუცხადა გურგენმა, იმის ნათესავმა, ტაოსის მაზრაში მცხოვრებმა, რომელიც დაიჭრა ომში არტანუჯის ხეობაში და მოჰკვდა ჭრილობისგან 891 წ.

იმ დროს გაძლიერდა ფადლა, კახეთის დამოუკიდებელი მთავარი და ქორ-ეპისკოპოსი, რომელმაც დაიპყრა გარდბანის მაზრა. იმას მემკვიდრედ იყო კვირიკე, რომლის დროს კახეთის დიდებულებმა თან-და-თან ქართლი დაიჭირეს. 901 წ. სამეგრელოს ბატონის-შვილმა კოსტანტინემ, ადარნასე კუროპალატის სიძემ, გაილაშქრა სემბატის წინააღმდეგ, შევარდა გუგარის მაზრაში და მოალწია ალანის კარებამდი (დარიალანს). ადარნასე შეუერთდა სემბატს კოსტანტინეს წინააღმდეგ, და დაიყოლია კოსტანტინე მორიგებაზე, მაგრამ მოლაპარაკების დროს დაატუსაღა იგი. სემბატმა განათავისუფლა ის და მით ადარნასე გადაიმტერა.

ბაგრატის მემკვიდრედ კოსტანტინე შეიქნა 906 წ. მან სომხეთის მეფის სემბატის მტერობით დაეცა ქართლს, იერიშით აიღო უფლის-ციხე და დაუბრუნა იგი ადარნასეს მხოლოდ მაშინ, როცა მან ცოლად ერთი მისი დაახლოვებული ნათესავი შეირთო. ამის შემდეგ მუსულმანის ემირი უსუფი, აბუსადჯას შვილი, შევიდა სომხეთში შესარიგებლად მეფე სემბატთან, რომელმაც აუწყა ხალიფს იმის საეჭვო მოქმედება. ამ ომის დროს ადარნასემ სემბატს წინააღმდეგობა აღმოუჩინა და კიდეც განიზრახა იმისი მოკლა და გვირგვინის წართმევა. ხოლო სემბატმა დიდ სულოვანობით აპატია მას და გაისტუმრა შინ. მერე უსუფი ხელმეორედ აუჯანყდა ხალიფს, გაზდია სემბატს აფხაზეთში, გარდავლო სომხეთი და ააოხრა სომხეთის 43 მაზრა, აიღო ქალაქი ყველი და ციხე კაპოეტი, სადაც სემბატმა თავი შეიფარა; დაატყვევა სემბატი და ჩამოახრჩო ის ქ. დვინ-

ში 914 წ. იმავე წელს რუსებმა დაიჭირეს ქ. ბარდა, სადაც 6 თვე დარჩენ და უკანვე ზღვით დაბრუნდენ. სემბატის დევნის დროს უსუფი მოვიდა ტფილისს,—სადაც ემირად ჯაფარი, ალის შვილი იყო,—იერიშით აიღო ქ. უჯარმა,—რომელიც მან განამაგრა—და ბოჭორმა, ჯარისგან მიტევებული. უსუფმა დაიმორჩილა კახეთის ქორ-ეპისკოპოზი კვირიკე და გარდავიდა ქართლში, სადაც დახვდა მას უფლის-ციხე მცხოვრებისაგან ალხრებული. აქედამ ის წავიდა სამცხეში და ჯავახეთში. როცა ის გარშემოერტყა ყველის-ციხეს, რომელიც დიდს ერისთავს, გურგენს, ეკუთვნოდა, დატყვევებული იქნა ვინმე გობრონი, ყმაწვილი კაცი საოცრად მამაცი, რომელიც მუდამ ამხნევებდა დასუსტებულთ მეციხოვანებთ. უსუფმა წინადადება მისცა მას, რომ უარი ეთქვა ქრისტიანობაზე და დაპირდა მას განთავისუფლებას, მაგრამ გობრონი მტკიცედ იდგა თავის სჯულზე, ამისა გამო 912 წ. თავი მოსჭრეს როგორც მას, აგრეთვე ერთად მასთან 133 ქრისტიანებს. საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს იმის ხსენებას 17 ნოემბერს. რამდენიმე წლის შემდეგ კოსტანტინე, აფხაზეთის მთავარი, ქორ-ეპისკოპოზის კვირიკეს მიპატიჟებით კახეთში წავიდა და შეეწია მას დაბა ვეჯინის გარშემორტყმის დროს. ვინმე პატრიკმა ადარნასემ,—შეიძლება ეს ყოფილიყოს თვითონ ადარნასე, ივერიის მეფე—აიძულა ისინი ციხიდამ ჯარი შემოეხსნათ; მან აჩუქა აფხაზს [1]) არეშის და გავაზის სოფლები, ხოლო ქორ-ეპისკოპოზს—ორდშაბი. დაბრუნების დროს კოსტანტინე მოკვდა 921 წ. მემკვიდრედ დარჩა მას შვილი გიორგი, რომელიც სათნოებით და ღვთის მოყვარეობით განთქმული იყო; მემატიანე მას მიაწერს ჭყონდიდის ეკლესიის აშენებას. შესაძლებელია, მან საფუძველი ჩააგდო, ხოლო ორი წარწერა, რომელნიც ეხლაც სჩანან იმის კედლებზე, მიაწერენ იმის აშენებას, პირველი ბერძნული—ვიღაც კოსტანტინეს, და მეორე ქართუ-

---

[1]) კოსტანტინეს.

ლი—აფხაზეთის და ქართლის მეფეს ბაგრატს 996 წ. აქედამ ცხადია, რომ მემატიანეს ჩვენება არ არის სარწმუნო.—სომხების მეფემ აშოტ-ერკატმა, სემბატის მემკვიდრემ დაიპყრა ამის შემდეგ გუგარის მაზრა და აღიარებულ იქნა მეფედ აფხაზეთისა და ქართლისა იმ მთავრებისგან, რომელთაც შეეწიენ მას ომში არაბების წინააღმდეგ. ამ დროს სომხითის პატრიარქის იოანე—მეისტორიეს ცდით შერიგდენ ძლიერ კეთილ-გონიერნი ქართლის კუროპალატი ადარნასე და აფხაზეთის მთავარი გურგენი ანუ გიორგი, კოსტანტინეს შვილი. აბაზმა, აშოტის ძმამ, შეირთო აფხაზეთის მეფის გიორგის ქალი და ცოტა ხანს უკან სიძე-სიმავრმა შეითქვეს აშოტის წინააღმდეგ, რომელმაც შეკრიბა ჯარი და დაეცა აფხაზეთს. გიორგიმაც აგრეთვე ააოხრა სომხების სამფლობელო 922 წ. სომხების მეფემ, რომელსაც ადარნასე კუროპალატი ეწოდა, ასტეხა ომი, რომელშიაც აფხაზები დამარცხდნენ, გაიქცენ და პატივება ითხოვეს. ამის შემდეგ სომხების მმართველმა სამშვილდეში წინადადება მისცა გიორგის ციხის დათმობაზე, მაგრამ მეციხოვნები რაღაც გაუგებლობისა გამო არ დასთანხმდენ აფხაზების შეშვებაზე და აშოტის ჯარის მიღებაზე, და ამის შემდეგ მტერი ძლეულ იქნა, და დაზავდენ მეომრები. ბოლოს აშოტმა, როგორც იყო, თავისკენ მიიმხრო აფხაზეთის მთავარი, რომელიც შემდეგ შეიქნა მისი საიმედო მოკავშირე. კვირიკე ქორეპისკოპოზის მემკვიდრედ შეიქნა 938 წ. იმისი შვილი ფადლა, რომელმაც აღადგინა ლოწობანის სიმაგრენი. იმის დროს მუსულმანის ემირი საჯი თავ-დაესხა კახეთს, დაიპყრა იგი, ააოხრა მკხეთა და ჯვარი. მან წაიღო თან ცხოველ-მყოფელი ჯვარი წმიდა ნინოსი. დაბრუნების დროს იმისმა ჯარმა იმდენი გაჭირება გამოიარა ჟამისაგან, რომ შეშინებულმა შეაგროვა ჯვრის ნამტვრევები და უკანვე დააბრუნა თავის ადგილსავე.—იშხანიკის მეფობამდე ჰერეთის მაზრაში იქაურნი მკვიდრნი მწვალებლები იყვნენ; ხოლო ერისთვის გურგენის დის გავლენის მეოხებით, რომელიც შეირთო იშხანიკმა, იქ მართლ-მადიდე-

ბლობა დამყარდა. იმავე დრო სომხეთის კათალიკოზი, ვაგანი, რომელიც დაჯდა 969 წ. შეთანხმდა ივერიასთან მისაღებად ხალკიდონის კრების დადგინებისა, მაგრამ გარდაგდებულ იქნა ტახტიდამ 970 წ.; აგრეთვე და იმავე მიზეზის გამო ჩამოაგდეს მისი მოადგილე სტეფანოზ III.— ამასობაში მუსულმანების სარდლებს ეჭირათ ბარდა და ადერბაჯანი. გიორგიმ, აფხაზეთის მთავარმა, ჩააბარა ქართლი თავის შვილს კოსტანტინეს, რომელიც მართვიდა მას 923—926 წ. ადარნასე III კუროპალატს, რომელიც 923 წ. გარდაიცვალა, მემკვიდრედ დარჩა შვილი სემბატი; იმის მეფობა ვიცით მხოლოდ მით, რომ 1) იმის სახელს მოიხსენიებს მასუდი, თითქმის თანამედროვე არაბის ისტორიკოსი; 2) რომ ლოდის —ყანას ეკლესიაზე, იმისობას აშენებულზე, ქ. არტანუჯის ახლოს, არის წარწერა ქვაზე, გამოქანდაკებული იმის სახელით; 3) აგრეთვე მით, რომ ჯრუჭის მონასტერში დაცულია ოთხ-თავი სახარება, დაწერილი ასომთავრულის ხუცურის ასოებით 256 და 259 წლ. პასხალიონისა ე. ი. 936 და 927 წ. ქრ. შ. შემდ. სემბატი მოკვდა 958 წ.—

სომხების მეისტორიენი მოგვითხრობენ, რომ 937 წ. მეფე აშოტ II ყარსში შვენიერ ტაძარს აშენებდა. უეცრად ვიღაც ბერი,—ამბობენ, ვითომც ის ქართველთ-აფხაზებისა მეფე იყო,—დაეცა მას დიდძალი ჯარით, რათა ჩაუშალოს ტაძრის კურთხევა სომხური წესისამებრ. აშოტმა შეკრიბა ჯარი, გაჰყარა მტერი, დაატყვევა ბერი და მას თვალები დასწვა. არ არის ცნობილი, ვინ უნდა ყოფილიყოს ეს ბერი, რადგანაც მას ქართული მატიანე ცალი სიტყვითაც არ იხსენიებს. თუმცა აქ უნდა ვსთქვათ, რომ ბერძნების ისტორიკოსებიც ბევრს იმ გვარ ამბავს მოგვითხრობენ აფხაზეთის ისტორიიდამ, რომელსაც ქართველები არ მოიხსენიებენ.— ადარნასის და სემბატის მეფობას მიაწერენ მოქმედებას ტაოსელ ბაგრატიდებისას, რომელნიც ქ. არტანუჯში იმყოფებოდენ ბერძნების იმპერატორების მორჩილებაში. ლეონ II, წოდებული ფილოსოფოსად,

და რომან ლეკაპენი იკავდენ ამ მაზრებს მუსულმანების წინააღმდეგ და ნება მისცეს იქაურ მთავრებს გაევრცელებინათ თავისი უფლება იმ მხარემდი, რომელიც არაკსის სათავეში მდებარეობს. პირველი ამ არტანუჯის მთავართაგანი იყო სუმბატ მამფალი, შვილის შვილი ქართლის მეფის აშოტ კუროპალატისა. იმის მემკვიდრედ 889 წ. გახდა შვილი მისი ბაგრატ მამფალი; ბაგრატმა 909 წ. მემკვიდრედ დასტევა შვილი გურგენ ერისთავი, ცნობილი ბერძნებისაგან მაგისტროსად, რომელმაც წაართვა არტანუჯი ძმას და თავის სიმავრს აშოტს და მისცა— იმის ნაცვლად ყველის-ციხე (ტიროკოსტრანი) და აჭარის ხეობა. გურგენ ერისთავი აეშალა გიორგის, აფხაზების მეფეს, რომლის ქალი აშოტს კისკასს ჰყავდა ცოლად, და აიძულა ეს უკანასკნელი გარდასულიყო აფხაზეთში. შემდეგ გურგენის უშვილოდ გარდაცვლისა 923 წ. არტანუჯი გარდავიდა იმის ბიძაშვილის სუმბატ ერისთავის ხელში, ხოლო იმპერატორს რომან ლეკაპენის მეფობაში აშოტ კისკასმა გარდასცა არტანუჯი ბერძნებსა, რომელთაც დაიჭირეს ის მოკლე ხნით, მაგრამ დანარჩენებმა ბაგრატიდებმა ისეთი დრტვინვა დაიწყეს, რომ იმპერატორმა გარდასცა იგი მერე აშოტს, კისკასის ძმისწულს. ამ მოკლე მიმოხილვიდამ სჩანს, რომ ტაოსელი ბაგრატიდები უფროსის და უმცროსის შტოისანი, წოდებულნი კუროპალატებად, მაგისტრებად და პატრიკებად, თუმცა ირიცხებოდენ ბიზანტიის მეფეების სამსახურში, მაგრამ საქართველოსთან ყველა დამოკიდებულებას არ სპობდენ. ისინი მუდამ იმყოფებოდენ ტაოსის მხარეში, რომელიც მთელს დასავლეთ ივერიას შეიცავდა და რომელიც შემდეგში ოსმალოს მფლობელობის დროს, შეადგენდა ახალციხის ფაშალიყს; მაშასადამე მათი უფლება არ იყო გავრცელებული არც იმერეთზე და სამეგრელოზე, და არც ქართლზე და კახეთზე. აფხაზეთის მეფეები თავის მხრით ყოველ ღონის ძიებით მოწადინებულნი იყვნენ დაეპყრათ ქართლი და კახეთი, საიდამაც თანდათან მათ განდევნეს მუსულმანები და ქორეპისკოპოზები. ამით უნდა აიხსნას თანდა-

თანი დასუსტება კუროპალატებისა და იმავე დროს გაძლიერება აფხაზთა [1]). ამ შეხედულობის სინამდვილეს ბიზანტიის და სომხეთის ისტორიკოსებიც მოწმობენ.

ზემოხსენებული კოსტანტინე, აფხაზეთის მეფის შვილი, სამი წლის განმავლობაში ფლობდა ქართლს, და აღუდგა თავის მამას გიორგის, რომელსაც ახლდა ჯარი ტაოსის ყველა ადგილებიდამ და აიღო უფლის-ციხე, რომელშიაც კოსტანტინე გამაგრებული იყო; გიორგიმ ვერაგობით დაიჭირა ის და დაასაჭურისა. ეს რომ შეიტყო გარდაბანის აზნაურობამ, აღუდგა კვირიკეს, ფადლას მემკვიდრეს და მიიწოდა კახეთში აფხაზეთის მფლობელი. მან დაიპყრა და ააოხრა კახეთი. ის დაბრუნდა შინ და შემდეგ ხელ-მეორედ შემოვიდა და დანიშნა თავისი შვილი ლეონი ქართლის ერისთავად; თითონ კი ატენში დაბანაკდა. შეშინებული კვირიკე ეახლა გიორგის, მორჩილება გამოუცხადა და შემდეგ იდუმალ გაპარვა განიზრახა, მაგრამ შეიპყრეს გზაში. მაშინ გიორგი წავიდა კახეთში და დაიპყრა უჯარმა და დანარჩენი ციხეები, ნახჭევანის, ბოჭორმის და ლოწობანის გარდა. ხახუა არეშიძე [2]) გამაგრდა მარავში, მაგრამ ის დაატყვევეს და ჯიქეთში გაგზავნეს. ფადლაც კვირიკეს შვილი გამაგრდა ნახჭევანში, ხოლო, როცა დაინახა, რომ თავს ვერ უშველიდა, დამორჩილდა იმ პირობით, რომ მომავალ წლის აღდგომამდის თავს არ დასხმოდა ბოჭორმას. გიორგი წავიდა აფხაზეთში. მაშინ ქართლის ერისთავების შეგონებით კვირიკემ არამც თუ არ დაიცვა მიცემული სიტყვა, არამედ შეკრიბა ჯარი და მეორედ დაიპყრა თავისი ქვეყნები. გიორგიმ ხელ-ახლავ გაგზავნა კახეთში თავისი შვილი ლეონი ჯარით, მაგრამ ველარ მოესწრო ომის დასრულებას და 955 წ. გარდაიცვალა. ლეონი შეურიგდა ქორეპისკოპოზს და დაბრუნდა აფხაზეთში. მემატიანე მიაწერს მას აშენებას მოქვის შვენიერ ეკ-

---

[1]) ბაგრატიდებისა.

[1]) ვახუშტით ჰრსის ძე.

ლესიისას, რომელიც აქამომდე დაცულია და რომელსაც იატაკი თეთრი მარმალილოთი აქვს დაფენილი. ამის დასამტკიცებლად არა მოიპოვება რა, ხოლო ის-კი ცნობილია ზედწარწერებიდამ, რომ ლეონის მეფობაში აშენებულია 964 წ. შვენიერი კუმურდოს ტაძარი, რომელიც ეხლა დანგრეულია. [1])

ლეონმა მიათხოვა კვირიკეს თავისი და, რომელიც მალე მოკვდა და ამას შემდეგ ის ისევ შეესია კახეთს. მან უკვე ააოხრა მუხრანი, ხერკი და ბაზალეთი და გაჩერდა მდ. არაგვის პირზე, სადაც ავად გახდა და დაბრუნების დროს მოკვდა. სჩანს, რომ მემატიანე შეცდომით მიაწერს იმის სიკვდილს 957 წ. იმის მემკვიდრედ შეიქნა ძმა მისი დემეტრე, რომელსაც ქართლი ხელთ ეპყრა. თევდოსე, მეორე ძმა ლეონისა, მოვიდა საბერძნეთიდან, სადაც ის იზრდებოდა, წინა-აღუდგა დემეტრეს, მაგრამ მას მოულოდნელად თავს დაესხა ძმის ჯარი. თევდოსემ ძლივს მოასწრო ქართლში გაქცევა და იქედან დავით დიდთან კოროპალატთან, მეფე ბაგრატ რეგვენის ძმისწულთან. იქედან ერთი წლის შემდეგ ის გარდავიდა კახეთში; იქაურმა მთავარმა კვირიკემ გარდასცა ის ძმას, რომელმაც, თუმცა სიტყვა მისცა კათალიკოზის და სამღვდელოების თანადასწრებით, მაგრამ შემდეგში ბრძანა მისთვის თვალები დაეწვათ.

დემეტრეს სიკვდილს შემდეგ 979 წ. თევდოსე შეიქნა მეფედ იმიტომ, რომ აფხაზების მეფის სახლიდან აღარავინ დარჩა იმის და მის დის გურანდუხტის მეტი, რომელიც ცოლად

---

[1]) ჯავახეთში მდგომარის კუმურდოის მთელი ტაძარი კი არ არის დანგრეული, არამედ მას დანგრეული მხოლოდ გუმბათი აქვს და ამ ტაძარზე მიშენებულს საყდარში ახლაც სწირავენ, ხოლო ქართველნი კი არა, არამედ სომხები, რომელნიც დაპატრონებიან მას შემდეგ იმათის გადმოსახლებისა არზრუმიდან პასკევიჩის დროს 1829 წ. ადგილობრივი ტერტერი, ჩვენი იქ ყოფნის დროს, დაბეჯითებით გვარწმუნებდა, ვითომც ტაძრის კედლებზედ წარწერები სომხური იყოს და ვითომც სომხებს აეგოს ეს ტაძარი... პატივცემულ ტერტერს იქნება თავის ერის სიყვარული ალაპარაკებდა, მაგრამ არც ასრე შებღალვა შეიძლება ისტორიულ სიმართლისა . . .

გურგენს, ბაგრატ რეგვენის შვილს ჰყავდა. ამ გურგენის და გურანდუხტის შვილი ბაგრატი ძლიერ პატივცემულის დიდებულის იოანნე მარუშიძის შეგონებით იშვილა დავით დიდმა კუროპალატმა, რომელიც უძეო იყო. აფხაზეთის სამეფო ეკუთვნოდა მას დედის მხრით და ქართლისა—მამის მხრით, და დავითმა აღიარა იგი მეფედ 979 წ.—დავით კუროპალატი მთავრობდა ტაოსის მხარის სამხრეთ ნაწილში, ჩრდილოეთ სომხეთში, არაკსის სათავეში, და ქალდიაში, რომელნიც მას ნაბოძები ჰქონდა იმპერატორის რომან ლეკაპენის მიერ. ერთგულობის დასამტკიცებლად იმპერატორს მან მისცა მძევლად თავისი დიდებულები, რომელთა შორის იყვნენ აბულარბი, მისი სიძე იოანე და იოანეს შვილი ევთვიმე. ამ უკანასკნელმა ცოტა ხანს უკან სახელი განითქვა სალმრთოწერილის თარგმნით ბერძნულიდან ქართულს ენაზე. დავითმა დიდი სამსახური გაუწია იმპერატორს, რის გამოც ის ბასილ II-ს დიდს პატივშიაც ჰყავდა. 976 წ. ბარდოს სკლაროსის აჯანყების დროს მან გამოაწყო 12 ათასი ჯარი ივერიის სარდლის თორნიკეს წინამძღოლობით, დაამარცხა სკლაროსი და მით მოსპო აჯანყება. ამ გამარჯვების ხსენება აქამდის დაცულია დანგრეულ ზარზმის ეკლესიის კედლებზე და სხვა-და-სხვა თანამედროვე ხელნაწერებში [2]).

---

[2]) ეს სახელ განთქმული გალაშქრება ივერიელებისა თორნიკეს წინამძღოლობით ბარდა სკლაროსზე აწერილია როგორც ქ. ცხოვრებაში, აგრეთვე მას მოწმობენ ზარზმის, ეოშხის და შემოქმედის ეკლესიების თანამედროვე წარწერანი, და ცხოვრება წმ. მამათა იოანესი და ევთვიმისა ივერიის მონასტრის მანუსკრიპტში, შენიშვნა „იოანე ღვთის-მეტყველის განცხადების წიგნში“ შიო მღვიმის მონასტრისა, ბერძნული მანუსკრიპტი მოსკოვის საპატრიარქო ბიბლიოტეკაში და ხომხის მეისტორიე ასოჰიკის თქმულება. ლებოსაც თავის ისტორიაში დაწვრილებით შემოაქს ეს ამბავი ბიზანტიურ წყაროებიდამ. ეს გალაშქრება ლექსად აღწერილია ჩვენის ნიჭიერ პოეტის აკაკი წერეთლის პოემაში, რომელსაც ეწოდება „თორნიკე ერისთავი“.

ამ დრომდი ივერიელებს ათონის მთაზე ჰქონდათ პატარა მონასტერი, დაფუძნებული მეცხრე საუკუნეში იმპერატორ თეოფილესობას ვინმე ათანასეს და იმის მოადგილეს გაბრიელის მიერ, რომელნიც ტომით ივერიელები იყვენ. ახლა კი იმ ნადავლიდამ, რომელიც თორნიკემ შეიძინა და აგრეთვე იმპერატორის სიუხვით, ივერიელებმა გააწყვეს შვენიერი ათონის ლავრა ივერიის ღვთის მშობლის სახელზე, სადაც დაასრულეს თავისი სიცოცხლე თვითონ თორნიკემ და წმ. იოანემ და ევთვიმემ.—ზემოხსენებულ გამარჯვების შემდეგ კუროპალატის გავლენა წინანდელზე ბევრად უფრო გაძლიერდა არამც თუ ივერიაში, არამედ სომხეთშიაც. როდესაც თევდოსე, აფხაზის მთავარი დაბრმავებული და შემდეგ ტახტიდამ გარდაყენებული იქნა, დავით კუროპალატმა და სომხეთის მეფემ სემბატმა თიუზიერაკალმა [1]) დასვეს ტახტზე ზემოხსენებული ბაგრატი, გურანდუხტის და გურგენ ქართლელის შვილი. მას აქეთ აფხაზეთის და ივერიის მთავარნი დარჩენ დავითის მორჩილებაში. ჩვენ აქ არ შევეხებით იმ მოქმედებას, რომელიც ამის შემდეგ მან ივერიის გარეშე ჩაიდინა. მას მიაწერენ ხახულის ღვთისმშობლის ეკლესიის აშენებას, რომლის ხატი ახლა გელათის მონასტერში ასვენია.—ბაგრატ III გამეფების რაოდენიმე ხნის შემდეგ სომხითის აზნაურობა შეითქვა იმის წინააღმდეგ. აზნაურებმა ქურდვაჭრისხევისელებმა და საბარათიანოელებმა დაიბარეს ჯარი კახეთიდამ და ღალატობით აიღეს უფლისციხე, დაატყვევეს გურგენი, გურანდუხტი და იმათი შვილი მეფე ბაგრატი. როცა ეს შეიტყო დავით კუროპალატმა, თრიალეთში გარდმოვიდა და განიზრახა კახეთში წასვლა, ხოლო კახელებმა მსწრაფლ ტყვეები განათავისუფლეს და უფლისციხეც დააბრუნეს. მათ დარჩათ მხოლოდ წირქვალის და გრუის ციხეები.—სამი წლის შემდეგ თევდოსე, აფხაზეთის მთავარი იძულებული შეიქმნა ხელი აელო თავის სამეფო უფლებაზე,

---

[1]) აღმსარებელმა.

და ბაგრატი, გურანდუხტის შვილი ცნობილ იქნა მეფედ აფხაზეთისა და ივერიისა ყველა ერისთავთ და დიდებულთ მიერ, დავით კუროპალატისა თანახმობით და იოანე მარუშიძის თანაშემწეობით. თევდოსე გამოვიდა აფხაზეთიდამ და კუროპალატთან სცხოვრობდა. ბაგრატი უნდა ორჯელ შეიარაღებულიყო. 988 წ. ის მოვიდა თიღვში ქართლის საქმების დასაწყობად. მას დახვდენ რამდენიმე აზნაური ქავთარ ტბელის წინამძღოლობით. ბაგრატმა შეებრძოლა და დაამარცხა ისინი, ხოლო დედოფალი გურანდუხტი უფლის-ციხიდამ აფხაზეთში წაიყვანა. კუროპალატი კი "თხოულობდა, რომ მას მიეცა სანურეთის ანუ ასკურეთის ციხე. მეორეჯერ ბაგრატს წინააღუდგა კლდე-კარის ერისთავი რატი, როგორც ამბობენ, ორბელიანების გვარის ჩამომავალი, რომელსაც ეკუთნოდა სამხრეთი ნაწილი მტკვრის ხეობისა სომხეთამდე. ორბელიანებს შეეძლოთ 12 რაზმის მხედრობის შეკრება, რომელთაგან თითოეულში 1000 კაცი ირიცხებოდა, და მათ დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდათ. რატი არ ემორჩილებოდა მეფე ბაგრატს, რომელმაც გაილაშქრა იმის წინააღმდეგ. მისმა მტრებმა შეატყობინეს ეს დავით კუროპალატს და აგონებდენ მას, ვითომც ბაგრატს და გურგენს ვანეზრახოსთ, მას უფლება ჩამოართვან და კიდეც მოკლან იგი. გურგენი შეებრძოლა აჯანყებულებს შავშეთში, დამარცხდა და წავიდა წეფთას. ამასობაში ბაგრატმა დაარწმუნა კუროპალატი, რომ მას არავითარი ცუდი განზრახვა არ აქვს იმის წინააღმდეგ; რა დამშვიდდა იგი, წავიდა კლდე-კარის ასაღებად; როცა ეს დაინახა რატმა, დამორჩილდა მეფეს, ჩააბარა მას ციხე და გაეცალა თავისს მამულში, იმერეთში—სახელდობრ არგვეთში.—924 წ. ქართლის მეფე ბაგრატ, წოდებული რეგვენად, გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში და დაუტოვა გვირგვინი თავის შვილს გურგენს, რომელიც ამას შემდეგ მეფობდა ქართლში ერთად თავის შვილთან ბაგრატ III-თან.

ბაგრატი იწოდებოდა მეფეთ მეფედ იმიტომ, რომ ის დი-

დი ხანია, რაც აფხაზეთის მეფე გახდა. 996 წ. დავით კუროპალატმა წაართვა მუსულმანებს ქ. მანდზიკერტი და დაამარცხა იქაური მოურავი მამლანი; შემდეგ წელში ის გაელაშქრა ქ. ხლატის ასაღებად, მაგრამ ივერიელნი დამარცხდენ წმ. აღდგომის დღეს 998 წ. და ემირი მამლანი წამოვიდა თავრიზიდამ კუროპალატის სამფლობელოში. გაგიკი, სომხების მეფე, გურგენ ქართველი და აბასი ვანანდელი შეერთდენ და გაუწიეს ბრძოლა დაბა ძუმბასთან ბოგრევანის მაზრაში. მრავალი რიცხვი მუსულმანებისა დაიხოცენ და მკვდრებით მოჰფინეს ბრძოლის ველი. ივერიელების სარდლებად იყვენ გაბრიელ, ოჩოპენტრეს შვილი და მისი უმთავრესი თანაშემწენი, ძმანი გამრეკელები მესხეთიდან.

სამის წლის შემდეგ ამ სასახელო გამარჯვებისა მოხუცებული დავით კუროპალატი მოკლულ იქნა 1001 წ. წმ. აღდგომის დღეს. სომხები მოგკითხრობენ იმის სიკვდილზე განსაცვიფრებელ ამბავს, რომელსაც ჩვენ ვერ ვერწმუნებით და ამიტომ იმის გამეორება აქ არ ღირს [1]). ქართული მატიანე ამაზე სრულიად არას გვეუბნება. იმპერატორმა ბასილმა II როგორც შეიტყო დავითის სიკვდილი, მსწრაფლ შევიდა სამხრეთ სომხითში მისაღებად ყველა სამფლობელოებისა, რომელნიც უანდერძა მას დავითმა, და რომელნიც შესდგებოდენ როგორც ტაოსის სამხრეთის, აგრეთვე დიდ სომხითის ნაწილისაგან მდ. ევფრატის სათავემდი, როდესაც ივერიელების მეფენი წარდგენ იმპერატორის წინაშე, მან უბოძა გურგენს მაგისტროსობის და მის შვილს კუროპალატის წოდება. გურგენი ფრიად უკმაყოფილო დარჩა თავის ნაწილით და მაშინვე წინააღუდგა ბასილს და თავდაესხა დაბა ოლთისს; თუმცა კი ის ვერ აიღო, მაგრამ შემდეგში ის წავიდა ბასიანის მაზრაში, სადაც მას დახვდა ბერძნის სარდალი ჯარით და დაზავდა მასთან.

---

[1]) ვითომც დავით კუროპალატი მოეწამლოს და ვითომც იმის სიკვდილში ერია ქართველი მღვდელ-მთავარი ილარიონი.....

ამით გათავდა პირველი ბრძოლა ივერიელებისა ბასილთან XI საუკ. დასაწყისში. ფურგენი მოკვდა 1008 წ.

ბაგრატ III, დარჩა რა ერთად ერთ მეფედ აფხაზეთისა და ქართლისა, განიზრახა კახეთის დაპყრობა და წართმევა დავით ქორეპისკოპოსისათვის [1]) ყველა ქართლის ციხეებისა, რომელთაც ის ფლობდა. დავითი არ დამორჩილდა და ბაგრატმა თავისი ძლიერის ჯარით დაიპყრა მთელი მხარე. მაგრამ იმის გაბრუნების შემდეგ ჰერეთი წინააღუდგა მის მიერ დაყენებულ ერისთავს აბულალას, და ბაგრატმა ხელმეორედ დაიპყრა ის. მაშინ მთელი კახეთი დამორჩილდა, და ქორეპისკოპოზი კვირიკე, შვილი და მემკვიდრე დავითისა რაოდენიმე ხანს დატყვევებული იყო.

ამ დროს ფადლონი, განზის ემირი, ბენიშედდადის გვარის შთამომავალი, გაძლიერდა და იწყო კახეთის და ჰერეთის დარბევა და აოხრება. მეფე ბაგრატმა განიზრახა იმის დასჯა და მიიწვია შესაწევნად სოფხითის მეფე გაგიკი შაინ-შაჰი, რომელიც სიხარულით შეუერთდა მას ანისის მაზრაში. იქედამ ისინი წავიდენ აღმოსავლეთში და გარშემოერტჩენ ქ. შანქორს. შეშინებული ფადლონი დამორჩილდა და შეურიგდა ივერიელებს. მას აქეთ აფხაზთ მეფენი იდიდებდენ თავიანთ თავს ლრამატების სათაურში მბრძანებლად აღმოსავლეთისა და შაინშაჰებად ე. ი. მეფეთ მეფეებად.

ბაგრატს მიაწერენ,—თუმცა ამის დასამტკიცებლად შეურყეველი საბუთი არ მოჰყავთ,—ბედიის ტაძრის აშენებას აფხაზეთში; უსაცილოდ დამტკიცებულია, რომ იმისობას აშენდენ ეკლესიები მარტვილისა 996 წ., ქუთაისისა—1003 წ., ატენისა, წვიმოეთისა, ვერიის მონასტერი და სხვა მრავალნი შვენიერნი ძეგლები ივერიის საქრისტიანო ხუროთ-მოძღვრებისა და ქანდაკებისა. შესამჩნევია წვიმოეთში, ვერიის ეკლესიაში და განსაკუთრებით ქუთაისში ხმარება ესრედ წოდებულ არაბულ ციფრებისა 222, 223 პასხალიონისა, 1002 და 1003

---

[2]) იგივე ქორეპისკოპოზი.

წ. ჩვენის წელთ აღრიცხვისა ე. ი. ბევრად უფრო ადრე, ვინემ იგინი ხმარებულნი იყვნენ, რაოდენადაც კი ჩვენ ვიცით, სამუსულმანო აზიაში. ბაგრატისობას მოკვდა კათალიკოზი სვიმონი, — არ ვიცით კი ზემოხსენებულ მეფეთა შორის რომლისაგან დანიშნული, — და იმის ადგილი მიიღო მელქისედეკმა, დიდებულის გვარის შთამომავალმა, რომელიც წავიდა კონსტანტინეპოლში და გამოითხოვა იმპერატორის ბასილისაგან მდიდარი საჩუქრები, ეკლესიების სამკაული და 95 ხატი მცხეთის ტაძრისათვის. მან ხელახლად ააშენა და შეამკო საპატრიარქო ეკლესია ძვირფას 25 ყდიან წიგნებითა, რომელნიც მისივე ზრუნვით გარდაწერილნი იყვნენ. ბაგრატისობას უმრწემესი შტო ტაოსელ ბაგრატიდებისა სრულიად მოისპო ბაგრატის მიერ, როდესაც მან ორი უკანასკნელი იმათი წარმომადგენელი დაატუსაღა თმოგვის ციხეში, სადაც ისინი გარდაიცვალენ. მათი შვილები გაიქცენ კონსტანტინეპოლს და თავის შთამამავლობით განქრენ უცხო ქვეყანაში.

ბაგრატ III გარდაიცვალა 1014 წ. როგორც კი გამეფდა მისი 18 წლის შვილი გიორგი I, კახეთის და ჰერეთის დიდებულნი განუდგენ მას, იქ დაყენებული ერისთავები გამოაგდეს და აღადგინეს ძველნი თავიანთ მთავარნი. გიორგის გამეფების მეშვიდე წელს იმპერატორმა ბასილ II მოსთხოვა მას, ნებით დაებრუნებინა ყველა ის მხარეები რომელნიც ბაგრატ III, მის მამობილს, დავით კუროპალატს იმპერატორისაგან მიცემული ჰქონდა და, რომ გიორგი I დაკმაყოფილებულიყო თავის სამკვიდრო მამულით. გიორგი ამაზე არ დათანხმდა და გაელაშკრა ბასიანის მხარეს. იქ შეტაკება მოხდა და, თუმცა ბერძნები დამარცხდენ, მაგრამ მეფე გიორგიმ ოლთისის აღება მაინც ვერ მოასწრო და უკან დაიხია. ამ შეტაკებამ გამოიწვია შირიმთის ახლოს ომი, რომელიც ცვალებადის წარმატებით გაგრძელდა, სანამ ორი უმთავრესი ერისთავი რატი ორბელიანი და ხურსი არ მოკლეს. შემდეგ ამისა მეფე გიორგიმ დაიხია სამცხისკენ, იქედამ — ჯავახეთს და შემდეგ — თრიალეთს. თუმცა აქ

შემოუერთდნენ მას ჯარები ქართლიდამ და შაქიდამ, ის მაინც განდევნეს ბერძნებმა, რომელთაც ააოხრეს ეს მხარეები და საზამთროდ დაბრუნდნენ ქალდიაში და ტრაპიზონს.

იმპერატორის ბასილის ივერიაში მეორედ შემოსევის საბაბი იყო შემდეგი: გიორგის ჰყავდა ცოლად სომხის ვასპურაკანის მთავრის სენაქერიმის ასული მარიამი და კავშირი ჰქონდა ანის მეფე გაგიკ I-თან. გაგიკის სიკვდილის შემდეგ გიორგიმ შეარიგა ურთიერთს აშლილნი მისი შვილები და ამ შერიგების დროს მიემხრო უფროს შვილს, სემბატს, ისარგებლა შემთხვევით და წაართვა იმას სამი ციხე. მაშინ უმცროსმა ძმამ აშოტმა მიმართა იმპერატორს ბასილს 1018 წ. იმპერატორმა გამოილაშკრა ბასიანში და მაშინ მოხდა ზემოაღწერილი ომი პალაკაციოს, აწინდელ ჩილდირის ტბის მახლობლად.

როდესაც იმპერატორი ბასილი ტრაპიზონში საომრად ემზადებოდა, მან სომხეთის პატრიარხის პეტროსის ხელით მიიღო სუმბათისაგან გამოგზავნილი სიგელი, რომლითაც, ასაცილებლად მეფე გიორგის მეტოქობისა, უანდერძა იმპერატორს მთელი სამფლობელო თავის სიკვდილის შემდეგ. ამის გამო ბასილი გაზაფხულზე ხელახლავ ამოვიდა ბასიანში. ამ დროს ნიკიფორე ფოკა აჯანყდა და მიითვისა იმპერატორის წოდება, მაგრამ მოკლულ იქმნა ქსიფენის [1]) მიერ, რომელსაც აგრეთვე სურდა იმპერატორად თავი აღეარნა [2]).

გიორგი თანაუგრძნობდა ქსიფენს (ქსიპიასს) და მის სიკვდილის შემდეგ ექომაგებოდა ივერიელს ფერიზს, რომელიც ქსიფენის თანამოაზრე იყო. რა გაიმარჯვა აჯანყებულებზე, ბასილმა მოსთხოვა გიორგის მორჩილება და დაბრუნება ზემოხსენებულთ სამისა ციხისა, უსამართლოდ მის მიერ მისაკუთ-

---

[1]) იგივე ქსიპიას ბიზანტიელებისა. Hist. de la Géorg. გვ. 307. შენ. 2.

[2]) ქ. ცხ. ვარიანტებში და სუმბატის ქრონიკაში ამ ამბავს ასე მოგვითხრობენ: „ხოლო იქმნა ამა ჟამსა შინა განდგომილება დიდი საბერძ-

რებულთა. გიორგი ხან ეთანხმებოდა და ხან უარს ამბობდა; ბოლოს ანაზდეულად თავს დაესხა ბერძნებს ბასიანში. ბერძნებმა შემოიკრიბეს ძალ-ღონე, დაუხვდენ მას მედგრად, დახოცეს მრავალნი ივერიელნი ვარანგთა ანუ რუსთა ჯარის შემწეობით, და დიდი დავლაც დარჩათ მათ. ამ ომში, რომელიც მოხდა 11 სეკტემბერს 1022, ივერიის ჯარს წინამძღოლობდა ზვიად ორბელიანი, ძმა ზემოხსენებულ რატისა, ხოლო

ნეთს, რამეთუ შეირთნეს ბასილის სპასპეტი და წარვიზი, ძე ფოკას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქისიფი, და მიიდგინეს მათ ყოველი აღმოსავლით კერძი ქვეყანა. ხოლო ღმერთმან ბასილს დიდად შეშინებულისავე პატივი სცა, რამეთუ განუდგა ქსიფენ წარვიზს, ყოველნივე ერნი მისად შედგომილნი შეიცვეს ციხესა შინა, შეიპყრეს და ბასილის წინაშე წარმოგზავნეს, და მან ექსორია ჰყო იგი კუნძულსა შინა, და მიმდგომთა მისთა მრავალთა თავი მოჰკვეთა, რომელთა თანა იყო ფერის, ჯოჯიკისძე ქართველი". ე. თაყაიშვილის სამი ისტორიული ხრონიკა გვ. 70 და ო. ყორდანიას ქრონიკები გვ. 154. ხოლო გიბონი თავისს Décadence et chute de l'emp. Rom. ტ. II გვ. 329 და ვებერი თვის მსოფლიო ისტორიაში ტ. 6 გვ. 424 (რუს. თარგმ.) ავტორის მიერ მოხსენებულთ ფოკას და ქსიფენისა ანუ სკიპიასის ნაცვლად ფოკას და სკლეროს უჩვენებენ აჯანყებულთ წინამძღოლებად ბასილ II წინააღმდეგ. გიბონი მოგვითხრობს, რომ „სკლეროსმა, რომელიც ორჯელ ბორკილებით შეპყრობილი სპატიმროში იჯდა, და რომელსაც ორჯელ ხელში სკიპტრა ეჭირა (ასოღიკის ჩვენებით სკლეროსი პირველი დამარცხების შემდეგ გაიქცა ბაღდადის ემირთან. Ист. Ст. Тар. Асогика пер. Эмина, გვ. 191 და 198.) სურდა თავისს სიცოცხლის უკანასკნელნი დღენი მშვიდობიანად გაეტარებინა. როდესაც ეს მოხუცებული, თვალ ცრემლიანი და ისრე მიხრწნილი,—რომ ფეხებზე ველარ დგებოდა და ორს თანა მხლებელთ მხრებზე ხელებ დაბჯენილი, მიუახლოვდა ტახტზე დაბრძანებულს იმპერატორს, ბასილმა სიჭაბუკით და ძლევა ძოსილობით აღსავსემ წამოიძახა! „ნუ თუ ეს ის კაცია, რომლისაც ჩვენ ასე დიდს ხანს გვეშინოდა?" აგრეთვე ვებერი სწერს: „შემდეგ ფოკას სიკვდილისა აჯანყებულნი დაუმორჩილდენ ბასილს; ამით შეშინებულმა, მეორე მათმა წინამძღოლმა სკლეროსმა, რომელმაც ორჯელ დაიხსნა თავი ტყვეობიდამ, მიმართა იმპერატორს შენანების გამოსათხოვნელად; ბასილმა ნება დართო, რომ მიხრწნილს მოხუცებულს მშვიდობიანად გაეტარებინა უკანასკნელნი თვისნი დღენი„.

რატის შვილი, ლიპარიტი კიდევაც მოიკლა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ორბელიანთ გვარი იმ დროს ფრიად ძლიერი და მდიდარი იყო და 1020 წ. ერთმა მათგანმა ბაღუაშმა ააშენა მანგლისის შვენიერი ეკლესია, რომელიც ეხლაც დაცულია. დამარცხებულმა აფხაზთ-ქართველთ მეფემ შეეკრა ზავით ბასილს, დაუბრუნა მას ყველა სადავო მხარეები და მძევლად მისცა სამი წლის ვადით ძე თვისი ბაგრატი, რომელიც წაყვანილ იქნა კონსტანტინეპოლს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბაგრატი დაბრუნდა თავისს სამშობლოში. როგორც კი ბაგრატმა გამოვლო სამზღვარი იმპერიისა, მას დაეწია ამბავი, რომ ბასილი გარდაიცვალაო და მის მემკვიდრეს სურდა ისევ უკან დაებრუნებინა ბაგრატი, მაგრამ, რადგანაც საზღვარი მას გამოვლილი ჰქონდა, გვიანღა იყო. მაშინ იმპერატორმა კონსტანტინე VIII გამოგზავნა აღმოსავლეთში საჭურისი ნიკიტა, რომელმაც მოფერებით, საჩუქრით და დაპირებით მიიზიდა მრავალნი ივერიელნი კონსტანტინოპოლში, სადაც ისინი იმპერატორის სამსახურში შევიდნენ. იმპერატორმა უბოძა აგრეთვე კათალიკოზ მელქისედექს დიდი საჩუქრები, რომლითაც მისცა მას საშუალება შეესყიდნა სოფლები და მამულები მცხეთის ტაძრის სასარგებლოდ და სასულიერო წოდების სარჩოდ.

ორი წლის შემდეგ ბაგრატის დაბრუნებისა გიორგი გარდაიცვალა 11 აგვისტოს 1027 წ. თრიალეთში, ერთ ადგილზე, წოდებულზე მყინვარად ანუ ვლურონად და დასაფლავებული იქნა ქუთაისის ტაძარში. მას დარჩა ორი ვაჟი და ორი ქალი: ბაგრატი და დიმიტრი, გურანდუხტი და კატა. მესამე ქალი მართა მას მოუკვდა თავისს სიცოცხლეშივე.

გიორგი I-ს შემდეგ ტახტზე ავიდა ძე მისი ბაგრატი IV, რომელიც მაშინ ცხრა წლისა იყო. ამ დროს, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, მრავალნი ივერიელნი ბერძნების სამსახურში იყვენ, სადაც სხვა და სხვა თანამდებობა ეჭირათ. ჯოჯიხი [1]) თავადის თევდოტისძე, დოროსტელისა ანუ იმპერატო-

[1]) იგივე ჯოჯიკი.

რის ქონებათა და წყალობათა უფროსად იყო; ბიძაშვილები იმავე თევდოტის გიორგი და ვარაზ-ვაჩე იმპერატორს ემსახურებოდენ. ამათგანი ვარაზ-ვაჩე დაინიშნა ედესის მმართველად. აბულონმა, ძემ მისმა ვასილმა და გრიგოლმა ბაკურანის შვილმა გამოიჩინეს თავი სამხედრო და სამოქალაქო ასპარეზზე. ამასთანავე ბერძნებს ჰყავდათ ზემო ქართლში მმართველებად მიხეილი ვესტას იანიხი, კოტოლალონი, თორნიკე, ადრობოლონი, რომელთ სახელებს ამ დროის ბიზანტიის მეისტორიენი იხსენებენ. თვით ბაგრატმა ზედი-ზედ მიიღო წოდება მაგისტროსისა, კუროპალატისა, ნობილისიმუსისა და სევასტოსისა, რომელნიც შეგვხვდება ხოლმე ეკლესიების და საეკლესიო ნივთების წარწერებში. ამ დროს ივერიის დიდებულნი არა თუ ემორჩილებოდენ იმპერატორს, არამედ ხშირად წინააღუდგებოდენ თვით თავისს კანონიერს მეფეს. ამით ისარგებლა იმპერატორმა და დასავლეთის ივერიაში გაგზავნა ურიცხვი ჯარი, რომელმაც ააოხრა მთელი მხარე და მივიდა თრიალეთსა და კლდე-კარის ციხემდი, რომელიც ეკუთვნოდა ლიპარატს, ზემოხსენებულის ლიპარატის შვილს. საბა მტბევარი (ტბეთის ეპისკოპოსი) შავშეთში, ეზრა [1]) ანჩელი და არტანუჯის ერისთავი აბუსერი იცავდენ თვისის მეფის უფლებას. ამ დროს ბერძნის ჯარის სარდალი, რომელიც სახეხუცესი იყო, ანაზდეულად დაიბარეს კონსტანტინეპოლში იმპერატორი კონსტანტინე VIII სიკვდილის გამო, რომელიც მოხდა 1028 წ. ამავე წელს გარდაიცვალა წმინდა ევთვიმე, მეორე წინამძღვარი ივერიის ლავრისა. საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს იმის ხსენებას 13 მაისს.

1032 წ. დედოფალი მარიამი წავიდა კოსტანტინოპოლს, შეარიგა თვისი შვილი ბაგრატი რომან არგირს და მას გამოსთხოვა ბაგრატისთვის კუროპალატის წოდება და აგრეთვე იმის საცოლოდ რომანის დისწული ელენე. ამბობენ, რომ

---

[1]) იგივე ეზრდა.

ამ ელენეს მზითვის რიცხვში იყოო ერთი ლურსმანი, რომ-ლითაც მიმსჭვალეს ჯვარზე მცხოვარი, და აგრეთვე ახლაც გორში დასვენებული, ესრედ წოდებული ოქონის ღვთისშობ-ლის ხატი, რომლის მფლობელობის სიმართლე გარსევანიშვი-ლების ოჯახშია დაცული [1]).

კათალიკოზი მელქისედეკი მეორედ წავიდა კონსტანტი-ნოპოლს, მიიღო იქ დიდი წყალობა იმპერატორისაგან, გაამ-დიდრა მცხეთის ეკლესია ახალი შეძენილ მამულებით, და თი-თონ პატარა ეგვტერი მიადგა ტაძარს სამხრეთის კედელზე. სიკვდილის წინ მან პატრიარქობა გარდასცა ოქროპირს, რო-მელმაც ააშენა შვენიერი საჯვარე მცხეთის ტაძრის აღმოსავ-ლეთის მხრისაკენ და განაახლა მრავალი ეკლესიისა შენობანი მთელს ივერიაში.

ელენეს სიკვდილის შემდეგ ბაგრატმა შეირთო ოსეთის მთავრის ასული ბორენა. იმის უფლების ქვეშ იყო როგორც ზემო, აგრეთვე ქვემო ქართლი. 1036 წ. ფადლონ ბენნი-შედ-დადელმა უწყალოდ მოაოხრა ქართველთ ერისთავების ადგილ-მამული; მაშინ იმის წინააღმდეგ ლიპარიტი ორბელიანი, კვი-რიკე დიდი,—რანისა და კახეთის მფლობელი,—სომეხთ მეფე და-ვით ანზაგინი და ჯაფარ ტფილისის ემირი შეერთდნენ; ომი გაიმართა ეკლეცს [2]), სადაც ძლიერ დაამარცხეს ფადლონი და მთელი მისი ბანაკი დაინარჩუნეს.

შემდეგ ამისა ლიპარიტმა და იოანე აბაზაძემ, ქართლის ერისთავმა ცბუნებით მიიპატიჟეს ემირი ჯაფარი და დაატყვე-ვეს ის დიდხანს, მაგრამ ბაგრატმა ბრძანა იმის განთავისუფლე-ბა. ლიპარიტი თავისას არ იშლიდა და მუდამ ურჩევდა ბაგ-რატს ტფილისის აღებას. ისინი გარშემოადგენ ტფილისს 1038 წ.

---

[1]) გარსევანაშვილები შთამომავალნი არიან იმ გარსევან ბერძნისა, როელიც მოჰყვა, როგორც მოძღვარი, ბაგრატის ცოლს ელენეს ბიზან-ტიიდამ.

[2]) აქსტაფასა და შანქორს შორის, ზემო სომხეთში. H. d. l. Géorg. 1, 218. 9 n.

ახლოხანებში. ქართველებმა დაიბანაკეს მტკვრის მარჯვენა მხარეზე და კახელებმა კვირიკეს მემკვიდრით, გაგიკით ისანში [1]) მტკვრის მარცხენა მხარეს. ალყა გაგრძელდა ორ წელს. ქალაქში გაჩნდა შიმშილი. ბოლოს დიდებულთ შეგონებით, რომელთაც არ სურდათ ლიპარიტის დაწყებულ საქმის წარმატება, და შიშობდენ, რომ იმის ძლიერება უფრო არ გადიდებულიყო, მეფე გაურიგდა ემირს და დაუტევა მას ტფილისი. იმავე დროს ბაგრატი საიდუმლოდ მოელაპარაკა ზოგიერთ კახელებს და დაეცა კახეთს; გაიმარჯვა რა მიქელ-გაბრიელის მთასთან, მან მოაოხრა ეს მხარე, დააქცია ბოდოჟის სასახლე და დაიპყრა ყველა ციხეები.

შემდეგ იმპერატორის რომან არგირის მოწამლისა 1034 წ. ბაგრატმა შესწყვიტა კავშირი საბერძნეთთან და დაიპყრა ყველა ის მხარეები ჩრდილოეთ სამხრეთისა, რომელნიც წარსულ წლებში თვითონვე დაუთმო. ამის გამო 1038 წ. გამოგზავნილ იქმნა ბერძნის ჯარი ზემო ქართლში მისაშველებლად იასიტისა, რომელიც აქ იმ დროს იმპერატორის სარდლად იყო, მაგრამ ამ გალაშქრებამ აფხაზთ წინააღმდეგ ამაოდ ჩაიარა.

კახეთის დაპყრობის შემდეგ ბაგრატი აღშფოთებული იყო შინაურის აჯანყებისაგამო. ძმა მისი, მამით ერთი — ხოლო სხვა დედისაგან ნაშობი, დემეტრე საბერძნეთიდამ ჯარით მოვიდა და ლიპარიტ და სხვათა დიდებულთა შემწეობით შემოადგა ატენის-ციხეს, აშენებულს ბაგრატ III დროს დიდებულის მირონის მიერ, რომელმაც ააგო აგრეთვე ამ ციხის მახლობლად მდებარე ვერიის მონასტერი. მეციხოვნები დიახ მედგრად იცავდენ თავს, დემეტრე იძულებული შეიქნა უკან დაეხია, ხოლო ბაგრატი წავიდა ჯავახეთს, სადაც ერისთავებმა ფარსმან თმოგველმა და ბეშკენ [2]) ჯაყელმა თუხარისელმა მას უღალატეს. ლიპარიტი შეურიგდა ბაგრატს და ქართლის ერისთავად შეიქნა.

[1]) ავლაბარში.

[1]) იგივე ბეშყენ

1040 წ. ქ. ანი დაემორჩილა ბაგრატს. შემდეგ უკანასკნელ სომხის მეფის გარდაცვალებისა საბერძნეთის იმპერატორმა ცბიერებით მიიპატიჟა კონსტანტინეპოლში მემკვიდრე მისი გაგიკ II და აიძულა, აესრულებინა მამის განკარგულება შესახებ იმის მემკვიდრეობისა. მაგრამ ანელები დაიყვენ ორ მხარედ: ერთი მომხრე იყო ბერძნებისა, ხოლო მეორე წინააღმდეგი. ვინაიდგან მეფე ბაგრატი დედით სომხის მეფის შთამომავალი იყო, ანის მცხოვრებელთა სთხოვეს მას ქალაქის დაფლობა. არ ვიცით, რაოდენად ასრულდა ეს, ვიცით მხოლოდ, რომ 1045 წ. ანი ეკავა ბერძნებს. ბაგრატი ჯარით იდგა ანაკოფიის ციხის ასაღებად, როდესაც მას მოახსენეს გარდაცვალება ემირის ჯაფარისა და სთხოვეს ტფილისის დაპყრობა. ბაგრატმა დატევა იმერეთის და გურიის ჯარი ანოკოფიას და თითონ გაეშურა ქართლში; შევიდა ქ. ტფილისში, სადაც ხალხი გამხიარებული ამ შემთხვევით, თავიანთ ჩვეულებისამებრ, ქუჩებში აფრქვევდა მას თავზე ოქროსა და ვერცხლს. მან დაიყენა ციხის მცველები ცხელ-ცხინის და თაბორის გასავალ კოშკებში და ზოგი ძალმომრეობით, ზოგი მოფერებით მიიმხრო თავისაკენ კახელები, რომელთაც ისანი ეჭირათ. ეს მოხდა 1042 წ.

შემდეგ ამისა ლიპარიტმა წაართვა დედოფალს ქ. ანი და დაატყვევა აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა, მფლობელი ხიტანისა [1]), ციხის-ჯვარისა და აწყვერის ციხეებისა; მოიტაცა აგრეთვე ივანე დადიანი, მეფის მსაჯული და გურამ გოდერძის ძე, ბეჭის—ციხის მფლობელი. ბაგრატი მოვიდა ჯავახეთს და, შემოიერთა რა საშველი ჯარი აწყვერის ეპისკოპოზისაგან, რომელიც შემდეგში ლიპარატს მიეკერძა, ზამთარში შავშეთიდამ ქართლს გარდავიდა. ლიპარატი გარს შემოერტყა დაბა ფონონს, ჯავახეთში, და საბერძნეთიდამ ხელ-მეორედ დაიბარა ბატონიშვილი დემეტრე. ქართლი ორ ბანაკად გაიყო. ლიპარი-

---

[1]) ვახუშტით ხიხასი.

ტის შვილი იოანე, რომელიც ბაგრატს მძევლად ჰყავდა, გასცვალეს აბუსერში, რომელიც დატყვევებული ჰყავდა ლიპარიტს. როგორც კახეთის მეფე, აგრეთვე სომხის მეფე, დავითი ლიპარიტის მომხრენი იყვენ; როდესაც ბაგრატს დასახმარებლად 300 ვარანგნი [1]) მოუვიდნენ, მან შეებრძოლა მტერს სასირეთის ჭალაზე, სადაც ძლიერ დამარცხდა. დემეტრეს სიკვდილის [2]) შემდეგ, დაახლოებით 1048 წ., ბაგრატი ცდილობდა შერიგებოდა ლიპარატს, მაგრამ ამ დაუცხრომელმა მისმა მტერმა უარ-ჰყო ზავზე მოლაპარაკება. მიზეზი იმათ შორის მტრობისა და შურისძიებისა იყო ის შეურაცხყოფა და გაუპატიურება, რომელიც ბაგრატმა ლიპარატის ცოლს შეამთხვია. თავის მხრით ლიპარიტიც გაკადნიერდა და შური უგო მით, რომ ძალ-დატანებით შეურაცხყოფა მიაყენა მეფის დედას. ბოლოს ბერძნების იმპერატორის შუამდგომლობით ლიპარიტი დათანხმდა და აღიარა უზენაესი უფლება ბაგრატისა იმ პირობით, რომ, გარდა სხვა მისის სამფლობელოისა, სამცხეც მას დარჩენოდა თავის სიცოცხლეში, აფხაზეთის მეფის დაუმოკიდებლად.

შემდეგ რაოდენიმე ხანისა კალმახის ერისთავი სულა და გრიგოლ არტანუჯელი გაელაშკრენ ლიპარიტის წინააღმდეგ. მეფეც შეუერთდა მათ რკინის-ჯვარის გზით. ლიპარიტი თავისის ჯარით და კახელების, ბერძნების და სომხების დახმარებით წინ დაუხვდა მათ. თუმცა სულა დამარცხდა, მაგრამ კალმახის-ციხე მას ვერ წაართვეს, აბუსერმა კი უბრძანა თავისს შვილს გრიგოლს, არტანუჯი გარდაეცა ლიპარიტისათვის. ამის შემდეგ ლიპარიტი უფრო გაძლიერდა, წავიდა დოვინში სალაშკროდ იქაურის ემირის აბულსეევერის წინააღმდეგ და იქედამ უკანვე დაბრუნდა შინ.

---

[1]) ვახუშტით 3000 ვარანგი. ეს ვარანგნი, ანუ ვარიაგები მსოფლიო ისტორიისა ნორმანები იყვენ, რომელთაც ევროპაში რაოდენიმე სახელმწიფო დააფუძნეს.

[2]) დემეტრე სასირეთის ომში მოჰკლეს.

ერთის წლის შემდეგ სელჯუკის თურქნი შემოესიენ ბასიანის მხარეს. ბერძნება. მიაშველეს იქ ჯარი, და ლიპარიტიც მივიდა დასახმარებლად 28 ათასი მხედრობით. 18 სეკტემბერს 1048 წ. საოცარი ომი ასტყდა კოპეტრას ციხის მახლობლად, სადაც დამარცხდა ყველაზე უფრო ის რაზმი, რომელშიაც ივერიელნი ერიენ. ბერძნები უკმაყოფილონი იყვენ მით, რომ ლიპარიტმა დაიგვიანა მოსვლა დანიშნულ ადგილზედ მათთან შესაერთებლად; და ამასთანაც მისი გამოჩენილი ძლევამოსილება შეშურდათ და აღარ მიეშველენ მას, როდესაც ის ცხენზე გარდმოვარდნილი და მტრებით გარშემორტყმული დაატყვევეს თურქებმა და ხორასანს წაიყვანეს. ბერძნებმა მეორე დღეს უკან დაიხიეს ქ. ვანისაკენ. მაშინ ივანე და ნიანია ლიპარიტის შვილები დამორჩილდენ ბაგრატს, რომელმაც უფლის-ციხე დაიფლო. შემდეგ ამისა თურქნი დაეცენ განძას და კიდეც აიღებდენ მას, თუ ბაგრატი ბერძნებითურთ არ მიშველებოდა და თავისი მისვლით არ აეძულებინა ისინი ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე. ცოტა ხანს უკან ბერძნის იმპერატორმა თურქის სულტანის ტყვეობიდამ გამოისყიდა ლიპარიტიც, რომელი დარჩა ქ. ანში და შემოიკრიბა ადრინდელი თავისი ძალონე და შემდეგ კონსტანტინეპოლს წავიდა. ბაგრატმა, რომელმაც მეორედ დაიფლო ტფილისი, ველარ შესძლო წინააღმდეგობა ლიპარიტისა, და, დასტევა რა ძე თვისი გიორგი ქუთაისს, თითონ დედითურთ წავიდა კოლხიდით და ტრაპიზონით კონსტანტინოპოლის იმპერატორთან. იქ მას დახვდა 1060 წ. გიორგი მთაწმინდელი, რომელიც 1051-დამ 1095 წლამდე იყო მეხუთე წინამძღვრად ივერიის ათონის მონასტრისა.

ბაგრატის კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს ლიპარატი შეთანხმდა დედოფალთან და დიდებულებთან, აკურთხებინა მეფედ რუისის ეკლესიაში მეფის ძე გიორგი და იმის სახელით დაიწყო სახელმწიფოს მართვა. მაგრამ გურანდუხტმა, ბაგრა-

ტის დამ [1]) გამოსთხოვა იმპერატორს იმისი დაბრუნება 1053 წ. მაშინ მესხეთის დიდებულთ უმთავრესმა ნაწილმა, თავმობეზრებულმა ლიპარიტის თვით ნებობითის ქცევით, შეიპყრა იგი და შვილი მისი იოანე. მეორე მისმა შვილმა ნიანიამ გაქცევა მოასწრო და მიადგა კლდე-კარს, მაგრამ მეციხოვნებმა ის არ შეუშვეს და ამისაგამო ქ. ანში წავიდა. კალმახის ერისთავმა სულამ ისარგებლა ამ შემთხვევით და წაართვა ლიპარიტს ციხეები არტანუჯი, ყველი, უფლის-ციხე და ბირთვისი, ხოლო კლდე-კარი, რომელსაცა ლიპარიტის მდივანი ანომარი იცავდა, არ დამორჩილდა, სანამ მეფემ არ აღუთქვა იმის მფლობელს შვილითურთ სიცოცხლის პატივება.

ამის შემდეგ ლიპარიტი შედგა ბერად ანტონის სახელით, ნამდვილად კი არ ვიცით რომელ წელში. როდესაც ლიპარიტმა დასტევა საერო უფლება, ბაგრატმა უბოძა მის შვილს იოანეს მისივე არგვეთის და ქართლის სამფლობელო. ლიპარიტი გარდაიცვალა 1064 და დაიმარხა კაცხის [2]) მონასტერში. ყველა მისი შვილები გარდაიცვალენ საბერძნეთში.

1062 წ. ბაგრატმა მოსპო ძმათ აბაზაძეთ აჯანყება.

1064 წ. სულთანი არპასლანი შემოესია ივერიას ურიცხვის ჯარით, და მოაოხრა ამა მხარისა სამხრეთი და დასავლეთი. მისმა მხედრობამ კინაღამ დაიჭირა ბაგრატი თავის დედით, დით და ძით, გიორგით. მაგრამ ბაგრატმა მოასწრო და გარდაიხვეწა ქართლს. არპასლანმა მოსთხოვა მას ცოლად ასული იმის დის, გურანდუხტისა, რომელიც ჰყავდა ცოლად სემბატს, ლორის მფლობელის კვირიკის ძმას. ბაგრატი დათანხმდა ამ მოთხოვნილებაზე, მაგრამ მამამ უარი განუცხადა. ბაგრატმა ძალით წაართვა მას ეს ქალი, ჩამოართვა მას ციხე სამშვილდე და ამიერიდან აღარ აძლევდა სომხის ერისთავებს ნებას, რომ მათ ჰქონოდათ ზოგიერთი ციხეები სომხეთში [3]).

---

[1]) დ. ბაქრაძე თავის მონაგრაფიაში „ბაგრატ IV“ გურანდუხტს ბაგრატის მამიდად უჩვენებს.

[2]) ზემო-იმერეთში.

[3]) ქართველთ სომხეთში ანუ გუგარკში.

იმპერატრიცა თეოდორამ გამოსთხოვა ბაგრატს ასული მართა მეუღლედ თავის ძისათვის. სანამ ბატონის ასული მართა კონსტანტინეპოლს მივიდოდა, თეოდორა გარდაიცვალა 10 აგვისტოს 1042 წ. ამის გამო ეს ქორწინება აღარ მოხდა. გიორგი მთაწმინდელმა კი, რომელიც ამ ჟამად საბერძნეთის სატახტო ქალაქში ახლდა მარიამ დედოფალს, წინასწარ აღიარა მომავალი ბედი მართასი. მართლადაც, იმპერატორის კონსტანტინეს ძემ მიხაილ დუკამ დაიწერა იმაზე ჯვარი 1065 წ. ეს მართა ცნობილია ბიზანტიის ისტორიაში ალანელ მარიამად. შემდეგ ამისა დედოფალი მარიამი, დედა ბაგრატისა, წავიდა წმინდათა ადგილთა მოსალოცავად. — სულთანი მიუხედავად იმისა, რომ ნათესავი იყო ბაგრატისა, ხშირად თავს ესხმოდა კახეთს და ჰერეთს, რომელნიც მამ მოაოხრა. ამის შემხედავმა კახეთის მთავრის გაგიკის ძემ, აღსართანმა მიიღო მუსულმანთ სჯული და გადასცა ყველა თავისი ციხეები და დაემორჩილა მათ. თურქები იმის და ლორის მფლობელის შემწეობით ზედ დაეცენ ჩრდილოეთით ქართლს 10 დეკემბერს 1068 წ. და დაიპყრეს ის ერთი დღის განმავლობაში. აქედამ ისინი გაემგზავრენ არგვეთის მხარეს. ბაგრატმა გაუგზავნა მათ ლიპარიტის ძე იოანე და გამოსთხოვა ზავი. სულთანი დათანხმდა ზავზე მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაგრატმა აღუთქვა მას ხარაჯის მიცემა.

ამ გალაშკრების დროს სულთანმა აიღო ტფილისი და რუსთავი, რომელნიც აჩუქა განძელ ემირს ფადლონს, ანის ემირის მანუჩარის ძმას, და თითონ დაბრუნდა აღმოსავლეთისაკენ. გაზაფხულზედ ბაგრატი ჯარით შემოვიდა ქართლში. ლიპარიტის ძემ იოანემ, ქვაბულის ძემ ნიანიამ და ყველის ერისთავმა მურმანმა მოწინავე ჯარით დაეწიენ ფადლონის ჯარს მუხრანსა და წილკან შუა, ამოხოცეს და გაფანტეს მტერი. ამის შემდეგ ფადლონი იძულებულ იქნა გაქცეულიყო კახეთში. აქ ის დაიჭირა ვიღაც გლეხმა, და მიგვარა ჯერ მთავარს და შემდეგ მეფე ბაგრატს, რომელმაც დაუთმო აღსარ-

თანს უჯარმის და ბოჭორმის ციხეები, მოადგა ტფილისს და თხოულთბდა იმის დამორჩილებას; წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა ფადლონს ჩამოხჩობას. როდესაც მან დაიფლო ტფილისი, რუსთავი, ფარცხისი და იმის მიდამო, ჩააბარა ტფილისი ვიღაც სითლაბარს, [1]) დმანისის ციხის უფროსს მიდამო და სამხედრო საუდიეროს აღების შემდეგ, რომელიც 44,000 ოქროს [2]) შეადგენდა, გაბრუნდა. სულთანის შუამდგომლობით ბაგრატი დათანხმდა ფადლონის გაშვებაზე თავის სამფლობელოში, მაგრამ ემირმა ისარგებლა ბაგრატის წასვლით და დაიპყრა სომხეთის სამხრეთი ნაწილი. ამ მუხანათობის დასასჯელად აფხაზთ მეფემ თავის სიძის, ოსეთის მეფის დურღულელის თანადახმარებით განდევნა ის მის მიერ დაპყრობილ მხარიდამ. შემდეგ გარდაცვალებისა ოქროპირ კათალიკოზისა ბაგრატმა დანიშნა მის ადგილს გიორგი ტაოსელი, ხოლო შემდეგ გიორგისა, რომელიც მალე მიიცვალა, გაბრიელ საფარელი.

უკანასკნელ წლებში თავის მეფობისა ბაგრატი ალარ უხდიდა სულტანს ხარკს, ხოლო მასთან ჰქონდა კეთილი განწყობილება და ისინი უგზავნიდნენ ერთმანეთს საჩუქრებს. 1072 წ. ბაგრატი ავად გახდა მახლობლად სამშვილდისა, სადაც მას თან ახლდენ დედა, მეუღლე და ასული მარიამ. მან წარუდგინა მემკვიდრე თვისი ქართველთ დიდებულთ, და სთხოვა მათ ალმოეჩინათ ახალგაზდა მეფისათვის ჯეროვანი შემწეობა. ის აღესრულა 24 ნოემბერს. ამავე წელს გარდაიცვალა სულთანი ალპარსლანი.

ბაგრატ IV დროს აშენებულ ეკლესიათაგან უწარჩინებულესნი არიან, ეხლაც დაცულნი: ატენისა, ზარზმისა, ნიკორწმინდისა, კაცხისა და სამთავისისა. ამანვე მიანდო მამა პროხორეს 1038 წ. აშენება ჯვარის-მონასტრისა იერუსალიმში. ამისავე დროს გიორგი მთაწმინდელმა გაამდიდრა ქართული ლიტერატურა ბერძნულ ენიდამ თარგმნით, რომელიც შეიცავ-

[1]) ვახ. „სითლარბს", ბარ. „სათლაბარ".
[2]) დრაკანს.

და უმეტეს ნაწილს დაბადებისას და ახალ აღთქმისას,—აგრეთვე სხვა და სხვა კომენტარიებით და სალიტურგიო თხზულებებით. გიორგი მთაწმინდელი გარდაიცვალა 24 ივნისს 1065 წ. კოსტანტინეპოლში. საქართველოს ეკლესია დღესასწაულობს მის ხსენებას 30 ივნისს [1]). ჯერ კიდევ ნახევარ

---

[1]) ა. ცაგარელს მოჰყავს ვიღაც უცნობის ავტორის ხელნაწერი „ძველთა ქართველთა მთარგმნელთათვის. . . საღმრთო წერილისა“, რომელშიაც გიორგი მთაწმიდელის კონსტანტინეპოლში გარდაცვლას აჩვენებს 1066 წ. Св.о пам. гр. письм. т. I, в. 3. აქვე მოხსენებულნი არიან ქართველნი მთარგმნელები და მეცნიერნი 1) წმინდა მამა ილარიონ ქართველი იყო მთარგმნელი და † ქრ. აქეთ წ. 882, ადარნასე მეფის დროს. 2) წმ. მამა იოანე მთარგმნელი, მამა ევთვიმისა, იყო სუმბათ მეფისა და კოსტანტინეს ჟამს, წ. 923, ქვეყნისაგან ტაოსა. 3) წმ. მამა ევთვიმე მთარგმნელი † წ. 1028, მეფობასა ბაგრატ მეფისა, გიორგის ძისა; ამავე ჟამსა იყვნენ იოანე გრძელის ძე, არსენი ნინოწმინდელი, იოანე ხახულელი—ოქროპირი, ზაქარია მირდატის ძე ანუ შატასის ძე. 4) ამავე მეფის დროსა იყვნენ ქართველნი ესე მთარგმნელნი იოანე, პეტრიკ ყოფილი, ფილოსოფოსი, პეტრიწად *) ზედწოდებული, და სტეფანე, 1069 წ.

[*) ბ. ა. ცაგარელს დასაბუთებით გამოუკვლევია მდებარეობა პეტრიწონის მონასტერისა. „პეტრიწონის მონასტერი, ამბობს ის, უთუოდ იყო ეხლა ცნობილი ბაჩკოვის მონასტერი რუმელიაში, 30 ვერსის მანძილზე ქ. ფილიპპოპოლიდამ. ბიზანტიის მწერლებს (ანნა კომნენის) ჩვენებით ეს მონასტერი ძველადვე პეტრიწონის ღვთის მშობლის მონასტრად წოდებული, 1084 წ. დააფუძნა ორმა ძმამ ივერიელებმა, პაკურიანებმა (უეჭველად ისინი თ. ჯან-ბაკურ-ორბელიანების გვარის შთამომავალნი იყვენ), რომელნიც საქართველოდამ მოსულნი იყვენ, ბიზანტიაში უმსახურნიათ და სასახლის უმაღლესის ხარისხებით—დიდის დომესტიკის და დიდის მაგისტროსის—დაჯილდოებულნი იყვენ იმპერატორის ალექსი კომნენის მიერ (1081—1118 წ.). ერთი ძმა გრიგოლი მოჰკლეს 1081 წ. ომში ბოლგარებსა და კომანებთან. ამ მონასტრის მფლობელობა თვით ეგეის ზღვამდე მიაღწევდა. ირეჩეკის მოსაზრებით პეტრიწონი და ეხლანდელი ბაჩკოვი იყვენ ის მონასტრები, რომელნიც მეჯვაროსნებმა 1189 წ. აიღეს და გაძარცვეს. ამ მონასტრის იღუმენი, რომელიც იმპერატორს ფრიდრიხ ბარბაროსსას ფილიპპოპოლში წარუდგინეს, ტომით იბერიელი იყო —

წელიწადს არ გაევლო გიორგის ტახტზე ასვლიდამ, რომ ნიანია ქვაბულის ძე, იოანე ლიპარიტის ძე და ვარდან, სვანეთის

5) მეფის დავით აღმაშენებელის ჟამს წ. 1116, იყვნენ მთარგმნელები ესე ქართველნი: ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენი იყალთოელი და იოანე ტარიჭის ძე. 6) ბაგრატ მეფის დროს იყვნენ: ბერი გრძელი, ახალი აბრჰამ, არსენი, ანტონი მნათე, ბასილი ბაგრატის ძე; ევთვიმეს და მთაწმინდელსაც მოესწრენ ესენი. 7) კიდევ იყვნენ ამისა მეფობაში: იანე ანუ ილარიონ თუალელი, მოძღვარი გიორგი მთაწმინდელისა, გიორგი შეყენებული, მოძღვარი გიორგისავე, გიორგი, და გიორგი ოლთისელი. 8) ამავე მეფის მოწოდებით მოვიდა გიორგი მთაწმინდელი მასთან, ქრისტესით 1059 წ., და † გიორგი მთაწმინდელი კოსტანტინეპოლში ქრისტესით 1066 წ.

ამ ბაგრატ IV დროის სამი გუჯარი გვაქვს დღემდის დაცული. პირველი არის 1040 წლის თარიღით აღნიშნული, რომელიც არის პირი და საქართველო-იმერეთის გუჯართ კრების წიგნში შეტანილი № 378 და რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით ჩართულია „ქართლის ცხ—ში“ (გვ. 221, 222). ეს გუჯარი ანუ კათალიკოზის მელქისედეკის მიერ შედგენილი სია ბიზანტიის იმპერატორების ბასილის და რომანის და სხვა პირების საჩუქრებისა—რომელნიც მათ მცხეთისთვის შეუწირნიათ,—წარუდგენია ამავე კათალიკოზს დასამტკიცებლად ბაგრატისათვის და კახთ მეფის კვირიკესათვის, რომელთაც იგი კიდეც დაუმტკიცებიათ. გუჯარი დაბეჭდილია ჩუბ. ქრისტ. გვ. 203—208. მეორე გუჯარი შეიცავს ოპიზის (ჭოროხის ხეობაში, ართვინის მაზრაში) და მიჯნაძორის (სომხური სიტყვაა და ნიშნავს შიდა-ხეობას Hist. de la Géor. I t. 578 გვ.) მონასტრების სამამულო

„ex Hiberia ortum“;—იმპერატორმა დიახ მოწყალეთ მიიღო იგი.—გელათის კრებულიდამ,—რომელიც ბერძნულიდამ არსენიმ და დავითმა პეტროწონელმა 1030 წ. გადათარგმნეს,—სჩანს, რომ პეტროწონის მონასტერი პაკურიანების მიერ აშენებული კი არ არის, არამედ განახლებული და განდიდებული.—განთქმული ქართველი მეცნიერი და ფილისოფოსი XI საუკ- იოანნე პეტრიწი (შემოკლებულია პეტრიწონელიდამ) უეჭველად იყო ამ პეტრიწონის მონასტრის ერთი ძმათაგანი: ჩვენ გვაქვს დაცული წარწერა, რომელიც გადმოწერილია პეტრიწონის ღვთის მშობლის ოქროს ხატიდამ და რომლიდანაც სჩანს, რომ ორ ძმას ქართველებს, ბერებს ათანასეს და ოქროპირს (იოანეს), გაუკეთებიათ და შეუწირავთ ეს ხატი 1311 წ. ამ ნაირად 1030 წ. 1031 წ. ჩვენ გვაქვს უსაცილო საბუთი ქართველების ამა მონასტერში მყოფობისა. ib. გვ. XII და XIII.]

ერისთავი, კახელების შემწეობით აჯანყდენ გიორგის წინააღმ-
დეგ. იოანემ დაიბანაკა ქსნის პირზე; ნიანია, ჩავიდა ქუთაისს
და წარიტაცა მთელი მეფის საჭურჭლე, ხოლო ვარდანმა თა-

დავის განხილვას ბაგრატ IV მიერ. ეს სიგელი ჩვენს მეფეებს—გვარამ მამ-
ფალიდამ დაწყებული ვიდრე ბაგრატ IV-ს შვილამდე—იმ რიგზედ ჩამო-
თვლის, როგორც „ქართ. ცხ—შია“ მოხსენებული. „და მოიხვნეს—ამბობს
სიგელი—მიჯნაძორელთა სიგელნი ერისთავთ ერისთავისა გურგენისა, მე-
ფეთ მეფისა გურგენის, პაპისა ჩემისა ბაგრატ კუროპალატისა და მამისა ჩე-
მისა გიორგი მეფისა“.... და „ოპიზართა მოიღეს სიგელი, დაწერილი გვა-
რამ მამფლისა“..... და „მეფობასა ჩემსა და ძესა ჩემსა გიორგი კურო-
პალატსა გვილოცვიდენ“..... „დავის მოსასპობელად ჩვენ შევკრიბეთ დარ-
ბაზსა შინა ჩვენსა მღვდელთ მოძღვარნი, ერისთავთ ერისთავები, ერისთავნი
და ყველა ქვემო და ზემო ხეობის აზნაურები და მეცნიერნი საქმისა“. ქართ.
ცხ—ბით“ გვარამ მამფალი, შვილი აშოტ კუროპალატისა, მეორედ აღმშენებ-
ელისა ოპიზის მონასტერისა, მოკვდა 883 წელს. ერისთავთ ერისთაეი გურგენ †
968 წ., მეფეთ მეფე გურგენი † 1008 წ., შვილი მისი ბაგრატ III † 1014 წ.,
შვილი ამისი გიორგი † 1027 წ.. გიორგის შვილი იყო ბაგრატ IV და
ამ უკანასკნელის შვილი გიორგი II. მესამე სიგელი ბაგრატ IV ნოველი-
სიმოსისა ბ. ექვ. თაყაიშვილის მოსაზრებით ნაბოძები აქვს 1058 წელს
შიო-მღვიმის მონასტერს, რომელსაც ომის შემდეგ დიდი ზარალი მისცემია.
ამ სიგელში, რომლითაც ის აძლევს წყალობას ამ მონასტერს, მოხსენებუ-
ლია სხვა და სხვა ხარკები და გადასახადები, რომელნიც მაშინ საქართვე-
ლოში იყო დაწესებულნი. ექვ. თაყაიშვილი Сигель груз. ц. Баграта
IV, 1894 г. ქრონიკები თ. ჟორდანიასი გვ. 204, 206. ამ სიგელში,
როგორც მოწამეთის ჯვრის წარწერაზე და ალავერდის ოთხ-თავში, რომ-
ელიც გადაწერილია 1059 წელში, ბაგრატ IV ნოველისიმოსად იწოდება;
ხოლო კაცხის და ნიკორწმინდის მონასტრების წარწერაში ის კუროპალა-
ტად იხსენება. ატენის მონასტერში და ზოგიერთ იმ დროის ფულზე კი მას
სევასტოსად უწოდებენ Brosset. voyag. arch. Rap. VI გვ. 23. რამბო
ამბობს: „ამ ღირსებებს კავკასიაში და სომხეთში ბიზანტიის მეფეები ისე
არიგებდენ, როგორც შემდეგში პეტერბურგის სასახლე თავის ორდენებს.
ღირსება კუროპალატისა ივერიის დინასტიაში მემკვიდრეობითი იყო. ის იყო
საპატიო მარშალი სასახლისა, როგორც საფრანგეთში გრაფი შამპანიისა,
ანუ გერმანიაში გრაფი პალატინი რეინისა. კუროპალატის ღირსება ბიზან-
ტიის იერარხიაში განსხვავებული იყო. ნამდვილ კი მაგისტერს ეკავა უპი-

ვის ღვარძლიან სვანებით ააოხრა სამეგრელო. მეფემ ძლიერებით და გონიერებით დაიმორჩილა ყველა ესენი და მიუბოძა იოანეს სამშვილდე, მის შვილს ლიპარიტს—ლოწობანი, ქ. რუსთავის ნაცვლად, რომელიც მან დაუთმო კახელებს,—ნიანიას—თმოგვი, ვარდანს—ასკალანი და ამით დაამშვიდა ისინი. იოანე მეორედაც აჯანყდა, მაგრამ დამარცხებულმა შეფიცა ხელმწიფეს, რომ მომავალში მისი ერთგული იქნება და დარჩა მფლობელად კლარჯეთის და სამშვილდის ციხეებისა.

იოანე აჯანყდა მესამეჯერაც და წაართვა მეფეს გაგიკის სიმაგრე, რომელიც მიყიდა განძელ ემირს ფადლონს. ამ დროს ივერიას შემოესია ჯარით სულთანი მელიქ-შაჰ, რომელსაც მიეგებნენ მოლალატე იოანე და შვილი მისი ლიპარიტი და რომელმაც მოწყალედ მიიღო ისინი.

მცირე ხანს შემდეგ იოანე და ლიპარიტი გამოიპარნენ, რის გამო გარისხებული სულთანი შემოადგა სამშვილდეს, აიღო ციხე და დაატყვევა იოანე თავის ცოლშვილით. შემდეგ ამისა თურქები შემოესიენ მთელს ივერიას, ააოხრეს მთელი ქვეყანა და წავიდნენ განჯას 1088 წ; სულთანმა დაიპყრა ეს ქვეყანა და, ჩააყენა რა იქ დიდი ჯარი, გავიდა ივერიიდამ, მაგრამ მალე ისევ დაბრუნდა და შემოესია. გიორგიმ შეკრიბა თავის ჯარი ზემო და ქვემო ქართლიდამ და კახეთიდამ, და შეებრძოლა თურქებს ფარცხისს, სადაც მტერი ძლიერ დამარცხდა. ღვთის შეწევნით გიორგიმ აიღო ანაკოფია და ყველა ციხეები, რომელნიც ბერძნებს ეკავათ და დაიპყრა კლარჯეთი, შავშეთი და ჯავახეთი. ბოლოს დაიკავა ყარსი [1]) და

რატესი ადგილი. ეს ღირსება ეძლეოდა მეფეს ანუ მთავარ-მმართველს. ამ ღირსებით იყვნენ დაჯილდოებულნი მაგ. აფხაზეთის მეფე გიორგი, დავით, ბაგრატ და გურგენი—ძმისწული ადარნასე იბერიელისა, ბაგრატ, ძმა იბერიის მეფეს ა'შოტ დავითისა. მეორე ღირსება იყო პატრიკობა... იბერიის მთავრებში პატრიკად ცნობილია ა'შოტ კისკასი—ძმა ადარნასე მეფისა. Alphred. Rambeaud. L'èmp. Grec. au dixième siécle. 1870 r.

[1]) კარი. ვახ.

გამოაგდო თურქები ვანანდის, კარნიფორის [1]) და ასიანას (?) სიმაგრეებიდამ.—როდესაც თათრების სარდალმა ეს შეიტყო, შეკრიბა ჯარი; ახმატმა, ერთმა იმის ემირთაგანმა, აიღო ყარსი, დაეცა მეფე გიორგის ყველის-ციხესთან, ძლიერ დაამარცხა ის, და დიდი ალაფი დაინარჩუნა. მეფე აჭარით გაიქცა აფხაზეთში. თურქები ერთ დღეს შეესიენ და ააოხრეს დასავლეთი ივერია სამეგრელოდამ დაწყებული ტაოსის მაზრის საზღვრამდი, სადაც დაჰყვეს ზაფხული და შემოდგომა.

1089 წ. ხელახლავ თურქები შემოესიენ ივერიას და მეფე გიორგი იძულებული იყო პირადად წარმდგარიყო მელიქშაჰს წინაშე, რომელმაც ის პატივისცემით მიიღო და უკნებელად გამოისტუმრა იმ პირობით კი, რომ მას მომავალს დროში უნდა ეხადა ხარკი. კახეთის მფლობელი აღსართანი როცა დარწმუნდა, რომ ამგვარივე აკლება მოელის იმის მხარეს, სულთანთან წავიდა და მიიღო მაჰმადის სჯული, და იმით კახეთი დაიმკვიდრა. რამდენადაც ვიცით, გიორგი გარდაიცვალა 1089 წ. [2]). იმავე წელში თმოგვის ციხე საშინელ მიწის ძვრისაგან [3]) დაინგრა.

გიორგის შემდეგ ტახტზე ავიდა ძე მისი, 16 წლისა, დავით, წოდებული ქართველთ შორის აღმაშენებლად. იმის გამეფების დროს თრიალეთის მაზრა ეჭირა ლიპარიტს, რომელიც მეფეს ეხლა ერთგულად ემსახურებოდა. ნიანიამ და სხვა დიდებულებმა იწყეს შემოკრება მეფესთან, რომელიც ჩვეულისამებრ ლიხის მთის გადაღმა მხარეში იმყოფებოდა და, თუ მოისურვებდა ხოლმე ქართლში ნადირობას, იძულებული იყო

---

[1]) კარნიფორი არზრუმია.

[2]) ბ. ჟორდანია თავის ქრონიკებში — და ბ. ურბნელი თავის მონაგრაფიაში „დავით აღმაშენებელი“ გიორგის მეორეს სიკვდილის წელს უჩვენებენ 1112 წ.

[3]) „ქვეყნის რყევა“ ქ. ცხ.

მტრის შიშის გამო წინადვე გაეგზავნა კაცები ადგილების დასათვალიერებლად.

მელიქ-შაჰ გარდაიცვალა 1092 წ. ლიპარიტი დაუბრუნდა თავის წინაპართა ჩვეულებრივ ყოფაქცევას და იწყო მეფის წინააღმდეგ ბოროტ მოქმედება, რისთვისაც მეფემ ბოლოს დაიჭირა ის და 2 წლის შეპყრობის შემდეგ, განათავისუფლა. 1096 წ. ლიპარიტი წავიდა საბერძნეთში, სადაც ის გარდაიცვალა. სამი წლის შემდეგ ფრანგებმა [1]) იერუსალიმი და ანტიოქია დაიპყრეს. დავითმა მოუსპო სულთანს ხარჯის ძლევა; დაუძლურებულნი თურქები ველარ ბედავდენ საზამთროდ დარჩენას ავჭალაში, დიღომში და მდ. ოორის პირებზე. 1101 წ. დავითმა ზედაზენის ციხე წაართვა კახეთის მფლობელს კვირიკეს და ამასთანავე სიკვდილმა მოაშორა მას უკანასნელი მისი მეამბოხე ლიპარიტის შვილი, რატი, რომელიც ამ დროს გარდაიცვალა. ამ მხრით დამშვიდებულმა მეფემ კათალიკოზის იოანესი თანადასწრებით, — რომელიც გიორგი საფარელის მოადგილე იყო, — მოიწოდა ივერიელების სასულიერო წოდება საჯარო კრებაზე, რომელმაც დაადგინა მკაცრი ზომების მიღება საეკლესიო საქმის და სასულიერო წოდების წესიერად დამყარებისათვის [2]). ცოტა ხანს უკან თურქების ურდოები შეესიენ კახეთს, მაგრამ ძლიერ დამარცხდნენ. 1105 წ. გარდაიცვალა, აღსართანი, რომლის სიკვდილის შემდეგ კახეთი შემოუერთდა ქართლის სამეფოს და შეადგენდა ერთს განუყოფელ საქართველოს სამეფოს 363 წლის განმავლობაში. ზემოთქმულ წარმატებისათვის სადიდებელად ღვთისა მეფე დავითმა აღაშენა გაენათის [3]) მონასტერი ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის სახელზე და გაამდიდრა ის მამულებით, რომელიც ლიპარატის გვარს ჩამოა-

---

[1]) მეჯვაროსნებმა.

[2]) ამ ძეგლის დებაზე ნახე მონოგრაფია ბ. ურბნელისა, აგრეთვე მისსავე „დავით აღმაშენებელი“ მოამბე. 1894 წ.

[3]) ესე წოდებულ გელათის.

რთვა. გელათის აშენების დროს მეფე კედლის მაღლობიდამ გადმოვარდა და მძიმე ავათმყოფი შეიქნა. ამ სნეულობის დროს ის მხოლოდ ბანაობით განიკურნა ირმის რძეში, რომელიც ვილაც აბჟანდაძის ოჯახიდამ მოჰქონდათ. დავითმა აშენა აგრეთვე თავშესაფარი [1]) სნეულთა და გლახაკთათვის, რომელიც მოწყობილი იყო ყველაფრით, რაც კი საჭირო იყო მათ ჯეროვან მოსავლელად. თვითონ დიდ ბუნებოვანი მეფე უვლიდა მათ, ხან სუფრაზე მსახურებდა და ხან იარებსაც უწმენდდა.

აქამომდე ტფილისს, რუსთავს, სომხეთს და სამშვილდეს თურქნი ფლობდენ, მაგრამ თევდორემ, ჭყონდიდელის დის წულმა, აბულელმა და იოანე ორბელიანმა მოასწრეს სამშვილდის დაჭერა [2]) 1110 წ.; თურქნი გავიდენ სომხეთიდამ და დაიზამთრეს თბილ მინდვრებში ივრის პირად. იმავე წელს გააქციეს თურქები მოსლათიდამ, რომელსაც ისინი საშინელ მძვინვარებით დაეცენ. რუსთავი აიღო 1115 წ. ჭყონდიდელმა გიორგიმ. შემდეგ წელში მტერი, რომელიც თავს დაესხა ტაოს მაზრას, დიდის ზარალით უკუქცეული და დევნილი იქნა ბასიანის და კარნიფორის მაზრამდი. დავითმა მიათხოვა პირველი თვისი ასული კატა ბატონიშვილს ალექსის, ნიკიფორე ბრიენის IV ძეს და ანნა კომნენის შვილს, და მეორე ასული თამარი— ახისთანს შირვანშაჰს.

1117 წ. აფხაზთა და ქართლის მეფემ დაიპყრა ციხე გიში, კახეთის და ივერიის მიჯნაზე, და გაგზავნა იქ ძე თვისი დიმიტრი, რომელმაც საოცარი სიმამაცე გამოიჩინა, და იმის შემდეგ ციხე ქალაძორი დაიჭირა; მანვე დაამარცხა ხლათის ემირის სეკმანის ჯარი. შემდეგ წლის გაზაფხულზე თურქნი შემოესიენ ჯავახეთს და ბეჟკენ ჯაყელი მოჰკლეს. დავითი გამოუდგა მათ და არაქსის ნაპირზე მოსპო მტრების გუნდი. მან დაიფლო ლორის და აგარაკის ციხეები. ამ ხნის განმავლობაში

---

[1]) ქსენონი.

[2]) „სიმარჯვით მოიპარეს“ ვახუშთ.

სულტანი ტაფარი გარდაიცვალა, იმის მემკვიდრედ მისი შვილი მახმუდი დარჩა.

ამ წარმატებით გამხნევებულმა დავითმა გარდაწყვიტა დიდ ძალი რიცხვი ყიფჩაყების ჯარებისა დაექირავნა. მან წინეთ ამისა შეირთო გურანდუხტი, ასული ათრაკისა, შარაგანის შვილისა, რომელიც ერთი იმათ წინამძღოლთაგანი იყო. მან წინადვე იცოდა, რომ ეს ურიცხვი და მორჩილი ხალხი იმის წინადადებაზე უარს არ იტყოდა. მართლაც, მან დაიჭირა როგორც ყიფჩაყების გასავალად დარიალანის კარი, აგრეთვე ყველა კავკასიის გასავალი კარები, და მრავალის დაპირებით მან შემოიყვანა ქართლში საშველი ჯარი, რომელიც შესდგებოდა 40,000 ყიფჩაყთაგან, 500 დარჩეულ ოსთაგან და იმათი შემწეობით დაიწყო გალაშკრება შირვანზე და სომხეთზე.

1120 წ. დავითმა დაიჭირა ყაბალა, ახლანდელი შემახია და აგრეთვე უფროსი ნაწილი შირვანის მხარისა, შემდეგ დაამარცხა თურქნი ბასიანში და საზამთროდ აფხაზეთში წავიდა. ეს რომ შეიტყვეს თურქებმა, დაეცენ ქართლს 20,000 ჯარით. მეფემ ლიხის მთაზე დიდ თოვლში ძლივს გაკაფა გზა და ანაზდეულად დაეცა მტერს და უკანასკნელ კაცამდი აღმოხოცა. გაზაფხულს ის მივიდა ქ. ბარდამდი და შეკრიბა არანში მდიდარი დავლა.

1121 წლიდამ დაწყებული მაჰმადიანები უჩიოდენ დავითს და ევედრობენ სულჯუკის სულთანს დახმარებას. მათ შეკრიბეს თავისი ძალა ორტოკის ემირის ელხაზის [1]) წინა მძღოლობით და შემოვიდენ 18 აგვისტოს თრიალეთში. უში-

---

[1]) მართლწერა მუსულმანების საკუთარი სახელებისა ორიენტალისტების მიერ ჯერ კიდევ არ არის წესიერად დადგენილი. ავტორი სელჯუკების სარდალს ელგაზად უწოდებს, ხოლო უმეტესი ნაწილი მეისტორიებისა ილგადხანეღლუზად იმის სახელს სწერენ და იხსენიებენ მას არდუზის ემირად. ვებერი ილგაზს უჩვენებს იერუსალიმის ემირის ორტოკის შვილად, რომელიც შთამამავლობით თურქმენი მთავარი იყო. Вс. ист. т. 6 стр. 453.

შარი მეფე თავს დაეცა მათ 56 ათასი მხედრებით, დაამარცხა ისინი პირველ შეტაკებაშივე და აუარებული დავლა დაინარჩუნა. 30 ითასი მტერი დაატყვევეს, ომის ველი სრულიად დაფარული იყო მკვდრებით. ორი წლის ალყის შემდეგ დავითი მივიდა იერიშით 1122 წ. ტფილისზე, რომელიც თითქმის 400 წელიწადი მუსულმანთ ხელში იყო და რომელსაც მართვიდენ ამ დროს ზემოხსენებულის ჯაფარის ჩამომავალნი. დავითმა დანიშნა ტფილისი თავისის შვილების სამყოფელ ქალაქად და საჭურჭლეთ შესანახავად. რასაკვირველია, ტფილისის აღების დროს დიდი რიცხვი მაჰმადიანთა დაიხოცა, მაგრამ ქალაქის აღების შემდეგ, მეფემ დაამშვიდა მკვიდრნი დაპირებით, რომ მათი რჯული წესისამებრ პატივის დებაში იქნება; ხოლო ფული მოჭრილი იქნება ღვთისა და ხალიფის სახელით. ამ ამბავს ამტკიცებს მეისტორიე ელ-აინი, რომელიც დასძენს, რომ აღთქმული სიტყვა მეფემ კიდეც აასრულაო; ახლაც არის მეფეს დიმიტრის დროის მოჭრილი ფული ხალიფის ელ-მოკმაფის სახელით.

შემდეგ წელში თავრიზის სულთანმა დაატყვევა შირვანშა, შემოესია ივერიას ურიცხვი ჯარით და გამოიწვია დავითი ომში შამახიის ახლო, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ მას ახლავს 56 ათასი მხედარი, სულთანმა გაბრუნება არჩია. მეფე შირვანს წავიდა, აიღო ქალაქი გულისტანი, შაქი და შამქორი, აიკლო ეს მხარე და დაბრუნდა ქართლში.

მარტში 1124 წ. დავითმა დაიპყრა დმანისი, იმავე წლის აპრილში — დაღესტანის ციხე შაბურანი, შემდეგ — მთელი ჩრდილოეთი სომხეთისა და ტაოს მაზრა, სვანეთი და რაჭა.

დავითს უყვარდა სომხები და იმათ აუშენა შიდა-ქართლში ქალაქი გორი, სადაც აქამომდე მკვიდრთა უფროსს ნაწილს სომხები შეადგენენ. აქ მის წინაშე წარდგნენ ელჩნი და სთხოვეს მას ქალაქის ანის აღება, რომელიც მაშინ ბენნი-შედდადის ემირის აბულსევარ II უფლების ქვეშ იმყოფებოდა. იქაურნი მკვიდრნი შეწუხებულნი იყვნენ იმითაც, რომ ემირს

სურდა თურმე ქ. ანი ყარსის ემირისათვის მიეყიდნა, და აგრეთვე იმითაც, რომ—ანის ტაძრის თავზე, რომელიც მიზგითად გარდაექცია ემირს, დაედგა ვეებერთელა მთვარე[1]). ამ წინადადების —მიღების მესამე დღეს მეფე გაჩნდა ანის ქალაქთან 60 ათასი ჯარით, იარაღით აღმოხოცა სპარსელები და ქალაქის დაპყრობის შემდეგ, დაატყვევა და წაიყვანა აფხაზეთში ემირი თავის შვილებით. ისინი აქედამ არაოდეს შინ აღარ დაბრუნებულან და შეიქნენ წინა პარნი შერვაშიძის გვარისა. მეფე დავითმა მიანდო ანის მოურაობა ორბელიანებს, დიდებულთ აბულერს და იმის შვილს იოანეს და თითონკი ქართლით წავიდა ისევ შირვანს. რა დაიპყრა და აიკლო შამახია, ჩააბარა ეს მხარე სიმონ ჭყონდიდელს წესიერების დასამყარებლად. ამ ნაირი იყო მეფე დავითის სამხედრო მოღვაწეობა. ივერიელნი იმისაგან აღტაცებულნი იყვენ და ადიდებდენ მას კეისრად. იმ დროს მოჭრილ ფულზე იგი კეისრად იწოდებოდა. იმისობას კათალიკოზად იოანე იყო, რომლის შთამოვლობა არ ვიცით. იოანემ და არსენ იყალთოელმა, მეფის მოძღვარმა, გამოიწვიეს ერთხელ სომხები სჯულზე საბაასოდ, მაგრამ კამათობამ უქმად ჩაიარა: ხანგრძლივი ბაასისა შემდეგ ისინი ვერ შეთანხმდენ. მაშინ მეფემ, რომელიც დაესწრო ამ კრებაზე, დაითხოვა ორივე დასი მშვიდობიანის სიტყვით.

ამბობენ, რომ მეფე დავითმა ივერიაში განათლების გასავრცელებლად გაგზავნაო საბერძნეთში 40 ყმაწვილი კაცი, რომელთაც შეისწავლეს ბერძნული ენა, ფილოსოფია, ლიტერატურა, და შემდეგში თამარის მეფობაში შეიქნენ თავის სამშობლოის განმანათლებლები [2]).

---

[1]) ნიშნად მაჰმადია სჯულის გამარჯვებისა.

[2]) ბატონიშვილს თეიმურაზს მოჰყავს ტიმოთე მიტროპოლიტის სიტყვები, რომელშიაც დავით აღმ. მეფობის დროს გამოჩენილი მწერალთ რიცხვში ის იხსენიებს „იოანნე ჰირჰიმელს, პეტრიწად წოდებულს, რომელიც „გრემის შკოლაში ასწავებდა მოწაფეთა ფილოსოფიას, ღვთის მეტ-

ქველი მეფე დავით გარდაიცვალა 24 იანვარს 1125 წ. 52 წლისა იმეფა 36 წელიწადი. ივერიელებმა ის შერაცხეს წმინდათა რიცხვში და მის ხსენებას დღესასწაულობენ 25 იანვარს [1]).

ყველებას და ენას ელინურსა, ღრმად გამომეტყველი იყო და უწყოდა ენა ელინური ზედ მიწევნით, ასურული და არაბული. ესე აღიზარდა ათონისა სასწავლებელთა შინა". დიმ. ბაქრაძით (ბაგრატ IV გვ. 56) „მთელი გუნდი დაუღალავად მუშაკობდენ და გარდმოჰქონდათ სამშობლო ენაზე ურიცხვნი განმარტებანი საღმრთო ქმნილებისანი". ნ. ურბნელი თავის მონოგრ. „დავით აღმაშენებელი" ჩამოთვლის დავითის დროის მწერალთა, რომელთაც საზღვარ გარეშე მიუღიათ სწავლა: 1) იოანე პეტრიწი 2) არსენი ვაჩნაძე იყალთოელი 3) იოანე ტაიჭის ძე 4) ეფრემ მცირე 5) თეოფილე და სხ. ის დასძენს, რომ იმ დროს „მარტო ქართლ-კახეთში სამი აკადემია იყო". ვარდან დიდის თქმით „ყმაწვილნი კაცნი იზრდებოდენ სასწავლებლად ბიზანტიის დედა ქალაქში, რომელიც იმ დროს იყო უპირველესი ასპარეზი მეცნიერებისა".

[1]) 26 იანვარს. დავით აღმაშენებლის წვეროსანი სახე გამოხატულია გელათის ეკლესიის კედელზე. ხალხში აქამომდე დაცულია ერთი ისტორიული სიმღერა ამ დიდ ბუნებოვან მეფეზე:

როს ნაჰარმაგევს*) მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწე ამისა მომქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს.

დავითი მარხია გელათის გალავნის სამხრეთ მხარეზე პალატში, სადაც უწინ სამწირველო და ტრაპეზიც ყოფილა. საფლავზედ აქვს დიდი ქვა, რომელზედაც მსხვილი ხელით სწერია: „ესე არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკვიდრო უკუნისამდე". ეს სიტყვები აღმაშენებელს თავის სეხნიის, მეფე დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნიდამ ამოუღია. ბაგრატიდები თავის შთამომავლობას ამ მეფე დავითისგან იწყებდენ და თავიანთ გერბში ხატავდენ იმ შურდულს, რომლითაც მეფე დავითმა მოჰკლა გოლიათი.—ეს პალატი, სადაც ასვენია დიდი მეფე დავითი დროთა ვითარებისა გამო თითქმის ინგვრევა და, როგორც ისმოდა ამ ბოლო დროს, უპატიურად იყო და თივას ყრიდენ შიგ... ყ-დ უსამღვდელოესმა იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრი-

---

*) ეხლმნდელი კარალეთი, გორის ახლოს.

1128 წ. დიმიტრიმ დაიპყრა დმანისის ციხე და ხუნანი. დაახლოებით 1131 წ. ივანემ განიზრახა მეფის მოკვლა, მაგრამ ამ ბოროტების ასრულება აბულელმა, როგორც იყო, დაუშალა. აგრეთვე დიმიტრის ძმამ, გიორგიმ შეითქვა მეფის მოსაკვლელად, რის გამო შეპყრობილ იქნა სატუსაღოში, საიდამაც ცოტა ხნის შემდეგ მეფემ განათავისუფლა იგი. იმავე წელს მეფემ დაამარცხა თურქები, რომელნიც შეკრებულიყვენ გაგის ველზე წმ. სარგის-სარდლის მონასტრის ასაკლებლად, მაგრამ აბულეთზე ჯავრი ამოიყარეს მით, რომ დაამარცხეს ის ქალაქი გერნის ახლოს და ომში დახოცილი მტერთა თავები ჩამოკიდეს მინარების მწვერვალებზე და ქალაქის კედლებზე. შემდეგ წელში მეფემ ღალატობით მოაკვლევინა მამაცი ივანე, რომელსაც დარჩა მემკვიდრედ შვილი თირქაში.

სომხის და არაბის მეისტორიენი ყველანი ერთ ხმად მოგვითხრობენ, რომ 1139 წ. ქალაქი განჯა მიწის ძვრამ დაიქცია. ვითომც მეფე დიმიტრის ამით ესარგებლოს, ჯარით შე-

---

ელშა მიაქცია ყურადღება ამ პალატის გაუმჯობესობაზე და იმის კურთხევით დეკანოზი დ. ღამბაშიძე და ზოგიერთი სხვა პირები შეუდგენ საჯაროდ ფულის შეგროვებას დიდებულ მეფის საფლავზე შესაფერი საჯვარის ასაგებად,—რისთვისაც ყველა ქართველისაგან მადლობას დაიმსახურებენ. როგორც ვიცით, ფულიც საკმაოდ შემოიწირა და საჯვარის აგებას უკვე შეუდგენ.

მეფე დავით აღმაშენებელის დროიდამ ჩვენ დაგვრჩა ორი გუჯარი. პირველი შეიცავს იმის ანდერძს, რომლითაც ის უტევებს თავის შვილს დიმიტრის „მეფობას, მამულს და მოგებულს ღვაწლითა ჩემითა და თქვენითა (დიდებულთა და წარჩინებულთა) ნიკოფსიიდამ და რუბანდამდი, ზღვამდე და სხ.“. საქართელ. სამოთხე—512—50. მეორე გუჯარიც შეიცავს ანდერძს, რომლითაც მეფე დავითი აღმ. თავის მოძღვრის ბერის იოანეს და ბერის არსენის რჩევითა შიომღვიმის მონასტერს სწირავს სხვა და სხვა შეწირულებას, და რომლითაც დადგენილია რაოდენიმე წეს-წყობილება შესახებ მონასტრისა ძმათა წმ. სიმეონის წესდებულობისა თანახმად. Гр. церк. гуд. Д. Пурц. გვ. 94 და 95.

სულ იყო და აეღოს ეს ქალაქი და აფხაზეთში თან წაეღოს განჯის რკინის კარები, რომელნიც ვითომ შეუწირავს გელათის მონასტრისათვის, სადაც ცალი კარი ახლაც დაცულია. ამ კარზე არაბული ზედ წარწერაა ჰიჯირის 455 წ. [1]), 1063 წ. ქრ. შობ. შემდ., რომლიდგანაც სჩანს, რომ ეს კარი აუგია ემირ შავირს ანუ აბულსეევერ I, ხოლო კარის ქვემოთ ძლიერ ძველი ქართული წარწერაა, რომელიც გვამცნევს, რომ თავისს მეფობის მე-13 წ. დიმიტრიმ შემდეგ არანის აოხრებისა თან წამოიღო აქ მოხსენებული კარი. მეფე დიმიტრის დროიდამ დარჩენილია შესანიშნავი ნაშთი სოფ. უბეში [2]), იმერეთში; ეს არის კოშკი, რომელიც აგებული იყო ერთ მესვეტისათვის, მარმარილოს ფიცრის ქვით, რომელზედაც ქართული ზედ წარწერა ამოჭრილია და უჩვენებს, 535 ჰიჯირისა, 361 პასხალინისა, 1141 წ. ქრ. შ. შ. დიმიტრიმ იმეფა 30 წელი და შემდეგ მონაზნობა მიიღო, ტახტზედ ხელი აიღო და მონასტერში შევიდაო; ალბად ის იძულებული შეიქნა ასე მოქცეულიყო ცუდი ყოფაქცევისა გამო თავის შვილისა დავითისა, რომელიც იმის მემკვიდრედ შეიქნა 1155 წ.

დავით III-მ ცოტა ხანს იმეფა, ზოგი ამბობს—2 თვეო, ზოგი—6 თვეო და ზოგი—2 წელიწადიო. დიმიტრი 1195 წ. გარდაიცვალა. დავითის შემდეგ სამეფო ტახტი დარჩა მცირე წლოვან იმის შვილს დემნას ე. ი. დიმიტრის, ხოლო სამეფო საქმეებს განაგებდა დავითის ძმა, გიორგი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა რეგენტობა იმ პირობით, რომ დემნა, როგორც კი სრულ წლოვანი შეიქნებოდა, ბიძას დაეჯინა დახტზე. ამას მოგვითხრობს მეისტორიე სტეფანოზ ორბელიანი. ქართველები კი წინააღმდეგ ამისა ამბობენ, რომ მეფე გიორგი III ავიდა

---

[1]) ჰიჯირი ჰქვიან მაჰმადის ლტოლვას მექიდამ მედინაში, რომელიც 622 წ. ქრ. შობ. შ. მოხდა. მაჰმადიანების წელთ აღრიცხვა ამ ჰოჯირიდამ მომდინარეობს.

[2]) უბისა შორაპნის მაზრაში მდ. ძირულაზე ძევს.

ტახტზე საზოგადო სამეფო წესდების ძალით, ვითარცა სამეფო გვარის უფროსიო. იმან შეირთო ცოლად ბურდუხანი, ოსეთის მფლობელის კუდდენის ასული. პირველად მან გაილაშკრა შაჰნარმენის სეკმანის წინააღმდეგ, რომელსაც წაართვა მთელი აშორნის მხარე, მდ. არაკსის სათავეში მდებარე.

იქიდამ წავიდა სომხეთში, დაამარცხა შაჰნარმენი, დაიპყრა სომხეთის სამეფოის ადრინდელი დედა ქალაქი და ივერია ნადავლით გაამდიდრა. 1161 წ. ქ. ანი აჯანყდა შეგონებით ვინმე შახო-შაჰის შედადიან [1]), რომელიც იყო წევრი ბენნი-შადდედის ოჯახისა, და დაემორჩილა სხვა ემირს. როცა გიორგიმ შეიტყო ეს, გაილაშკრა; სამი დღის ომის შემდეგ განდევნა მეამბოხენი და დაიპყრა ანის ქალაქი, რომლის მოურავად მან დანიშნა დიდებულნი სათუკი და მანდატურთ უხუცესი ივანე ორბელიანი. იმ დროს მოუდეზდის, მუსულმანების ათაბეგის ელჩი და სირიის პატრიარქი მივიდენ მეფესთან მოსალაპარაკებლად ტყვედ წაყვანილ მუსულმანების დახსნის თაობაზე. შემდეგ მეფემ ანიდამ გარდაიყვანა სათუკი და იოანე და ამ ქალაქის მოურაობა ჩააბარა სპასალარს სარგის მხარგძელიძეს, ხოსროს შვილი-შვილს, რომლის გვარი, როგორც ამბობენ, მომდინარეობდა სპარსეთის მეფის არტაქსეს დოლიმანის შთამამავლობიდამ. ორტოკის ემირმა, სუკმან შახიარმენმა შეიტყო რა ეს ამბავი, შეკრიბა ყველა ურდონი სპარსელებისა დიარბეკირის და კაპპადოკიის თურქებისა, და გიორგის მიერ ანის აღებიდამ 50 დღის შემდეგ მიადგა ამ ქალაქის ასაღებად. მეფე სწრაფად გარდავიდა შირაქის მხარეში ნაჭარმაგევიდამ, ეხლანდელ კარალეთიდამ, ქ. გორის ახლოს. მას ახლდენ პირველი მისი ეეზირი ივანე და სუმბატ ორბელიანები. მეფემ დააწყო რაზმები საომრად და ომი ატყდა, თვით მეფე ვითარცა ერთი მეომართაგანი ეკვეთა მტრის რაზმს და თავისი ისრით მოჰკლა თურქების მედროშე. მისი მეჯინი-

---

[1]) ვახუშტით შანშე დადიანი.

ბეთ — უხუცესმა ლიპარატმა, სუმბატის შვილმა, აბულეთმა, სურატის ბეგმა [1]) და სხ. მიბაძეს მას და შემუსრეს მტერი, რომლის ბანაკი მთლად ივერიელებს დარჩათ. შემდეგ ამისა გიორგი დაეცა ქ. დოვინს, საიდამაც მან მრავალი ტყვე წამოასხა და უბძანა ყორანის აღმსარებელთ ივერიაში წამოღება იმ ივერიელთ თავებისა, რომელნიც იქ დაიხოცენ დიმიტრის მეფობაში. ამ დამარცხების მაგიერის გარდასახდელად თურქები შეესიენ სომხეთს, აიღეს და დააქციეს გაგის ციხე. როგორც კი მეფე მივიდა იქ ჯარით, რომლის წინამძღოლი იოანე ორბელიანი იყო, სულთანმა ათაბეგ ილდიგუზით უკან უომრად დაიხია მდ. ელკეცის გაღმა, რომელსაც ახლა თოვუს-სუ ჰქვიან.

დაახლოვებით 1163 წ. ათაბეგი გელაქუნის, ეხლანდელ გოგჩის მაზრით მიადგა ხელახლავ ქ. ანს, — რომელსაც იცავდა მაშინ მამაცი მფლობელი თორელი, — და 30 დღე უქმად იდგა ქალაქს გარშემო. ამ დროს გიორგი ნადირობდა ლორეს და დმანისის შუა; ის წავიდა მცირე ამალით, შეება მტერს, რომლისგანაც დამარცხდა სათუკისგან გაცემისა გამო, რომელიც შეუერთდა მოსლემინებს და მაჰმადის სჯული მიიღო. რაოდენიმე ხნის შემდეგ სათუკი შეპყრობილი მოგვარეს მეფეს, რომელმაც სიკვდილით დასაჯა ის. შემდეგ წელში გიორგიმ შუამდგომლობით ილდიგუზისა და თავისის დის რუსუდანისა, რომელიც ცოლად ხორასანის სულთანს ჰყავდა, დაუბრუნა ანი ემირს ფადლონს იმ პირობით, რომ მას უნდა ეცნო უზენაესი უფლება მეფისა. ბოლოს 1165 თუ 1166 წ. ყველა ივერიის ჯარები შეესიენ ზოგი ტაოს მაზრას, ზოგი — აშარნისას, — არზრუმის ახლოს, ზოგი — განჯას, ხოლო დანარჩენი — შირვანს. ყველგან გაიმარჯვეს და უკან დაბრუნდენ მდიდარის დავლით. თუმცა ზემოხსენებულ ამბვებს ერთნაირ ხრონოლოგიურის წესით არ მოგვითხრობენ ქართველების და

---

[1]) ვასუშტით ბეშქენ სურამელი.

უცხო ტომების მეისტორიენი, მაგრამ აქ აწერილი ამბავის სინამდვილე ყოველს ეჭვს გარეშე არის.

1117 წ. მშვენიერი ეკლესია იქნა აგებული იკორთში [1]) ქსნის ერისთავთ სამფლობელოში. იმის ამშენებელნი იყვენ ბეშკენი და ერისთავი ესტატე, ხოლო ხუროთ მოძღვარი და მოქანდავე—არხილოსი.

1174 წ. გიორგიმ რომელმაც დაიპყრა ქალაქი ანი, ჩააბარა ის ივანე ორბელიანს. მან თან წამოიყვანა ემირი შედდოდისა შახო-შაჰი, რომელიც შემდეგში აღარსად გაუშვია. ხოლო შემდეგ ორბელიანების ამოწყვეტისა ანი და შირაქის მაზრა სამუდამოდ მიეცა დიდებულთ მხარგძელიძეებს. ამასობაში დავით III-ის შვილი, დემნა სრული წლოვანი შეიქნა **1177** წ. გიორგის მეფობის მე-21 წელს დიდებულთ შეგონებით ბატონისშვილის აღმზდელმა ივანე ორბელიანმა განიზრახა იმის გამეფება. როგორც შეიტყო ეს გიორგიმ, სწრაფად წავიდა ტფილისს და ჯარი მოიწვია. დემნას მხარე ეჭირათ ქართლის ერისთავს, დიდებულთ ყვარყვარეს, კახოს შვილებით გამრეკელს, მემნა ჯაყელს და სხ. **30** ათასი მხედრობით. მეფეს ახლდა სპასალარი ყუბასარი ხუთიათასი კაცით და თუმცა მცირე ჯარი ჰყავდა, მაინც წავიდა, დაამარცხა მეამბოხენი და აიძულა ისინი გაქცეულიყვენ ლორის ციხეში, რომელსაც ის ჯარით გარ-შემოერტყა. ამის შემხედავი სარგის მხარგძელიძე გარდაუდგა დემნას და დაემორჩილა მეფეს, დანარჩენი თუმცა ებრძოდენ მას, მაგრამ დამარცხდენ და მრავალნი მათგანი დატყვეებულნი შეიქნენ.

დემნამ და ივანემ სთხოვეს სპარსეთში შაჰნარმენს და ათაბეგ ილდიგუზის შვილებს დახმარება, მაგრამ იმათ მაშველმა ჯარმა ველარ მოუსწრო და დემნა იძლია გიორგის მიერ,

---

[1]) გორიდამ 22 ვერსტზე. ბაქრაძე სწერს, რომ არ არის გამოკვლეული ვის მიერ აშენდა ეს მონასტერიო. Кавказъ въ др. памятн. христіанства გვ, 72.

რომელმაც იერიშით აიღო სამშვილდე, სადაც ყველა საუნჯე ივანე ორბელიანისა, — რომელიც ლორეს იცავდა, — შენახული იყო. შვიდ თვეს ციხეში ჯდომის შემდეგ დემნა სულით დაეცა, თოკზე კედლიდამ ჩამოვიდა და მეფეს დაემორჩილა. ამგვარადვე მოიქცა ივანეც, რომელსაც მეფემ თვალები დასთხარა. ხოლო დემნა, ივანეს სიძე, კიდეც დააბრმავეს და კიდეც დაასაჭურისეს. ივანეს შვილი სემბატი, უმცროსი ძმა ქავთარ და ძმის წული მისი, ზინო სიკვდილით დასჯილნი იქმენ. დანარჩენი შემთქმელნი დაისაჯენ სხვა და სხვა ნაირად და ორბელიანთ სახელი მეფის ბრძანებით გაქრა ყველა ქართულ წერილობითი საბუთებიდამ. მათი სამფლობელო განაწილებული იყო სხვა და სხვა პირთა შორის, ზოგი მიეცა ყუბასარს და ზოგი მხარგრძელიძეებს. ეს მოხდა 1177 წ. შემდეგ წელში [1]) გიორგიმ განუზიარა მეფობა თავის ასულს თამარს დედოფლის ბურდუხანის სიცოცხლეში, რომელიც მხოლოდ 1181 წ. მოკვდა. თვით მეფე 6 აგვისტოს 1184 წ. გარდაიცვალა. კათალიკოზი მიხეილ და სხვანი ეპისკოპოსნი, ვეზირი ანტონი, სპასალარი ყუბასარი და სხვა დიდებულნი წარდგენ წინაშე თამარისა ტახტზე ასვლის მისალოცველად და, ანუგეშეს რა ის, რაოდენათაც შესაძლებელი იყო, სთხოვეს მას მამა პაპეულ ტახტზე ასვლა.

ამის შემდეგ დაუყონებლივ მოიხმეს ანტონ საგირის ძე [2]), რათა მას, წესისამებრ ლიხთ-იმერთა, მიერთმია სამეფო გვირგვინი დედოფლისათვის. გვირგვინის თავზე დადგმის და კურთხევის შემდეგ დიდებულთ — ვარდანიძემ, საგირისძემ და ამანელიძემ მიართვეს მას ხმალი, რომელიც მეფე თამარს შეარტყა რაჭის და თაკვერის ერისთავმა კახაბერმა, კვირიკეს შვილმა, და ამ გვარად თამარი მეფედ აღიარეს. თამარმა იწყო მეფობა მით, რომ ყველა საქმეები წესიერებაში მოიყვანა,

---

[1]) ბ. ჟორდანია თამარის კურთხევას 1179 წ. უჩვენებს. ქრ. გვ. 266.

[2]) მთავარ ეპისკოპოზი ქუთათელი.

ყველა მეფის მოსამსახურეებს უხვი საჩუქარი უბოძა და გლახაკებს მრავალი სამოწყალო დაურიგა. შემდეგ იერუსალიმიდამ მოიპატიჟა ნიკოლოზ გულამბისძე, კათალიკოზობიდამ გადამდგარი, და იმის და ანტონ საგირიძის თანადასწრებით მან მოუწოდა კრება საეკლესიო საქმეების წესიერებაში მოსაყვანად და სასულიერო წოდების რიგის დასამყარებლად. მიხაილ კათალაკოზმა, რომელიც ამ მაღალ წოდების უღირსი იყო და რომელმაც უკანონოდ ორი საეპისკოპოსო — ჭყონდიდისა და აწყურისა — და მწიგნობართ უხუცესობაც ჩაიგდო ხელში, — არ ისურვა ამ კრებაში მონაწილეობის მიღება. ის გარდააყენეს, ვინაიდგან ის წინეთვე თვისის ცოდებისა გამო უკვე გარდაყენებული იყო ღვთის წინაშე.

თამარმა შეიწყნარა თავის დაახლოვებულ პირების თხოვნა და ჩამოართვა ყუბასარს ამირ-სპასალარობა და მანდატურთ-უხუცესობა, ვინაიდგან ის მძიმე სნეულებით შეპყროობილი შეიქნა; მას ჩამოართვა ქ. ლორის მოურაობაც. თამარმა გარდააყენა აგრეთვე აფრიდონი, თმოგვის-ციხის თავი და მსახურთ უხუცესი. ვინმე ყუთლუ-არსლანმა [1]), ძალით მოინდომა ყუბასარის თანამდებობის დაჭერა, მაგრამ შეპყროობილ იქნა და შემდეგ ხალხის თხოვნით და აგრეთვე ორი სეფე ქალის შემწეობით განთავისუფლებულ იქნა.

ამის შემდეგ დედოფალმა დანიშნა სხვა და სხვა ხელისუფალნი: სარგის მხარგრძელიძე — ამირ-სპასალარად; მისი ძმა ივანე — სასახლის მსახურად (ის შემდეგში სომხის სჯულიდამ მოიქცა მართლმადიდებელად), ჭიაბერი — მანდატურთ უხუცესად; კახაბერ ვარდანიძე — მეჭურჭლეთ — უხუცესად [2]), ვარდან დადიანი — მსახურთ უხუცესად; მარუშიანი — ჩუნჩერახად [3]), ამილა-

---

[1]) მეჭურჭლეთ უხუცესმა.

[2]) თოფხანის უფროსად.

[3]) სუფრაჯად. ეს მარუშიანი ანუ მარუშიძე უნდა იყოს შთამომავალი იმ ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძისა, რომელსაც დიდი ღვაწლი

ხორად—თორელი გამრეკელი, რომელიც მოადგილედ შეიქნა სარგის მხარგრძელიძისა, შემდეგ იმის გარდაცვალებისა 1187 წ. ერისთავებათ თამარმა დაადგინა: სვანეთისა—ვარამ ვარდანიძე; რაჭისა—კახაბერ კახაბერიძე; აფხაზისა—დოტაჩოს[1]) შარვაშიძე; ცხომისა [2])—ამუნელიძე; ოდიშისა—ბედიანი; ქართლისა—რატ სურამელი; კახეთისა—ბაკურ ყრმა ძაგანისძე; ჰერეთისა—ასათ გრიგოლიძე, რომელმაც ჩამოართვა ეს ადგილი საგირ კოლონკელიძეს; სამცხისა—ბოცო ჯაყელი. ვინაიდგან ვარდან დადიანი და მარუშიანი მოხუცნი იყვენ, მათი შვილები დაინიშნენ იმათ ადგილზე და მათ მიეცათ სასახლეში ბალიშებზე ჯდომის უფლება. ასათმაც მიიღო ეს უფლება არიშიანის ნაცვლად და თავის შვილს გრიგოლს გარდასცა ეს თანამდებობა. ამასთანავე თამარმა საეპისკოპოსო და საეკლესიო მამულები განათავისუფლა ხარჯისაგან და ყოველ ნაირის გარდასახადისაგან. ის ისრე კეთილი და მოწყალე იყო, რომ ბრძანება გასცა, არცერთი მისი ქვეშევრდომი არ დაესაჯათ მათრახის ცემით, ანუ ასოების მოჭრით; თავის მეფობაში არც ერთი წვეთი სისხლი თავის ქვეშევრდომის რაიმე დანაშაულობისათვის არ დაულვრია. ერთი სიტყვით დედოფალი შემკული იყო ღვთის მოსაობით, საბრძნით და მოწყალებით.

სასულიერო წოდება და დიდებულნი მუდამ შესთხოვდენ თამარს, რომ ქმარი აერჩია და შეერთო. ტფილისის ემირმა აბულასანმა ურჩია დედოფალს შერთვა გიორგისა, დიდი კნიაზის ანდრია ბოლოლუბსკის შვილისა, რომელიც ვსევოლოდს განეძევებინა თავის ქვეყნიდამ და იმ დროს ცხოვრობდა ერთ ყიფჩაყთ ქალაქში, სევინჯის ხანის სამფლობელოში. თამარის მამიდამ, რუსუდანმა ურჩია იგივე, მაგრამ თამარი არ თანხმდებოდა. ზოგი ურჩევდა შეერთო ივერიის სამეფო გვარის შო-

---

მიუძღვის ჩვენის ერის წინაშე: იმის მეცადინეობით დავით კუროპალატმ ქართლი და აფხაზეთი ერთ სამეფოდ შეაერთა. ქ. ც-ბა გვ. 205.

[1]) იგივე დაღათო.

[2]) სოხუმისა.

რეული მოყვარე ანდრონიკისძე, ალექსი კომნენი. აგრეთვე თამარი შეუყვარდა ახალგაზდა ასსურეთის [1]) მეფეს, რომელიც მოვიდა ივერიაში, მაგრამ, რაკი თამარმა უარი უყო, დასნეულდა და, უკან დაბრუნების დროს მოკვდა ნიქოზში. დასასრულ რუსის მთავარი მიიღო თამარმა და დაიწერა ჯვარი 1187 წ.

თამარის ქმარი ცოტა ხანს უკან გაელაშქრა ყარსის და კარნიფორის მაზრისაკენ, რომელნიც მან დაიპყრა.

გამრეკელმა კახას ძემ ამასთანავე დაამარცხა გელაქუნის თურქები ძაღლის-ხევში, პალაკაციოს ტბასთან, აგრეთვე დამარცხებულნი იყვენ აბულასონის შვილის გუზანის და ბოცოსამცხელის მიერ კლარჯეთში შემოსეულნი. აზრუმიდამ კარნუ-ქალაქელნი და კაპადოკიიდამ გარმიანელნი თურქნი. შემდეგ ამისა ორივე დიდებულები ზემოხსენებულნი სარგის და ივანე მხარგრძელიძეები—სარგისის და ვარამის შვილები—გაელაშქრენ დოვინზე, დაიპყრეს ის, ააოხრეს და დიდის ნადავლით დაბრუნდენ. დედოფლის მეუღლემ გამოიჩინა თავი გამარჯვებით სომხეთში და გელაქუნის მაზრაში. ზემოხსენებულმა ლაშქრობამ ოთხი წელი გასწია, მაგრამ, სამწუხაროდ, გიორგიმ უმოწყალო სასტიკობა და ზნეობითი გარყვნილობა გამოიჩინა.

აქ მიმოხილვის გასაადვილებლად ჩვენ ჩამოვთვლით იმ ქვეყნების დაპყრობას, რომელიც თამარის მეფობის დროს მოხდა. სომხის მეისტორიების თქმულებით ძმებმა მხარგრძელიძეებმა დაიპყრეს შირაქის მხარე 1191 წ., ამბერდი 1196 წ., ანი 1199 წ., ბედშინი 1201 წ., დოვინი 1203 წ. [2]) ყარსი 1200 წ. და მთელი სიუნიკ მხარე 1211 წ. [3]) იქნება ეს წლები სრულიად სწორედ ნაჩვენებნი არ იყვნენ, მაგრამ მაინც საჭიროა მივიღოთ ისინი მხედველობაში.

---

[1]) ვახუშტით. ასურასტანისა, შუა-მდინარისა, ანტიოქიის მეფის ძე. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ნიქოზს ეს ასურასტანის მეფის ძე კი არ მომკვდარა, არამედ „ოვსთა მეფე მოუთმენელის სურვილის სენითა“. ვახ. გვ. 201.

[2]) შანქორის ომი.

[3]) ბ. ჟორდანია თავის ქრონიკებში არ ეთანხმება ბროსსეს და უჩვენებს მაგ. ამბერდზე გალაშქრებას 1193 წ. და შანქორის ომს 1195 წ. ნახე 281 და 282 გვ. ყარსის ანუ კარის აღებას 1207 წ. გვ. 294.

თამარმა ველარ აიტანა ცუდი ყოფაქცევა და უკანონო მოქმედება თავისს ქმრისა, გაუყარა მას და შესაფერი პატივით და საჩუქრებით გაისტუმრა ის კოსტანტინეპოლს. მას შემდეგ მრავალი გვირგვინოსანნი ეძლეოდენ მას. საბერძნეთისა იმპერატორის მანუელის შვილმა, პოლიკარპმა, რომელსაც ბიზანტიის ისტორია არ იხსენიებს, გამოუცხადა თამარს სიყვარული, მაგრამ მოკლულ იქნა ერთ თავის ნათესავისაგან [1]); სირიის მუსულმანის სულთანის შვილმა შეიყვარა თამარი, მაგრამ ველარ მოახერხა გარდმოსვლა ივერიაში მასთან გარდამტერებულ უცხო ქვეყნებზე, რომელნიც სირიის და ივერიის შუა მდებარებდენ; სულთანმა ყიზილარსანმა, ილდიგუზის მემკვიდრემ, თამარის შერთვის ნება არ მისცა თავის შვილს, რისათვისაც ეს უკანასკნელი გულით მოწადინებული იყო. ბოლოს, მუტაფერედინი [2]) შვილის შვილი სალდუხისა, არზრუმის მფლობელისა, რომელიც ოდესმე მეფე დიმიტრიმ დაატყვევა 1152 წელს თამარს გამოეცხადა იმ განძრახვით, რომ შეერთო იგი. თამარმა მიიღო ის დიდის ამბით და პატივის ცემით, გაუმასპინძლდა მეფურად, მაგრამ ცოლად გაყოლაზე უარი განუცხადა და მიათხოვა მას რომელიღაც მეფის უკანონო შვილი. აგრეთვე მეფე დიმიტრის დის შვილის შვილმა, შარვანშა აღსართანმა ყოველი ღონის ძიება იხმარა, რათა დაეყოლებინა თავის ნებაზე თამარი, სასულიერო წოდება და დიდებულნი, მაგრამ ამაოდ ჩაიარა ამის ცდამ. დედოფალმა მიიღო ის შესაფერის პატივით და გაისტუმრა შირვანს.

ამასობაში ერთგული ივერიელები სწუხდენ დედოფლის უძეობას. მაშინ გამონახეს ვინმე, ოსეთში მეხუთე მოდგმაში შთამომავალი ზემოხსენებულ დიმიტრისა, რომელიც იყო შვილი გიორგი I ალანელ ქალისაგან. ეს ახალგაზდა მთავარი, რომელსაც დავით სოსლანი ერქვა, იზრდებოდა თამარის

---

[2]) ანდრონიკესაგან.

[3]) იგივე მუტაფრადინ.

მამიდასთან—რუსუდანთან,—რომლის შეგონებით თამარი დათანხმდა და გვირგვინი იკურთხა დიდუბის სასახლეში, ტფილისის ახლოს 1193 წ.. ამ დროს გარდაიცვალა კათალიკოზი მიხეილი, მირიანის ძე, ეპისკოპოსი ჭყონდიდისა და სამთავისისა. იმის მოადგილედ კათალიკოზად დანიშნეს იოანე; მწიგნობართ უხუცესად დაინიშნა ანტონი, გელოვანის მთავრის შვილი, რომელსაც დაუბრუნეს ჭყონდიდის ეპისკოპოსობა, მიხეილის მიერ წართმეული, და ამის გარდა მას ჩააბარეს სამთავისი და კისის-ხევი.

1194 წ. შეიტყვეს, რომ რუსის თავადი კონსტანტინეპოლიდამ შემოვიდა ეზინკში და კარნუ ქალაქის მხარეში, და რომ დასავლეთ ივერიის ერისთავები შეუერთდენ მას. ესენი იყვენ: გუზან კლარჯეთელი, ბოცო სამცხელი და ვარდან დადიანი ორბეთელი და კაენელი თავის ქვეშევრდომებით სვანებით, მეგრელებით, აფხაზებით, რაჭველებით და არგვეთლებით. იმათ მოიყვანეს რუსის თავადი გეგუთს და აღიარეს იგი მეფედ. დასავლეთ ივერიაში ერთად ერთმა ციხის-ჯვარის თავმა ივანემ, ყვარვარეს შვილმა არ უღალატა მეფეს. თამარმა შეკრიბა კახეთის და ჰერეთის ჯარი; აჯანყებულებმა ომით შემდეგ დაიპყრეს სამცხის ციხეები, და სურდათ აგრეთვე დაეჭირათ თრიალეთი და სომხეთი, სადაც ციხის თავებმა გაგისამ — ივანე ვარდანის ძემ, კაიწონისამ—მააყმა, კაენისამ—ვარდანმა და ყველა დანარჩენებმა,—გარდა ზაქარია ვარდანის ძისა,—გარდაწყვიტეს შერთებულის ძალით ტფილისზე თავდასხმა. თამარმა გაგზავნა სამცხელი გამრეკელი და ოთხი მხარგრძელიძეები მხედრობით, შეკრებულით იმ მხარეებიდამ, რომელნიც იმის ერთგულნი დარჩენ. ისინი შეებრძოლენ აჯანყებულებს ჯერ ხერთვისთან და მერე ერუშეთში მდ. მტკვრის იქით და დამარცხეს ისინი. ეს დამარცხება რომ შეიტყვეს სომხეთში მყოფმა მათ თანამექომაგეებმა, განიძრახეს ლიხის მთაზე გარდასვლა, მაგრამ მათ წინ დაუხვდა სამეფო ჯარი, მანდატურთ—უხუცესის ჭიაბერის და ქართლის და კახეთის დიდებულთ წინამძღო-

ლობით. მაშინ შეთქმულნი დამორჩილდენ ბედს და წარდგენ წინაშე თამარისა კისერზე დაკიდებულ ხრმლებით. ამასთანავე სვანებმა მოიყვანეს წინაშე დედოფლისა რუსის თავადი. დედოფალმა აპატივა ყველას და სულგრძელობა გამოიჩინა: განათავისუფლა თვით ის, ვინც იყო ამ აჯანყების მიზეზი, ხოლო თავის ერთგულ მოსამსახურეებს მან დაურიგა ჯილდოები: ზაქარიას, ვარამიშვილს,—გაგის ციხე [1]) და ქურდვაჭრის ხეობა განჯამდი, ივანე მხარგრძელიძის შვილი სარგისი დანიშნულ იქნა სასახლის მსახურთ-უხუცესად და მას ებოძა ციხეები კაენი და კაიწონი და გელაქუნის ხეობა.

სპასალარის გამრეკელის სიკვდილის შემდეგ იმის მოადგილედ დაინიშნა ადრინდელ სპასალარის სარგის მხარგრძელიძის შვილი, ზაქარია. მას უკვე ეჭირა ლორე ქალაქი და თამარმა მას მიუბოძა კიდევ ქალაქი რუსთავი; დანარჩენ დიდებულთ დაურიგეს შესაფერი ჯილდოები. რაც შეეხება გუზანს, მას აჯანყების დამშვიდების შემდეგ დასთხარეს თვალები და გაუშვეს. მან გარდასცა თავისი სამფლობელო და ციხეები თურქებს. მაგრამ იქაურნი დიდებულნი არ დაეთახმნენ და განდევნეს მტერი, რომელიც გუზანის ოჯახის წასაყვანად მოვიდა. ამ დროს დაიბადა პირმშო შვილი თამარისა გიორგი ლაშა; ერთი წლის შემდეგ 1195წ. დაიბადა ასული მისი რუსუდანი ფრიად სასიხარულოდ მთელი ივერიის სამეფოისა.

Ივერიელნი დაეცენ რანის მხარეს და დაიპყრეს ბარდა. ერთი თვის შემდეგ ისინი წავიდენ არზრუმის ასაღებად, რომელსაც სალთუხელი ნასერედდინი იცავდა. თამარის მეუღლემ, მეფე დავითმა, რომელიც წინა უძღოდა ჯარს, ორჯელ დაამარცხა მტერი და უკან დიდის დავლით და ტყვეებით დაბრუნდა.

Ამის შემდეგ ივერიელნი ხშირად დაეცემოდენ ხან გელაქუნის და ხან რანის მხარეს; ერთხელ მათ დაამარცხეს შანქო-

---

[1]) თმოგვი.

რის ომში დოვინელები და ბედშნიანები ამბერდელებითურთ, რომელნიც მათ შეუერთდენ ქარავნის გასაძარცველად. ივანე მხარგრძელმა შეესია აგრეთვე გელაქუნით ჩრდილოეთ სპარსეთს სპარსიბაზარამდი.

1196 წ. რუსის თავადი მეორედ შემოვიდა ქართლში არანის და განჯის მთავრების შემწეობით და შეესია კამბეჩოვანის მხარეს, მაგრამ საღირ მახატელის ძის მიერ [1]) განდევნილი იქნა. შემდეგ ამისა ის გაიქცა და გარდაიკარგა. ამ დროს ამირმირანი ანუ უზბეკი ადერბეჯანის ათაბაგის ფალევანის შვილი და შარვანშა აღსართანი მივიდენ ივერიაში შემწეობისა და მეფის ასულის რუსუდანის ცოლად სათხოვნელად. თამარი მაშინ აგარაკის ველზედ იყო და თან ახლდა მაშველი ჯარი სვინჯისა, ყიფჩაყების მეფის ძმისა. მან შესაფერი პატივით მიიღო სტუმრები და გაართო ისინი სხვა და სხვა სამხედრო ვარჯიშობით, რომელშიაც ივერიელებმა გამოიჩინეს ვაჟკაცური სიმარდე. 1203 წ. შეიტყვეს, რომ ათაბეგი—აბუბეკრი, ძმა და მტერი უზბეკის ბაღდადის ხალიფის შემწეობით აგროვებდა დიდ ძალ ურდოს რაშჯორიდამ და სამარყანდიდამ დაწყებული დარუბანდამდი, და ეს ჯარი უნდა შეერთებულიყო ადერბეჯანის მხარეში.

თამარმა თავის მხრით დაიჭირა ჯარით მთელი სომხეთი და ქართლი, გაამხნევა თავისი ჯარი სიტყვით და დაპირებით, და წარგზავნა ისინი ივნისში 1203 ქალ. შანქორს, სადაც მტერი იდგა საოცარ დიდის ბანაკით. მეფე დავით შეჯდა ცხენზე, რომელიც იყიდა ზაქარია და ივანე მხარგრძელიძეების სიძის ხაჩენის მფლობელისა, ვახტანგ სახარინის შვილისაგან და რომლის ფასად მისცა ერთი სოფელი და ციხე ჭარმანალი. მას ახლდენ მანდატურთ—უხუცესი ჭიაბერი და ანტონი ჭყონდიდელი. მეფე ჯარით გავიდა შანქორის მდინარეში და დაეცა მუსულმანების ჯარს. ამ ომში ვარამის შვილს

---

[1]) ხორნაბუჯის მფლობელის.

ზაქარიას მოუკლეს ცხენი. მეორე მხარეზე ძმანი მხარგრძელიძეები შეეჭრენ მტრის რაზმში და საოცარის სიმამაცით დასცეს მტერს ზარი. ამავე დროს მეფემაც მოუსწრო და სრულიად დაამარცხა მტერი. სპარსელები გაიქცენ. გამარჯვებულებს მდიდარი დავლა და აუარებელი რიცხვი ტყვე დარჩათ. ქალაქი განჯა მეორე დღეს დამორჩილდა. ხალიფის დროშა, რომელიც სპარსელებს ნაბოძები ჰქონდა, ახალციხის მეციხოვნეთა უფროსმა შალვამ წაართვა მათ ომში და თამარ მეფის ბრძანებით შესწირა ხახულის ყოვლად წმინდის ღვთის მშობლის მონასტერს, სადაც ის შეინახეს ერთად ოქროს გულსაკიდ ჯვართან (ამბარჩასთან), რომელიც მეფე დავით აღმაშენებელმა 1121 წ. ომში ურწმუნოებს წაართვა და რომელიც ძვირფასი თვლებით შემკობილი იყო. ამ შემთხვევისა გამო თამარმა მადლობა შესწირა ღმერთს იამბაკონით, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია. შანქორის [1]) გამარჯვებას იხსენიებენ მრავალი რუსის მწერალნი მე-XVI საუკ. და თვით მეფე ივანე IV ამხნევებდა თავის ჯარს ყაზანის აღების დროს 1552 წ. ივერიელების მამაცობით [2]).

შანქორის ომის შემდეგ იოანემ, ახალციხის ერისთავმა, დაიპყრა ყარსი, და მიიღო ათაბაგისა და ემირთ—ემირისა წოდება. ეს რომ შეიტყო როკნ-ედდინმა, იკონიის სულთანმა, შეკრიბა დიდ ძალი ჯარი ყველა აზიის მხრეებიდამ, სადაც კი იმის საბძანებელი იყო, და შემწედ მოიწვია კარნუ—ქალაქის ემირი

---

[1]) ბ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ შანქორის ომი 1195 წ. მოხდა. ქრ. ვ. 282.

[2]) მოგვყავს სიტყვა მეფის იოანე IV მრისხანისა: Слышасте иногда Божію бывшую великую милость и Пречистыя Богородицы помощь, яко премудрая и мужеумная царица Иверская сотвори и колику побѣду показа на небожныхъ Персѣхъ და სხვ. ბროსსეს განმარტებით ამ მეფის ზემო მოყვანილ სიტყვებში იგულისხმება შანქორის ომი 1023 წ. და 1209 წ. არდებილის აღება, რომელიც ადერბეჯანში თავრიზის ჩრდილო-აღმოსავლეთად მდებარებს. Mél. asiat. ტ. 1 გვ. 563—583.

სალდუხის გვარისა და მერე თითონ ღალატობით დაიპყრა ეს მხარე. მრისხანე წერილით სულთანი თხოულობდა თამარისაგან მორჩილებას და მუქარით წინადადებას აძლევდა ცოლად გაჰყოლოდა მას; მაგრამ დედოფალმა გაგზავნა ჯარი ბასიანში ძმათა მხარგრძელიძეების წინამძღოლობით. თვითონ კი თამარ, რომელსაც კათალიკოზი თევდორე და იოანე შავთელი ახლდენ, დარჩა ოძრხეს, სადაც ლოცულობდა ქრისტეს მოსავის მხედრობის წარმატებისათვის. მტერი მათ ბასიაბში დახვდა. სოსლანი მარცხენა მხრით და სპასალარი ზაქარია მარჯვენით— იერიშით მივიდენ მტერზე ისეთი ძალით და მამაცობით, რომ უკან დაახევინეს თურქებს და შემდეგ ხანგრძლივ შეტაკებისა ისინი სრულიად გააქციეს. ამ ომში ცხენები მოუკლეს ზაქარიას, გრიგოლს, ივანეს და შალვას, ახალციხის წინა მძღოლებს და აგრეთვე სხვა სარდლებსაც; მაგრამ მათ დარჩათ გამარჯვება, რომელიც იმ წამსვე რაღაც საკვირველ წინა-გრძნობით ბერის ევლოგისა შეიტყვეს ოძრხეში. გარდა მდიდარის დავლისა როკნ-ედდინის დროშა და ეზენკის მფლობელი ჩაიგდეს ხელში გამარჯვებულებმა.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ თამარ დიდის გულმოდგინებით ასრულებდა სჯულის ყოველს წესს, ღამით ლოცულობდა და თავის ხელით უკერავდა ტანსაცმელს ღარიბებს და სამღვდელოებას. ის აგრეთვეხ ელსაქნარობდა ვითომც თავის სარჩენად და, რასაც კი ამ შრომით იშოვნიდა, სამოწყალოდ არიგებდა. ერთხელ, როდესაც დედოფალი თავს იხურავდა, მან ვერ მიიღო იმწამსვე ვიღაც ღარიბი დედაკაცი, და როდესაც გაათავა თავის დახურვა, უბრძანა მოსამსახურეებს მთხოვნელი დედაკაცი შემოეყვანათ; დაიწყეს ძებნა, მაგრამ ველარ იპოვეს. დედოფალს ისე ეწყინა ეს ბმბავი, რომ ბრძანა თავის დიადემიდამ თორმეტი ძვირფასი ქვა ამოეღოთ და ჩაესვათ გელათის ღვთისმშობლის ხატის გვირგვინში, რომელსაც ახლაც ღვთის მლოცველთა აჩვენებენ.

ერთხელ წირვის შემდეგ სპასალარმა ზაქარიამ ისურვა ერ-

თად ქართველებთან ეკლოგიის ანუ სეფისკვერის მიღება, მაგრამ კათალიკოზმა იოანემ არ მიუშვა და დაიწყო სომხის სჯულის გაკიცხვა; ზაქარია უნდა დამორჩილებოდა ; მან სთხოვა სომხის კათალიკოზს მოსულიყო თავის სჯულის დასაცავად. ამ საგანზედ ბაასმა დიდხანს გასტანა თანადასწრებით დედოფლისა, იმის მეუღლის დავითისა და შემდეგ ბაასისა იოანემ, ზაქარიას ძმამ, მიიღო მართლმადიდებლობა; ზაქარია კი განუდრეკელი დარჩა. ამას გარდა ამ ორ ერთაშორის სჯულზე ბასი რაოდენჯერმე მოხდა. 1179 წ. სომხებმა იდღესასწაულეს აღდგომა ერთი კვირით შემდეგ ივერიელებისა, რომელთაც ვერ დაითანხმეს სომხები თავის წესზე და დასწვეს ერთი მათი ეკლესია მლოცველებითურთ. ამის გამო ამ ორ ერთა შორის ჩამოვარდა ისეთი განხეთქილება, რომ ივერიელნი იძულებულნი იყვენ მიეზღოთ თავის მოწინააღმდეგისათვის 80 ათასი ოქრო როგორც ეკლესიის ასაშენებლად, აგრეთვე დახოცილთ სისხლში. 1204 წ. ზაქარიამ ისურვა სალაშქრო ეკლესიის თან წაღება, რომ სომხის მხედრები მოკლებულნი არ ყოფილ იყვნენ თავის სასულიერო წესებს ლაშქრობის დროს; დავითი სომხის პატრიარხი დაეთანხმა ამაზე იმ პირობით, რომ კარავში სადაც უნდა ეწირათ, უნდა ყოფილიყო მოძრავი მარმარილოს ფიცარი და საკმაო რიცხვი ეკლესიის მოსამსახურებისა თანახმად ეკლესიის წესდებისა. ხოლო ზოგიერთმა ვარდაპეტთაგანმა, სომხეთში მცხოვრებლებმა არ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ეს უთანხმოება გაგრძელდა 1209 წ. და გამოიწვია საშინელი შფოთი, უწესოება და ძალმომრეობა მათ შორის.

ღვთის მოყვარე დედოფალმა თამარმა დაამთავრა აგება ვარძიის ქალაქისა, კლდეში გამოქვაბულისა, — რომელიც მამა მისმა გიორგიმ დაიწყო და აკურთხებინა შიგ ეკლესია, ბიზანტიურ მხატვრობით შემკული. ამ ეკლესიის კედელზე საკურთხეველში აქამომდე სჩანან მთელი სურათი მდიდრულ ტანსაცმელით და შარავანდედით გარემოცული მეფეთ მეფისა გიორგისა და მის გვერდით იმის ასულისა, მეფისა თამარისა, მთელი აღმოსავლეთის მფლობელი-

სა, რომელსაც ხელთ უპყრია მის მიერ ნაკურთხი ეკლესიის გეგმა. ტფილისის ახლოს, შვენიერ მთის ფერდობზე დგას ნანგრევი კაბენის ეკლესიისა [1]), რომლის წარწერიდამ სჩანს, რომ ის თამარის დროს აშენებული ყოფილა, და ს. ბეთანიაში არის საჯვარე ივერიის ვიღაც უცნობის სპასალარის სამარხზე, რომელიც აშენებული ყოფილა 1196 წ. დანარჩენი ნაშთები, რომელზედაც, რაოდენადაც ჩვენ ვიცით, დაცულია თამარის სახელი, არიან შემდეგნი: სამეგრელოში გულსაკიდი ჯვარი [2]) ხოფის მონასტერში, ხატი ლაილაშის ეკლესიაში.

---

[1]) კაბენის მონასტერი კოჯორის ახლო ძევს.

[2]) თუმცა ავტორი აქაც და თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში (Вар. VII) იხსენიებს ხობის მონასტერში დაცულს თამარის ამბარჩას ანუ გულ-საკიდს ჯვარს, მაგრამ ბ. თ. ჟორდანია თავის ახლად გამოცემულ ქრონიკებში თავ მოწონებით აღიარებს: „ეს ჯვარი ჯერ არ ვისაგან არ არის აღწერილი. ბროსსესთვის უთქვამთ, რომ ხატის გულში თამარის ჯვარიაო დაცული. მაგრამ გასაღები ვერ უპოვნიათ ხატისა (ალბათ ვერ უნდვიათ ?!) და აღუწერელი დარჩენია—ვერც შეგრილ-ნათელა აღმოუკითხავს (ბროსსეს), ხოლო მათი მხატვრობა ვერც შეუნიშნავს, ვერც ბორდოხან დედოფლის ზემოხსენებული წარწერა უნახავს მეცნიერს არქეოლოგს“. ქრ. გვ. 269.

რომ ბროსსეს არხეოლოგიური მოგზაურობა სრული არ არის და იმისი წარწერების ამოკითხვაში ხშირად შეცდომები მოიპოვება, ეს კარგი ხანია ცნობილია ჩვენის ისტორიის მკვლევართა მიერ. მაგრამ ამ შემთხვევაში ჰეშმარიტების აღსადგენად ჩვენ მოვიყვანთ განსვენებულის არხეოლოგისა ნამდვილს სიტყვებს, რომელნიც ცოტად თუ ბევრად დაამცირებენ ბ. თ ჟორდანიას ვითომ ახალ ფაქტის აღმოჩენას. ბროსსე სწერდა: „აქვე (ხობში) ვნახე ერთ მომცრო ვერცხლის ოთხკუთხიან კოლოფზე ეს ხუცური წარწერა: ჯი ხატო არსებისაო უთავაებულო (?). მეოხ მფარველ ექმენ, აქა და საუკუნესა, ერისთავი დადიანი შ ე რ გ ი რ და მეუღლე მათი თ.... ეს წარწერა წაშლილია ვინაიდგან კოლოფი, როგორც ეტყობა, გარდაუკეთებიათ, და ის ნაწილი, სადაც დაბოლოება ეწერა, სხვა ვერცხლისგან უნდა იყოს გაკეთებული. იქ, სადაც გარდაბმულია ამოიკითხვის ესრე: „დ ე დ ო ფ ა ლ ი ნ ა თ ე ლ ა“, დანარჩენი ვერ ამოუკითხავს. ეს „მომცრო კოლოფი დაკეტილია პატარა ბოქლომით, ვინაიდგან მასში ჩასმულია ჯვარი, რომელიც, ამბობენ, განთქმულ დედოფალს თამარს უნდა ეტარებინოს

ლეჩხუმში; მეორე შვენიერი ხატი ტფილისის ანჩისხატის ეკლესიაში ასვენია, და აგრეთვე წარწერა ძლიერ შესანიშნავის ხელოვნებით გეგუთის სასახლის ნამგვრევებზე. თამარმა ააგო ეკლესიები არა თუ მარტო ივერიაში, არამედ იერუსალიმში, პალესტინაში, საბერძნეთში, კიპრის კუნძულზე, სინას მთაზე და მრავალ სხვა ქვეყნებში.

ერთხელ სირიის და სხვა ბერები მოვიდენ ივერიაში მოწყალების სათხოვნელად და მიიღეს თამარისაგან დიდ ძალი ფული როგორც თავისათვის, აგრეთვე გლახაკთ დასარიგებლად. როდესაც ისინი დაბრუნდენ კონსტანტინეპოლს, იმპერატორმა ალექსი ანგელოზმა გზაში წაართვა მათ ეს ფული. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, დედოფალმა ბერებს მიუზღო დასაკლისი, ხოლო ალექსიზე განრისხდა და შეეწია ივერიაში გადმოხვეწილს ალექსი კომნენს ტრაპიზონის და იმის მიდამოს დაპყრობაში, რომელთაგანაც ამ უკანასკნელმა შეადგინა თავისი საკუთარი იმპერია. 12 აგვისტოს 1204 წ. ფრანგებმა [1]) დაიპყრეს კოსტანტინეპოლი. ამ

თავის გულზე. დიდად დამწყდა გული, რომ ერთად ერთი ნაშთი, რომელიც უტარებია ამ ფრიად შესანიშნავს ქალს, მე ვეღარ მაჩვენეს, ვინაიდგან იმის გასაღები ზუგდიდში დარჩენოდათ! ვინ იცის, იქნება იქ რაიმე შესამჩნევი წარწერა იყოს. Rap. sur un Voyage archéologique dans le Géorgie et dans l'Arménie par Brosset I livr. გვ. 46 და 47.

ვგონებ, ცხადია, რომ ბროსსესაც ამოუკითხავს შერგირის და ნათელას სახელები, ხოლო წარწერა ჯვრისა ვერ უნახავს, რადგან გასაღები ზუგდიდს დარჩენია. თ. ჟორდანია ჩვენ გვამცნებს ეხლა ამ ჯვარის წარწერას რისთვისაც—და მხოლოდ ამისათვის და არა სხვის შრომის დამცირებისათვის—მადლობის მეტი არა ეთქმის რა. ის ასრე ამოიკითხავს მას: ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინაწარძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს.“ ქრონიკები გვერდი 269. ავტორის გარდა დიმ. ბაქრაძეს ხოფის მონასტრის აწერილობაში მოიხსენიებს ამ „პაწია ვერცხლის კოლოფს, რომელშიაც, როგორც ამბობენ, დაცულია გულზე საკიდი ჯვარი თამარ-მეფისა.“ Кавказъ въ др. пам. христіанства გვ. 158.

[1]) მეჯვაროსნებმა.

გვარი იყო თამარის ძლიერება. ყოველ წლიურს მიმოსვლის დროს ის დოვინში მიიღებდა ხარკს განჯელებისაგან, გაზაფხულზე — სომხეთში — ნახჭევანის მხარისგან და შემდეგ — კოლაში კორნუ-ქალაქისაგან, ეზენგისგან და იმის მოსამზღვრე ქვეყნებისაგან.

1207 ანუ 1208 წ. თამარმა შეიტყო, რომ ქ. ყარსს დიდი ხანია გარს ადგა გამოჩენილი სარგის თმოგველი მესხებით და, გაიგო რა აგრეთვე მიზეზი, რომლისაგამო ეს ქალაქი აქამომდე ვერ აეღოთ, სწრაფად გაგზავნა იქ დავით სოსლანი და ძმები მხარგრძელიძეები, რომელთაც გარდაიყვანეს ყარსის წყალი და მით აიძულეს მკვიდრნი დამორჩილებოდენ. თამარმა შეიწყნარა იმათი თხოვნა, დაიტევა ეს ქალაქი და ჩააბარა ის თავის 13 წლის შვილს გიორგის, რომელსაც მან სამეფო საქმეების მმართვაც განუზიარა; შემდეგ ამისა მეუღლე მისი დავითი მალე გარდაიცვალა.

1205 და 1210 წლ. შუა ივერიელებმა რაოდენჯერმე გაილაშკრეს ქ. ხლათის დასაპყრობლად ცვალებადის წარმატებით. ბოლოს, როდესაც ეს ქალაქი სალადინის ძმისწულის, მელიქ-ელ-აუხოდის ხელში ჩავარდა, ივანე თავის ძმით ზაქარიათი გარშემოადგა მას; კედლების დასინჯვის დროს ცხენით ივანე ჩავარდა ორმოში, ხიდ ქვეშ და მტრისაგან დატყვევებულ იქნა. მან ტყეობიდამ თავი იხსნა მხოლოდ მაშინ, როდესაც მიათხოვა თავისი ასული თამთა აუხოდს, მიუზღო მოთხოვნილი მის მიერ დიდ ძალი ფული და დაუბრუნა დიდი რიცხვი დატყვევებულ მუსულმანთა. თამთამ იმისთანა პატივი დაიმსახურა თავის ქმრისაგან, რომ შომავალ დროში ამას ძალიან ბედნიერი შედეგი ჰქონდა ივერიელების სასარგებლოდ, რომელთაც ამ დროიდამ მიიღეს სხვა და სხვა უპირატესობა მუსულმანების ქვეყნებში, ნამეტურ იერუსალიმში, სადაც მათ უფლება ჰქონდათ შესულიყვენ გაშლილ დროშით. შემდეგში თამთა ჯალალედდინის ხელში ჩავარდა, მაგრამ იმისაგან მოასწრო ივერიაში გაქცევა; მანგლისში გარდავიდა და გამოით-

ხოვა უგედეი-ყაენისგან ყველა თვისი სამფლობელო.

ამას შემდეგ დიდ მარხვაში არდებილის [1]) სულტანი დაეცა ქ. ანს, შევარდა ეკლესიაში და იარაღით ამოხოცა როგორც იქ მლოცველნი, აგრეთვე მკვიდრნი, რომელნიც ქალაქის ახლო გამოქვაბულებში დაიმალენ; ზოგი მან ტყვედ წაიყვანა. ზაქარიამ გამოითხოვა დედოფლისაგან ნებართვა ჯავრი ამოეყარა ამ დანაშაულობისათვის. ის წავიდა ქ. ანს სამცხელების ჯარით და იდუმალ შევიდა არდებილში და თავს დაესხა მათ ანაზდეულად აიდოს ე. ი. ახალ მთვარის დღეს, აიღო ქალაქი და დახოცა იქაურნი მკვიდრნი იმდენივე, რამდენიც იმათ ანელები ამოესრისათ. მეორჯელ თამარისვე თანხმობით სპასალარი ძმით წავიდა, 1209 წ. დამლევს, სპარსეთს დიდ ძალი ჯარით; დაიპყრა ქალაქი მარანდი და აიღო სამხედრო საუდიერო ჯარიმა თავრიზში; მან დაიპყრა აგრეთვე მიონი [2]), ზანგანი და ყაზბინით გაილაშქრა ხორასნის ქალ. როგიტორზე, სადაც ივერიელებმა დაისვენეს და შემდეგ ამა მხარის აღებისა უკანვე დაბრუნდენ. როდესაც მიაწიეს მიონს ნახეს, რომ მათი მეციხოვანები მკვიდრთ დაეხოცნათ, ამისათვის ივერიელებმა ააოხრეს და დასწვეს ეს ქალაქი; თვით სულტანს და იმის შვილებს ტყავი გააძვრეს. შემდეგ უმონით, თავრიზით და ნახჭევანით დაბრუნდენ უკან დატვირთულნი სხვა და სხვა სიმდიდრით და საჩუქრებით, რომელნიც წამოღებულნი ჰქონდათ ყველა იმ მთავრებისაგან, სადაც მათ გზად გამოიარეს. ამ საკვირველ ლაშკრობის სინამდვილეს—არდებილამდის მაინც,—მოწმებენ სომხების და მუსულმანების მეისტორიენი. ეს უკანასკნელნი დასძენენ, რომ უმთავრესი არდებილის მიზგითის კარები წამოღებულნი იყვენ ტფილისში და შემდეგ რაოდენიმე წლისა ისინი ზურგზე მოიკიდეს ღვთის მოსავთ მუსულმანებმა და არდებილში მიიტანეს.

---

[1]) არდებილი მდებარებს ადერბეჯანში, თავრიზის ჩრდილო-აღმოსავლეთად.

[2]) ვახუშტით მინაი.

სპასალარი ზაქარია 1212 წ. გარდაიცვალა. იმის ძმამ ივანემ მიიღო ათაბაგის წოდება, ხოლო იმის ბიძაშვილს, ვარამ გაგელს მისცეს ივანეს შემდეგ მსახურთ—უხუცესობა. ამ დროს ჩრდილოეთელნი მთიულნი, დიდოელები და ფხოელები, ეხლანდელნი ფშავნი, აჯანყდენ. ათაბეგი ივანე გაგზავნეს იქ იმათ დასამშვიდებლად და ხარჯის დასადებად. ეს იყო უკანასკნელი მოქმედება თამარისა, რომელიც ავად გახდა ნაჭარმაგევს და შემდეგ ხანგრძლივის ტანჯვისა გარდაიცვალა.

თუმცა ზოგიერთი მეისტორიენი სხვა და სხვა გვარად უჩვენებენ თამარის სიკვდილის ჟამს, მაგრამ ზემოხსენებულიდამ ცხადად სჩანს, რომ თამარის სიკვდილი 1212 წლის წინეთ არ მომხდარა იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ფული, მოჭრილი იმის სახელით 1210 წ. და აგრეთვე დამტკიცებულია, რომ ზაქარია თამარის სიკვდილამდე გარდაიცვალა. ამასთანვე იბადება ეჭვი, რომ თამარი შემდეგ 1214 წ. გარდაიცვალა. [1])

თამარის ნაშთი დროებით მცხეთის ტაძარში დაასვენეს და შემდეგ გარდასვენეს და დამარხეს ან ვარძიაში [2]) როგორც

---

[1]) თამარ მეფის დროიდამ ორი გუჯარია დაცული. პირველით 1204 წ. თამარ მეფე, მეფე დავით (მისი ქმარი) და გიორგი ლაშა (მისი შვილი) შიომღვიმის მონასტერს ანტონ ჭყონდიდელის თხოვნით აძლევენ გუჯარს, რომლითაც სწირავენ მას სოფელს სხალტბას და სჯმ კომლს გლეხს. ამ გუჯარში ანტონ ჭყონდინდელი, რომელმაც ეს გამოუცხადა მონასტერს, თამარ მეფეს იხსენიებს „ღვთის სწორაღ". 1186 წ. თამარ მეფე აძლევს გელათის მონასტერს გუჯარს, რომელშიაც აცხადებს, რომ გელათის მონასტრისათვის შემიწირავსო სოფელი, რათა თორმეტ ბერს (გარდა დანიშნული რიცხვისა) ჰქონდესო საერთო რჩენა მონასტრის სხვა ძმებთან. Гр. церк. гуджары Д. Пурцеладзе, გვ. 96, 97 და 131.

[2]) ვარძია ჯავახეთშია. ამ სიტყვას ასე ხსნიან „ვარ ძის ღვთისა მშობელიო", მოკლე აღწერა ეკლესიებისა საათაბაგოში, იმერეთში და სამეგრელოში ნ. ჩუბინაშვილის მიერ 1842 წ.

გარდმოცემა ამბობს, და ან გელათში, როგორც მემატიანე მოგვითხრობს. [1])

გიორგი IV ლაშად წოდებული 18 წლისა იყო. ტახტზე ასვლის დროს, როდესაც მან შეიტყო, რომ განჯის ემირი არ იხდიდა თავისს ვადაზე ხარჯს, ჯარი შეკრიბა და დანიშნა იმის წინამძღოლად ივანე ათაბეგი, და თითონაც თან გაჰყვა ემირის

[1]) სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი საფლავი დიდის მეფის თამარისა. განსვენებული დ. ბაქრაძე იმ აზრის იყო, რომ თამარი გელათში უნდა ესვენოს და კიდეც გამოითხოვა ნებართვა იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისაგან იმის სამარხის საძიებლად და იატაკის აღებას აპირებდა გელათში, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა და ვეღარ მოასწრო თავის სურვილის აღსრულება... თამარის სახე დახატულია ვარძიაში სამეფო სამკაულით: მეფეს ხელში უჭირავს ვარძიის ეკლესია—და იმასთან დახატულია მეუღლე მისი დავით,—და ბეთანიაში, ვერის ხეობაში ტფილისის მახლობლად. დიმ. ბაქრაძე თავისს Кавказъ въ др. пам. христ. შეცდომით სწერს ვითომ ბეთანიის ტაძარზე თამარის სახე თ. გრ. გაგარინს გარდაეხატოს და თ. ვარანცოვის ბრძანებით ლონდონში ლიტოგრაფიაზე გარდაეღოთ. ეს ლონდონელი ლიტოგრაფია არის გარდმოღებული ვარძიის მონასტრიდამ, სადაც მას ხელში ტაძრის მოდელი არ უჭირავს. ბეთანიაში თამარი დახატულია მაღალის ტანისა და მშვენიერ ქალად, ქართულ სამეფო გვირგვინით,—რომელიც შემკულია მარგალიტებით, — და ლაჟვარდის ფერის პორფირით, სიასამურის ბეწვით შემოვლებულია. ორი დიდრონი კავები ამკობენ იმის პირის სახეს; თამარს ხელები მიპყრობილი აქვს თავისს ქმრის, დავითისაკენ, რომელიც დახატულია წვეროსანი, პორფირით და გვირგვინით. დავითს ერთს ხელში უპყრია კვერთხი და მეორეთი იგი ანიშნებს იქვე მდგომარე წმინდაზე. Изъ. поѣздк. въ Закав. край лѣтомъ 1877 г. А. Цагарели Ж. М. Н. Ир.

თამარ მეფეზე აქამომდე დაცულია ხალხში ისტორიული სიმღერა:

უბირს*) ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე,
ისპაანს დავსდევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე,
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე**)—ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
ამდენის საქმის მოქმედმან ცხრა ადლი ტილო წავიღე.

*) ზოგი წარმოსთქვამს უბისს, რომელიც ძირულის ხეობაში ძევს.
**) აქ რკინა ხომალდის ღუზას ნიშნავს

დასამორჩილებლად. მათ ააოხრეს მხარე და განჯისკიხეს ალყით გარშემოადგენ და შემდეგ იერიშით მივიდენ იმის ასაღებად. განჯელებმა მედგრად წინ დაუხვდენ, მაგრამ იძლიენ. ამ ომში მეფე წინ მიუძღოდა ჯარს, რომლისაგამო ხშირად საშიშარ მდგომარეობაში იყო ხოლმე; ივერიის სარდლებმა ყვარყვარემ, ჯაყელმა, ბოცომ და მემნამ გამოიჩინეს ძლიერი სიმამაცე. ათაბეგი, ამ მხარის მფლობელი დამორჩილდა და გამარჯვებული ივერიელები დაბრუნდნენ უკან დიდის ნადავლით. საუბედუროდ, თავისს მეფობის ბოლოს გიორგიმ ისეთი გარყვნილი ცხოვრება დაიწყო, რომ ათაბეგი ივანე და ვარამ გაგელი ჩამოეცალენ მას. კანონიერად ის არავისზე არ დაქორწინებულა, არამედ შეუყვარდა მას ვილაც ველისციხელი ქალი, რომლისაგანაც ჰყავდა ძე დავითი. ლაშამ აღსაზრდელად ის მიაბარა თავისს დას რუსუდანს. ის მუდამ მისვლა-მოსვლაში ატარებდა დროს, ხან ნადირობდა აჯამეთში, ცხომში ანუ აფხაზეთში, ხან დაიზამთრებდა დოვინში, სომხეთში; ხან კი ზაფხულს ატარებდა კოლაში, მტკვრის სათავეში მდებარე ადგილებში, სადაც ის ხარჯს ჰკრებდა ყველა თვის ხელ-ქვეით მხარეებიდან.

ამ დროს მონგოლთ ერი, რომელიც მდ. ონონის და კერულონის [1]) სათავეებში ცხოვრობდა, დაიმორჩილა სახელ განთქმულმა ჩინგის ხანმა [2]), რომელმაც, დაამარცხა რა მფლობელნი: კერატისა—ონგახანი, ყარაყაითაკისა—გურა, უიგურისა—იდიაქუთი ანუ მფლობელი და არსლან ჩინეთელი [3]), მთელი თავისი ძალ-ღონე მიმართა ხორაზმ-შაის ქეტაბედდინის წინააღმდეგ. დამარცხებული ხორაზმ-შაჰ გაიქცა დასავლეთისაკენ და 1220 წ. კასპიის ერთ კუნძულზედ მოკვდა. შვილი

---

[1]) ეს მდინარენი ამურს ერთვიან. ქარ. ცხ. მონგოლებს ანუ მონღულებს დაერქვა ეს სახელი მანღუ თემისაგან. მემატიანე კი მათ თათრებს უწოდებს.

[2]) რაც მონგოლურ ენაზე ნიშნავს უმთავრეს ყაენს. ზოგიერთის ახსნით მძლავრთ მბრძანებელს.

[3]) ანუ ხატაეთელი.

და მემკვიდრე მისი ჯელალ—ედდინი შვიდჯერ შეებრძოლა მონგოლებს, მაგრამ იძლია და, რა ველარ შეიძლო მძლავრ მტრის წინააღმდეგობა, უკუიქცა. ჩინგის ყაენმა მას კვალდაკვალ მიჰყვა თავის ორი სარდლით, სუბოთაი და ჩეპე ნოინებით—რომელიც მონგოლურად ნიშნავს თავადებს, 20 ათასი ჯარით—და უბრძანა მათ დაეთვალიერებინათ და შეეკრიბათ ცნობები მტრის ქვეყანაზედ და ყოველივე მოეხსენებინათ მისთვის. ისინი შევიდენ სპარსეთში შემოდგომაზე 1220 წ., უწოდესთ რა განზრაზ ქრისტინებად თავისს თავს, რომ ამით უფრო ნდომა მოეპოვებიათ; ამის შემდეგ გარდავიდენ ივერიაში, სადაც გაიმარჯვეს ომში ხუნანის ახლოს. [1]) ამბობენ, რომ ერთმა სომეხმა ამ ომის დროს უღალატა სპასალარს ივანეს და იმის ცხენს უკანა ძარღვები გაუჭრა, რომლის გამო ივანე ცხენიდამ ჩამოვარდა, რის გამო ომი წაიგო იმ დღეს. ამიტომაც ჩვენ საეჭვოდ ვრაცხთ, ვითომც ამ დამარცხების შემდეგ ივერიელებმა, როცა გონზე მოვიდნენ, განმეორებულ ომში მოასწრეს რაოდენიმე ათასი მონგოლების გაჟლეტა, როგორც დედოფალი რუსუდანი და ივანე თავისს წერილებში რომის პაპს სწერენ. მონგოლებმა დაიზამთრეს ბარდას ახლოს. 1221 წ. გაზაფხულზე ისინი ტფილისისაკენ გაემართენ და მეორეჯელ დაამარცხეს ივერიელები; აქედამ დაბრუნდენ განჯას, სადაც იქაურ მკვიდრებმა თუ ვედრებით, თუ საჩუქრებით შეაწყნარეს მათ თავი; მონგოლები განჯიდამ გამობრუნდნენ და ხელახლავ შემოესიეს ივერიასდა დაამარცხეს. ამ ომში ებრძოდა მათ დასავლეთის და აღმოსავლეთის ივერიისა, დიდ ძალი შეერთებული ჯარი რომელშიაც ერიენ ივანე ათაბეგი შანშეთი,—რომელიც იმის ძმის ზაქარიას შვილი იყო—და ვარამ გაგელი. ივანე სიკვდილს ძლივს გარდარჩა; ბექა ყვარყვარეს შვილი—მეჭურჭლეთ უხუცესი ომის ველზე მოკვდა; გურგასლანის დროშამ მტრის

---

[1]) პირველი ეს შეტაკება მონგოლებთან მოხდა ბერდუჯის ანუ დებედას ნაპირზე ბორჩალოში, მახლობლად ხუნანისა.

წინაშე უკან დაიხია. ამის შემდეგ მონგოლები დარუბანდს წავიდენ. ისინი ვერ შეაჩერეს ვერც ლეკებმა და ყიფჩაყებმა, ვერც საშინელმა გზებმა და ვერც სურსათის უქონლობამ. დაუჭედელ ცხენებით ისინი გარდავიდენ ჩრდილოეთში, შემდეგ მდინარე ოტელში (ვოლგაში) გავიდნენ და უდაბურ ადგილებით დაბრუნდენ თავისს ხელმწიფესთან; ამ გვარად ორი წლის განმავლობაში მონგოლებმა ეს დიახ საოცარი ლაშქრობა დაასრულეს. მონგოლებისაგან დამარცხებულნი ყიფჩაყები გადმოვიდენ სამხრეთში, აიკლეს დარუბანდი გაძარცვეს შირვანში ქ. ყაბალა, რომელიც ივერიელებს ეკუთვნოდა, შემდეგ უფრო შორს დაიწინაურეს და თხოვეს მეფე გიორგის დასასახლებლად ადგილი. მეფემ უარი უყო. ამის შემდეგ ისინი განჯას მივიდენ, სადაც იქაურმა მფლობელმა სიხარულით მიიღო ისინი. შეუერთდენ რა განჯის ემირს, პირველ შეტაკებაში მათ დაამარცხეს ივერიელები, მაგრამ ათაბეგმა ივანემ მეორე ომში გაიმარჯვა მათზე და სრულიად ამოსწყვიტა ისინი. ამის გარდა 1222 წ. ივერიელნი თავს დაეცენ და აიკლეს ბელაქანის მხარე ბარდას იქით მდებარე. დოვინის სარდალი შალვა დაეცა აგრეთვე სურმარიის მაზრას, რომელიც მაშინ ხლათის [1]) მთავარს ეკუთვნოდა, მაგრამ დაბრუნების დროს მტერი დაეწია მას გზაში და, თუმცა შალვა სიკვდილს გადარჩა, მაგრამ მთელი ნადავლი უნდა დაეგდო. ამასობაში სულთანმა ჯელალ-ედდინმა არჩია დასავლეთისაკენ დაეხია. ახლოთის მთავარმა, სალა—ედდინის შთამომავალმა, გამოსთხოვა ცოლად მეფე გიორგის და. მეფე დათანხმდა, და ათი დღის შემდეგ ქორწინება უნდა მომხდარიყო, მაგრამ მეფე დანიშნულ ვადამდე გარდაიცვალა და ამისა გამო ეს საქმე დაიშალა. გიორგი მეფე გარდაიცვალა ოთხშაბათს 18 იანვარს 1223 წ. ახალგაზდა თავისი შვილი დავითი მან ჩააბარა რუსუდანს, რომელიც ტახტზე ავიდა.

---

[1]) ხლათი ანუ ახლათი, იგივე ახლოთი მდებარებდა ვანის ტბის ნაპირად.

თავის გამეფების დასაწყისში რუსუდანმა გამართა მიწერ-მოწერა პაპთან ღონორი III და აუწყა, მას როგორც ძმის სიკვდილი, აგრეთვე თავისს გამეფება და მონგოლების პირველი მოქმედება ევერიაში. ეს დასაჯერიც არის, ვინაიდგან ევერიელებმა უკვე მოიხვეჭეს აზიაში დიდი სახელი სელჯუკებთან ბრძოლით; როდესაც მეჯვაროსნებმა აიღეს დამიეტტა 1219 წ. ევერიელებმა მაშინვე მოულოცეს მათ გამარჯვება და მუქარით აუკრძალეს დამასკის მფლობელს, ქორადინს ქ. იერუსალიმის კედლების დანგრევა, რაზედაც ის მოწადინებული იყო. ამას გარდა მეფე გიორგის თავისს სიკვდილამდი განზრახვა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო მეჯვაროსნების ომში ურწმუნოებთან. წმინდა ადგილების მოსალოცავად მიმომსვლელთ ევერიელებს ჰქონდა სხვა საქრისტიანო ერთ შორის უპირატესობა; მათ შეეძლოთ ამ წმინდა ქალაქში გაშლილ დროშით შესულიყვენ. ეს უფლება მიენიჭათ მათ მას შემდეგ, როცა თამთა, იოანე ათაბეგის ასული, მიათხოვეს სალა-ედდინის ძმის წულს, მალიკ-ელ-ნურადს. [1]) 1240 წ. დამლევს რუ-

[1]) დასამტკიცებლად იმისა, რომ ჩვენი დროშა მონგოლების შემოსევამდე რისხვასა და ზარს სცემდა მცირე აზიაში და სირიაში ყველას, ვინც კი საქართველოს შეურაცსყოფას განიზრახვიდა, აქ მოგყვავს წერილი არაბულ კრებულიდამ, რომელიც შეუდგენია შიხაბედდინ ელკალკაშენდის XV საუკუნეში და რომლის თარგმანი დაბეჭდილია ახლად გამოცემულ I ტომში зап. Вост. отд. Импер. Рус. археол. общества. ელკალკაშენდი მოგვითხრობს ცნობებს შესახებ ეგვიპტის სულტნებისა და საქართველოს მეფეთა ურთიერთ შორის დამოკიდებულობისა და გარდმოგვცემს ვრცელ ცნობებს შესახებ ქართველების ტაძრისა იერუსალიმში. სხვათა შორის ის სწერს: მაჰმადიანები ეძახიან ქართველებს კურდებს, ხოლო ქრისტიანებს ჯურჯებს. საქართველო არის ფრიად დიდი და უძლიერესი ქვეყანა. მას ჰყავს საკუთარი მეფე, რომლის უფლება დიახ მტკიცე არის. იმის სატახტო ქალაქი ტფილისია. ამ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრავს ერთის მხრით რუმი (ბიზანტია) და მეორე მხრით ირანი (სპარსეთი). სულთანი (ეგვიპტისა) საქართველოს საზღვრების დასაცველად აქ შემოიყვანს ხოლმე 10, 000 ჯარის კაცს, ისიც იშვიათად... მიწერ მოწერის დროს ეგვიპტის სულთნები დიდის პირფერობით (რომლის ნიმუში, როგორც მაგალი-

სუდანმა წინადადება მისცა პაპს გრიგოლ IX სჯულით შეერთების შესახებ და ამასთანვე მონგოლების წინააღმდეგ შებრძოლებისათვის შემწეობა გამოსთხოვა. მაგრამ პაპმა ამ შეწევნაზე უარი შემოუთვალა და მიზეზად იმას უთვლიდა, რომ ევერია ევროპაზე („გზები სარკინოზებს უჭირავთო“) ერთობ დაშორებულია და რომ ის (პაპი) იმ დროს იმპერატორს ფრიდრიხ II ებრძოდა. პაპმა მხოლოდ ევერიაში რაოდენიმე მისსიონერები გამოგზავნა. აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ კათალიკეთა ყველაზე უძველესი ეკლესია ახალციხეში არსებობს 1298 წლიდამ [1]).

რუსუდანს შეუყვარდა მუჯეთ [2])-ედ-დინი თოღრულ-შორდი, სელჯუკელის ყილიჯი არსლანის შვილი, მონათლა და იქორწინა მასთან; იმისაგან მას შეეძინა ასული თამარი და

თად აღმოსავლეთური გაბაჰარბებული მჭერმეტყველობისა, შემოკლებულად ქვემოთ მოგვყავს) მიმართვიდენ ხოლმე საქართველოს ხელმწიფეს: «განაგრძოსცა ალლახმან ბრწყინვალება მათის უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელოვანისა, დიდებულისა, მძლეთა მძლისა, უმხნესისა, უძლიერესისა... ლომებრივისა... ლაზთა მეფეთა შორის უაღმატებულესისა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და ნავთ-საყუდელთა სამეფოთა საუნჯისა... რუმისა და ირანის ქვეყანათა მოსაგრისა... სირიელ მეფეთა თვალსა... თავის გამჭრიახობით უწმინდესის სახლის (იერუსალიმის) აღმამაღლებელისა... რომის პაპის შემწისა, მაჰმადიანთა მეგობარისა... მესსიანოთა ერის დიდებისა, მეჯვაროსნე ტომ მოდგმის საუნჯისა, საქრისტიანო სჯულის სიმაგრისა, მეფისა აფხაზთა, ქართველთა და ჯურჯანთა, მეგობრისა მეფეთა და სულტანთა“ და სხ.

[1]) ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მისსიონერებმა მაშინ მოაქციეს ზოგიერთნი ქართველნი კათოლიკებად და ამ დროიდამ შემოდის ჩვენში კათოლიკეს სჯულის აღსარება. ვფიქრობთ, რომ ესეც ახალი საბუთია ჩვენი თანამედროვე სომხების პუბლიცისტების წინააღმდეგ, რომელნიც ამ შემთხვევაში plus papistes que le pape შეიქნენ და რომელთ მეცადინეობით სხვათა შორის, ქართველთ კათოლიკეებმა, რომელთაც „ინჩეც“ არ ესმით სომხურს ენაზე, წირვა უნდა მოისმინონ თავიანთ ეკლესიებში სომხურს ენაზე, აქაოდა თქვენ ოდესმე ვითომც სომხები იყავითო....

[2]) დიმ. ბაქრაძე მოგით-ედ-დინი.

ძე დავითი. ტფილისის აღების შემდეგ, რომელზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, მუჯედ-ედდინი ხელში ჩაუვარდა ჯელალ-ედდინს, რომელმაც შეიწყნარა და განათავისუფლა ის; მუჯეთ-ედდინი დაბრუნდა თავისს მეუღლესთან, რუსუდანთან, რომელიც მან პოვა გარყვნილობაში გართული. ქმარმა არ მიხედა იმის ცუდ ყოფა ქცევას და ქრისტეს რჯულს არ გარდაუდგა. რაიცა შეეხება რუსუდანს, ის ისეთს გარყვნილ ცხოვრებას ატარებდა, რომ შესახებ ამისა დუმილი სჯობს.

1225 წ. ივერიელები გარს შემოერტყენ განჯას და შირვან-შაჰს შეეწიენ თავის სამფლობელოის დაბრუნებაში, მაგრამ ორ-ჯელ დიდის ზარალით უკუქცეულ იყვენ შირვანშაჰის შვილის მიერ, რომელიც მამისაგან გამოგდებული იყო. იმავე წელს ხორაზმ-შაჰი 200 ათასი ჯარით ანუ უკეთ ვსთქვათ მთელი თავის ერ-თგულ თემით შემოვიდა თავადთ მხარგრძელიძების სამფლო-ბელოში. დოვინი თავის არემარეთი ივანე ათაბეგს ეკუთვნოდა, ანი—იმის ძმისწულს შანშეს, გაგის—ციხე და იმის მხარე—ვა-რამ გაგელს. რუსუდანის ბრძანებით ივანემ, უკვე მოხუცე-ბულმა და მონაზონად შემდგარმა, წაიყვანა დიდ ძალი ჯარი საომრად ქ. გარნის მახლობლად [1]), აგვისტოში 1225 წ. მო-წინავე რაზმს ჩვეულებისამებრ შეადგენდენ თორელნი და ახალციხელნი შალვას და იმის ძმის ნიანიას წინამძღოლობით, რომელნიც ხაჩენის მთავრები იყენენ; ომის დროს ივანე ათაბეგი არ მოეხმარა მათ, რის გამო მტერმა დაამარცხა ისინი და ივერიელნი გაიქცენ. შალვა ტყვედ წაიყვანეს და მიგ-ვარეს სულთანს, რომელმაც ერთი წლის შემდეგ აწამა და მოაკვლევინა, ვითომც იმისთვის, რომ მას მიწერ—მოწერა ჰქონ-დეს ივერიელებთან, უფრო კი სარწმუნოა, რომ ის აწამეს მუსულმანის სჯულის მიუღებლობისათვის. ათაბეგი ბედშნის ქალაქში გაიქცა და მით უშველა თავს. ჯალალ—ედდინმა აი-ღო ქ. დოვინი, წავიდა თავრიზს, მაგრამ დეკემბერში ისევ

---

[1]) გარნის ნანგრევებს ერევნის ახლოს უჩვენებენ.

დაბრუნდა მხარგრძელიძების სამფლობელოში და მთელი ჩრდილოეთი სომხეთისა—ანიდამ განჯამდი—ააოხრა და დაიპყრა ტფილისი მარტში 1226 წ. აი როგორ მოხდა ეს. სულთანმა შეიტყო, რომ ივანე ათაბეგის შვილი, ავაგი ბედშნში ცხოვრობდა და რომ დედოფლის მიერ პატივცემული იყო. მან მოიწვია ავაგი მოსალაპარაკებლად და, რა განიზრახა იმის შემწეობით ივერიელების დამორჩილება, ისურვა რუსუდანის ცოლად შერთვა, რომელიც არამც თუ არ დათანხმდა ამა წინადადებაზე, არამედ შიდა ქართლში წავიდა და ტფილისის დაცვა მემნას ძმებს და ბოცოს მიანდო.—მაგრამ ქალაქში გაჩდენ მოღალატენი,[1]) რომელთაც, როდესაც მეციხოვნები მტერთან საომრად ქალაქიდამ გამოვიდნენ, გაუღეს სპარსელებს კარები და მეორე მხრიდამ შემოუშვეს; მაშინ ივერიელთ დიდ ძალ რაზმებმა აქ ვერ შეიკავეს თავი და გაიქცენ. მტერმა ქალაქი დასწვა და დაანგრია. ბოცო იძულებული შეიქნა მტკვრის მარცხენა მხარეზე გარდასულიყო, ვინაიდგან მას მოუვიდა დედოფლის ბრძანება, რომ ეს მხარე მტრისათვის დაეცალა. ტფილისის აოხრების შემდეგ სულთანმა მოიწადინა გამაჰმადიანება იქ დარჩენილ მკვიდრთა და მრავალნი მათგანი ამაზე უარყოფისათვის აწამა. ჯელალ—ედდინი არ დაკმაყოფილდა მით, რომ შებილწა ყველა წმინდა ადგილები, მან უბრძანა ამა ადგილების შესაბღალავად თავის ბინიდამ სიონის ეკლესიაზე ასასვლელი გზის გაკეთება [2]) ხოლო მისი ჯარი მოეფინა ივერიის ყველა კუთხეს და შეუბრალებლად არბევდა მას. სულთანმა ტფილისის მმართველად მამელუქი ახსონქორი და ვეზირად საფი—ედდინ მუხამედი დანიშნა. თვითონ ქირმანში

---

[1]) სპარსელები

[2]) ვახუშთი ამ სიტყვებით მოგვითხრობს ჯელალედდინის მტარვალობას: „კვალად მოარღვია სულთანმან სიონსა გუმბათი, დაიდგა საჯდომი და დაჯდა მასზედა და მუნიდამ სრვიდა, რომელ მდინარე სისხლისა სდიოდა„. „მოიღო ხატი სიონისა ყოვლად წმინდისა და დაასვენა ხიდსა ზედა, და რომელი არ ჰნერწყვიდა, მოჰკვლიდნენ.“

წავიდა და იქიდამ ზამთარში დაბრუნების შემდეგ სამჯერ თავს დაესხა ქ. ახლათს, მაგრამ ვერ აიღო. აგრეთვე მან ვერ აიღო ქ. ანი და ყარსი, მაგრამ მთელი ივერია კი დარბეული იყო ხორაზმის ჯარისაგან. 1227 წ. გარდაიცვალა ათაბეგი ივანე, რომელიც დამარხეს მისგან აშენებულ ფიზახანგის მონასტერში. შვილი მისი ავაგი დადგენილ იქნა მის ადგილზედ ამირ—სპასალარად. როდესაც მუჯიმმა ივერიელებს შეატყობინა, რომ ტფილისის ციხის მცველ თარიცხვი მცირე არისო და, როდესაც ამასთანავე ისინი მოიპატიჟეს თვით მუსულმანებმა, რომელთაც მობეზრდათ ხორაზმელების სასტიკად მოპყრობა, ისინი წინამძღოლობით მანდატურთ—უხუცესისა შანშესი, სპასალარის ავაგისა, ვარამ გაგელისა, ცოტნე დადიანისა, და ოსების მაშველ ჯარით დაეცენ მტერს ბოლნისის ახლოს. ამ ომის დასაწყისში ივერიელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ შემდეგ ხორაზმელების ურიცხვ რაზმს ველარ გაუმაგრდენ. ხორაზმელები დაბრუდენ ტფილისში 1228 წ., სადაც ყველა იქაურნი მკვიდრნი ამოჟლიტეს და ქალაქიც გადადაგეს. სულთანმა მეორედ აიღო ის 1229 წ. და იქიდამ ახლათზე გაილაშქრა. დედოფალი რუსუდანი ჯერ ქუთაისს და შემდეგ აფხაზეთს გარდავიდა.

ჩინგისხანმა, რომელიც 1229 წ. გარდაიცვალა, გარდასცა დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილი აზიისა თავისს შვილს ჯუჩის, და სახელ უწოდა მას ყაენად [1]) ე. ი. ხელმწიფედ და მბრძანებელად. მონგოლების წინამძღოლნი ჭარმაღან, ჩალათარ, იოსერ და ბინჩვის გამოელაშკრენ ადერბეჯანის მხარი-

---

[1]) ყაენი, ყეენი წარმოსდგება მონგოლურ ლექსიდან ყახან, რომლის სახელწოდებას ხმარობდენ ჯმთავრესი მონგოლთ წინამძღოლები და მათი მემკვიდრენი სპარსეთში. ყახანი განსხვავდება ხანიდამ, რომელიც ერქვათ სპარსეთის მმართველებს. Hist. de la géorgie. გვ. 485 შენ. 3. შეადარე ახირებული აზრი „კვალისა„ ყაენობის შესახებ. ავტორი არც აცივებს და არც აცხელებს და ყაენობა მურვან-ყრუს დროიდამ გამოჰყავს;

საკენ. თავრიზი და არდებილი დაემორჩილენ მათ; განჯამ წინააღმდეგობა გაუწია, რისთვისაც მტერმა აღებისა შემდეგ სრულიად ააოხრა ის.

1230 წ. ჯელალ—ედდინმა გაგზავნა ქ. ლორის დასაპყორობლად ილეკ-ბეგი, რომელმაც, თუმცა ის ვერ აიღო, მაგრამ ძაგამის და გაგის ციხეები დაიკავა და ივერიელები დაამარცხა ქ. ბედშნის ახლოს. რადგანაც ჯალალ—ედდინმა აქ ველარ შეიმაგრა თავი მონგოლების შემოსევისაგან და ამასთანავე რამდენჯერმე დამარცხდა ახლოთის ახლოს იმის მფლობელის მელიკ-აშრაფისაგან,—რომელმაც არ ისურვა ჯალალ—ედდინის ხელთ ქვეით ბრძოლა მონგოლებთან—ის 1230წ. გაემგზავრა ქურთისტანს, სადაც ქ. მიაფარექინის მახლობელ სოფელში ის ერთმა ქურთმა მოჰკლა. მისი ჯარი ამოწყვეტილ იქნა გუნდ გუნდად იმ მხარის მკვიდრთაგან, რომელნიც წინეთ მათ გაეძარცვათ. ყველა რუსუდანის მეფობის ვერცხლის ფული მოჭრილია 1230 წ., ხოლო სპილენძისა—ცოტა წინედ 1227 წ. რუსუდანი გაეყარა მუჯით—ედდინს და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა წაერთვა ტახტი თავის ძმისწულის დავითისათვის. ამის გამო 1234 წ. მან ბრძანა სამეფო გვირგვინით კურთხევა ქუთაისში თავის ექვსის წლის შვილისა. ამ დიდებულს დღესასწაულზე, ლაშკრობის გამო ვერ დაესწრენ მანდატურთ—უხუცესი შანშე, რომელიც ანში იყო, სპასალარი ავაგი ბედშნში მყოფობის გამო, ვარამ გაგელი და ალმოსავლეთ ივერიის დიდებულნი. 1236 წ. ახლო ხანებში დედოფალი დათანხმნდა თავისი ქალი თამარი მიეთხოვებინა გაიათ—ედდინის ქაიხოსრო II, იკონიის სულთანისათვის იმ პირობით, რომ მას ძალა არ დაეტანებინა ცოლისათვის მაჰმადიანობის მიღებაზე. ხოლო შემდეგში თამარმა ქრისტიანობას გარდუგა და მას სასტიკად სცემდა ქმარი, რომლიც უმიზეზოდ იჭვნეულობდა იმაზე. ცოტახნის შემდეგ რუსუდანმა გაგზავნა იკონიას თავის ძმისწული დავითი და საიდუმლოდ მიწერა სულთანს მოკლას ის როგორმე, მაგრამ არც სიძემ და არც იმის ცოლმა

გურჯი—ხათუნმა არ აღასრულეს რუსუდანის ამ გვარი უსამართლო თხოვნა.

1236 წ. მონგოლებმა [1]) დაიპყრეს სომხეთი, მთელი შირვანი დარუბანდამდე და ადერ ბეჯანი, დაიწყეს ძარცვა და აოხრება ივერიისა. დედოფალის ბრძანებით მუხასძემ [2]), ტფილისის მოურავმა თითონ დააქცია ტფილისი და ისე დაუტევა მტერს. შანშე ქ. ანიდამ აჭარაში გაიქცა, ვარამ გაგელი [3])—ქუთაისს, ავაგი—კაიენის ციხეში, რომელიც შემდეგ ხანგრძლივს ალყისა იძულებული იყო დაეთმო. აღმოსავლეთის და დასავლეთის დიდებულებმა მთიულეთის სიმაგრეებში შეიფარეს თავი. შემდეგ ავაგი, შანშე, ვარაზ და ელიქუმ ორბელიანი დაემორჩილენ ძლევა მოსილს მტერს და მათ უკანვე დაიბრუნეს თავისი სამფლობელოები. ანი და კარნუ ქალაქი ე. ი. არზრუმი—აიღეს მონგოლებმა, ხოლო მკვიდრნი იარაღით ამოჟლიტეს. ეს ივერიის საზოგადო დაპყრობა მოხდა 1239 წ. როგორც კი ავაგი დამორჩილდა მონგოლებს, ის ნიშნად პატივისცემისა გაგზავნეს ოღოდაი—ყაენთან და თან გაატანეს მისი და თამთა და ახისტნის სულთანი. ავაგმა ისარგებლა ამ შემთხვევით და გამოითხოვა როგორც ქრისტიანებისათვის, აგრეთვე სამღვდელოთათვისაც შეღავათი და ორწლის ყოფნის შემდეგ დაბრუნდა იქიდამ დიდად პატივცემული და უხვი საჩუქრებით დაჯილდოებული. თამთას დაუბრუნეს იმის სამფლობელო ახლათის მაზრაში; ის დაბრუნდა შინ დედოფალის რუსუდანის ელჩის ხამადაულის თანახლებით. ყაენმა დაუმტკიცა დანარჩენ მფლობლებთ ყველა ის მამულები, რომელნიც აქამომდე მათ ეჭირათ.

---

[1]) ვახუშტით „მოეფინენ ვითარცა მკალნი მსვრელნი“.

[2]) ვახუშტით „მხარ-გძელი გოჭა„ და არა გოჭა მუხასძე. გვ. 229.

[3]) გაგი და გაგოს ციხე ბროსსეს ფიქრით მდებარებდა არწახის მაზრაში, გუგარკში (სომხეთში), ქართველების გარდაბანის საზღვრებში. Hist. de la Gèorgie, 1, 228 შ. 4 და 5.

მონგოლებმა აიღეს და ხელახლად ააგეს დაქცეული ტფილისი. სამცხე რაოდენსამე ხანს დედოფლის ერთგულობაში დარჩა, მაგრამ ჩაღათარმა მოარბია ის და იმდენი ხალხი ამოსწყვიტა, რომ ივანე ციხისჯვარის მფლობელი დედოფლის ნებართვით დაემორჩილა დამპყრობელებს, და იმით იხსნა მთელი ეს მხარე საშიშარ განსაცდელისაგან.

მაშინ რუსუდანმა გარდასწყიიტა თავისი შვილი დავითი ჩაებარებინა მონგოლებისათვის და ამ განზრახვით მათ აახლო თავისი დიდებულნი, რომელთაც მონგოლების ჩვეულებისამებრ უნდა მიეღოთ ფიცი. ეს ფიცი მდგომარეობდა იმაში, რომ პატარა ოქროს ფიცარს ჩადებდენ წყალში, რომელიც ორთავე მხარეს უნდა დაელიათ. ამ დროს ბიჩვი—ნუინმა [1]) შეკრიბა ჯარი შემოიერთა დამორჩილებულნი ივერიელნიც და გაელაშკრა კონიის [2]) სულთანის წინააღმდეგ. თურქების სულთანს გაიეთ—ედდინს სარდლებნად დარდან შარვაშიძე და ფარადაული, თორელის შალვას შვილი ჰყავდა. ბიჩვის კი ახლდენ სარგის—ჯაყელი, ავაგი შაგანშაჰ და ელიქუმ ორბელიანი. ომში დარდანი და შალვა [1]) მოკლეს. ივერიელებმა ამ ომში ვაჟკაცურად თავი იჩინეს. დედა და ასული დამარცხებულ სულთნისა გაიქცენ კილიკიაში, ხოლო ხეტუმი სომხების მეფე და ქალაქები კესარია და სებასტია დაემორჩილა მონგოლებს. რადგანაც სულთანმა ვეღარ შესძლო მონგოლების წინააღმდეგობა, მორჩილებით და საჩუქრებით შეაწყნარა მათ თავი და მიიღო თავისს დედა—ქალაქში, კონიაში მოურავი დადგენილი

---

[1]) ნოინი, ნუინი ნიშნავს მთავარ ერისთავს. ვახუშტით ნოინი იყო ცხენოსანის ჯარის უფროსი, თუმანისა ანუ ათი ათასის თავი, აგრეთვე სამეფო სახლის უფლის წულიც.

[2]) იგივე იკონიის.

[1]) ჩვენის აზრით აქ lapsus calami უნდა იყოს. როგორც წინედ მოყვანილ სიტყვებიდამ სჩანს, შალვა კი არ ყოფილა სარდლად ამ ომში, არამედ მისი შვილი ფარადაული.

ნოინების მიერ, რომელნიც საზაფხულოდ იალაღებზე გელაქუნის მხარეში წასასვლელად აიყარნენ. ეს მოხდა სწორედ 1243 წ.

მონგოლები დათანხმდენ რუსუდანის თხოვნით იმის შვილის დავითის გამეფებაზე. მაშინ დიდებულნი ავაგი, შანშე, ყვარყვარე სამცხელი, ცოტნე დადიანი,—ყველასაგან პატივცემული პირი, ბედიანი და გურიის მთავარი წავიდენ შესაგებებლად დედოფლის შვილისა, რომელსაც ნოინებმა მთელი ივერია უბოძეს სამშვილდის ციხით და დაარქვეს მას ნარინ—დავითი [1]). ეს აუწყეს აგრეთვე მონგოლთ ხელმწიფის ჩრდილოეთ მხარეებში მოადგილეს, ბათუს. ამ ბათუ—ხანის ბრძანებით ავაგი, ათაბეგის წოდებით დაჯილდოებული, მის წინაშე წარდგა ახლათის სულთნის, როკნ-ედდინითურთ და გააცვიფრა მონგოლები თავის პირ-ფარეშის დავითის ერთგულებით. ავაგმა არ იცოდა, როგორ მოეპყრობოდა მას მონგოლთ მბრძანებელი; ამის გამო თავისს მაგიერ პირფარეში წარადგინა და თითონ ავაგმა იმის მხლებელობა დაიჩემა. რაოდენიმე დღის განმავლობაში დავითს ყველა იმ პატივის ცემით ეპყრობოდა, როგორც შეეფერებოდა ავაგს. როდესაც კი ავაგი დარწმუნდა, რომ ბათუ-ხანმა ის მოწყალის თვალით მიიღო, გამოუტყდა მონგოლებს, რომელნიც ფრიად გაკვირდენ მსახურის ამ გვარ ერთგულებაზე. ბათუმ ორივე ისინი გაგზავნა ყარაყორუმში უმაღლეს მეუფესთან.

როგორც კი ნოინები შეურიგდენ რუსუდანს, გარდაწყვიტეს მონგოლიაში გაეგზავნათ მეფედ ახლად ამორჩეული დავითი, რომელმაც 2 წელიწადი დაჰყო ბათუ-ყაენის სასახლეში თანახლებით დიდებულთა ბექასი, ქართლის ერისთავის შვილისა, ბეშკენისა და სხ. საქმის ამ ნაირი მსვლელობა მით უფრო საწყენი იყო რუსუდანისათვის, რომ ის ყველა საშუალებას ხმარობდა მოეკვლევინებინა თავისი ძმისწული და მით თა-

---

[1]) ნარინი მონგოლურად ნიშნავს მახვილს, გონიერს.

ვის შვილისათვის დაემკვიდრებია სამეფო ტახტი. ამ განზრახვით რუსუდანმა რამდენჯერმე თხოვა თავისს სიძეს, იკონიის სულთანს დავითის მოკვლა, მაგრამ ის მუდამ უარს უთვლიდა, მაშინ რუსუდანმა მოახერხა ეჭვი აღეძრა სულთანის გულში შესახებ დავითის კავშირისა მის მეუღლესთან. სულთანმა ახალგაზდა ბატონის წული გარდასცა მენავეებს და უბრძანა ზღვაში მისი გადაგდება. ის გადარჩა სიკვდილს. ერთ ფიცარზე მისცურა სავაჭრო გემამდი, რომელიც ზღვის პირზე იდგა. ის მალე იცნეს და 6 თვის შემდეგ ჩააგდეს დილეგში, სადაც 5 წელი იმყოფებოდა და სადაც ყოველ დღე მიჰქონდა მასთან პური და წყალი მის ერთგულს მოსამსახურს, სლავს სოსნას. ამ დროს განმავლობაში ივერია, უმეფოდ დარჩენილი, მონგოლებმა გაჰყვეს რამდენიმე ნაწილად, რომელთაც მართვიდენ შანშე, ვარამ გაგელი, გრიგოლ,—ქართლის ერისთავი,—ცოტნე დადიანი და სხ. უზენაეს ზედამხედველობით ბაკურ-ციხის მფლობელისა, ეგარსლანისა [1]), რომელსაც დიდად პატივსცემდენ წყნარის ზნეობისა და დიდ გამოცდილებისათვის. მონგოლებმა გარდაწყვიტეს ალმუთის მულიდების დაპყრობა და ამისათვის აამხედრეს მთელი ივერია და ის დაჰყვეს ორ ნაწილად, რომელნიც მორიგისად თითო წელს მსახურებდენ მათ რაზმში. მულიდებმა ღამით შეაპარეს ჭალათარნუინის კარავში ერთი თავიანთაგანი, რომელმაც ხანჯლით მოკლა ის და გაიქცა. ეს მკვლელობა დააბრალეს ივერიელებს და ისინი სასტიკად დაისჯებოდენ, თუ თითონ მკვლელი არ გამოცხადებულიყო მონგოლების წინაშე და თავისი თავი დამნაშავედ არ აღეარნა. ალმუთის ალყის დროს სამოცი ათასი თურქნი ყარა-არსლანის წინამძღოლობით შეესიენ სამფლობელოს შანშისას და ავაგისას, რომელთაც, შეკრიბეს რა ოც-

---

[1]) მატიანის თქმით „ეგარასლან ბაკურციხელი იყო კაცი საკვირველი, ღრმად მოუბარი, მხნედ მეომარი, არა რას საქონლისა პატრონი, კნინღა სახელი მეფობისა ეპყრა“.

დაათი ათასი ჯარი, იერიშით მივიდენ მტერზე და დაამარცხეს ის ვალაშკერტის ახლოს და დაბრუნდნენ დავლით ქ. ანში. მეორე გუნდს თურქმენებისას, რომელთაც ტაოსის დარბევა იწყეს და ქ. ბანის ახლოს დაბანაკდენ, — დახვდა კალმახის ციხის ახლოს ციხის-ჯვარის და ჯაყის სარდალი ყვარვარე, რომელმაც, გაიმარჯვა რა მათზე, დაიპყრა ოლთის და ბაყათა [1])-ყურის ციხეები, წინეთ თურქების ხელში ნამყოფნი. წესიერების დასამყარებლად და მტრისაგან ქვეყნის დასახსნელად დიდებულნი კოხტის თავში შეითქვეს და ვადაც დანიშნეს თავისი განზრახვის ასასრულებლად. ხოგი ამბობს, ვითომც დიდებულთ აჯანყება კი არ განეზრახოთ, არამედ ნადიმის შემდეგ ხუმრობაში და მასლაათში რამდენიმე სიტყვეები წამოსცდათ. ასე იყო, თუ ისე, ბიჩვი ნოინმა და ანღურმა ეს ამბავი რომ შეიტყვეს ანაზდეულად თავს დაესხენ და დაატუსაღეს წარჩინებულნი და ხელ შეკრულნი მოიყვანეს ანისში; თვით მეფე დავითი ამ სამარცხვინო სასჯელს ვერ ასცდა. ავაგმა კი დაარწმუნა ნონიები თავის უბრალოებაში.

მონგოლებმა დიდ ხნის წვალების შემდეგ ივერიის დიდებულნი შეიწყნარეს და განათავისუფლეს. ეს უნდა მომხდარიყოს 1249 წ. ამის ცოტა ხნის წინეთ 1247 წ. უსმერში გარდაიცვალა რუსუდანი [1]) ჯავრისაგან იმ უბედურების გამო, რომელიც მისობას ეწია სახელმწიფოსაც და იმის შვილს, რომელიც მაშინ მონგოლიაში იყო გაგზავნილი. 1244 წ. ახლო ხანებში, დიდებულებმა, რა შეიტყეს გიორგი ლაშას შვილის დავითის თავგარდასავალი და აგრეთვე ისიც, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ნოინებს გამოთხოვეს ნებართვა გამოეყვანათ ის იკონიის სულთანის სამფლობელოდან და შემდეგ გაემეფებინათ. იმის მოსაყვანად გაგზავნილნი იყვნენ ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი, რომელთაც ნახეს ის

---

[1]) იგივე ბულათ-ყური.

[2]) ვახუშტით რუსუდანი ტფილისში მოკვდა.

საკოდავ მდგომარეობაში შემდეგ ხუთის წლის დილეგში დამწყვდევისა; ის დაბანეს, ჩააცვეს სამეფო ტანსაცმელი და შემოიყვანეს ქალაქში, სადაც მას დახვდენ ყველა დიდებულნი გარდა ეგარსლანისა. ნოინებმა დაარქვეს მას ულუ ე. ი. დიდი, უფროსი, ვინაიდგან ის უფროსი ძმა იყო. სომხის მეისტორიენი უწოდებენ მას ვარამულად რაც ქართულ ენაზე ნიშნავს: ვარამისა მიერ ქმნულს, დადგენილს.

მალე გაგზავნეს ის ბათუ-ყაენთან და თან აახლეს დიდებულნი შანშე, ზაქარია, აღბუღა, ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი. ზოგნი მოგვითხრობენ, რომ დავითმა სამეფო გვირგვინი მცხეთას იკურთხა; ცოტა ხანს უკან ბათუ-ყაენმა გაგზავნა რუსუდანის შვილი მონგოლიაში სათხოვნელად გაიუქყაენისა [1]), რომ მას დაემტკიცებინა ის მეფედ. აქ ჩვენის აზრით შეცდომა უნდა იყოს, იმიტომ რომ გაიუქ ყაენი გამეფდა არა უადრეს 1246 წლ. თუმცა ფრიად ძნელია გარჩევა და სისწორით გამოკვლევა მაშინდელ მომხდარ ამბვებისა. ნამდვილად ვიცით, რომ ორთავე მეფის წულნი დაესწრენ ყარაყორუმში გაიუქის გამეფებაზე 1242 წ. და რომ ისინი (ერთი იმათგანი მაინც) დაბრუნდენ ქართლში დაახლოვებით 1250 წ., რაიცა ზემოხსენებულიდამ ცხადად სჩანს. მეორე ნაამბობი მოგვითხრობს, რომ რუსუდანმა, აკურთხებინა რა სამეფო გვირგვინით თავისი შვილი დაახლოვებით 1240 წ., მონგოლიაში გაგზავნა თავისი ერთგული კაცი ხამადაული, თითონვე არ ისურვა ნოინების დამორჩილება და გაიქცა სვანეთში. როგორც კი შეიტყო დედოფალმა, რომ დიდებულებმა მოიყვანეს კესარიიდამ მეორე დავითი და გაამეფეს ის, მაშინვე შვილი თავისი გაგზავნა ბათუ ყაენთან, რომელმაც უბრძანა მას ტფილისში ეცხოვრა. ნოინებმა გაგზავნეს მონგოლიაში ლაშა გიორგის შვილი, შემდეგ ამისა იქვე გაგზავნილ იქნა რუსუდანის შვილიც. გაიუქმა გარ-

---

[1]) იგივე გაიუკ და გიუქი ყაენი.

[2]) იგივე ბატუა, ბათუა-ყაენი.

დაწყვიტა, რომ ორივე ბატონის შვილებმა იმეფონ: ჯერ უფროსმა და შემდეგ უმცროსმა; გაიყონ ურთიერთ შორის ყველა სამეფო საუნჯე და იცხოვრონ ლაშას შვილმა ტფილისში, ხოლო დედოფლის შვილმა—სვანეთში. ბათუს წინადადებით ორივე დავითი მეფეებად განაცხადეს 1247 წ. ახლო ხანებში,—ნარინი ვითარცა სამეფო გვირგვინით ნაკურთხის დედოფლის კანონიერი შვილი, ხოლო ლაშა გიორგის უკანონო შვილი დავითი, ვითარცა სამეფო გვარის მამრობითი სქესისა შთამომავალი. ჰულაღუმ დაამტკიცა ისინი ამ წოდებით და კათალიკოზის, სამღვდელოების და მთელი ერის თანადასწრებით ისინი საჯაროდ ქ. ტფილისში მეფეებად აღიარეს. ამ ფაკტების დასამტკიცებლად შეიძლება დავსძინოთ ის, რომ ჩვენამდი მოუღწევია ამ დროს მოჭრილ ფულს ჰიჯირის 642, 645, 650 წლ. და ჩვენის წელთაღრიცხვით 1244, 1247 და 1252 წლ. ქრ. შ. შემდეგ, რომელნიც ეჭვ მიუტანელად დავით ნარინის დროს ეკუთვნიან. ამის გარდა დაცულია კიდევ სხვა ფულიც: 467 წ. პასხალიონისა ე. ი. 1247 წ. ქრ, შ. შ. გაიუქ—ყაენის და დავითის სახელით, ტფილისში მოჭრილი და ჰიჯირის 650, 652, 654 ე. ი. 1252, 1254, და 1256 წ. ქრ. შ. შ. მანღუ ყაენის და ლაშა გიორგის შვილის, დავითის სახელით, ტფილისშივე მოჭრილი. აქედამ ცხადად სჩანს, რომ 1244 წ. დავით ნარინი მონგოლებისაგან უკვე აღიარებული იყო მეფედ ოღოდაი ყაენის სიკვდილის შემდეგ დროს, სანამ იმის მემკვიდრეები ტახტზე ავიდოდენ, და რომ 1247 წ. ლაშას შვილი დავითი უსაცილოდ გამეფებული იყო.

აქ უდროო არ იქნება მოვიხსენიოთ, რომ თამარის მეფობის დასასრულს ივერიაში დაბრუნდა ელიქუმის შვილი ლიპარიტ ორბელიანი, რომელიც მოწყალედ მიიღო დედოფალმა, თუმცა გიორგის მეფის დროს ძალიან სასტიკი ბრძანება იყო გამოცემული შესახებ ორბელიანთ მთელის გვარისა. ლიპარიტის მეორე შვილი სემბატი წავიდა მონგოლიაში 1251 წ. გამოსათხოვნელად უზენაესის ყაენისაგან სიგელი-

სა თავის მამა-პაპისოულობაზე, რომელსაც ართმევდენ მას ათაბეგი ავაგის შვილები. სემბატი მეორეჯერაც წავიდა მონგოლიაში 1256 წ. თავის გასამართლებლად იმ ცილის წამებისგან და ბრალდებისაგან, რომელნიც მას გამოუგონეს ზოგიერთმა იმის სახლის და ქრისტეს სჯულის მტრებმა. ის მეგობრობდა არსლან-ნოინს, რომლის შემწეობით ყაენი თავისაკენ მოიმხრო და დაბრუნდა სამშობლოში დიდის სითარხნით. დავით IV, რუსუდანის შვილი სახელ-წოდებული ნარინად და დავით V ლაშას შვილი გულითადის თანხმობით ერთად მეფობდენ; ხოლო ლაშას შვილი უფრო პატივცემული იყო ჰულაღუ [1]) ყაენისაგან და ერისაგან, როგორც წლოვანებით უფროსი და მამრობითი სქესისა შთამომავალი.—1256 წ. შვიდი წლის ომის შემდეგ, მონგოლებმა დაიპყრეს ალამუთი, მულიდების [2]) საბუდებელი, რის შემდეგ ისინი გარდაიფანტენ სხვა და სხვა ქვეყნებში, სახელდობრ სირიაში და ეგვიპტეში. ჰულაღუ-ყაენის ყოფნის დროს ალათაგის ველზე, რომელიც ვანის ტბის ჩრდილოეთად ძევს, ნარინ დავითი გაიქცა აფხაზეთში სემბატ ორბელიანის შემწეობით და მას უკან მონგოლების ბანაკში აღარ დაბრუნებულა. ბედან დადიანმა, რაჭის ერისთავმა და ყველა იმერლებმა აღიარეს ის დასავლეთის ივერიის ანუ იმერეთის მეფედ; მას მაინც ტფილისის მეფეს, დავითთან მეგობრობა და კავშირი არ შეუწყვეტია. ამის შემდეგ იწყება ივერიის გაყოფა 2 სამეფოდ [3]), იმერისა ანუ იმერეთისა ლიხის მთის იქით და ამერისა ე. ი. ქართლისა ამ მთის აქეთ მდებარის მხარისა.

ლაშას შვილს ცოლად ჯიგდა-ხათუნი ჰყავდა. ბათუ-

---

[1]) ჰულაღუ, ჰულაგუ, ხულაღუ-ყაენი—იგივე ულოა, ულუ-ყაენია.

[2]) ავტორი თავის Hist. de la Géorg. ამბობს, რომ მულიდების ნაცვლად უნდა იყოსო „მუღალთა“. 519 n. 2.

[3]) ეს ორ-მეფობა სხვაა და საქართველოს ორ-მეფობად საბოლოოდ გაყოფა—კიდევ სხვა.

ყაენის დაბარებით ის წავიდა მასთან და სამეფოს მართვა მიანდო დედოფალს მანდუტურთ—უხუცესის ჯიქურის თანაშემწეობით.

როდესაც დავითი მონგოლიიდამ დაბრუნდა, მან სიკვდილით დასაჯა კახეთის ერისთავი, პანკისელი თორიზი, რომელიც მას არ მიეგება და, როგორც ეტყობოდა, თავისი თავი დამოუკიდებელ მფლობელად სურდა აღეარნა. ჰულაღუ—ყაენმაც დავითი დიდის პატივით მიიღო და თან წაიყვანა ის გალაშკრებაში ბაღდადზე, რომელიც 1258 წ. 10 ფებერვალს, თორმეტი დღის ალყის შემდეგ აიღო. ეს ქალაქი არსებობდა თითქმის ხუთი საუკუნე. ის დააფუძნა 145 ჰიჯირისა ანუ 762 წ. ქრ. შ. შ. აბბასიდის ხალიფამ ალ-მანსურმა. ამ ომის დროს უკანასკნელი ხალიფა მასტასემი შვილებით დაიღუპა; ის ჩასვეს ტომარაში და მოასრესინეს მონგოლთ ცხენების ფეხთ ქვეშ. ქართული მატიანე მოგვითხრობს, რომ ჰულაღუ-ყაენმა თავის ხელით მოკვეთა თავი ხალიფას, ხოლო მისმა შვილმა მუსულმანების მბრძანებლის შვილსაო. გამარჯვებულებს დარჩათ აუარებელი ნადავლი და ტყვეების დიდი რიცხვი.

1258 წ. ქართველების ზარის დასაცემად ბათუ - ყაენმა გამოგზავნა არღუნი და უბრძანა მას აღეწერა საქართველოის ყოველივე უძრავ—მოძრავი ქონება, რაც კი იქ მოინახებოდა—ხიდამ დაწყებული პირუტყვამდე, საქონლიდამ კაცამდე, 10 წლის ასაკიდამ [1])—მან უბრძანა აგრეთვე არღუნს, შეედგინა მათი სია, ვისაც სამხედრო სამსახური შეეძლო. არღუნს 10 გლეხზე ერთი გამოჰყავდა და ამ ანგარიშით შედგა 90 ათასი მოწიფული მხედარი. აქედამ სჩანს, რომ მაშინ საქართველოში ცხოვრობდა გარდა აზნაურობისა და სამღვდელოებისა ოთხი მილიონ ნახევარი სული ორივე სქესისა. გარდა სამხედრო ბეგარისა ყოველი სოფელი ვალდებული იყო ეძლია

---

[1]) „კაცთაგან პირუტყვამდე, ყანით ვენახამდე და წალკოტით ბოსტნამდე, ქ. ცხ. გვ. 387.

ხარჯი ათასის და ათი ათასის თავებისათვის [1]) ფულით, ნივთით და საქონლით. რადგან ამ ხარჯს ულმობელად ახდევინებდენ და, ვინც გარდახდას დააგვიანებდა, მას შვილებს ართმევდენ, საქართველო ყოვლად შესაბრალისს მდგომარეობაში ჩავარდა.

1260 წ. ჰულაღუ თავს დაესხა სირიას. ალეპოს ემირი ნასირა დაემორჩილა მას; და, თუ ვერწმუნებით მეისტორიე მალაქია აბეგას, ჰულაღუმ დაიპყრა იერუსალიმი, მაგრამ ეგვიპტის სულთანი ქუმუზი დახვდა მას და დაამარცხა იგი აინჯალუჯის ველზე და ყით-ბუღას—დატყვევებულს მონგოლების სარდალს თავი მოჰკვეთა. ამ ომში მეფე დავითმა ქართველებით გამოიჩინა დიდი მამაცობა, რისთვისაც მონგოლებმა გაუშვეს ის თავის სამფლობელოში. მეორე შეტაკებაში ქ. ბირის ახლოს, მდ. ევფრატის ნაპირზე სირიელები დამარცხდენ.

მეფე დავითი დიდხანს უშვილოდ იყო. მან შეიყვარა შემდეგ ალთუნი, რომლისაგან შეეძინა ვაჟი გიორგი და ასული თამარ. დედოფალი ჯიგდა-ხათუნი 1052 წ. გარდაიცვალა და ის დაასაფლავეს მცხეთის ტაძარში.

როდესაც ჰულაღუ-ყაენი გაელაშკრა ეგვიპტის დასაპყრობლად დავითი გაემგზავრა ქართლში და გარდავლო სამფლობელო ათაბეგის ავაგისა, რომელიც 1250 წ. გარდაიცვალა. დავითმა შეირთო ცოლად იმის ქვრივი გვანცა, რაჭის ერისთავის კახაბერის შთამომავალი. იმისაგან შეეძინა 1262 წ. ახლოხანებში დიმიტრი, რომელიც შემდეგში ქართლის მეფედ შეიქნა. დავითმა შვილი გასაზრდელად მიაბარა თავის საყვარელს და ერთგულს სემბატ ორბელიანს, რომელმაც შემდეგში გამოსთხოვა მეფეს მოესპო გიორგი III ზემოხსენებული განკარგულება, რომელიც ფრიად დამჩაგრველი იყო ორბელიანის გვარისათვის. მან მიაბარა გასაზდელად გვანცას ქალი ხვაშაგი სადუნა მანკაბერდელს, იმ სადუნის შვილის შვილს, რომელიც თამარის

---

[1]) თუმანის ანუ ათი ათასის თავები ვახ. გვ. 234 შენიშვნა.

შამის გიორგის მეფობაში მოვიხსენიეთ. ეს დიდებული დიდად პატივცემული იყო ჰულაღუ-ყაენის მიერ და მაშინ ამირ-სპასალარად იყო. მეფე დავითი წინააღმდეგ თავის სურვილისა იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო მონაწილეობა მიეღო ეგვიპტეზე გალაშკრებაში, რადგან შემდეგ აღწერისა მისი სახელმწიფო გაძარცული იყო მონგოლებისაგან, რომელნიც ზემოხსენებულ ბეგარისა და ხარჯისა [1]) გარდა ახდევინებდენ ბაჟს სამშაურს, ბაზარში გაყიდვის დროს, ყოველ სამას დრახმის საღირალის საქონელზე. დავითი მივიდა ჯავახეთს და, რადგან სისწრაფის გამო ვერ მოასწრო წაეყვანა თავისი ცოლი და შვილი დიმიტრი, გარდაწყვიტა თავის ერთგულის სარგის ჯაყელის რჩევით ალარ გაჰყოლოდა ჰულაღუს ეგვიპტეში; დანარჩენნი კი ივანე, შანშეს შვილი, გრიგოლ სურამელი, ორბელიანი, კახა თორელიახალციხის ერისთავი და სხვა დიდებულნი გაჰყვენ მონგოლებს. როცა გამარჯვებული ჰულაღუ-ყაენი დაბრუნდა, უბრძანა არღუნს, მეფე ურჩობისათვის დაესაჯა და ამისათვის გაუგზავნა თავის ნოინს 20 ათასი მხედარი, რომელთა შორის რაოდენიმე ქართველი დიდებულნიც ერიენ. პირველ შეტაკებაზე მესხთ მოწინავე რაზმმა დაამარცხა მდ. შოლის ნაპირზე მოწინავე მონგოლთ ჯარი. მეორე ომში კი ჩასაფრებულებმა მონგოლებმა ვერაგობით შეიტყუეს მესხნი და დაამარცხეს ისინი; შემდეგ შოარბიეს და მოაოხრეს, კირაკოზის თქმით, სამცხის მაზრა აწყ-

---

[1]) ავტორს „Addit. et éclairc.„ ში მოჰყავს კირაკოზის ცნობანი, სადაც ნათქვამია, რომ ჰულაღუ-ყაენმა დააწესა ხარჯში აეღოთ ხორბალი, ბრინჯი, ღვინო, ტომრები, ცხენის ნალი, მშვილდის ლარი, ისარი და სხვ. ოც თავ საქონელზე ერთს თავს და ოც თეთრს ახდევინებდენ“ (თეთრი ვერცხლის ფული იყო და უდრის შაურს. გვ. 432) ჩამჩიანის სიტყვით საქართველოს და სომხეთს დაადვეს ხარჯად 60,000 ოქროს ფული; Hist. de laGèorg გვ. 551 n. 2. მეფის სამზარეულოში რომ ცხვარი დაეკლათ, იმაზედაც ხარჯს იღებდენ მონგოლები. ამ ბაჟს ტაღმა ერქვა და მას იღებდა სპარსი ხოჯა-აზიზი, რომელსაც შემდეგში მეფე დავითის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. ქ. ცხ. გვ. 389.

ვერი და ხელატი ოცი დღის განმავლობაში. ქართველების ბედზე არღუნი დაიბარეს საომრად თურანის ყაენთან, რომელიც ხვარასანს დაეცა. დავითის აჯანყებისა გამო დედოფალი გვანცა, იმისი ასული ხვაშაგი, შანშე და სხვა პირები ჰულაღუ-ყაენის ბრძანებით დაჭერილნი იყვენ. მაშინ სარგის ჯაყელის რჩევით მეფე დავითი გარდაიხვეწა იმერეთში და იქ მთელი წელიწადი თავის მამიდაშვილთან დაჰყო. მათ შორის ცილობა შეიქნა. ბედან-დადიანმა, ოდიშის და სვანეთისა განთქმულმა მმართველმა, ნარინ-დავითის მხარე დაიჭირა, ხოლო სარგის ჯაყელი და რაჭის ერისთავი ლაშა-გიორგის შვილს მიემხრენ. ამისა გამო ორივე მეფემ ძმურად დაიყვეს ყველა სამეფო განძი და იარაღი. ნარინი იმერეთში დარჩა, ხოლო ქართლის მეფეს არ შეეძლო მონგოლების იქ ყოფნის გამო სახელმწიფოს თავის ნებაზედ მართვა. ჰულაღუ-ყაენი ცდილობდა მის დამშვიდებას და პირდებოდამ ას და დედოფალს დაბრუნებას როგორც სამეფო უფლებისას, აგრეთვე ნარინის შვილის დიმიტრისა, რომელიც ერთმა ნოინმა სიკვდილისაგან დაიხსნა და გასაზრდელად აიყვანა. ამას გარდა მეფე თხოულობდა ყაენისაგან, მიეცა მისთვის ხარჯის ამკრეფი, ხოჯა აზიზი, რომელმაც შეურაცხება მიაყენა მეფეს და სასტიკად ავიწროებდა ქართლს. ჰულაღუმ გადაჭრით უარი შემოუთვალა ამ მოთხონილებაზედ. როგორც კი დავითი დათანხმდა ტფილისს ჩასვლაზედ, მისი შვილი გიორგი წაიყვანეს მონგოლთ ბანაკში; თითონ კი მეფემ არ ისურვა იმის გაჰყოლა. ამით გაჯავრებულმა ჰულაღუ-ყაენმა განიზრახა მეფის წულის სიკვდილი, მაგრამ შეიწყნარა თავისს ცოლის თაგუზ-ხათუნის და დიდებულის ენუკ-არღუნის თხოვნა და ბოლოს მან გაუგზავნა მეფეს ორივე მისი შვილები და ხოჯა-აზიზი, რომელსაც დავითმა დაუყოვნებლივ მოსჭრა თავი ნოემბერში 1262 წ. და წავიდა მსწრაფლ ბანაკში სარგის ჯაყელის თანახლებათ.

ეს რომ ჰულაღუმ შეიტყო, განიზრახა დავითის დასჯა, მაგრამ ამდროს მას მოუვიდა სამძიმო ამბავი, რომ ჩრდილოე-

თის მონგოლები აუარებელ ჯარით წინ წამოწეულან და დარუბანდის კარით სამხრეთისაკენ წასულან. ამ ურდოს წინა უძღოდა ბათუ-ყაენის შვილი ბერქა ხანი, რომელიც 1250 წ. გამეფდა, და განრისხებული ჰულაღუ-ყაენის სიმკაცრის გამო მოწადინებული იყო დაესაჯა ის. ამბობენ, რომ, როცა ჰულაღუ-ყაენი სპარსეთში წავიდა, სამი შვილი ანუ შვილის შვილი ჯუჩი-ყაენის: ბანგა, თუმარ, ყული და სხვა დიდებულნი გარდმოვიდენ ჩრდილოეთის მხარიდან და სურდათ სამხრეთში დასახლებულიყვენ. იმათგან პირველი უეცრად სადილის უკან გარდაიცვალა სირიაზე გალაშკრების დროს; ხმა გამოვიდა, ვითომც ის მოწამლეს; მეორე — ვითარცა ძმის მკვლელი-ჰულაღუ-ყაენმა მოჰკლა და მესამეც მალე გარდაიცვალა (მეორე ნაამბობით, ვითომც ისინი დაახრჩვეს ავკაცობისთვის, ხოლო დანარჩენნი გარდაიხვეწენ ჩრდილოეთში). ამისა გამო ბერქა იყო ჰულაღუზე გაჯავრებული. ამავე დროს ზემოხსენებულ მონგოლთ დიდებულების ცოლები თავიანთ ნათესავით ალათემურით გაიქცენ სამცხეს. სარგის თმოგველი, სარგის ჯაყელი-და სხვა დიდებულნი დახვდენ მათ გზაზე. მონგოლებმა მაინც მოახერხეს ჯავახეთით, თრიალეთით და კახეთით ხუნძახის მაზრაში გარდასვლა და იქედამ ყიფჩაყში მივიდნენ. აი რა იყო მიზეზი ბერქა-ყაენის თავ დასხმისა ჰულაღუ-ყაენის სამფლობელოზე.

ჰულაღუმ შეკრიბა ძალ-ღონე და დაუხვდა მტერს მეფე დავითით და სარგის ჯაყელით; ბიირთან ორბელიანმაც მიიღო მონაწილეობა არ ლაშკრობაში. პირველ ომში 2 აგვისტოს 1262 წ. ჰულაღუ გამარცხდა შაბურონის ახლოს, ხოლო ნოემბერში შამახიის ახლოს გაიმარჯვა მტერზე და სდევნიდა მას დარუბანდის აქეთაც; მესამე და მეოთხე ომში 7-დეკემბერს 1262 წ. და 13 იანვარს 1263 წ. ჰულაღუ დამარცხდა და თავრიზს დაბრუნდა 22 აპრილს. ყველა ამ ომებში ივერიელებმა საოცარი მამაცობა გამოიჩინეს. სარგისი უხვად დაჯილდოებული იქმნა ჰულაღუ-ყაენის მოწყალებით, რის გამო მეფე,

რომელიც საზამთროდ ბარდაში დარჩა, დიდად უკმაყოფილო შეიქნა. შანშე მხარგრძელიძის შვილი, ზაქარია აუჯანყდა მონგოლებს და ქუთაისს გაიქცა, მაგრამ მონგოლებმა დაპირებით გამოიტყუეს ის და 1261 წ. მოჰკლეს. სომხების მეისტორიენი გვარწმუნებენ, რომ ის თავის სურვილით წავიდა სანახავად სიმავრისა, ოლთისის მფლობელისა და იქ იჭვი აიღეს მასზე, დააპატიმრეს და მოჰკლეს. მამა მისი შანშე ჯავრისაგან გარდაიცვალა: ორნივე კობერის მონასტერში დამარხეს, დედოფალი კი გვანცა მონგოლებმა მოჰკლეს 1263 წ. ახლო ხანებში. არ არის ჯერ გამორკვეული, თუ რა მიზეზისა გამო ასე მკაცრად დაისაჯა გვანცა; ზოგი მოგვითხრობს, ვითომც სემბატ ორბელიანმა, განიზრახა რა ავაგ ათაბეგის მამულების დაფლობა, დააბეზღა ყაენს დედოფალი გვანცა და მოაკვლევინა. ზოგი კი იმის სიკვდილის ბრალს ადებს თითონ იმის ქალს ხვაშაგს, რომელიც ცოლად ჰყავდა ფრიად მდიდარს შემს-ედდინს, სახიბ-დივანს. მეფემ შეირთო ესუკანე, ნოინის ჭარმაღის ქალი. 1263 წ. ოკტომბერში ჰულაღუ-ყაენმა შირვანში მაგარი ბანაკი გააწყო იმ განზრახვით, რომ, ვინიცობაა ჩრდილოეთიდამ ხელახლად დაეცეს მტერი, მზად დახვდეს. ქართველები ამა დროიდამ ამ ბანაკში ატარებდენ ზამთარს გაზაფხულამდი. ამ ბანაკიდამ დავითი დროებით წავიდა, რომ წესიერებაში მოეყვანა თავის სამეფოს საქმეები და უბრძანა ჭყონდიდელის ჩამოხრჩობა ზოგიერთ ბოროტ მოქმედებისათვის და შემდეგ ბანაკში დაბრუნდა. ამის შემდეგ ჰულაღუ-ყაენი გარდაიცვალა გაზაფხულს 8 თებერვალს 1265 წ. იმის მემკვიდრედ შეიქნა აბაღა-ხანი, რომელმაც ფრიად მოწყალის თვალით მიიღო მეფე დავითი და თავის სამართლიანობით ყველა ქრისტიანების სიყვარული დაიმსახურა. ცოტა ხანს შემდეგ ჩრდილოეთელნი მონგოლები დარუბანდის კარით შემოესიენ შირვანს, აიკლეს ეს მხარე და შემოვიდენ ტფილისში, მაგრამ 1266 წ. ბერქა-ხანი გარდაიცვალა და იმისი ჯარი მსწრაფლ დაბრუნდა ისევ ჩრდილოეთისაკენ. როგორც ზამთარი დადგა, დავითმა დაიბარა სარგის ჯაყელი

ჯარით და ბრძანა მისი დატუსაღება, ვინაიდგან იჭვნეულის თვალით უცქერდა მის და ავაგის შორის კეთილ განწყობილებას. ეს რომ შეიტყო აბაღამ, უბრძანა აბათუ-ნოინს სარგისი განეთავისუფლებინა. ამის შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს დროიდი სამცხეს მფლობელები დარჩენ ილხანების [1]) პირდაპირ დამოკიდებულობის ქვეშ.

1268 წ. თვრამეტის წლის ბატონი შვილი გიორგი ავად გახდა და გარდაიცვალა.

1270 წ. დასასრულს ქართლის მეფე დავითი ავად გახდა მონგოლების ბანაკში და შემდეგ 29 წლის მეფობისა გარდაიცვალა. რაჭის ერისთავი და მონგოლების ერთი ნოინი შეთანხმდენ და წინააღუდგენ დავით ნარინს. ორთავემ წინადადება მისცეს აბაღა ხანს, რომ ისინი დაიჭერენ მეფეს და მას მიგვრიან, მაგრამ მეფე გაიქცა და მით იხსნა თავი. ორი წლის შემდეგ კვლავ მოიწადინეს მეფის შეპყრობა, მაგრამ ვერც მაშინ მოახერხეს. ბოლოს დიმიტრის მეფობაში კახაბერმა, რომელსაც მუხანათობისთვის ყველა ზიზღით უყურებდა და რომელიც ატენის ციხეს ჰფლობდა, შეურიგდა დავითს და კვლავ მიიწვია იმერეთში მონგოლების წინამძღოლი ალიხანი. ეს ამბავი რომ გაიგო მეფემ, დააჭერინა კახაბერი, დათხარა მას თვალები და ხელი და ფეხი მოაჭრევინა. ამ წვალებაში მოკვდა კახაბერი.

იმის შვილები კონსტანტინეპოლში ექსორიად გაგზავნეს, სადაც ისინი უძეოდ გარდაიცვალენ. გიორგი ლაშას შვილის დავითის სიკვდილის შემდეგ ქართლის მართვა და ავაგის ასულის აღზრდა ჩაბარებული ჰქონდა პირველ ქართველ ვეზირს, სადუნ მანკაბერდელს. იმის შემწეობით ახალ გაზდა ბატონიშვილი დიმიტრი მოიყვანეს მონგოლთ ბანაკში და სრულიად საქართველოს მეფედ აღიარეს. მეფემ დანიშნა სადუნი ათაბეგად გარდა სარგის ჯაყელის სამფლობელოებისა და ჩვეუ-

[1]) ს. მარტენით „ილხანებად იგულისხმება ჩინგიზ-ყაენის დინასტია, რომელიც საკუთრად სპარსეთს ფლობდა“.

ლემისამებრ თითონ სამეფო გვირგვინი იკურთხა მცხეთაში 1273 წ. სამი წლის შემდეგ თავის მამის სიკვდილისა.

როდესაც დიმიტრი II, დავით V შვილი ავიდა ტახტზე, აბაღა გაელაშკრა ეგვიპტის სულთანის ბანდახდარის ანუ მალეკ-დაგერ-ბიბარის წინააღმდეგ, ვინაიდგან ეს ხელმწიფე ავიწროებდა კილიკიელ სომხებს, რომელნიც მონგოლების მფარველობის ქვეშ იყვენ; მონგოლები აპრილში 1277 წ. აპლესტონში, სევასტიის ახლოს, დამარცხდენ იმის გამო, რომ ისინი გასცა მოინ-ედდინმა, პერვონედ წოდებულმა ე. ი. იკონიის სულთნის მსახურთ-უხუცესმა. ამ მოინ-ედდინს ცოლად გაიათ-ედდინის და თამარ ბატონიშვილის ქალი ჰყავდა; რადგანაც ის მონგოლების მორჩილი იყო, დანიშნულ იქნა სუდჯუყების ყველა სამფლობელოს მმართველად გარდაცვალებულის იმის ცოლის მესამე ძმის ადგილზე. მონგოლებმა ამ მუხანათობისათვის დასაჯეს ის სიკვდილით 2 ივლისს 1278 წ. — აწყვერის ციხე, რომელიც ეკუთვნოდა მას, ვითარცა ნამზითვი თავის სიდედრისა, დაუბრუნეს სარგის ჯაყელს და იმის შვილს ბექას. ამ დროს განმავლობაში მეფე დიმიტრი დავაჟკაცდა და ბრძნულად განაგებდა სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ სადუნისა, რომელსაც ცოლად ხვაშაგი, ავაგ ათაბაგის ქალი ჰყავდა და რომელსაც მონგოლები წყალობდენ; ამით მან მოახერხა თავის მხარისა დაცვა სხვა და სხვა შევიწროებისაგან. სადუნი ქურთის დიდებულის შვილი იყო არდზრუნის შთამომავალი. მან ჰულაღუ-ყაენის განწყობილება დაიმსახურა მით, რომ სამი საათის ბრძოლის შემდეგ დასცა განთქმული ფალავანდი, რომელიც მანღუ-ყაენმა [1]) გამოუგზავნა ჰულაღუს საბრძოლელად გამოჩენილ ლონიერ მოჭიდავეებთან. ამ დროს დაინიშნა ათაბეგად ტარსაიდჟ ორბელიანი, რომელსაც ჩააბარეს მთელი მხარე ტფილისს და ყარსს შუა მდებარე. მეორეს მხრით ბექა, სარგისის შვილი ჰფლობდა მთელ სამცხეს და ტაოს და ერთგულად

---

[1]) მანღუ-ყაენი ჰულაღუს ძმა იყო.

ემსახურებოდა აბაღა-ხანს. 1281 წ. ახლო ხანებში დიმიტრიმ შეირთო ტრაპიზონის იმპერატორის ასული და იმისაგან შეეძინა ჯერ დავითი და მერე ვახტანგი. არღუნ არდი, მონგოლთ წარჩინებული, რომელმაც მთელი ივერიის აღწერილობა შეადგინა, მუდარებით თხოულობდა თავის შვილისთვის ცოლად თამარს, დას მეფისას, თანახმად თამარის მამის დაპირებისა, თუმცა სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ეს ქორწინება მის სიცოცხლეში აღარ შესრულდა. მეფე ძალა უნებურად უნდა დათანხმებულიყო ამ თხოვნაზე. შირამუნის წინამძღოლობით მონგოლები თავს დაესხენ გილანის მხარეს, რომელიც აქამომდე მათ დაუპყრობელი დარჩენოდათ. ამ ლაშკრობაში ქართველების ჯარიც ერია. მკვიდრნი ისე მამაცად იბრძოდენ, რომ მტერი აიძულეს უკან დახეულიყო. ივერიამ იწყო მოსვენება და ისარგებლა მშვიდობიანობის დამყარებით, მაგრამ ამასთანავე გარყვნილობა, რომელიც ქრისტიანთა შორის უცხო ტომთ გავლენით გავრცელდა, თან და თან მას აუძლურებდა. მეფეს სამი ცოლი ჰყავდა ე. ი. ზეშოხსენებულის ტრაპიზონის იმპერატორის ასულის გარდა — ნათელა, ბექას ქალი და სორგალი-თამარიკა. სადუნმაც მეფეს წაბაძა, თუმცა კათალიკოზი და ნიკოლოზ მაწყვერელი მას ამხილებდენ; მან შეირთო ავაგის ქალის ხვაშაგის გარდა და მეფისა თამარი, რომელიც არღუნის შვილს გამოექცა; მას მესამე ცოლიც ჰყავდა. ცნობილს ტარსაიდჟორბელიანს და სხვა დიდებულებსაც თითეულს რაოდენიმე ცოლები ჰყავდათ. ამასთანავე, რა საკვირველია, ქრისტიანი სათნოება ჰქრებოდა ივერიაში.

არღუნი წავიდა სარგის ჯაყელის და იმის შვილის სანახავად, რომლის შემდეგ სარგისი თან წაიყვანა მონგოლთ ბანაკში. — 1279 წ. დიდ მარხვის მეხუთე თუ მეექვსე კვირა იყო, როდესაც მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რომელმაც სამცხის მაზრა დააქცია და აგრეთვე აწყვერის ღვთისმშობლის ეკლესია და მცხეთის ტაძარიც დაანგრია.

ამის შემდეგ სარგისი და ბექა წინააღუდგენ მონგოლებს და

გამაგრდენ ტყეებში და ვიწრო ხეობებში; ბუღა-ნოინი, რომელიც მათ დასაპყრობლად მივიდა, იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო. ერთი წლის შემდეგ აბაღამ გარდაწყვიტა გალაშკრება ეგვიპტის სულთანის მელექ-ენკასირის წინააღმდეგ. მონგოლების სარდალმა, აბაღას ძმამ მანღუთემურმა თან წაიყვანა მეფე დიმიტრი და ქართველები; მიიწვია გასალაშკრებლად სამცხის მფლობელი ბექა, რომელიც მიეხმარა მას ჯარით შემდეგ იმისა, როდესაც დაუფიცა წყალში ჩაგდებულს ოქროს პატარა ფიცარზე და, როდესაც მიიღო მონგოლთ სარდლისაგან ოქროს ბეჭედი. იმ დროს თანღუთარმა, მეშვიდე ძმამ აბაღა-ყაენისამ,—რომელმაც შემდეგში სახელი ახმეტისა დაირქვა,—ჯავახეთში საშინელი მტარვალობა ჩაიდინა: ის შევიდა სამცხის დასავლეთ მხარეში და მოიწადინა თავისაკენ მიემხრო სარგის ჯაყელი, მაგრამ უკანასკნელმა გადაჭრით უარი შემოუთვალა. მიუხედავად იმისა თანგუთარის ჯარმა მიაღწია ოპიზის წმ. იოანე ნათლის მცემლის მონასტრამდი, აჭარის მთებში, და სურდა გაეძარცვა იმის სიმდიდრე, მაგრამ გაგზავნილნი ათასი მხედარი წარიტაცა ნიაღვარმა,—რომელიც უეცრად წამოვიდა—და ისინი დაახრჩო. თანღუთარი, რომელიც მაშინ არსიანის მთაზე იყო, წინ წამოიწია, მას დახვდა ყველიდამ მოსული სირმონი ანუ შირაშუნამ ნოინი. შემდეგ მრავალგზის დამარცხებისა სირმონის მიერ დანარჩენი ჯარი გურიას მიმავალი, დაიღუპა მიწის ზვავით. სულ მცირე იმის ნაწილმა მიაღწია ქუთაისს, სადაც ნარინ დავითმა მიიღო და კიდეც გაუმასპინძლდა მათ. მისმა მეუღლემ, იმპერატორის მიხეილ პალეოლოგის ასულმა, სიხარულით მიიღო ცოლი თანღუთარისა, რომელიც ამით გამხნევებული კიდეც შევიდა ქართლში. ბოლოს აბაღა-ხანის შეგონებით ნარინ დავითმა მოუსპო შემწეობის მიცემა თანგუთარს, რომელიც თრიალეთში დამარცხდა, რის შემდეგ მას წაართვეს ქონებაც და ჯარიც. რაც შეეხება ნარინ-დავითს, მან მიიღო

ქართლში მიწები და სოფლები, რომელთა შორის ატენის ციხეც იყო თავის არემარეთი.

ამ დროს ბარახა-ხანმა, თურანის მბრძანებელმა და იმის ბიძაშვილმა თანგუთარმა, რომელიც ჩრდილოეთ სომხეთში იყო, განიზრახეს აბაღა-ხანის ტახტიდამ გადმოგდება. თენგუთარი [1]) წავიდა თავის სამფლობელოში სამხრეთ ივერიაში, სადაც შეებრძოლა ნოინებს, რომელნიც მას იქ დახვდენ და უკუ აქციეს ის. მაშინ მან ძლივს მოასწრო გარდასვლა დარუბანდში, რომელიც მალე მტერმა აიღო. აქ შეიპყრეს თენგუთარი და შემდეგ სამფლობელოც ჩამოართვეს. ის გარდაიცვალა 1270 წ. როგორც კი შირამუნ ნოინმა დაასრულა ბრძოლა ამ თავის მოწინააღმდეგესთან, მოვიდა ამბავი, რომ ბარახა-ხანი ხორასანიდამ უახლოვდებაო ილხანის სამფლობელოს. იმ წამსვე აბაღამ თავის ჯარით და ქართველებით აღმოსავლეთისაკენ გასწია. ომში აშონის ველზე ქართველებმა საოცარის მამაცობით იბრძოლეს და ილხანელები გამარჯვებულნი დარჩენ.

ამ დროს განმავლობაში სირიის ქალაქი დარაბსეკი [2]) აიღეს და გაძარცვეს: ეს მოხდა 31 ოკტომბერს 1281 წ. მონგოლები ძლიერ დაამარცხა ჰემესის ახლოს [3]) ეგვიპტის ახალ სულთანმა მალექ-ალმანსურმა-კელაუნმა. ქართველები მეფე დიმიტრის წინამძღოლობით წინა რაზმს შეადგენდენ და საკვირველი მამაცობით იბრძოდენ, რომლისა გამო კინაღამ ყველანი არ დაიღუპენ. მონგოლები აქეთ იქით გაიქცენ. მანგუ-დემური მალე გარდაიცვალა დამარცხების მწუხარებით; აგრეთვე მოჰკვდა ათაბეგი სადუნი, რომლის მემკვიდრე, შვილი მისი, ხუთლუ-შახი ანუ ყუთლუ-ბუღა გამაჰმადიანდა და სპასალარობა მიიღო. არაბის მწერლები მოგვითხრობენ, რომ ამ

---

[1]) იგივე თანგუთარი.

[2]) სირიაში.

[3]) ვახუშტით ამასია.

დროს ტყვედ შეიპყრეს ვიღაც გურჯელი (ქართველი) მეფე, რომელიც ვითომ აფსილიიდამ მოსული ფოთშსი ხომალდში ჩამსხდარიყოს და აქედამ სისში და პტოლემაიდაში გამგზავრებულიყოს. ის რომ იერუსალიმს მიდიოდა, ჩავარდნია ხელში ამ ქალაქის მოურავს, რომელსაც ვითომ მიეყვანოს ის ბიბარსთან ქ. დამასკში. ამ მეფის სახელს ხან ტუმასუტად და ხან ბუბა-სუტად უწოდებენ, ხოლო იმის მამის სახელს კალიარად ანუ კულბაზად სწერენ. მას ახლდაო აბგარის შვილი, თამღად წოდებული. ეს ისტორიული ამიცანაა, რომლის ახსნა სრულიად შეუძლებელია, იმიტომ რომ ქართული მატიანე სრულიად არ იხსენიებს ამ შემთხვევას და ამას გარდა თვით არაბულნი ასოები არ გვაძლევენ საშვალებას სასურველ სისწორით გავარჩიოთ სახელები იმ პირთა, რომელნიც აქ მოხსენებულნი არიან.

აბალა-ხანი 1282 წ, გარდაიცვალა და იმის შემკვიდრედ შეიქნა მისი ძმა ზემოხსენებული თაღუთარი [1]), რომელმაც ისლამი მიიღო და იწოდა თავი ახმეტად. მან მეფობა მით დაიწყო, რომ მოაკვლევინა თავისი ძმა კონღურ-თაი [2]). მეფე დიმიტრი დაემორჩილა მას და მიათხოვა თავისი ასული რუსუდანი განთქმულ ბუღა-ნოინის შვილს, თუმცა კათალიკოზი ნიკოლოზი წინააღუდგა მას და, როდესაც ვერა გააწყო რა, ის გარდადგა კათალიკოზობისგან და გარდასცა თავისი ადგილი ჯვარის-მტვირთველს აბრაამს. იმ დროს ივერიაში შემოსული ათონის ბერი ბასილი ამხილებდა მეფეს მრავალ ცოლოსნობაზე და ემუქრებოდა მას სასჯელით, რომელიც მოელოდა მას საიქიოს, მაგრამ ყოველივე ცდა ბასილისა ამაო შეიქნა.

ნოინებმა შეითქვეს ახმეტის წინააღმდეგ და ყაენად აბალას შვილი, არღუნი აღიარეს. ეს რომ შეიტყო ახმეტმა, გაელაშკრა ხორასანს და თან წაიყვანა მეფე დიმიტრი და ქართვე-

---

[1]) იგივე თენგუთარი.

[2]) ხონღარდ ვახუშტით.

ლი ჯარი მანდატურთ-უხუცესის იოანეს და სპასალარის ხუთ-ლუ-შაჰის წინამძღოლობით. ამით შეშინებული არღუნი დაე-მორჩილა თავის ბიძას, რომელმაც შეიპყრა და, ჩააბარა რაის ალიხანს, თითონ დაბრუნდა თავის ახლად შერთულ ცოლთან. ამით ისარგებლეს ნოინებმა, განათავისუფლეს არღუნი, აღია-რეს ის ილხანად და მოჰკლეს ახმეტი 20 ივლისს 1284 წ. ქ. უჟანში.

მეფე დიმიტრის წინათვე ამხილებდენ, რომ ის ჩამოცილე-ბოდა ახმეტს; ის გამოცხადდა წინაშე არღუნისა, რომელმაც ის მოწყალის თვალით მიიღო, დაუმტკიცა მას ავაგის ყველა სამ-ფლობელოები. მას ეხმარებოდა ბუღა-ნოინი, რომელიც არ-ღუნის მიერ ძლიერ პატივცემული იყო; მეფე დიმიტრი მალე გაძლიერდა და გამდიდრდა და არავის არ ეგონა, რომ ის განსაცდელში ჩავარდებოდა. ამ დროს განმავლობაში დარუბან-დლები აჯანყდენ. ამის გამო მეფეს ყაენის ბრძანება მოუვიდა, აიღოს ანიკის ციხე, რომლის მდემარეობა აქამომდე გამოუკვ-ლეველია. მან დაიპყრა ეს ციხე და დიდი დავლაც მიართვა ილხანს, რომელმაც ამის შემდეგ შეიძულა ის. ცოტა ხანს უკან ახალწელიწადს 1289 წ. არღუნმა უცებ ბრძანება გასცა შეეპყრათ ბუღა-ნოინი, რომელსაც აბრალებდენ, რომ მინიჭებულ უფლებას ბოროტად ხმარობსო; ამის გამო მას ადგილ-მამული ჩამოართვეს და სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მისი ცოლ-შვილი და ყველა მომხრენი, სხვა და სხვა მხარეებში მყოფნი, აღმო-ხოცეს. მეფეც ვითარცა ბუღას მომხრე დაიბარეს ბანაკში.

კათალიკოზმა და სამღვდელოებამ, როცა შეიტყვეს, რომ მეფე თავის ნებით მიდის არღუნთან, ძლიერ განცვიფრდენ იმის თავ განწირულებით, მაგრამ მეფე მტკიცედ იდგა თავის განზრახვაზე, რადგან ამით სურდა თავისი სამეფო ილ-ხანის რისხვისაგან დაეცვა. მეფემ თავისი შვილები გაგზავნა სხვა და სხვა მხარეებში და თან მხოლოდ ერთი იმითგანი დავითი წაიყვანა, და წავიდა მონგოლთ ბანაკში. მისვლის უმალვე მეფე შეიპყრეს, ვითარცა ბუღა ნოინის მომხრე, წაართვეს მას,

რაც კი თან ებადა და აიძულეს, აენუსხა ყველა ის ქონება, რომელიც შინ დარჩა. რაოდენსამე ხანს არღუნი კოკნობდა, მას ეშინოდა, რომ ქართლი საშინლად აირივ-დაირევაო. შემდეგ, როცა შეიტყო ხუთლუ-ბუღასაგან, რომ იმერეთის მეფე დავითი დასთანხმდა, რომ თავისი შვილი ვახტანგი ქართლის მეფედ მოეცა, ყაენმა გადასწყვიტა მეფე დიმიტრის სიკვდილით დასჯა. ის ჯერ ჩასვენ ცალკე საპყრობილეში, მოაცილეს მას შვილი დავითი, და ჯოხით სცემდენ დიმიტრის; ბოლოს, თუმცა არავითარი დანაშაულობა არ მიუზღოდა, თავი მოჰკვეთეს მას შაბათს 12 მარტს 1289 წ. დიდი მარხვის მესამე კვირაში. ბატონი შვილი დავითი იხსნა სიკვდილისაგან თალარ ნოინმა თხოვნით მოსე მღვდლისა, რომელიც ანუგეშებდა მეფეს უკანასკნელს მის ჟამს. ამ მოსე მღვდელმა დიდი საფასით გამოისყიდა ტანჯული მეფის ნაშთი, მოასვენა ის ტფილისს და იქედამ მცხეთას. დედოფალნი ამ დროს იმალებოდენ: ნათელა შვილით გიორგით — თავის მამასთან, თამარიკა — მონგოლიაში თავის შვილებით ბაადურით და ედიგარით. ქართლი ხუთლუ-ბუღას ზედამხედველობით ჩააბარეს ზემოხსენებულს ვახტანგს, რომელსაც არღუნმა თავისი და ოლჯათი მისცა ცოლად. მეფე დიმიტრის იმის კეთილშობილურ მოქმედებისათვის ქართული მეისტორიენი თავდადებულად უწოდებენ. [1])

ვახტანგი II ეკურთხა მეფედ წესისამებრ. ის ჰფლობდა საქართველოს ანაკოფიიდამ დარუბანდამდე გარდა იმ მაზრებისა, რომელნიც ბექა ჯაყელს ეკუთვნოდა. მან დანიშნა ხუთლუ-ბუღა ათაბეგად და ამირ-სპასალარად ორივე სამეფოისა-იმერეთისა და ქართლისა. ბატონიშვილი დავითი დარჩა თალარ ნოინთან და გიორგი — სამცხეში. ორი წლის შემდეგ არ-

[1]) მეფე დიმიტრის II მამულისათვის მსხვერპლად თავის შეწირვა შემაძრწუნებულ სურათებით დაგვიხატა და მშვენიერ ლექსებით შეამკო ჩვენშა გამოჩენილმა პოეტმა ილ. ჭავჭავაძემ თავის პოემაში „დიმიტრი თავდადებული“.

ლუნი შეიპყრა საშინელმა სენმა: მთელი იმის სხეული ლპებოდა და იხრწნებოდა და, როდესაც ნოინებმა შეამჩნიეს, რომ ის ველარ მორჩებოდა ამ სენისაგან, დაამსხვრიეს მას თავზე კარავი, სადაც იწვა და შიგ გამოახრჩვეს 12 მარტს 1291 წ. ამის შემდეგ ბატონიშვილი დავითი ცნობილ იქნა მეფედ, მაგრამ უფლება დარჩა ვახტანგს, რომელიც შემდეგ სამი წლის მეფობისა გარდაიცვალა. ქელქათუ [1]), არღუნის ძმა შეიქნა მემკვიდრედ თავისის ძმისა 23 ივლისს 1281 წ. ის წავიდა საბერძნეთში ამბოხების დასამშვიდებლად და თან წაიყვანა დავითი და რაოდენიმე ქართლის დიდებულნი, რომელნიც ამ ოთხი თვის გალაშკრების დროს მას ერთგულ სამსახურს უწევდენ. დაბრუნების შემდეგ ყაენმა დააჯილდოვა დავითი მეფის წოდებით 1292 წ. მაშინ სარგისმა, ბექა სამცხელის შვილმა მიართვა ახალს მეფეს დავითს ყველა სამეფო განძეულობა, რომელიც იმის პაპას, მეფე დიმიტრის სიცოცხლეშივე, ჩაუვარდა ხელში ნათელას და ბატონიშვილს გიორგის გაქცევის დროს სამცხეში.

ვახტანგის მამა დავითი, იმერეთის მეფე, გარდაიცვალა 1293 წ. მას დარჩა სამი ვაჟი: უფროსი კოსტანტინე გამეფდა იმერეთში, მეორემ კი მიხაილმა დაიპყრა რაჭა, რის გამო იმერეთში დიდხანს შფოთი და შლილობა იყო.—მეფე დავითის დროდამ ძვირფასი ნაშთი დაგვრჩა: ქალწულის გვირგვინი, რომელიც ოდესმე ლუსკუმად იყო წმინდა სამსჭვალისა; ის აქამომდე დაცულია მოსკოვის კრემლის მიძინების საკათედრო ეკლესიაში და მას აქვს ქართული ზედწარწერა ხუცური ასოებით, რომელშიაც იმის გამკეთებლად ნარინ დავითი, რუსუდანის შვილი იხსენიება.

როდესაც დავითი ქართლიდამ გავიდა, ოსების მთავრის შვილმა, ფარსმანმა, რომელიც მეფე ვახტანგის მომხრე იყო, არღუნ-ხანის სიკვდილის შემდეგ მონაწილეობა მიიღო საბერძ-

---

[1]) იგივე ქეღთუქონ, ქეღათუმა ანუ ქაიღათ—ყაენი.

ნეთზე გალაშკრებაში, მაგრამ იმის ქვეშევრდომებმა, ქართლში დარჩენილებმა, იწყეს ერის ძარცვა და დატყვევება, სოფლების აკლება და ბოლოს ქ. გორიც დაიჭირეს. ქართველები შეიკრიბენ აჰმად ერისთავის წინამძღოლობით, გარშემოადგენ ამ ქალაქს და მოუკიდეს ცეცხლი. ორივე მხრით ბევრი დაიხოცა და ზავი ჩამოვარდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მონგოლები ჩაერიენ და მათ დამშვიდება უბრძანეს. მაგრამ ოსების სიძულვილი გაგრძელდა იმ დრომდი, სანამ ისინი სრულიად არ ამოსწყვიტეს ქართლში გიორგი ბრწყინვალის მეფობაში.

დავით VI, დიმიტრის შვილმა, შეირთო ოლჯათი, მეფე ვახტანგის ქვრივი. აქ საჭიროდ ვრაცხთ გამოვთქვათ, რომ არაბის მწერალნი არ ეთანხმებიან ქართულ მემატიანეს ხსენებულის მონგოლის ბატონიშვილის მეორე ქორწინებაზე. ჩვენ არ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომელ მხარეზეა ჭეშმარიტება.

ქელქათუ ძულდათ ნოინებს. ერთმა მათგანმა თუქალმა, ქელქათუს სიძემ, რომელიც არარატის ხეობებში ცხოვრობდა, მიიმხრო თავისკენ მეფე დავითი, აჩუქა რა მას ქ. დმანისი. დანარჩენი ნოინები წავიდენ ხორასანს და იქ შეითქვეს, რომ უფლება გარდაეცათ არღუნის შვილის, ყაზანისათვის. მართლაც 1295 წ. ქელქათუ გადააგდეს ტახტიდამ და მოჰკლეს. თუმცა თუქალი დაექიშპა ბათუს, ჰულაღუ-ხანის შვილისშვილს, მაგრამ ყაენად უკანასკნელი დარჩა და შემდგომ მცირე ხნის მართვისა მოკლულ იქნა 4 ოკტომბერს ამავე წელსა. იმის მემკვიდრედ არღუნის შვილი, ყაზანი გახდა [1]). როდესაც ეს შეიტყო თუქალმა, სამცხეში გაიქცა. ყაზანს მიგვარეს ის ბექამ და მეფე დავითმა მხოლოდ მაშინ, როდესაც აღუთქვეს, რომ მას არ მოჰკლავენ. მაგრამ ყურუმჩი-ნოინმა მაინც მოჰკლა ის გზაზე, ბანაკში მიმავალი. ყველა მისი განძეულობა, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა ფარედჟანს და დაცული იყო ატენის ციხეში, მეფე

---

[1]) იგივე ხაზან-ყაენი ანუ გაზანი.

დავითმა მიართვა ყაზან-ხანს, რისთვისაც მან მეფეს დიდი პატივი სცა. ამ დროს ცხოვრობდა ნოინი ნავრუზ-აღა, რომელიც მტერი იყო ქრისტიანობისა, და ავიწროებდა აგრეთვე ყველას, ვინც კი ქრისტეს სჯულს აღიარებდა. ის ძარცვიდა ეკლესიებს, კლავდა მღვდლებს, ისაკუთრებდა მონასტრების სიმდიდრებს და მამულებს, და ბოლოს უსამართლოებით და მტარვალობით მიაღწია იქამომდე, რომ შეეშინა ილხანისა, რომელსაც სამართლიანობა უყვარდა და ღარიბების შემწყნარებული იყო.—ნავრუზ-აღა გაიქცა ხორასანს, სადაც ხუტლუ-ბუღა-ნოინი დაედევნა მას და მოკლა. მთელი მისი ოჯახი და მომხრეები აგრეთვე აღმოხოცეს 1297 წ. და ხუტლუ დაინიშნა სპასალარად.

ყაზანმა მოიწოდა დავით მეფე, რომელიც თითონ არ გამოცხადდა, არამედ გაუგზავნა თავისი ძმა ვახტანგი ბათუ-ყაენის შვილიშვილს და აღუთქვა მას, რომ ქართლში იმის ჯარს თავისუფლად გაატარებს. თითონკი მეფე მთიულეთში დარჩა. ნოინებმა შეფიცეს მას ოქროს ფიცარზე, მისცეს მძევლად ხუტლუ-შაჰის შვილი და ილხანის ბეჭედი დასარწმუნებლად, რომ მას ხელს არავინ ახლებს. მაგრამ მაინც ვერ დაითანხმეს იგი. გაზაფხულს მეორე მიპატიჟების შემდეგ დავითმა გაუგზავნა ჩრდილოეთის ყაენს თავისი ძმა ბაადურ; ხუტლუ-შაჰი ჯარით შემოვიდა სომხეთში, საიდამაც მან მოლაპარაკება გაუმართა მეფეს. დავითმა მეორეჯერ გაგზავნა თავის მაგიერ კათალიკოზი აბრაამი და იოანე ვირშელი, თვითონკი უარი ჰყო ბანაკში მისვლისა. ამის მიხედვით ხუტლუ-ხანმა ქართლის ყველა კუთხეები მოაოხრა. მეფემ გაუგზავნა ილხანს თავისი მეუღლე და დედა, აგრეთვე თავისი ძმა მანუელი და კათალიკოზი. აბრაამმა და დედოფალმა დაამშვიდეს ყაენი და უკან დაბრუნდნენ. მაგრამ შემდგომ 1299 წ. გაზაფხულს ყაზანმა შეიტყო, რომ იმ დროს დავითს მიწერ-მოწერა ჰქონდა ჩრდილოეთელ ყიფჩაყებთან და ამიტომ გარდაწყვიტა მეფედ აღეარნა დავითის უმცროსი ძმა გიორგი, აღზრდილი თავის ბიძის ბექას მიერ,

რომლის ქალი ტრაპიზონის იმპერატორს ალექსის ჰყავდა. ეს ბექა ყველასაგან ძლიერ პატივცემული და ძლიერი მფლობელი იყო მთელ დასავლეთ ივერიაში მდ. მტკვრის სათავემდის.

გიორგი V, რომელიც მეფის წოდებას ატარებდა 2 წელს— 1299—1301 წ.,—ცხოვრობდა ტფილისში, როდესაც ხუტლუ-ხანი შალვა ქვენიფლეველის თანახლებობით თავს დაესხა მთიულეთს და თერგის ხეობას სტეფან—წმინდამდი. ჰამად—სურამელს მთელი მხარე ეჭირა მეფის ერთგულებაში და იცავდა მას. ხადაცხაოტის მკვიდრებმა თავის ვიწრო ხეობებში დიდი ვნება მისცეს მონგოლებს: მრავალს მათგანს ხოცვიდენ და მრავალს ტყვედ წარიტაცებდენ. ხუტლუ-შაჰი იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო ქართლში. 1301 წ. გაზაფხულს მეფე დავითმა კიდევ ვერ გაბედა მონგოლის ბანაკში გამოცხადება, თუმცა უფროსერთ დიდებულთაგანს მან ნება დართო წასულიყვენ. მას სურდა შალვასი დასჯა მუხანათობისათვის და იმის სამფლობელოის დასაკუთრება; მაგრამ ჰამადის შუადმგომლობით თავისი განზრახვა აღარ შეასრულა; თავისი ძმა ვახტანგი მეფემ აითვალწუნა და ამის გამო ვახტანგი მონგოლთ ბანაკში წავიდა. ყაზანმა ის ფრიად მოწყალედ მიიღო, დანიშნა მეფედ და უბრძანა იმისი წარვლენა ტფილისში, სადაც სომხეთის და სამცხის ყველა დიდებულები სიხარულით მიეგებნენ მას.

ამის გამო საშვალ ივერიას მაშინ სამი კანონიერი მეფე ჰყავდა: დავით VI, გიორგი V და ვახტანგ III და სამნივე ერთი შამის—მეფე დიმიტრი თავდადებულის—შვილები იყვენ. ვახტანგის გამეფება რომ შეიტყო დავითმა, დამორჩილების სურვილი განაცხადა და გაგზავნა ყაენთან დედოფალი ოლჯათი, და, თუმცა მიიღო ილხანის ბეჭედი და პირსახოცი და მძევლად ხუტლუ-ხანის შვილი სიფუჩი, დავითმა მაინც გარდადვა მონგოლთ ბანაკში წასვლა. ამის გამო ყაენმა დაამტკიცა სამეფო ტახტზე ვახტანგი, აღარ გამოუშვა დედოფალი, რომელიც სამუდამოდ დარჩა იქ და რომელიც ხუტლუ-შაჰს მიათხოვეს.

თათრები მეორედ შეესიენ მთიულებს, მაგრამ კვლავ დიდის ზარალით უკუ ქცეული იყვნენ. ხანგრძლივ ომის გამო ისე დასუსტდა ქართლი, რომ მრავალი იმის მკვიდრი გარდაიხვეწა სამცხეში, სადაც სიხარულით მიიღო ისინი ბექას სათნო მეუღლემ.

ამ დროს აუარებელი თურქების ჯარი (მცირე აზიიდამ) შემოესია ტაოს. პირველ შეტაკებაში ბექა ვერ მოერია მათ, მაგრამ შემდეგ წელში, როდესაც თურქები მეორედ დაეცენ ფარხალის მთით, ათაბეგმა დაამარცხა მტრის რაზმი. ჯარის წინამძღოლმა ასათ — მოსემ ბექას ბანაკისაკენ წამოიწია სამაგიეროს გარდასახდელად. ბექამ თავის შვილით სარგისით ხელმეორედ შემუსრა ისინი ვაშლოვანის მაზრაში და აიძულა გაქცეულიყვენ სპერში და ნორქალაქში. სამცხელებს აუარებელი დავლა დარჩათ. სარგისმა გამოედევნა მათ და გარშემოერტყა იქაურ ქალაქ სპერს, ბაიბურთს, კარნუ—ქალაქს, რომელთ მკვიდრნი დამორჩილდენ და შეწყნარებულნი იყვენ მას შემდეგ, როდესაც აუარებელი საუნჯე მიართვეს გამარჯვებულებს.

ყაზანმა, განიზრახა რა გალაშკრება ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ, დიდ ძალი ჯარი შეკრიბა. პირველ ომში მეჯიმილ-მურუჯას ახლოს 1299 წ. დასასრულს მან დაამარცხა ეგვიპტელები და დაიჭირა სირიის ყველა უმთავრესი ქალაქები. შემდეგ სირიელები წინააღუდგენ მონგოლებს და განდევნეს ისინი დამასკიდამ 1300 წ. შემდეგ ამისა მონგოლებმა თან წაიყვანეს მეფე ვახტანგი, ქართველები და სომხები და მეორედ დაიპყრეს სირია. მთელმა 1301 წელმა უომოდ ჩაიარა; მონგოლები ძლიერ დამარცხდენ აპრილში 1303 წ. კორონში, არადის ხლოს და მეჯ-ესაფერში, დამასკის ახლოს;იმათი სარდლები იყვენ ხუტლუ-შაჰი, თუხაი, თობალ-ნოინი და ეგვიპტის სულთანი მალექ-ეინასერი, კელოუნის შვილი. ყაზანი ჯავრით ავად გახდა და, თუმცა ცოტა ხანს მოიკეთა, მაგრამ მალე, 17 მაისს 1304 წ., ყაზმინის ახლოს გარდაიცვალა. სირიის ომის დაწყებამდე მეფე დავითმა მთიულების ჯარი შეკრიბა საომრად ოსებთან, რომელნიც ბაყათარის წინამძღო-

ლობით ქართლს იკლებდენ—და ამ ჯარით ის წავიდა ტფილისს. მას აქ შეეტაკა ვახტანგი; ომში დამარცხდა მეფე დავითი, რომელსაც შვილი და ძმა მოუკლეს; ის ავად მყოფობისა გამო იძულებული შეიქნა დაბრუნებულიყო, ხოლო რატ სურამელმა განაგრძო ბრძოლა. ქართლის ამ გვარს მტარვალობას მოუღო ბოლო სამცხეში გაქცეულ ბაყათარის სიკვდილმა.

ოლჯაითუ [1]), ყაზანის ძმა ცნობილ იქნა 20 ივნისს 1304 წ. ილხანად. ის ცნობილია ისტორიაში აგრეთვე ხარბანდის ანუ ხუდაბანდეს სახელით. ზოგი ამტკიცებს, რომ ის დაბადების უკან მონათლეს ქრისტეს სჯულის წესისამებრ და დაარქვეს ნიკოლოზი, ხოლო შემდეგ მისმა ცოლმა ის სიჭაბუკეში მოაქცია ისლამზე. როგორც აბაღა-ხანმა, ამანაც გაუგზავნა დესპანები პაპს იოანე XXI, საფრანგეთის კოროლს ფილიპე შვენიერს და ინგლისშიაც. როგორც არღუნმა 1289 წ. მისწერა ცნობილი წერილი ზემოხსენებულს კოროლს, ამ გვარადვე გაუგზავნა ოლჯაითმა მასვე 1305 წ. წერილი. საფრანგეთის სწავლულმა აბელ-რემიუზამ და შმიდტმა პეტერბურგის აკადემიის წევრმა სამეცნიერო წესით განმარტეს ეს წერილები...

ულჯათ-ყაენმა გარდაწყვიტა 1407 წ. გალაშკრება გილანის მხარის დასაპყრობლად,—რომელმაც 30 წლის წინათ ისე მამაცად დაიცვა თავისი თავი აბაღა ხანის თავდასხმისაგან და შევიდა ამ მხარეში ოთხ სხვა და სხვა რაზმით. უმთავრესი რაზმის მოწინავე წყებაში იყო მეფე ვახტანგი და მეორე რაზმში კი—გორის ოსები. გილანის მთავრებმა ოთხივე რაზმს თავ განწირულებით შეეტაკნენ და დიდი ზარალი მისცეს მონგოლებს: მათ მოჰკლეს როგორც თვით ხუტლუ-ხანი, აგრეთვე რაოდენიმე სარდლები. მიუხედავად ამისა მონგოლებმა თავის განუდრეკელობით მაინც დასძლიეს ისინი. მთელი გილანი დაუმორჩილდა ილხანს. როდესაც მეფე ვახტანგი, ილხანის მიერ

---

[1]) იგივე ულჯაიი.

უხვად დაჯილდოებული დაბრუნდა ქართლში, რაოდენიმე პირებმა შეაგონეს ოლჯაითს, რომ მან ძალა დაატანოს ქრისტიანებს მაჰმადიანობის მისაღებად და რომ მათი ეკლესიები ააოხროს. ეს რომ შეიტყო ვახტანგმა, გამოცხადდა ილხანის წინაშე და უარ ჰყო სჯულის შეცვლა; ამ გაბედულ მოქმედებამ ოლჯიათუ დააფიქრა და მას შეაცვლევინა თავისი განზრახვის ასრულება. მეფე ვახტანგი ამას შემდეგ მალე, 1308 წ., გარდაიცვალა, თუმცა ნამდვილ არ ვიცით იმის სიკვდილის მიზეზი. ერის გარდმოიცემით ის წამებულად ირიცხება. იმის ორ შვილისგან უფროსი დიმიტრი დმანისს ფლობდა, უმცროსი გიორგი—სამშვილდეს. არც ერთს მათგანს არ უმეფნია.

მეფეებად დავით VI და გიორგი V იყვენ. ნოინებმა ვახტანგ III მემკვიდრედ დავით VI-ს ახლად დაბადებული შვილი გიორგი VI დანიშნეს, რომელსაც თავის სეხნა ბიძის გასარჩეველად „მცირედ“ უწოდებენ. ბექა დიდი იმავე წელს გარდაიცვალა, ყველასაგან დატირებული, ხოლო მეფე დავით VI—ორი წლის შემდეგ ბექას სიკვდილისა. 1312 წ. ოლჯაითუ წავიდა სირიაში, სადაც 5 თვის განმავლობაში ციხე რახობს გარშემოერტყა, მაგრამ ვერ აიღო და დაბრუნდა 29 იანვარს 1313 წ. ეს იმის უკანასკნელი ლაშკრობა იყო. ამის ბრძანებით ჩუბან[1])-ნოინმა დაუმტკიცა ახალგაზდა გიორგის მეფობა და წავიდა მცირე-აზიაში, 1315 წ., დასასჯელად იქაურ მკვიდრთა, რომელნიც აუჯაყდნენ მონგოლებს. მეფე გიორგი V ქართველებით მონაწილობას იღებდა ამ ლაშკრობაში, რომელიც გაგრძელდა მთელი წელი. ბოლოს მეამბოხენი დამორჩილდენ 1316 წ. ოლჯაითუ გარდაიცვალა მის მიერ დაფუძნებულ ქ. სულთანიეში. იმისი უფლება იმის შვილზე აბუსაიდზე გარდავიდა. რაც შეეხება ქართლს, იქ გიორგი V დარჩა ერთადერთი მეფედ, შემდეგ 1310 წელში გარდაცვალებისა დავით VI-სა და იმის შვილის გიორგი მცირისა, რომლის სიკვდილის

---

[1]) იგივე ჩობან.

წელი არ არის გამოკვლეული. გიორგი V-ს ჩაბარდა მთელი ივერია სამცხით.

გამეფება გიორგი V ბრწყინვალისა დაბეჯითებით შეგვიძლია დავიწყოთ 1314., რადგანაც ჩვენამდი დაცულია წარწერა ს. დაბის ეკლესიის კარზე, რომელშიაც ნაჩვენებია 19 წ., რომელიც უდრის 1312 წ. დაწყებულის მე-14 მოქცევის მე-21 წელსა.

ჩობან-ნოინი ყველაფერში ექომაგებოდა და შემწეობას აძლევდა მეფე გიორგი V-ს. როგორც კი გიორგი ტახტზე ავიდა, ჩრდილოეთი ნაწილი ქართლისა, მთიულეთი და მისი მიდამო მან შემოიარა, სადაც დაამყარა წესიერება და მშვიდობა ჩამოაგდო მკვიდრთა შორის, რომელნიც დაჩვეულნი იყვენ ურთიერთის თავდასხმას და ძარცვას. ამ მიზნის მისაწევად მან შეადგინა ძეგლის დება, რომელიც აქამომდე დაცულია და შეტანილია იმის სახელით მეფის ვახტანგ VI [1]) სამართლის წიგნში. კათალიკოზმა ევთვიმემ, რომელიც მეფე გიორგიმ დანიშნა პატრიარქად, დიდი შემწეობა აღმოუჩინა მას ამ სასიქადულო მოღვაწეობაში.

ჩობან-ნოინის სიკვდილის შემდეგ, რომელიც 1327 წ. ბოროტ მოქმედებისათვას მოკლეს, აბუსაიდმა იცოცხლა 9 წელი და 1396 წ. გარდაიცვალა. ამის შემდეგ მონგოლთ ძლიერება თანდათან დასუსტდა და გიორგიმ იმათი დასუსტებით ძალ-ღონე შემოიკრიბა და დაიპყრა სომხეთი, ჰერეთი, რანი და ლეკეთი დარუბანდამდი. შირვან-შაჰი—მას ხარკს აძლევდა. მან დანიშნა სარგის ჯაყელი სამცხის ათაბეგად და სპასალარად.

იმერეთის მეფე კონსტანტინე, რომელმაც ბედიის ტაძარი განაახლა და რომელსაც მიაწერენ სამშვილდის ციხის ხელახ-

---

[1]) ვახტანგის კანონთ კრებულში ბ. ურბნელის აზით, გიორგი ბრწყინვალემ ეს ძეგლის დება შეადგინა მთიულების კრების დასწრებით. გიორგი V ბრწყინვალე. გვ. 108.

ლად აგებას, გარდაიცვალა 1327 წ. მემკვიდრედ შეიქნა იმისი ძმა მიქელი, რომელიც ორს წელიწადს მეფობდა და ტახტი თავის შვილს ბაგრატს დაუტოვა, თუმცა ბაგრატი სიყმაწვილეში ვერ ბედავდა მეფის წოდებას. მეფე გიორგიმ იმერეთის მდგომარეობა რომ შეიტყო, გადავიდა ჯარით, დაიპყრა იმერეთი 1320 წ. და დაადგინა იქ ერისთავები, რომელთა შორის ბატონიშვილი ბაგრატი შორაპანს დააყენა. მამია დადიანმა, შვილმა და მემკვიდრემ გიორგისამ,—რომელიც 1325 წ. გარდაიცვალა,—გურიელმა, სვანეთის და აფხაზეთის ერისთავებმა,—რომელთა სახელები არ არიან მოხსენებულნი ისტორიაში,—აგრეთვე აღიარეს გიორგი მეფედ. გიორგიმ ბედიის საერისთაოს მიუმატა ცხომის ციხეც, ახლანდელი სოხუმი.

სარგის ათაბეგის შემდეგ, რომელიც 1334 წ. გარდაიცვალა, გიორგიმ დანიშნა მემკვიდრედ შვილი მისი ყვარყვარე; მან აგრეთვე მთელ სამცხეში დანიშნა თავის უფლებით ერისთავები. შემდეგ ევთვიმე კათალიკოზისა ბასილმა დაიჭირა იმის ადგილი.

გიორგიმ დაამარცხა როგორც ნოინი, ადერბეიჯანის მთავარი, აგრეთვე ურდო ორხან სულთნისა, რომელიც ოსმალების მამამთავარი იყო და რომელსაც ამ დროს საბერძნეთის ერთი ნაწილი ეჭირა; ივერიელები დაბრუნდენ ტფილისს დიდის დავლით. მამია დადიანის სიკვდილის შემდეგ, რომელიც 1345 წ. მოხდა, მეფემ იმის მემკვიდრედ მისი შვილი გიორგი დანიშნა. ამ ხელმწიფემ მთელი ივერიის რიგი და წესი შესცვალა. მან განსაკუთრებელი ყურადღება მიაქცია სჯულს და სასულიერო საქმეებს, რომელნიც წესიერებაში მოიყვანა კრებამ, ტფილისს მეფის მიერ მოწოდებულმან. გიორგის მეფობაში ააგეს და განაახლეს—ნამეტურ სომხეთში—მრავალი ეკლესიები, რომლებზედაც წარწერები, დროს განმავლობაში, სანახევროდ წაშლილან და, სამწუხაროდ, ძნელად წასაკითხავ-

ნი არიან; დაბის [1]), პითარეთის, ცულრულაშენის, კაზრეთის და დმანისის ეკლესიები მოწმობენ როგორც გიორგი ბრწყინვალის ღვთის მოყვარეობას, აგრეთრე იმ კეთილდღეობას, რომელშიაც ქართლი იმყოფებოდა იმის მეფობაში, და აგრეთვე ამტკიცებენ მეისტორიების ჩვენებას. ყველა ამ დიდებულ მოღვაწეობისათეის მადლიერმა ერმა მიანიჭა გიორგი მეფეს სახელი „ბრწყინვალისა". ის გარდაიცვალა 1346 წ. სამწუხაროა, რომ გიორგი V -ს შემდეგ ქართული ისტორიის მასალები თანდათან კლებულობენ, რის გამო მეისტორიე, ცოტა არ იყოს, გაჭირებულ მდგომარეობაში ვარდება ხოლმე.

გიორგის მემკვიდრედ შეიქნა მისი შვილი დავით VII, რომელიც დიდის ამბით საჯაროდ მირონცხებული იქნა მეფედ. ის გულსმოდგინედ შეუდგა სამეფო საქმეების მართვას და ცდილობდა თავის ქვეყნის კეთილ დღეობისათვის. მან კათალიკოზის ბასილის სიკვდილის შემდეგ დანიშნა იმის ადგილზე დოროთეოსი. იმის ნება-რთვით იმერეთის ერისთავმა, მეფე მიქელის შვილმა, ბაგრატმა ყვარყვარე-ათაბეგის ქალზე ჯვარი დაიწერა. მეფე დავით გარდაიცვალა გეგუთს 1360 წ. იმისი ქალი გულქან-ხათუნი ცოლად გაჰყვა 10 მაისს 1377 წ. ტრაპიზონის იმპერატორის მანუილ III უმცროს შვილს.

დავითის შემდეგ გამეფდა მისი შვილი ბაგრატ V, რომელმაც სამეფო გვირგვინი იკურთხა ქუთაისში. კათალიკოზებად იყვენ ელიოზი და მის შემდეგ დოროთეოსი და გიორგი. ბაგრატის მეფობის მეორე წელს სვანებმა აიღეს და დასწვეს იმერეთის დედა-ქალაქი. ეს რომ მეფემ გაიგო, გადავიდა იქ ჯარით, შეკრებილით ივერიის ყველა კუთხიდამ და მოსვლისა-

---

[1]) უნდა იგულისხმებოდეს დადაბნის ეკლესია, რომლის მღვდელ-მთავარი დადაბნელი ჯდებოდა დარბაზობად მეფის კურთხევის დროს მცხეთას შემდეგ დმანელისა. „შემოვიდეს დადაბნელი და დაჯდეს დმანელის ქვემოთ". განგება დარბაზობისა. св. о пам. гр. письм. А. Цагарели. т. I, в. 3. გვ. 295.

თანავე სვანები მსწრაფლ დაბრუნდენ თავის ხეობებში. მათი ერისთავი ვარდანიძე მეფემ გაგზავნა გურიაში, სადაც ის შეიქნა წინაპრად მთავრის გვარისა გურიულებისა, ხოლო სვანეთში ერისთავად მეფემ გელოვანი დანიშნა. მეფემ აგრეთვე დაამარცხა და უკუაქცია თურქნი, სამცხეში შემოსულნი ყვარყვარე ათაბეგის სიკვდილის შემდეგ, რომელიც 1361 წ. მოხდა. მეფე ბაგრატმა ყვარყვარეს ადგილზე დანიშნა იმისი შვილი ბექა, რომელიც აქამომდე მას მანდატურთ-უხუცესად ჰყავდა. 1366 წ. ჟამმა გასწყვიტა დიდ ძალი ხალხი და მათ შორის დედოფალი ელენე, დედა ბატონიშვილებისა გიორგისა და დავითისა. 1375 წ. გიორგი დადიანი მოკვდა და ბაგრატმა დანიშნა დადიანად შვილი მისი ვამეყი.

თოთხმეტი წლის შემდეგ აზიის შორს მხარეში გამოჩნდა თემურლენგი [1]), რომელიც დამყარდა მოვარ-ენნახორს და ხორასანს და აქედამ დასავლეთისაკენ წავიდა ილხანების გვარის ამოსაწყვეტლად. მან 1386 წ. დაიპყრა ნახჭევანი, შემდეგ — თავრიზი, ერანდ-შაჰი — ანუ ალინდაყი და სურბ-მარი. ათაბეგი ბექა დამორჩილდა მას პირველ მის შემოსევის დროს ივერიის სამხრეთ-დასავლეთის მხარეში. ხოლო მეფე ბაგრატი გამაგრდა ტფილისში და მისი შვილი გიორგი იმერეთში გარ-

---

[1]) თუმცა საზოგადოდ მიღებულია, რომ თემურლენგი მონგოლურად ნიშნავს კოჭლს რკინის კაცს, მაგრამ გიბბონი სხვა გვარად განმარტებს ამ სიტყვას: „ დემურ ანუ ტიმურ თურქულ ენაზე ნიშნავს რკინას, ხოლო ბეგი — დიდებულ მთავარს ანუ თავადსა. ამ ორ სიტყვების ასოს შეცვლით ანუ სხვა ნაირ კილოთი გამოთქმის გამო წარმოსდგება ამ გვარი ცვლილება ბეგ — ლენკ (უკანასკნელი სიტყვა ნიშნავს კოჭლს). ევროპიელებმა დაამახინჯეს ეს ორი ლექსი და გარდააქციეს ერთ სიტყვად ტამერლანად“. ლარგვისის მონასტერში აქამომდე დაცულია პარაკლიტონი, რომელზედაც იპოვება წარწერა ბერის გრიგოლ შინდას ძის, ავგაროზის შვილის, რომელიც იყო თანამედროვე თემურის ქართლში შემოსევისა და რომელიც უწოდებს მას თემურ-ბეგად. „მოვიდა თემურ ბეგ სულტანი სამარყანდელი“. Br. Voyage arch. 41, 77—79.

დავიდა. თემურმა გარს შემოადგა ტფილისს, რომლის მეციხოვნები დამარცხდენ ციხის კედლების წინ მომხდარ ომში. თათრებმა დაიპყრეს ტფილისი და დაატყვევეს მეფე და დედოფალი ანნა, რომელიც შეირთო ბაგრატმა პირველი ცოლის შემდეგ. ტფილისის აღება მოხდა 1387 წ. ამის შემდეგ თემურმა დაჰყო რაოდენიმე ხანი ყარაიაზში და თან წაიყვანა ყარაიაზს დატყვევებული მეფე, რომლის გამაჰმადიანებას მუდამ ცდილობდა.

მაშინ ბაგრატმა განზრახ განაცხადა სურვილი თემურის ბრძანების ასრულებისა და აღუთქვა მას საქართველოს დაპყრობა მის მონების ქვეშ. თემურმა ამ მიზნის ასასრულებლად გაგზავნა ის 12 ათასი ჯარით. მეფის შვილები, რომელთაც საიდუმლოდ შეიტყვეს ეს ამბავი [1]) ჩაესაფრენ გზაზე, თავს დაესხენ თათრებს და უდიდესი მათი ნაწილი ამოწყვიტეს. თემური მეორედ დაეცა ივერიას 1393 წ. თათრების ერთი ნაწილი შეესია სამცხეს და დანარჩენი—ქართლის და არაგვის ხეობას და მძვინვარების მუსრი გაავლეს მთელს მხარეს. სვეტი ცხოველის ტაძარი გაძარცვეს და შებილწეს. კავთის ხევის [2]) დედათა მონასტერი საშინელ განსაცდელში ჩავარდა და მონაზონები თვით ეკლესიაში ცეცხლში გამოსწვეს; ამ მონასტერში აქამომდე ყველა ფეხ შიშველი შედის ამ წმიდა დედათა ღვაწლის სადიდებლად. თათრები გარდაიფანტენ ჩრდილოეთში ლარგვისის მონასტრამდე, რომელიც ცეცხლით და მახვილით შემუსრეს. იქედამ კახეთში გარდავიდენ და შემდეგ—დაღესტანში, გილანში და მაზანდარანში, რომელნიც მათ იარაღით დაიპყრეს.

ალექსანდრემ, ერისთავის ბატონიშვილის ბაგრატის შვილმა, რომელსაც მცირეს უწოდებდენ (გარდაიცვალა 1372 წ.), ისარგებლა მეფე ბაგრატის დატყვევებით, გადგა და 1372 წ.

---

[1]) მეფემ თვითონ საიდუმლოდ შეუთვალა მათ.

[2]) ქვათა—ხევი.

ეკურთხა მეფედ იმერთა. ის 1389 წ. გარდაიცვალა. მისმა ძმამ და მემკვიდრემ გიორგიმ აფხაზეთის კათალიკოზობა დააწესა და ამ ადგილზე არსენი დაადგინა. მაგრამ მეგრელები, სვანები და გურულები ერთგულად დარჩენ მეფე ბაგრატს, რომელსაც ისტორიაში უწოდებენ ბაგრატ დიდად. ამ დროს განმავლობაში გიორგიმ, ბაგრატის შვილმა, დაიპყრა სამცხე,— რომელიც იმერეთის აჯანყებაში ერია,—და შემდეგ დაბრუნდა იმერეთში. ათაბეგის ბექას შემდეგ, რომელიც გარდაიცვალა 1391 წ., იმის ადგილზე მისი შვილი იოანე დაინიშნა.

თემურ არ დაჯერდა საშვალ ივერიის აოხრებას. მან, შეკრიბა რა დიდ ძალი ჯარი თავისი და შირვანისა, მდ. მტკვარში გამოვიდა და ხელახლავ გამოილაშკრა ივერიაზე. სასტიკი ომი ასტყდა თათრებს და ქართველებს შორის; ამ უკანასკნელთ ველარ გაუძლეს აუარებელ მტრის სიმრავლეს და გაიქცენ. თითონ მეფე ბაგრატი თავის შვილით გიორგით მთებში განივლტო. ის გარდაიცვალა 1395 წ. გიორგი VII ავიდა ტახცზე და მთელი ივერიის მიერ ცნობილ იქნა მეფედ. როცა თემურმა შეიტყო გიორგის გამეფება, აშფოთდა და მოსთხოვა მეფეს, დაუყონებლივ დამორჩილებოდა მას. რადგან ამ წინადადებაზე მეფემ უარი განაცხადა, თემურმა გაგზავნა ქართლში ჯარი 1400 წ. ამ ომში თათრები ჯერ დამარცხდნენ, მაგრამ მერე გაიმარჯვეს და მკაცრის ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს ტფილისი, რომელშიაც მეციხოვნები ჩააყენეს. ქართველები გაიქცენ, ზოგიერთნი კი სისუსტის გამო დაემორჩილენ მტერს. ყველა გამოქვაბულნი კლდეები [1]) და თავშესაფარნი ადგილე-

---

[1]) გიბბონი, ვებერი და ტრაჩევსკი მოგვითხრობენ, რომ თემური საქართველოს დარბევის დროს გზავნიდა ქვაბებში და მღვიმეებში დახიზნულ ხალხის ამოსაწყვეტად მხედრებს, რომელნიც კლდის წვეროებიდან ჩამოდიოდნენ და ცეცხლს უკიდებდენ მღვიმეებში დამალულ ხალხს. შემდეგ თემურის გალაშკრებისა დასავლეთისკენ და სპარსეთის განადგურებისა, ამბობს გიბბონი, თემური პირველად შეესია საქართველოს ქრისტიანებს, რომელნიც თავს იცავდენ თავის კლდეებში, მთებში და ციხის სიმაგრეებში, მაგ-

ბი, სადაც ერი მიიმალა, თანდათან დაიპყრეს თათრებმა, რის შემდეგ მთელი მხარეც დამორჩილდა.

ლენგ-თემურმა ქართლის მმართველად დააყენა ჰაჯი შიხ-ალი და ემირ-ჯოანი. ივერიის შემუსვრის შემდეგ თემურმა გაილაშქრა 1394 წლ. ტოხთამიშის წინააღმდეგ, [1]) და ამას მოჰყვა დარბევა მთელის დაღისტანისა და კასპიის ზღვის ნაპირებისა, როდესაც ამ გზით თათრებმა მთები გარდაოარეს. 1398 წ. თემურის შვილი მარონ-შაჰი, რომელსაც ადრებაჯანის მართვა ებარა, ცხენიდამ გარდმოვარდა, რის გამო ის ჭკუაზე შეიშალა. ამ გარემოებით ქართველებმა ისარგებლეს და, ცოტა არ იყოს, შეისვენეს წინანდელ უბედურებისაგან. ტახირმა ბაღდადის მფლობელის ახმედის შვილმა, ჰულაღუ-ყაენის შთამომავალმა, რომელიც განდევნეს თავის დედა ქალაქიდამ 1393 წ., თავი შეიფარა ალინჯაყის ციხეში, სადაც დიდხანს ის ვერ შეიპყრა თემურმა. ივერიელებმა ამით ისარგებლეს და წავიდენ ტახირის შესაწევნელად, დაამარცხეს თათრები და აიძულეს ისინი, ციხეს შემოცლოდენ, ხოლო ტახირი თან წამოიყვანეს. მეფე გიორგის ის დიდხანს ჰყავდა დაჭერილი, ბოლოს მან გარდასწვიტა თემურთან დაზავება. თუმცა თემურს იამა ეს ამბავი, მაგრამ მიუხედველად ამისა ემზადებოდა ივერიაზე ხელახლად გალაშკრებას. 1399 წ. ზამთარში თემური დაღესტანში იბრძოდა. 1400 წ. მან მოსთხოვა მეფეს, გადაეცა მისთვის ტახირი, რაზედაც მეფემ გადაჭრილი უარი შეუთვალა, თუმცა ამ დროს ქ. ალინჯაკი [2]), თათრებს შემდეგ ხანგრძ-

---

რამ თემურმა თავის მძვინვარებით ყველა დამაბრკოლებელნი მიზეზნი, რომელნიც მას წინ გარდაეღობენ, დათრგუნა და გაიმარჯვა. Gibb. Décad. et ch. de l'emp. Rom. გვ 810.

[1]) ეს ტოხთამიში თემურლენგმა დანიშნა ხანად ყიფჩაყის ურდოისა,— რომელიც თითქმის ორ საუკუნე ნახევარს ფლობდა მთელს რუსეთს,—და, როდესაც ეს ხანი გადაუდგა თემურს და დამოუკიდებელ ხანად აღიარა თავი, თემურმა გაილაშკრა იმის წინააღმდეგ და გარდააგდო ის.

[2]) ალინჯის ციხე.

ლივ ალყისა აღებული ჰქონდათ. თათრები შემოვიდენ შიდა-ქართლში, ამოხოცეს მრავალი ხალხი, რომელიც გამოქვაბულებში შეხიზნული იყო და დაიპყრეს 19 ციხე, რომელთ სახელები ისე დაუმახინჯებიათ არაბის მწერლებს, რომ იმათი გარჩევა შეუძლებელია. შემდეგ ამისა თათრები ხელმეორედ შეესიენ წარჩინებულის ჯანიბექის სამფლობელოს, რომელიც დამორჩილდა მათ; იქედამ ისინი გარდვიდენ ათაბეგის იოანეს სამფლობელოში, რომელსაც მუსრი გაავლეს და, ჩვეულებისამებრ, გაძარცვეს. ამ დროს განმავლობაში მეფე გიორგი სვანების მთებში იყო, გარნა თათრები აქაც სდევნიდენ მას; მაშინ ის გარდავიდა აფხაზეთში; მოსასპობელად ამ დაუცხრომელ დევნისა მან გადასცა ოსმალებს ტახირ-სულთანი, რომელიც თავის მამით ახმედით დაბრუნდა ბაღდადს. თითონ კი მეფე გიორგი დათანხმდა ხარჯი ეძლია თემურისათვის და გაუგზავნა მას თავისი ძმა მდიდარის საჩუქრებით და გამოსთხოვა მას მთელის საქართველოს შეწყნარება:

1402 წ. ლენგ-თემური კიდევ წაიწია სამხრეთისაკენ. მან აიღო თორთომის და კალმახის ციხეები და, როდესაც ივერიის საზღვარს მიუახლოვდა, 1402 წ. მან მიიღო ათაბეგი ივანე და ბატონიშვილი კონსტანტინე, რომელნიც გამოცხადდენ წინაშე მისა ძღვნითა და საჩუქრებითა. მასთან მოვიდენ აგრეთვე კასტილიის კოროლის ჰენრიხ III დესპანები, რომელთაც ოსმალოს სულთნის მურადის დატყვევებული შვილი მიუყვანეს. დაბრუნების დროს თემური ნადირობდა და ანაზდეულად ივერიაში შემოვიდა. ანგორის [1]) ომის შემდეგ, სადაც თემურმა გაიმარჯვა,—მეფის ძმები კონსტანტინე და დავითი თავის მეფით გიორგით მამაცურად იცავდენ მტრისაგან თავს, მაგრამ მათ შორის შუღლი ჩამოვარდა და მეფის ძმებმა საიდუმლოდ აჩვე-

---

[1]) ეს სახელგანთქმულ ომი, რომელშიაც ორთავე მხრით მილიონზე მეტი ჯარი იბრძოდა და რომელშიაც სულთანი ბაიაზეთი დამარცხდა და ტყვედ წაყვანილ იქნა, მოხდა 1403 წ. მცირე-აზიის ქალაქის ან ციხის ახლო.

ნეს თათრებს ის გზა, რომლითაც მათ შეეძლოთ ქართლის შუა გულში შემოსულიყვენ. მაშინ თემურმა უბრძანა ემირს შაჰ-მელიქს გარშემორტყმოდა განთქმულ ციხეს ბირთვისს, რომელსაც დიდებული ნაზარა იცავდა. თემური დაესწრო ამ ციხეზე მისვლის დროს და აიღო ის დიდის გაჭივრებით აგვისტოს 1043 წ. თემურმა დასტევა აქ ციხის მცველნი და უბრძანა მათ, ყველა მახლობელ მხარეში მკვიდრნი შიშ ქვეშ იყოლიონ. მან მიიღო მეფე გიორგისაგან სხვა და სხვა საჩუქრები და ათასი ოქრო, რომელზედაც თემურის სახელი იყო მოჭრილი. ამის შემდეგ თემური წავიდა თურქისტანში, საიდამაც არაოდეს აღარ დაბრუნებულა დასავლეთ აზიაში. ის გარდაიცვალა 19 იანვარს 1405 წ. [1]).

---

[2]) ქ. ც-ბით «ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა". თომა მებოძის თქმით,—რომელიც თითქმის თანამედროვე იყო თემურისა,—მან სამარყანდში საქართველოდამ ტყვედ წარიტაცა სამოცი ათასი კაცამდე და იქ „ჩაძაღლდა როგორც ძაღლი". Hist. de la géorg. გვ. 176. „ხოლო ტყვე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარყანდა ქორონიკონსა ჟ (1402 წ.). „თემურის სატახტო ქალაქს სამარყანდში აქამომდე დაცულია ქართული წიგნები, წანაძარცვნი საქართველოდამ იმის ურდოების მიერ. ეს ამბავი ნასწავლ ქვეყნიერობას გააცნო სომეხმა ხეჩატურ ევანისიანმა, აღმოსავლეთის მრავალთა ენათა მცოდნემ, რომელსაც სამარყანდის ერთ კოშკში გაუსინჯავს ხელთნაწერები, თემურის მიერ წარტაცებულნი. პლ. იოსელიანი. Опис. др. г. Тифлиса. ერთი თანამედროვე რუსის მწერალი, ევგ. მარკოვი, რომელსაც შარშან მიმოუვლია საშუალო აზია, აგვიწერს თავის მოგზაურობას „Русск. Вѣстникъ"-ში და ფრიად შესამჩნევ ამბვებს გვაცნობებს ქართველების ნაშთებ. ზე, რომელნიც თემურის დროს წარტაცებული უნდა იყვენ.—თემურლენგის მტარვალობას საქართველოში აგვიწერს 1447 წ. ერთ გუჯარში შემდეგის სიტყვებით მეფე გიორგი VIII, რომელიც თითქმის იმის თანამედროვე იყო. „პაპის ჩემის ძმის გიორგის მეფობაში საშინელი დრო დადგა;" ღვთის რისხვა, ჩვენი ცოდვების გამო გარდმოვიდა ჩვენზე და საშინელი თემური, ურწმუნოებით აღტურვილი, ყველა ქვეყნების ამაოხრებელი, ყველა კანონების დამარღვეველი, ეკლესიის და მამულის ერთგულთ შვილთა ამომწყვეტელი,—ამ ღვთის რისხვამ, ჩვენზე წარმოვლინებულმა, აუარებელის ჯარით —აგარიანელებით—შემოესია საქართველოს, გაანადგურა იგი, ამოყლიტა

აქ ხრონოლოგიურად ჩამოვთვლით თემურლენგის ყველა გალაშკრება ივერიაზე: 1) 1386 წ. ის იპყრობს ტფილისს, და ატყვევებს ბაგრატს 2) 1393 წ. მეორედ იღებს ტფილისს, თათრები სამცხეს თავს ესხმიან, თვით თემური კი—შიდა-ქართლს. 3) 1400 წ. ის იპყრობს ციხეებს და ჯანიბეგის სამფლობელოს 4) 1401 წ. იყო სამხრეთ-დასავლეთ ივერიაში ბრძოლა, რომელმაც გამოიწვია ბატონიშვილის კონსტანტინეს ელჩად გაგზავნა მასთან. 5) 1402 წ. გურჯი-ბექის ციხის აღება. 6) 1403 წ. ბირთვისის აღება.

მემკვიდრედ იმერეთის მფლობელის გიორგისა, რომელიც მეგრელებმა მოჰკლეს 1392 წ.—შეიქნა მისი ძმა კონსტანტინე, რომელიც 1396 წ. ჭალის ომში მოჰკლეს. იმის მემკვიდრედ იყო მისი შვილი ალექსანდრე, რომელიც მხოლოდ ერისთავად იწოდებოდა და არა მეფედ. ხოლო მეფე გიორგი VII 1407 წ. გარდაიცვალა. იმის მემკვიდრედ იყო ძმა მისი კონსტანტინე II, რომლის მეფობას გაკვრით მოიხსენიებენ მემატიანენი. მან დაასაფლავა მეფე გიორგი მცხეთას და იწყო ივერიის მართვა. ის სდევნიდა ივერიაში მყოფ მუსულმანებს, რომელთაც ამაზე შესჩივლეს ოსმალების სულთანს, მუსას [1]) შვილს და მემკვიდრეს ბაიაზეთისას. თურქები სულთანის ბრძანებით დაეცენ ივერიას და მეფე მოჰკლეს ომში 1413 წ. ამ ამბავს მირკონდი სხვანაირად მოგვითხრობს; იმის სიტყვით ომში, რომელიც ასტყდა თემურის სიკვდილის შემდეგ იმის შვილების და ოსმალოს ემირების შორის, შირვანის მმართველმა შეიხ-იბრაჰიმმა მიიმხრო თავისკენ მეფე კონსტანტინე, რომელმაც მიეშველა მას 2000 კაცით, წინააღმდეგ ყარა-იუსუფისა, სარდლისა იმ თემისა, რომელსაც შავცხვარად უწოდებდენ: მეფე დამარცხების შემდეგ დაატყვევეს და 1413 წ. დასაწყისს ის და დანარჩენი ქართველები

დიდ ძალი ხალხი და დააქცია ახალი იერუსალიმი (მცხეთის ტაძარი), ქრისტეს სჯულის დასაწყისი, დედა-ქალაქი მცხეთა და ეკლესია; საშინელ და მწარე იყო დღე იგი„... Груз. церк. гудж. Д. Пурцеладзе- გვ. 104.

[1]) იგივე მუზა.

გაჰსწყვიტეს. ამ დროს ახლო ხანებში ახალციხეს მაზრაში მცხოვრებმა მუსულმანებმა იჩივლეს ყარა-იუსუფთან ქრისტიანების მიერ შევიწროებაზე და შემოიყვანეს იმისი ჯარი ამ მაზრაში. ამ თურქებმა აიღეს და აიკლეს ახალ-ციხე, შემდეგ ისინი გარდავიდენ კლარჯეთში. ამ გვარად მათ ჯავრი ამოიყარეს ქრისტიანებზე.

გიორგი VII-ს 24 წ. შვილი ალექსანდრე ავიდა ტახტზე. იმის პოლიტიკურ მოქმედებაზე მატიანე ძლიერ მცირე მასალას გვაძლევს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია შევავსოთ ეს ნაკლი სიგელებით, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს და რომელნიც იმის შინაგან მმართველობას შეეხებიან და გაგვაცნობენ მრავალს წვრილმან ფაკტებს. ის დიდის მეცადინეობით აღზარდა იმის ბებიამ რუსამ, გიორგი VII მეუღლის, დედოფლის ნათიას დედამ. რუსა შეუდგა მცხეთის ტაძრის აღდგენას, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა იმის დამთავრება, რომელიც ახალგაზდა მეფემ იკისრა. მეფემ აგრეთვე ტაძარს მიაშენა სამხრეთისაკენ წმ. მთავარ ანგელოზის სახელზე თავის დასამარხავად ეკვტერი, რომელიც ამ რაოდენიმე წლის წინეთ დაანგრიეს. მან შეაკეთა მრავალი ეკლესიები, სახელდობრ რუისისა, როგორც სჩანს ჩვენამდე დაცულის წარწერიდამ.

ალექსანდრემ ვარძიაში დაასაფლავა თავისი ბიძა მეფე კონსტანტინე და დადიანად დანიშნა ლიპარიტი, შვილი მამიასი, რომელიც ომში მოჰკლეს აფხაზებმა 1414 წ-ში. ალექსანდრემ დაიპყრა ეს მხარე (აფხაზეთი), რომლის შემდეგ ეკურთხა მეფედ ქუთაისში. მან შეირთო თამარ, და დიმიტრისა, რომელიც მან იმერეთის ერისთავად დანიშნა. იმავე წელს ალექსანდრე კოხთის თავზე შეებრძოლა იოანე ათაბეგს და დაატყვევა ის. თურქებმა მაშინ დაიპყრეს ახალციხის მაზრა.

1432 წ. ალექსანდრემ წაართვა მუსულმანებს ლორის ქალაქი, რომელიც იმის იმერეთში ყოფნის დროს ორი წლის წინეთ მუსულმანებს დაეპყრათ და, როგორც ამბობენ, მეფემ აჩუქა ის პელგინ ორბელიანს 1433 წ.

1433 წ. მეფე ალექსანდრემ გაგზავნა მიტროპოლიტი სოფრონი და სხვა ეპისკოპოსები ტრიდენტის [1]) კრებაზე დასასწრებლად. ისინი მონაწილეობას ღებულობდენ სჯაში აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიების შეერთებაზე, მაგრამ ხელი არ მოაწერეს ერთად დანარჩენ სასულიერო პირებთან უნიის დაბოლოებითს ოქმზე.

როდესაც შვილი და მემკვიდრე თემურისა შაჰ როხი შემოვიდა სომხეთში 1437 წ., ალექსანდრემ გაუგზავნა მას

---

[1]) ავტორის მხრით ეს lapsus calami უნდა იყოს. აქ უნდა იგულისხმებოდეს ფლორენტინის კრება, რომელიც 1438 წ. მოხდა, (გიბბონი Dé cad. et chute de l'emp. Rom.) და არა ტრიდენტისა, რომელიც ახალ ისტორიას ეკუთვნის და 1545 წ.—1563 წ. გაგრძელდა პაპის პავლე III დროს. (Gib. გვ. 844, 845, 846 და შემდ.). თვით ავტორიც თავის Hist. de la gèorg., რომელიც მან 1849 წ. გამოსცა, თანამედროე ჰორას იუსტინის სიტყვით ამბობს, რომ ფლორენციაში კრება 1438 წ. იყოო (გვ. 681 II. 5) იქ დაესწრო ერთი მიტროპოლიტი და საქართველოს მეფის დესპანი, რომელიც შესანიშნავი იყო თავისს ახირებულ ტანსაცმელით, თავზე რგვალი ქუდი ეხურა მრავალის ძვირფასის თვლებით და ოქროს ღილებით შებმული... არც ერთ იმათგანს არ მოუწერიათ ხელი უნიაზე, მაშინ, როდესაც სომხებმა იგი მისვლის უმალვე მიიღეს. (გიბბონი.).

თემურლენგის სიკვდილის შემდეგ ოსმალები ისევ მალე გაძლიერდენ და კოსტანტინეპოლის აღებისათვის ემზადებოდენ. მაშინ ბიზანტიის იმპერატორებმა მიმართეს დასავლეთ ევროპას შემწეობის გამოსათხოვნელად. იმპერატორმა იოანე VIIIსაჭიროდ დაინახა სამუდამო კავშირით შეკვროდა ევროპას და ამისათვის ისურვა ლათინთა და ბერძენთა შორის სარწმუნოებრივის განხეთქილობის აღმოკვეთა. მან იწყო მიწერ-მოწერა და დესპანების გზავნა ევროპის ხელმწიფეებთან. იოანე თითონაც გაემგზავრა პაპი ევგენი IV-თან, რომელმაც ის ფერარაში დიდის ამბვით მიიღო. პაპმა აღუთქვა ჯვაროსნობის ჯარის გამოწვევა თურქების წინააღმდეგ, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღმოსავლეთის ეკლესია უნდა შეერთებოდა დასავლეთისას. ამ მიზნის მისაღწევად ორთავე ეკლესიის წარმომადგენელნი შეიკრიბენ ფლორენციაში, სადაც საზოგადო მსჯელობა დი ბაასი უფრო იმაზე იყო მიქცეული, თუ რომელი სარწმუნოების სიმბოლოს დოღმატი უნდა დარჩენილიყო, სული-წმინდის გამომავლობაზე—ბერძნული თუ ლათინური.

თავისი შვილი დიმიტრი საჩუქრებით და მით მოიპოვა მისი კეთილი განწყობილება სასარგებლოდ ივერიისა. მას შემდეგ მეფე წავიდა განჯას, შირვანს და დაღესტანს და აიძულა წინანდულად ამ მხარეებისა მკვიდრნი, ეხადნათ მისთვის ხარჯი. თუ დავერწმუნეთ სომხის თანამედროვე მეისტორიეს თომა მეძაბაცის თქმულებას,—მეფე ალექსანდრეს ვითომც ცოლად სიუნიის მფლობელის ფეშკენანუ პელგინ ორბელიანის ქალი ჰყავდა და, ვითომც ის შიშობდა, რომ სომხები, რომელნიც თავის ქვეყნიდამ გამოიქცენ, არ მიმხრობოდენ პელგინს, და ვითომც, ამის გამო, ალექსანდრემ მოაწამვლინა თავისი სიმამრი. 1438 წ. მომწამვლელი სიკვდილით დასაჯეს, მაგრამ მან არ დაასახელა ის, ვინც ეს ბოროტება მას ჩაადენინა. 1439 წ. მეფეს იარა გაუჩნდა, რომელიც არ ასვენებდა მას და რომლის მორჩენა შეუძლებელი შეიქნა. მთლად ამ თქმულების მიღება ფრიად ძნელია, იმიტომ რომ ქართული მატიანე, რასაკვირველია, ამ შემთხვევას არ იხსენიებს, და უფრო იმიტომ, რომ

ამასთანავე ლათინები თხოულობდენ, რომ ბერძნებს აღეარნათ პაპის უპირატესობა, ესე იგი, პაპი მსოფლიო ეკლესიის თავად უნდა ეცნოთ. ბაასში ლათინთა მამათ სძლიეს ბერძნების წარმომადგენელთ, რომელნიც, გიბბონის თქმით, საშინელ გაჭირებაში და სიღატაკეში იყვნენ და, ამის გამო, იძულებულნი შეიქნენ ლათინთა მოთხოვნილება მიეღოთ. მაგრამ მაშინ აღმოჩნდა მართლ—მადიდებლების მტკიცე და ერთგული დამცველი, ეფესის მიტროპოლიტი მარკოზი; იმის მეცადინეობით ფლორენციის უნიას არავითარი შედეგი არ ჰქონდა: როდესაც ის გამოაცხადეს კონსტანტინეპოლში. ხალხი ხმა მაღლა ღაღადებდა, რომ ის უფრო არჩევს თათრების უღელსქვეშ დარჩენას, ვინემ პაპს დაემორჩილოს, და ფლორენციის უნიის ხელის მომწერნი, კონსტანტინეპოლის ერის აღელვებისა გამო, შეშინდნენ, შეინანეს და ცრემლით ითხოვდენ მიეტევნათ მათთვის ეს შეცოდება. აგრეთვე რუსეთიდამაც იძულებელი შეიქნა გაგცეულიყო მიტროპოლიტი ისიდორე, რომელმაც, ფლორენციიდან დაბრუნების შემდეგ, პაპი აღიარა რუსის ეკლესიის თავად. ამ გვარად ბიზანტიელთ უკანასკნელი იმედი ევროპის შეწევნის შესახებ გაცრუვდა და ოსმალებმა შემდეგ ამისა მალე დაიპყრეს კონსტანტინეპოლი.

1419—1442 წ. თამარ დედოფლის სახელი იხსენიება ქართულ სიგელებში. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ, სანამ ალექსანდრე თამარს ითხოვდა, მან შეირთო პელგინის ასული. ეს მიტომაც საგულისხმოა, რომ გამეფების დროს ალექსანდრეს უკვე ორი ვაჟი—ვახტანგი და დიმიტრი ჰყავდა. რასაკვირველია, ეს შვილები არ შეძენია მას დედოფლის თამარისაგან, რადგანც ვიცით, რომ ალექსანდრემ დაიწერა მასზე ჯვარი ტახტზე ასვლის შემდეგ.

1440 წ. თავრიზის მფლობელმა ჯაანშაჰმა, ყარა-იუსუფის შვილმა, თავს დაესხა ივერიას და მეფეს გამოსთხოვა ერთად რამდენიმე წინაწლების ხარკი, რომელიც მას არ მიუცია. როცა მეფემ ამაზე უარ ჰყო, ჯაანხანშაჰ ანაზდეულად შემოვიდა ივერიაში აღდგომის დღეებში და ყოველივე დაამხო და დასწვა. სული-წმინდის მოფენის დღეს ის გარშემოერტყა სამშვილდეს, რომელიც აიღო და შიგ მრავალი ხალხი აღმოხოცა და ტყვედ 9 ათასი სული მეტი თან წაიყვანა. იქედამ, შემოვიდა რა ტფილისში, მოაოხრა და მოსრისა ეს დედაქალაქი. ივერიელები გაიქცენ მთებში და ტყეებში. შესახებ ამ ამბავისა მემატიანე არაფერს ამბობს. ის მოგვითხრობს,—ისიც უალაგო ადგილზე—რომ ალექსანდრემ მიმოვლო ივერია, დაათვალიერა ციხეები, ეკლესიები და მონასტრები, რომელნიც მან მთელს მხარეში გარდააკეთა და დაამშვენა, და მოსპო გარდახდევინება ხარკისა 40 ასპრისა, რომელიც ყოველს ოჯახს უნდა შეეტანა ხაზინაში იმის ბრძანებით 1431 წ. ეკლესიების აღსადგენად. ერთი მოთხრობით სვანები ნებით იხდიდენ სამს კირმანაულს ანუ 6 ასპრს თითო ოჯახზე [1])

---

[1]) ქირმანაულის, კირმანაულის ანუ ხელმანაურის სახელი დაერქვა ამ ფულს იმპერატორის კირ-მანუელ კომნენის გამო, რომელიც მეფობდა XII საუკუნეში; კირმანაულს ჰქონდა ორი დანგი (ასპრი) ანუ შაური. ვახუშტით სამი „კირმანაული არ ექვსი შაური აწინდელი„. Hist. de la georg. 681 შენ. introduct. გვ. CLXI და CLXXVIII. ვახ. საქ. ისტ. გვ. 299.

ორი წლის შემდეგ ალექსანდრემ დანიშნა ქართლის მეფედ ერთი თავისი შვილი ვახტანგი და შერთო მას სითი-ხათუნი ფანასკერტელის [1]). მეორე შვილი დიმიტრი იმერეთის მეფედ დაადგინა, უმცროსი ძმა კი გიორგი კახეთში გაამეფა. შემდეგ ამისა ის გადადგა ტახტიდამ, გამონაზონდა ათანასის სახელით და ცხოვრობდა მისგანვე აშენებულ მთავარ ანგელოზის ეკლესიის მახლობლად. ნამდვილად არ ვიცით, რომელ წელში გარდაიცვალა; საგულისხმო კი არის, რომ მისი სიკვდილი 1446 წ. ადრე არ უნდა მომხდარიყო. ალექსანდრეს მეფობის დროს კათალიკოზებად იყვენ: ელიოზი, უკვე ხსენებული 1405 წ. და მიხეილი, რომელსაც ერთი გუჯარი 1419 წ. ერთად მეფესთან იხსენიებს. მეფე დავითის შვილიც, ბერად შემდგარი, კათალიკოზად იხსენიება 1428, 1435, 1439 და 1448 წლ., თევდორე—1425, 1429 და 1434 წლ. და შიო—1440 და 1446 წლ. [2]):

ალექსანდრეს მეფობაში იერუსალიმში მცხოვრებელ ივერიელებმა წაართვეს სომხებს ადგილი გოლგოთის მთაზე, რომელიც წინედ ამ უკანასკნელებს ეჭირათ. პატრიარქმა მარტიროსმა გამოაგდო ივერიელნი ამ ადგილიდამ, მაგრამ მათ ხელ მეორედ დაეპატრონენ მას. ჩვენ ვიცით, რომ ივერიელებს ეკუთვნოდა ეკვტერი, მიშენებული წმ. საფლავის ეკლესიაზე, აღმოსავლეთის მხრით, სადაც ის ორმო იყო, რომელშიაც იყო ჩაყენებული ჯვარი უფლისა ჯვარცმის დღეს. რასაკვირველია, ორივე მხარენი ერთიერთს ეცილებოდენ ამ წმინდა ადგილის დაფლო-

---

[1]) ფანასკერტელებად ძველად თ. ციციშვილებს უწოდებდენ. ისინი ამაღლდენ ახალციხეში თამარისობას, რომელმაც მიუბოძა მათ ფანასკერტის მამული. ამ ფანასკერტელთა შორის თემურლენგის დროს გამოჩენილი იყო ზაზა, რომელიც გარდაესახლა ქართლში, მას დარჩა შვილი ციცი, რომლის გვარი კონსტანტინეს მეფობაში 1488 წ. თავადობის ღირსებით დაჯილდოებული იქნა. Груз. двор. акт. ა. ხახანაშვილისა გვ. V.

[2]) ამით უნდა აიხსნას ის, რომ ძველად ერთ და იმავე დროს ივერიაში რაოდენიმე კათალიკოზები იყვენ.

ბის შესახებ. შემდეგში მოვიხსენიებთ, ვის დარჩა უპირატესობა.—მეფე ალექსანდრეს მემკვიდრე ვახტანგ III იყო. მან იოანე ათაბეგის სიკვდილის შემდეგ, 1444 წ., დანიშნა იმის ადგილზე შვილი მისი აღბუღა. მაგრამ გარდაცვალებულის იოანეს ძმა, ყვარყვარე, ამით უკმაყოფილო დარჩა, შეებრძოლა აღბუღას, მაგრამ იძლია. აღბუღამ დაგვიტევა სჯულ-მდებლობა მის მიერ შედგენილი, რომელიც მოიწონა მეფე გიორგი VII და რომელიც შეტანილია ცნობილს ქართულ კანონების კრებაში, ვახტანგ მეფის მიერ გამოცემულში. ამბობენ, რომ იმავე წელს ჯაჰან-შახი [1]) შეესია სამცხეს და, ომის შემდეგ, რომლის ბოლო საეჭვოდ დარჩა, იდუმალ უკანვე დაბრუნდა. მეფე ვახტანგი გარდაიცვალა 1447 წ.

იმის მემკვიდრედ მისი ძმა გიორგი VIII იყო. ჩვენ გვაქვს დაცული მოწმობა, რომ გიორგი კახეთში მეფობდა უკვე 1442 წ. ამას გვაჩვენებს წარწერა ტრაპეზის ფიცარზე, ინდიკტიონის მე 6949 წ., გრემის ეკლესიაში, რომელიც უნახავს 1589 წ. მოხუცს ზაკეს, კახეთში გაგზავნილ რუსის დესპანის, თავ. ზვენიგოროდსკის მხლებელს.

1450 წ. ბიზანტიის უკანასკნელმა იმპერატორმა, კონსტანტინე დროგაზმა [2]) გამოგზავნა აღმოსავლეთში პროტოვესტიასი [3]) ფრანცა და მიანდო მას, გარემოების მიხედვით გამოეთხოვა მისთვის ცოლად ანდა ტრაპიზონის იმპერატორის და ან მეფის გიორგის ასული. მეფე გიორგიმ განაცხადა თავისი თანხმობა თავის მხრით. ფრანცის დაბრუნების შემდეგ იმპერატორმა 1452 წ. მიიღო გიორგი მეფის წინადადება შესახებ მზითვის რაოდენობისა და სხვა საქმეებზედ [4]), მაგრამ ამ დროს ოსმალებმა

---

[1]) მემკვიდრე შაჰ როხისა ანუ შარუხისა.

[2]) ეს კონსტანტინე XI პალეოლოგი ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი იყო. ის მოჰკლეს კონსტანტინეპოლის აღების დროს, 29 მაისს 1453 წ. ოსმალებმა.

[3]) ანუ უფროსი კარის კაცი (Grand chambellan).

[4]) ქართლის მეფე აძლევდა მზითევში თავის ქალს ერთხანად 56

შემოზღუდეს კონსტანტინეპოლი, რის გამო ეს კავშირი ჩაიშალა. ქართული მატიანე არას მოგვითხრობს ამაზე, ცალი სიტყვითაც არ იხსენებს ივერიის ბატონის ასულს, რომელიც ბერძნის იმპერატორის საცოლოდ ინიშნებოდა.

1414 წლიდამ დაწყებული ოსმალები გამოჩნდენ შავიზღვის ნაპირებზედაც; ისინი 1451 წ. 50 ხომალდით [1]) დაეცენ აფხაზეთს, დაიჭირეს და აიკლეს ცხომი [2]) და მოასწრეს იქედამ უკანვე გაბრუნება მეფე გიორგის მისვლამდი, რომელმაც, რა ველარ ნახა იქ ოსმალები, უკანვე გეგუთს დაბრუნდა. იმავე ხანში შარვანის ქალაქის ყაბალის მკვიდრნი აღუდგენ მეფეს. გიორგი წავიდა, დაიპყრა ეს მხარე და აიძულა იმის მფლობელი, ადრინდულად ხარკი ეძლია.

კონსტანტინეპოლი თურქებმა აიღეს 9 მაისს [3]) 1453 წ., შემდეგ 1123 წლის აღმოსავლეთის იმპერიის არსებობისა. ხუთი წლის შემდეგ ამ უბედურ შემთხვევისა რომის პაპმა პიო

ათასს დუკატს, ხოლო ხუთი ათასი წლიურ პენსიად უნდა ეძლია. ფრანცის მოგზაურობას ვრცლად აგვიწერს გამოჩენილი ისტორიკოსი გიბბონი, რომლის სიტყვები გიორგი მეფის ქალის მზითევის შესახებ წინეთ მოვიყვანეთ „როკორც კი ფრანცა შემოვიდა საქართველოში ანუ ივერიაში, იქაური ქალაქების, დაბების და სოფლების მცხოვრებნი შეიკრიბნენ უცხოელების სანახავად.—ფრანცის ამალას შეადგენდენ წარჩინებულნი, იმპერატორის დამცველი გვარდია, ბერები და ექიმები. მათ მოუმატეს აგრეთვე მთელი დასი მუტრიბთა. (მუზიკანტები).—ამ დესპანების გამოგზავნა ფრიად ძვირად დაჯდა და იმათი მიმოხვლა ორი წელზე მეტი გაგრძელდა. „Gibbon. Décad. et ch. de l'emp. Rom. გვ. 868 და 869. II ტ. პლ. იოსელიანი ტფილისის აღწერამი მოიხსენიებს ამ ფრანცის ანუ, როგორც ის უწოდებს, ფრანჩას, რომელიც ელჩად გამოგზავნილი იყო მეფე გიორგი VIII ქალის სათხოვნელად. ის ამბობს, რომ ფრანჩას თავის ისტორიაში აუწერია, თუ როგორ ამზადებდენ მეფის ქალს ტახტისათვის-და აგრეთვე იმისი წაყვანა კონსტანტინოპოლში. Опис. др г. Тифлиса. გვ. 76.

[1]) ვახუშტით „50 კატარღითა„ ე. ი. სამარ გემებითა.

[2]) ვხლანდელი სოხუმი.

[3]) აქ ავტორის მძრით lapsus kalami უნდა იყოს, ვინაიდგან კონსტანტინეპოლი 29 მაისს 1453 წ. აიღეს ოსმალებმა, როგორც თვით ავტორი ქ. ცხ. შენ. სწორედ სწერს. გვ. 683, შენ 1..

II გამოგზავნა აზიაში ლუდოვიკი ბოლონელი, „ძმათა მქადაგებელთა“ საზოგადოების წევრი შესაგონებლად იმისა, რომ ყველა ერნი შეერთებულიყვენ თურქების შესაბრძოლებლად ბურგუნდის ჰერცოგის ფილიპე ქველის წინამძღოლობით. მართლაც, ლუდოვიკ ბოლონელმა მოიტანა ევროპაში წერილები, რომელშიაც გიორგიმ, ქართლის მეფემ, ბაგრატმა, იმერეთის მეფემ, ყვარყვარე ათაბეგმა, მამია გურიელმა, (ისტორიაში უცნობმა) ბედიან სამეგრელოის და რობიო აფხაზეთის მთავრებმა, (ორნივე აგრეთვე უცნობნი), ტრაპიზონის იმპერატორმა და ზოგიერთმა მუსულმანების მფლობლებმა ამ ომში მონაწილეობის მიღება იკისრეს. გარდა ხომალდებისა, მეკავშირეებმა აღუთქვეს 270 ათასის ჯარის გამოყვანა. გიორგი მეფის ელჩად ტფილისელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი იყო, ყვარყვარესი—ვინმე კუსტადატი ე. ი. კონსტანტინე, აგრეთვე დანარჩენთ ხელმწიფეთაგან იყვნენ გამოგზავნილნი ელჩები, რომელნიც ყველანი შეიყარნენ ვენეციაში 1460 წ. ლუდოვიკ ბოლონელმა აუხსნა კრებას მიზანი და ყოველნი დათანხმდენ მასზედ, რომ საზოგადო მტერს ერთად დაეცენ. მაგრამ ფილიპე ქველმა პირადის შეხედულობით უარი განაცხადა თავის აღთქმის [1]) ასრულებაზე, რის გამო საქმე ჩაიშალა.

1455 წ. გარდაიცვალა იმერეთის ერისთავი დიმიტრი, რომლის ნაცვლად მეფე გიორგიმ მისი შვილი ბაგრატი დააყენა. მაგრამ 7 წლის შემდეგ ბაგრატმა ყვარყვარე ათაბეგის შეგონებით განაცხადა იმერეთის დაუმოუკიდებლობა და მეფედ ეკურთხა ქ. ქუთაისში. მან აგრეთვე დამოუკიდებელ მმართველებად აღიარა დადიანი, გურიელი, აფხაზეთის და სვანეთის ერისთავები, რომელნიც მას შეეწიენ გამეფების დროს. მეფე გიორგიმ თავის საკუთარის ჯარის შეკრება ველარ მოასწრო, დამარცხდა იმერეთში და უკან გაიქცა. როცა სამცხეში შევიდა, მან შეიტყო, რომ უზუნ-ხასანს ესრედ წოდებულის თეთრი-

---

[1]) ბურგუნდიის ჰერცოგმა, რომელიც სარდლად უნდა ყოფილიყო.

შემოზღუდეს კონსტანტინეპოლი, რის გამო ეს კავშირი ჩაიშალა. ქართული მატიანე არას მოგვითხრობს ამაზე, ცალი სიტყვითაც არ იხსენებს ივერიის ბატონის ასულს, რომელიც ბერძნის იმპერატორის საცოლოდ ინიშნებოდა.

1414 წლიდამ დაწყებული ოსმალები გამოჩნდენ შავიზღვის ნაპირებზედაც; ისინი 1451 წ. 50 ხომალდით [1]) დაეცენ აფხაზეთს, დაიჭირეს და აიკლეს ცხომი [2]) და მოასწრეს იქედამ უკანვე გაბრუნება მეფე გიორგის მისვლამდი, რომელმაც, რა ველარ ნახა იქ ოსმალები, უკანვე გეგუთს დაბრუნდა. იმავე ხანში შარვანის ქალაქის ყაბალის მკვიდრნი აღუდგენ მეფეს. გიორგი წავიდა, დაიპყრა ეს მხარე და აიძულა იმის მფლობელი, ადრინდულად ხარკი ეძლია.

კონსტანტინეპოლი თურქებმა აიღეს 9 მაისს [3]) 1453 წ., შემდეგ 1123 წლის აღმოსავლეთის იმპერიის არსებობისა. ხუთი წლის შემდეგ ამ უბედურ შემთხვევისა რომის პაპმა პიო

ათასს დუკატს, ხოლო ხუთი ათასი წლიურ პენსიად უნდა ეძლია. ფრანცის მოგზაურობას ვრცლად აგვიწერს გამოჩენილი ისტორიკოსი გიბბონი, რომლის სიტყვები გიორგი მეფის ქალის მზითევის შესახებ წინეთ მოვიყვანეთ „როკორც კი ფრანცა შემოვიდა საქართველოში ანუ ივერიაში, იქაური ქალაქების, დაბების და სოფლების მცხოვრებნი შეიკრიბნენ უცხოელების სანახავად.—ფრანცის ამალას შეადგენდენ წარჩინებულნი, იმპერატორის დამცველი გვარდია, ბერები და ექიმები. მათ მოუმატეს აგრეთვე მთელი დასი მუტრიბთა. (მუზიკანტები).—ამ დესპანების გამოგზავნა ფრიად ძვირად დაჯდა და იმათი მიმოსვლა ორი წელზე მეტი გაგრძელდა. „Gibbon. Décad. et ch. de l'emp. Rom. გვ. 868 და 869. II ტ. პლ. იოსელიანი ტფილისის აღწერამი მოიხსენიებს ამ ფრანცის ანუ, როგორც ის უწოდებს, ფრანჩას, რომელიც ელჩად გამოგზავნილი იყო მეფე გიორგი VIII ქალის სათხოვნელად. ის ამბობს, რომ ფრანჩას თავის ისტორიაში აუწერია, თუ როგორ ამზადებდენ მეფის ქალს ტახტისათვის-და აგრეთვე იმისი წაყვანა კონსტანტინოპოლში. Опис. др г. Тифлиса. გვ. 76.

[1]) ვახუშტით „50 კატარღითა„ ე. ი. სამარ გემებითა.

[2]) ვხლანდელი სოხუმი.

[3]) აქ ავტორის მძრით lapsus kalami უნდა იყოს, ვინაიდან კონსტანტინეპოლი 29 მაისს 1453 წ. აიღეს ოსმალებმა, როგორც თვით ავტორი ქ. ცხ. შენ. სწორედ სწერს. გვ. 683, შენ 1..

II გამოგზავნა აზიაში ლუდოვიკი ბოლონელი, „ძმათა მქადაგებელთა“ საზოგადოების წევრი შესაგონებლად იმისა, რომ ყველა ერნი შეერთებულიყვენ თურქების შესაბრძოლებლად ბურგუნდის ჰერცოგის ფილიპე ქველის წინამძღოლობით. მართლაც, ლუდოვიკ ბოლონელმა მოიტანა ევროპაში წერილები, რომელშიაც გიორგიმ, ქართლის მეფემ, ბაგრატმა, იმერეთის მეფემ, ყვარყვარე ათაბეგმა, მამია გურიელმა, (ისტორიაში უცნობმა) ბედიან სამეგრელოის და რობიო აფხაზეთის მთავრებმა, (ორნივე აგრეთვე უცნობნი), ტრაპიზონის იმპერატორმა და ზოგიერთმა მუსულმანების მფლობლებმა ამ ომში მონაწილეობის მიღება იკისრეს. გარდა ხომალდებისა, მეკავშირეებმა აღუთქვეს 270 ათასის ჯარის გამოყვანა. გიორგი მეფის ელჩად ტფილისელი ეპისკოპოსი ნიკოლოზი იყო, ყვარყვარესი—ვინმე კუსტადატი ე. ი. კონსტანტინე, აგრეთვე დანარჩენთ ხელმწიფეთაგან იყვნენ გამოგზავნილნი ელჩები, რომელნიც ყველანი შეიყარნენ ვენეციაში 1460 წ. ლუდოვიკ ბოლონელმა აუხსნა კრებას მიზანი და ყოველნი დათანხმდენ მასზედ, რომ საზოგადო მტერს ერთად დაეცენ. მაგრამ ფილიპე ქველმა პირადის შეხედულობით უარი განაცხადა თავის აღთქმის [1]) ასრულებაზე, რის გამო საქმე ჩაიშალა.

1455 წ. გარდაიცვალა იმერეთის ერისთავი დიმიტრი, რომლის ნაცვლად მეფე გიორგიმ მისი შვილი ბაგრატი დააყენა. მაგრამ 7 წლის შემდეგ ბაგრატმა ყვარყვარე ათაბეგის შეგონებით განაცხადა იმერეთის დაუმოუკიდებლობა და მეფედ ეკურთხა ქ. ქუთაისში. მან აგრეთვე დამოუკიდებელ მმართველებად აღიარა დადიანი, გურიელი, აფხაზეთის და სვანეთის ერისთავები, რომელნიც მას შეეწიენ გამეფების დროს. მეფე გიორგიმ თავის საკუთარის ჯარის შეკრება ველარ მოასწრო, დამარცხდა იმერეთში და უკან გაიქცა. როცა სამცხეში შევიდა, მან შეიტყო, რომ უზუნ-ხასანს ესრედ წოდებულის თეთრი-

---

[1]) ბურგუნდიის ჰერცოგმა, რომელიც სარდლად უნდა ყოფილიყო.

ცხვრის ურდოს წინამძღოლს, აეკლო ქართლი გილანის ჯარით. მეფე გარდავიდა თავისს სამფლობელოში და შეეტაკა თათრებს, მაგრამ ხელმეორედ დამარცხდა, რის გამო შირვანის მაზრა და მისი არემარე სამუდამოდ ჩამოერთვა ივერიის სამეფოს 1463 წ.-ორი წლის შემდეგ მან ხელახლად ეცადა ათაბეგის დამორჩილება; მაშინ წარჩინებულებმა შეითქვეს მეფის წინააღმდეგ, მაგრამ იოთამ ზედგინიძემ აუხსნა მეფეს შეთქმულების განზრახვა და მეფის საწოლში თვითონ ჩაწვა, სადაც ის მოკლული იქმნა მეფის ნაცვლად. იოთამის ამ გვარ ერთგულებისათვის მეფე გიორგიმ იმის შვილებს და ნათესავებს უბოძა რაოდენიმე ციხე და დიდი მამულები, სამთავისის [1]) ეკლესია თავისის სამარხით და ამილახვარის ე. ი. სამეფო სამეჯინიბოს და ცხენის ჯოგთა უფროსობა, რომელიც მემკვიდროებით დარჩა ამ გვარში, რომელიც თავისს ღირსებით მთელს ივერიაში სამეფო დანასტიის შემდეგ მესამე გვარად ირიცხებოდა [2]). თვით თანამდებობა გვარად გარდაიქცა და ზედგინიძის გვარი შეიცვალა ამილახვრად. ამის გარდა ამილახვრებმა მიიღეს მოურაობა გორის ქ-სა, რომელიც ქართველების ქალაქების შორის მეორედ ირიცხება. თუმცა მეფე გიორგი ამ განსაცდელს გადარჩა, მაგრამ ომში, რომელიც ფარავანის ტბის ახლოს მოხდა ყვარყვარიე ათაბეგთან, აღბუღის მემკვიდრესთან, დაამარცხეს და ტყვედ წაიყვანეს.

იმერეთის მეფემ ბაგრატმა ისარგებლა ამით და დაიპყრა ქართლი 1466 წ. ამის მიმხედავმა ბაადურმა, ყვარყვარეს შვილ-

---

[1]) სამთავისის ტაძარი რეხულის ხეობაშია ამილახვრიანთ მამულში და ეკუთვნის ბაგრატ IV დროს, როგორც ამტკიცებს უძველესი იმისი 1050 წლ. წარწერა (ბროსსე. Voyage arch. VI, 121—125).

[2]) ვახტანგ მეფის სჯულდება რაცხს ამილახვრებს არაგვის და ქსნის ერისთავების შემდეგ პირველად და. ორბელიანთ წინეთ, უმთავრეს დიდებულთ შორის მესამე წყებაში ქარ. ცხ. გვ. 686 შ. 2. ვახუშტიც ამტკიცებს ზემოხსენებულ ამბავს ამილახვრების შთამომავლობის შესახებ. ისტ. საქ. გვ. 36.

მა და მემკვიდრემ, განათავისუფლა დატყვევებული მეფე გიორგი, რომელმაც ჰპოვა თავისი სამეფო უწინდელზე უფრო დანაწილებული. აღმოსავლეთ ივერიაში მდ. არაგვის მარცხენა ნაპირიდამ ალაზნის ხეობის მარცხენა მხარემდი კახელებს მეფედ აღეარნათ ვიღაც დავითი, მეფის შთამომავალი, იმისათვის, რომ ბაგრატს არ დამორჩილებოდენ; როგორც ამბობენ, ეს დავითი დიმიტრის შვილი უნდა ყოფილიყოს და ზემოხსენებული მეფე ალექსანდრეს შვილის შვილი. ბაადურის შემწეობით გიორგიმ მოახერხა ბაგრატის განდევნა ქართლიდამ; მან აგრეთვე დავითიც აიძულა, თუშეთში გაქცეულიყო. მაგრამ 1462 წ. ის ისევ დაბრუნდა და გადაჭრით გამოაცხადა თავისი თავი კახეთის დაუმოუკიდებელ მეფედ. გიორგიმ ველარ მოასწრო საქართველოს შეერთება და გარდაიცვალა იმავე წელში; ის დამარხეს მცხეთაში. გიორგი VIII განათავისუფლა საეკლესიო მამულები ყველა სახელმწიფო გარდასახადისაგან, თვით ესრედწოდებულ თათრის ხარაჯისაგან, რომელსაც იხდიდენ თათრების სასარგებლოდ. XVI საუკ. დამლევს სიმონის მეფობაში თათრის ხარაჯი აღარ იხსენება მცხეთის სითარხნის გუჯარში.

ამ გვარად დაირღვა და დანაწილდა საბოლოოდ ივერიის სამეფო, დაარსებული ფარნავაზის მიერ 302 წ. ქრ. შ. წ.. თითქმის 15 საუკუნე მონგოლთ შემოსევამდი იქ ერთობა სუფევდა 5 დანასტიის მართველობაში, რომელიც დამყარებული იყო პატრიარქალურ ფეოდალიზმისა მჭიდრო კავშირზე. 1243 წ. უცხო ტომელებმა გაჰყვეს სამეფო უფლება ორ მეფეთა შორის და მით ბოლო მოუღეს ერთობას და შეიტანეს მომავალში შუღლი და შლილობა. 1314 წ. გიორგი ბრწყინვალემ, ისარგებლა ილხანების დაუძლერებით, იწყო იმერეთის და სამცხის შემოერთება ქართლის სკიპტრის ქვეშ და კიდეც სისრულეში მოიყვანა თავისი განზრახვა, თუმცა-მთლად კი ვერა;—გამოჩნდა თემური, რომელიც თითქმის 20 წლის განმავლობაში სწეწდა და გლეჯდა ივერიას თავისის წამლეკავის თავ. დასხმით. ამით მისცა საშვალება ამა მხარის დასავლეთ ნაწილის მთავ-

რებს თანდათან ჩამოკილებოდენ ქართლს. ხანგრძლივ მეფობის დროს ალექსანდრემ ლამის განამტკიცა თავისთვის და აგრეთვე თავის შთამომავლობისათვის სამეფო უფლება მთელ სახელმწიფოის მიწაწყალზე, მაგრამ ხელახლად აღორძინებელმა თემურის შვილების ძლიერებამ და დახელოვნებულმა ცბიერობამ ორის თათრის დინასტიისამ—თეთრის და შავის ცხვრისა [1])-არ შეეძლოთ არ დაეძლიათ ეს რიცხვ მცირე ერი, რომელსაც თანდათან ძალ-ღონე აკლდებოდა ურთიერთშორის ბრძოლით და რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ სახელმწიფო დაწესებულებას. ამ გვარად დამღუპველი შედეგი სამეფოს ნაწილ-ნაწილად დაყოფისა გამოჩნდება ახალ ისტორიის აღწერაში.

---

[1]) ესრედ იწოდებოდა ორი ურთიერთ შორის მეტოქე თათრების თემი.

უმთავრესი შეცდომების გასწორება

155 გვ. ზემოდამ მეოთხე სტრიქონის შემდეგ გამოტოვებულია შემდეგი: „დავითის მემკვიდრე შეიქნა ძე მისი დიმიტრი I, რომელიც იყო სომხის ქალის შვილი, თუმცა ისტორიამ არ იცის ამისი სახელი. დიმიტრის გამეფების შემდეგ ხორასანიდან ჩამოვიდა აბულსეევრის ერთი შვილთაგანი და სთხოვა აბულეთ ორბელიანს, დაეთმო უკანასკნელს პირველისთვის მამისეული ქალაქი ანი. რადგან აბულეთი თურქებისგან შიშობდა ერთობ,— და ამიტომ თავის შვილის ივანეს მომავალი ძლიერ აღონებდა,— დათანხმდა“.

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
II	28	არ არის	არ გვაქვს
46	15	264 წ.	262
59	33	228 წ.	328 წ.
61	17	322 წ.	332 წ.
63	10	365 წ.	364 წ.
78	29	ჭერამისა	ჭერემისა
79	17—18	ჭერამი	ჭერემი
80	2	ჭერამი	ჭერემი
89	3	რიონის	00
97	22	X	VI
100	10	განდრეკელი	განუდრეკელი
123	17	927 წ.	939 წ.
129	27	924 წ.	994 წ.
141	24	1060 წ.	1050 წ.
143	3	1042 წ.	1056 წ.
150	27	ლიპარატის	ლიპარიტის
151	11	აბულელმა	აბულეთმა
„	27	ბეჟკენ	ბეშკენ
156	3	აბულელმა	აბულეთმა
157	20	1195 წ.	1196 წ.
158	4	სეკმანის	სუკმანის
159	27	აშარნისას	აშარნიისას
160	6	მოქანდავე	მოქანდაკე
„	3	1117	?

165	11	ყიზილარსანმა	ყიზილარსლანმა
168	3	მხარგრძელმა	მხარგრძელი
174	4	კორნი	კარნი
178	23	იდიაქუთი	იდიქუთი
186	28	თამარმა	თამარი
188	15	სარდლებნად	სარდლებად
202	12	Ლუდჯუყების	სელჯუკების
204	4	ენკასირის	ევეკასირის
206	2	ფოთსში	ფოთში
207	16	ანიკის	ანიკის
208	7	ჩასვენ	ჩასვეს
209	29	ფარსმანმა	ფარეჯანმა
213	26	ხლოს	ახლოს
214	20	1407 წ.	1307 წ.
217	6	1320 წ.	1330 წ.
222	8	მარონ-შაჰი	მირონ-შაჰი
224	5	1043 წ.	1403 წ.
228	7	ფეშკენანუ	ფეშკენ ანუ
231	22	ანდა	ან და
233	32	ჰურცოგმა	ჰერცოგმა
235	10	1462 წ.	1469 წ.

ბიბლიოთეკა

შთამომავლობითი სია საქართველოს მეფეთა [1]).

სამარა (მამასახლისი მცხეთისა + 322 წ. ქრ. შ. წინ).

აზონ ბერძენი (პატრიკი ანუ ერისთავი ქართლისა, ალექსანდრე მაკედონიელის მიერ დადგენილი).

1. ფარნავაზ (302—237 წ. ქრ. შ. წინ.).
2. საურმაგ (237—162).
3. მირვან I (სიძე საურმაგისა 162—112).
4. ფარნაჯომ (112—93).
5. არშაკ (სიძე ფარნაჯომისა 93—81).
6. არტაგ (81—66).
7. ბარტომ (66—33).
8. მირვან II (ძე ფარნაჯომისა 33—23).
9. არშაკ II (23 და 2).
10. ადერკი (2 წ. ქრ. შ. წ. + 55 წ. ქრ. შ. შემდ.) შვილის შვილი ბარტომ I).

ქრისტეს შობის შემდეგ.

ორმეფობა (დეკარხები)

11. ბარტომ II (55—72) და ქართამ.
12. კაოს (72—87) და ფარსმან I.
13. არმაზელ (87—103) და აზორკ.
14. დეროკ (103—113) და ამზასპ I.
15. მირდატ I (113—129) და ფარსმან II ქველი.

16. ადამ (129—132 ფარსმან II ქველის შვილი).
17. ფარსმან III (132—182).
18. ამზასპ II (182—186).
19. რევ (186—213. დისწული, ძე სომეხთ მეფისა).
20. ვაჩე (213—231).
21. ბაკურ I (231—246)
22. მირდატ II (246—262).
23. ასფაგურ (262—265).
24. მირიან (265—342), ძე სპარსეთის მეფის ქასრე არდაშირისა).
25. ბაქარ I (342—364).
26. მირდატ III (364—379)
27. ვარაზ ბაქარ ანუ ბაქარ II (379—393).
28. ტრდატ (393—405. ძე რევისა, შვილის შვილი მირიანისა.
29. ფარსმან IV (405—408. ძე ვარაზ-ბაქარისა).
30. მირდატ IV (408—410. ძმა ფარსმანისა).
31. არჩილ I (410—434).
32. მირდატ V (434—446).
33. ვახტანგ გურგასლანი (446—499).
34. დაჩი (499—514).
35. ბაკურ II (514—528)
36. ფარსმან V (528—542).
37. ფარსმან VI (542—557. ძმისწული ფარსმან V).
38. ბაკურ III (557—570).
39. გვარამ I კუროპალატი (575—600, ვახტანგ გურგასლანის ასულის შთამომავალი ბაგრატიონი—მთავარი).
40. სტეფანოზ I (600—619).
41. ადარნასე (619—639. ძე ბაკურ III).
42. სტეფანოზ II 639—663).
43. შირ (663—668).
44. არჩილ (668—718. ძმა შირისა).
45. ი.ნე (718—786).
46. აშოტ კუროპალატი (786—82 შვილის შვილი ნერსეისა, სტეფანოზ I შვილის, გვარამის შვილის შვილისა).
47. ბაგრატ I (826—876).
48. დავით მეფე კუროპალატი (876—881).
49. ადარნასე II (881—923).
50. სუმბატ (923—958).
51. დავით ანუ ბაგრატ II რეგვენი (958—994).
52. გურგენ მეფეთ მეფე (994—1008). ბაგრატ III (980—1014).
53. გიორგი I (1014—1027).
54. ბაგრატ IV (1027—1072).
55. გიორგი II (1072—1089).
56. დავით აღმაშენებელი (1089—1125).
57. დიმიტრი I (1125—1154).
58. დავით III (1154—მეფობს ექვსი თვე).
59. გიორგი III (1154—1184 ძმა დავითისა).
60. თამარ (1184—1212).
61. გიორგი IV ლაშა (1212—1223).
62. რუსუდან (1223—1247).
63. დავით IV ნარინი (1243—1293) და დავით V სოსლანი (1243—1269).
64. დიმიტრ II თავდადებული (1273—1292 დავით სოსლანის შვილი).
65. ვახტანგ II (1289—1292. დავით ნარინის შვილი).
66. დავით VI (1292—1310 ძე დიმიტრი თავდადებულისა, ვახტანგ III და გიორგი მცირე (1308—1318).
67. გიორგი V ბრწყინვალე (1318—1346 ძე დიმიტრი თავდადებულისა).
68. დავით VII (1346—1360).
69. ბაგრატ V დიდი (1360—1395).
70. გიორგიVII (1395—1407).
71. დავით VIII } 1407—1413
72. გიორგი VIII }
73. ალექსანდრე (1413—1442).
74. ვახტანგ IV (1442—1445).
75. დიმიტრი შუათანა (გამეფდება იმერეთში 1445—1552 ძმა ვახტანგ IV).
76. გიორგი IX უმცროსი (ქართლის მეფე 1445—1469 ძმა ვახტანგ IV).

აქ უნდა დავსძინოთ, რომ 1) წ. ნინოს ცხოვრების ახალ ვარიანტით, რომელიც ბ. ე. თაყაიშვილის მიერ გამოიცა 1891 წ. პირველ მეფედ არის ნაჩვენები ა რ ა ნ და მეორედ აზო, ხოლო ფარნავაზი ირიცხება მესამე მეფედ, აგრეთვე ფარსმან II ქველისა და მირდატ I შემდეგ ვიდრე ადამის გამეფებამდე არის ხსენებული მეფე რ ო კ, ხოლო შემდეგ ასფაგურისა ვიდრე მირიანამდე—მეფე ლევ. ამ ვარიანტის ჩვენებით გვარამ კუროპალატამდე ირიცხებიან 42 მეფე, მაშინ როდესაც ვახუშტის და ბროსსეს ხრონოლოგიით ნაჩვენებნი არიან მხოლოდ 38. 2) თეიმურაზ ბატონიშვილი თავის საქართველოს ისტორიაში გვ. 110 იხსენიებს ამ ვარიანტს აზოს აზონად, ძედ არიანესა მაკედონელთ მთავრისა და სხოლიოში ამბობს, რომ კათალიკოზი არსენი დიდი სწერსო აზონს ძედ არიანესა.

---

(1) რიგი ციფრებისა უჩვენებს, ვინ ვის შემდეგ მეფობდა. ნიშანი + უჩვენებს სიკვდილის დროს. ამასთანავე ფრჩხილებში მოგვყავს ხრონოლოგია ვახუშტის მიერ შემუშავებული და ბროსსეს მიერ შესწორებული, რომლიდანაც სჩანს, თუ რომელი მეფე ანუ მეფის მოადგილე (მთავრის ანუ ერისთავთ-ერისთავის სახელწოდებით) რამდენს წელს მეფობდა ე. ი. პირველი რიცხვი აჩვენებს გამეფების და უკანასკნელი გარდაცვალების წელს.

შთამომავალობითი სია ძველის აფხაზეთის ერისთავთა და მეფეთა

1. ლეონ I ერისთავი (თანამედროვე მეფ. მირისა და არჩილისა)
2. ლეონ II (ძმისწული ლეონ I პირველად ერისთავი და შემდეგ მეფედ შეიქნა 786-806)
3. თევდოსე I (ძე ლეონ II + 845)
4. გიორგი I (ძმა თევდოსესი + 875)
5. იოანე (+879)
6. ადარნასე (+887)
7. ბაგრატ (ძმისწული გიორგი I + 906)
8. კოსტანტინე (906—921)
9. გიორგი II (921—955)
10 ლეონ III (955—964)
11. დემეტრე (964—979 ძმა ლეონ III.)
12. თევდოსე II ბრმა + 985 ძმა ლეონ III)

ამათი და გურანდუხტ, დედა ბაგრატ III, გურგენ მეფ. მეფ. შვილისა, რომლისგანაც იწყება აფხაზეთის და ქართლის სამეფოების გაერთება.

ლაზიკის მეფეთა სია

გუბაზ [1]) (461)
ცატე (ბაქრ. წათესი) (ქრისტეს სჯული მიიღო 522)
დამნაზესი I
გუბაზ II + 554
წათესი (ცატე) II.

შთამომავლობითი სია კახეთის მთავართა ანუ ქორიკოზთა

1. გრიგოლ (787—827)
2. ვაჩე ანუ დაჩე (ივანე ქვაბულის ძის ძე, არჩეული გარდაბანელთა მიერ 827—839)
3. სამოელ დონაური (არჩეული ვაჩეს შემდეგ 839-861)
4. გაბრიელ დონაური (ძმა სამოელისა 861—881)
5. ფადალა I არევმანელი (სამოელის ძმის წული 881-893)
6. კვირიკე I (893—918)
7. ფადალა II (ძე კვირიკესი 918—929)
8. კვირიკე II (929—976)
9. დავით (976—1010)
10. კვირიკე III დიდი (1010—1029)
11. გაგი ანუ გაგიკ (დისწული კვირიკე დიდისა 1029—1058)
12. აღსართან I (1058—1084)
13. კვირიკე IV (1084—1102)
14. აღსართან II (ძმისწული კვირიკე IV 1102—1105)

ამ დროიდამ კახეთის სამეფო, შეერთებული ქართლის სამეფოსთან დავით აღმაშენებელის მიერ, შეადგენს საქართველოს სამეფოს 363 წლის განმავლობაში.

---

[1]) იგივე გუბაძე.

შთამომავლობითი სია ქართლის მეფეთა.

გიორგი VIII († 1469)

1. კონსტანტინე III (1469—1505)

2. დავით VIII (1505—1525)
3. გიორგი IX, ძე კონსტანტინე III, (1525—1535)
4. ლუარსაბ I, ძე დავით VIII, (1535—1558)

5_1. სვიმონ I (1558—1569)
6. დავით ანუ დაუთ-ხან, ძმა სვიმონისა, (1569—1578)
5_2. სვიმონ I (1578—1600)

7. გიორგი X (1600—1605)

8. ლუარსაბ II (1605—1616)
9. ბაგრატ VI, ძე დაუთხანისა, (1616—1619)

10. სვიმონ II (1619—1629)
11. თეიმურაზ I კახთა ბატონი (1629—1634)
12. როსტომ, ძე დაუთ-ხანისა, (1634—1658)
13. ვახტანგ V ანუ შაჰნავაზ I, ძე მუხრანის ბატონის თეიმურაზისა, რომელიც იშვილა როსტომ მეფემ, (1658—1676)

14_1. გიორგი XI ანუ შაჰნავაზ II (1675—1688)
15. ერეკლე I კახეთისა, მუხრან-ბატონის შვილის დავითის ძე, (1688—1691)
1[illegible]. გიორგი XI ანუ შაჰნავაზ II (1691—1695)
[illegible]. ერეკლე I მეფე კახეთისა (1695—1703)
[illegible]. ვახტანგ VI, ძე ლევანისა, შვილის შვილი ვახტანგ V, გამგეველი ქართლისა—(1703—1709)
17. ქაიხოსრო, ვახტანგ VI ძმა, (1709—1711)
16_2. ვახტანგ VI მეფე (1711—1714)
18_1. იესე, ძმა ვახტანგ VI, (1714—1716)
19. ბაქარ, ძე ვახტანგ VI, (1716—1718)
16 . ვახტანგ VI (1719—1724)
18_2. იესე ანუ მუსტაფა-ფაშა (1724—1727)
20. კონსტანტინე II კახეთისა ანუ მაჰმად-ყული-ხანი (1724 - 1729). 1724—1735 წლებში ქართლს განაგებს უმეტეს შემთხვევაში ისაყ-ფაშა ახალციხისა
21. ალექსანდრე ანუ ალი-მირზა, ძე კახეთის მფლობელის დავით III, ანუ ალი-ყული-ხანისა, გამგებელი ანუ ვალი ქართლისა (1736)
22. ხანჯალ-ხანი გამგე ქართლისა (1736)
23. ალავერდი-ხანი, იესე მეფის უკანონო შვილი, გამგე ქართლისა (1737)
24. გიორგი აბდულ-ბეგი ანუ არჩილ II, ძე იესე მეფისა, მეფე (1737)
25. თეიმურაზ II, ირაკლი I შვილი, (1744—1760)

26. ირაკლი II (1760—1798)

27. გიორგი XII (1798—1800)

28. დავით, გამგებელი ქართლისა და კახეთისა (1801)

შთამომავლობითი სია კახეთის მეფეთა.

1. დავით I შვილი დიმიტრისა, მეფის ალექსანდრეს ძისა, (1466—1471)

2. გიორგი I (ანუ ლევან I) (1471—1492)

3. ალექსანდრე I (1492—1511)

4. გიორგი II, ავ-გიორგი (1511—1513)
5. დავით VIII, მეფე ქართლისა, განაგებს კახეთს (1513—1520)
6. ლევან II, ძე გიორგი II, (1520—1574)

7. ალექსანდრე II (1574—1605)

8. დავით II (მეფობს ექვს თვეს 1603 წ.)
9. კოსტანტინე I, ალექსანდრე II ძე, (მეფობს ექვს თვეს 1605 წ.)
10_1. თეიმურაზ I, დავით II ძე, (1606—1615)
11. ისა-ხან (1615)
12. ალი-ყული-ხან (1516) 1616
10_2. თეიმურაზ I (მეფობს ექვს თვეს 1516)
13. ფეიქარ-ხანი (1616—1623)
14. ყარჩი-ხან ქართლისა (1624)
10_3. თეიმურაზ I (1623—1634)
15_1. სალიმ-ხან (1634)
10_4. თეიმურაზ I (1636—1648)
16. როსტომ მეფე ქართლისა და სალიმ-ხანი (1648—1657)
15_2. სალიმ-ხან (1657—1659)
17. მურთუ-ზალი-ხანი (1659—1664)
18. არჩილ მეფე ანუ შაჰნაზარ-ხანი, ძე ქართლის მეფის შაჰნავაზ I, (1664—1675)
19. ერეკლე I ანუ ნაზარ-ალი-ხანი, ძე თეიმურაზ I შვილის დავითისა, (მეფობს ერთ წელს 1675)
20. ბეჟან-ხან (1677—1683)
21. უცნობი ხანი (1683—1688)
22. აბაზ-ყული-ხან (1688—1694)
23. ქალ-ბალი-ხან (1695—1703)
24. დავით III მეფე ანუ იმამ-ყული-ხანი, ერეკლე I შვილი, (1703—1722)
25. კოსტანტინე II ანუ მაჰმად-ყული-ხანი, ერეკლე I შვილი, (1723—1729)
26. ალექსანდრე III ანუ ალი-მირზა, ძე დავით III (იმამ-ყული-ხანისა), (1736)
27. თეიმურაზ II, ძე ერეკლე I, (1737—1744)

28. ერეკლე II (1744—1798)

29. გიორგი XII (1798—1800)

30. დავით, გამგებელი ქართლისა და კახეთისა (1801) ✓

შთამომავლობითი სია იმერეთის მეფეთა:

1. დავით I მეფე ანუ ნარინ-დავით, ძე რუსუდანისა, თამარ მეფის ასულისა, (1259—1293)
2. კონსტანტინე I (1293—1327)
3. მიქელ I მეფე, ძმა კოსტანტინე I, (1327—1329)
4. ბაგრატ I ერისთავი, უმცროსად წოდებული, (1330—1372)
5. ალექსანდრე I მეფე (15 წ. ერისთავი, 2 წ. მეფე, 1372—1389)
6. გიორგი I მეფე, ძმა ალექსანდრე I, (1389—1392)
7. კოსტანტინე II მეფე, ძე ბაგრატ I, (1396—1401)
8. დიმიტრი ერისთავი, ძე ალექსანდრე I, (1401—1455)
9. ბაგრატ II მეფე (7 წ. ერისთავი, 16 წ. მეფე 1455—1478)
10. ალექსანდრე II (1478—1510)
11. ბაგრატ III მეფე (1510—1548)
12. გიორგი II მეფე (1548—1585)
13. ლევან მეფე (1585—1590)
14. როსტომ მეფე, ძე ბატონიშვილის კოსტანტინესი, ბაგრატ III შვილისა, (1590—1605)
15. გიორგი III მეფე, უკანონო შვილი კოსტანტინესი და ძმა როსტომისა, (1605—1639)
16. ალექსანდრე III მეფე (1639—1661)
17$_1$ ბაგრატ IV მეფე (იმეფა ექვსი თვე)
18$_1$ არჩილ მეფე, ძე ვახტანგ V, ქართლის მეფისა, (1661—1663)
17$_2$ ბაგრატ IV (1663—1668)
19. დარეჯან დედოფალი და ვახტანგ ჯუჯუნაშვილი (1668)
20. დემეტრე გურიელი მეფე (1669)
17$_3$ ბაგრატ IV მეფე (1669—1678)
18$_2$ არჩილ მეფე (ერთ წელს 1679)
17$_4$ ბაგრატ IV მეფე (1679—1681)
21. გიორგი III გურიელი მეფე (1681—1683)
22$_1$ ალექსანდრე IV მეფე, უკანონო შვილი ბაგრატ IV, (1683—1690)
18$_3$ არჩილ მეფე იმეფა ერთი წელი (1690—1691)
21$_2$ ალექსანდრე IV მეფე (1691—1695)
18$_4$ არჩილ მეფე (1695—1696)
23. გიორგი IV, გოჩიად წოდებული, (1696—1698),
18$_5$ არჩილ მეფე (იმეფა ექვსი თვე)
24. სვიმონ მეფე, ძე ალექსანდრე IV, (1699—1701)
25$_1$ მამია III გურიელი მეფე (იმეფა ერთი წელი)
26. გიორგი V აბაშიძე მეფე (1701—1707)
27$_1$ გიორგი VI მეფე, ძე ალექსანდრე IV, (1707—1711)
25$_2$ მამია III გურიელი მეფე (იმეფა ერთი წელი 1712)
27$_2$ გიორგი VI (იმეფა 10 თვე 1713)
25$_3$ მამია III გურიელი მეფე (იმეფა ორი თვე)
27$_3$ გიორგი VI მეფე (1714—1716)
28. გიორგი გურიელი IV მეფე (იმეფა 3 თვე)
27$_4$ გიორგი VI მეფე (იმეფა 6 თვე)
29. ალექსანდრე V (1721—1752)
30. გიორგი VII, ძე გიორგი VI, (მეფედ გახდა 1746 წ. და იმეფა ცოტა ხანი)
31. სოლომონ I დიდი, ძე ალექსანდრე V, (1752—1782)
32. დავით II მეფე, ძე გიორგი VII, (1782—1788),
33. სოლომონ II მეფე, ძე არჩილისა, სოლომონ I ძმისა, (1788—1810)

შთამომავლობითი სია სამეგრელოს დადიანთა*).

1. გიორგი I († 1323)
2. მამია I († 1345)
3. გიორგი II († 1384)
4. ვამიყ I ანუ ვამეყ († 1396)
5. მამია II († 1414)
6. ლიპარიტ I († 1470)
7. შამა-დავლე, დადიან-გურიელი († 1474)
8. ვამიყ II, ძე მამია II († 1482)
9. ლიპარიტ II, ძე შამა-დავლესი, († 1512)
10. მამია III, მამა ამისი ცნობილი არ არის, († 1532)
11. ლევან I († 1572)
12. გიორგი III († 1582)
13. მამია IV, ძმა გიორგი III, († 1590)
14. მანუჩარ I, ძმა გიორგი III, († 1611)
15. ლევან II, ძე მამია IV, († 1657)
16. ლიპარიტ III, მანუჩარ I შვილის შვილი, († 1658)
17. ვამეყ III, გიორგი I ლიპარტიანის შვილი, შვილის შვილი ლევან I, († 1661)
18. შამა-დავლე ანუ ლევან III მანუჩარ I შვილის-შვილი († 1680)
19. ლევან, უკანონო შვილი შამა-დავლესი, († 1694)

ჩიქოვანის შთამომავლობა.

20—I. გიორგი ლიპარტიანი, ძე კაცია ჩიქოვანისა.
21—II. კაცია I († 1710)
22—III. ბეჟან I, ძმა კაციასი, († 1728)
23—IV. ოტია († 1732, ანუ 1744)
24—V. კაცია II († 1788)
25—VI. გრიგოლ († 23 ოქტომბერს 1804)
26—VII. მანუჩარ, გრიგოლის ძმა, (გააძევეს 1796 წ.)
27—VIII. თია ანუ ტარიელ, გრიგოლის ძმა (გაძევებული)
28—IX. ლევან V, გრიგოლის შვილი, († 30 ივლისს 1846)
29—X. დავით († 1853, აგვისტოს 30)

---

*) უძველესი დადიანების შთამომავლობითი სია ცნობილი არ არის, მხოლოდ მოხსენებულნი არიან:

1. იოვანე ბაგრატ IV დროს (1027—1072)
2. შანმე გიორგი III დროს (1154—1184)
3. ვარდან თამარ მეფის დროს (1184—1212)
4. ცოტნე რუსუდან დედოფლის დროს (1223—1247)
5. ბედიანი დავით IV დროს (1243—1259)
6. მამია გიორგი V დროს (1318—1346)

მეთორმეტე საუკუნედან შემდეგი შთამომავლობითი სია ცნობილი:

ვარდან
|
ჯუანშერ
|
ვარდან ბედიანი
|
ერაშაჰრი გიორგი ივანე
(† 1323)

შთამომავლობითი სია გურიის მთავარ[illegible] ანუ გურიელთა *).

1. კახაბერი († 1483)
2. გიორგი I († 1512)
3. მამია I († 1534)
4. როსტომ († 1564)
5. გიორგი II († 1600)
6. ვახტანგ I (1583†1587)
7. მამია II, ძე გიორგი II († 1625)
8. სვიმონ I (ცოცხალია კიდევ 1672 წ.)
9. ქაიხოსრო I, ძე ვახტანგ I, († 1658)
10. დიმიტრი, ძე სვიმონ I, მეფე იმერეთისა 1668 წ. (ამ წლის ახლო ხანში გადაიცვალა)
11. გიორგი III გურიელ-დადიანი, ძე ქაიხოსრო I-სა, († 1684)
12. მალაქია, ძე ქაიხოსრო I, (შემოქმედლათ გახდა 1698 წ.)
13. ქაიხოსრო II, ძე გიორგი III, († 1689)
14. მამია III, ძე გიორგი III, († 1717)
15. გიორგი IV († 1726)
16. ქაიხოსრო III, ძე მამია III, გურიელი 1716 (?)
17. მამია IV, ძე გიორგი IV, (იხსენიება 1726—1762)
18. გიორგი V, ძე გიორგი IV, (იხსენიება 1744—1779)
19. სვიმონ II (იხსენიება 1789—1790)
20. ვახტანგ II, ძე გიორგი V, (იხსენიება 1788—1812)
21. მამია V, ძე სვიმონ II, უკანასკნელი მთავარი (1810—1826)

---

*) უძველესი გურიელების შთამომავლობითი სია ცნობილი არ არის, მხოლოდ მოხსენებულნი არიან:

1. ვარდან ვარდანის ძე.
2. მარუშიან ვარდანის ძე (თამარ მეფის დროს).
3. ლიპარიტ ვარდანის ძე.
4. იოანნე.
5. გურიელი ბეშქენ.
6. გურიელ-დადიანი გიორგი (ამის შვილები: ვამეყ და კახაბერ).
7. გურიელი კახაბერი და მეუღლე მისი ანნა (აშენებენ ლეხაურის ეკლესიას, 1352 წ.).
8. გურიელი გიორგი და მეუღლე მისი ელენე (აშენებენ ლეხაურის სამრეკლოს 1422 წ.).

შთამომავლობითი სია ათაბაგთა და ფაშათა სამცხეჯა-ათაბაგოისა.

1. სარგის ჯაყელი († 1285)
2. ბექა I († 1306 ანუ 1308)
3. სარგის II († 1334)
4. ყვარყვარე I († 1361)
5. ბექა II († 1391)
6. იოანე I († 1444)
7. აღბუღა († 1451)
8. ყუარყუარე II, ძმა იოანე I (1451—1466)
9. ბაადურ (1466—1475)
10. მანუჩარ I, ძმა ბაადურისა (1475—1487)
11. ყვარყვარე III, ძე აღბუღასი (1487—1500)
12. ქაიხოსრო I (1500—1502)
13. მზეჭაბუკ დიდი (1502—1516)
14. ყვარყვარე IV (1516—1535)
15. ქაიხოსრო II (1545—1573)
16. ყვარყვარე V (1573—1582)
17. მანუჩარ II, ძე ქაიხოსრო II, (1582—1614)
18. მანუჩარ III (1614—1625)

ფაშები.

19. ბექა III ანუ საფარ-ფაშა, ძე ყვარყვარე V, (1625—1635)
20. უსუფ I (1635—1647)
21. როსტომ I (1647—1659)
22. ასლან I (1659—1679)
23. უსუფ II (1680—1690)
24. სალიმ, ასლან I შვილი, (1690—1701)
25_1 ისაყ, ძე უსუფ II, (1701—1705)
26_1 ასლან II, ძე სალიმისა, (1705—1708)
25_2 ისაყ (1708—1716)
26_2 ასლან II (1716—1718)
25_3 ისაყ (1718—1737)
27. უსუფ III, უკანასკნელი ფაშა ათაბაგების შთამომავლობისა, (1737—1744)

მარი ბროსსე

საქართველოს ისტორია

ნაწილი მეოთხე

მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით

ნათარგმნი და განმარტებული სიმონ ღოღობერიძის მიერ

გამოცემული ნიკოლოზ ღოღობერიძის მიერ.

ეროვნ.-ისტორიული
ბიბლიოთეკა
Т.Ц.Н.-ИСТОРИЧЕСКАЯ
БИБЛИОТЕКА

ტფილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლ. ქ., № 21
1900

სარჩევი.

გამომცემლისაგან I
წინასიტყვაობა ავტორისა III
ქართლის ისტორია შემდეგ საქართველოს განუყოფისა . 1
კახეთის ისტორია 75
სომეხნ სათაბაგოს ისტორია 131
ისტორია ეგრისისა, აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა შემდეგ საქართველოს განუყოფისა; ისტორიული მიმოხილვა სამეგრელოსი და გურიისა 155

გამოცემლისაგან.

ეს წიგნი შეადგენს მეორე და უკანასკნელს ნაწილს საქართველოს ისტორიისას, რომლის პირველი ნაწილი მე გამოვეცი 1895 წელს. ეს ისტორია შედგენილი იყო, როგორც პირველ ნაწილის წინასიტყვაობაში მოხსენებულია, რუსულს ენაზედ ცნობილ აკადემიკოსის მარი ბროსსესაგან. იგი რუსულს ენაზედ აქამდის არ დაბეჭდილა. მეორე ნაწილი მოგვითხრობს ისტორიას საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფიდან ერეკლე II გამეფებამდის (1469—1744 წლ). როგორც პირველი ნაწილი ამ ისტორიისა, ისე მეორე გადმოთარგმნილია ხელნაწერიდამ სიმონ ლოლობერიძის მიერ, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე შენიშვნები და განმარტებანი. შთამომავლობითი სიები მეფეთა და მთავართა, მეორე ნაწილში დართული, შეადგინა ბ-ნ ექვთიმე თაყაიშვილმა, რომელსაც ამისათვის დიდს მადლობას ვუძღვნი.—

წინასიტყვაობა ავტორისა.

მას აქეთ, რაც ივერია განაწილდა სამს სამეფოდ: ქართლ, კახეთ და იმერეთად და ხუთ სამთავროდ: გურია, ახალ-ციხის მაზრად, ოდიშ, აფხაზეთად და სვანეთად, ამ ქვეყნის ისტორიაც ერთობას მოკლებული შეიქმნა. თვითოეული ქართველთ ერის ნაწილი და თვითოეული მფლობელი განცალკევებით და თავის-თავად ჰმოქმედობს. ხან-და-ხან, — ისიც იშვიათად, — რამდენიმე განცალკვებული ნაწილი წინანდელ საერთო მამულისა ერთმანერთს შეუერთდებოდნენ ხოლმე რაიმე განსაზღვრულის სურვილის მისაღწევად. ამიტომაც საქართველოს ისტორიკოსმა ცალ-ცალკე დასწერა მოთხრობა ამ სამი სამეფოისა და ახალ-ციხის მაზრისა, რომელიც სარწმუნოების მხრით სრულიად განშორდა დანარჩენ საქართველოს. რაც შეეხება გურიას, ოდიშს ანუ სამეგრელოს, აფხაზეთს და სვანეთს, ის მცირეოდენი მასალა, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, — ნამეტურ უკანასკნელ ორ სამთავროზე, — მჭიდროთ შეკავშირებულია იმერეთის ისტორიასთან, რადგან ეს სამთავროები ოდესმე იმერეთის უზენაეს ფლობელობის ქვეშ იყო. სწორედ რომ ვსთქვათ, ამ დროიდან ივერია აღარ არსებობს. მე ვხმაროობ იმ სახელ-წოდებას ამ ერისას და თვითოეულ იმის ნაწილსას, რომელიც რუსეთში მიღებულია: საქართველოს, ქართლს, კახეთს, იმერეთს და სხ , და აქედამ წარმომდგარს საკუთარს სახელებს: ქართველებს, ქართლელებს, კახელებს, იმერლებს და სხ.

ვეცდები რომ ჩემი მოთხრობა, რაც შეიძლება, დავუახლოვო ჩვენს დროს. მე დავემყარები ქართველ მწერლებზე და დავუმატებ მხოლოდ ფაქტებს ანუ რიცხვებს სხვა გარეშე წყაროებიდამაც, შემდეგ კრიტიკით მათის განხილვისა.

ქართლის ისტორია

შემდეგ საქართველოს გასუოფისა.

კონსტანტინე III 1469 წ. შეიქმნა მემკვიდრედ გიორგი VIII-სა. მეფედ აკურთხა ტფილისიში კათალიკოსმა ახალ-ციხისა და კახეთის რამდენთამე ეპისკოპოსთა თანა-დასწრებით. იმის მეცადინეობით ხერკისა, საგურამოსა და მარტყოფის მაზრა არ შეუერთდა კახეთს, აგრეთვე არც ლიხის მთები— იმერეთსა და არც მტკვრის აღმოსავლეთი ნაპირი—ახალ-ციხის საათაბაგოს. ამ ნაირად მაშინდელ ქართლს შეადგენდა ის ქვეყნები, რომელიც ოსეთისა და ლიხის მთებს აქეთ, მტკვრის, დებედის და ივრის ხეობის ჩრდილო ნაწილს შუა მდებარეობდა.

არსებობს კონსტანტინეს მიერ მიწერილი 10 მარტს 1465 წ. წერილი კასტილიის დედოფლის იზაბელას, იოანე მეფის მეორე მეუღლისადმი. ამ წერილში კონსტანტინე ულოცავს დედოფალს მუსულმანებზე გამარჯვებას. ქართული დედანი ამ წერილისა ჯერ არ აღმოჩენილა; ხოლო რუსული თარგმანი, რომელიც ვარშავის არხივშია დაცული, ამ ოცის წლის წინად დაიბეჭდა.

ცნობილია, რომ აზიის ევრიელებს თავი მოსწონდათ მით, რომ ენათესავებოდნენ ისპანიის ევრიელებს; ცნობილია აგრეთვე, რომ მთელის აზიის საქრისტიანო ერებმა კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ გაჰმართეს ხშირი მიწერ-მოწერა ფრანგებთან, [1]) რათა შეერთებულის ძალით განედევნათ ბერ-

---

[1]) აზიაში ევროპიელებს ფრანგებს უწოდებენ. აქედან წარმოსდგა სიტყვა „ფრანგი, ფრანგები“, რომელსაც ჩვენში უწოდებენ იმ ქართველთ, ვინც კათოლიკეთა სარწუნოება მიიღეს.

ძნების დედა-ქალაქიდან იმისი დამპყრობელნი. ამით შეიძლება აიხსნას კონსტანტინეს ზემოხსენებული წერილი იზაბელასთან.[2])

1471 წ. იმერეთის მფლობელმა, ბაგრატმა, დაიპყრა ქართლი ლიხიდამ მდინარე ქსნამდის მტკვრის მარცხენა ნაპირი, აგრეთვე მარჯვენა ნაპირიცა. ჩვენ გვაქვს დასამტკიცებლად ამა ნაამბობის სინამდვილისა სიგელები, რომელიც ბაგრატს გაუცია ქართლის დაჭერის დროს. თუ მემატიანეს დავერწმუნებით, სამცხის მაზრის დარბევის შემდეგ უზუნ-ჰასანის მიერ 1472 წ., მეფე კონსტანტინე წავიდა მასთან და თანვე იახლა რამდენიმე თავადი ბარათაშვილი და ყვარ-ყვარე ათაბაგის შვილი, მზეჭაბუკი, რომელმაც სწავლით და მჭევრ-მეტყველებით დააჩუმა მუსულმანის მეცნიერები და ჰიდაობაში აჯობა მალაპიას, თათრის გამოჩენილს ფალავანს. იქიდან დაბრუნების დროს მეფე დიდის პატივის ცემით გამოისტუმრეს. — 1477 წ. ვამეყ დადიანის იმერეთში შემოსევამ აიძულა ბაგრატი დროებით უკან დაწეულიყო, ხოლო შემდეგ დადიანის დამარცხებისა, ისევ დაბრუნდა ქართლში. 1478 წ. უზუნ-ჰასანი, სპარსეთის მფლობელი, თავს დაესხა ამ მხარეს და გარს შემოერტყა ტფილისის ციხეს, რომელიც მეფემ თვისის ნებით გარდასცა მტერს, ხოლო ბაგრატი რაჭაში გადავიდა, სადაც მალე გარდაიცვალა. უზუნის სიკვდილის წინად, 1478 წ., კონსტანტინე ეახლა იმის შვილს, სპარსეთის მფლობელს, და ცდილობდა, რომ იგი ქართველებზედ კეთილის თვალით ყოფილიყო. უზუ-

---

[2]) ავტორი შეცდომით იხსენიებს კასტილიის დედოფალს იზაბელას მეფე იოანეს მეუღლით. მეფე კონსტანტინემ გაუგზავნა წერილი იზაბელა კასტილიელს, რომელიც ცოლი იყო სახელ განთქმულის ფერდინანდ არაგონელისა, მეფე იოანეს შვილისა. ზოგიერთს გუჯრებში კონსტანტინეს გამეფება უკვე 1477 წ. არის მოხსენებული, როდესაც იზაბელა კასტილიისა ტახტზე იჯდა. Hist. du regne Ferdinand ab Isabelle par Presco, t. I, p. 166 და 200.

ნის შვილმა ხადიდმა დიდის პატივის ცემით გამოისტუმრა მეფე ქართლისა. სპარსელების მეციხოვნენი ტფილისიდამ გაიქცნენ. კონსტანტინე დაეპატრონა თავისს სამეფოს, დაიპყრა აგრეთვე იმერეთი ვამეყ დადიანის და კახაბერ გურიელის შემწეობით და დაიმორჩილა ათაბაგი მანუჩარ. მაგრამ ეს ათაბაგი მალე აუჯანყდა მეფეს, რომელიც დაამარცხა იმის ბიძაშვილმა 1483 წ. და რომელიც ამას შემდეგ ტფილისს გაიქცა. ალექსანდრე, ბაგრატის შვილი, ეკურთხა მეფედ ქუთაისში და მას უკან თითოეულმა მფლობელმა დაიჭირა თავ-თავისი სამკვიდრო. კონსტანტინემ ბარათაშვილების და ციციშვილების დახმარებით 1486 წ. განდევნა თათარნი, რომელთაც სამცხე და სომხეთი დაარბიეს, და ლიპარიტ დადიანის შემწეობით ხელახლად დაიჭირა იმერეთი. ამ დროს იაყუბმა, სპარსეთის მფლობელმა, იწყო სამხრეთ ქართლში ქნოზიანის და აღჯა-ყალის ციხის აშენება, თუმცა თავადნი ბარათაშვილნი წინააღუდგნენ, და იმის ჯარი 1488 წ. გარ-შემოერტყა ტფილისს. მეფე სწრაფად მივიდა იქ, მტერი რამდენჯერმე დაამარცხა და აიძულა ტფილისს გარ-შემორტყმული ჯარი შემოეხსნა. ამ ბრძოლაში ვაჟ-კაცობით თავი გამოიჩინეს ქაიხოსრო ციციშვილმა, ჯავახ ჯავახიშვილმა და სულხან ბარათიანმა.—ალექსანდრემ ისარგებლა ხელ-საყრელ გარემოებით და გამეფდა იმერეთში. იაყუბმა გაჰგზავნა 1490 წ. ახალი ჯარი, რომელმაც თუმცა ორბეთის ციხეზე იერიში მიიტანა, მაგრამ ვერ აიღო; ხოლო თათრებმა აიღეს და დააქციეს კოჯრის ციხე და ხელახლად ვარს შემოადგნენ ტფილისს. თათრები აქაც დამარცხდნენ, და ამას შემდეგ დაეცნენ ორბეთს, მაგრამ უკუ-ქცეულ და დამარცხებულ იქმნენ ბარათაშვილებისა, ციციშვილებისა და სხვა თავადების მიერ; შემდეგ მეფის ჯარმა დაანგრია ქნოზიანის და აღჯა-ყალის ციხეები. თათრებმა ტფილისი მიატოვეს. მეფემ სამღვდელოების და დიდებულთა რჩევით გადასწყვიტა, ღვთის ნებას მივენდოთ და დროს ვაცა-

დოთ ერთობის აღდგენა ივერიაშიო. — კათალიკოსად, შემდეგ დავითის გარდაცვლებისა, მან დანიშნა ნიკოლოოზი, ხოლო შემდეგ ნიკოლოოზის სიკვდილისა, აბრაამ-აბალიკი *). ამას შემდეგ კონსტანტინემ კიდევ მშვიდობიანად იმეფა თორმეტ წელს. იაყუბი დედამ მოსწამლა და მთელი მისი სახლეულობა ამოწყვეტილ იქმნა. შემდეგ სეფიდების უფლება დამტკიცდა სპარსეთში. ისმაილ შაჰმა, რომელიც შაჰის სეფი-ედინის აბუ იშაკის შვილის შვილის ძის ძე იყო, ადერბეიჯანი და თავრიზი დაიჭირა, შაჰად გამოაცხადა თავი და იმის ჯარი ხადიშ-ბეგის წინამძღოლობით იერიშით მიადგა ციხე მენტისს სამხრეთ საქართველოში და ამ მხრიდამ დიდი საუნჯე გაიტანა.

არსებობს კონსტანტინეს მიერ ნაბოძები წყალობის წერილები, რომელშიაც იწოდება მეფედ 1465 და 1466 წ. სამეფო წოდების ამ გვარი მითვისება ბატონიშვილისაგან უცნაურად უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამ გვარ მაგალითს ხშირად შეჰხვდებით და არა ღირს ამაზე დიდხანს შევჩერდეთ. მაგრამ შესამჩნევია, რომ, სხვა საბუთებით, კონსტანტინეს მეფობის დასაწყისი ითვლება 1477 და 1478 წ. ეს გარემოება იქნება წარმოსდგა იმისაგან, რომ კონსტანტინემ მაშინ თამარი შეირთო და ამ დროიდამ აღნიშნავდა იმასთან ერთად მეფობას (ჩვენ ვიცით რამდენიმე ამგვარი მაგალითი). შესაძლებელია აგრეთვე, ეს იმიტომაც მოჰხდა, რომ ამ დროს ის დაბოლოვებით შეიქმნა ქართლის მეფედ, მას შემდეგ, რაც იმერთა ბაგრატი განდევნეს. ასე იყო თუ ისე, კონსტანტინე 1505 წ. გარდაიცვალა.

უმფროსი შვილი კონსტანტინე III-სა, დავით VIII, შეიქნა იმის მემკვიდრედ და ეკურთხა მეფედ ტფილისში თავისის ცოლით ნესტარ ჯავარით, რომელიც ბარათაშვილის გვარის ჩამომავალი იყო. 1509 წ. გორი დაიპყრა იმერეთის მფლო-

*) აბრაამ II.

ბელმა ალექსანდრემ, რომელსაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია დავით მეფემ, მაგრამ ამ დროს ჯიქები ანუ ჩერქეზები დაეცნენ იმერეთს, აიძულეს ალექსანდრე დაეტოვებინა გორი და უკან დაბრუნებულიყო. 1511 წ. გიორგი კახელმა მოჰკლა თავისი მამა, მეფე ალექსანდრე, და დაეცა ატენის ციხეს, რომელშიაც დავითი იმყოფებოდა. მაგრამ ვერ მოახერხა აღება, სამაგიეროდ ის ქართლს არ ასვენებდა და ხშირად თავს ესხმოდა. რადგან დავითი ძალიან წყნარი და გულ-კეთილი იყო, მან შეარიგა ბაგრატი და ვახტანგი, იმერეთის მფლობელის ალექსანდრეს შვილები და არ დასთანხმდა ომი გამოეცხადებინა ავ-გიორგისათვის, კახეთის მეფისათვის, რომელსაც დიდხანს შემწყვდეული ჰყავდა დავითი ატენში. ამის შემხედავმა ბაგრატმა გამოსთხოვა თავის ძმას, მეფე დავითს, ნება ეომოს ავ-გიორგის, და მიიღო რა საუფლისწულოდ მუხრანის მაზრა, არაგვის და ქსნის ხეობა, ძალზე გაუმაგრდა ავ-გიორგის, რომელიც სამს თვეს გარშემოერტყა მტკვრის ციხეს. ავ-გიორგის შიმშილით სურდა იმის აღება, მაგრამ ვერ მოახერხა და უკუ იქცა. როდესაც მეორედ მოადგა, დატყვევებულ იქმნა ომის შემდეგ ბაგრატის მიერ და 1513 წ. დაახრჩვეს.

ამას შემდეგ დავითმა დაიპყრა კახეთი, სადაც დამხრჩვალის მეფის ერთად-ერთი შვილი ლევანი,—რომელიც 7 წლისა იყო,—გადარჩა და იმალებოდა უბრალო ტანსაცმელით დიდებულ გარსევან ჩოლოყაშვილის სახლში. 1518 წ. ისმაილ შაჰმა განიზრახა კახეთის დაპყრობა, მაგრამ უარი სთქვა ამაზედ შემდეგ იმისა, როდესაც მეფე დავითმა თავისი შვილი რამაზი გაუგზავნა დიდის საჩუქრებით. ეს შემთხვევა დაიხვიეს ხელზედ კახელებმა, მოიყვანეს ლევანი და მეფედ გამოაცხადეს. რამაზი ალერსით მიიღო შაჰმა და დაუბრუნა დავითს, რომელმაც ამას შემდეგ კახეთს გაილაშქრა და კიდეც აიღებდა მაღნარის ციხეს, სადაც ლევანი თავს იფარავდა, მაგრამ ამ დროს ამბავი მოუვიდა, რომ სულთანი სე-

ლიში ქართლს წამოსულიყო. როცა დავითმა დაამარცხა ოსმალნი, რომელნიც შემოესივნენ ქართლს, მან ისევ გაილაშქრა კახეთს, სადაც, თუმცა ზოგიერთები მიემხრნენ, მაგრამ 1520 წ. დამარცხდა და ტფილისს დაბრუნდა. მეორედ დაამარცხა მოხისში მამია გურიელმა, ლევანის სიმამრმა, რომელიც სიძეს მიეშველა, და ბოლოს სამღვდელოების და დიდებულთა რჩევით შეურიგდა კახთ ბატონს. 1522 წ. ისმაილ შაჰი ქართლს შემოესია დასაპყრობლად და განიზრახა ხალხის გამაჰმადიანება; მან აღჯა-ყალის ციხე გადააკეთა. დავითი არ დასთანხმდა შაჰმადის სჯულის მიღებაზე და ისმაილის ნახვაზე, გაამაგრა ტფილისი და ყველა ადგილნი, რომელნიც კი თავის დასაცველად გამოსადეგნი იყვნენ. ბატონიშვილი ლუარსაბი დახვდა სპარსების სარდალს ელიას-ბეგს თელეთში და სასტიკის ომის შემდეგ დამარცხებულ იქმნა. მეციხოვნეთა უფროსის ღალატით ციხე აიღეს სპარსელებმა და ააგეს მეჩეთი, აქამომდე დაცული ავლაბრის ხიდებს შუა. სიონის ღვთის მშობლის ხატმა, მტრისგან მტკვარში გადაგდებულმა, მისცურა კახეთის ნაპირად; იქ იპოვეს მცხოვრებლებმა ⁊ მიართვეს მთავარს ლევანს, რომელმაც ბუდე განუახლა ⁊ დაუბრუნა სიონს, სადაც ახლაც ასვენია. როგორც-კი ისმაილი გაბრუნდა, მეფე დავითმა დაიჭირა ყველა ციხეები, სპარსების მიერ დაპყრობილი, და შაჰის სიკვდილს შემდეგ 1523 წ. დაიპყრა ტფილისი, ამოსწყვიტა ყველა მაჰმადიანები და აღჯა-ყალი დაამხო. შემდეგ ბერად შედგა დამიანეს ~~ფემ-�ახელით~~ და 1525 წ. ტფილისში გარდაიცვალა.

დავით VIII-ის ძმა გიორგი IX გამეფდა 1524 წ.; მცხეთაში იკურთხა გვირგვინი; მეგობრობა ჰქონდა მეზობელ მთავრებთან. კათოლიკოზის დოსითეოზის სიკვდილს შემდეგ, მან შეინიშნა მის ადგილას თვისი ძმა მელქისედეკი.

ზეპირ-გარდმოცემა მოგვითხრობს, ვითომც გიორგი IX შეუერთდა იმერთა ბაგრატს, ლევანს, კახეთის ბატონს, და ყვარყარე ათაბაგს და ვითომც მათ გაილაშქრეს იერუსალი-

მში, სულეიმან სულთანის თხოვნით; ვითომც მათ წაერთვათ მამელიუკებისათვის წმინდა ქალაქი და დაბრუნებულიყვნენ საქართველოში; ვითომც სულთანს ქართველებისათვის ეჩუქებინოს უფლის წმინდა სასაფლაო, გოლგოთა, ბეთლემი და წმინდა ჯვარის მონასტერი. ამ ამბავს ერთის სიტყვითაც არ იხსენიებენ მე-XVI საუკუნეში დასავლეთის ისტორიკოსები[1]. შემდეგ სულეიმანმა გაილაშქრა სპარსეთს

[1]) იერუსალიმის ხმლით აღების შესახებ ქართველთა მეფეების მიერ, რაიცა ავტორს სამართლიანად მიაჩნია ზეპირ-გარდმოცემათ, ბ-ნმა თ. ჟორდანიამ (1893 წ.) წერილები დაჰბეჭდა. როცა ბ-ნმა ცაგარელმა (Свѣд. кн. Ш, стр. IX) უარჰყო თვით ამბავი იერუსალიმის ქართველთა მიერ აღებისა და ჟორდანიას მიერ ნაჩვენები 1527 წ., ბ-ნმა ჟორდანიამ თავისს გამოცემულ ხრონიკებში (წ. 2. გ. 357—368) გააჭრელა 14 გვერდზე თავისი შენიშვნა, სადაც „დაუტვირთავს იგი სამოწმბელთა სიმრავლით (ციტატებით). მაგრამ ამ „სამოწმებელთაგან დატვირთვის“ შემდეგ უმთავრესი საბუთი ბ ნ ცაგარლისა, რომ თათრებს ათის წლის წინეთ, ვინემ 1527 წ., რომელსაც უჩვენებს ჟორდანია, დაპყრობილი ჰქონდათ იერუსალიმი და ის საბუთი, რომ იერუსალიმს მაშინ სპარსელები კი არ ჰფლობდნენ, არამედ ეგვიპტელი მამელიუკები, ისევ შეურყეველად რჩება.... ბ-ნი ჟორდანია თავის მოსაზრებას ასაბუთებს შემდეგ ავტორიტეტების ჩვენებაზედ: 1) ვიღაც უცნობ პატრიარქის იოროფოსაგან 1881 წ. გამოცემულ წიგნაკზე ბერძნულად, რომელშიაც დავით და ლეონ მეფეები არიან მოხსენებულნი; 2) მოგზაურის მუსაფუფის აღწერილობაზე (რა დიდი ავტორიტეტი გამოუნახავს!); 3) გრაფინია უვაროვის სამგზავრო წერილებზე (ესეც დიდი ავტორიტეტი!); 4) პლ. იოსელიანის მიერ იერუსალიმის და წმ. ადგილების აღწერაზედ; 5) ერთი დაბეჭდილი დაზიანებული ნაწყვეტი იმერთა მეფის ბაგრატ III გუჯრისა, სადაც მეფე აღიარებს, რომ მას მრავალნი სასწაულნი უხილავს ხმელთა და წყალთა ზედა ძლევა-მოსილობისა, აძლევს მიზეზს ბ-ნს ჟორდანიას დასძინოს: „რა საქმე უნდა ჰქონოდა იმერეთის მეფეს ზღვაში, თუ არ ის, რომ მან ალბად თავისი ჯარი წაასხა ზღვით კონსტანტინეპოლში და იქიდან პალესტინაში?“ 6) პოლშელ ნიკოლ რაძივილის მგზავრობაზიდ წმ. ადგილებში 1582 წ., სადაც ის სწერს, რომ ქართველთ მთელი გოლგოთის მთა დაიპყრესო მაშინ, როდესაც იერუსალიმი იყო სამფლობელო ეგვიპტის სულთანისა; 7) ჯრუჭის სვინაქსარის წარწერა; 8) იერუსალიმის ჯვარის დაზიანებული წარწერა, რომელიც ბ-ნ ცაგა-

დ. გაიარა ქართლის საზღვრებს ახლოს. მას არავითარი ვნება არ მიუცია მეფე გიორგისათვის, მხოლოდ შერიფ-ხანი, ტფილისის მმართველი, სპარსთაგან დაყენებული, გააგდო. 1534 წ მეფე გიორგიმ ხელი აიღო ტახტზე და დაუთმო თავისს ძმისწულს ლუარსაბს, ხოლო თითონ ბერად შედგა გერასიმეს სახელით.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ცნობებით, რომელიც რუსის ელჩ ტატიშჩევს მოჰყავს 1600 წ., ლუარსაბ I შეიქნა მემკვიდრედ თავისის მამის დავითისა.. ჩვენ არ ვიცით, ვინ უფრო მართალია; — შეგვიძლია მხოლოდ ვსთქვათ, რომ ტეტიშჩევის ჩვენება არ ეთანხმება მატიანეს დედანს ლუარსაბ I ყოველ ღონისძიებას ჰხმარობდა გაედევნა მაჰმადიანები თავისს საფლობელოდგან. 1526 წ. მან შეირთო თამარი, იმერეთის ერისთავის ასული, და გარდააყენა კათალიკოსი მელქისედეკი, რომლის ადგილას გერმანე დაჰნიშნა. 1536 წ. შაჰ-თამაზ I მოვიდა განჯას დიდ-ძალის ჯარით და იქიდან

რელს ასე ამოუკითხავს: „ქ. მირიან... კონსტანტინე... მეფემ ეს ჯვარი... მოვიდეს... და დაიპირა იერუსალიმი და აღაშენა ეს ჯვარი“. ხოლო ბ-ნი ჟორდანია ასე კითხულობს: „მირიან მეფეს წ^მან კონსტანტინე დიდმა, იმპერატორმა, უბოძა ეს ჯვარი. შემდეგ მოვიდეს სპარსნი და დაიპყრეს იერუსალიმი და აღაშენა ესე ჯვარის მონასტერი“. ბ-ნი ჟორდანია ირონიით დასძენს, რომ „ამ ამოკითხულს ხელ-ახლა ამოკითხვა სჭირიაო“. და 9) ვახუშტი ვერ შეთხზავდა ანუ ვერ გამოიგონებდა ამ ამბავს.— ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავსძინოთ, ბ-ნ ჟორდანიას სანუგეშებლად, ერთი ჩვენება სახელ-განთქმულს მიშოს ჯვაროსანთა ისტორიიდამ, საც მას მოჰყავს აპუტის სიტყვები: „ივერიელებს გარდა არავის არ ჰქონდა ნება იერუსალიმში შესვლისა დროშა გაშლილი და უბაჟოთ“. Hist. des croisadespar Michot, t. IV, p. 8. მაგრამ ვერც ეს ჩვენება იერუსალიმის ქართველთა მიერ დაპყრობას ვერ ჰფენს შუქს და ოსმალებმა 1527 წ. ათის წლის წინად აიღეს სირია, პალესტინა იერუსალიმით და ეგვიპტე. შეადარე Руков. къ познанію Кавказа СПБ. 1847 г. М. Селезнева და დოსითეოზის მოგზაურობა (წ. XI, თ. 811). Памятники грузин. Старины въ св. Землѣ и на Синаѣ, СПБ. А. Цагарели, стр. 52, 62 и 63.

ტფილისს ანაზდად დაეცა, როცა ქართლის მეფე თავის უეცრად გარდაცვალებულის შვილის დასაფლავებაზე მცხეთას იმყოფებოდა, ტფილისის ციხე და ქალაქი დაიპყრა და მკვიდრთაგანი ბევრი გაამაჰმადიანა. მათ შორის იყო ვინმე გულბაათი, მეციხოვნეთა უმფროსი.

მეფემ განიზრახა შესწევნოდა იმერთა ბაგრატსა, რომელმაც დაიფლო სამცხე და რომელსაც ბასიანის მხრიდამ თათრები დაეცნენ; მომხდარ ომში ცილობა ატყდა ქართლელთა ⁄ სამცხელთა შორის, რომელთაც ჩვეულებისამებრ მოწინავე მებრძოლე ჯარად სურდათ დამდგარიყვნენ. მესხნი არ დასთანხმდნენ თავისს მოწინაამდეგეებს და უკუ იქცნენ. ქართლელები 1545 წ. დამარცხდნენ. შემდეგ ამისა ლუარსაბი სპარსეთის შაჰის მოწოდებით შეუერთდა ლევანს, კახეთის ბატონს, და მესხებს და ისინი დაეცნენ შირვანს, რომლის მფლობელი დარვიშ-მაჰმადი აუჯანყდა თამაზ შაჰს; ეს უკანასკნელი მაშინ სხვაგან იყო გალაშქრებული. მეფემ და იმისმა მოკავშირეებმა დიდი ნადავლი იშოვეს, ხოლო აჯანყებულს დარვიშს მუხანათობისათვის თავი მოჰკვეთეს.

1548 წ. ზამთარში შაჰი ხელ-ახლად შემოესია ქართლს, აიღო და დააქცია ტფილისი, სადაც მეციხოვნენი ჩააყენა. ქაიხოსრო ათაბაგი დაემორჩილა მას და მიათხოვა ერთი თვისი ნათესავი ქალი და მით იხსნა თავი უბედურობისაგან. შაჰის წასვლის შემდეგ ლუარსაბმა დაიპყრა საათაბაგოს უდიდესი ნაწილი. ეს რომ შაჰმა შეიტყო, მივიდა სამცხეს, დაიპყრა ეს ქვეყანა და დაახოცინა ის სამცხელნი, რომელთაც იმას წინად ლუარსაბი მიიპატიჟეს და დაეხმარნენ მას.

ოსმალებმაც გაილაშქრეს სპარსების წინააღმდეგ და, გარდაკეთეს რა ყარსის ციხე, უკუ იქცნენ. შაჰმა დაუყოვნებლივ სამხრეთისაკენ გასწია, აიღო და დაანგრია ყარსი. სპარსთა და ოსმალთ შეჰკრეს ზავი, რომლის ძალითაც ქართლი, კახეთი და სამცხე უნდა დაჰრჩენოდათ სპარსელებს, იმერეთი, გურია და ოდიში—ოსმალებს. შაჰი დაბრუნდა სომხითით და

აიღო ცბიერებით ბირთვისი, გორი, ვერის ციხე და მიადგა ატენის ციხეს, რომელიც იერიშით აიღო 1556 წ. და დაატყვევა ციხეში მყოფი დედოფალი ნესტან-ჯავარი, მეფე ლუარსაბის დედა რამდენისამე თავადიშვილის ქალით. ეს რომ ლუარსაბმა შეიტყო, დაედევნა შაჰს და დაჰხოცა მრავალი სპარსი, მაგრამ ვერ მოახერხა განეთავისუფლებინა დედოფალი, რომელმაც გაუპატიურების შიშით თავი მოიწამლა. გამარჯვებულმა შაჰმა დააყენა ბეგლარ-ბეგები, ხანები და სულთანები ყაზახისა და შამშადილის მაზრებში, არანსა და ერევანში და უბრძანა შემწეობა აღმოეჩინათ ტფილისის ციხის მეციხოვნეთა უფროსისათვის, როცა საჭიროება მოითხოვდა. ამიტომაც როგორც კი ლუარსაბი შემოერტყა ტფილისს, განჯის ბეგლარ-ბეგი, სახელად შაჰ-ვერდი, წამოვიდა ქართლს. მეფე შვილებით დაუხვდა წინ და შეებრძოლა ვარხუნაში [1]) სპარსები შედრკნენ. ბოლოს შაჰ-ვერდიმ თვალი მოჰკრა ლუარსაბს, რომელიც შორს იდგა, და დაეცა იმის ამალას. ლუარსაბი ცხენზე შეჯდა და შეება მტრებს, მაგრამ სასიკვდილოდ დაიჭრა ერთის სპარსელის მიერ და მალე, 1558 წ., გარდაიცვალა ჭრილობისაგან. რადგან ლუარსაბი მთელი თავისი სიცოცხლე მუსულმანებს უბრძოდა და მოკლულ იქმნა ომში მათ მიერ, ქართველებმა წმიდა მოწამეთ შეერიცხეს და იმის სახელს იხსენიებენ 1 ივნისს არჩილ მეფესთან ერთად

სვიმონ I, ლუარსაბის შვილი, მეფედ ეკურთხა მცხეთას და გორში სცხოვრობდა. მეფე ლუარსაბმა გერმანე კათალიკოზის სიკვდილს შემდეგ ნიკოლოოზ ბარათაშვილი დააყენა; სვიმონმა კი ნიკოლოოზის ადგილზე კახელი ბატონიშვილი ნიკოლოოზ დაჰნიშნა 1584 წ., ხოლო იმის შემდეგ დომენტი 1595 წ. ახლო ხანებში. სვიმონმა 1559 წ. შეირთო ნესტან-დარეჯანი, ლეონ კახეთის ასული, რომელიც ლეონს შეეძინა შამხალის ასულისაგან.

[1]) სომხითში.

ამასობაში მუხრან-ბატონმა არჩილმა დაარბია ტფილისის არე-მარე, რომელიც სპარსებს ეჭირათ. ის იყო ძმა ვახტანგ მუხრან-ბატონისა, რომელიც იყო შვილი ზემოხსენებულის ბაგრატისა, 1530 წ. ბარნაბას სახელით ბერად შესულისა. სპარსნი თავს დაესხნენ არჩილს საფურცლეში, მოიტაცეს მთელის ოჯახით და ტყვეთ წაიყვანეს სპარსეთს. 1560 წ. სვიმონმა შეჰკრიბა ციხე-დიდს [2]) ჯარი, დაამარცხა სპარსები და სურდა ომი განეგრძო, მაგრამ შაჰ-ვერდი სულთანი, განჯის ხანი, ანაზდად თავს დაესხა აღდგომა დღეს. ქართველები საშინლად დამარცხდნენ; აქ მოჰკლეს ბატონიშვილი გიორგი კახელი და კახელები იძულებულ იქმნენ ომის ველი დაეტოვებინათ. მოკლულ იქმნა აგრეთვე ცხრა თავადი ამილახვრის გვარისა. ისინი დამარხულნი არიან შიო მღვიმის ზემო ეკლესიაში, რომელიც ამას შემდეგ ებოძა იმათ ოჯახს საგვარეულო სამარხად. მეფე სვიმონი გაიქცა. 1561 წ. ფხოელები თავს დაეცნენ მუხრანს და მოჰკლეს თავადი აშოთანი, ბაგრატის შვილი.

სვიმონის დამცირება რომ შეიტყო მისმა უნცროსმა ძმამ დავითმა, — რომელიც გარყვნილი კაცი იყო, — წავიდა სპარსეთში, გამაჰმადიანდა და სახელად იწოდა დაუთ-ხანი. შაჰმა გამოჰგზავნა დაუთ-ხანი ქართლში მეფედ, რომელსაც უნდა დაჰხმარებოდნენ განჯისა და სხვა მოსაზღვრე ხანები. 1567 წ. სვიმონმა დაამარცხა იმისი ჯარი დილომში, რის შემდეგ დაუთ-ხანს თავი უნდა შეეფარებინა ტფილისის ციხეში, მაგრამ ამასაც სვიმონი გარს შემოადგა. უსეინ ბეგი [3]) ყარამანი მიეშველა დაუთ-ხანს და აიძულა სვიმონი ტაბახმელისკენ დაწეულიყო. ასტყდა ხელმეორედ ომი, რომელშიაც დაუთ-ხანი ხელ-ახლავ დამარცხდა სამადლოს მთაზედ და სვიმონი ისევ ტაბახმელას

---

[2]) ძეგვში.

[3]) იგივე ყარამონდ-უპასან-ბეგი.

დაბანაკდა, მაგრამ ვერც ტფილისი აიღო, ვერც მეციხოვნენი მიიმხრო და ამიტომ ქართლისაკენ წავიდა.

ეს რომ შაჰ-თამაზმა შეიტყო, 1569 წ. შეჰკრიბა ჯარი, წინანდელზე ბევრად უდიდესი. განჯისა და შამახიის ბეგლარ-ბეგებმა მოისყიდეს ლეკები და თავს დაეცნენ სვიმონს ფარცხას. კახაბერ ყორღანაშვილმა უღალატა მეფეს, მიემხრო სპარსებს და მიუძღვა იმ ადგილს, სადაც მეფე იმყოფებოდა. სასტიკი ბრძოლა ასტყდა. პირველს კვეთებაზე მეფემ უკან დაახევინა მტერს, მაგრამ ომით გატაცებული გამოეკიდა სპარსებს და თავის ჯარს განშორდა. ყორღანაშვილმა იცნო მეფე და შეატყობინა მისი ვინაობა სპარსელებს, რომელნიც მეფეს შემოეხვივნენ. ერთმა შამხალ სულთანის გულამმა, სახელად ჯემშიდმა, სხვების დახმარებით დაატყვევა სვიმონ მეფე და ყაზმინს მიჰგვარა შაჰს. სვიმონმა გადაწყვეტილი უარი გამოაცხადა გამაჰმადიანებაზე. მეფე ლამუთის ციხეში გაჰგზავნეს, ხოლო ბატონიშვილი არჩილი ცოლ-შვილით შირაზს წაიყვანეს. მეისტორიე ისკანდერ მუნჯი ამტკიცებს კი, რომ სვიმონი გამაჰმადიანდაო,—თუმცა კი დროებით,— და სახელ იწოდაო მაჰმუდ-ხანად.

სვიმონ მეფის დატყვევების შემდეგ, დავითს ტახტის მოცილე არა ჰყავდა, მაგრამ ხალხს არ უყვარდა, იდგა ქვეშის ციხეში [1]), დმანისის ხეობაში, სადაც განცხრომით სცხოვრობდა და ტფილისში იშკიათად მიდიოდა. რადგან დავითმა ყოველი პატივის-ცემა აჰყარა დედოფალს [2]), სვიმონ მეფის მეუღლეს,— რითაც სურდა ესიამოვნებინა იმის ძმის ალექსანდრე კახთ მეფისათვის, რომელთანაც ნესტან-დარეჯანი დედით ერთი არ იყო და რომელსაც სძულდა თავისი ნახევარ და,— ამილახვრებიც თავს დაესხნენ მას

---

[1]) სომხითში.

[2]) ნესტან დარეჯანს, რომელიც კავთის-ხევში სცხოვრობდა.

და სრულიად გაძარცვეს [3]). ამავე დროს კოჯრიდამ მომავალი სპასპეტი საჩინო ბარათაშვილი, რომელიც არ დაემორჩილა დაუთ-ხანს, შეხვდა კახაბერ ყორღანაშვილს, შეიპყრო და გელი-ყარის კლდეზედ გადააგდო [4]).

1576 წ. შაჰ-თამაზის სიკვდილს შემდეგ შაჰათ დაჯდა ძლიერ მოკლე ხნით ჰაიდარ, მერმე იმისი ძმა, ისმაილი, დაჯდა სპარსეთის ტახტზე; მან საპატიმროდამ განათავისუფლა მეფე სვიმონი და არჩილ მუხრან-ბატონი. თვითონ კი მოკლულ იქმნა 1577 ან 1578 წ. ზოგი ამბობს, ექვსი თვე იმეფაო და ზოგი—ერთ წელიწად ნახევარიო. შემდეგ იმისა ხუდა-ბენდე შეიქმნა შაჰად. დაუთ-ხანმა რომ გაიგო სვიმონის განთავისუფლება, მიჰმართა ოსმალთ შემწეობისათვის. ოსმალნი შეესივნენ სპარსეთს, დაამარცხეს ჩილდირის ომში, 10 აგვისტოს 1576 წ. აიღეს ერივანი, განჯა, თავრიზი და მთელი ადერბეიაჯანის მაზრა დაიპყრეს. სულთანმა მურად III ჯარის წინამძღოლად დაჰნიშნა მუსტაფა ლალა-ფაშა. იმისმა ჯარმა გარდმოვლო სომხითი და მოადგა ტფილისს. დაუდხანი შეშინდა, დასწვა ქალაქი და შეიფარა თავი ლორეს, მაგრამ შემდეგ ოსმალეთში წავიდა, სადაც წყალობით მიიღეს და სარჩოდ ორი ფაშალაგი უბოძეს. მისი შვილები ბაგრატ და ხოსრო დარჩნენ კახეთში, საიდამაც შემდეგში სპარსეთს წავიდნენ. მუხრან-ბატონი ვახტანგი უმეფოების დროს შეიქმნა ქართლის მმართველად, წარსდგა წინაშე ლალა-ფაშისა მორჩილების გამოსაცხადებლად და მით იხსნა თავისი ქვეყანა აკლებისაგან. ოსმალებმა მაინც დააყენეს თავისი ფაშა ტფილისში და სანჯახები—გორსა,

---

[3]) მაშინ ხალხში ამბობდნენ ანდაზად: „ვაი სვიმონ მეფის საქონელსაო.“

[4]) ამ სიტყვების მიძახებით: „უკეთუ კეთილ არს გაცემა მეფისა ჯ ქვეყნისა, იხილე აწ შენცა“. ხალხში დაცულია აგრეთვე ანდაზა ამ ამბის შესახებ: „ყორღანას-ძე ქარაფრინდა, ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“. ქ. ცხ., II ნაწ., გვ. 28.

ოლთისსა და სხვა ადგილებში. სომხითის მკვიდრთ დიდად ავნეს ოსმალებს, როდესაც იმათმა ჯარმა გადმოიარა ამ მხარეზე, აგრეთვე იმერლებმაც,—რომელთ წინააღმდეგ დიდ ძალი ჯარი იყო გაგზავნილი,—მრავალჯერ დაამარცხეს ისინი მთებზე გადასვლის დროს. ამასობაში ლალა-ფაშამ ალექსანდრე კახთ-ბატონის შემწეობით აიღო შაქის ციხე შირვანში, შიგ მეციხოვნენი ჩააყენა და უკანვე ქართლში დაბრუნდა.—ეს რომ გაიგო შაჰ ხუდა-ბენდეს დედამ,—რომელიც ტომით ქართველი იყო, შალიკაშვილის გვარისა—დაა-ბრუნა და თან ფულიც გამოატანა მეფე სვიმონს და ყველა დატყვევებულებს. დაუთ-ხანმა მაშინ გარდასცა ყველა ციხე-სიმაგრეები ლალა-ფაშას და გაიქცა სტამბოლს, სადაც მალე გარდაიცვალა.

ამასობაში ოსმანმა, თავრიზის ფაშამ, რომელსაც ყირიმის თათრებიც ეწეოდნენ, დაამარცხა სპარსნი; ამათ შაჰის მეუღლის წინამძღოლობით მაგიერი გარდაუხადეს მათ, დაატყვევეს ბ მოჰკლეს თათარ-ხანი. შემდეგ ამისა ოსმალებმა შაჰის მეუღლე დაატყვევეს ბ მოჰკლეს. მათ აიღეს ტფილისი და გორი და ბარათაშვილების ჯავრი იმით ამოიყარეს, რომ სამშვილდეს მათი საყდარი დააქციეს. იმავე წლის ოკტომბერში სვიმონი შევიდა ქართლში და ზავზე დაუწყო მოლაპარაკება ლალა-ფაშას, რომელიც სამცხეს წავიდა. მაშინ სვიმონმა მაჰმადის სჯული უარ-ჰყო, ხელ-ახლად გაქრისტიანდა და დაიკავა ლორი, გორი და ყველა ქალაქები გარდა ტფილისისა; მან დასაჯა ამილახვრები და ქსნის ერისთავი ელიზბარი დედოფლის ავად მოპყრობისათვის; დაჰნიშნა გორის მოურავად სულხან თურმანიძე, ხოლო ქართლის მმართველი ვახტანგ მუხრან-ბატონი შეიპყრო. შემდეგ სვიმონმა ისინი შეიწყალა და განათავისუფლა, როდესაც მიუძღვნეს დედოფალს ის, რაც მოეტაცათ მისთვის; მეფემ ჩამოართვა მხოლოდ რამდენიმე ნაწილი მამა-პაპეულის მამულისა. ყორღანაშვილის ცოლ-შვილს კი და მის სახლეუ-

ლობას მეფე მკაცრად მოექცა და ყველა ისინი გელი-ყარას კლდიდამ გადააყრევინა.

მეფე მედგრად დახვდა ლალა-ფაშას, რომელიც დასავლეთ ქართლს ხელ-ახლად შემოესია ⁄ რომელმაც მარტო სადგერის წმ. გიორგის ეკკლესიის გაძარცვა მოასწრო.

კახეთის მეფე ალექსანდრე გაჯავრებული იყო სვიმონზე, როგორც თვისის დის გამო, აგრეთვე სიმამრის ბარძიმ ამილახვარის გამო; ამას გარდა მას ეშინოდა, რომ სვიმონმა ელი მირზონის და ხოსრო მირზას მოკვლისათვის, — რომელნიც იმის ცოლის ძმები იყვნენ, — ჯავრი ჩემზე არ ამოიყაროსო. ის ანაზდად თავს დაესხა მეფეს დიღომში და იქ ჩაიდინა საქციელი, რომლითაც დედოფალი [1]) შეურაცხჰყო.

რამდენისამე ხნის შემდეგ სვიმონმა დაამარცხა კახელები ჭოტორში [2]) და დაატყვევა მრავლად კახეთის დიდებულნი, რომელნიც განათავისუფლა მხოლოდ მაშინ, როდესაც აიძულა თავი დაეწყევლათ იმ მტრობისათვის, რაც მათ სვიმონს აღმოუჩინეს. ეს მოჰხდა 1580 წ. [3]) ახლო ხანებში. სვიმონი იძულებული შეიქმნა სპარსეთში გაეგზავნა თავისი ქალი საცოლოთ ჰამზა-მირზასათვის, შაჰ ხუდა-ბენდეს შვილისათვის, და თავისი 12 წლის ვაჟი ლუარსაბი — მძევლად. ალექსანდრე კახელსაც სპარსებმა მოსთხოვეს ერთგულობის სათავდებოდ მისი ქალი და ვაჟი კონსტანტინე.

---

[1]) დედოფლის პერანგის ამხანაგი ალექსანდრემ ჩამოჰკიდა შუბზე და გაფრიალებული გაიძღოლა წინ. ამ საძაგლობის მსმენელმა სვიმონ მეფემ შეუთვალა ალექსანდრეს: „ქმენ საქმე უშვერი, რამეთუ თუმცა ექმნა სხვას, ჯერ იყო შენგან ძიებად შურისა (დედოფალი ნესტან-დარეჯანი ნახევარ-და იყო ალექსანდრესი). აწ განემზადე ხვალისათვის ბრძოლად, რამეთუ ვეძიებ შურსა“.

[2]) მარტყოფში.

[3]) მ ფე სვიმონმა სვეტი-ცხოვლის საყდარში ამ ნაირი ფიცი დაადებინა: „ღმერთმან, სიმართლის მოქმედმან, კახს კაცს ნუღარასოდეს ნუ გაუმარჯოს ქართველს კაცზე, არც დიდთა და არცა მცირეთა“.

ამასობაში ქართლის მმართველი ვახტანგი გარდაიცვალა. ყვარყვარე ათაბაგი თავს დაესხა ლორეს და იმის გარშემო მდებარე მხარეში შეიფარა თავი. ცოტა ხანს უკან მაჰმადფაშამ აიღო ლორე და გორი და დაიბანაკა მუხრანს იმ განზრახვით, რომ სურსათი მიეწოდებინა ტფილისის მეციხოვნეთათვის. აქ მეფე სვიმონი თავს დაესხა მაჰმად ფაშას და აიძულა გაქცეულიყო ტფილისს. იმავე წელს სვიმონმა მიიმხრო ათაბაგი მანუჩარ, რომელიც რამდენისამე ხნის წინად გამაჰმადიანდა და სახელად მუსტაფა დაირქვა. შემდეგ კი, შევიწროებული მუსულმანების შეურაცხყოფით და ძალ-მომრეობით, ისევ გაქრისტიანდა. სვიმონ მეფემ მიათხოვა მას ცოლად თავისი ქალი ელენე. ის გარს შემოერტყა ტფილისის ციხეს, დაამარცხა მეციხოვნენი, როდესაც ისინი ციხის გარეთ გამოვიდნენ და გაილაშქრა ლორეს ასაღებად. მან დაამარცხა ფარხად-ფაშა და ჯერ აიღო ის მღვიმენი, რომელნიც ლორეს გარს არტყიან და შემდეგ ლორის ციხე, ტფილისი და სამშვილდე. 1586 წ. ჯავრის ამოსაყრელად სულთანმა დიდ-ძალი ჯარი გამოჰგზავნა ფარხად-ფაშის *) წინამძღოლობით, რომელმაც ხელ-ახლავ დაიპყრა ლორე. მაგრამ ერთი რაზმი ოსმალოს ჯარისა სვიმონის ცბიერებით სრულებით გაფანტულ იქმნა ხატის სოფელში, ასე რომ ლორისა და გორის გარდა ოსმალებმა ქართლში ვერსად ვერ შეიმაგრეს თავი და ამ ქვეყანაში მშიდობიანობა სუფევდა.

1586 წ. დამლევს სპარსებმა ტახტიდამ გადმოაგდეს ბედკრული ხუდა-ბენდე და შაჰათ დასვეს იმისი შვილი ჰამზა-მირზა, რომელიც რამდენისამე თვის შემდეგ მოკლულ იქმნა დალაქის მიერ. შემდეგ იმეფა მოკლეს ხნით მისმა ძმამ, ისმაილ III, და ბოლოს ხუდა-ბენდეს მესამე შვილი, აბაზ I, შეიქმნა შაჰად 1587 წ. ამ დროს სვიმონი გამოექომაგა ათაბაგ მანუჩარს, — რომელსაც ოსმალები თავს დაესხნენ, — და-

*) ფეერად-ფაშა.

ბანაკა ახალ-დაბაში და შემდეგ შევიდა სამცხეს, საიდანაც განდევნა იმისი მტრები და მოწინააღმდეგენი. როცა შეიტყო, რომ იმერეთის მეფეს ზოგიერონი დიდებულნი არ ემორჩილებიანო, თავს დაესხა და გოფანთოში დაამარცხა მეფე ლევანი, რომელიც თავის ციხე-სიმაგრეებს შეეფარა, თვითონ სვიმონს კი შიში ჰქონდა ოსმალებისა,—რომელთაც ჯერ კიდევ გორი ეჭირათ,—და უკანვე დაბრუნდა, მხოლოდ იმერეთიდამ მძევლები წამოიყვანა. იმის წამოსვლის შემდეგ იმერეთში არეულობა მოჰხდა: დადიანმა წაართვა ტახტი ლევანს და მეფედ როსტომი [1]) დასვა.

როცა სვიმონმა ამ ცვლილების ამბავი შეიტყო, წამოვიდა ჯარით იმერეთს, აიღო ციხეები: სვერი, სკანდა, ქუთაისი, გაემართა ოდიშისაკენ და დაედევნა როსტომს, რომელიც იქ გაიქცა. სვიმონი რომ ოფიშკვითში დაბანაკდა, დადიანის მოციქული გამოეცხადა და სთხოვა, როსტომი შეირიგეო, როსტომი ამიერიდგან შენი მორჩილი იქნებაო. სვიმონმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა. ასტყდა ომი; სვიმონის ჯარი იძლია. დამარცხებულმა სვიმონმა დასტოვა ზარბაზნები, თავისი ბანაკი და დაბრუნდა ქართლში. 1590 წ. კავთის-ხევს რომ მოვიდა, ერთმა ქვრივმა დიდი პატივის ცემით მიიღო უცნობი სტუმარი და კარგად გაუმასპინძლდა. ქვრივი სწუხდა ქართველების ჯარის გამო. დასაჯილდოებლად ამისა სვიმონ მეფემ გააზნაურა იმისი ოჯახი ქვრივის-ძის სახელწოდებით [2]).

---

[1]) კოსტანტინეს ძე, რომელსაც მამია დადიანმა თავისი ასული შერთო ცოლად. შხეფის-ციხეში დამწყვდეული ლევანი მალე გარდაიცვალა.

[2]) ზოგი სხვანაირად მოგვითხრობს ამ ამბავს, ვითომც ის ქალი ქვრივის ძე იყო გვარად, ქმარი ლაშქარში ჰყავდა და ქალმა მეფესთან წუხილი დაიწყო: „ნეტა ღმერთმა მიჰხედოს მეფეს წყალობით და გვეღირსოს სვიმონის ცოცხლებით მოსვლა და სხვანი მისის ჰირის სანაცვლონი იყვნენო“. სვიმონმა გააზნაურა ვითომ იმისი ქმარი და ყმა და მამული უბოძა.

ТБИЛИССКАЯ ГОСУДАРСТВЕННАЯ ПУБЛИЧНАЯ БИБЛИОТЕКА
Т.Ц.Н.-ИСТОРИЧЕСКАЯ БИБЛИОТЕКА

გადარჩენილის ჯარით სვიმონი ხელ-ახლად გარს შემოადგა გორის ციხეს, ცხრა თთვის შემდეგ აიღო და მით მთელი ქართლი ოსმალებისაგან გაათავისუფლა. ეს რომ სულთანმა მუჰამედ III გაიგო, გაჰგზავნა ჯაფარ-ფაშა დიდძალის ჯარით, რომელიც დაბანაკდა ნახიდურს. სვიმონი იდგა საღარაშენს, საიდამაც ოსმალების ბანაკის დასათვარიელებლად წაიყვანა თორმეტი ცხენოსანი და უბრძანა მექანარეს ბუკი დაეყვირებინა [3]). ოსმალნი აღიჭურვნენ და ამხედრება იწყეს. მეღემ მაშინვე საჩქაროდ გამოსწია ბანაკისკენ. ფარცხისს რომ მიაღწია, აწუფს, ალგეთის ნაპირად, მეფეს ცხენი ლაფში ჩაუვარდა. სვიმონი ტყვეთ წაიყვანეს ოსმალებმა თავიანთ ბანაკში, სადაც იმ ზამთარს და გაზაფხულს თანა ჰყავდათ, ხოლო 1600 წ., ზაფხულში, სვიმონი სტამბოლს გაისტუმრეს. მეფის ძე გიორგი გამოედევნა ოსმალებს, მაგრამ მათ მოასწრეს ლორის აღება და ციგ შესვლა; გიორგი დაბრუნდა ქართლში და მამის გამოსასყიდლად შეჰკრიბა ყოველი საუნჯე, როგორც თავისი, აგრეთვე საეკკლესიო და სამონასტრო; მაგრამ ვერაფრით ვერ უშველა მამას. მეფე დიდ-ხანს იჯდა დაპატიმრებული შვიდ-კოშკიან ციხეში, სადაც 1611 წ. ახლო ხანებში გარდაიცვალა.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ქართველთ ისტორია შეცდომით აღნიშნავს სვიმონის სიკვდილს 1600 წ., სხვათა შორის, ერთი გარემოებაც საკმარისია: 1606 წ. მივიდა სპარსეთში მეფე სვიმონის სახელით ერთი ქართველი ჭალი გულჩინ, რომელიც დიდად მიღებული იყო სტამბოლში და სცდილობდა სულთანსა და შაჰს შორის ზავი და მორიგება ჩამოეგდო. ამას გარდა ოსმალოს მეისტორიენი ამბობენ, რომ სვიმონი მოკვდაო ოთხის წლის წინად ამ ორ სახელმწიფოთა

---

[3]) მეფეს სურდა საკუთარის თვალით ენახა, რა ნაირად იყვნენ ოსმალნი შომზადებულნი მტრის დასახვედრად.

შებრძოლებამდე, მაშასადამე, ზემოხსენებულის წლის ახლო ხანებში.

სვიმონ მეფის ტყვედ წაყვანის შემდეგ, მისი შვილი გიორგი X გამეფდა და ეკურთხა ტფილისში. 1600 წ. მეფე გარს შემოადგა და აიღო ლორე. 1600 წ. დამლევს შაჰ-აბაზი გარშემოერტყა ერევანს და ქართლისა და კახეთის მეფენი დაიბარა ჯარით. მეფეებს თან ახლდათ არაგვის ერისთავი ნუგზარ, რომელიც იმას წინად გადაუდგა ალექსანდრეს და მიემხრო მეფე გიორგის. ქართველებმა ვაჟ-კაცობით თავი იჩინეს; შაჰმა მეორე წელს, მაისში, აიღო ეს ციხე. მეფე გიორგის რომ ისტუმრებდა, შაჰმა მოსთხოვა ლორეს დათმობა, და ამის სანუქფოდ სხვათა შორის აჩუქა მამული ლაგიჯარის მახლობლად, გილანში, რომლიდანაც შემოდიოდა 3000 თუმანი ანუ 30,000 მანეთი და გაისტუმრა შინ. მეფეს შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. 1605 წ. მან მიაშველა ჯარი კახეთის დედოფალს ქეთევანს, რომელმაც გაილაშქრა თავის სიძის კოსტანტინეს წინააღმდეგ, და შვიდ სეკდემბერს ამავე წლისას გარდაიცვალა, — ზოგიერთის თქმით, ფუტკრის კბენით, რომელიც თაფლის ფიტაში ჩარჩენილიყო; ზოგი კი ამბობს, ვითომც შაჰ-აბაზს მოეწამლოს. ამ მეფისაგან დარჩა სიგელი ბორის თევდორი-ძის [4]) სახელზე, დაწერილი 10 მაისს 1600 წ. ამ სიგელითა სჩანს: 1) რომ რუსის მეფეს გამოეგზავნა ელჩათ ტატიშჩევი, რომელსაც კახეთიდამ დაბრუნების დროს უთხოვნია გიორგის მეფის ასული ელენე საცოლოდ რუსის მეფის ძის ანდრიასათვის და 2) მეფე ბორისმა თავისი ასული ქსენია შეაძლია ცოლად ხოსრო მუხრან-ბატონს, გიორგის დისწულს. ამ ორ ქორწინებაში არც ერთი არ მოჰხდა, — თუმცა ორივე მეფე თანხმანი იყვნენ, — რადგან ამ დროს ბორისი

---

[4]) აქ უნდა იგულისხმებოდეს თევდორე ბორისის ძე, რომელმაც შემდეგ ბორისისა ცოტა ხანს იმეფა.

ტახტიდამ გადმოაგდო პირველმა ცრუ-დიმიტრიმ [5]). მეფე გიორგიმ 10 მაისს 1605 წ. ჯვარზე დაიფიცა რუსთა მეფის ერთგულებისათვის.

გიორგის სიკვდილს შემდეგ ოსმალებმა დაიპირეს ლორე, რომელშიაც მეციხოვნეთა უფროსად ჩააყენეს მოჰამედ-ფაშა, ყაზაზის ტომის შთამომავალი; მათ დაიპყრეს აგრეთვე ტფილისი, რომელიც აბდალატიფ-ფაშამ გარდასცა მათ—და დმანისი; ქართლის სატახტო ქალაქი ჩააბარეს ვინმე ალი-ყული ხანს.

ეს რომ შაჰმა შეიტყო, გამოილაშქრა და დაიპყრო მთელი ყარაბაღი და ჩრდილოეთისაკენ გასწია. მხოლოდ მაშინ დაუთმო მაჰმედ-ფაშამ ლორე, აბდალატიფ-ფაშამ გარდასცა ტფილისის ციხე სპარსთა მეციხოვნეებს და ქართლი ისევ სპარსელებმა ჩაიგდეს ხელში.

ლუარსაბ II გამეფდა შემდეგ თავისის მამის გიორგისა და ეკურთხა მცხეთას. ქართლში მშვიდობა ჩამოვარდა, მხოლოდ უფულობა იყო დიდი, რადგან სვიმონ მეფის გამოსასყიდლად დიდ-ძალი ფული და საუნჯე იქმნა შეგროვილი. ამასთან მეფის უფლებაც ძალიან დასუსტდა ხანგრძლივის ომების გამო. დიდებულნი შეიხიზნენ თავიანთ სამფლობელოებში და იქ გამაგრდნენ.

ამ დროს შაჰ-აბაზმა ცოლად შეირთო თინათინ, უმცროსი და ლუარსაბისა და ქორწინება დიდის ამბით გარდაიხადა. ბატონის ასულს დაარქვეს სპარსულად ლელა ანუ ფატმან-სულთან-ბეგუმი. ლუარსაბი თექვსმეტის წლისა იყო, როდესაც ქართლი მოიარა და დიდებულებს ეწვია. ამ დიდებულებში უძლიერესი იყო გიორგი სააკაძე, ტფილისისა და დვალეთის მოურავი, რომელსაც აზნაურობა რამდენისამე წლის წინად მიელო. ის იყო დიდი ვაჟ-კაცი და გამბედავი

---

[5]) ბორისი უცებ გარდაიცვალა, ხოლო მისი შვილი თეოდორე ტახტიდამ გარდააგდო ცრუ-დიმიტრიმ.

კაცი, მაგრამ ეკი ენა ჰქონდა და ამასთან იყო პატიოსნების წესის არა ყოველთვის მტკიცედ დამცველი. თავს ისე აჩვენებდა მეფეს, ვითომც ძალიან შეურაცხყოფილი ვარ მით, რომ ჩემი ცუდი ყოფა-ქცევა მამხილეო. თუმცა მიუხედავად ამისა საკაძემ მაინც თავის ხელმწიფეს არ უღალატა იმ ხანად.

1609 წ. ყირიმის თათრები, ბაღდადიდამ დაბრუნებულები, შეესიენ და გაძარცვეს თრიალეთი. ზოგიერთის თქმით, ისინი იყვნენ ის თათრები, რომლებიც ოსმალებმა ახალციხიდან გაჰგზავნეს ქართველების დასასჯელად, როცა ისინი ამ მხარეს შეესიენ. ქართველთ შატიანე კი არ იხსენიებს არსად ამ შესევას. ამ თათრების ჯარის სარდლათ იყო ვიღაც ჯელილ ანუ ჩილ-ფაშა და მის ხელ ქვეითი იყო ფერჰად-ფაშა. ლუარსაბი მაშინ ცხირეთს იმყოფებოდა და შეუდგა თავის დაცვას. თუმცა გზა ჩახერგილი იყო, მაგრამ მაინც ვერ შეაჩერეს თათრები, რომლებმაც მრავალი ქართველები ამოსწყვიტეს. ერთის სომხის [6]) მღვდელი თევდორე ცბიერებით გაუძღვა მათ ქვესადრისაკენ, და მით ააცილა ისინი ცხირეთს. როცა თათრები მიჰხვდენ, რომ თევდორე მღვდელმა მოგვატყუაო, შეუბრალებლად აჰკუწეს. ამასობაში მოურავმა გიორგი საკაძემ საჩქაროდ მოასწრო 1500 მეომარის შეკრება; საბარათიანოს მცხოვრებნიც მოეშველნენ მეფეს და ერთად დაეცნენ მტერს, რომელიც გორის ხიდისაკენ გაემართა; რადგან ხიდი ჩაქცეული იყო მეორე სომხის მღვდლისაგან, თათრებმა ფონი მოსძებნეს და ისე გავიდნენ მტკვარში ქარელს ახლოს. მაშინ ახალ-დაბას მყოფი მეფე გავიდა მტკვარში თავის მხედრობით და გამაგრდა სურამს [7]) ახლოს და ახალციხეს

---

[6]) ავტორი აქ შეცდომით იხსენიებს თავ-დადებულ ქართველს თევდორე მღვდელს სომხის მღვდლად. ის იყო კველთას მღვდელი თევდორე. ხოლო სომხის ტერტერამ, საკაშვილმა, გორის ხიდი ჩააქცია. ის სხვაა და თევდორე—სხვა.

[7]) ტაშის კართან.

მიმავალი გზა შეუკრა თათრებს. აქ მოჰხდა ფიცხელი ომი [8]); მრავალი თათარი დაიხოცა; გამარჯვებულებს დარჩათ მდიდარი ალაფი, ხოლო თათართაგან ვინც გადარჩა, გაიქცა.

როცა შეფე დაბრუნდა უკან, ეწვია მოურავს ნოსტეს, სადაც შეუყვარდა მოურავის და, და განიზრახა იმის ცოლად შერთვა. მოურავმა ისე დაიჭირა თავი, ვითომც ამ ქორწინების წინააღმდეგი ვარო, და კიდეც მოახსენა მეფეს თავისი აზრი. არც დედა მეფისა, მარიამ ლიპარტიანის ასული, ურჩევდა მეფეს ამ შეუღლებას. მაგრამ მეფემ არ ისმინა დედის რჩევა და დაიწერა ჯვარი. ექვსის თვის შემდეგ დიდებულებმა აიძულეს მეფე უარ-ეყო ეს შეუსაბამო ქორწინება, შეერთო სამეგრელოს მთავრის ასული და განეტევებინა მეუღლე. ამას გარდა დიდებულებმა გარდასწყვიტეს ნადიროობის დროს მოეკლათ მოურავი ყარაიაზში; ეს რომ მოურავმა შეიტყო ფარეშთა უხუცესის კახაბერ ხერხეულიძისაგან, სწრაფად გაიქცა ცხენის ჭენებით ნოსტეს, იქიდან მთელის სახლეულობით გასცურა მტკვარში და მივიდა ქსნის ერისთავ ნუგზართან—თავისს სიმამრთან. ნუგზარი იყო შვილის-შვილი ვიღაც ვანათელ აზნაურისა, რომელსაც სვიმონ მეფემ ერისთაობა უბოძა ერთგულ სამსახურისათვის. ნუგზარი ემდურებოდა მეფე ლუარსაბს მისთვის, რომ არ მისცა თავისი უფროსი და ცოლად მის შვილსა. მოურავი და ნუგზარი წავიდნენ აღჯა-ყალაში და აქედგან—სპარსეთს. შაჰ-აბაზმა მიიღო ისინი დიდის წყალობით, და ცოტახანს უკან ნუგზარი გამოუშვა შინ, ხოლო მოურავი თან იახლა, საქართველოს მდგომარეობას დაწვრილებით გამოკითხავ ამასაო.

1612 წ. ლუარსაბმა შაჰის ბრძანებით მიათხოვა თავისი შეორე და ხვარეშანი კახეთის მეფეს თეიმურაზს, იმისავე ბრძანებით მოჰკლა ყაზახის ხანი, რომელსაც აგრეთვე ნაბრძანები ჰქონდა მოეჭრა თავი ლუარსაბისათვის.

---

[8]) ბორჯომის ხეობის შესავალში.

შემდეგს წელს ლუარსაბმა და თეიმურაზმა, სანადიროდ შაჰის მიერ მიპატიჟებულებმა მაზანდარანს, დიდხანს არ გასცეს შიკრიკს პასუხი და არც ეწვივნენ შაჰს. შაჰმა შეურაცხყოფად მიიღო, როგორც ესა, აგრეთვე ის, რომ ორივე მეფე ერთმანეთს დაუახლოვდნენ და შეჰკრეს ზავი, რომელიც, იმის ფიქრით, სპარსეთის საწინააღმდეგოდ უნდა ყოფილიყო დასკვნილი.

ისტორიკოსი არაქელი და ზოგიერთნი დასავლეთის მეისტორიენი ამტკიცებენ, რომ შაჰს უყვარდა ზემოხსენებული და ქართლის მეფისა და ძლიერ ეწყინა, როდესაც ის სხვას მიათხოვეს. ალბად აქ შეცდომა უნდა იყოს, როგორც ამ ამბის მოთხრობაში, აგრეთვე დროს აღნიშვნაშიაც.

ოკტომბერში 1641 წ., შაჰ-აბაზი, შეგონებული მოურავის მიერ,—რომელიც ერთის წლის წინად გამაჰმადიანდა,—მივიდა განჯას იმ განზრახვით, რომ უეცრად დაეცეს კახეთს. შეშინებულმა ლუარსაბმა შეჰკრა კავშირი თეიმურაზთან. შაჰი საიდუმლო წერილებით სცდილობდა მეფეებს მოეკლათ ერთმანერთი და, როდესაც კახეთის აოხრების შემდეგ, ის შევიდა ქართლში, დიდებულებმა უარი განაცხადეს სპარსელების წინააღმდეგ ეომათ, რადგან შაჰის გაგზავნილი კაცები ყველგან აცხადებდნენ მშვიდობიანობას და ვერაგობით შეაგონეს ხალხს წყნარად ყოფილიყო. მეფეები გადაიხვეწნენ იმერეთში, სადაც დიაღ მეგობრულად მიიღეს ისინი. შაჰი ამაოდ სცდილობდა დაეთანხმებინა იმერეთის მეფე დაეთხოვა და გამოესტუმრებინა ქართლის და კახეთის მეფენი. გიორგი მეფე არას გზით არ დასთანხმდა ამაზე. ვერც შალიმანმა, ლუარსაბის შამა-მძუმემ, დაითანხმა ქართლის მეფე თავის ნებით გამოცხადებულიყო შაჰთანა. ბოლოს შაჰ-აბაზმა გაჰგზავნა თავისი კარის კაცი, ადერბეიჯანის ვეზირი, სარუ-ხოჯა საჩუქრებით და ორის წერილით გიორგისთანა და ლუარსაბთან. ამ წერილებით უნდოდა ჩამოეგდო მეფეთა შორის შუღლი. სარუ-ხოჯა სამჯერ მივიდა მეფეებთან,

მაგრამ არა თუ ვერა გააწყორა, არამედ, უკანასკნელ მისვლის დროს, შეურაცხყოფა მიაყენეს და გაძარცვეს კიდეც. მას შემდეგ სარუ-ხოჯას იმერეთში აღარ გაუვლია. მაშინ ლუარსაბის დამ, შაჰის მეუღლემ, ყოველი ღონის-ძიება იხმარა და შეაგონა თავისს ძმას დაჰმორჩილებოდა და მინდობოდა შაჰს. ლუარსაბი შეშინდა, შაჰ-აბაზმა მართლა არ მისცეს ქართლი მეფე გიორგის შვილისაო, — რაზედაც, თუ ვერწმუნებით სპარსეთის მეისტორიეს, მოლაპარაკება იყო გამართული, და გარდასწყვიტა დაეტოვებინა იმერეთი. შაჰმა ცბიერობით ჩაიყვანა ლუარსაბი გორიდან ტფილისს, თუმცა ლუარსაბს განზრახვა ჰქონდა გაქცეულიყო გზაში. ერთის წლის შემდეგ, როცა შაჰი ყარაიაზს წავიდა, თან წაიყვანა ლუარსიბი და აქედამ თან იახლა ყარაბაღსა და ასტარაბადს.

შაჰის დაბრუნების შემდეგ ქართლში 1616 წ., სხვა და-სხვა საბაბით სპარსები დღე-და-ღამ უდარაჯებდნენ მეფეს მოგზაურობის დროს, ნამეტურ მას შემდეგ, როცა მეფემ გაქცევა მოინდომა. ბოლოს აშკარად მიუყენეს დარაჯები, ვითომ და იმ მიზეზით, რომ ლუარსაბს მოჰპარეს შაჰის ნაჩუქარი ალმასებით შემკული ნივთები. ამ გვარად შაჰ-აბაზს თითქო შეპყრობილი ჰყავდა ლუარსაბი. ამასობაში ვიღაც სპარსელი განაგებდა ქართლს, როგორც შაჰის მოადგილე, და ბაგრატ VI-ს, დაუთ-ხანის ძეს, მინიჭებული ჰქონდა უფლება სიგელებისა და გუჯრების გაცემისა.

ისპაჰანს მისვლის უმალვე შაჰმა შეიტყო თეიმურაზის შესევა კახეთში; მაშინ შაჰ აბაზმა ურჩია ლუარსაბს, მაჰმადის სარწმუნოება მიეღო; როცა ლუარსაბმა უარი განაცხადა, შაჰმა გაჰგზავნა გულაბ-ყალის ციხეში, შირაზის ახლოს; შაჰი უკმაყოფილო იყო მით, რომ აქ რუსის ელჩი ივანე კარობინი შუამდგომლობდა ლუარსაბის განთავისუფლებისათვის და უბრძანა მოეხრჩოთ იგი შვილდის ბაწრით იმ დროს, როცა ელჩი ფევზის ჰერით თავს იქცევდა.

ეს მოჰხდა 1622 წ. — მეფე ლუარსაბს საქართველოს ეკლესია წმ მოწამეთ ჰრაცხს. ანტონ I კათალიკოზმა წარმოსთქვა შესხმა იმის სიკვდილის შესახებ. ლუარსაბის ხსენებას ქართველთ ეკლესია დღესასწაულობს 21 ივნისს.

ტფილისში ყოფნის დროს, ალბად 1616 წ., შაჰმა შეიტყო, რომ ლუარსაბს მოეხერხებინა სანდო კაცების შემწეობით მეფე სვიმონის ნეშტის პოვნა სტამბოლში და იქიდამ გადმოსვენება მისი. შაჰმა ბრძანა, ვითომც პატივ-საცემლად მაჰადიანის ხელმწიფისა, სვიმონის ნეშტი მეშხედს წაესვენებინათ, მაგრამ ნამდვილად კი არავინ იცის, სად დაკრძალეს იგი ნეშტი მეფისა.

ლუარსაბის მოკვლის შემდეგ მისი და მიატოვა შაჰმა და მიათხოვა ფეიქარ-ხანს, კახეთის გამგებელს. ქართლის მეფედ კი დაჰნიშნა ბაგრატ VI, დაუთ-ხანისა და კახეთის მეფის ასულის ანნას ძე, რომელიც, როგორც მაჰმადიანის სარწმუნოების მიმდევარი, არავისაგან პატივ-ცემული არ იყო. ბაგრატს დაცინვით საბარათიანოს ბატონს უწოდებდნენ, რადგან საბარათიანოში სცხოვრობდა. მეორედ გალაშქრების შემდეგ კახეთს, 1616 წ. ბოლოს, შაჰ-აბაზი ესტუმრა ტფილისში ბაგრატს, რომელსაც დიდი წყალობა მიანიჭა; აქედამ ის წავიდა სომხეთს, სადაც მიღებული იყო იქაურის ათაბაგის მელიქ მარმენეს მიერ და აქედამ გადავიდა საზაფხულო იალაღებზე სევანგის ტბის ახლოს. ბაგრატი გარდაიცვალა ბოლნისში 1619 წ. მეუღლე მისი სცხოვრობდა ხან ტფილისში, ხან სომხეთში თვისის შვილით სვიმონით, რომელსაც ქართველები ნაკლებად სცემდნენ პატივს. რაც შეეხება კახეთს, ამ სამეფოდამ გარდაასახლეს მაზანდარანში 60,000 ოჯახი და მათ ნაცვლად დაასახლეს თათართა ტომნი.

ახლო ხანებში ნუგზარ ერისთვის მემკვიდრედ დარჩენილი მისი შვილი ბაადურ გამოაგდო მისმა ძმამ, ზურაბმა. — ზურაბი თავის მეუღლითურთ წავიდა შაჰ-აბაზთან და, როცა შაჰმა და ბაგრატ მეფის ძემ სვიმონმა დაამტკიცა ერისთავად ზურაბი,

მან დაიპყრა ბაზალეთი და ბაადურ განდევნა იმერეთს; შემ-
დეგ დაიპყრო მთიულეთი და ხევი, რომელიც აქამომდე სა-
ხასო იყო. ცოტა ხანს შემდეგ ზურაბი თავს დაესხა თავადს
ჩიჯავაძეს საჩინოს, იმერეთში, ჯავრის ამოსაყრელად ბაადუ-
რის მოკვლისათვის. მან დაიჭირა და თავი მოჰკვეთა ჩიჯავა-
ძეს. სვიმონი წავიდა სპარსეთს, ზურაბი დაედევნა უკან თა-
ვის გასამართლებლად; ზურაბი მალე გამოჰგზავნეს საქართვე-
ლოში დიდ-ძალის ჯარით. მას ახლდნენ ყარჩი-ხანი და მოუ-
რავი. მათ უნდა აეკლოთ კახეთი და ქართლის მკვიდრნი აე-
ყარნათ და გადაესახლებინათ სპარსეთს. ამასთანავე შაჰმა სვი-
მონს უბოძა მეფის უფლება და მიათხოვა ცოლად თავისი
შვილის-შვილი ჯამ-ხანუმი, ისა-ხან ყორჩიბაშის და ზუბეიდა-
ბეგუმის ასული. ამით დამკვიდრდა საზოგადო წესიერება და
მღელვარება დროებით შეწყნარდა საქართველოში.

სვიმონ II დაბინავდა ტფილისში, ანუ აღჯა-ყალაში.
როგორც სპარსეთის მეისტორიე გვარწმუნებს. სპარსები წა-
ვიდნენ მუხრანს, სადაც აუარებელი რიცხვი კახელთა, ცბიერე-
ბით მიწოდებული ვითომც იმერეთში გასალაშქრებლად, მა-
ხვილით იქმნა ამოჟლეტილი. ახლა საქმე მიდგა ქართველე-
ბის გადასახლებაზე. მოურავმა შემთხვევით შეაჩერა შაჰის
შიკრიკი და, რომ შეიტყო ის განსაცდელი, რომელიც თვი-
თონ მას და მის თანამემამულეებს მოელოდა, მოჰკლა იგი
და ყოველივე აცნობა ზურაბს. ზურაბი და გიორგი სააკაძე,
როგორც ვითომ სპარსების ერთგულები, მოელაპარაკნენ
ყარჩი-ხანს და დაიბარეს ქართველები და მათი დიდებულნი,
რომელთაც მოურავმა შეატყობინა შაჰის ზემოხსენებული
განზრახვა. ყველა დასთანხმდა წინააღუდგნენ სპარსელებს,
გარდა ანდუყაფარ ანუ აბდულ-ყაფარ ამილახვრისა, რომე-
ლიც შაჰმადიანი და მეფე სვიმონის ქვისლი იყო. ამასთანავე
ამ ანდუყაფარის და შაჰსა ჰყავდა ჰარამხანაში. დიდებულებმა
წაიყვანეს აბდულა და დაამწყვდიეს საფურცლეს, ხოლო მისი
შეუღლე წარგზავნეს თრუსოს ხეობას, არშის ციხეში.

მეორე დღეს ქართველნი ანაზდად დაეცნენ სპარსებს. ყარჩი-ხანი მოჰკლა თვით მოურავმა, ხოლო იმისი შვილი, იმამ-ვერდი ბეგი—მოურავის შვილმა ზურაბმა; შირვანის ბეგლარ-ბეგი უსუფ-ხანი და სხვა წარჩინებულნი გაჟლიტეს, ზოგი კი გადარჩა და უშველა თავს. ქართველებს აურაცხელი ალაფი დარჩათ. ეს მოჰხდა ნორიოს, მარტყოფის მაზრაში, 24 მარტს 1623 წ. შემდეგ ამისა ზურაბ ერისთავი დაუყოვნებლივ წავიდა კახეთს და იქიდამ გამოაგდო ფეიქარ-ხანი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ლელა, მეფე ლუარსაბის და, შაჰ-აბაზისაგან განტევებული, შემდეგ ლუარსაბის მოკვლისა მოურავმა აიღო ტფილისი გარდა ციხისა, რომელიც შათირ-შაჰის წინამძღოლობით არ დაჰნებდა მას,—მერე შეუერთდა ზურაბ ერისთავს და დაედევნა ფეიქარ-ხანს, მაგრამ ველარ დაეწია. მათ დაარბიეს განჯა და ყარაბაღი და დაბრუნდნენ დიდის ნადავლით. თეიმურაზმა, მათ მიერ მოწოდებულმა კახეთში, მიათხოვა ზურაბს თავისი ასული დარეჯანი. ხოლო ქართლის გამგებლად იყო დაყენებული ქაიხოსრო, ვახტანგ მუხრან-ბატონის ძე, მაგრამ არაფერს არ აკეთებდა ამ ორ დიდებულთა დაუკითხავათ, რომელთაც უკვე ჰქონდათ მოლაპარაკება ოსმალებთან და ყოველს ღონეს ჰხმარობდნენ, რომ ტფილისის ციხე აეღოთ.

როგორც-კი გაიგო შაჰ-აბაზმა ქართლის აჯანყება და კახეთში მოხდარი ცვლილება, გააგდებინა თავი მოურავის შვილს პაატას, ხოლო ცოლი ზურაბისა დააყენა მოახლედ თავისს ჰარამხანაში; ამას გარდა მან გაჰგზავნა ქართლში ურიცხვი ჯარით ისა-ხან ყორჩიბაში. ის დაბინავდა მდინარე ალგეთის ნაპირად იმ ადგილას, რომელსაც ინკანდერ-მუნჯი გუმიშლუს უწოდებს. ყორჩიბაშს ახლდნენ ერევნის ემირი გუნა-ხანი, ადერბეიჯანის ბეგლარ-ბეგი შაჰ-ბენდე-ხანი. ქართლელები იდგნენ კოჯორს მანუჩარ ათაბაგის მაშველის ჯარით და კახელებით, სარდლის ბარათ ბარათაშვილის განკარგულებით ივნისის დამდეგს 1624 წ. დაეცნენ დილით

მტერს და სავსებით დაამარცხეს. ემირ გუნამ მოუსწრო ომს და, როცა მიჰხვდა სპარსების დამარცხებას, სწრაფად შემოუტია მარაბდის სერიდამ ქართველებს, რომელნიც, – სიცხისაგან დაქანცულნი, – მალე განბნეულ იქმნენ. კახელებმა რომ გაიგეს თეიმურაზ მუხრან-ბატონის სიკვდილი, აიშალნენ და გაიქცნენ. სპარსნი შემობრუნდნენ, განაგრძეს ომი და აიძულეს ქართველები უკუ-ქცეულიყვნენ. თუმცა ამ ომში სპარსნი ქართველებზე მეტნი დაიხოცნენ, ისა-ხანმა მაინც გაათავისუფლა ტფილისი გარშემორტყმულ ჯარისაგან და ჩააყენა შიგ მეციხოვნენი, რომელნიც კუმისის ტბის არე-მარეს მკვიდრთა ძარცვავდნენ. მოურავმა ერთი მუჭა ჯარით დაჰხოცა ამ მეციხოვნეთა შორის 700 კაცი; ხოლო მეორე შეხვედრის დროს ბირთვისთან საბარათიანოს ჯარის დაუხმარებლად მანვე დაჰხოცა 500 სპარსელი.

ზურაბ ერისთავთან შეთანხმებით ისა-ხანმა გაჰგზავნა არშის ციხეში ანდუყაფარის ცოლის მოსაყვანად როსტომ-მირზა, დაუთ-ხანის უკანონო შვილი. ეს როსტომი ისპაანში დიდხანს სცხოვრობდა და თითქმის არავინ არ იცნობდა; პირველად მოურავის შემწეობით გაიცნეს; მალე ისპაჰანის მოურაობა უბოძეს; მეფე ლუარსაბის ჯიბრზედ შაჰს დიდათ პატივ-ცემული ჰყავდა. სპარსები შაჰ ბენდე-ხანის წინამძღოლობით შევიდნენ დუშეთს და არშის ციხეში, საიდამაც წამოიყვანეს ბატონის ასული და ლომისას მთით მდინარე ქსანზე სამხრეთისკენ ჩამოვიდნენ.

აქ მათ დაუხვდა მოურავი, რომელმაც ისინი ძლიერ დაამარცხა. სხვათა შორის, მოჰკლეს, თუ ტყვეთ წაიყვანეს, ადერბეიჯანის შაჰ ბენდე-ხანი და ერევნის ყაზახ-ხანი. მიუხედავად ამისა, როსტომის ვაჟ-კაცობამ სძლია მოურავს, რომელიც იძულებული იყო დაეტოვებინა ქართლი და წასულიყო სამცხეს, სადაც მასთან მივიდა მისი მეუღლე. ეს მოჰხდა 1626 წ. სპარსები უკან გამოუდგნენ და აიღეს ხერთვისი და რაბდენიძე ციხე. მაგრამ ისინი გამოდევნილ იქმნენ

იქიდან მოურავის მიერ, რომელმაც მიჰმართა სულთანის მფარველობას და გარდასცა ოსმალებს მის მიერ დაპყრობილი ქალაქები. შემდეგ მოურავი გადავიდა იმერეთის მეფესთან და დადიანთან და იქიდამ დაბრუნდა სამცხეს. ისა-ხანმა მეფე სვიმონი დასტოვა ტფილისში, ხოლო როსტომ-მირზა დაჯილდოვებულ იქმნა ყულარ-აღის [9]) ღირსებით.

ამასობაში ანდუყაფარ ამილახვარმა იასე ქსნის ერისთავის დახმარებით დაიპყრო თავადის ღაზნელის მამული, გაძარცვა მცხეთის ტაძარი და მწარე სიკვდილით მოკვდა ტფილისში, ნარიყალის კლდის ნაპრალიდამ გადავარდნილი. მოურავი დაბრუნდა ქართლში და სვიმონ მეფის ჯიბრზედ ქართლის გამგეთ დააყენა ქაიხოსრო მუხრან-ბატონი. მანვე დაიპყრო დვალნი, რომელთაც უარი სთქვეს ხარჯის გადახდაზე, დასაჯა სომხეთის ათაბაგი, სპარსელების მომხრე, და აიღო ბირთვისი, სადაც ქაიხოსრო ბარათაშვილს ჩაყენებული ჰყავდა ხუთასი სპარსელი მეციხოვნე. ეს მეციხოვნენი ყველანი ამოსწყვიტა. აგრეთვე დაამარცხა ქველი წერეთელი, რომელიც თავს დაესხა მას და აუოხრა მამული.

ამას შემდეგ ზურაბ არაგვის ერისთავი აეშალა ქართლის გამგეს ქაიხოსროს და მოურავს. ის არამც თუ ცდილობდა ხელში ჩაეგდო უზენაესი უფლება, არამედ სურდა ფული მოეჭრევინებინა თავის სახელზე. მან მიიწვია თეიმურაზ კახთ-ბატონი და მოიწადინა იმის გამეფება ქართლში. მოურავი ჯარით სამცხიდამ და იმერეთიდამ მოვიდა დუშეთს. ფიცხელი ომი გაიმართა ბაზალეთს, სადაც მოურავი დამარცხდა. მოურავი წავიდა სამცხეს და თან წაიყვანა ქაიხოსრო 1626 წ. იქიდან შეუერთდა ოსმალებს არზრუმში და წავიდა სტამბოღის, სადაც ხელ-ახლავ გამაჰმადიანდა მუჰამედ-ბეგის სახელით.

---

[9]) მონათ უხუცესი: ამის ხელისა იყო ყოველი მეფის როქის (ჯამაგირით დაქირავებული) სპანი, თვინიერ ციხე-ქალაქთა (ვხტ.), მოლაშქრეთ მთავარი, (ს. ო. ლექსიკონი, დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, გვ. 188.

ამ დროს თეიმურაზმა მოლაპარაკება დაუწყო დაუთ-ხანს, რომელიც ტფილისის ბეგლარ-ბეგად იყო დანიშნული—და შეურიგდა სპარსელებს. მოურავმა და იმის მხლებლებმა (ქართველებმა) გასაოცარი ვაჟ-კაცობა გამოიჩინეს ოსმალების რაზმებში; მაგრამ დიდმა ვეზირმა შეიძულა ეს კაცი; არ ვიცით ნამდვილად, ეს სიძულვილი ჩამოაგდო იმისმა ცოლმა, რომელიც სულთანის და იყო და რომელიც შურით ისმენდა ქართველ მხედრის დიდებასა და ქებას, თუ თითონ დიდი ვეზირი გაჯავრებული იყო ზოგიერთ ქართველების ურიგო ყოფა-ქცევით. მან უბრძანა თავი მოეკვეთათ, როგორც მოურავისათვის, აგრეთვე მის შვილებისა და 40 ქართველისათვის კონიაში, ივნისის დამდეგს 1629 წ. სამაგიეროდ ბაღდადის ომის შემდეგ სულთანმა მოაკვლევინა დიდი ვეზირი ხოსრო-ფაშა [10]). ამ გვარად მოკვდა გიორგი საკაძე, ორჯელ ლალატის მტვირთველი, სჯულის უარის მყოფელი და სამშობლოს დამღუპველი. ის იყო იშვიათი ვაჟ-კაცი და საოცარის ნიჭით შემკული([11]). თეიმურაზმა გამოაცხადა თავისი თავი ქართლის მეფედ და მუხრანის მაზრა აჩუქა თავის შვილს დავითს.

შაჰ-აბაზი გარდაიცვალა 1629 წ. დამდეგს. რადგან მან მოაკვლევინა თუ თვალები დასთხარა ყველა თავის შვილებს, მისი შვილის-შვილი ისმაილი, რომელიც მისი უფროსის შვილის სეფ-მირზას ძე იყო,—აღიარებულ იქმნა შაჰად

---

[10]) ქართლის ცხოვრებით, ვეზირ-აზამ, ნაწ. II, გვ. 44.

[11]) გიორგი საკაძეს ცხოვრებას ბ-ნმა ან ფურცელაძემ უძღვნა მთელი მონოგრაფია, რომელიც, სამწუხაროდ, უფრო ისტორიულ რომანსა ჰგავს... ავტორი გაუტაცნია ამ ჩვენის ალკივიადეს მოღვაწეობას და ერთობ იდეალურ მომქმედად, გმირად გვიხატავს დიდს მოურავს. ბ-ნ ან. ფურცელაძის წარმოდგენით, გ. საკაძე საქართველოს შეერთების იდეით იყო გამსჭვალული, მაშინ როდესაც მის მოქმედებიდან ეს არა სჩანს და ყველა მაშინდელნი მწერალნი ერთხმად აღიარებენ, რომ თუმცა საკაძე ნიჭით და მხნეობით შესანიშნავი კაცი იყო, მაგრამ მუხანათი, გამცემი, მოლალატე, რენეგატი იყოვო. მის სახელს ზიზღით იხსენიებს ისტორია...

სეფის სახელით. იმის გამეფება მოჰხდა ქართველის ხოსრო მირზას წინ-დახედულ განკარგულებით, რითაც ამ ხოსრო მირზამ დიდი გავლენა და სიმდიდრე შეიძინა. ცოტა ხანს შემდეგ ზურაბ ერისთავი აეშალა თავის სიმამრს, თეიმურაზს. მან მეფედ აღიარა სვიმონი, რომელსაც მთელი ქართლი დაუმორჩილა. ამას შემდეგ თეიმურაზი შაჰთან წავიდა საჩივლელად და გზიდან წერილი მისწერა ზურაბს, რომლითაც შეურაცხყოფას აყენებდა. მაშინ ზურაბმა თავისის უფლების გაძლიერებისათვის მოჰკლა სვიმონი ცხვილოში. თეიმურაზმა გაუგზავნა იმისი თავი შაჰს და შეიქმნა ორის სამეფოს მეფედ 1633 წ. თეიმურაზ I-ით კახეთის დინასტია გამეფდა ქართლში და თან და თან განდევნა ქართლის მეფის გვარის ჩამომავალი. თეიმურაზმა გაილაშქრა წუკეთის სულთანზე, დაღესტნის მთებში და იქ ხელი მოიტეხა; შემდეგ თავის ჯარის წინამძღოლობა ჩააბარა ზურაბს, რომელმაც მოჰკლა სულთანი და დაიპყრა ეს მხარე. შემდეგ ამისა თეიმურაზს ეშვი შეუვიდა, ვაი თუ გაძლიერებულმა ზურაბმა განიზრახოს ქართლში გაბატონებაო და, ვითომც მისგან მოკლულ სვიმონ მეფის ჯავრის ამოსაყრელად, ზურაბი მოჰკლა და იმისი თავი შაჰს გაუგზავნა. თეიმურაზმა თავისი ასული ქეთევანი[12]) მიათხოვა ალექსანდრეს, იმერეთის მეფის ძეს. თეიმურაზი ორჯელ თავს დაესხა ულუკოსარის მხარეს და ორჯელვე დიდად გამარჯვებული დაბრუნდა ლაშქრობიდან. შემდეგ გაილაშქრა ყარაბაღს, სადაც მიიწვია განჯის ბეგლარ-ბეგმა დაუთ-ხან უნდილაძემ, რომელიც ტომით ქართველი იყო. თეიმურაზმა იქ მრავალი ყაჯარი ამოჰხოცა და ეს მხარე სულ აოხრა. ყაენი განრისხდა, როგორც ყარაბაღის აკლებაზე, აგრეთვე უფრო იმაზე, რომ თეიმურაზმა გადაასახლა კახეთში დაუთ-ხანი, რომელიც შემწეობას აძლევდა ამ ლაშქრობაში. შაჰმა გამოჰგზავნა ქართლში 1672 წ. ხოსრო-მირზა და, როს-

[12]) ვახუშტით, დარეჯანი, რომელიც უწინ თეიმურაზმა ზურაბს მიათხოვა.

ტომ-ხანის სახელით, ქართლის მეფედ აღიარა. ერთი გუჯარი ყოველ ეჰვს გარეშე აღნიშნავს ზემოხსენებულ წელს, როდესაც მრავალ დიდ ბულოა თან ხლებით როსტომი ქართლში შემოვიდა ყაენმა კახეთი სელიმ-ხანს მისცა. მუხრან-ბატონი და ბარათაშვილები მიემხრნენ ახალ მეფეს; თეიმურაზმა ველარ შესძლო შებრძოლება და იმერეთს გარდაიხვეწა.

გამეფდა თუ არა როსტომ-ხანი, გადააკეთა გორისა და სურამის ციხეები და შიგ სპარსელნი მეციხოვნენი ჩააყენა. მაშინ ის 67 წლის მოხუცი იყო, შაჰმადიანი, ცბიერი, ძლიერ მდიდარი და დიდად პატივცემული შაჰის მიერ, რომელმაც ყველა მეზობელ ხანებს უბრძანა მისთვის დახმარება აღმოეჩინათ. როსტომ-ხანის დროს თან და თან დაბრუნდნენ შინ სპარსეთში ტყვეთ წაყვანილი ქართველნი, რომელნიც მისდევდნენ სპარსთა ზნე-ჩვეულებას და განცხრომით სცხოვრობდნენ. მათ შემოიღეს იმნაირი ცვლილება, რომელიც ქართველებს სასიკეთოდ არ გამოადგათ: სპარსული ტანთ-საცმელი, ზნე-ჩვეულება; თანამდებობის სახელ-წოდებანი შეიცვალა სპარსულ წეს-წყობილების მიხედვით. ქრისტეანობა მხოლოდ დაბალმა ხალხმა დაიცვა. როდესაც 1635 წ. სულთანმა მურად IV ჯაილაშქრა ერევანზე, სპარსებმა სიფრთხილისათვის დაიჭირეს საათაბაგოს სამხრეთი ნაწილი და ახალ-ციხე. ამასთანავე სელიმ-ხანის ადგილზე კახეთში ხანათ მამუი-ბეგი დააყენეს და გორში მეციხოვნეთა ჯარი შეიყვანეს. როდესაც თეიმურაზი დარწმუნდა, რომ მისი საქმე ირღვეოდა, დასთანხმდა, ნიშნად მორჩილებისა, ყაენისათვის მიეთხოვებინა თავისი ასული თინათინი, რომელსაც თან გაჰყვნენ სპარსეთში დიდებულის შაჰ-ყული ხანის მეუღლე და ლევან დადიანის ელჩი, მოინაბეგი. ამის სანუქფოდ შაჰმა დაუბრუნა თეიმურაზს კახეთი. შემდეგში შაჰმა სიმთვრალეში სასიკვდილოდ დასჭრა ბატონის ასული; მოგზაური ტავერნიერი გვარწმუნებს, რომ შაჰმა იმდენად შეინანა ეს თავისი საზიზღარი მოქმედება, რომ რამდენსამე ხანს აღარ დაულევია ღვინო და არაყიო.

როსტომმა შეირთო ქეთევან აბაშიძის ქალი, რომელსაც სახელად უწოდა გულ-დუხტარი. ანჩის ხატისა და სიონის ეკკლესიას შუა აიშენა სასახლე, შემოავლო კედელი ხიდის ყურიდამ ნარან-ყალამდე და მით გაჰყო ქალაქი და ციხე. მან შემოავლო მეტეხის ციხეს გალავანი და იქ ჩააყენა სპარსნი. როდესაც როსტომმა შეიტყო, რომ დათუნა, არაგვის ერისთავი, აღარ მემორჩილებაო, ბრძანა იმისთვის თავი მოეკვეთათ 1635 წ. და ამით შიშის ზარი დასცა ყველა ურჩებს: ოთამ ამილახვარს, ფარსადან ციციშვილს, იასე ერისთავსა და სხვებსა.

ერისთავმა ზაალმა, დათუნას ძმამ, მიიწვია თეიმურაზი ქართლის მეფედ, მაგრამ ამ დროს განმავლობაში ზავი ჩამოვარდა შაჰსა და ოსმალოს სულთანს შორის და ქართლი სპარსეთს დარჩა. როდესაც როსტომმა ძალ-ღონე შემოიკრიბა და ტახტზედ დამჯდარდა, დასაჯა ბარათაშვილები სპარსელების დამარცხებისათვის ბირთვისში 1625 წ. [1]), ხოლო თეიმურაზმა სამ წელს ყოფნის დროს დუშეთში ვერ მოახერხა წინ წაწეულიყო და ქართლში შესულიყო. პირველის მეუღლის სიკვდილს შემდეგ როსტომმა ითხოვა ცოლად მარიამი, ლევან დადიანის და. ამ ლევანს დიდი დამოკიდებულება და კავშირი ჰქონდა სპარსეთის მთავრობასთან და მუდამ წელს შაჰისაგან პენსიას იღებდა. ლევანი დასთანხმდა, ჯარით გადმოვლო იმერეთი და გადმოიყვანა თავისი და [2]). იმერეთის მეფე გიორგი გზაზე ჩაესაფრა ჯარით, მაგრამ თავათვე დატყვევებულ იქმნა დადიანის მიერ; ხოლო როსტომმა დიდის ამბით გარდაიხადა ტფილისში ქორწილი. ჩვენს დრომდე

---

[1]) დიდის მოურავის დროს როსტომმა ბრძანა, ქაიხოსრო ბარათაშვილი გადმოეგდოთ განჯის კარისაკენ ციხის მაღალის ადგილიდან. ვახ. ქ. ც., II. ნაწ., გვ. 47.

[2]) საათაბაგოში, როსტომი კაკას ხიდზე დაჰხვდა საცოლოს ზეკარის ხეობაში.

მოღწეული დედოფლის მარიამის მზითვის სია გვიმტკიცებს, რომ მაშინდელი დადიანები მდიდარნი ყოფილან. ვახუშტი მოგვითხრობს ამ ამბავს შემდეგ 1636 წ. და აღგვიწერს როსტომის დაქორწინებას 1638 წ., მაგრამ ზოგიერთს გუჯრებში, რომელიც ამ შემთხვევის გამო იყო გაცემული 1635 წ., მოყვანილია მარიამ დედოფლის სახელი; ხოლო ერთ გუჯარში 1632 წ. მეფე აღიარებს, რომ როგორც კი ქართლში შემოვედი, მაშინვე ვითხოვე მარიამი.

მარიამმა არამც თუ არ უარ-ჰყო ქრისტეს სჯული, არამედ ძალიან ღვთის მოსავი ქალი იყო; როსტომ მეფე, რომ უფრო შევაყვარო ცოლს თავი, მოინათლა. მიუხედავად ამისა მან მიიღო შაჰისაგან დაქორწინების დროს დიდი საჩუქარი ფულად. მეისტორიე ფარსადან გორგიჯანის-ძე ამბობს, რომ ალბად ამ შემთხვევის წინად ზოგიერთმა ქართლის დიდებულმა განიზრახა შეეგონებინათ როსტომისათვის, შვილად აეყვანა და თავის მემკვიდრეთ გამოეცხადებინა იმერეთის ბატონიშვილი მამუკა, მაგრამ რაღაც გარემოებისა გამო ეს განზრახვა აღარ შესრულდა. ამას შემდეგ ნოდარ ციციშვილმა და სხვა დიდებულებმა და აგრეთვე კათალიკოსმა ევდემონ დიასამიძემ მოიწვიეს მეფედ თეიმურაზი, რომელმაც, მეისტორიე ისკანდერ მუნჯის ჩვენებით, დუშეთში ყოფნის დროს განიზრახა როსტომის მოკვლა. როსტომმა შეჰკრიბა ჯარი ქართლში და მეზობელ სახანოებში, დაამარცხა მტერი ხოვლეს და დაიჭირა გორისა და ძოვრის ციხეები. კათალიკოსი შეიპყრეს. ნოდარის ციხე რუსთავში დანგრეულ იქმნა. კახეთი დაიჭირა ადამ-სულთანმა, როსტომის ძიძის შვილმა. შემდეგ როსტომთან შებრძოლებას ვეღარავინ ჰბედავდა; თეიმურაზმა ძლივს უშველა თავს [3]); კათალიკოსი მაღალ კოშკიდან ხევში გადააგდეს; გიორგი გოჩაშვილს თვალები დასთ-

---

[3]) კახეთში გაიქცა.

ხარეს და დანარჩენებს სხვა-და-სხვა სასჯელი გადაუწყვიტეს. მარტო ნოდარი შეიწყნარეს იმის დედის ვედრებით, რომელიც კახეთის მეფის შთამომავალი იყო. როსტომ მეფის უფლება თანდათან გაძლიერდა. მან კათალიკოსად დაჰნიშნა ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი, რომელმაც შეარიგა როსტომი და თეიმურაზი. როსტომმა რამდენიმე სოფელი დაუთმო თეიმურაზს, მაგრამ ამ ზავმა დიდ-ხანს ვერ გასტანა; რამდენისამე ხნის შემდეგ ომი ხელ-ახლად ასტყდა: 1644 წ. მაღაროში მოჰხდა ბრძოლა ამ ორ ხელმწიფეს შორის. როსტომი დამარცხდა, მაგრამ ქართველებმა არ მიატოვეს იგი: როსტომს მუდამ ეწეოდა ყაენი, რომელსაც ეს მეფე უგზავნიდა თავის მოწინააღმდეგეთა და აგრედვე დიდებულების ვაჟებსა და ქალებს. გაგზავნილი ყმაწვილები იქ ეჩვეოდნენ განცხრომით და დიდ-კაცურად ცხოვრებას და ითვისებდნენ მუსულმანთ გარყვნილ ზნე-ჩვეულებას [1]).

შემდეგ შაჰ-სეფის გარდაცვალებისა 1642 წ., სპარსეთის ტახტზედ ავიდა ძე მისი, შაჰ-აბაზ II. როსტომმა განიზრახა ხელ-ახლად თავ-დასხმოდა კახეთს დასასჯელად თეიმურაზისა, რომელმაც პირობა დაარღვია. როსტომმა გაჰგზავნა ვახტანგ მუხრან-ბატონი თიანეთს, სადაც დაბა ულლისში შეებრძოლნენ მას კახელები, რომელთ მხედართ-მთავარი რევაზ ჩოლოყაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა, ხოლო კახელები გაიქცნენ. შემდეგ ამისა სპარსელები ჯემალ-ხანის წინამძღოლობით შეებრძოლნენ კახელებს მაღაროში, სადაც 1648 წ. მოჰკლეს დათუნა, თეიმურაზის შვილი. მაშინ დედოფალ ხორეშანის, მეფე თეიმურაზის მეუღლის, თხოვნით, როსტომი დასთანხმდა

---

[1]) იანვარში 1645 თუ 1646 წ. დედოფალს მარიამს მოუკვდა თავისი ვაჟი ოტია, რომელიც ჰყავდა პირველ ქმრის სვიმონ გურიელის ხელში. მარიამმა დამარხა იგი მცხეთის ეკკლესიაში. ოტიას სიკვდილის წელს ერთი გუჯარი აღნიშნავს 1645 წ., ხოლო მისის საფლავის ქვის წარწერა—1646 წ. ავტ.

და იმერეთში გაისტუმრა ისინი ბარგით, თითონ კი დაიკავა კახეთი და ბატონიშვილის დათუნას თავი გაუგზავნა შაჰს. ამ გამარჯვებისათვის შაჰმა, რომელიც მაშინ მიდიოდა ყანდაარს, როსტომს უბოძა დიდი საჩუქრები, რადგან როსტომი უძეო იყო, მან იშვილა, არ ვიცით კი ნამდვილად რომელ წელს, ისპაჰანს მცხოვრები მეფე სვიმონ I-ს შვილი-შვილი თუ შვილი-შვილის ძე [5]) ლუარსაბი. ის იყო შთამომავალი სვიმონისა და თამარისა, როსტომის დისწულისა, რომელიც სვიმონმა შეირთო 1640 წ. ეს ბატონიშვილი მოკლულ იქმნა ყარაიასში ნადირობის დროს 1652 თუ 1653 წ, არ ვიცით კი ვისგან. შიოშ ბარათაშვილი ამ მკვლელობას აბრალებდა ბაადურ თუმანიშვილს, მაგრამ ხრმლით გასამართლებაში ბარათაშვილი დამარცხებულ იქმნა თუმანიშვილისაგან; ამ გვარად სიმართლე ველარ გამოაშკარავდა. როსტომს სურდა შვილად აეყვანა ყაზმინის მოურავი ვახტანგ ხოსრო-მირზა, ძმა ლუარსაბისა, მაგრამ რადგანაც იმისმა დედამ უარი განაცხადა და ამ დროს თვით ვახტანგიც გარდაიცვალა, როსტომმა დაჰნიშნა თვის მემკვიდრეთ ვახტანგ მუხრან-ბატონი, — იგივე ბახუტ-ბეგი, — რომელიც წავიდა სპარსეთს, გამაჰმადიანდა და დამტკიცებულ იქმნა ქართლის ტახტის მემკვიდრეთ. ამ ხანებში მეფემ დაჰნიშნა თავის მოადგილეთ, ისპაჰანის მოურავად, ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც გამაჰმადიანდა. ეს გორგიჯანიძე იყო ავტორი საქართველოს შესამჩნევ ისტორიისა და მთარგმნელი მუსულმანურის კანონმდებლობისა, ესრეთ წოდებულ ჯამი-აბაზისა. თუმცა მეფე როსტომი მაჰმადის სჯულის აღმსაარებელი იყო, მაგრამ მრავალ მისის გუჯრებიდან სჩანს, რომ პატივს სცემდა ქრისტეს სარწმუნოებას. უნდა დავსძინოთ აგრეთვე, რომ მის სამეფო ბეჭედზე ჯვარი იყო გამოხატული. როდესაც 1656 წ. მცხეთის

---

[5]) ვახუშტით ლუარსაბი იყო ძე სვიმონ I, ვახტანგის ძმისა. ქ. ცხ., II ნ., გვ. 43.

ტაძრის გუმბათი ჩამოიქცა, მან თავის საკუთარის ხარჯით აღადგინა იგი. ამ გვარადვე გააკეთა კახეთში ალავერდის ტაძრის გუმბათი, რომელიც თეიმურაზის მეფობის დროს ჩამოინგრა. მისმა მეუღლემ, კეთილ-მორწმუნე დედოფალმა მარიამმა, განაახლა მრავალი ტაძარი, დაქცეული ზოგი დროთა ვითარებისა, ზოგი მიწის ძვრის გამო და ზოგი კაცთა ხელით. შემდეგ ლევან დადიანის გარდაცვალებისა 1657 წ., როსტომი შეეწია ჯარით იმის ძმის წულს ლიპარიტს, რომ ეს უკანასკნელი შეებრძოლა ვამიყს, რომელიც იმერეთის მეფე აღექსანდრემ დადიანათ დასვა სამეგრელოში. ლიპარიტი, მიუხედავათ იმისა, რომ მას შეუერთდა ქართლის ჯარი, ბახუტა ბეგის და ზაალ ერისთავის სარდლობით, დამარცხებულ იქმნა ბანძას და გაიქცა სტამბოლს, სადაც მალე გარდაიცვალა. თვითონ როსტომი სიბერისა გამო დაუძლურდა და გარდაიცვალა დეკემბერში 1658 წ. ვახტანგ მუხრან-ბატონი შეიქმნა იმის მემკვიდრეთ და ტახტზე ასვლის დროს მიიღო სახელი შაჰ-ნავაზ I-ისა. შაჰის ბრძანებით შეირთო მან ცოლათ მოზუცებული დედოფალი მარიამი და მიიღო შაჰისაგან ძვირფასი საჩუქარი და ალმასებით შემკული ნიშნები სამეფო უფლებისა. ზაალ ერისთავი, რომელსაც არ უყვარდა ვახტანგი, განშორდა მას და წავიდა დუშეთს. შაჰ-ნავაზ I, იგივე ვახტანგ V, სამეფო სიით იყო პირველი ქართლის მეფე მუხრან-ბატონის შვილების დინასტიიდან და ავიდა ტახტზედ თებერვალში 1659 წ. ჩვენამდე დაცულია ერთი გუჯარი, დაწერილი 1658 წ, პირველ წელს იმის მეფობისას. ის უნდა იყოს ხელ მოწერილი მაშინ, როდესაც შაჰ-ნავაზი მემკვიდრეთ იყო როსტომ მეფის სიცოცხლეში, თუმცა მიუხედავათ ამისა, ის უკვე იწოდება მეფედ.

ყაენმა უბრძანა სეფი-ყული სულთანს, ქართლში წადი ⁄ შეარიგე შაჰ-ნავაზი და ზაალიო; თუ ვინიცობაა ზაალი წინააღმდეგი გახდეს, აქ წამოიყვანე, სპარსეთშიო. ზაალი მართლაც არ დასთანხმდა და ამიტომ სეფი-ყულმა თან წაიყვანა

ლ შაჰს წარუდგინა; შაჰი კეთილად მიეგება ლ სანადიროდ წაიყვანა მაზანდარანს; იქ ზაალიცა ლ მისნი თანამხლებელნი ქართველნიც გაამაჰმადიანა. ამავე დროს შაჰმა დააბრუნა სამეგრელოში შაჰ-მაუდ დაუნი, ე. ი. შამან-დავლე, გარდაცვალებულ დადიანის ძმის წული, რომელიც სპარსეთში მივიდა შაჰის პატივსაცემლად. შამან-დავლე თავის ბიძის სიკვდილს შემდეგ ქართლში იმყოფებოდა და ყაენმაც მოწყალებით შეიწყნარა.

მალე იმერეთის მეფე ალექსანდრეც გარდაიცვალა. იმერლებმა შაჰ-ნავაზი მეფედ მიიწოდეს. შაჰ-ნავაზი ფცის წყალის ნაპირს რომ მიადგა, იძულებული შეიქმნა უკანვე დაბრუნებულიყო თავის საკუთარის სამეფოს დასაცველად ზაალ ერისთავისაგან. ზაალმა სპარსეთიდან დაბრუნების უმალ იწყო ქართლის აჯანყება. შაჰის ბრძანებით ზაალი მოჰკლეს იმისმა გადამტერებულმა ძმისწულებმა 9 მაისს 1660 წ. იმის მემკვიდრეთ შეიქმნა ოთარი. მკვლელებმა ვერ გაიხარეს. არც ერთი იმათგანი თავის სიკვდილით არ მომკვდარა: პაპუა მოკლულ იქმნა ომში შაჰ-ნავაზის მიერ, ოთარი და ედიშერი, არ ვიცით ვისგან, — მოწამლვით დაიხოცნენ. რადგან ზაალმა ამოჰხოცა კახეთში უმეტესი ნაწილი თათრების ელთა, შაჰ-ნავაზი შეიქმნა ორსავე სამეფოს ნამდვილ მეფედ და ამასთან დიდი ზედ-გავლენა ჰქონდა იმერეთშიაც. შაჰ-ნავაზმა ამავე წელს (1660 წ.) კათალიკოზ ქრისტეფორეს სიკვდილს შემდეგ დაჰნიშნა კათალიკოზად თვისი ბიძაშვილი დომენტი; თავისი ასული ანუკა ცოლათ შაჰს მიათხოვა.

ქართლის მეფემ კავშირი შეჰკრა ვამეყ დადიანთან იმაზედ, რომ იმერეთი ჩვენ გავიყოთო ლ სთხოვდა, შენი ასული შევრთოთ ჩემს უმცროსს შვილს არჩილსაო; ვამეყ ჯერ დასთანხმდა, ხოლო შემდეგ თავის ცოლს ელენეს აჰყვა და დაარღვია თავისი დაპირება. თვისი ასული მიათხოვა ბეჟან ღოღაბერიძეს, რომელიც მალე იმერლებმა მოჰკლეს [6]). შაჰ-ნავაზ სწრა-

[6]) ვახუშტით, „შეჩუნითა მეფისა შაჰ-ნავაზისათა მოჰკლეს ღოღაბერიძე იმერთა“.

ფად შევიდა ჯარით ალის სიმაგრეში. დადიანმაც შემოიკრიბა ძალ-ლონე და დაიბანაკა საჩხერეს, მაგრამ, როდესაც შეიტყო, იმერეთის დიდებულები ქართლის მეფეს მიემხრნენო, უკან დაიწია და სამეგრელოში წავიდა. ვახტანგი დაედევნა, შეესია იმერეთს, გარს შემოადგა სკანდას, სადაც თეიმურაზი იფარავდა თავს და დაიკავა ქუთაისი და ყველა ციხეები. 1661 წ. თეიმურაზი დაჰნებდა ვახტანგს და თავის ნებით წამოვიდა ქართლში როდესაც შაჰ-ნავაზი სამეგრელოში შევიდა, აიძულა ვამეყი სვანეთში გაქცეულიყო, სადაც იგი მოკლულ იქმნა ხოსია ლასხიშვილის შეჩენილ კაცების ხელით. იქიდან გამობრუნებული ჰაქვის [7]) ციხეს შემოერტყა, აიღო ციხე ბ წაიყვანა ტყვეთ დადიანის მეუღლე შვილებით; შემდეგ ნადავლით ქუთაისს დაბრუნდა. იქ მან, თანხმად მთელის იმერეთის ერის სურვილისა, მეფედ თავისი შვილი არჩილი გამოაცხადა, ხოლო დადიანათ — შამან-დავლე, დედოფლის მარიამის ძმისწული. შემდეგ დაბრუნდა ქართლში და თან იახლა ბაგრატი, იმერეთის მეფის ალექსანდრეს შვილი, რომელსაც დედინაცვალმა, თეიმურაზის ასულმა, თვალები დაათხრევინა ყოველივე ეს მომხდარი ამბავი რევაზმა, ზაალ ერისთვის ძმამ, და იმისმა ძმის-წულმა იესემ შეატყობინეს შაჰს. როგორც-კი შაჰ-ნავაზმა ეს ლაშქრობა დაასრულა, ოსმალები უკმაყოფილონი დარჩნენ მოცხდარ ცვლილებით იმ ქვეყანაში, რომელიც ზავის პირობით მათი ხელ-ქვეითი იყო და მოსთხოვეს სპარსეთის შაჰს, არჩილი ტახტიდამ გადააყენეო. 1663 წ. მართლაც შაჰმა გადააყენა არჩილი, დაიბარა სპარსეთში და აღუთქვა სხვა ჯილდო. თეიმურაზი უკვე გაგზავნილი იყო სპარსეთში. ამ დროს, სახელდობრ 1662 წ., ერეკლე, თეიმურაზის შვილის შვილი, რომელიც წინად ზაალ ერისთავმა მიიწვია, თუშეთში იყო და კახეთს დაეცა. შაჰის ნება-დართვით, ქართლის მეფე წავიდა ჯარით იქ და მეზობელ ხანებს

---

[7]) ლეჩხუმში.

შემწეობით დაიპყრა კახეთი. ერეკლე თავის დედით, ელენე დიასამიძის ქალით, მთებში შეიხიზნა. 1662 წ. არჩილი გამაჰმადიანდა და შაჰ-ნაზარ-ხანი იწოდა სახელად. შაჰმა უბოძა კახეთის მეფობა და გამოისტუმრა მაზანდერანიდან. შაჰ-ნაზარ-ხანი თავის მამას შეხვდა კახეთში. ერეკლე დაეცა მამა. ფეხს აწყვერში, მაგრამ დიდად დამარცხდა. ამის შემდეგ მან მოსპო თავისი წინააღმდეგობა.

არაგვის ერისთავი ოთარი, ერწოსა და თიანეთის მფლობელი, ბატონიშვილ ერეკლეს ექომაგებოდა. ამას გარდა ვინმე იორამ გოჩაშვილი სცდილობდა გამეფებულიყო. შაჰ-ნავაზმა პირველი მათგანი შეიპყრა და სპარსეთში გაჰგზავნა, მეორეს თვალები დასთხარა. შაჰ-ნავაზი ჯარით შევიდა დუშეთს, დაიმორჩილა ყველა ერისთვის გვარის წევრნი და შეიწყნარა ისინი მხოლოდ მაშინ, როდესაც თავმდაბლად [8]) პატივება მოსთხოვეს. ოთარისა და იმის ძმების სიკვდილს შემდეგ ერისთავად მათი ბიძა რევაზი დააყენა; ამ სახით მთელი ქართლი და იმისი დასამხარი ქვეყნები ამ მეფის უფლებასა და ზედ-გავლენის ქვეშ იყო. ის თუმცა მაჰმადიანი იყო, მაგრამ ქრისტეანობის წარმატებისათვის თავის სამეფოში მცირედ არა ზრუნავდა და კათალიკოზის დომენტის დახმარებით ალადგინა ხალხში სარწმუნოებრივის წეს-რიგის აღსრულება [9]). შაჰ-აბაზ II 1667 წ. გარდაიცვალა; იმის მემკვიდრეთ შეიქმნა მისი შვილი სულეიმანი. მან მიათხოვა ანუკა შაჰ-ნავაზის ასული, რომელიც მისის მამის შაჰ-აბაზის ქვრივი იყო, ლორის ხანს შაჰ-ვერდის, თანხმად მათის სურვილისა. სპარსებმა გალავანი გაავლეს ტფილისის სამხრეთ ნაწილს და კარის მცველები დააყენეს. ამის მხილველმა შაჰ-ნავაზმა აიშენა სასახლე ქალაქის დაშორებულ უბანში და მით იხსნა თავი შეთქმუ

---

[8]) „შეევედრნენ ისინი ხრმალ-კისერ კიდულნი“, ქ. ცხ.

[9]) „იმან კათალიკოზით დომენტით კვალად შემოიყვანა აღსარებად და ზიარებად“. ქ. ცხ.

ლთაგან. ამ დროს მან თავისი შვილები დააქორწინა: არ-ჩილს უთხოვა ქეთევანი, თეიმურაზის შვილის შვილი, გიორ-გის—თამარი, კახეთის მეფის ასული, ლუარსაბს—მარიამი, არაგვის ერისთვის რევაზის ასული, ლევანს - თუთა გურიე-ლის ასული. შემდეგ ამისა გაილაშქრა ცხინვალს და აიძულა დვალები ბეგარა ძველებურად ეხადათ.

ამასობაში მეფის ოჯახში შფოთი და უთანხმოება ჩამო-ვარდა. ამისი მიზეზი ის იყო, რომ ბატონიშვილმა გიორ-გიმ მოჰკლა სპასპეტი ზაზა ციციშვილი, მეფის ნათესავი, რომელმაც თავის სიამაყით შეურაცხ-ყოფა მიაყენა მეფეს და გიორგის თვალწინ ხანჯალი ჩასცა იმის მოსამსახურეს [10]. მეორეს მხრით ბატონიშვილი ლუარსაბი, რომელსაც ცოლად თავად რევაზ არაგვის ერისთვის ასული და რაჭის ერისთვის დისწული ჰყავდა, წავიდა ახალ-ციხესა იმ განზრახვით, რომ ფაშის შემწეობით იმერეთი დაეპყრო. ლუარსაბმა ვერ მოა-ხერხა აღესრულებინა თვისი წადილი. მაგრამ იმისი ძმა არ-ჩილი იმავე განზრახვით წავიდა ახალ-ციხეს. ეს რომ მეფემ შეიტყო, არჩილს გზაში კათალიკოზი დასწია, მაგრამ არჩილ-მა არ შეისმინა დარიგება არც კათალიკოზისა და არც მე-ფისა. გაჯავრებული შაჰ-ნავაზი წავიდა სპარსეთში და გზაში მოკვდა დაბა ხოშკარს, ყაზბინს იქით, 1675 წ. შაჰ-სულეი-მანმა საჩქაროდ ქართლში შიკრიკად აბაზ-ყული, განჯის ხანის შვილი, გაჰგზავნა და დაიბარა თავის სატახტო ქალაქში ბა-ტონიშვილი გიორგი, რომელიც ქართლის გამგეთ იყო, ‌ᲯᲔ დაჰ-ნიშნა მეფედ 1678 წ.

გიორგის გამეფება დაგვიანდა იმ მიზეზის გამო, რომ ალექსანდრე, შაჰ-ნავაზის მეორე შვილიც, ეძიებდა ტახტზედ ასვლას და დაესაკუთრა თავისს მამის ყოველს სიმდიდრეს, რაც-კი სიკვდილს შემდეგ დარჩა. ამ დროს განმავლობაში

---

[10]) „ქ. ცხ“., მსმენელი ამისი დამძიმდა მეფე ფრიად, ვინაიდგან იყო ნათესავი.

შაჰ-ალი-ხანი, მეფეზე გადამტერებული იმის გამო, რომ მან არ მიათხოვა ცოლად თავისი ასული ანუკა, — სცდილობდა, თუმცა-კი ამაოდ, ქართლის მეფობა კახეთის ბატონიშვილს ერეკლეს რგებოდა, მაგრამ არჩილი ჯარით შემოვიდა ახალ-ციხიდან და ცბიერებით ისე მოქმედობდა, ვითომც ქართლის დასაყვრობლად მოვდივარო და მით დააჩქარებინა შაჰს ამ საქმის გადაწყვეტა გიორგის სასარგებლოდ. თუმცა მეისტორიე, თანხმად მემკვიდრეობის წეს-რიგისა, გიორგის მეფობას იწყებს 1676 წ., მაგრამ ოფიციალურად, თანხმად გუჯრებისა და ნაშთებისა, იმის მეფობა ორის წლის შემდეგ უნდა დაწყებულიყო.

გიორგი XI-მ, იმავე შაჰ-ნავაზ II-მ და გურგენ-ხანმა, დომენტის გარდაცვალების შემდეგ 1675 წ., კათალიკოზათ ნიკოლოზ ამილახვარი დაჰნიშნეს ამ დროს მეფე არჩილმა დასტოვა კახეთი და იმერეთი დაიპყრო. სპარსეთის შაჰმა მოსთხოვა გიორგის, რომ არჩილს იმერეთისათვის თავი დაენებებინა. არჩილი გადავიდა დვალეთში და იქიდან წავიდა რუსეთს. თან წაიღო სამსჭვალი მაცხოვრისა, სამოსელი და საბელი, რომლითაც აწამეს და ხელები შეუკრეს იესო ქრისტეს [11]). გიორგის მეორე ძმა ლუარსაბიც დაიბარეს სპარსეთში. ამ ბატონიშვილების შევიწროება ზემოხსენებულ შაჰ-ალი-ხანის შურმა გამოიწვია. დიდებულ ციციშვილთაგანნი ყველა არ ემორჩილებოდა მეფეს; ერთი მათგანი მეფის მომხრე იყო და ამიტომ მოკლულ იქმნა ტფილისის აბანოებთან. მეფემ

[11]) პლ. იოსელიანი სწერს, რომ „მეფე არჩილმა 1641 წ. თან წაიღო მოსკოვს ის მიტრა მანგლელ ეპისკოპოზისა, რომელზედაც წარწერაა, რომ რუსეთიდან დედოფლის დროს არის ნაკეთებიო და რომელშიაც დაცული იყო და ახლაც დაცულია სამსჭვალი უფლისა, კოსტანტინე დიდის შიერ ნაჩუქარი მირიან მეფისათვის (318—342). ის მიტრა დაცულია მოსკოვის მიძინების ტაძარში: „Описаніе древностей г. Тифлиса“, стр. 147.

მზრუნველობა და მფარველობა აღმოუჩინა იმის შვილს, ხოლო სხვა ციციშვილები კი შერისხა. არჩილის წასვლის შემდეგ, გიორგი გურიელი გამეფდა იმერეთში. ქართლის მეფეს აღარ ეგონა, თუ ოდესმე არჩილი დაბრუნდებოდა რუსეთიდან და გადასწყვიტა იმერეთის ტახტზედ დაესვა ალექსანდრე, გარდაცვლილის ბაგრატ უსინათლოს შვილი; ალექსანდრეს გამეფებაზე მან დაითანხმა ახალ-ციხის ფაშა. ალექსანდრე წავიდა იმერეთს 1682 წ. ამავე წელს გარდაიცვალა კეთილმორწმუნე დედოფალი მარიამი, ქვრივი როსტომ მეფისა და შაჰ-ნავაზისა, ხოლო შემდეგს წელს მოკვდა დედოფალი თამარიც, შაჰ-ნავაზ II მეუღლე. იმერეთის ახალმა მეფემ განდევნა იმერეთიდან გიორგი გურიელი და ცოლად სთხოვა მეფე გიორგის მისი ასული მარიამი, მაგრამ უარი უთხრეს ამაზედ. შემდეგ მან განიზრახა შერთვა ელენესი, ბატონიშვილის ლუარსაბის ასულისა; თვითონ მეფე გიორგიმ შეირთო 1681 წ. მეორე ცოლი ხორეშან, მიქელაძის ქალი, რაჭის ერისთვის პაპუნას დისწული. ამასობაში ქართლში შინაგანი შფოთი თანდათან გაძლიერდა. დიდებულნი, აჯი-ალი-ხანის მიერ წაქეზებულნი, მაჰმადის სჯულს იღებდნენ. მეფემ მოაკვლევინა იასონ არაგვის ერისთავი, რომლის მაგიერ დააყენა გიორგი ოთარის შვილი და ქამარ-ბეგი, სომხის მელიქი, რომელიც აჯი-ალი-ხანს ატყობინებდა ყველაფერს, რაც ქართლში ჰხდებოდა. მეფემ დააპატიმრა აგრეთვე ერეკლე მუხრან-ბატონი და თავადნი მაჩაბელნი. გიორგიმ დაიბარა არჩილი, რომელიც რუსეთში იმყოფებოდა და სთხოვა ხელახლავ იმერეთში გაეფებულიყო. ყაენმა რომ ეს ამბავი შეიტყო, მოსთხოვა სპარსეთში გაგზავნა მეღის ძმის ლევანისა, რომელიც შესანიშნავი იყო თავის ჭკუით და მართვა-გამგეობის ნიჭით. მეფემ იმის ნაცვლად თვისი შვილი ბაგრატ გაუგზავნა შაჰს; შაჰმა ეს იწყინა და დაბეჯითებით მოსთხოვა გაეგზავნა მისთვის ლევანიცა ეს მოჰხდა 1688 წ. ბატონი-

შვილმა ლევანმა, რომელსაც 1678 წ. მოუკვდა ცოლი თუ-
თა, გურიელის ასული, შეირთო 1680 წ. თინათინი, ავალი-
შვილის ასული. რადგან გიორგი არაგვის ერისთავი აღარ
ემორჩილებოდა, მეფემ გადასწყვიტა დუშეთის დაპყრობა და
წავიდა საბურთანოს და იქედამ თინს. მეფის მოწინააღმდეგე-
ებს კახელები შეეწივნენ, მაგრამ დამარცხდნენ და მეფემ
დუშეთი გადასწვა. ქსნის ერისთავი დათუნა, რომელიც მე-
ფემ მაშველის ჯარით გამოიწვია, არამც თუ არ ერეოდა
ლაშქრობაში, არამედ ხელიდამ გაუშვა გიორგი ერისთავი
და იმისი ძმა პარძიმი, რომელნიც მცირედის ჯარით უკუ-
იქცნენ. მეფე იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო საქმის
გათავებამდე. შაჰ-სულეიმანმა, განრისხებულმა მეფის მოქმე-
დებით, ლევანი და ბაგრატი ჰერათს გაჰგზავნა და ლუარსაბი
— ქირმანს, სადაც გამაჰმადიანდა. შაჰს აგრედვე მოახსენეს
მეფის გიორგის ზოგიერთი ავი საქციელი იასონ ქსნის ერის-
თავისა და ქამარ-ბეგის, სომხითის მელიქის შესახებ; ამას
გარდა ისიც მოახსენეს შაჰს, რომ მეფე გიორგი მოურიგდა
ახალ-ციხის ფაშას და გზაში დაიჭირა საჩუქრები და ტყვეები,
რომელიც იმერეთის მეფემ შენ გამოგიგზავნაო. სულეიმანმა
მოსთხოვა გიორგის, დაუთმე ქართლის სამეფო ერეკლეს,
კახეთის მეფეს, რომელიც ისპაჰანს თოთხმეტი წელიწადი ყო-
ფილიყო. დიდებულთა და თავის მოძღვრის ბერის ნაცვლი-
შვილის შეგონებით ერეკლე გამაჰმადიანდა მთელის სახლეუ-
ლობით. ეს ნაამბობი ქართველ ეისტორიესი ძლიერ საეჭვოა,
თუმცა ცნობილია, რომ მუსულმანნი მფლობელნი და შემჭი-
რვებელნი საქ რთველოსი თხოულობდნენ ქართველ მეფეთა-
გან მხოლოდ გარეგნობით მაჰმადიანობას და მით კმაყოფი-
ლდებოდნენ. ამას გარდა, არ არის კარგად გამოკვლეული,
რომელს წელს 1676 წ., თუ 1687 წ., გამაჰმადიანდა ერეკ-
ლე. მან დაირქვა სახელი ნაზარ-ალი ხანისა და სპარსეთის
ჯარით შევიდა ქართლში. მეფე გიორგის არავინ არ შეეწია.

იგი იძულებული იყო ჯერ ცხინვალს გაქცეულიყო და მერე იქიდან — რაჭას 1688 წ. [12]).

ერეკლე, იგივე ნაზარ-ალი-ხანი, თუმცა მამაცი ბ მოწყალე კაცი იყო, მაგრამ ლოთობა და მოლხენა ძლიერ უყვარდა. მან დიდი ცვლილება მოახდინა სამეფო მოხელეთა გადაყენებით და მათ მაგიერ თავის მომხრეების დაყენებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მაშინ, როდესაც შაჰი მუდამ ერეოდა ქართლის საქმეებში. შაჰს რომ ეშვი არ აეღო მის ერთგულებაზე, მეფემ ჯარი გაჰგზავნა ზრამაგას ხეობაში, ოსეთში, განსადევნელად არჩილის შვილებისა, რომელნიც იქ რუსეთიდან შემოვიდნენ. მაშინ არჩილის შვილები დიგორში გადავიდნენ. მეფემ მიანდო ლიპინ ციციშვილს ქარელში გადმოეყვანა ბატონიშვილ ლევანის სახლეულობა, რომელიც სამცხეს შეიხიზნა ცოლის ნათესავებთან. მეფე ძალა-უნებურად სცდილობდა ქართველების დამცირებას და კახელების ამაღლებას და სპარსელებს მიანება მძლავრობით ემოქმედათ ქართლში. ამ დროს მეფე გიორგი წავიდა რაჭიდან ოდიშს და იქიდამ გურიაზედ გადავიდა ახალ-ციხის მაზრაში იმ განზრახვით, რომ თავს დასცემოდა ალექსანდრე იმერეთის მეფეს. მაშინ ალექსანდრე ქართლში გადავიდა, მაგრამ ხონთქარმა ყაიბალი-ხანის, სპარსეთის ელჩის, შეგონებით, უბრძანა ახალ-ციხის ფაშას გიორგისა და არჩილის შეჩერება და ალექსანდრე მეფის იმერეთში დამკვიდრება. მეორეს მხრით ქართლის დიდებულებმა: აშოთან მუ'რან-ბატონმა, გივი ამილახვარმა და ნიკოლოოზ მაღალაშვილმა ურჩიეს მეფეს, რომ ოსმალები დაერბილებინა საჩუქრებით და გარეგნად მაჰმადიანობის მილებით თათრებისგან თავი დაეხსნა. დოლენჯი ხმალაძის შემწეობით მეფე ჩამოვიდა ციხის

---

[12]) უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, ერეკლე I გამეფდა ქართლში უკვე 1687 წ. ეს სხვათა შორის მტკიცდება იმ გუჯრითაც, რომელიც მან გასცა თავის მეფობის პირველს წელს.

კედელზე ჩამოშვებულის თოკით და ქართლში დაბრუნდა 1691 წ. მან დასტოვა დროებით თვისი სახლეულობა ხეობაში. ერეკლე გადაიხვეწა და სამი თუ ოთხი წელიწადი მეფე გიორგი მშვიდობით მეფობდა.

მეფის შემოსვლის უმალ ყველა ქართველები შეუერთდნენ რუსისში, მან დაატყვევა და საპატიმროში ჩასვა ალექსანდრე იმერეთის მეფე სახლეოლობა. შემდეგ დუშეთი გარდავლო და თიონეთში მივიდა, სადაც შესაფერის პატივისცემით დაჰხვდნ ნ არაგვის ერისთავები: გიორგი ბ ბარძიმ. აქედან წავიდა დიდგორს და შემოიერთა სომხითელნი და ბარათაშვილები. კათალიკოზათ მან ხელ-ახლად განაწესა ნიკოლოზ ამილახვარი, რომელიც ერეკლე-ნაზარ-ალი-ხანმა გადააყენა. იმის მაგიერ იყო დანიშნული იოანე დიასამიძე. მეფეს ჰქონდა არჩილთან მიწერ-მოწერა ბ ურჩევდა ხელ-ახლად დაეჭირა კახეთი. ამაზე კახელები თანხმანი იყვნენ, მაგრამ არჩილმა უარი განაცხადა, რადგან ემზადებოდა რუსეთში წასვლას. მიუხედავად ამისა მეჯე წავიდა კახეთს იმ განზრახვით, რომ დაეჭირა ეს ქვეყანა. ამ დროს ერთ უბრალო მიზეზისა გამო ასტყდა ჩხუბი თუშთა და ბარძიმს შორის; ამ ჩხუბში ბარძიმი მოკლულ იქმნა ნინო-წმინდას ახლოს. მაშინ მეფე დაბრუნდა მცხეთას. არჩილი გადავიდა ოსეთში და იქიდამ გაემგზავრა რუსეთს 1693 წ. ნოემბერს. შამხალის შეგონებით მეფე დაიჭირა მცირე ყაბარდოს მფლობელმა ყილრიქმა. არჩილი გამოიქცა იქიდამ და მივიდა ბალხარს, რომელიც მდ. მალკის სათავეში მდებარეობს.

შემდეგ ამისა თიანეთში მოჰხდა ომი ერეკლე ნაზარ-ალი-ხანის მომხრეთა და ქართლელთა შორის. ამ ომში ქართლელნი დამარცხებულ იქმნენ. ამას შემდეგ ორნივე მეფენი შეთანხმდნენ და ზავი შეჰკრეს, რომ ერთმანეთის მამულს აღარ შეეხონ, მაგრამ ზოგიერთ ბოროტ განმზრახველთა შეგონებით ჩაიშალა ეს შეთანხმება. ერეკლემ დაიჭირა თიანეთი; გიორგიმ გამოდევნა ერეკლე არაგვის ხეობიდან და

დაიპყრა მარტყოფი. აქ კახელები დაეწივნენ ქართლელთ ჯარის წინამძღოლ ზაალ ხერხეულიძეს და სდიეს მცხეთამდე; შოვიდნენ აქ და შემოადგნენ მცხეთას 1694 წ. ერეკლე დადგა მცხეთის პირდაპირ, ჯვართან, სადაც ზარბაზნები მოუვიდა ტფილისიდან, ⁄ დაუწყო სროლა მცხეთის ქალაქს. ამ გვარად იბრძოდნენ რამდენსამე ხანს, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიმარჯვა. მეფე გიორგი იძულებული იყო სიკვდილით დაესაჯა ციციშვილი და ბეჟან სააკაძე, რადგან ისინი მეფის განკარგულებას ატყობინებდნენ მტერს. შემდეგ ამისა ერეკლე გადავიდა სომხეთს, და, თუმცა შემოუერთდა თუშთა და კახთა ჯარი, დამარცხებულ იქმნა ბოლნისში გიორგისა და არჩილ მეფისაგან; ქართველებმა დაამარცხეს აგრეთვე სპარსელების ჯარი, რომელიც სულეიმანის მოადგილის შაჰ-უსეინის მიერ გამოგზავნილი იყო ერეკლეს დასახმარებლად და ტფილისის მეციხოვნეთა გამოსაცვლელად. ერეკლემ მიჰმართა შაჰს, რომელმაც გამოუგზავნა ქელა-ალი-ხანი დიდ ძალის ჯარით. 1694 წ. ქართლის დიდებულებმა ვერ გაჰბედეს მტერთან ბრძოლა. მეორეს მხრით იმერეთის მეფე ალექსანდრე დაეცა ქართლს და წაიყვანა მრავალი ტყვე ალიდან. მეფენი გიორგი და არჩილ გამოუდგნენ, წაართვეს ტყვეები და თვით ალექსანდრეც შეიპყრეს და შემდეგ რუსეთში დაარჩვეს. ამავე წელს გარდაიცვალა დედოფალი ხვარეშანი. მეფე გიორგი დარწმუნდა რა, რომ დიდებულებს აღარა სურთ ეომონ სპარსეთის ჯარს, ⁄ რომ ისინი ატყობინებდნენ მტერს მეფის ყოველს განკარგულებას, გადავიდა იმერეთს.

უმთავრესი მიზეზი საქართველოს სახელმწიფო საქმეთა არევ-დარევისა და ხშირის უწესოებისა იყო შაჰ-ჰუსეინის სისუსტე, დაუდევნელობა და განცხრომით ცხოვრება. მას არ ჰქონდა უნარი განერჩია სიმართლე სიცრუისაგან და სჯეროდა ყოველივე, რასაც მოახსენებდნენ. ეხლაც ასე მოჰხდა. ზოგნი ქართველთაგანნი მოახსენებდნენ სასარგებლოდ გიორგი მეფისა, ზოგი კი წინააღმდეგ. ერეკლე მეფის ვეზირმა და

ობაზ-ყული-ხანმა ქართლის საქმეების შესახებ სხვა-და-სხვა ერთმანეთის წინააღმდეგი, მოხსენება წარუდგინეს ყაენს. ამის გამო მთელი ქართლი გაიყო ორ დასად, რომელთაგან ყაენი ხან ერთს დაიახლოვებდა, ხან მეორეს.

როცა ნაზარ-ალი-ხანი ქალბალაი-ხანის თანხლებით გარდავიდა ქ. გორს, უბრძანა აეკლოთ რამდენიმე სოფელი ქართლის ჩრდილოეთად. იქაურ მკვიდრთ არ მისცეს ნება თავის მებატონეებს გამაგრებულიყვნენ ციხეში არაგვის ერისთავი მისმა ქვეშევრდომებმა შეიპყრეს და მიჰგვარეს ახალ მეფეს. დავით ქსნის ერისთავი, პაპუნა მუხრან ბატონი, თამაზ სპასპეტი, მრავალნი დიდებულნი და ქაიხოსრო ლევანის ძე გამოეცხადნენ ერეკლეს, რომელმაც წარგზავნა ისინი სპარსეთს და შაჰის ბრძანებით დაბინავებულ იქმნენ ქირმანს. ამათ შემდეგ წავიდა სპარსეთში თვით მეფე გიორგი, რომელიც შაჰმა განსაკუთრებულის მოწყალებით მიიღო. უმეტესი ნაწილი ამა თავადთა ყაენმა დააბრუნა ქართლში, დანარჩენნი, რომელთაც კი მაჰმადიანობა მიიღეს, წავიდნენ ყანდაარს. მეფის წასვლამდე ბატონიშვილმა ვახტანგ ლევანის ძემ ჯვარი დაიწერა ხარაგაულში სამხრეთ იმერეთში, ყაბარდოს ბატონის ასულს რუსუდანზე, რომელიც წინად დანიშნული ჰყავდა გიორგი მეფის ძეს, ბატონიშვილს ბაგრატს. თავის მოწინააღმდეგეთა სამეფოდგან განდევნის შემდეგ მეფე ერეკლე გაძლიერდა; მან ხელ-მეორედ გადააყენა კათალიკოზი ნიკოლოზი ბ მისი ადგილი მისცა ივანე დიასამიძეს; აგრეთვე მან გადააყენა სხვა-და-სხვა თანამდებობიდან გიორგის ერთგული ქართველები, დაჰნიშნა იმათ მაგიერ კახელები და სცდილობდა გაემრავლებინა მცხოვრებთა რიცხვი კახეთში, რისთვისაც სხვა-და-სხვა მეზობელ მხარეებიდგან გარდაასახლა მრავალნი მეკომურნი.

ერეკლე სამართლიანი და პირუთვნელი მმართველი იყო; როგორც მაჰმადიანმა შან გაავრცელა ქართლში სპარსული ზნე-ჩვეულება და მრავალ-ცოლოსნობა; თუმცა ისპაჰანში

ყოფნის დროს ჰყავდა მეუღლე ანნა ჩოლოყაშვილის ასული შვილებით: დავით და ელენეთი, მაგრამ ქართლშიაც რამდენიმე ცოლი შეირთო.

1700 წ. იოანე კათალიკოზის სიკვდილს შემდეგ ერეკლემ დაჰნიშნა იმის ადგილას მისი ძმისწული ევდემოს დიასამიძე; მანვე დაჰნიშნა ქსნის ერისთავად დათუნა შემდეგ დავითისა, როდესაც ეს უკანასკნელი მისმა ყმებმა მოჰკლეს. ამას შემდეგ ერეკლემ ჯავრის ამოსაყრელად მეფე სვიმონის მოკვლისათვის იმერეთს გაილაშქრა, მაგრამ იმერლები, აბაშიძეების წინმძღოლობით, წინააღუდგნენ; მეფემ ვერა მოახერხა-რა და იძულებული შეიქმნა ხელ-ცარიელი დაბრუნებულიყო ტფილისს.

ამ დროს მეფე გიორგი გამაჰმადიანდა შაჰ-აბაზის სახელწოდებით და გაგზავნილ იქმნა ყანდაარის მაზრაში იქაურ მკვიდრთა, ავღანელთა, დასამშვიდებლად; გიორგი მივიდა ყანდაარს ძმებით: ლევანით, რომელიც ქირმანის ნაიბი იყო, და ლუარსაბით; თან წაიყვანა ძმისწული ქაიხოსროც გიორგიმ დაამარცხა იქაურნი მკვიდრნი, ლუთბარნი და ბულუჯნი, და მრავალს მათგანს თავი მოჰკვეთა, რისთვისაც შაჰმა დიდად დააჯილდოვა. გიორგი დასახლდა ქირმანის მაზრაში, რომლის გამგედაც იყო დანიშნული. მისმა ნათესავებმა მიიღეს სხვა და სხვა თანამდებობა სპარსეთის სასახლის კარზე და, შაჰის ბრძანებით, ბატონის-შვილი ვახტანგი დაბრუნდა 1701 წ. ქართლში, სადაც ჩაიბარა მამის ყველა მამულები. ქართველებმა დაამარცხეს ხელ-მეორედ ავღანელები, რომელნიც ინდოეთის მხრიდან ხასანანს დაეცნენ, და ბულუჯნი, რომელნიც ქირმანის მაზრაში აჯანყდნენ, მირ-სამარდარის წინამძღოლობით, ყანდაარის ხანის წინააღმდეგ; მაგრამ მით კიდევ ვერ დაიპყრეს ეს ქვეყანა. ყანდაარის სარდალი თამაზი ავღანელებმა მოჰკლეს ერთ-ერთს შებრძოლებაში; მაშინ შაჰმა ამირ-სპასალარად მეფე გიორგი დაჰნიშნა და წინამძღო-

ლობა ამ საქმეში მას ჩააბარა. გიორგის წასაქეზებლად შაჰმა დაჰნიშნა ლევანი ირანის მდივან-ბეგად, ე. ი. მსაჯულთა უხუცესად და წაართვა ნაზარ-ალი-ხანს ქართლი, რომელიც მეფე გიორგის ჩააბარა და გამგედ [1]) ლევანის შვილი ვახტანგი დააყენა. ეს მოჰხდა 1703 წ. ერეკლე ჯერ კახეთში წავიდა და აქედამ მალე სპარსეთს გაემგზავრა. ვახტანგი მოვიდა ტფილისს; იმავე წელს მისი მამა ლევანიც დაბრუნდა შინ. მან საქმეები წესზედ დააწყო და გიორგი მეფის მტრობისათვის არავინ არ დაუსჯია ლევანმა გაჰგზავნა ქირმანს ორი ათასი ქართლელი მხედარი; ამ ჯარით მეფე გიორგიმ განვლო უდაბნოები, მივიდა დაბა გირიშკსა ჯ გაილაშქრა ყანდაარზე. მეფე გიორგიმ შიშის ზარი დასცა ავღანელებს; მირ-სამანდარი დაემორჩილა გიორგის, ხოლო ინდოეთის ხელმწიფის შვილმა საჩუქრები გაუგზავნა შაჰს. ლევანმა თხუთმეტი თვე დაჰყო ტფილისში და შემდეგ დაბრუნ ა ისპაანს 1704 წ. ვახტანგმა გადააყენა კათალიკოზი ნიკოლოზი, დანიშნული გიორგი მეფ ს მიერ, იმ ძიზეზითა, რომ ის ბერთაგანი არ ყოფილიყო [2]), ჯ ევდემოსი უვიცობისათვის. კათალიკოზად დაჰნიშნა თავისი ბიძა დომენტი, რომელიც ახლად ჩამოსული იყო რუსეთიდან. ვახტანგი მშვიდი, ცნობის-მოყვარე, საქმეში გულ მოდგინე, ჭკვიანი და გამბედავი კაცი იყო; ქართლსა და კახეთში ძალიან მიჩნეული ჰყავდათ ჯ დიდს პატივსაცა სცემდნენ; ამასთან ვახტანგი შაჰსაც ეწეოდა: ამ მდგომარეობაში იგი მშვიდობიანად შეუდგა თავ ს სამეფოში რიგიან წეს-წყობილების დამყარებას [3]): დაიბარა ვლა ეთიდან

---

[1]) ჯანიშინად ე. ი. მოადგილედ, ხელმწიფის მოადგილად მჯდომი გამგებელი. იხ დასტურლამალი მეფე ვახტანგ VI, გვ 191.

[2]) „რამეთუ არს სოფლური“ (ვახ.) მ. ჯანაშვილი თავის საქართველოს საეკლესიო ისტორიაში სწერს რომ დომენტი III ვახტანგმა მისცა კათალიკოზობა შემდეგ ნიკოლოზის სიკვდილისაო, გვ 23.

[3]) პეისონელი, რომელიც წარ ულ საუკუნეში მოგზაურობდა ჯ რომლის მოთხრობაც სპარსეთისა და საქართველოს არეულობის თაობაზე, ჩვენ

სტამბა ტფილისში, დაჰბეჭდა მრავალი სასარგებლო თხზულებანი [4]), შეადგინა ქართულ კანონების კრებული, რომელიც მეფეების მიერ დაწერილი იყო სხვა დ სხვა [5]) დროს, შეჰკრიბა ერთად დ შეავსო მატიანეები და სხვა-და-სხვა ადგილებში, მაგალითად, ქალაგირსა და ლისში, გაიყვანა არხები ყანების მოსარწყავად და რამდენიმე სო-

ჟურნალ „ივერია"-ში გადავთარგმნეთ, ვახტანგს ხასიათს არ უქებს დ ამბობს, რომ ის ერთობ თავ-მოყვარე და დაუდგრომელი იყოო. 1879 წ. №№ IX და X.

[4]) მოგვყავს რამდენიმე ცნობა ქართულ წიგნების ბეჭდვის შესახებ ბ-ნ ა. ცაგარლის წიგნიდამ: ვახტანგმა დააფუძნა ტფილისში სტამბა, რომლისა-თვისა საჭირო მასალა და მესტამბეები ვლახეთიდან დაიბარა. შემდგენელი ქართულ საბეჭდავის შრიფტისა—მხედრულისა და ხუცურისა—იყო ვინმე მიხეილ სტეფანოვიჩი, უნგრო-ვლახელი, რომელიც ვახტანგმა 1710 წ. ტფილისში ჩამოიყვანა, როგორც კი სტამბა გაჰმართეს, დაბადების ბეჭდვა დაიწყეს. ვახტანგმა მოასწრო დაბეჭდვა შემდეგის წიგნებისა: წინასწარმეტყველთა, სახარებისა, სამოციქულოისა, დავითნისა, კონდაკისა, კურთხევანისა, ლოცვანისა და საერო წიგნებისა—ვეფხვის ტყაოსნისა და ცნობა ქმნილებათა (ვარსკვლავთ-მრიცხველობა), გადმოთარგმნილი სპარსულიდამ თვით შეფე ვახტანგის მიერ.—დასავლეთ ევროპის სტამბებში ქართული შრიფტი უფრო ადრე შემოიღეს, მე XVII საუკ; რომში პროპაგანდას სტამბაში ქართული წიგნები იბეჭდებოდა; იქ დაიბეჭდა, მაგ. წიგნი: Alphabetum Ibericum, sive Georganum etc. Romae 1629; Stephano Paulini et Nicephore Irbadii Dictionario Georgiano et Italiano. Romae 1626. იხ. Свѣд. о пам. гр. письм., вып. I, О Грам. Лит. Грз. გვ. 110.

[5]) ესრედ წოდებული სამართლის წიგნი, რომელიც 7 ნაწილად დაყოფილია და შეიცავს: 1) 52 მუხლს მოსეს კანონებიდამ ამოკრებილს, 2) ერძნის იმპერატორების ლეონ ბრძენის, კოსტანტინეს და სხ. კანონებს, 3) სომეთის კანონებს, 4) მეფის გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დებას, 5) აღბუღას კანონებს, 6) კათალიკოზების კანონებს და 7) თვით ვახტანგ მე-VI სამართალს, რომელიც 267 მუხლს შეიცავს. მეფე ვახტანგის სჯულ-დება გამოცემულია პირველად სენატის მიერ 1828 წ. პეტერბურგში და მეორედ—ტფილისში ფრენკილის მიერ დ. ბაქრაძის რე-

ფელიც გააშენა [6]). ამას გარდა მან გაჰგზავნა იერუსალიმს 2000 თუმანი (20,000 მან.) გოლგოთის მონასტრის გამოსასყიდლად და 14 ქართველთ მონასტრის ვალების გარდასახდელად; თითონაც გამოისყიდა მრავალი წმ. ხატი, რომელიც წინად დაეგირავებინათ. პურის სიძვირის გამო ამ დროს ქალაქი ისპაანი აჯანყდა და ბატონიშვილს ქაიხოსროს შიანდვეს იქაურ მდაბიო ხალხის დამშვიდება. ბატონიშვილი სწრაფად მივიდა ჯარით და გონიერის სიმტკიცით მოასწრო აჯანყების მოსპობა. როდესაც კათალიკოზი დომენტი დარწმუნდა, რომ კახელები მედავებიან საეკკლესიო მამულებსაო, რომელიც კახეთში მდებარეობდა, წავიდა შაჰთან 1708 წ. შაჰმა მამულები და სახნავ-სათესი ადგილები, სადაც საქართველოში აღმოჩნდებოდა, მცხეთის მონასტერს გუჯრით დაუმტკიცა. — შემდეგ ყანდაარის დაპყრობისა, რომელიც ამირსამარდარს ეკუთვნოდა, მეფე გიორგიმ უბრძანა მირვეისს აზარის სულთანის დაქეზის დამორჩილება. დაქეზი შეიპყრეს და მოჰკლეს. დაქეზის თავი მეფემ გაუგზავნა შაჰს მირვეისის ხელით; შაჰმა მადლობა შეუთვალა გიორგის, მაგრამ მეფის მტრების მიერ შეგონებულმა, ყანდაარს გაისტუმრა მირვეისი, რომელიც ეძებდა ჟამს მეფე მოეკლა, თუმცა ცბიერებით მეფის ერთგულებას იჩენდა. ამ დროს ერთმა სულთანმა დამორჩილების სურვილი განაცხადა; ის მოკლულ იქმნა გზაზედ მიმავალი იმის მეტოქის მიერ, რომელმაც უკვე დაიპყრო

დაქტორობით 1887 წ. გამოჩენილი რუსის იურისტი მ. კოვალევსკი და წევრი საფრანგეთის საკასსაციო სასამართლოისა დარესტი აქებენ ვახტანგის კანონების ჰუმანურს ხასიათს.

[6]) მეფე ვახტანგს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ ისტორიოგრაფიაშიაც. „მის ბრძანებით შეჰკრიბეს აქა-იქ გაფანტული ძველი მატიანენი, შეაგროვეს და დაარქვეს ძველებური სახელი „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი და ფრანგული თარგმანი ქ. ცხ-ისა შენიშვნებით და ახსნით აკადემიკოსმა ბროსსემ გამოსცა. ეს ნაწილი მატიანესი 1307 წლამდე მოაკვანილია. იხ. მ. ბროსეს საქართვ. ისტ., გვ. 2.

ზისი სამფლობელო. მკვლელი შეშინდა და მეფეს აუჯანყდა. ქართველებმა დაამარცხეს აჯანყებული. ამ გალაშქრებაში მირ-ვეისმა თვით-მნებელობით მოჰკვეთა თავი აბდალთ [7]) სულთანს, ვითომც მეფის ბრძანებით და შემდეგ თავს დაესხა თვით გიორგი მეფეს და მოჰკლა ოთხშაბათს, ვნების კვირაში, აპრილს 1709 წ. ზოგი ამბობს, ვითომც მირ-ვეისმა გიორგი თავის კარავში მიიწვია სადილად და სადილს უკან ძილში მოჰკლაო [8]).

მირ ვეისმა დაუყოვნებლივ დაიჭირა ყანდაარი და შიგ ქართველები აღარ შეუშვა. ამიტომ ისინი იძულებულნი შეიქმნენ გირიშკისკენ დაბრუნებულიყვნენ. ეტიკებმა გზები დაუბნიეს; ავღანელები მრავალჯერ თავს დაესხნენ, წაართვეს ნავები და ბორნები, რომლებითაც მდინარეებში გადიოდნენ; ერთის სიტყვით, ყოველი ღონისძიება იხმარეს იმათ გასაწყვეტად, მაგრამ ქართველებმა ყოველივე აიტანეს და მიაღწიეს დ. გირიშკს. ეს რომ შაჰმა შეიტყო, ძალიან შესწუხდა, მიიხმო ქაიხოსრო, ლევანის შვილი, და დაჰნიშნა იგი ბატონიშვილის ვახტანგის მაგიერ, რომელმაც მეფობაზე უარი

---

[7]) მეფემ სთხოვა შაჰს, მირ-ვეისს ნულარ გამოუშვებო, „ვინაითგან ბოროტი მანქანა იყო". ქ. ცხ.

[8]) პეისონელი გიორგი მეფეს აბრალებს ავღანელების მიმართ სასტიკ მოპყრობას. ხოლო მირ-ვეისზე ამბობს, რომ განეზრახა მტარვალ ყაენისაგან განეთავისუფლებინა ავღანელები და ამიტომაც ცბიერებით მოჰკლა მეფე გიორგიო. ბატონიშვილს თეიმურაზს მოჰყავს ფარს. გორგიჯანიძის სიტყვები: „ავღანელებს ეგონათ, რომ ქართველები კაცის მჭამლები არიანო". მალკოლმი თავისს Hist. de Perse-ში, რომელიც იეზუიტის კრუზინსკის წიგნზე ამყარებს თავისს ცნობებს,—მოგვითხრობს, რომ ავღანელთ წინამძღოლმა მირ-ვეისმა გიორგი მეფე ყაენთან დააბეზღა, ეგ მეფე გღალატობსო. სომხის ვაჭარი ისსაულ-ორი,—რომელმაც პეტრე დიდისაგან ნება მიიღო აღებ-მიცემობა გაემართა სპარსეთში,—ძალიან დაუახლოვდა გიორგი მეფეს და ამანა ტ რუსეთის ამ აგენტმა, რომელიც სომხის მეფეების შთამომავლად იწოდებოდა, განიზრახეს, აეკვიდგინოთ საქართველო და სომხეთი, რუსეთს შევუერთდეთ და სპარსეთს დავშორდეთო.

სთქვა, ქართლის მეფედ და ირანის სპასალარად. იესე, ლევანის შვილი, რომელსაც ახალი სახელი ალი-ყული-ხანი დაარქვეს, დანიშნულ იქმნა ქართლის ბეგლარ-ბეგად, ხოლო როსტომი, იმისი ძმა, ნაშობი ხარჭისაგან,—ისპაანის მოურავად. ამასობაში ქართველნი, გირიშკის ციხეში გარშემორტყმულნი, გამოვიდნენ ციხიდან და თავს დაესხნენ ავღანელებს; მრავალს მათგანს მოჰკვეთეს თავები ⁊ ისპაანს გაჰგზავნეს. სპარსელებმა დიდხანს შეაჩერეს ქაიხოსრო და ბოლოს ყანდაარს ისე გაისტუმრეს, რომ იმის ჯარს სრული ჯამაგირიც არ მისცეს. მრჩეველად დაუნიშნეს ვინმე იმამ-ყული-ბეგი, რომელმაც ულალატა ქაიხოსროს. სპარსელების მოსვლის უმალვე, მირ-ვეისმა მოჰკლა ოკ და ათი ქართველი, რომელნიც ტყვეთ ჰყავდა ყანდაარში, მაგრამ ნება მისცა ბატონიშვილს ალექსანდრეს, ლუარსაბ მეფის ძის შვილს, წასულიყო და თან წაეყვანა პაპუნა და ნოდარ ციციშვილები, რომელთაც გაატანა მეფის გიორგის და იმის მხლებლების გვამნი. შემდეგ ამისა მოჰხდა ომი. ამ ომში ქართველებს არ დაეხმარა სპარსეთის ჯარი, მაგრამ მათ მაინც დაჰხოცეს დიდძალი მტერი და მოახერხეს გირიშკს შესვლა.

ქაიხოსროს ქართლიდან მაშველი ჯარი მოუვიდა და იცავდა ციხეს ოთხს თვეს ავღანელების დიდძალ ჯარისაგან, რომელიც მას გარს ადგა. ბოლოს საიდუმლო შეთანხმებით მაჰმად-ხანთან, რომელიც სპარსეთის წინამძღოლი იყო, მირ-ვეისმა ღალატით ამოსწყვიტა მაშველი ჯარი და წავიდა ყან-

---

სულ-მოკლე ყაენმა დაიჯერა თურმე ეს ბორი, მაგრამ რადგან მეფის გიორგის შიში ჰქონდა, მირ-ვეისი უკანვე ყანდაარს დააბრუნა თავისს ძველ წოდებით და ამ სახით მეფეს თავისი მოქიშპე წიხ დაუყენა. ცბიერმა მირ-ვეისმა გიორგის მეგობრად აჩვენა თავი და კიდეც აღუთქვა თავის მშვენიერის ქალის შითხოვება, როდესაც მეფე გიორგი, ვითარცა სასიძო, დარბაზში მიპატიჟებული იყო მირ-ვეისის მიერ, ნადიმის დროს მირ-ვეისის ამალამ მოჰკლა მეფე. გიორგისთან ერთად დაიხოცნენ მისნი მხედარნი, რომელნიც იმის ამალაში იყვნენ. Hist. de Perse, t. 2, p. 412—426.

დაარს, სადაც ფიქრობდა ქართველებიც გაეტყუებინა. მირ-ვეისმა წაიყვანა მძევლად სეხნია ციციშვილი, რომელიც მას მიენდო. და, როდესაც უარი მოუვიდა, ვერ გამოვისყიდით სეხნიასაო, მირვეისმა თავი გააგდებინა მძევლად წაყვანილ ციციშვილს.

ვახტანგი განაგებდა ქართლს მშვიდობიანად და საზოგადო პატივისცემა დაიმსახურა. ქაიხოსრო წავიდა ყანდაარს; მირ-ვეისმა შეიტყო, რომ აბდალები, ავღანელების ერთი ტომი, რომელიც მორჩილი იყო ქაიხოსროსი, მიდიოდნენ იმის დასახმარებლად, თავს დაესხა და მრავალი გასწყვიტა. ქართველები წინ წავიდნენ და, შემდეგ რამდენისამე დამარცხებისა, აიძულეს მტერი შესულიყო ყანდაარს, რომელსაც გარს შემოერტყნენ სამის თვის განმავლობაში. ამას შემდეგ შიმშილი და ავადმყოფობა მძვინვარებდა სპარსთა ბანაკში; მირ ვეისი იერიშით მივიდა ბანაკზედ, სპარსები უკუ იქცნენ და ბატონიშვილი ალექსანდრე მოიკლა. მეორე დღეს მირ-ვეისი ხელ-ახლად დაეცა ზურგის ჯარს, სპარსნი გაიქცნენ და ქაიხოსრო, რომელიც საკვირველის სიმამაცით იბრძოდა, მოკლულ იქმნა ექვსის ავღანის მიერ 26 ოკტომბერს 1711 წ. მისმა ძმამ იესემ ძლივს მოასწრო გაქცევა გირიშკს და იქიდან — ისპაანს.

იმავე დროს ვახტანგმა გაილაშქრა ოსებზე, რომლებიც აღარ ემორჩილებოდნენ, ჩავლო ზრაშაგო და უღელის ხევები ქედელას მთამდე და კუდარომდე. იქიდან გამარჯვებული დაბრუნდა ქართლში, სადაც დახვდა ამბავი, რომ შენი ნათესავები დაჰხოცეს სპარსეთშიო; დახვდა აგრედვე ყაენის რაყამი, რომლითაც ქართლის მეფეთ ინიშნებოდა.

ვახტანგი თავის დაახლოვებულ კაცთა რჩევით წავიდა სპარსეთს აპრილში 1712 წ. ქართლის გამგეთ დასტოვა თავისი ძმა სვიმონი; წასვლისას ვახტანგმა მიათხოვა თავისი ქალი თამარ კახეთის ბატონიშვილს თეიმურაზს, ხოლო მეო-

რე ქალი ანუკა—ვახუშტი აბაშიძეს; თავისი სახლეულობა საცხოვრებლად გორში გაჰგზავნა. შაჰმა ვახტანგი დიდის პატივისცემით მიიღო და მოიწადინა იმისი გამაჰმადიანება; რადგანაც ვახტანგმა უარი განაცხადა, სპარსეთის ვეზირნი აღარ დასთანხმდნენ იმის ქართლში გამოშვებას, მით უმეტეს რომ მისი საკუთარი ძმა იესე აბრალებდა ვახტანგს, ყურანი შეურაცხჰყოვო. მაშინ ქართლში გამოჰგზავნეს ხალიფა, რომელმაც დაბრუნების შემდეგ მოახსენა, რომ ვახტანგი ემტერება მაჰმადიანთ, და რომ დიდებულთ არ უნდათ იმისი დაბრუნებაო. ყაენმა ბრძანა სვიმონის გადაყენება, რადგან ბოროტად ხმაროობდა უფლებას და მეფედ იესე დაჰნიშნა 10 მარტს 1714 წ. იმ პირობით, რომ სვიმონი შეეპყრა და, როგორც ის, აგრეთვე ვახტანგის სახლეულობა და 500 ქართველი ოჯახი გაეგზავნა დასასახლებლად ფარსაბათს, მაზანდერანში; ხოლო ვახტანგი იესეს თხოვნით გაგზავნილ იქმნა ქირმანს.

ამ დროს ვახტანგმა მიიღო, არ ვიცით კი რა გზით, საფრანგეთის კაროლის ლუდოვიკო XIV წერილი და იდუმალ გაჰგზავნა ევროპაში თავისი ნათესავი დედის მხრით, ბერი სულხან საბა ორბელიანი [8]), რომელიც რომს 1713 წ. მივიდა და იქიდამ საფრანგეთში გადავიდა მარტში 1714 წ.

---

[8]) საბა სულხან ორბელიანი იყო ავტორი განთქმულის ქართულის ლექსიკონისა. ის იყო შესანიშნავი მწერალი XVII და XVIIII საუკ. საბა სულხანი დაიბადა 1658 წ. და არჩილის და გიორგის დეიდაშვილი იყო. ყმაწვილობისას საბა სხვა და სხვა თანამდებობას ასრულებდა. ხოლო შემდეგ უდაბნოში წავიდა და 1698 წ. ბერათ შედგა მონასტერში საბას სახელით. 1710—1712 წ. საბა გაჰყვა ქაიხოსროსა და ვახტანგ მეფეებს ხორასანს და ისპაანს, სადაც ერთი წელი დაჰყო. 1713 საბა სულხანი, როგორც ზევითაც იყო მოხსენებული, ოსმალეთს გადავიდა და ევროპაში წავიდა. ის იყო სიცილიაში, რომში, გენუასა და საფრანგეთში, სადაც კაროლმა ლიუდოვიკო XIV მოწყალებით მიიღო და ბრძანა მისთვის ეჩვენებინათ მისი სატახტო ქალაქის (პარიჟის) შესანიშნავი ადგილები. იქიდან გამობრუნებულმა 1716 წ. მან ნახა რომის პაპი, შემდეგ გამოიარა მალტაზე და სტამბოლს დაჰყო საფრანგეთის ელჩთან ერთი წელიწადი-

საბა ორჯერ სადარბაზოდ იყო მიწვეული კაროლის მიერ და გამოითხოვა თავის მეფისთვის ფულით დახმარება. 1716 წ. თებერვალში სულხანი კიდევ სტამბოლში იყო, საიდამაც ქართლში აპირებდა დაბრუნებას. ამის მეტი ჩვენ არა ვიცითრა იმის მოგზაურობისა დასავლეთ ევროპაში და არც ის ვიცით, რა შედეგი ჰქონდა იმის მოგზაურობას.

როგორც კი მეფე იესე, იგივე ალი-ყული-ხანი, შემოვიდა ქართლში 1714 წ., დედოფალი რუსუდანი რაჭას გაიქცა. სვიმონმა შეიპყრა კათალიკოზი დომენტი და სურდა მისთვის თვალები დაეთხარა, რადგან სამარცხვინოდ მოქმედებდა ვახტანგის წინააღმდეგ და ტახტს ეძიებდა, რისთვისაც სჯულის უარ-ყოფას აპირებდა და კათალიკოზობაზე

უკანასკნელნი თავისნი დღენი საბამ სპარსეთში გაატარა მეფე ვახტანგთან და ლრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა. სიკვდილის წინად მან უარჰყო კათოლიკეთა სარწმუნოება, რომელიც თავის მოგზაურობის დროს ევროპაში მიიღო და რომლის სადიდებელათ შეთხზა წიგნი „სამოთხის კარი". თუმცა „სამოთხის კარს" ანტონ კათალიკოზი „ჯოჯოხეთის კარათ" სთვლის, მაგრამ წყობილ-სიტყვაობაში ძალიან აქებს იმის სხვა და სხვა საერო თხზულებას. საბამ დასწერა აგრეთვე ევროპაში მოგზაურობა, რომელშიაც დაწვრილებით აღგვიწერს ეკლესიებს და სამღვდელოებას, თუმცა ევროპის ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს არ ეხება, და თუ ეხება, ისიც გაკვრით. ჯერ კიდევ სიპაბუკეში საბამ დასწერა სიბრძნე-სიცრუის წიგნი ნამდვილ სახალხო ენით XVII საუკ. ეს ზღაპრები, ზოგი პირდაპირ თითონ შეთხზა ქართულ ცხოვრების შეფერებით, ზოგი გადმოთარგმნა აღმოსავლეთის და ევროპიულ იგავ-არაკებიდან. ეს სიბრძნე-სიცრუე რამდენსამე ევროპიულ ენაზე უკვე გადათარგმნილია. რუსულად გამოვიდა 1878 წ., ხოლო ინგლისურს ენაზე გადათარგმნა სხოლიოებით და მშვენიერად გამოსცა ბ-ნმა ვარდროპმა. საბას თხზულებათა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია ლექსიკონი ქართულის ენის, რომლითაც მან უკვდავი სახელი დაიმსახურა და რომლის შედგენას სულხანმა ოც და ათი (1669—1698) წელი შესწირა. ის შეიცავს 15 ათას სახელს და 25 ათასს სიტყვას და ანბანის რიგზე არის შედგენილი. ეს ლექსიკონი თ. ერისთავის რედაქტორობით და ეპისკოპოზის ალექსანდრეს საფასით 1884 წ. გამოიცა ტფილისში.

ხელს იღებდა. ახლა იესემ დომენტის დაუბრუნა კათალიკოზობა. იესე ძალიან მდიდარი, ამაყი და ხორცით განცხრომის მიმდევარი კაცი იყო. იესე არ უგდებდა ყურს სამღვდელოების შხილებას. მანდატურთ-უხუცესს ქაიხოსროს მან წაართვა ცოლი, რომელიც მახლობელი მისი ნათესავი იყო. ამას გარდა შეირთო 1715 წ. ელენე, ერეკლე მეფის ასული. ამ გონება მოკლებულმა გამგემ ვერ მოახერხა ვერც ჭარელების დამორჩილება, რომელთაც ხუნანის სამი სოფელი აიკლეს და ვერც იმ დარიგების ასრულება, რომელიც შაჰმა მისცა, რაცა ისტუმრებდა ქართლის გამგედ. მაშინ შაჰმა დაიბარა ვახტანგი ქირმანიდამ და დაითანხმა, რომ გამაჰმადიანებულიყო ჰუსეინ-ყული-ხანის სახელ-წოდებით. 1716 წ. იანვარში დაუბრუნა მას ქართლის ტახტი და სპასალარის წოდება უბოძა. შაჰის ბძანებით ვახტანგი წავიდა ხორასანს და ქართლის გამგედ დანიშნა თავისი შვილი ბაქარი. ისპაანიდან შაჰმა გამოჰგზავნა მტარვალი, რომელმაც შეიპყრა იესე კახეთში და გარდასცა ბაქარს; ბაქარმა იესე ჩასვა ტფილისის ციხეში. მისმა ცოლმა ელენემ, მონაზონობაში ელისაბედათ წოდებულმა, არ ისურვა ქმრის მოშორება და თავის ნებით იტანდა საპყრობილეში ყოფნის მწუხარებას. მამის ბრძანებით ბაქარმა დასაჯა რამდენიმე დიდებული, სახელდობრ: ერეკლე მუხრან-ბატონი, რომელსაც თვალები დასთხარა, ლ პაპუნა დიასამიძე, რომელიც დაარჩო. ვახტანგის თხოვნით, როგორც იყო, შაჰმა მეფეთ აღვიარა ბაქარი, რომელიც გამაჰმადიანდა 1717 წ. 1 აგვისტოს.

ბაქარის, იმავე შაჰ-ნავაზ III, მეფობაში 7000 ჭარელნი თავს დაესხნენ ბოლნისს და აიკლეს ქაქიის ხეობა; ბატონიშვილმა სვიმონმა, რომლის ცოლ-შვილი ცოტა წინად ჭირმა გასწყვიტა, ძალზე დაამარცხა ისინი, მაგრამ შემდეგ ჭარელებმა გაიმარჯვეს, რადგან რიცხვით ერთობ აღემატებოდნენ ქართველებს, და დიდი ნადავლი წაიღეს, თუმცა უმრავლესი

ნაწილი ჭარელთა სიცხითა ⁄ უწყლობით გასწყდა. ბაქარმა დაითხოვა ქსნის ერისთავი დათუნა სახლთ-უხუცესობის თანამდებობიდან. დათუნა აუჯანყდა ბაქარს, რომელმაც მის დასამორჩილებლად თავისი ძმა ვახუშტი გაჰგზავნა [10]). დათუნა გარდაიცვალა, ხოლო მისი შვილი შანშე სპარსეთს წავიდა. ვახტანგმა მოითხოვა, რომ შანშე გარდაეცათ ბაქარისთვის და თვითონ ვახტანგი კი ქართლში გამოეშვათ ლეკების განსადევნელად. ვახტანგი მოვიდა ანდარ-ბეგს, ქ. ლორის ახლოს. აქ მას ხალხი დაჰხვდა დროშებით რიგ-რიგათ საბარათიანოდან, საამილახვროდან, სამუხრანოდან, მცხეთიდან და სამღვდელოებისაგან აქედან მეფე ტფილისს წავიდა 7 აგვისტოს 1719 წ. ახლა-კი ვახტანგ მე VI მეფის ნამდვილის უფლებით იყო აღჭურვილი. ტფილისში შესვლის უმალ ვახტანგი აღიარებულ იქმნა მეფეთ ყველა დიდებულთა და სამღვდელოების მიერ და, როდესაც მეფე დაბრძანდა ხალიჩით მოფენილ ტახტზე, ზედ გადააყარეს ოქრო და ვერცხლი საქართველოს ერის ძველის ჩვეულებისამებრ [11]).

ვახტანგმა ბრძანა სომხის მელიქის ქამარ-ბეგის დახვრეტა და, თუმცა აპატივა სიცოცხლე რამდენსამე დიდებულს, რომელთაც ~~ოსეთში~~ ალალატი ჰბრალდებოდათ, მაინც ისინი ოსებში ~~გასცვალა.~~

ვახტანგმა შაჰის ბრძანებით გაილაშქრა ლეკებზე, რომელნიც იკლებდენ ხოლმე საქართველოს და სპარსეთის ჩრდილოეთ მხარეს. ვახტანგმა აცნობა ეს ამბავი იმამ-ყული-ხანს, კახეთის ბატონს და გაჰგზავნა კახეთში ჯარი ერასტე ყაფლანის შვილის წინამძღოლობით; მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერა გააწყო რა, რადგან კახელებმა ხელი შეუშალეს. ეს მოჰხდა

---

[10]) ისტორიკოსი და გეოგრაფი.

[11]) ქარ. ცხ: ,,არამედ ესე წესი ძველადვე იყო საქართველოსა და უყოფდიან ყოველთა ესრედ ტფილისს და მიერით უხმობდნენ მეფედ და თვინიერ მისა არა''.

1720 წ. ამასობაში ქსნის ერისთავი შანშე აუჯანყდა მეფეს და გამაგრდა დუშეთში

მეფემ რაჭველებისა, აბაშიძეებისა და სხვა იმერთა დახმარებით, დროებით დაიმორჩილა ერისთავი. ამ დროს ლეკები დაეცნენ შირვანს ჯავრის ამოსაყრელად ფატი-ალი-ხანის მოკვლისათვის. ეს ფატი-ალი-ხანი შამხალის, სპარსეთში უმთავრეს ვეზირის, შვილი იყო. შაჰის ბრძანებით მას ღალატობისათვის თვალები დასთხარეს ლეკებმა აიღეს შამახია და გაძარცვეს იქ მყოფი მდიდარი რუსის ვაჭრები. წაართვეს აუარებელი საქონელი და ამით საბაბი მისცეს იმპერატორს პეტრეს გაელაშქრა დარუბანდისაკენ; ამ გალაშქრების ამბავს ქვემოთ მოვიხსენებთ. შირვანის ხანი ქაიბი შეებრძოლა რუსებს დიდ-ძალის ჯარით, რომელიც ამოწყვეტილ იქმნა მტრისაგან და თითონ ხანიც მოკლულ; მაშინ შაჰის ბრძანებით ვახტანგმა კახეთი გარდავლო 1720 წ. ზამთარში და ისე დაამარცხა ლეკები, რომ შეწყალება მოითხოვეს. გაზაფხულზე მეფე მეორედ დაეცა მეამბოხე შანშეს ზაბუყურს და აიძულა ხელ-ახლად დამორჩილებულიყო; შემდეგ ამისა მან იმერეთში გაჰგზავნა ჯარით ბატონიშვილი ვახუშტი დასახმარებლად თავის დისწულის ალექსანდრესი, რომელიც ხონთქრის ბრძანებით დანიშნული იყო იქ მეფედ. იმავე 1721 წ. ზამთარში ლეკები ხელ-ახლად დაეცნენ და გაძარცვეს განჯა. ვახტანგმა გაილაშქრა მთაში და მეორედ დაამარცხებდა ლეკებს, შაჰი რომ არ შეჰრიგებოდა მათ და მურადბეგის პირით ბრძანება არ გამოეგზავნა ვახტანგისათვის, შეაჩერე რმიო. ამით შეურაცხყოფილმა ვახტანგმა მიჰმართა რუსეთის იმპერატორს, რადგან პეტრე I ამ დროს ემზადებოდა მაგიერი მიეზღო სპარსებისათვის რუსის ვაჭრების გაძარცვის გამო [12]).

---

[12]) პირველი წერილი ვახტანგისა პეტრე დიდთან დაწერილი იყო 21 ნოემბერს 1721 წ. ლათინურ ენაზე დასავლეთის მისიონერების მიერ,

1722 წ. ავღანელები ისპაანს მიუახლოვდნენ. 15 მარტს გულნაბადის ომში მოიკლა როსტომ ყულარ-აღასი, ვახტანგის ძმა, ბ ცოტახანს შემდეგ—მირ-მაჰმუდი, ავღანელების წინამძღოლი, გარს შემოადგა სპარსეთის სატახტო ქალაქს. ლეკებიც მოადგნენ განჯას. შეშინებული შაჰი შუმწეობას სთხოვდა ქართლის მეფეს [13]), მაგრამ გვიან-ღა იყო. მამუკა, რომელიც იმას წინად რუსეთში იყო გაგზავნილი, დაბრუნდა ქართლში და გამოუცხადა ვახტანგს, რომ იმპერატორი პეტრე დიდი კეთილის გულით არის ჩვენზეო. იმპერატორი სთხოვდა ვახტანგს, შემეწიე სპარსეთის ლაშქრობაშიო, და ამ დროს იგი უკვე მოუახლოვდა თავის ჯარით დაღესტანს. მეორეს მხრით ქართლელნი დიდებულნიც თანხმა გახდნენ მხოლოდ განჯა დაესხნათ მტრისაგან, მაგრამ სპარსეთში წასვლაზე უარი სთქვეს. აგვისტოში შაჰის შვილმა ხელ-ახლად შემწეობა ითხოვა; ვახტანგი ადერბეიჯანის სპასპეტად დაჰნიშნა ბ მდიდარის საჩუქრებით სცდილობდა თავისკენ მიემხრო. ამავე დროს ბაადურ თურქისტანიშვილმა მოუტანა იმპერატორის წერილი, გამოგზავნილი იმის ბანაკიდამ მდ. სულაკზე. ამას გარდა ხვანთქარსაც მოლაპარაკება ჰქონდა მეფესთან და სთხოვდა, ჩამოე-

---

რომელნიც სცხოვრობდნენ ტფილისში და იწყებოდ: „sacra majestas" მეფე ვახტანგი სწერს, რომ თავის თავს, შვილებს და ქვეშევრდომებს სწირავს ღვთის მორწმუნე ხელმწიფეს. იმისმა ელჩებმა: სეხნია ჩხეიძემ, რუისის ეპისკოპოზმა გიორგიმ და სხ. მოახსენეს პეტრე დიდს, რომ ათი ათას რუსის ჯარს მეფე მოაშველებს 50,000 მეომარს, აქედან 20 ათასს მეფე დაჰნიშნავს სპარსეთში გასალაშქრებლად, რომ რუსის ჯარს გასასვლელი გზა მიეცეს ჩერქეზების ქვეყანაზე, რომელიც იმის ნათესავები არიან (ვახტანგს ჩერქეზის მთავრის ქალი ჰყავდა) და სხვა.

[13]) ჰანგეი, რომელსაც ზემოხსენებული პეისონელი თავის წიგნს უძღვნის, და მალკოლმი სწერენ: როდესაც . . . . . სპარსეთში შეიტყეს, რომ ვახტანგმა შეწევნაზე უარი შეუთვალაო, შაჰის მთელი სასახლე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მართლაც, მალე დაემხო ისპაანი და მთელი სპარსეთი ავღანელებმა დაიპყრეს. Malcolm, Hist. de Perse, t. II, გვ. 437 და 461.

ცალე სპარსელებსაო. ამ მდგომარეობაში მეფემ გადასწყვიტა თავის ერთმორწმუნეებს მიმხრობოდა და წავიდა განჯას, სადაც რუსების მოსვლას უცდიდა[14]). შაჰ-ზადემ რომ ეს შეიტყო, ჩამოართვა შეფეს ყაზახის მაზრა და გადასცა კახეთის მმართველს მაჰმად ყული-ხანს, იმავე კონსტანტინეს, რომელსაც მეფესთან უთანხმოება ჰქონდა და რომელმაც, რასაკვირველია, მაშველი ჯარი არ მისცა ყარაბახზე ამხედრების დროს. მიუხედავად ამისა, ვახტანგი სამი თვე იდგა განჯის ახლოს; მაგრამ ამით საერთო საქმეს სარგებლობა ვერ მოუტანა, რადგან სხვა ლ სხვა დამაბრკოლებელ გარემოებათა გამო იმპერატორმა ველარ შესძლო თავისი ლაშქრობა დარუბანდს იქით განეგრძო. ვახუშტიმ, რომელიც მმართველად დარჩა ტფილისს, შეატყობინა ეს ამბავი მეფეს; მეფე უკან დაბრუნდა და ტფილისს მოსვლის უმალ გაჰგზავნა ჯარი საგურამოს, რადგან კახელებმა და ჭარელებმა ლილოს მაზრა დაარბიეს. შემდეგ ამისა ვახტანგმა ინახულა თეიმურაზი, მაჰმად-ყული-ხანის ძმა, რომელმაც შეჰფიცა, ამიერიდან ქართლში მშვიდობიანობას აღარ დავარღვევო.

10 ოქტომბერს 1723 წ. ავღანელებმა აიღეს ისპაანი და ტახტიდან ჩამოაგდეს შაჰ-უსეინი; მისი შვილი შაჰ-თამაზი წინადვე გაიქცა და თავრიზში ყაენათ იქმნა აღიარებული. ვახტანგმა შაჰ-თამაზს მორჩილება განუცხადა ელჩის სეხნია ჩხეიძის პირით; ეს ის სეხნია ჩხეიძე უნდა იყოს, რომელმაც მაშინდელ ამბების საინტერესო ქრონიკა შეადგინა. ახალმა ყაენმა, კონსტანტინეს თხოვნით, მისცა ამ უკანასკნელს იანვარში 1723 წ. ქართლი, რომელიც ვახტანგს ჩამოართვა; მეფემ თავისი სახლეულობა გორს დახიზნა და შეუდგა ტფილისის დაცვას; შესაწევად რაჭისა და იმე-

---

[14]) „ორამედ განეტევა ყოველნი და აღირჩია რუსთ-მეფე, რამეთუ ჰგონებდა განთავისუფლებასა ეკლესიისასა და ძალს ქრისტეანობისასა“ „ქარ. ცხ“.

რეთის ჯარი მოიწვია. მაშინ მაჰმად-ყული-ხანის ძმა თეიმურაზი იდუმალ მივიდა მცხეთას; თითონ მაჰმად-ყული-ხანმა კი კლდის-უბანი დაიჭირა ტფილისში, მაგრამ როგორც ის, ისე მისი შომხრე მოთარეშენი და ქვეყნის ამაოხრებელნი თელეთიდან განდევნა ბატონიშვილმა ბაქარმა და მალე უკანვე დაბრუნდა

ვახუშტი გაჰგზავნეს დაბა მცხეთას. მცხეთას ელალატნა მეფისათვის და კახელებს მიმხრობოდა. ვახუშტი გარს შემოადგა ქალაქს ღამით იმ დროს, როდესაც საკათედრო ეკლესიაში ლოცვაზე იდგა ხალხი. მტერი მედგრად იცავდა თავს, სანამ უკანასკნელამდე არ გასწყვიტეს და ტყვეთ არ შეიპყრეს. ბაქარმა თავის მხრით დაიჭირა თაბორის მთა ტფილისის სამხრეთად. იქ შეებრძოლა ლეკებს და აიძულა მტკვარში შეცვივნულიყვნენ. წყალში მრავალნი დაიღუპნენ. ხოლო თეიმურაზმა ველარ მოუსწრო ომს ტფილისის ციხეში შევიდა. მაჰმედ-ყული-ხანმა ფულით და დაპირებით შეჰკრიბა დიდძალი ჯარი ლეკთა, ხელ-ახლავ მიადგა ტფილისს და, თუმცა ბაქარმა და იმისმა ბიძამ სვიმონმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაინც 4 მაისს 1723 წ. შევარდა ქალაქში და აიკლო; ეკლესიები შებღალა მტერმა, ხოლო დედაკაცებს უნდა აეტანათ გამხეცებულ მტრის ყოველ-ნაირი მტარვალობა [15]). სისხლი მდინარესავით მიდიოდა ქუჩებში. ვახტანგმა მიატოვა სეიდ-აბადი და მცხეთას წავიდა, ხოლო შვილი მისი ბაქარი — დუშეთს.

ამასობაში არზრუმის ფაშა იბრაგიმი უახლოვდებოდა საქართველოს და სთხოვდა ვახტანგს სპარსელებს ჩამოსცლოდა. ამბობენ, რომ მეფე დასთანხმდა და აღუთქვა ოსმალებისათვის ეძლია

---

[15]) მემატიანე შემდეგის სიტყვებით ჰგოდებს ამის შესახებ: დასწვეს სიონი და შემუსრეს ხატი ყოვლად წმინდა ღვთის მშობლისა, რარდენნი. ქალწულნი განიხრწნენ და ჰეშმარიტნი დედანი და მოწამენი ბოროტებით განიგმირნენ და სისხლი მართალთა დაითხია ურჯულოთაგან. „ქარ. ცხ.“, გვ. 85.

ყოველ წლივ დიდი ხარკი იმპერიობით. რომ სამეფო უფლება საშვილიშვილოდ დარჩენოდა. ასე იყო თუ ისე, მან ყოველივე შეატყობინა იმპერატორს, შეჰკრიბა იმერლების ჯარი და ფაშას გაუგზავნა თავისი შვილი ბაქარი, რომელსაც თავისი ძმა იესე თან გააყოლა [16]). 12 იანვარს ოსმალები მიადგნენ ტფილისს, რომლის გასალები გადასცა მათ მაჰმედ-ყული-ხანმა. ფაშამ დაიჭირა ციხე და სპარსნი განდევნა იქიდან, ხოლო ბაქარი დანიშნა მეფეთ და დაარქვა მას იბრაგიმ-ფაშა. მაჰმედ-ყული-ხანი შეიპყრა და გადასცა ბაქარს. ქართლის ახალმა ბატონმა გაათავისუფლა მაჰმედ-ყული ხანი და ბრძანა თავი მოეჭრათ გიორგი არაგვის ერისთავისათვის, რომელიც იმის სიმამრი იყო; თავი მოეჭრათ, იმიტომ რომ მტრულად დახვდა ბაქარს, როცა ის ტფილისიდან გაიქცა, არაგვის ხეობისაკენ. ამ დროს ვახტანგი მხნედ ებრძოდა ლეკებს დუშეთში და ამილახვრების სამფლობელოში.

ბაქარს თავი მოაბეზრეს ოსმალებმა თავის სხვა და სხვა გვარის მოთხოვნილებითა და შეეიწროებით. მან მიატოვა ტფილისი, გაიქცა ცხინვალს და იქ თავის მამას შეუერთდა; ქართლში დასტოვა იესე, რომელიც ხელ-ახლად გამაჰმადიანდა, როგორცა ვსთქვით, და მუსტაფა-ფაშა დაირქვა.

შემდეგის წლის გაზაფხულს ოსმალებმა გაჰგზავნეს იესე გორს შესაბრძოლებლად ბაქარისა, რომელმაც ატენში ყოფნის დროს აღხოცა მრავალნი ოსმალნი თრიალეთს და შემდეგ ამისა დაბრუნდა მეფე ვახტანგთან პირველ ივნისს 1724 წ.

რუსეთიდამ დაბრუნებულმა დავით ნაზარაშვილმა და ფრანგისტან თურქისტანიშვილმა იმპერატორის პეტრე დიდის სახელით მიიწვიეს მეფე ვახტანგი რუსეთს. მეფე ვახტანგმა პირველ ივლისს გადავლო რაჭა და მივიდა ყაბარდოს,

---

[16]) იესე და ბაქარი ერთად წარდგნენ სერასკირის ბანაკში, სადაც გაშაჰმადიანდნენ და ორთავეს დაჰხურეს ყაუბი (ჩალმა); ბაქარს იბრაგიმის-სახელი დაარქვეს, ხოლო იესეს—მუსტაფასი.

საიდანაც იახლა თავისი ცოლი ძმა, ადილ-გირგი, ბაკაევის გვარის შთამომავალი. მას დახვდა რუსის ამალა ჯვარის ციხესთან მდ. სულაკზე; მეფეს ახლდა დიდ-ძალი ამალა, ბატონიშვილნი, მრავალნი დიდებულნი და სასულიერო კაცნი. იქიდან ზღვით ასტრახანს წავიდა.

მეფის წასვლის შემდეგ ქართლს ჰმართავდნენ ახალ-ციხის ფაშა ისაყი და მეფე იესე. ქართველები და კახელები მიემხრნენ მაჰმად-ყული ხანს თედო-წმინდას, რომელიც მდ. ლიახვის სათავეში მდებარეობს. იესე თავს დაესხა შეთქმულთ ოქტომბერში და დაამარცხა. ამას შემდეგ ოსმალების ბატონობა დამკვიდრდა საქართველოში და ხარკმა და გადასახადებმა საოცრად იმატა. ამის გამო არაგვის ერისთავი ოთარი გაიქცა ასტრახანს, ხოლო კათალიკოზი დომენტი წავიდა ლორეს ციხეში, რომელიც ჯერ ოსმალებს არ დაეჭირათ; დომენტის მაგიერ ოსმალებმა, იესეს შეგონებით, კათალიკოზად დაჰნიშნეს ბესარიონი. დომენტი იქიდან სტამბოლს წავიდა, სადაც სცდილობდა ჩაეგონებინა ხონთქრისათვის, რომ მოწყალედ მოჰპყრობოდა ქრისტეანებს და იმის ძმას იესეს, მაგრამ ისაყმა, ახალციხის ფაშამ, და ტფილისის მოურავმა ისე აუწერეს საქმის გარემოება, რომ ხონთქარი განრისხდა დომენტიზე, რომელიც, იმის ბრძანებით, გაგზავნილ იქმნა ტენედოსის კუნძულზე.

როგორც წინად მოვიხსენეთ, ვახტანგი პეტერბურგს იყო მიწვეული. ცარიცინს რომ მივიდა, შეიტყო იმპერატორის პეტრეს გარდაცვალება; ეს ამბავი მოჰხდა 25 იანვარს 1725 წ. ამ ფრიად სამწუხარო ამბით დაღონებულმა მეფემ განაგრძო გზა ივნისის პირველ რიცხვებში. იმპერატრიცა ეკატერინე I-მა დიდის ამბით და ფრიად მოწყალედ მიიღო ვახტანგი და დაუნიშნა მეფესაც და იმის მხლებლებსაც შესაფერი საზრდო [17]).

[17]) ვახტანგის ამალაში იყო 1185 სხვა და სხვა წოდების კაცი. მას თან ჰყავდა თვისი სახლობა, 4 ეპისკოპოსი და 1200-მდე სული ორისავე

მალე ვახტანგი გაჰგზავნეს დარუბანდს და იქიდამ გილანს რომ ზავი ჩამოუგდო სპარსეთთან; იქ ამ დროს სარდალი ნადირი, ავშარის ტომის შთამომავალი, ჰმართავდა სახელმწიფოს შაჰ თამაზის სახელით. როგორც სპარსნი, აგრეთვე ოსმალნი, დაეთანხმნენ რუსის მთავრობის წინადადებას; დალისტანის მხარე, კასპიის ზღვის პირად მდებარე, რუსებს დარჩათ. იმპერატრიცა ეკატერინეს სიკვდილს შემდეგ, რომელიც ექვს მაისს 1727 წ. მოჰხდა, ვახტანგი დაბრუნდა რუსეთში.

1728 წ. იესე, იგივე მუსტაფა-ფაშა, გარდაიცვალა. ისაყ ფაშამ გაჰყო ქართლი ოთხ მაზრად დ დიდი ხარკი დაადო. ოსმალნი სასტიკად ექცეოდნენ და საშინლად ავიწროებდნენ ქართველებს. მაგალითად, ერთხელ ოსმალოს შიკრიკებმა გაჯავრებულებმა მით, რომ ფოშტის ცხენების მოყვანა დაუგვიანეს, ორს თავადიშვილს ლაგამი ამოსდეს პირში და ზედ შესხდნენ [16]). ამის გამო ასტყდა ამბოხება და არაგვისა და ქსნის საერისთავოში, საამილახვროში და საათაბაგოში ხალხი აჯანყდა. მაჰმად-ყული ხანი, კახეთის ბატონი, რომელიც ორბუნჩუყიანი ფაშა იყო, ოსმალებს ეწეოდა მეამბოხეთა დამშვიდების საქმეში და ებრძოდა შანშე ქსნის ერისთავს.

სქესისა. მათ შორის იყვნენ: ქრისტეფორე, მთავარ-ეპისკოპოსი სამთავისისა, პავლე, ტფილისის მიტროპოლიტი, ნიკოლოზი, რუისის ეპისკოპოზი, არსენი, ურბნისის ეპისკოპოზი და იოანე, ნიქოზის ეპისკოპოზი. Шл. Іоселіани, Гр. подъ властью царей-магометанъ, стр. 82. ამათ რიცხვში იყო ჩვენი გამოჩენილი პოეტი, დავით გურამიშვილი, რომელსაც მირგოროდში ბისცეს 80 კომლი გლეხი. დ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ეკატერინე I-მა უბოძა ვახტანგს წმ. ანდრია მოციქულის ორდენი, დაუნიშნა ყოველ-წლიურ სარჩოდ 24,000 მან. და აჩუქა 26,000 კომლი გლეხი, „ქარ. ცხ.“, ნაწ. II., წინა-სიტყვა, გვ. VIII.

[16]) „მანუჩარ ყაფლანის შვილს და გიორგი ქართველისშვილს ამოსდეს ლაგამი, შესხდენ და ჩხვლეტდენ დეზით წასასვლელად“, ცხ. ქარ., გვ. 89,

მაგრამ ძულებული იყო შინ გაქცეულიყო, იმიტომ რომ ოსმალები კარგის თვალით არ უყურებდნენ. ამ ნაირად მთელ ქართლს ოსმალებმა დაადვეს თავისი ულელი.

რადგან ლეკებმა თან და-თან გაახშირეს თარეშობა შიდა ქართლში, ისაყ-ფაშა თავის შვილით იუსუფით მუდამ ებრძოდა, აფთხობდა და, ასე იყო თუ ისე, აკავებდა ცოტა-ოდნად; მაგრამ მტარვალთა რიცხვი მუდამ დღე მატულობდა და, როდესაც ქართლში შემცირდა მკვიდრთა რიცხვი, ისინი თრიალეთში გადადიოდნენ ჯავახეთამდე და ახალციხემდე, გზაში ყველაფერს სძარცვამდნენ და აოხრებდნენ. ოსმალები დამარცხდნენ მუხრანსა, ნადარბაზევსა და ნიჩბისში. ამ უბედურებას თან დაჰყვა ჟამი და ყოველივე ის, რაც თან სდევს ასეთ გადამდებს სენს, მაგ. ონავარ მხეცთა და ფრინველთა გამრავლება. ამ გარემეობაში მყოფმა თოფან-ფაშამ, რომელიც ისაყ-ფაშას მაგიერად იყო დანიშნული, თანხმობა ჩამოაგდო ქართველთა შორის, რამდენისამე გამარჯვებით თავი იჩინა, მაგრამ მალე ისევ დაუთმო ადგილი ისაყ-ფაშას და საქმე მაშინ ისევ ადრინდებულად დატრიალდა. ამასობაში თამაზ შაჰს წაართვეს თეირანი, თავრიზი, ისპაანი და სპარსეთის უმეტესი ნაწილი; 1732 წ. ტახტიდამ გადააგდო თამაზ-ხანი ნადირ თამაზ-ყული-ხანმა და იმის მაგიერ შაჰად დაჰნიშნა ახლად დაბადებული მისი შვილი აბაზი. ამით ისარგებლა იმპერატრიცა ანნა იოანნეს ასულმა, რომელიც პეტრე II შემდეგ ავიდა ტახტზე, გაჰგზავნა ვახტანგი დარუბანდს და უბრძანა შამახიის დაპერა.

ვახტანგი წავიდა 1732 წ, მაგრამ ნადირმა იმპერატრიცას ელჩი გამოუგზავნა და დაითანხმა, ხელი აეღო სპარსეთში ყველა დაპყრობილ ადგილებზედ. როგორც კი ეს ზავი შეჰკრეს ნადირთან, ვახტანგი დაბრუნდა რუსეთში, და ჯვარის ციხე რუსებმა დაანგრიეს. ამ დროს ქართლს განაგებდა ოსმალებისაგან დაყენებული ისაყ-ფაშა. ხოლო კანონიერ იმის მფლობელად ითვლებოდა კახეთის ბატონიშვილი

თეიმურაზი. ისაკმა გადააკეთა მუხრანისა და ავჭალის ციხეები და 12 სიმაგრე ააგო დიღმიდან მოყოლებული ატენამდე, რითაც განიზრახა გზა მოესპო ლეკებისათვის, რომელნიც ნადაგ აქედამ ქურდულად გადაიპარებოდნენ ხოლმე სამცხე-საათაბაგოში. ნადირმა 1735 წ. შემდეგ ხანგრძილივ გარშემოდგომის შემდეგ დაიპირა განჯა. ერევანი პირველ შეტევაზედ თავისით დამორჩილდა; ბოლოს ლორე იერიშითაღებულ იქმნა; ოსმალეები ყარსთან დამარცხდნენ; ტფილისში მყოფნი ოსმალნი მედგრად იცავდენ თავს, მაგრამ ამაოდ; ბოლოს ოსმალები განდევნილ იქმნენ, როგორც ტფილისიდამ, აგრეთვე გორიდამა და მუხრანიდამ [19]).

როგორც კი შაჰ-ნადირი საქართველოს სატახტო ქალაქში მოვიდა, გადასახლა დიდ-ძალი რიცხვი ქართველებისა კახეთიდამ, სომხეთიდამ და ზემო-ქართლიდამ ხორასანს, რომელიც წინად დაიპყრო. შემდეგ გაილაშქრა დაღესტანს, რომელსაც ყირიმის თათრები თავს დაეცნენ; შემდეგ მტრის განდევნისა შაჰ-თამაზ-ყული-ხანმა დაიპყრა ეს მხარე და აღიარა თავი ხელმწიფედ ნადირ-შაჰის სახელწოდებით 1736 წ.; ეს მოჰხდა აბაზ III სიკვდილის მეორე დღეს. შაჰმა ქართველები შინ გამოიისტუმრა და დაადვა ქართლს ხარჯი, რომელიც 5300 თუმანს უდრიდა; ამას გარდა ქართლს უნდა ერჩინა ტფილისში 500 სპარსელი ჯარის-კაცი თავის ოჯახებით. ნადირმა ქართლის გამგეთ კახელი ბატონიშვილი

---

[19]) ამ ათის წლის განმავლობაში, ე. ი. იმ ხანს, რა ხანსაც ოსმალები ბატონობდნენ ქართლში და ექიშპებოდნენ სპარსებს, დაიხოცა სხვა და სხვა ომსა და ბრძოლაში 15 ათასი ქართველი. ოსმალეთში გარდაასახლეს და ტყვეთ წაიყვანეს 1500 სახლობა, ხოლო სპარსეთში—800 კომლი. ამას გარდა ზემო ქართლიდან—საავალიშვილოდამ—სპარსელებმა 500 სული ტყვეთ წაიყვანეს, საციციანოდან—500 ოჯახი და ქსნის საერისთაოდამ—1000 სული. ერთის დღის განმავლობაში 500 ქალი და ბალღი იქმნა ამოწყვეტილი. ვისაც არ შეეძლო სპარსელებს გაჰყოლოდა, ცხვარს და ყურებს სჭრიდნენ, ნიშნად ქვეყნის სრულიად დამორჩილებისა-

ალი-მირზა [20]) დაჰნიშნა. მან და შაჰის ნათესავმა სეფი-ხანჯალ-ხანმა შეიპყრეს კახეთის ბატონიშვილი თეიმურაზი და რამ-დენიმე დიდებულნი, რომელთაც ურჩობა შესწამეს, ‡ სპარსეთ-ში გაჰგზავნეს. ნადირ-შაჰმა თან წაიყვანა ისინი, როდესაც გაი-ლაშქრა ყანდაარის ასაღებად, რომელიც აიღო კიდეც მარტ-ში 1738 წ.

ხოლო ქსნის ერისთავი შანშე, გივი ამილახვარი და სხვანი არ დაემორჩილნენ სპარსელებს და აჯანყდნენ. სეფი-ხანი, არაგვის ერისთავის ბარძიმისა და აბდულ ბეგის დახმა-რებით, რომელიც მეფის იესეს შვილი იყო, ბევრჯელ დაეცა აჯანყებულებს სურამის ახლოს და ბორჯომის ხეობაში, მაგ-რამ ვერც ერთხელ ვერ გაიმარჯვა; მან მხოლოდ ცბიერე-ბით მოახერხა მათი დაწყნარება. ლეკები ჩაერევნენ ომში და სძარცვავდნენ ქართლის დასავლეთ ნაწილს. მაგრამ იძუ-ლებულნი შეიქმნენ დაეთმოთ ბოლოს სპარსეთის ჯარებისათ-ვის. მაშინ, 1637 წ., აბდულ-ბეგი დაჰნიშნეს ქართლის მმართველად არჩილის სახელწოდებით. ზემოხსენებული ალექსანდრე ალი-მირზა, რომელიც იყო ერთ დროს კახეთის გამგეთ,—ისევ თავის წინანდელ ადგილზედ დაინიშნა. შანშე კი ოჯახით რუსეთში გაიქცა. 1737 წ., არ ვიცით კი რა მი-ზეზისა გამო, ნადირმა გადააყენა აბდულ-ბეგი და ალი-მირზა და ყანდაარს თან წაიყვანა ზემოხსენებულ დიდებულებთან ერთად. ნადირმა თან წაიყვანა აგრედვე თეიმურაზი და ერეკ-ლე, კახეთის მფლობელნი.

იმავე წელს მეფე ვახტანგი გარდაიცვალა ასტრახანს და დამარხულ იქმნა ერთ ეკლესიაში, რომელიც ჯერ კიდევ არ აღმოუჩენიათ. საკვირველია, რომ მაშინდელი მასალები ერთ-მანეთს არ ეთანხმება ვახტანგ მეფის სიკვდილის წლისა და დღის შესახებ. მეისტორიე სეხნია ჩხეიძე აღნიშნავს ვახტანგ მეფის გარდაცვალების ჟამს 25 მარტს 1737 წ.; ვახუშტი,

---

[20]) იმამ-ყულისაძე.

ვახტანგის შვილი, ქართლის ისტორიაში მოგვითხრობს, რომ 26 მარტს გარდაიცვალაო და თავის ქრონიკონებში-კი იმავე წლის 27 მარტს აღნიშნავს, ხოლო თხოვნაში, რომლითაც იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულს მიჰმართა ნოემბერს 1749 წ., ამბობს: „1735 წ. ჩემი მშობელი ვახტანგ ლევანის ძე გარდაიცვალაო“. იმ ქართველთაგან, რომელნიც ახლდნენ ვახტანგს, ზოგი შინ დაბრუნდა; უმეტესი ნაწილი-კი რუსეთის სამსახურში შეუვიდა; მათ უბოძეს მამულები სამხრეთ რუსეთში და იმათგან შეადგინეს ქართველთ ულანების პოლკი, რომელიც 1835 წ. მოსპეს [21])

კათალიკოზის ბესარიონის სიკვდილს შემდეგ, დომენტი დაბრუნდა ოსმალეთიდან და თავისი ადრინდელი თანამდებობა დაიჭირა—1736 წ. ხანჯალ-ხანი, რომელიც შაჰმა, ინდოეთზე გალაშქრების შემდეგ, ქართლის გამგედ დააყენა და რომელმაც დიდი ხარკი დაადვა ქართლს,—გამოეთხოვა წუთი-სოფელს და იმის ადგილას დანიშნეს ალავერდი, მეფის იესეს უკანონო შვილი. ერთის წლის შემდეგ შანშე დაბრუნდა ქართლში, დაიჭირავა ლეკის ჯარი და დიდ-ხანს იბრძოდა თავის მტრებთან და თითქმის დაუსჯელად სძარცვავდა ქვეყანას, რადგან რუსეთში გაქცევის დროს, ძმა მისი, იესე, კახეთში დაიმალა, ხოლო მისი ცოლი და სახლობა გიორგიმ, არაგვის ერისთავმა მოიტაცა. შანშე გარს შემოერტყა და ომის შემდეგ აიღო ქალაქი ანანური 1739 წ. და არაგვის ერისთავი ცოლით და მომხრეებით მოაკვლევინა. ლეკების დიდ-ძალმა ჯარმა, რო-

---

[21]) ამ ქართველთა შორის, რომელნიც მალოროსიაში დასახლდნენ, ვპოულობთ შემდეგ თავადების გვარებს: ამილახვრებს, ბარათაშვილებს, თურქისტანიშვილებს, კავკასიძეებს, ორბელიანებს, საკაძეებს, ფხეიძეებს, ქობულაშვილებს, ციციშვილებს, წერეთლებს, ხერხეულიძეებს, ჯავახიშვილებს და სხვა აზნაურთა: ზედგინიძეებს, თულაშვილებს, ბედაუთიშვილებს, ოდიშელიძეებს, ტყავაძეებს და სხვ. Плохинскій, Поселеніе грузинъ въ Малоросіи въ XVIII в. 1898 г.

მელიც შანშეს ახლდა, დმანისამდე მიაღწია, მაგრამ შანშე მალე შეაჩერეს განჯის ხანმა სეფმა და ასლამაზ-ხანმა, რომელიც გვარად ორბელიანი იყო. შემდეგ ამ ლეკთა ბრბოს სდიეს ქსნის საერისთავოში და დაამარცხეს კახეთი, მაშინ როდესაც თავის სამზღვარს მიაღწიეს; დაამარცხეს ისე, რომ სრულიად ამოსწყვიტეს. როცა შაჰ-ნადირი ინდოეთიდამ დაბრუნდა და მოახსენეს ეს ამბავი და სიკვდილი მისის ძმის იბრაგიმისა, რომელიც მოჰკლეს დაღესტანში, მან 1741 წ. გაილაშქრა დაღესტანზე. ამასობაში ალი-ყული ხანი ქართლში ებრძოდა შანშეს, რომელიც, როგორც იყო, ძმით იესეთურთ, ახალ ციხეში შეიპყრეს და ხორასანს გაჰგზავნეს შემდეგ ორთავეს თვალები დასთხარეს. გივი ამილახვარი ქსნის ერისთავად იქმნა დანიშნული. სპარსებმა დაასუსტეს ქართლი მუდმივის გადასახადით პურით თუ ფულით, აგრეთვე კაცების გაყვანით ჯარში, რომლის რიცხვი დან და თან მატულობდა. შემდეგ ხალხის საერთო აღწერისა და ყოველნაირ საქონლის დაწვლილებულის რევიზიისა ქართველები წავიდნენ დარუბანდში საჩივლელად ნადირთან, რომელიც იწოდებოდა არა მარტო შაჰად, არამედ შაჰინ-შაჰად. შაჰ-ნადირმა ქართველები მოწყალებით მიიღო, დააბრუნა შინ, ტ თითოეულს მათგან' თანამდებობა უბოძა და შესაფერი ჯამაგირი დაუნიშნა. გზაში 1742 წ. დომენტი კათოლიკოზი გარდაიცვალა. კახეთის დედოფალს თამარს სურდა დომენტის ადგილას გაემწესებინა ბატონიშვილი ანტონ, იესე მეფის შვილი. ანტონი ღირსეული კაცი იყო და ქუთაისს ეპისკოპოსობდა. რადგან მან უარი განაცხადა, კათალიკოზად დაჰნიშნეს ნიკოლოზ ხერხეულიძე. ქართველებმა ვეღარ შესძლეს აესრულებინათ სპარსების ყოველი მოთხოვნილება და გადასწყვიტეს, გივი ამილახვრის წაქეზებით, აჯანყება, მაგრამ ვერა მოახერხეს-რა.

იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულმა გაჰგზავნა ასტრახანს 1742 წ. ბაქარი, ვახტანგის შვილი, რომელსაც მიანდო

სპარსეთში სხვა და სხვა საქმეების გაკეთება. ამ შემთხვევამ ქართველებს საბაბი მისცა ეფიქრნათ მუხრან-ბატონების დინასტიის ხელ-ახლავ აღდგენისათვის, მაგრამ ბაქარი ჭალე დაბრუნდა რუსეთს და არც არავითარი ამ ნაირი განზრახვა არ განუცხადებია. ნადირ-შაჰმა განაგრძო დაღესტანში ლაშქრობა წელიწად-ნახევარს; გივი ამილახვარი, ქართლის ვექილი, არამც თუ არ ემორჩილებოდა სპარსების მიერ დაყენებულ ხანს, არამედ მან ლეკებთან კავშირი შეჰკრა, იდუმალ გავიდა ტფილისიდან და შეუერთდა ბეჟანს, არაგვის ერისთავს, და ჩრდილოეთს ქართლში იწყო გამაგრება. იმამ-ყული-ხანი ებრძოდა გივის და, ხან მძლავრობით, ხან დაპირებით და საჩუქრებით, თან და თან დაამშვიდა და შეირიგა რამდენიმე დიდებულნი. სურამში, ჭალასა და არაგვის მაზრაში დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, ხოლო ქართლის სამხრეთ ნაწილს — საბარათიანოს და საორბელიანოს — სპარსეთის მხარე ეჭირა. შაჰ-ნადირმა რომ შეიტყო ქართლის მდგომარეობა, დასთანხმდა ხარკი შეემსუბუქებინათ. ამასთანავე კახეთის მფლობელს თეიმურაზს უფლება მისცა, ისე მოქცეულიყო იქ, როგორც საუმჯობესოდ დაინაახვდა, ოღონდ კი უწესოება ამოეფხვრა და გივი დაემორჩილებინა. ამ დროს ფატალი-ხანი ადერბეიჯანელი დიდძალის ჯარით და ქერიმ-ხანი, შაჰის დაახლოებული ნათესავი, შეუერთდნენ შაჰს; მაგრამ გივსაც მოუვიდა შესამჩნევი მაშველი ლეკის ჯარი, რომლითაც გამაგრდა არაგვის ხეობაზე და იცავდა, როგორც თავის თავს, აგრეთვე თავის სიძეს, არაგვის ერისთავს. მან რამდენჯერმე დაამარცხა სპარსნი. ახლა გამაგრდა ცხვილოსის ციხეში და იქიდან დაიწყო ხანებთან ზავის შესახებ მოლაპარაკება. შაჰმა უკვე დაღესტანი დაიპყრა და გივისაგან თხოულობდა სრულს მორჩილებას; რადგანაც გივი არ დასთანხმდა, შაჰმა უბრძანა განეგრძოთ ომი. ეს მოჰხდა მარტში 1743 წ. ლეკების ჯარი ათასობით ემატებოდა გივს ბელად მალაჩის წინამძღოლობით. ლეკებმა დაარბიეს ხევი, ბოლნისი და მთელი საბარა-

თიანოს მაზრა. ზოგიერთნი თავადნი ორბელიანთა შორის სიკვდილით იქმნენ დასჯილნი, ვითარცა ლეკების მოშხრენი ტ თანამოაზრენი. აჯი-ალი ხანმა და აბდულ-ბეგმა ვერ მოახერხეს მტრის განდევნა. შაჰ-ნადირმა რომ გაიგო ქართლის უბედური მდგომარეობა, დაიბარა თეიმურაზი, ხაზინის მოხელენი და ზედამხედველნი, რომელთაც აუხსნეს, რომ ქვეყანა აკლებულიაო და დიდი ბოროტ-მოქმედება არსებობსო. შაჰს ძალიან ეწყინა და სასტიკად დასაჯა თვისნი მოხელენი და გაჰგზავნა ქართლში რევიზორად მირზა-აშუმი, ვეზირი და ვექილი. გივი მაინც განზედ იყო გამდგარი და არ ემორჩილებოდა შაჰს. ოთარ ციციშვილიც შეუერთდა გივს. აჯი-ხანი და აბდულ-ბეგი ამაოდ სცილობდნენ, ან დაემშვიდებინათ ქვეყანა, ან და დაემორჩილებინათ ბეჟანი, არაგვის ერისთავი, რომელიც გივის სიძე იყო ისიცა და იმისი ნათესავი ოტიაც მოკლულ იქმნენ თავის ქვეშევრდომების მიერ, რომელთაც მობეზრდათ ხანგრძლივი ომიანობა. გივმა სასტიკად დასაჯა დამნაშავენი. იმას უნდოდა სხვებისათვის მაგალითი ეჩვენებინა და ამბოხება არ გავრცელებულიყო. იმავე დროს მთიულები დაეცნენ გივი ამილახვარს, გასძარცვეს მთელი იმისი ოჯახი და წაიღეს მისი ქონება. რევაზმაც, მისმავე ბიძაშვილმა, უღალატა გივის და, შაჰის ბრძანებით, არაგვის მაზრა მის შემდეგ გადასცეს კახეთის მეფეს თეიმურაზს. ამასობაში გივს კიდევ მოუვიდა ლეკებიდგან მაშველი ჯარი და იმანაც გაახშირა ზედ დაცემა არაგვის მაზრასა და ზემო ქართლზე. აჯი-ხანი, აბდულ-ბეგი და ძმა მისი ისაკ-ბეგი, ტფილისის ვალი, დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ. ამ დროს ვილაც ცრუ შაჰ-ზადეს, რომელიც ლეკებმა გამონახეს და რომელიც შაჰ-უსეინის შვილათ უწოდებდა თავის-თავს — ქართლში გზა დაებნა და ჩაუვარდა ხელში ერეკლეს, თეიმურაზის შვილს. ერეკლემ შაჰ-ზადე გარდასცა შაჰ-ნადირს. მაშინ ნადირი ყარსის ციხის აღებას სცდილობდა და ძლიერ გაეხარდა ეს ამბავი. ერეკლეს აუარებელი წყალობა უბოძა. ამასობაში არც

ოსმალები დარჩენილან გულ-ხელ დაკრებილნი. ყველა გივის მომხრენი ზემო ქართლიდან გაიქცნენ არზრუმის სერასკირთან. იქ უნდოდათ ენახათ შაჰ ნადირ, რომელიც ნადირმა ოსმალეთში გაისტუმრა. ამ ბედკრულმა ტახტის მძიებელმა ალერსიანად მიიღო მნახველები, ვითარცა თვისნი ქვეშევრდომნი და ყველას დიდი საჩუქრები დაურიგა. ამ დროს ხონთქარმა გამოუგზავნა გივს და ლეკებს დიდძალი ფული, ოღონდ დამეხმარეთ სპარსელებთან ბრძოლაშიო. იუსუფ-ფაშა ზამთარში 1743 წ. შეესია ზემო ქართლს დიდის ჯარით და ფულსაც დანიშნულებისაებრ ურიგებდა. მაშინ ერეკლე შემოვიდა ჩრდილოეთ ქართლში, განდევნა გივი ოსმალებითურთ და ძალზე დაამარცხა ცხინვალს, სადაც თავისის ხელით მოჭკლა ბელადი მალაჩი. დანარჩენთ გზაში შეხვდა თეიმურაზი ქართველებით ოსმალებმა გაფანტეს ისინი და ფული წაიღეს კახეთში ლეკებისთვის, მაგრამ ეს რომ ერეკლემ შეიტყო, დაედევნა და მიეწია მარტყოფს, საცა მრავალი დაჟყვეა და მრავალი გასწყვიტა. იუსუფ-ფაშამ ძლივს მოასწრო გაქცევა. თეიმურაზმა, რომელიც მაშინ გორში იყო, დაიჭირა გამოქცეულები და წაართვა მთელი მათი ნადავლი. ლეკებიც ოგრედვე დამარცხებულ იქნენ საბარათიანოსა და ზემო ქართლში. შაჰ-ნადირს ისე ესიამოვნა ესე ყოველივე, რომ ქართლის სამეფო თეიმურაზს უბოძა, ხოლო კახეთისა იმის შვილს ერეკლეს მისცა 1744 წელს.

კახეთის ისტორია

შემდეგ განყოფისა.

1466 წ., გიორგი VIII მეფობის დროს ქართლში, იმერეთის მფლობელმა ბაგრატმა დაიპყრა ქართლი და მოიწადინა კახეთის შემოერთებაც. ამ განზრახვის ჩასაშლელად ქართლის დიდებულებმა ამოირჩიეს და აღიარეს მეფედ დავით ერისთავი, რომელიც იყო დიმიტრის შვილი და ქართლის სასიქადულო მეფის ალექსანდრეს შვილი-შვილი. მეფე გიორგიმ, როგორც კი იხსნა თავი ყვარყვარე ათაბაგის ტყვეობიდან, დაეცა დავითსა, რომელმაც დიდოეთში შეაფარა თავი. მტრის გაბრუნების შემდეგ, გამოვიდა იქიდამ და მეფედ ეკურთხა, როგორც ამბობენ, 1467 წ. ქ. ბოდბეში კონსტანტინე II-მ, ქართლის მეფემ, არ შეუშვა მარტყოფში, საგურამოსა და ხერკის მაზრაში, რომელიც ქართლის საზღვარი იყო მაშინ. დავითი დაეპატრონა მხოლოდ ჰერეთსა და კახეთს. გარდაიცვალა 1471 წ. იმის შვილი გიორგი I,—სხვათა აზრით, ლევანი, შეუკავშირდა ბაგრატს, იმერეთის მფლობელს, წინააღმდეგ ქართლის მეფისა, კონსტანტინესი; მანვე კახეთის ერისთავების მაგიერ დაჰნიშნა მოურავები: ქიზიყისა, ენისელისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდისა, ყვარლისა, მარტყოფისა, გრემისა, ჰანკისისა და სხ. და თვისი სამეფო დაჰყო სადროშოებად; მოწინავე იყო ქიზიყი — ბოდბეში; მემარჯვენე — ნეკრესში, მემარცხენე — მარტყოფში. ასის წლის შემდეგ თავადმა ზვენიგოროდსკიმ ჰნახა კახეთის ჯარი და ხუთ სადროშოდ იყო დაყოფილი: სამეფოდ, მემარჯვენედ, ქიზიყისად, ხოლო უკანასკნელ ორ სადროშოს არ ასახელებს. ამ დროს (1589 წ.) მთელს ჯარში იყო 10,000 მხედარი, 3000 ქვეითი ჯარის კაცი და 500 ცხენოსანი იანიჩარი, რომელნიც შეიარაღებულ-

ნი იყვნენ თოფებით. მეფე ლევანმა უბოძა დროშები ეპის-
კოპოსებსაც და მთავარ-ეპისკოპოსათ აღიარა ალავერდის
წინამძღვარი. ახლად დაარსებულ კახეთის სამეფოში სატახ-
ტო ქალაქად გრემი შეიქ ნა. სახელწოდება ჰერეთისა და კუ-
ხეთისა მოისპო. მეზობელნი ერნი გიორგის მეფეს კი არ უწო-
დებდნენ, არამედ ბატონსა. თუშები, ფშავლები და ხევსურე
ბი თავს არ უხრიდნენ. მთიულთა შორის მარტო დიდოე-
ლები ემორჩილებოდნენ. მდიდარის ძღვნისა და ორისავე
სქესის მრავლად ტყვეების მირთმევით გიორგიმ თავი იხსნა
უზუნ-ასან-ყაენისაგან ამ ყაენის მემკვიდრის იაყუბ-ყაენის
დროსაც მშვიდობიანობა არ დარღვეულა კახეთში. მეფე გი-
ორგი გარდაიცვალა 1491 წ. მისი შვილი ალექსანდრე ეკურთ-
ხა მეფედ ბოდბეში (ზოგიერთის თქმით, ალავერდის მონას-
ტერში). იგი შეურიგდა კონსტანტინეს, ქართლის მეფეს, და
საზღვარი დაუდვა ქართლსა და კახეთსა. როდესაც ადერ-
ბეიჯანი დაიპყრო შაჰ-ისმაილ I-მა, მას აახლა ალექსანდრემ
თავისი შვილი დიმიტრი, რომელიც ყაენმა მოწყალედ მიი-
ღო. იმის დროს კახეთში მშვიდობიანობა იყო. ხოლო მეო-
რე იმისმა შვილმა გიორგიმ,—არ ვიცით კი უმფროსი იყო
თუ უმცროსი,— შეიძულა თავისი ძმა დიმიტრი და თვალები
დასთხარა. ამ დიმიტრის ჩამომავლობიდამ მომდინარეობს
თვალდამწვარის შვილების გვარი, რომელიც ქართლსა და რუ-
სეთში არსებობდა აქამომდე. დაბრმავების შემდეგ დიმიტრი
სპარსეთში წავიდა, იქიდამ მოვიდა ქართლს და აიშენა
დირბის ციხე ლუარსაბ I მეფობაში. რევაზმა, რომელიც, ზო-
გიერთის თქმით, ძმა უნდა ყოფილიყოს დიმიტრისა, ხოლო სხვე-
ბი გვარწმუნებენ, რომ ის დიმიტრის შვილი იყოვო, შეიძინა
დაბა რუისი და თვის საგვარეულო სამარხად აქაური ეკლე-
სია დაჰნიშნა. იმისი მოდგმა ორ ნაწილად გაიყო: რამაზის
შვილებად და დავითის შვილებათ. ეს დავითიშვილები 1666 წ.
რუსეთში დაესახლნენ და ამ გვარის ერთი ქალი მეფე თეე-
დორე ალექსის ძემ დაჰნიშნა. მეორე ქალი ჯერ შეირთო

ალექსანდრემ, არჩილ მეფის შვილმა, და მერმე მიათხოვეს დიმიტრი პავლეს ძეს ციციშვილს. ის იყო დედა სახელოვანის ვაჟ-კაცის პავლესი, რომელიც მუხანათობით მოკლულ იქმნა ბაქოში 1806 წ. თებერვალს [23]). ეხლა ამ გვარის მოთავედ ითვლება თავადი სერგეი ივანეს-ძე, რომელიც სენატორია და რომელსაც საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის ადგილი უჭირავს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ალექსანდრემ საქართველოს ყველა სხვა მეფეებზე უწინარეს იწყო დაახლოვება რუსეთის დიდ კნიაზებთან. 1491 წ. მან გაუგზავნა ელჩები ვასილ ბრმას, რომელმაც ცოტა წინად დაიპყრა ყაზანი [24]); მეფე ულოცავდა გამარჯვებას და ულრმეს პატივისცემას უცხადებდა. 1511 წ. ზემოხსენებული ბატონიშვილი გიორგი თავს დაეცა თავის მამას ალექსანდრეს, მოჰკლა და დაჯდა იმის ტახტზე. ამ ბოროტ-მოქმედებისა გამო გიორგი II იწოდება ისტორიაში ავ-გიორგით. იგი შეებრძოლა ქართლის მეფეს დავითს და ააოხრა მისი სამფლობელო; ბოლოს ავ გიორგი დაატყვევა ბაგრატმა, — რომელიც პირველი მუხრან-ბატონი იყო, — და ავ-გიორგი ტყვეობაში მოკვდა. მთელი კახეთი დაიჭირა დავითმა, რომელმაც ორჯელ ამაოდ განიზრახა მოკვლა მცირე წლოვან ლევანისა, ერთად-ერთის მემკვიდრისა კახეთის სამეფო გვარში ეს ლევანი დამალული ჰყავდა გარსევან ჩოლაყაშვილს. ლევანი აღიარებულ იქმნა მეფედ და გამაგრდა მაღნარის ციხეში, სანამ ოსმალთ მოულოდნელმა ქართლზე თავს-დასხმამ არ აიძულა დავითი უკან დაბრუნებულიყო. დავითმა გაიმარჯვა ოსმალებზე და 1520 წ. ისევ კახეთს წავიდა, სადაც, თუმცა შეეწივნენ ცოტაოდენი კახელები, მაგრამ მაინც დამარცხდა ქიზიყში.

---

[23]) ეს მოჰხდა 8 თებერვალს 1806 წ. Н. Дубровинъ, Закавказье отъ 1803—1805 г., გვ. 479.

[24]) ვასილ II-მ დროებით დაიპირა ყაზანი; ნამდვილი დაპყრობა ყაზანისა ივანე IV მრისხანის მეფობაში მოჰხდა, 1552 წ.

მაშინ ლევან II ეკურთხა მეფედ ბოდბის ტაძარში. შამია გურიელი, იმისი სიშამრი, გადავიდა ლიხის მთაზე, თავს დაესხა ქართლს, დაამარცხა დავითი მოხისს და შეარიგა ლევანთან, რომელსაც მიათხოვა თავისი ასული თინათინი. მეფე დავითი იძულებული შეიქმნა დაეთმო ლევანისათვის, რომელმაც ამ სახით მთელი კახეთი დაისაკუთრა. გურიიდგან მომავალს თინათინს იმ გვარი სიზმარი ენახა, რომ მან გადასწყვიტა აეშენებინა შუა მთის მონასტერი ყოვლად-წმინდა ღვთისმშობლის სახელზე, რომელიც რამდენისამე წლის შემდეგ დაამთავრა.

ლევანი, როგორც წინად მოვიხსენეთ, შეეწია მეფე დავითს 1523 წ. ომში შაჰ-ისმაილის წინააღმდეგ. ცოტა ამაზედ წინად კიდევ, როგორც ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს, შემწეობა აღმოუჩინა ქართლისა და იმერეთის მეფეებს წმინდა ქალაქის წართმევაში მაგელიუკების ხელიდამ. დრო და ნამდვილი ამბავი ამ გალაშქრებისა არ არის სისწორით გამოკვეული [28]).

ორის ვაჟის — ალექსანდრესა და იესეს — დაბადების შემდეგ, თინათინი ვაჟყარა ქმარს, რომელსაც შამხალ ყარამუსალის ქალისაგან კიდევ შეეძინა ოთხი ვაჟი: გიორგი, ელი-მირზა, ვახტანგი და ქაიხოსრო. საგულისხმოა, რომ ლევანს უყვარდა შამხალის ქალი თინათინის შერთვამდე. ნამდვილად კი ვიცით, რომ ლევანს, ამ ექვს შვილს გარდა, კიდევ ჰყავდა ოთხი ვაჟი, რომელთა შორის კათალიკოზი ნიკოლოზიც იყო, და ოთხი ქალი.

როდესაც 1536 წ. შაჰ-თამაზმა ტფილისი აიღო, ლევანი ეახლა დაბრუნების დროს და გამოუცხადა თავისი მორ-

---

[28]) როგორც ზევით მოვიხსენეთ, პროფ. ცაგარლის გამოკვლევით, ეს ამბავი ისტორიული ანაქრონიზმია, უკეთ რომ ვსთქვათ, სიცრუეა. ქართველთა ჯარი, მართალია, წავიდა იერუსალიმს, მაგრამ ეს იყო 1303 წ. და არა 1523 წ. (Свѣд. о пам. гр. письм. в. 3.), Памятн. гр. старины въ св. землѣ и на Синаѣ, გვ. 57, 62 და 67.

ჩილება; ამის გამო შაჰმა საჩუქრებით გამოისტუმრა. მიუხედავად ამისა, შაქის მფლობელი ასან-ბეგი ძარცვავდა თავისს მოსაზღვრე კახეთს; ამიტომ ლევანი შეებრძოლა ასან-ბეგს, დაამარცხა და კიდეც მოჰკლა ომში. მანვე დაამშვიდა ფშავლები, ხევსურები და თუშები მით, რომ ნება მისცა მთიებიდამ ჩამოსულიყვნენ თავიანთ ოჯახობით საზამთროდ ალაზნის გაღმა ხეობაში და ჩრდილოეთ კახეთის საძოვრებზე.

ასან-ბეგზე გამარჯვებით წაქეზებულმა ქართლის მეფემ ლუარსაბმა და სამცხელებმა განიზრახეს გალაშქრება ადერბეიჯანს და შირვანს ასან-ბეგის შვილის და მეჭკვიდრის დარვიშ-მაჰმადის წინააღმდეგ. შაჰ-თამაზი შეებრძოლა, როგორც მათ, აგრეთვე დარვიშ-მაჰმადს, რომელიც მას აღარ ემორჩილებოდა. შაჰმა ლევანი მიიმხრო, ჩამოაცალა სხვა ქართველებს და 1548 წ. დაამარცხა მეამბოხე ხანი, რომელსაც თავი ომის ველზე მოჰკვეთეს. ლევანი დაბრუნდა შინ დიდის საჩუქრებით და მდიდარის ნადავლით, რადგან ლევანი და შაჰი დაზავდნენ და რადგან ლევანს ლეკები შეშინებული ჰყავდა, იმის მეფობის უკანასკნელ წლებში მშვიდობიანობა ჩამოვარდა კახეთში. იგი მხოლოდ ერთში შესცდა: ლეკები ფიფინეთში დაასახლა იმ პირობით, რომ ყოველ-წლივ ეზიდათ ყინული კავკასიის მთებიდამ კახეთის სასახლეში. ამას გარდა მან 1558 წ. განაახლა რუსეთთან მისვლა-მოსვლა და განუცხადა მეგობრობა და ვასსალური დამოკიდებულება მეფე იოანე მრისხანეს, რომელმაც დაიპყრო ყაზანისა, ასტრახანისა, თერგისა და ტარკის მაზრები კასპიის ზღვაზე.

შემდეგს წელს მან თუმცა მიათხოვა თავისი ასული ქართლის მეფეს სვიმონს, მაგრამ იმის თხოვნა დახმარებისა ომში შაჰის წინააღმდეგ უარ-ჰყო. მისი შვილი გიორგი-კი, რომელიც თავის სურვილით გაერია ომში ძეგვთან [26]), მოიკლა ომის ველზე. ლევანის მეორე ვაჟი ალექსანდრე სცხოვრობდა შუა

[26]) ციხე-დიდთან.

მთაში თავის დედასთან (თინათინთან). ლევანს განსაკუთრებით უყვარდა ის ვაჟები, რომელიც შეძენილი ჰყავდა შამხალის ქალისაგან. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ლევანის სპარსელებთან მუდმივმა დაახლოვებამ და მეგობრობამ კახელების ზნე და ჩვეულება შესამჩნევად შესცვალა და გარყვნა.

ლევანის სიკვდილს შემდეგ 1574 წ. ასტყდა ხანგრძლივი შფოთი და ქიშპობა მის შვილებს შორის. ელი-მირზამ, ხოსრომ და ვახტანგმა დაიპყრეს ქვეყანა. ალექსანდრემ, თინათინის შვილმა, იკურთხა გვირგვინი ბოდბეში და, თავის სიმამრის დახმარებით, აგრედვე ბარძიმ ამილახვრისა და დაუთ-ხანისა, დაამარცხა თავისი ძმები, რომელნიც ომის ველზე დაიხოცნენ.

ამ შემთხვევის დრო ნამდვილად ვიცით ერთის გუჯრიდამ. იქიდამა სჩანს, რომ ელი-მირზა ცოცხალი იყო 1580 წ., ხოლო დღე და თვე გუჯარში არ არის მოხსენებული.

ალექსანდრე II დაჯდა ტახტზე და კახეთი დაიფლო. ერთი მისი შვილი ერეკლე შინაურ უკმაყოფილებისა გამოიძულებული შეიქმნა სტამბოლში წასულიყო. ამით საბაბი მიეცათ სპარსელებს, რომ მეფესთვის განდგომილება შეეწამნათ. ერეკლე სუსტის ჭკუის კაცი ყოფილ; მან შეირთო ჩერქეზის ხანის ასული და გამაჰმადიანებული სცხოვრობდა სტამბოლს, სადაც ყველა ზიზღით უცქერდა. შემდეგ ჭკუა შეერყა და გარდაიცვალა 1583 წ. ახლო ხანებში. შაჰი მოვიდა ყარაბაღს. კახეთის დიდებულმა ოთარ ჩოლაყაშვილმა განიზრახა აეცილებინა კახეთისათვის იმისი რისხვა, შეაგულიანა საათაბაგოს მმართველი, დედის იმედი, და მოაკვლევინა ვარაზ შალიკაშვილი, შაჰ-თამაზის ცოლის ძმა, რომელსაც ვითომც განეზრახოს იმისთვის უფლების ჩამორთმევა. შაჰი განრისხდა და აიმხედრდა შურის საძიებლად საათაბაგოზე, ხოლო კახეთი ამით გადარჩა აოხრებას. იქიდამ გამობრუნებულმა, 1574 წ., შაჰმა მოწყალედ მიიღო კონსტანტინე, ალექსანდრეს მცირე-წლოვანი შვილი, და მძევლად

თან წაიყვანა. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ კარგად არ არის გამოკვლეული, შაჰ-თამაზმა თუ ხუდა-ბენდემ წაიყვანა კონსტანტინე მძევლად. მეორე წყარო გვიჩვენებს, რომ ხუდა-ბენდემ გამოსთხოვა სვიმონ მეფეს და ალექსანდრე II-ს ქალები, რომელთ სახელი არ არის მოყვანილი. ამას გარდა ალექსანდრეს ვაჟიც მძევლად წაიყვანა, რომელიც შემდეგში შეიქმნა დიდი ერთგული მაჰმადიანთა სჯულისა. ამით შაჰს სურდა უზრუნველად ყოფილიყო თავის ვასსალების მხრით და დაესაჯა ალექსანდრე იმის ორჭოფობით მოქმედებისათვის, რადგან ლალა-ფაშის შემოსევის დროს საქართველოში, 1578 წ., ალექსანდრე არამც თუ არ შეებრძოლა ოსმალებს, არამედ თვითონ გაუძღვა მაშველის ჯარით შირვანს დ. იქიდამ დაბრუნების დროს არაგვის ხეობამდე მოჰყვა.

ალექსანდრეს ძმამ, იესემ, რომელიც სპარსებს მძევლად მისცეს 1548 წ. და რომელიც გამაჰმადიანდა ისაყის სახელით, შეირთო შაჰ-თამაზის ძმის სამ მირზის ქალი. იესე დაჰნიშნეს შექის ხანად, მაგრამ შემდეგ ოსმან-ფაშის მიერ ამ ქვეყნების დაპყრობისა, იქიდამ გადმოვიდა და ისევ კახეთს დაბრუნდა 1580 წ. ამის შემდეგ იესე შეიპყრეს და დაამწყვდიეს ციხეში, სადაც მალე მოკვდა.

ალექსანდრემ განიზრახა ჯავრის ამოყრა სვიმონ მეფისა, რომელმაც ბარძიმ ამილახვარი აიკლო, და დაეცა ქართლს. დაამარცხა მეფე დიღომს და არ დაირცხვინა შეურაცხყოფა მიეყენებინა თავის დის, დედოღლის დარეჯანისათვის, რომელიც სძულდა. როდესაც გაბრუნდა კახეთისკენ, ძრიელ დამარცხდა ჭოტორს. შემდეგ ამისა მეფეები დაზავდნენ აშოთანის შუამდგომლობით, რომელიც სანდო კაცი იყო სვიმონ მეფისა და რომელსაც ცოლად ქეთევანი, ალექსანდრეს ქალი, ჰყავდა [3]). 1596 წ. შაჰ-აბაზმა ცოლად სთხოვა ქალი

[3]) აქ შეცდომა უნდა იყოს: ვახუშტით, აშოთან მუხრან-ბატონის ასული ქეთევანი ალექსანდრეს უფროსის შვილს, დავითს, ცოლი იყო. ქარ. ცხ., ნაწ. II, გვ. 110.

დარეჯანი[1]), მაგრამ მეფემ შეუთვალა, რომ ჩემი ქალი უკვე დანიშნულიაო. იგი მიათხოვა მანუჩარ დადიანს და მზითვად შაჰის ზოგიერთი საჩუქარი თან გაატანა. დარეჯანი 1597 წ. გარდაიცვალა, დარჩა შვილი ლევან დადიანი. ისტორიკოსი ვახუშტი ამის ჯვარის წერას აღნიშნავს 1587 წ., ხოლო სიკვდილს 1591 წ. ჩვენ უფრო ნამდვილად მიგვაჩნია ჩვენ მიერ მოყვანილი თარიღები, რომელიც დამყარებულია მაშინდელ რუსეთის არხივის საბუთებზე. ამას შემდეგ მეფე ალექსანდრემ გამოსცადა თავის ოჯახში უსიამოვნება, აყალ-მაყალი და საოცარი არევ-დარევა. ამის დას, ალავერდში მონაზონად შემდგარს, ნაშუსი აჰხადა ალავერდელმა, რომელიც იერუსალიმს მიდიოდა ფულით ქართველ მონასტრების ვალების გადასახდელად, მოულოდნელად უკან დაბრუნდა და შეირთო ცოლად ეს მონაზონი. 1601 წ. ბატონიშვილი კონსტანტინე დაბრუნდა სპარსეთიდან ბოროტ განზრახვით, მაგრამ მაშინ ვერაფერი მოახერხა. ამასთან მეფის ძენი, დავით და გიორგი, რომელნიც ტფილისში ხშირად დადიოდნენ სანადიროდ სვიმონ მეფის შვილთან, სმაში წაიჩხუბნენ. გიორგიმ განიზრახა დავითის დაპატიმრება და კახეთის დაპყრობა. დავითმა შეუტყო ეს განზრახვა და თითონ შეიპყრო იგი თორლას ციხეში. შემდეგ ამისა დავითი ისე გაკადნიერდა, რომ ტახტიდგან გადმოაგდო ხანში შესული თავისი მამა და საპყრობილეში ჩასვა. აშით ვერ შეიჯერა გული, მოაკვლევინა მამის მომხრენი და ყოველგვარი სასტიკობა ჩაიდინა ამ ჭკუა მოკლებულმა ტახტის მიმთვისებელმა. დავითმა 11 თვე იმეფა; სიკვდილის წინად საშინელმა სენმა შეიპყრო, მუცელი გაუსკდა და საშინელს ტანჯვაში დალია სული 21 დეკემბერს 1602 წ.

ალექსანდრე ხელ-ახლად გამეფდა, მაგრამ ცოტას ხანს. 1603 წ. დამლევს შაჰ-აბაზმა დაიბარა კახეთის ჯარით, იმ

---

[1]) გვახუშტით, ნესტარ-დარეჯანი.

დროს, როცა ერევანს ალყა შემოარტყეს, დაასაჩუქრა დიდ-ძალის ოქროთი და განსაკუთრებული პატივი სცა. მაგრამ შინ გამოისტუმრა მხოლოდ წლი-ნახევრის შემდეგ. მეფე დაბრუნდა კახეთში მარტს 1605 წ. რიცხვ-მრავალ სპარსელთა ამალით და თავის შვილის კონსტანტინეს თან ხლებით. კონსტანტინემ დაიპყრო ყაბალა და მთელი შირვანი, რის შემდეგ შაჰ-აბაზი დიდად მოწყალედ ეპყრობოდა. შაჰმა უბრძანა გადმოეგდო ტახტიდამ ალექსანდრე და გამხდარიყო შირვანისა და კახეთის ბატონი. უბედურმა კონსტანტინემ განიზრახა ამისთანა საძაგლობის ჩადენა და 12 მარტს მოაკვლევინა მოხუცებული მამა, ძმა გიორგი და რამდენიმე დიდებული ზაგემში, ანუ, როგორც ვახუშტი ამბობს, ბაზარში [5]), და ისე გაკადნიერდა, რომ ბრალსა სდებდა, შაჰის ორგულნი ხართო და თავს იმითი მართლულობდა, ვითომც „ალექსანდრესაც თავისი მამა მოეკლას კახელების ჩვეულებისამებრ". ჩვენ უფრო სამართლიანად მიგვაჩნია ისტორიკოსის არაქელის ნაამბობი, რომ ქართველები (კახელები), მეფე ალექსანდრეს თანხმობით, შეითქვნენ კონსტანტინეს, ამ რჯულგადამდგარის, მოსაკლავად, მაგრამ კონსტანტინემ შეიტყო მათი განზრახვა, თვითონ დაასწრო მტერს და გადააჭარბა იმ სამზღვარს, რა სამზღვარშიც ნება აქვს კაცს თავი დაიცვას.

ბატონისშვილის დავითის ცოლმა ქეთევანმა რაღაც ბედად წინადვე, 1604 წ, გაჰგზავნა თავისი ერთად-ერთი შვილი თეიმურაზი სპარსეთში. შაჰ-აბაზმა მოწყალედ მიიღო ყმაწვილი, ზრდიდა და ასწავლიდა სპარსულ ენას და სპარსულ ზნე-ჩვეულებას. ამით გადარჩა თეიმურაზი სიკვდილს, ხოლო ალექსანდრეს შვილი-შვილი, მანუჩარ დადიანის შვილი, მცირე წლოვანი ლევანი, რომელიც ალექსანდრესთან იზრდებოდა, თავის პაპის სიკვდილს შემდეგ, სამეგრელოში წაიყვანეს.

---

[5]) ზაქათლის მაზრაში.

ზევით ჩვენ ორჯელ — ლევან I და ალექსანდრეს I მეფობაში — მოვიხსენიეთ რუსის ხელმწიფეები. დროა უფრო ვცრლად ავწეროთ კახეთის მეფეების მიწერ-მოწერა რუსის დიდ კნიაზებსა და მეფეებთან. ადვილი დასაჯერებელია, რომ უკანასკნელ 38 წლის განმავლობაში რუსებმა უფრო დაახლოვებით გაიცნეს ქართველები და ორისავე ერის მეფეებს ერთმანეთთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ. 1586 წ. დაბრუნდა თარჯიმანი იგნატი დანიელის ძე რუსინი, რომელიც გაგზავნილ იყო ალექსანდრე II-თან იმის ქვეყნის გასაცნობად. მას ახლდნენ ქართველი ელჩები, მღვდელი იოაკიმე, ბერი კირილე ქსანტოპულო და ხუროშიდ ჩურქანენინი, ანუ ჩერქესი, რომელთაც შინდობილი ჰქონდათ გაძოკითხოვათ რუსის მეფის შფარველობა ოსმალების წინააღმდეგ.

შემდეგ წელს მეფე თეოდორე ივანეს ძემ გაჰგზავნა საქართველოში თავისი დესპანი, ბირკინი, და აღუთქვა მეფეს თერგის შესართავთან ქალაქის აშენება, რათა დაიცვას ამიერკავკასია თათართა შემოსევისაგან, რომელთაც წინა წლებში კასპიის ზღვის ნაპირების გზები შეისწავლეს და იქიდამ თავს ესხმოდნენ ხოლმე. ასტრახანიდამ ელჩები მივიდნენ სუნჯის კოშკთან, რომელიც აშენებული იყო იქ, სადაც მდინარე სუნჯა ერთვის თერგს; იქიდამ მთები და ყაბარდო ჩაიარეს და სონის ქვეყანაში შევიდნენ; ესრედ იწოდებოდა მაშინ სამფლობელო არაგვის ერისთავისა, რომელიც, თანახმად ჩვენის საბუთებისა, ქვეშევრდომი იყო კახეთის მეფისა. ერისთავმა გადაიყვანა ისინი კეხარის მთაზე, ალაზნის სათავეში, სადაც მიიღო მეფის მოურავმა და ბაზიერთ-უხუცესმა უმანმა. 1587 წ. სექტემბერს ალექსანდრემ მიიღო ფიცი და ვალდებული გახდა ყოველ-წლივ ეძლია რუსთა ხელმწიფისათვის საჩუქრად თავის ქვეყნის უმჯობესი ნაწარმოები იმ პირობით, რომ რუსების სტრელცებმა [6]) დაღესტნელები შეი-

[6]) მაშინდელის მუდმივის ჯარის კაცნი.

კავონ; რუსებს ამ დროს, გარდა სუნჯისა, მეციხოვნენი ჰყავ-
დათ ჩაყენებულნი ტიუმენსა და ტერკში.

ბირკინმა თან წაიყვანა რუსეთში ქართველი ელჩი, თა-
ვადი ყაფლან ვაჩნაძე. ეს ვაჩნაძე, ბერი კირილე და სხვები
სადარბაზოდ მიპატიჟებულნი იყვნენ რუსის მეფის, ბორის
გოდუნოვის კავკასიის ნამესტნიკის მიერ. ქართველთ ელჩებმა
დაბეჯითებით მოსთხოვეს მეორე ციხის აგება წინააღმდეგ
ტარკოველ შამხალისა, რომელიც დაუძინებელი მტერი იყო
საქართველოსი. ეს შამხალი გადაემტერა მეფე ალექსანდ-
რეს მას შემდეგ, რაც ალექსანდრემ თავის შვილს გიორგის
ნება არ მისცა ეთხოვნა შამხალის ქალი და იმას ამჯობინ-
ასული ყირიმ შამხალისა, რომელიც იმის ნათესავი და მემკვი-
დრე იყო. — კახელების თხოვნის გამო თავადს ანდრია ივა-
ნეს-ძე ხვოროსტინინს ბრძანება მოუვიდა აღასრულოს მეფე
ალექსანდრეს სურვილი.

ამავე ელჩს (ვაჩნაძეს) უნდა მიერთმია საჩუქრად მეფე თე-
ოდორე ივანეს ძისათვის ოქრო-მკედით მოქარგული მშვენიერი
გარდამოხსნა, რომელიც ახლა ასვენია ჩესმენის საინვალიდო
ქსენონის ეკლესიაში, და რომელსაც, თუმცა მრავალი ქარ-
თული და ბერძნული წარწერები აქვს, მაგრამ ეს წარწერები
ისტორიას არ შეეხება.

1589 წ. თავადი ზვენიგოროდსკი რამდენისამე სასული-
ერო კაცით გაემგზავრა ელჩად საქართველოში. მეფის გრა-
მოტის გარდა ამ სასულიერო კაცებს თან მიჰქონდათ რუ-
სის პატრიარქის იობის წერილი ალექსანდრესთან: პატრი-
არქი აუწყებდა მეფეს, რომ მიღებული ხარ რუსის ხელმწი-
ფის მფარველობაში და აგრედვე, რომ რუსის მღვდლებს მინ-
დობილი აქვთ ქართველთ ეკლესიის გამართვა, თანხმად წმინ-
და მამათა სწავლისა და იმათგან დადგენილ წეს-რიგისა.

ზვენიგოროდსკის ახლდა ამალა, რომელშიაც რვაასი კა-
ცი იყო; თან მოჰქონდა დიდ-ძალი ფული. ქართველთაგან
მთებში არავინ დაჰხვედრია და ამის გამო დიდის გაჭირ-

ვებით მიაღწია სონის ქვეყნამდე და მხოლოდ საზღვარზე დახვდა ბერი კირილე. ბოლოს მეფემ, ცოტა არ იყოს, გულ-ცივად მიიღო თავადი გრემში, რომელიც მაშინ კახეთის სა-ტახტო ქალაქი იყო. არ ვიცით, რა მიზეზისა გამო, ალექ-სანდრემ ჯეროვანის პატივის-ცემით არ მიიღო ეს ელჩები; ყო-ველი მათი მოქმედება გულსა სტკენდა და ცდილობდა, რაც შეიძლება, ნაკლებ დაეთმო და, რაც შეიძლება, მეტი სარგებლობა ჰქონოდა თითონ რუსის მფარველო-ბითა; დაიტრაბახა, რომ სპარსეთის შაჰი ცდილობს ჩემს მე-გობრობასაო. ნება არ მისცა მღვდლებს მიწერ-მოწერა გაე-მართათ კათალიკოზ ნიკოლოოზთან, რომელიც მეფის ძმა იყო და რომელზედაც მეფე განრისხდა, როცა მან ცილობა გაუწია ამა თუ იმ საეკლესიო წეს-წყობილების შესახებ იერუ-სალიმის პატრიარქს, კახეთში მოსულს იმ დროს. ამის გამო ბერმა ზაქემ, რომელიც ელჩის ამალაში იყო, ველარ მოა-ხერხა ქართველ სამღვდელოების დაყოლიება და ამას შემ-დეგ აღარ ისურვა ეწირა არც გრემსა, არც ზაგემს ანუ ზე-განს, მეორე სატახტო ქალაქში, არც ერთს რომელსამე იქაურ ეკლესიაში, რადგან ეგ ეკლესიანი ჩემის აზრით სა-სურველ წესიერებაში არ არიანო.

მეფე ალექსანდრე მუდამ იმას ჩიოდა, რომ ეს ოთხი წელიწადია, რაც მივენდე მეფე თეოდორე ივანეს ძის მფარვე-ლობას და მან კი არავითარი თვალსაჩინო შემწეობა არ აღმომიჩინაო; ხოლო იმ ხარკმა, რომელსაც ვიხდი, გამაღარი-ბაო. თუმცა იმავე წელს რუსის ჯარმა თერგზე პალტოვის წინამძღომლობით დაამარცხა ყაბარდოს მთავარი სოლაღი და აიძულა შამხალი შეწყნარება და პატიება ეთხოვნა, მაგ-რამ ალექსანდრე მაინც გაჯავრდა, რომ რუსები შეურიგდნენ დამარცხებულ მტერს. ამას გარდა დაბეჯითებით თხოულობდა ასი კაცი სტრელცებისა მაინც კახეთში დაეტოვებინათ შესა-შინებლად სხვა და სხვა მტრებისა, რომლებიც გარს ერტყნენ კახეთს. ძლივს დაუტოვეს 25 კაცი, რადგან მეფეს არ სურდა

თავისის ხარჯით შეენახა ისინი, ხოლო სტრელცები არ დასთანმხდნენ მუქთად ემსახურნათ. 1590 წ. მაისში ზვენიგოროდსკი უკანვე დაბრუნდა ლარსს, აქედამ მთებით სუნჯას გარდავლო. თან ჰყავდა თავადი სულეიმანი და ხურშიდ ჩერქეზიშვილი, კახეთის ელჩები.

ბორისი დაჰპირდა განეგრძო ომი შამხალის წინააღმდეგ, მაგრამ მოითხოვა, რომ ალექსანდრემაც შემლებისამებრ მიიღოს მონაწილეობა ამ გალაშქრებაშიო. ამ პირობით და საჩუქრებით, — რომელთა შორის, ჩვეულებისამებრ, საუკეთესო ჯიშის სანადირო ქორებიც იყო, — მან გაისტუმრა საქართველოში ვასილ ტიმოთეს-ძე პლეშჩეევი, მაგრამ მისი ამბავი ჩვენ არა ვიცით-რა. პლეშჩეევს დაბრუნების დროს 1591 წ. ახლდნენ ქართველი თავადი არამ ჯეზდამბეკი და მოხუცი კირილე ბერი. ისინი მივიდნენ 1592 წ. და მადლობა განუცხადეს რუსის მეფეს შამხალის ქალაქის ანდრეევის დაქცევისათვის, — რომელიც თავადმა გრიგოლ ოსიპის-ძემ ზასეკინმა აიღო, — და სთხოვდნენ ბორის გოდუნოვს ციხეც აეღოთ და დაეპყრათ ყუმუხების მოელი მხარე. თავადი ივანე ნიკიტას-ძე ვსევოლოდსკი გაჰყვა არამ ჯეზდამბეკს საქართველოში 1593 წ. მას უნდა მოეთხოვა დახმარება ყირიმ შამხალისა და კახეთის ჯარისა ყუმუხებზე გალაშქრების დროს. ამას გარდა უნდა წამოეყვანა რუსეთში ევროპიულ წესზედ აღსაზრდელად ალექსანდრეს ერთ-ერთი შვილი და ან ძმისწული. ბოლოს უნდა შეეგონებინა ალექსანდრესათვის, რომ ამიერიდამ რუსის მეფის დაუკითხავად აღარ მიეცა სპარსებისათვის სამეფო გვარეულობის შვილი. ვსევოლოდსკი დაბრუნდა და თან წამოიყვანა ზემო მოხსენებული თავადი ხურშიდი და ჭერემის მთავარ-ეპისკოპოსი არტემი. გრამოტაში რუსთ ხელმწიფის სახელზე, რომელიც მათ გაატანა, ალექსანდრე თავს იმართლებდა, რომ შორეულ ლაშქრობაში, — რომელიც თერგში ყუმუხების წინააღმდეგ დაიწყე, — ვერ მივიღებ მონაწილეობასაო და გადაჭრით უარს უთვლიდა თავის ძმის-წულის

გაგზავნაზე რუსეთში. ერთს იმათგანს თვალები დასთხარა, ხოლო მეორე დიდ ხანს საპატიმროში ყოფნით მოკვდა. ამ გვარ მდგომარეობაში იყო საქმე და, რა გასაკვირველია, რომ ქართველი ელჩები მოსკოვში გააჩერეს წელიწად-ნახევარი. შინ გაუშვეს მხოლოდ 1596 წ. ივნისს; თან გააყოლეს რუსის ელჩი კუზმა პეტრეს ძე სავინი.

შაჰ-ხუდა ბენდეს დიდათ არა სწყენია ალექსანდრეს რუსებთან დაახლოვება, იმიტომ რომ იმედი ჰქონდა მიემხრო თავისკენ მეფე თეოდორე ივანეს ძე ომში ოსმალების წინააღმდეგ. ხოლო შაჰ-აბაზი სულ სხვა აზრისა იყო: მას ვერ გაეგო ვერც მიზეზი რუსების მუდმივის ბრძოლისა შამხალთან, ვერც ისა, თუ რისთვის აშენებდნენ ქალაქებს ჩრდილოეთ დაღესტანში, რისთვის იკისრეს ალექსანდრეს დაცვა მთიულთა და ოსმალთაგან და რისთვის სცდილობდნენ გადაბირებას ბატონიშვილის კონსტანტინესი, რომელიც სპარსებს მძევლად ჰყავდათ მიცემული. დასასრულ, ის ბრალსა სდებდა ალექსანდრეს საშარცხვინო მოქმედებისათვის: ვითომც ალექსანდრეს მოეკლას მუხანათობით ელჩი ბეგ-მირზა, ანუ ბირი მირზა, რომელიც გაგზავნილი იყო მასთან სათხოვნელად იმის ქალისა შაჰის საცოლოდ, — და წაერთმიოს მისთვის ფული და საჩუქრები და მიეცეს ყოველივე ესე მზითევში თავის ასულისათვის, რომელიც მიათხოვა მანუჩარ დადიანს, როგორც წინადაც მოვიხსენეთ.

მეფე თეოდორემ დაავალა სავინს განეცხადებია ალექსანდრესათვის უკმაყოფილება იმის შესახებ, რომ მან მონაწილეობა არ მიიღო რუსეთზე დაშორებულ ექსპედიციაში კუმუხების წინააღმდეგ, რაიცა ისე ძვირად დაუჯდა რუსეთს. მან უბრძანა სავინს გამოსთხოვოს ალექსანდრეს ნიშნად მორჩილებისა საჩუქარი. რაც შეეხება ივერიის სხვა მფლობელებს, სავინს მიანდვეს ვასსალად მიეღო ისინი, ვინც კი ისურვებდა.

სავინი წავიდა ყაზანიდამ ასტრახანს, იქედამ ზღვით მი-

ვიდა ტერკს, შემდეგ ჩაიარა სუნჯის ციხე და ჩვეულებრივის გზით მივიდა ლარსში და შემდეგ კახეთში, 1596 წ. დეკემბერს. სავინმა გადასცა ალექსანდრეს მეფის გრამატა და პატრიარქის კურთხევა და შემდეგ წელს ოკტომბერში უკან დაბრუნდა. ლარსში შეჩერდა ზამთრისა და დიდის თოვლის გამო და იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო კახეთში, სადაც დაჰყო 1598 წ. მაისამდე; იქიდამ აახლეს თავადი სულეიმან ბულ-ალი-ხანი, ანუ აბულელაძე. გზაში მან შეიტყო, რომ სამეფო ტახტზე ასულიყო ბორის გოდუნოვი. იმ ზამთარს დარჩა ასტრახანში. სხვა და სხვა მოულოდნელ გარემოების გამო ამ დესპანობამ სამს წელიწადზედ მეტს გასტანა.

სულეიმანი მივიდა მოსკოვს 1599 წ. ივლისში და სცდილობდა გაემართლებინა თავისი ხელმწიფე შესახებ იმისა, რომ მონაწილეობა ვერ მიიღო ზასეკინის გალაშქრებაში შამხალის წინააღმდეგ და ისევ დაბეჯითებით თხოულობდა, რომ რუსებს შამხალთან ომი განეგრძოთ; თუ არა და მეფე ალექსანდრე გადუდგება რუსეთსაო. რაც უფრო ხანში შედიოდა ალექსანდრე, თან და თან უფრო ძნელი შეიქმნა მასთან საქმის დაჭერა. თან და თან უფრო ჩიოდა, რომ ჩემის მტრების გაწყვეტას აგვიანებენო. მისისავე სახელით სულეიმანმა ითხოვა აგრედვე საჩუქრები და რამდენიმე ბაზიერი. ქართველები წარსდგნენ მეფე ბორისისა და პატრიარქის წინაშე, და, არ ვიცით, რა მიზეზისა გამო, ორს წელზედ მეტს ხანს დაარჩინეს ისინი მოსკოვში.

1601 წ. სულეიმანი წამოვიდა ერთად რუსის ელჩთანვე ივანე ათანასეს ძე ნაშჩოკინთან, რომელსაც დაავალეს, როგორც კახეთის საქმეების დაწყობა, აგრეთვე თხოვნის მიღება ივერიის სხვა მფლობელთაგან, რომელნიც კი მოისურვებენ რუსეთთან დაახლოვებას: იმავე წელს თავადი რომადანოვსკი წავიდა ჯარით ტერკს, ხოლო თავადი ალექსანდრე ზასეკინი გაგზავნილ იქმნა სპარსეთში შაჰთან, რომლისათვისაც უნდა აე-

ხსნა, რომ მარტო სჯული იყო მიზეზი იმისა, რომ რუსეთმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ საქართველო. ზასეკინი უნდა გალაშქრებულიყო შამხალის წინააღმდეგ და, იმის სამფლობელოს რამდენისამე ადგილის დაჭერის შემდეგ, უნდა აეშენებინა ტიუმენის და ანდრიას ციხეები გემი, რომლითაც ნაშოკინი მიდიოდა, კინაღამ დაიღუპა ვოლგაზე და მხოლოდ 6 დეკემბერს მიაღწია მან ასტრახანს. მბელი ყაბარდო, სუნჯის ხეობა და დაღესტანი მაშინ აღელვებული იყო და ამ ქვეყნებში გავლა ელჩებისათვის ძლიერ საფრთხილო იყო. ამას გარდა თერგის მოურავმა, თავადმა ანდრია ხილკოვმა შეიტყო, რომ 1601 წ. ნოემბერში ბატონიშვილი კონსტანტინე დაბრუნებულიყო სპარსეთიდან და რომ მეფე ალექსანდრე ტახტიდან გადმოეგდო მის შვილს დავითს და რომ ის ბერად შემდგარიყო. სულეიმანმა არც ეს ამბავი დაიჯერა, არც ნაშოკინს უჯერებდა რასმე და თხოულობდა, რომ ნაშოკინი მალე წამოსულიყო საქართველოში. ეს მისი თხოვნა კიდეც ასრულდა და პირველ ივნისს ნაშოკინი გამოეცხადა ალექსანდრეს და დავითს, რომელიც მაშინ მეფობდა. ზაფხულში მოუხდა სხვა და სხვა ადგილებში ცხოვრება, როდესაც მეფე დავითი ებრძოდა სონის ანუ არაგვის ერისთავს და თავისს ძმას გიორგის. ნაშოკინს დაუნიშნეს მეორედ სადარბაზოდ მიწვევა, მაგრამ ამ დროს დავითი გარდაიცვალა, როგორც ზევით მოვიხსენეთ.

ალექსანდრე ისევ გამეფდა და, როცა შეიტყო, რომ იმ წელს რუსები შამხალზე აღარ აპირებდნენ ამხედრებას, ძალიან გაჯავრდა და ზიზღით ეპყრობოდა ნაშოკინს, რომელმაც მოახსენა ბორისს იმისი და იმის შვილების უმართებულო მოპყრობის ამბავი. საგულისხმოა, რომ ნაშოკინის მოხსენებაში ბევრი გადაჭარბებულია, თუმცა საზოგადოდ მაშინდელი ამბები რომ კარგად განვიხილოთ, დავრწმუნდებით, არც ნაშოკინი და არც ალექსანდრე მართალი არ იყვნენ. ნაშოკინი რუსეთში დაბრუნების შემდეგ ფორმალურად გამ-

ტყუენებულ იქმნა ცუდ ყოფა-ქცევაში. რუსეთის მეფემ ბრძანა სიკვდილით დაესაჯათ ის და მხოლოდ უცაბედმა სიკვდილმა გადაარჩინა სამარცხვინო სასჯელსა; მის მემკვიდრეებს მაინც უნდა შეეტანათ იმის მამულიდან დიდ-ძალი ფული სანუქფოდ იმ ქართველებისა, რომელნიც მან დატუქსა და დააზარალა. მისი ამხანაგი დიაკი ლეონტიევი სასტიკად იქმნა დასჯილი და მთელი თავისი სიცოცხლე საპყრობილეში უნდა ყოფილიყო დამწყვდეული. ქართველმა სულეიმანმაც ძლივს გაიმართლა თავი ბრალდებულებისაგან ასტრახანში. ამის გამო მოხუცი ბერი კირილე, რომელიც ნაშჩოკინს გაჰყვა 1603 წ., ივნისში, დიდხანს გააჩერეს ასტრახანში და მხოლოდ 1604 წ. თებერვალს სადარბაზოდ მიიღო ბორისმა. როცა ჰკითხეს საქმის გარემოება, ბერი ამართლებდა ყველაფერში ალექსანდრეს; ამტკიცებდა, რომ ნაშჩოკინმა ცილი დასწამა მეფეს და თავის მხრით უჩიოდა უზრდელობისა და ცემისათვის, რომლის შედეგი ოთხის კაცის სიკვდილი იყო. ჩვენ უკვე მოვიხსენეთ, რით გათავდა ეს საქმე. კირილემ მოახსენა აგრედვე დაწვრილებითი ცნობანი იმ ადგილების შესახებ, რომელთ დაჭერა სიმაგრეებათ რუსთათვის საჭირო იყო, სახელდობრ: ტერკისა, ტარკალისა, თოჭლუკისა და ვოინაკისა. ბორისმა გამოსტუმრების დროს აღუთქვა კირილეს, სახეში მივიღებ მეფე ალექსანდრეს თხოვნასაო.

კირილეს თან გააყოლეს მეფის დაახლოვებული აზნაური მიხეილ ეგნატის ძე ტატიშჩევი, რომელიც სახელმწიფო საქმეებში განვითარებული იყო და ამასთანავე გულ-კეთილი. მას მიანდვეს შერიგება სონის ერისთავისა მეფე ალექსანდრესთან და, თუ ეს არ მოხერხდებოდა, უნდა შეეგონებინა ერისთავისთვის, რუსეთის მფარველობა მიეღო. ტატიშჩევმა დიდ-ძალის ამალით ძლივს მიაღწია ლარსს ამ დროს ხმა გავარდა ალექსანდრეს მოკვლისა და, თუმცა ეს ხმა მაშინ არ გამარ-

თლდა, მაგრამ მაინც ნიშანი იყო იმისი, რომ კონსტანტინეს პირველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

მაშინ გამოაშკარავდა, რომ არაგვის (იგივე სონის) ერისთავი საბოლოოდ გადუდგა მეფე ალექსანდრეს და მიემხრო გიორგის, ქართლის მეფეს. 1504 წ. მარტში ალექსანდრე სპარსეთში იყო წასული და იქიდან ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული, როდესაც შამხალის მომხრეებმა ამით ისარგებლეს და დაეცნენ გრემს და ზაგემს, გაძარცვეს და ააოხრეს სრულიად.

ტატიშჩევი იყო სადარბაზოდ გიორგი ბატონიშვილთან, ალექსანდრეს შვილთან, რომელმაც მანამდი არ შეჰფიცა რუს ხელმწიფეს ერთგულებაზე, სანამ არ მისცეს შემწეობა კუმუხების და ოსმალების წინააღმდეგ. ცოტა ხანს უკან ერთმა რაზმმა, რომელშიაც 50 სტრელცების ჯარის-კაცი იყო და კახეთის ჯარი, დიდად დაამარცხა და სრულიად განდევნა მტარვალების ბრბო. ბოლოს 1505 წ. 1 იანვარს, როგორც გიორგიმ, აგრედვე მთელმა უმთავრესმა სამღვდელოებამ და დიდებულებმა მიიღეს ფიცი რუს-ხელმწიფის ერთგულობაზე. იმავე დღეებში რუსის სარდლებმა ბუტურლინმა და შირონოსოვმა დიდად დაამარცხეს შამხალები ტერკსა, ანდრიას ციხესთანა ჲ სხვა ადგილებში. მიუხედავად ამისა, ბატონიშვილი გიორგი მაინც უარზედ იყო, რომ ქართველებს მონაწილეობა მიეღოთ დაღესტანს გალაშქრებაში.—შემდეგში ტატიშჩევი თითქმის თვით მხილველი იყო იმ მკვლელობისა, რომელიც კონსტანტინემ მოიქმედა და რომელიც წინად მოვიხსენეთ. ამის გამო ტატიშჩევი მალე წავიდა ქართლში. კახეთში ჯეროვანის პატივისცემით არ ეპყრობოდა არც ბატონიშვილი გიორგი და არც კონსტანტინე მან საიდუმლოდ მისწერა მეფე გიორგი X, მომიხერხე, იქნება როგორმე გამოვეცალო კახეთსაო. ელჩი გაუშვეს ქართლში მხოლოდ 1604 წ. აპრილს. ელჩს უნდა გადაევლო არაგვის ერისთავის საფლობელო; როცა მივიდა კარალეთში, სადაც მაშინ იმყოფებოდა მეფე გიორ-

გი, საუბარი ჰქონდა იმ ორ ქორწინებაზე, რომელიც ჩვენ ქართლის ისტორიაში მოვიხსენეთ. მან ინახულა და გასინჯა სასიძო და სადედოფლო, და ჩამოართვა გიორგის მეფური სიტყვა. თავის მხრით მან აღუთქვა გიორგის წაყვანა ისინი რუსეთს, მაგრამ ამ დროს ასტყდა რუსეთში ესრედ წოდებული არეულობის ხანა და ეს განზრახვა ვეღარ შესრულდა. მაისში ტატიშჩევი დაბრუნდა არაგვის საერისთაოში. იმ არეულობის გამო, რომელიც მაშინ რუსეთში მოჰხდა, ივნისში ელჩი უამალოდ, ისე რომ ხოსროც არ ჰხლებია, წავიდა ტერკში, რომელსაც მთიულები გარს შემოსდგომოდნენ. კუმუხელებს აეღოთ ანდრიას სიმაგრე და იძულებული გაეხადნათ სუნჯის სარდალი დაეწვა იქაური საპატიმრო. ტატიშჩევმა ძლივს მიაღწია მოსკოვს ნოემბერში. ცრუ დიმიტრის შემდეგ გამეფებული ვასილ შუისკი არ ივიწყებდა საქართველოში დაწყებულ საქმეს და დაჰნიშნა იქ ელჩათ თავადი რომადანოვსკი, რომელიც ავაზაკებმა მოჰკლეს სარატოვს 1606 წ. ამ ნაირად დროებით მოისპო მისვლა-მოსვლა და მიწერ-მოწერა რუსთა და ქართველთ მეფეთა შორის. შემდეგში თავ-თავის ალაგას განვაგრძობთ ამ მიწერ-მოწერის ამბავს.

იმ ბოროტების ჩადენის შემდეგ გამეფებულმა კონსტანტინემ, რომელიც წინად მოვიხსენეთ, არ ითაკილა შეეთვალა თავის რძლის ქეთევანისათვის, ცოლად გამომყეო. დედოფალმა საძაგელ მკვლელს ზიზღით უარი შეუთვალა და, დაიმედებული კახელების ერთგულებასა და სიყვარულზე, იარაღით წინააღუდგა კონსტანტინეს, მით უმეტეს, რომ შაჰმა ოფიციალურად აცნობა, კონსტანტინე თავისით ჰმოქმედობს ჯარა ჩემის ბრძანებითაო. კონსტანტანტინეს ამ შებრძოლებაში ეწეოდა შაჰ-მირ-ხანი, ალი-ხანი, სულტანი შემედინლუ ჯ ზოგიერთი სხვა ემირი, რომელთაც უნდა ებრძოლათ შირვანში ოსმალების წინააღმდეგ. ქართველებს ამილახვრის წინამძღოლობით ქეთევანის მხარე ეჭირათ.

კახელები შეითქვნენ და დაეწივნენ კოსტანტინეს შირვანში მიმავალს და ღამით დაეცნენ იმის კარავს. მან მოასწრო არდებილს გაქცევა. ხუთის თვის შემდეგ სასტიკი ომი ასტყდა დაბა მაკაბელთან ამ ორ დასს შორის. როგორც კი კოსტანტინე გამოჩნდა, სამმა გულადმა დიდებულმა ხმლით შეუტიეს და ნაწილ-ნაწილ აჰკუწეს; სპარსნი გაიფანტნენ; არივინ არა ნაღვლობდა მამის მკვლელის სიკვდილს [7]). თვით შაჰ-აბაზი, რომელმაც ეს ბოროტება მოაქმედებინა, დიდის ზიზღით იხსენიებდა კოსტატინეს, და თუ ვერწმუნეთ მეისტორიე არაქელს, თვით აბაზმა ნება მისცა ქართველებს აეგავათ კოსტანტინე დედამიწის ზურგიდამა. ამის შემდეგ მმართველმა ქეთევანმა გამოსთხოვა შაჰ აბაზს თავისი შვილი, სპარსეთში მცხოვრები. შაჰმა შეიწყნარა მისი თხოვნა.

ამ დროს ლევანისა და ალექსანდრეს რიცხვ-მრავალ შთამამავლობიდან საქართველოში მარტო თეიმურაზი დარჩა. რუსეთში-კი სცხოვრობდა ერთი მისი ბიძაშვილი, ბაგრატი, იესეს შვილი, და ალექსანდრეს შვილი-შვილი. ის და მამა მისი დიდხანს იყვნენ სპარსეთში და შემდეგ საქართველოში დაბრუნებისა ციხეში ჩასვეს. ოცის წლის დატყვევების შემდეგ ალექსანდრემ თან წაიყვანა იგი ერევანს. ჯერ ბაგრატი დარჩა დასთან სპარსეთში, მერე დაბრუნდა სამშობლოში. აქედამ ბიძის სიკვდილს შემდეგ გარდაიხვეწა ასტრახანს და მერე მივიდა მოსკოვს. იქ დიდხანს დაჰყო სერგიევის სამების ლავრაში. ვასილ შუისკიმ გააუმჯობესა მისი მდგომარეობა; ჩვენ არ ვიცით, როდის და რანაირ გარემოებაში გარდაიცვალა იგი.

შაჰ-აბაზმა კარგად იცოდა ყველა ეს შინაური მდგომარეობა კახეთის სამეფოსი და მან იქ დასვა ტახტზე თექვსმე-

---

[7]) მემატინე გორგიჯანიძე სწერს, რომ ამ კოსტანტინემ, მამის მკვლელმა, იმეფა მხოლოდ ექვსი თვე, ⁄ რომ ძასზე გამართლდა სპარსული ანდაზა: „მამის მკვლელს არ შეუძლიან იმეფოს და, თუ-კი ერთხელ გამეფდა, მხოლოდ ექვსი თვე შეუძლიან ტახტზე ჯდომაო . . .

ტის წლის ბატონიშვილი (თეიმურაზი). თავზე გადააყარა ოქ-
რო და აღიარა კახეთის მეფედ. თეიმურაზ I კახეთს რომ
მივიდა, იკურთხა გვირგვინი და ყველასაგან აღვიარებულ
იქმნა მეფედ 1606 წ. თეიმურაზმა შეირთო ანნა, მამია გუ-
რიელის ასული, რომლისაგანაც ეყოლა ორი ვაჟი: ლევანი
და ალექსანდრე და რომელიც ყელ-ჭირვებით მოუკვდა 1610
წ. შაჰმა სანუგეშებლად დაიბარა თავისთან თეიმურაზი, უბრ-
ძანა შავების გახდა და შეაგონა, მეორე ცოლად შეერთო
ხვარეშანი, ქართლის მეფის ლუარსაბის უფროსი და, რომე-
ლიც შაჰს არ მიათხოვეს. თეიმურაზი ძალა უნებურად და-
სთანხმდა ამაზე 1612 წ. რადგან ლუარსაბი იმის ბიძაშვი-
ლის შვილი იყო, შაჰი დაბეჯითებით თხოულობდა ამას, რად-
გან სურდა თეიმურაზის დამცირება და ქრისტეს სჯულის
შეურაცხყოფა. სპარსეთის ბატონი ეძიებდა მიზეზს, რომ ლუ-
არსაბს თავს დასცემოდა. რაც შეეხება კახეთს, კონსტანტინეს
მკვლელობის ხსენება ძალიან აღელვებდა იქაურ მკვიდრთ
და ყველას სწყუროდა შურის ძიება და მაგიერის გადახდა.
1614 წ. ზაფხულში შაჰ-აბაზი ანაზდათ მოვიდა განჯას
და ცბიერებით სცდილობდა სიძე და ცოლის ძმა ერთმა-
ნეთს დაეშორებინა, და დაერღვია ის კავშირი, რომე-
ლიც მათ შორის სუფეედა; მას ახლდა განთქმული მო-
ღალატე დიდი მოურავი. ამას წინად შაჰმა სანადიროდ
დაჰპატიჟა თეიმურაზი და ლუარსაბი მაზანდარანში. მათ
რაღაც მიზეზი მოიდვეს და არ წავიდნენ. ეხლა შაჰმა დაჰ-
ყო რამდენიმე ხანი ყარაბაღს და ემზადებოდა შირვანზე
გალაშქრებას ოსმალების წინააღმდეგ. ერთგულობის მძევ-
ლად მან მოსთხოვა თეიმურაზს ერთ-ერთი მისი შვილი.
მეფემ გაუგზავნა უმცროსი შვილი ალექსანდრე და თან
გააყოლა თავისი ცოლი? ქეთევანი პატარა ქალით, ელენე-
თი. ზოგიერთნი ამბობენ, რომ ელენე შემდეგში შაჰ-აბა-
ზის ერთი ცოლთაგანი შეიქნაო, თუმცა ეს დამტკიცებული
არ არის. ეს შაჰს ეწყინა და მოითხოვა უფროსი შვილი ლე-

ვანი, რომელიც თეიმურაზმა დიდებულთ რჩევით კიდევაც აახლა. შაჰი არც ამას დასჯერდა და დაიბარა თეიმურაზი. მაშინ თეიმურაზი არა თუ დაემორჩილა იმის ბრძანებას, არა მედ ჯებირი გაავლო მუკუზანიდამ გალმა მხარემდე შუა მთამდი და იქ გამაგრდა. ამ დროს სპარსეთში სცხოვრობდა ბაგრატი, დაუთ-ხანის შვილი, რომელსაც მოუვიდა თეიმურაზის წერილი; ის შეშინდა და მიართვა შაჰს წერილი. წერილში თეიმურაზი შეურაცხებით იხსენიებდა შაჰს. ამის შემდეგ შაჰ-აბაზმა უფრო მოიწადინა კახეთის სრულიად აკლება. შაჰ-აბაზმა დაჰყო თავისს ბანაკში 1614 წ. შობამდი, შორის გზით იდუმალ გარს შემოუარა ქართველების ჯებირებს და შევიდა შუა კახეთში. ამ ანაზდად იერიშის მიტანაზე თეიმურაზი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო მუხრანს და აქედამ იმერეთში. გზაში შეხვდა სპარსების რაზმი, რომელიც მან სრულებით დაამარცხა და დიდი ნადავლი იშოვა.

ხალხი ძალა-უნებურად დაჰმორჩილდა; ის მაზრები, რომელიც თავის ნებით დაჰნებდა, დაწვრილებით აღწერეს სპარსების მოხელეებმა. წმინდა ხატები და ეკლესიის მდიდარი სამკაული ნადავლად დარჩა შაჰს, რომელმაც ყოველივე ეს გაუგზავნა ისპაანს თავის ცოლებს ტანსაცმელის შესაკობლად. როგორც ამბობენ, ამ ძვირფას ნივთებში ერია ხელთუქმნელი კვართიო. შაჰმა უბრძანა იმის დაცვა და იმის წინ დღე და ღამ განუწყვეტლად სანთლის ანთება. 1622 წ. მან აჩუქა ეს წმინდა ნივთი მიხეილ თეოდორეს ძეს, რომელსაც ეს საუნჯე მიართვა ელჩმა, ტომით ქართველმა, რუსადბეგმა, და რომელიც აქამომდე დაცულია კრემლის [8]) მიძინების ეკლესიაში.

---

[8]) პირველ ტომში ამა ისტორიისა უკვე მოხსენებული იყო ჟორდანიას აზრი ამ წმ. კვართის შესახებ; ის ამტკიცებს, რომ კვართი დაცულია სვეტი-ცხოვლის ქვეშე და არა წაღებული საქართველოდან შაჰ-აბაზის მიერ, რომელმაც ვითომ საჩუქრად გაუგზავნა რუსეთის მეფეს მიხეილ თეოდორეს ძეს და რომლისაგანაც იქმნა მრავალი სასწაულებრივი

საშინელი უბედურება ეწიათ მაშინ კახელებს. ბედშავნი, გუნდ-გუნდად განდევნილ იქმნენ სპარსეთში და დასახლებულნი მაზანდარანს ქ. ფარსაბულის არე-მარეში, სადაც ნოტიო და ძალზე მავნებელი ჰაერი იყო და სადაც ათასობით დაიხოცნენ შიმშილისა და ავადმყოფობისაგან. ერთი ნაწილი მათი სიკვდილს გადარჩა და რამდენისამე წლის შემდეგ გამაჰმადიანდა გასაუმჯობესებლად თავის გაწვალებულ მდგომარეობისა. ამ გარდასახლებულთ რიცხვი ოთხმოცი ათასი იყო.

ასეთი იყო შაჰ-აბაზის მტარვალობა კახეთში მის ორმოც და ათს დღეს იქ ყოფნის დროს. რაც შეეხება ქართლს,— ლუარსაბის წასვლის შემდეგ, ამ ქვეყნის მართვა ჩააბარეს ხანებს: სელიმ ფეიქარს და ბესტაშს; იქიდამაც მრავალნი მკვიდრნი მოსწყვიტეს და დაასახლეს შირაზში, ისპაანის მახლობლად, ხოლო არაქელის ჩვენებით, ასუფაში. ისინიც განუდგნენ ქრისტეანობას.

შაჰის ყოფნის დროს ტფილისში, იმის შეგონებით, ვიღაც თავზედ ხელ-აღებულმა ქართველმა იკისრა მეფე თეიმურაზის მოკვლა და ამ განზრახვით იმერეთში წავიდა. ორჯერ შეიპარა მეფის საწოლს ოთახში, მაგრამ ვერ მოახერხა თავის ბოროტის განზრახვის შესრულება, რადგან პირად ვერ იცნობდა თეიმურაზს. მის გაქცევის დროს კიბეზე ხმაურობა ასტყდა და ბოროტ-გამზრახველი შეიპყრეს.

შაჰ-აბაზმა გრემისა და ალავერდის ეკკლესიაში დააწესა ვედრება მაჰმადისადმი და დაიფლო თეიმურაზის ყოველი განძი, თორლას ციხეში დაცული, ხოლო ალავერდის უდაბ-

---

კურნება მოსკოვში. ქრონიკები, თ. ჟორდანიასი, გვ. 15. შენ. ქრონიკების ავტორი ამტკიცებს, რომ შაჰ-აბაზს საქართველოდგან კვართი-კი არ გაუტანია, არამედ სამოსელი უფლისა, რომლის ნაჭერი ჯვარში ჩატანებული იყოვო და რუსთ ხელმწიფეს მიხეილს მიართვა 1618 წ. ის დასძენს, რომ მოსკოვში დაცული კვართი იერუსალიმით არის გატანილიო, ქრ., ნაწ. II., გვ. 449.

ნო გარდააკეთა მეტად შესამჩნევ ციხე-სიმაგრედ. შემდეგ საჯაროდ დაჰნიშნა თავის მოადგილედ ისა-ხანი, გიორგის შვილი და თეიმურაზის ბიძაშვილი. კახეთიდან წასვლისას სპარსებმა თან წაასხეს კიდევ რამდენიმე ათასი ტყვე. ისა-ხანი მშვიდობიანად განაგებდა კახეთს; რაკი მაჰმადიანი იყო, კახელებს არ უყვარდათ და ამიტომ აიძულეს არდებილს წასულიყო, ხოლო ქვეყნის მართვა მიენდო ნოდარ ჯორჯაძესა და დაუდ ასლანის შვილს. ყოველივე ეს ამბავი მოჰხდა 1615 წლამდე.

სამის თვის შემდეგ შაჰ-აბაზის წასვლის უკან, კახეთის გამგეებმა მიიწვიეს თეიმურაზი და სურდათ იმის გამეფება. თეიმურაზმა ქართლზე გადმოიარა. მას ახლდნენ იმერლები, მეგრელები და გურულები. შაჰ-აბაზმა სწრაფად გაჰგზავნა იქ ალი-ყული ხანი 15 ათასის ჯარით და უბრძანა გზები შეეკრა თეიმურაზისათვის არაგვის და მტკვრის ნაპირებად. ამ ბრძანების გამო ალი-ყული ხანი უდარაჯებდა კახეთში ყოველ ფონს და გარდასავალს. მეფემ ვერაგობა იხმარა, ცრუ ხმები დაჰყარა თავის განზრახვის შესახებ და ზავის ჩამოგდებაზედ დაუწყო მოლაპარაკება; თან მორჩილებას უცხადებდა სპარსებს; ყოველ ამით სპარსნი მოსტყუვდნენ ბ ენდვნენ თეიმურაზს; ხოლო როდესაც სპარსებმა მტრის მოსაგერებლად მიღებული ღონისძიება შეასუსტეს, ქართველები მოულოდნელად დაეცნენ თავს და დაამარცხეს. მთელი ბანაკი აუარებელის სიმდიდრით დარჩათ ქართველებს. შემდეგ თეიმურაზმა დაიფლო ალონი, ზაგემი და მოჰკლა არეშის სპარსთა სარდალი; მაგრამ რაკი ეშინოდა შაჰის მალე შემოსევისა, უკუ იქცა ისევ იმერეთს ქართლის მეფის ბაგრატის საიდუმლო დახმარებით. ასე გათავდა თეიმურაზის ექვსის თვის ლაშქრობა კახეთის ტახტის დაბრუნებისათვის.

თითონ შაჰ-აბაზი მოტრიალდა საქართველოში 1616 წ. გაზაფხულზე. ისკანდერ მუნჯი მოგვითხრობს, რომ კახელები თავის ჩვეულებისამებრ შეიხიზნენ სილნაღებში (სანგლებში).

ასე უწოდებდნენ ტყეში ჩახერგილ თავ-შესაფარ ადგილებს, რომელიც წყლით სავსე თხრილებით გარშემოყოლებული იყო და შიგ პატარა ტივით ან ბორნით გადიოდნენ. ვიდაც უზბაშმა ჰუსეინ-ხანმა გამოჰნახა ერთი ამ სიღნაღთაგანი, ტივით გავიდა გაუფრთხილებლად და, რადგან არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, სპარსნი გაიფანტნენ ტყეში პატარა რაზმებად დახიზნულების საპოვნელად, მაგრამ ქართველებმა ძალა შემოიკრიბეს, შეერთდნენ, თავს დაესხნენ სპარსელებს და ხმლით ამოსწყვიტეს ყველა, ვისაც კი შეხვდნენ. ამ გაუფრთხილებლობისა და თავხედობისათვის შაჰმა სიკვდილით დასაჯა ჰუსეინი. შემდეგში ზემო ხსენებულმა ყარჩხა-ხანმა მოახერხა სიღნაღს დახიზნულთ ერთმანეთის დაშორება და განცალკევება და ნაწილ-ნაწილად მათი დამარცხება; ვინც კი გადარჩა, გაიქცა. მაშინ მთელი კახეთი გაძარცვეს და დაარბიეს. გამძვინვარებული ჯარი თარეშობდა და სრულიად აოხრეს ქვეყანა. შაჰი აქეზებდა ლეკებს, რომ დასდევნებოდნენ გაქცეულ კახელებს, დაეჭირათ ისინი და ტყვეთ დაეყიდათ. ქვეყნის გამგედ მან დასტოვა ფეიქარ-ხანი. ისა-ხანის ვექილმა, ზემო ხსენებულმა დაუდ-ხანმა, თეიმურაზის მომხრემ, თავი შეაფარა ერთ მცხოვრებთაგან მიტოვებულ სოფელში. იმის წინააღმდეგ გაჰგზავნეს სპარსების რაზმი ისა-ხან ყორჩი-ბაშის წინამძღოლობით, რომელმაც ზამთარი დაჰყო პანკისის მაზრაში, სადაც იმალებოდა ფეიქარ-ხანი, ხოლო ქართველები იძულებულნი შეიქმნენ გადასულიყვნენ დაღესტნისაკენ. მათ შორის მომხდარ ბრძოლაში თუმცა მრავალი დაიხოცა წარჩინებული სპარსი, მაინც ქართველებსაც დიდი ზარალი მიეცათ. ამ გალაშქრების შემდეგ მთელი ჩრდილო კახეთი უწინდელზე უფრო მეტად იქმნა აკლებული და მრავალნი მცხოვრებნი ელისენის მაზრისა, რომელიც ზაგემზეა მიკრული, გარდასახლდნენ მაზანდარანს, ფერუხ-აბადის მახლობლად.

1617 წ. გაზაფხულს შაჰ-აბაზმა აიღო ციხე ქერლან-ქუჯი

ანუ ხარნაბუჯი და კახეთის დანარჩენი ნაწილებიც დაიპყრა; შემდეგ ქართლი განვლო, შევიდა სომხეთის მაზრაში და ესტუმრა იქაურ ათაბაგს მირმანს. იქიდან წავიდა საზაფხულოიალაღებზე გოგჩის ტბის მახლობლად.

ამ დროს იმერეთში დიდი შიმშილი იყო. თეიმურაზმა შემწეობა სთხოვა ხონთქარს. ქართველთ მეფის ასეთი საქციელი აიხსნება მით, რომ იმერეთში მეორედ წასვლამდე თეიმურაზმა ომში მოჰკლა ისა-ხან, შაჰის მოადგილე კახეთში, და შეეწია დელი-მელიქს, რომელიც შაჰს აუჯანყდა და რომელმაც დაიპყრა შირვანის ქალაქები,—არეში და შამახია; ამას გარდა თეიმურაზმა თავი გააგდებინა 2,500 სპარსელს და იმათი თავები მიართვა ხონთქარს ახმეტ III. ოსმან II-მ სარჩოდ დაუნიშნა თეიმურაზს რამდენიმე სოფელი გურიის სამხრეთად [9]). იქიდამ მეფე წავიდა ახალ-ციხეს; დაჰყო რამდენიმე ხანი ოლთისში და მერე 1619 წ. ბრწყინვალე ამალით სტამბოლს წავიდა ოსმანის მიწვევით. ქართველები შევიდნენ სტამბოლს ცხენებით, რომლებიც ვერცხლით იყვნენ დარახტულები და თავზე მშვენიერი სინსილები ეხურათ. სულთანმა მიიღო თეიმურაზი დიდის პატივისცემით, მაგრამ მაშინ გაბმული იყო ომში გერმანელებთან და თეიმურაზს სპარსების წინააღმდეგ ჯარით ველარ შეეწია. როდესაც შაჰ-აბაზმა შეიტყო, რომ თეიმურაზი ხონთქარს მიემხროვო, მისი შვილები ისპაანს წაიყვანა და აქ უბრძანა იმათი დასაჭურისება 1620 წ. [10]) ალექსანდრე მალე მოკვდა, ლევანი ჭკუაზედ შეიშალა და გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში, წელში ოთხად მოხრილი, დასუსტებული და ყველასაგან პატივ-ახდილი.

თეიმურაზის ოსმალეთში ყოფხის დროს დედოფალი ხვა-

---

[9]) გონია.

[10]) არ ვიცით, ნამდვილია თუ არა ეს თარიღი, ვახუშტის მიერ ნაჩვენები, რადგან რუსის ელჩი ვასილ კოროობინი, რომელიც შაჰის სუფრაზე მიწვეული იყო 1622 წ. თებერვალში და სადილს უკან სადარბაზოდ მიღებულ იყო, არ იხსენიებს ამ წელს. შენ. ავტორისა.

ჩრეშანი ოლთისში სცხოვრობდა. შაჰ-აბაზმა იქ გაჰგზავნა ჯარი, თაბუნ-სულთანისა და ამირ-გუნა-ხანის წინამძღოლობით, რომელთაც თოვლიანი გზა გასჭრეს და მიადგნენ ციხეს ახალ გაზაფხულზე. თეიმურაზმა დაჰყო რამდენიმე ხანი სტამბოლში, მაგრამ, როცა ყოველი იმედი ოსმალების მიერ დახმარებისა დაჰკარგა, დაანება თავი იქაურობას, დაათათბირა ყველანი, სანადიროდ მივდივარო, და ამ სახით დაბრუნდა აზიაში. ჯელალები [11]) — ოსმალოს დათხოვნილი ჯარი — თარეშობდნენ მაშინ აღმოსავლეთის ყველა გზებზე. ეს ჯელალები რამდენჯერმე დაესხნენ თავს თეიმურაზს, მაგრამ ყოველთვის დიდის დამარცხებით უკუ-ქცეულ იქმნენ. როგორც იყო, მეფემ მოაღწია ოლთისს შემდეგ იმისა, როცა ნოდარმა და კახელებმა, ამ ციხის დამცველებმა, დაამარცხეს ამირ-გუნა-ხანი, რომელიც იერიშით მივიდა მის ასაღებად. თაბუნ-სულთანი ომის ველზე მოიკლა; ქართველებმა დიდს მანძილზედ სდიეს გაქცეულ სპარსებს და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ დედოფალთან. თეიმურაზი სცხოვრობდა გონიას, მდ. ჩოლოხის ნაპირად და აქედამ აპირებდა რუსეთში ზღვით წასვლას, მაგრამ ეს მისი წადილი მაშინ ვეღარ შესრულდა.

ფეიქარ ხანმა, შაჰის მოადგილემ კახეთში, ააგო ციხე-სიმაგრეები სხვა და სხვა ადგილას, სახელდობრ, ხორნაბუჯში და დაასახლა განადგურებულ სოფლებში და მინდვრებზე მრავალნი ელნი მოშთაბარე თათრებისა [12]). როცა შეიტყო თეიმურაზის ქართლში დაბრუნება, გაიქცა განჯას და ეს ამბავი შაჰს შეატყობინა. შაჰმა სწრაფად გამოჰგზავნა ყორჩხა-ხანი და უბრძანა კახელების გაწყვეტა. ყორჩხა-ხანმა მიიწვია [13]) საფურცლეს უმთავრესნი დიდებულნი. როგორც კი გა-

---

[11]) ჯალადნი, ვახუშტით.

[12]) მუღანლოელნი.

[13]) „რეცა ხალათის მიცემად, ვახუშტით, — ვითამც ყაენის წყალობის გამოსაცხადებლად და მისგან გამოგზავნილ ხალათის მისაღებად.

მოცხადნენ მასთან სადარბაზოდ, ყველას თავები გააგდებინეს. ამას არ დასჯერდა ყორჩხა-ხანი. მან შეჰკრიბა კახელების დიდ-ძალი ჯარი აღლანის ველზე, მუხრანის არე-ამარეში, ვითომც დასახედავად და გასასინჯავად, თუ მზად არის ჯარი იმერეთს გასალაშქრებლადაო. ყორჩხა-ხანმა იარაღი დააყრევინა მათ ბ შემდეგ უბრძანა ყველა აეკუწნათ. ამ სასტიკობის ჩადენის შემდეგ შაჰმა გასცა ბრძანება, ქართლელებიც აგრედვე გა-ეწყვიტათ. მაშინ ქართლელები შეითქვნენ, შეუბრალებლად მოჰკლეს ყორჩხა-ხანი, იუსუბ-ხანი და იმისი შვილი და ამ-ხანაგები და ხანის მხლებელნი ყველა სპარსელნი. 1623 წ. მოურავმა და ზურაბ არაგვის ერისთავმა მოიწვიეს თეიმუ-რაზი კახეთის ბატონად. ამის შემდეგ თეიმურაზი მეფობდა რამდენსამე წელს კახეთსა და ქართლში; თუმცა იმავე დროს სვიმონ II-ც მეფობდა ქართლში, მაგრამ იმას პატივს არა-ვინ არა სცემდა. სვიმონ II-მ ტფილისის დაჭერაც ვერ მოა-ხერხა და დახეტიალობდა ჩრდილოეთ სომხეთში [14]). ახლა-კი თეიმურაზი მოურავისა და ზურაბის თანხმობით განაგებდა საქმეებს. დიდებულებს სურდათ, რომ ზურაბს შეერთო ზე-მოხსენებული ლელა, ლუარსაბ მეფის უმცროსი და, მაგრამ ვერ მოახერხეს, ეს ბატონის ასული წაერთმიათ ფეიქარ-ხანი-სათვის; მაშინ სთხოვეს თეიმურაზს, მიეთხოვებინა თავისი ასული დარეჯანი ზურაბისათვის, რაზედაც მეფე დასთანხმდა. შემდეგ დამარცხებისა მარაბდის ომში [15]), თეიმურაზი განი-ვლტო რამდენისამე ხნით იმერეთს, მაგრამ შემდეგ ისა-ხან-ყორჩიბაშის წასვლისა, მალე დაბრუნდა იქიდან. შაჰი განრი-სხდა თეიმურაზზე და უბრძანა შირაზის ბეგლარ-ბეგს, იმამ-ყული-ხანს, დედოფლის ქეთევანის გამაჰმადიანება და, თუ დედოფალი თავის ნებით არ დასთანხმდებოდა, მაშინ უნდა მოეკლათ გვემითა და წამებით. შაჰის ბრძანება კიდეც აას-

---

[14]) სიმონი იყო შვილი ბაგრატისა, ესრედ წოდებულის საბარათია-ნოს ბატონისა.

[15]) მარაბდა მდებარეობს ბორჩალოში მდ. ალგეთის ნაპირას.

რულეს 12 სექტემბერს 1624 წ. 10 წლის განმავლობაში ციხეში შეპყრობილმა დედოფალმა საშინელის წვალების შემდეგ თავისი სიცოცხლე შესწირა ქრისტეს სჯულის სიყვარულს. ქართველებმა შერიცხეს იგი წმინდათა შორის და იმის სახელს იხსენიებენ 13 სექტემბერს. რომის კათოლიკე ბერები დაესწრნენ ამ შემთხვევას შირაზში და დედოფლის ნეშტს წესისამებრ პატივი სცეს; გამოისყიდეს ეს ნეშტი დიდძალის ფულით და მეტი ნაწილი მისი წაასვენეს კახეთში, სადაც დაკრძალეს ალავერდის საკათედრო ეკლესიაში. 1656 წ. თეიმურაზმა მიართვა იმის ფეხის ცერი მეფე ალექსი მიხეილის ძეს. ამბობენ, რომ დანარჩენი წმინდა ნაწილები გაიტანეს ევროპაში და ახლა სადღაც ბელგიაში ასვენიაო.

შემდეგში მოურავი შეურიგდა ერისთავს [16]) და თეიმურაზს და მოიწადინა უფროსობა და უზენაესის უფლების ხელში ჩაგდება. ეს რომ შეუტყეს, წინააღუდგნენ თეიმურაზი და ზურაბი და მათ შორის გაიმართა ფიცხელი ომი ბაზალეთს 1626 წ., რომელშიაც მეფე დაიჭრა მოურავის ხელით ბეჭში; თუმცა გიორგი საკაძემ დაამარცხა მტერი [17]), მაგრამ იძულებულ იქმნა სამცხეს უკუქცეულიყო და ოსმალეთთან მიწერ-მოწერა გაემართა, როგორც ქართლის მატიანე მოგვითხრობს. მაშინ თეიმურაზი დროებით შეურიგდა შაჰს, დაუთ-ხანის შუამდგომლობით, რომელიც ფარსის ბეგლარ-ბეგი იყო, თუმცა ტფილისში სცხოვრობდა. თუმცა ამ შერიგებას გვიმოწმებს მხოლოდ ერთად ერთი მეისტორიე ისკანდერ-მუნჯი, მაგრამ ეს უნდა იგულისხმებოდეს ერთს ადგილას ქართლის ცხოვრებაშიც.

ქართველების და საზოგადოდ ყველა ქრისტიანების მტერი შაჰ-აბაზი გარდაიცვალა 1628 წ. ჩვენის აზრით, ინგლისის

---

[16]) ზურაბს, არაგვის ერისთავს.

[17]) აქ lapsis calami უნდა იყოს. ამ ბაზალეთის ომში დამარცხდა გიორგი საკაძე, ვახუშტი, გვ 120. Hist. de la Georgie, t. II.

ისტორიკოსი მალკოლმი [18]) სრულიად უსამართლოდ აქებს შაჰ-აბაზის დიდ-სულოვნებას თეიმურაზის შესახებ; ისტორია ცხადად გვიხატავს იმის ბოროტებას, უსამართლო ბოქმედებას და შეუბრალებლობას. ამ ხანებში ზურაბ ერისთავი აეშალა თავის სიშამრ თეიმურაზს, რომელმაც დაჰყარა ხმა, ვითომც სპარსეთში მიდიოდეს შაჰთან მორჩილების გამოსაცხადებლად. შეშინებულმა ზურაბმა იმის საამოდ მოჰკლა სვიმონ მეფე. როდესაც თეიმურაზმა მეტოქე მოიცილა, განიზრახა გალაშქრება მთებში წუქეთის სულთანის წინააღმდეგ. ის სულტანი შაჰ-აბაზის მიერ კახეთის აკლების დროს ძალზე მტარვალობდა ამ ქვეყანაში. თეიმურაზმა გზაში ხელი მოიტეხა და გადასცა ჯარის წინამძღოლობა ზურაბს, რომელმაც დაიპყრა წუქეთი, სულტანი მოჰკლა და დიდი ნადავლი შეიძინა. ზურაბი რომ უკან დაბრუნდა, როგორც სწერს თავის წერილებში თეიმურაზი,—მან განიზრახა მეფის მოკვლა, არ ვიცით კი, რა მიზეზის გამო ატყდა მათ შორის ახალი შუღლი. თეიმურაზმა 1629 წ. მოაკვლევინა ზურაბი საფურცლეში და ამავე წელს თავისი ქალი მიათხოვა იმერეთის ბატონისშვილს ალექსანდრეს. შემდეგში შევიტყობთ, რით ისახელა თავი ზურაბის ქვრივმა და იმერეთის დედოფალმა.

თეიმურაზმა შეჰკრიბა ორთავე სახელმწიფოს ჯარი, მეორედ დაეცა ულუკოსარის მთიულებს—რომელნიც იკლებდნენ კახეთს,—დაიპყრა იმათი ქვეყანა და ცეცხლითა და მა-

---

[18]) მალკოლმი თავის სპარსეთის ისტორიაში სწერს, რომ ყველა უბედურების მიზეზი, რაც-კი საქართველოს ეწია, ერთის მხრით იყო სპარსეთის მფლობელობის სასტიკი პოლიტიკა და მეორეს მხრით არა წრფელი ერთგულება საქართველოს მეფეთა, რომელნიც ნიადაგ თავის მიცემულ სიტყვას არღვევდნენო. ავტორი დასძენს, რომ სპარსთა და სხვა დამპყრობელთ უღელმა შეაჩვია ქართველები ცბიერებას, როგორც თვით-არსებობის დაცვის ღონის-ძიებას და სიცრუეს,—როგორც თავის პირადის ღირსების დაცვის ხერხსაო.

ხვილით მოაოხრა. შემდეგ მტკვარ გაღმა გავიდა და შემოიერთა იქაური[19]) ბეგლარ-ბეგი დაუდი, დაიპყრა ბარდა, ყარაბალი, შამშადილი და ყაზახი და დაბრუნდა დიდის ნადავლით. ცოტა ხანს შემდეგ თეიმურაზმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ ზემოხსენებული დავით უნდილაძე, განჯის ბეგლარ-ბეგი, რომლის ოჯახი სულ უბრალო მიზეზის გამო ამოწყვეტილ იქმნა შაჰის ბრძანებით. ეს უნდილაძე მან დაასახლა ივრის პირად, იქ, საცა მუღანლოელნი თათარნი და ყაჯრის ტომნი მკვიდრობდნენ. ეს რომ შაჰმა შეიტყო, ქართლის მეფობა მისცა სვიმონ მეფის ძმის, დაუდ-ხანის, უკანონო შვილს ხოსროს, რომელიც მაჰმადიანობაში იწოდებოდა როსტომ მირზად. ნამდვილად ვიცით, რომ როსტომი გამოგზავნილი იყო საქართველოში 1632 წ. მოსვლის უმალვე მეორედ დაქორწინდა დადიანის დაზედ მარიამზედ. ლევან დადიანმა ამის შემდეგ შაჰისაგან დიდი საჩუქარი მიიღო.

ქართველები გადუდგნენ თეიმურაზს და მეფე გაიქცა 1634 წ. ამასობაში სელიმ-ხანმა დაიჭირა კახეთი. ორის წლის შემდეგ თეიმურაზი, არაგვის ერისთავის ზაალის მიერ მოწოდებული, დაბრუნდა დვალეთით ანანურს და იქ სცხოვრობდა რამდენსამე ხანს. მუდამ ებრძოდა როსტომს და ელოდებოდა ხელ-შემწყობ შემთხვევას. სელიმ-ხანმა, რომელიც მოსაბრუნში[20]) იმყოფებოდა, ველარ დაიცვა თავი თეიმურაზის განუწყვეტელ თავ-დასხმისაგან და წავიდა სპარსეთს. კახელები ხელ-ახლავ დაემორჩილნენ მეფეს, რომელიც შეუერიგდა შაჰს და სცდილობდა თავის ქვეყნის ხანგრძლივ უბედობის კვალი ამოეფხვრა, რადგან ამ დროს იღებდა რუსეთიდან დახმარებას თუ ფულით თუ სხვანაირადაც. ჩვენს მკი-

---

[19]) განჯისა.

[20]) მოსაბრუნი სძევს ყარაღაჩის ახლოს, ჭარის პირდაპირ, საინგილოს ბოლოში, ალაზნის მარჯვენა ნაპირად. 1720 წ. ეს დაბა, ვითარცა მოწამე სპარსების სასტიკის მფლობელობისა კახეთში, დაცალიერდა. პლ. იოსელიანი. Грузія подъ властью царей-магометанъ, стр. 104.

თხველს უნდა ვუამბოთ რამდენისამე წლის წინად მომხდარი ამბები.

1615 წლიდან თეიმურაზს მუდამ მიწერ-მოწერა ჰქონდა ტერკის მმართველებთან. მაგრამ პირველად იმერეთში ყოფნის დროს მან გაჰგზავნა სტამბოლს მთავარ-ეპისკოპოსი ფეოდოსი მოსალაპარაკებლად ხონთქრის მთავრობასთან, რომელიც დაეხმარა მას ანატოლიაში ლაშქრის წინ წამოწევით. ეს ფეოდოსი ცოტა ამას წინად იყო რუსეთში რალაც თავის საქმეებისათვის. ახმეტ III-ს სიკვდილს შემდეგ იღუმენი ხარიტონი ორჯელ წავიდა ოსმალთა დედა ქალაქში და გამოითხოვა თავის ხელმწიფისათვის სარჩენად მომატება ზოგიერთ ადგილებისა ახალციხის ფაშალიყის სამხრეთად. იმავე ხარიტონმა 1619 წ. მიიტანა მოსკოვში წერილები იმერეთის მეფის გიორგი III და გურიის მთავრისა. ამ წერილებით მფარველობას თხოულობდნენ. ამნაირისავე თხოვნით მიჰმართა თეიმურაზმა, ხოლო ლევან დადიანმა არ ისურვა მფარველობის თხოვნა. რადგანაც თეიმურაზს სარჩო ხონთქრისაგან ჰქონდა, რასაკვირველია, რუსის ხელმწიფე მხურვალედ არ მოეკიდა ამ საქმეს. ხარიტონი 1621 წ. აპრილში გამობრუნდა და მიუტანა მოწყალე პასუხი იმერეთის მეფეს და გურიის მთავარს, ხოლო თეიმურაზს პასუხი არ მოსვლია. საწყალ იღუმენს შეეშინდა მეფის რისხვისა და გადიხვეწა საქართველოდან.

1624 წ. მარტში გოლგოთის არხიეპისკოპოსმა იერუსალიმში — თეოდოსიმ, რომელიც ტომით ქართველი იყო, განვლო ტრაპიზონი, კაფა [1]), ვარონეჟი და მივიდა მოსკოვს, ვითარცა ელჩი თეიმურაზისა, რომელიც, შემდეგ დაშარცხებისა მარაბდას, დროებით ახალციხის მაზრაში იმყოფებოდა. რუსთა მეფემ და პატრიარქმა თეოდოსი მოწყალედ მიიღეს, მაგრამ დროთა ვითარების გამო ვერ შეეწივნენ უბედურს მეფეს. თეოდოსიმ ველარ გაჰბედა მოსვლა თეიმუ-

---

[1]) ეხლანდელი ფეოდოსია.

რაზთან, რომელიც სიკვდილს ემუქრებოდა, თუ ვერას გაუ-
რიგებდა მოსკოვის მეფესთან თავის დესპანობით.

ცხრა წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც შესწყდა ამ
ქვეყნებ შორის მისვლა-მოსვლა. 1634 წელს თეიმურაზმა,
როსტომ-ხანისა და სპარსელების მიერ შევიწროებულმა, ისევ
რუსეთს მიჰმართა. მან გაჰგზავნა კუკოსონის მიტროპოლიტი
ნიკიფორე, რომელიც უფრო ბერძენი უნდა ყოფილიყო; ნი-
კიფორე მივიდა მოსკოვს 1636 წ. ოქტომბერში და თეიმურა-
ზის აქამომდე გაჩუმებას ამართლებდა მით, რომ არაგვის
ერისთავი, რომლის სამფლობელოზე მოდის გზა ჩრდილოე-
თისაკენაო, განუდგა კახეთს; რომ თეიმურაზმა უარი უთხრა
ყენენს თავის ქალის მითხოვებისა და თავის შვილის დავითის
დაქორწინებისა ზემოხენენეზულის იმამ-ყული ხანის ქალზე.
ნიკიფორემ დასძინა, რომ მეფე განუდგა სპარსებს და რამ-
დენჯერმე წარმატებით შეესია შირვანსა და ადერბეიჯანს,
მაგრამ შემდეგ მაინც იძულებული შეიქმნა მიეთხოვებინა თა-
ვისი ქალი თინათინი შაჰისათვისაო. შეისტორიე ისკანდერ-მუნ-
ჯი მიაწერს თეიმურაზის ასულის მითხოვებას შაჰ-სეფისადმი
იმის მეფობის დასაწყისს, ხოლო ქალის გაგზავნას 1634 წ.
ანუ 1635 წ. როგორც-კი დამკვიდრდა თეიმურაზი კახეთში,
მაშინვე იწყო მიწერ-მოწერა რუსეთთან. ნიკიფორე გამოის-
ტუმრეს მოსკოვიდამ მხოლოდ 1637 წ. მაისში და თან გა-
მოაყოლეს რუსის ელჩი თ. თეოდორე თეოდორეს-ძე ვოლ-
კონსკი. მას ახლდნენ სასულიერო კაცნი და მოჰქონდა დიდ-
ძალი ფული, როგორც მეფისათვის, აგრეთვე საქართველოს
ეკლესიებისათვის. როცა ვოლკონსკი ტერკში მივიდა, შეიტ-
ყო, რომ თეიმურაზი იმერეთში წასულიყო თავის სიძის,
მეფის ალექსანდრეს, შესარიგებლად ლევან დადიანთან. თეი-
მურაზი იქიდამ დაბრუნდა მხოლოდ 1638 წ. იანვარში. საქმე
ამით კიდევ არ გათავებულა. არაგვის ერისთავმა და მთიულებმა,
—რომლებსაც რუსთა დოკუმენტები ხავსად (ოვსნი?) და გოვად
უწოდებენ,—არ გაუშვეს რუსები. ელჩების კახეთში შემოსვ-

ლის გასაადვილებლად თეიმურაზმა განიზრახა გალაშქრება თუშებსა და დიდოელებზე, რომელთაც მდ. ანდიის კოისუს სათავე ეჭირათ. ისინი მედგრად დახვდნენ მეფეს და ბევრი დიდებული დაიხოცა მეფის სიახლოვეს. თვით მეფეს ერთს ბრძოლაში ცხენი მოუკლეს. დასასრულ, მეფემ გაიმარჯვა, გზა გაიხსნა და თ-დი ვოლკონსკი შემოვიდა კახეთში 1638 წ. აგვისტოს. სასულიერო კაცნი, რომელნიც ელჩს ახლდნენ, უკმაყოფილო დარჩნენ საქართველოს ეკლესიის წეს-წყობილებით ადვილი წარმოსადგენია, რა არევ-დარევა იქმნებოდა მართლა ამ მხრივ შემდეგ იმ უბედურებისა, რომელიც კახეთს თავს დაატყდა, შემდეგ იმდენის ხნის არეულობისა, ნამეტურ უმეფობის დროს და სპარსების ხანების გამგებლობის ჟამს. რუსები საზოგადოდ გაკვირვებულნი იყვნენ მით, რომ ქართველები წირვას ისმენდნენ ქუდ-მოუხდელნი და მთლად შეიარაღებულნი და ჯვრები არც ეკლესიის სამკაულს და არც სამოსელს არ ჰქონდა, როგორც დაწესებულია; რუსებმა ვერ გაიცნეს კათალიკოზი ევდემონ დიასამიძე, რომელიც ქართლში სცხოვრობდა. იმათ აღკრძალული ჰქონდათ, როგორც იმისი ნახვა, აგრედვე იმასთან მიწერ-მოწერა. ამასთანავე ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ დროს გარდაიცვალა ქართლის არხიეპისკოპოსი იოანე, რომლის სახელობაზე პატრიარქმა გამოჰგზავნა ეპისტოლეები. ამ სახით, რუსებმა ვერ მოახერხეს მსჯელობა გაემართათ ვისმესთან საჭირო საეკლესიო ცვლილების შესახებ.

მეფის გიორგი III სიკვდილის წელს ზამთარში თეიმურაზმა გაისტუმრა იმერეთში თავისი სიძე ალექსანდრე, რომელიც სამეფო გვირგვინით აკურთხა ალავერდის არხიეპისკოპოსმა ზებედემ და სამებელმა ეპისკოპოზმა ზებედემვე.

შემდეგ თეიმურაზს უნდა მიეღო ფიცით აღთქმა. მეფე დიდხანს ყოყმობდა; თხოულობდა, რომ რუსის მეფეს აეშენებინა მაგარი ციხე თერგის ხეობაში დასაცველად ამის სამფლობელოსი ლეკების თავ-დასხმისაგან და უარს ამბობდა

ზოგიერთ წმინდა ნივთების გადაცემისას, რომელთაც ითხოვდა რუსთა მეფე. მიზეზად ის მოჰყავდა, რომ ავგაროზის ხელთ-უქმნელი ხატი შაჰ-აბაზმა უკვე წაიღოვო და ყოვლად წმინდა ღვთის მშობლის სარტყელი ასვენიაო ქ. რუსთავში, რომელიც ეხლა ქართლის მეფეს როსტომ-ხანს უჭირავსო; ბოლოს 1639 წ. 19 აპრილს რუსის სასულიერო კაცებს ნება მისცეს ერთი ეკლესია ეკურთხებინათ ქ. ზაგემში ანუ ბაზარ-ზეგანში; 23 და 24 იმავე თვეს მეფემ თავის ოჯახით და კარის დიდებულის კაცებით შეჰფიცეს ერთ-გულება მეფე მიხეილ თეოდორეს-ძეს და ხელიც მოაწერეს ფიცის ფურცელს.

თ. ვოლკონსკი მეორე დღესვე გაისტუმრეს. ის მივიდა შაჰის ნება-რთვით 2 მაისს შემახიაში, 12 ივნისს — დარუბანდში და 16 ივლისს ზღვით — ასტრახანში. მას თან ახლდა მიტროპოლიტი ნიკიფორე. საქართველოში-კი რუსთაგანნი დარჩნენ ხატის მკეთებელნი და ფანჯრების ჩამსხმელნი, რომელნიც ელჩს ახლდნენ. ჯერ კარგად არ არის გამორკვეული, ნიკიფორეს მეორეთ ელჩად მისვლა მოსკოვში; ვიცით მხოლოდ, რომ ნიკიფორე მთელი წელიწადი ასტრახანში იყო შეჩერებული, შემდეგ რუსთა ხელმწიფემ სადარბაზოდ მიიღო. როდესაც დაბრუნდა საქართველოში, 1641 წ. ივნისში, თან გამოაყოლეს რუსის ელჩი თ. ექვთიმე თეოდორეს-ძე მიშეცკი, რომელსაც მიჰქონდა თეიმურაზისათვის მდიდარი საჩუქრები ნივთებით და ფულით. დიდად საყურადღებოა მეფის ღრამატა, რომელიც მიშეცკიმ თეიმურაზს გადასცა. ღრამატაში მოკლედ მოხსენებულია ყოველი მიწერ-მოწერა და ურთიერთობა რუსეთის ხელმწიფეებისა არა თუ მარტო კახეთის მეფეებთან, არამედ ივერიის ყველა მფლობელებთან გარდა ახალციხის ათაბეგისა.

1636 წ. ახლო ხანებში კათალიკოზმა ევდემონ დიასამიძემ, რომლის ძმისწული ცოლად ჰყავდა დავითს, თეიმურაზის შვილს, ქართლში გასამეფებლად თეიმურაზი მიიწვია.

მეფე მივიდა მუხრანს და შემოიერთა არაგვის ერისთავი ზაალი; მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ როსტომმა დაიჭირა ქალაქი გორი და დაამარცხა ყველა თავისი მტერიო, უკუ იქცა კახეთს და რამდენისამე წლის განმავლობაში დამშვიდებით იყო. კათალიკოზი ღალატისათვის სიკვდილით დასჯილ იქმნა. მისმა მოადგილემ, ქრისტეფორე ურდუბელაშვილმა, 1539 წ. შეარიგა მებრძოლნი დასნი სხვა და სხვა პირობით, რომელიც, ერთის მეისტორიეს თქმით, თეიმურაზმა აღარ შეასრულა ბ დაისაკუთრა ის სოფელნი, რომელნიც პირობის ძალით ერისთავს და როსტომ-ხანს დაუთმო. როსტომი ამ უპირულობისათვის ეძიებდა დროს, რომ თეიმურაზის ჯავრი ამოეყარა. 1677 წ. როსტომმა შეიტყო, რომ თეიმურაზი მცირე ჯარით იმყოფებოდა მაღაროს, ქიზიყის მაზრაში, მაშინვე ანაზდად დაეცა თავს, მაგრამ დამარცხდა. მიუხედავად ამისა ქართლელმა არ უღალატეს როსტომს. ზაალ ერისთავიც განუდგა თეიმურაზს, იმიტომ რომ როსტომმა დასაჯა საეჭვო მოქმედებისათვის და არაგვის ერისთავობა გადასცა იმის ნათესავს ელიზბარს. მაგრამ ზაალის მამიდამ ანნა ციციშვილმა როსტომს გამოსთხოვა იმის პატივება, ხოლო ზაალს ჩააგონა როსტომს დაჰმორჩილებოდა. ზაალი გაგზავნილ იქმნა სპარსეთს, სადაც გამაჰმადიანდა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, თეიმურაზსა და იმის შუა მოიისპო კეთილი მეგობრობა. თეიმურაზმა წაართვა ზაალს თიანეთის მაზრა და ყველა მამულები, რომელიც-კი კახეთში მოეპოვებოდა. სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ როსტომი დიდის ჯარით შევიდა კახეთში. თეიმურაზმა, რომელიც მაშინ თიანეთში იყო, შეჰკრიბა თავისი ჯარი. იმის წინააღმდეგ გაგზავნილ იყო მუხრან-ბატონი ვახტანგი, რომელსაც ზაალ ერისთავიც ახლდა; ხოლო სპარსნი მაღაროში შევიდნენ, სადაც იმყოფებოდა მეფის ძე დავითი. ერთსა და იმავე დღეს თეიმურაზი დამარცხდა დ. უფლისში, რომელიც თიანეთის მაზრაშია, ხოლო შვილი მისი დავითი სპარსებმა მოჰკლეს 1648 წ.—მაღა-

როში. ამ ორ გვარ უბედურების შემდეგ თეიმურაზმა სამუდამოდ მიატოვა როსტომთან ბრძოლა და, დედოფლის ხვარეშანის შუამდგომლობით, რომელიც დაახლოვებული ნათესავი იყო როსტომ-ხანისა, გამოსთხოვა ქართლის მეფეს, იმერეთში წასვლისათვის თავისუფალი გზა მიეცა. როსტომმა კახეთი დაიჭირა და ზაალ ერისთავს გაუნაწილა ერწოს მაზრა. კახელები სულით დაუცნენ და ზოგი ვის მიეკედლა და ზოგი ვის; იმერეთში თეიმურაზმა შუამდგომლობა ჩამოაგდო მეფე ალექსანდრესა და იმის მოწინააღმდეგე დადიანს შუა. ამ შუამდგომლობით მან ვერა გაარიგარა, როგორც შემდეგში ვნახავთ. ამასთან 1650 წ. ახლო ხანებში გარდაიცვალა უმცროსი მისი შვილის-შვილი გიორგი, რომელიც იშვილა იმერეთის მეფემ ალექსანდრემ.

წინად მოვიხსენეთ რუსის ელჩის თავად მიშეცკის მოსვლა კახეთში. ის დაბრუნდა მოსკოვს 1643 წ. ექვსის წლის შემდეგ თეიმურაზმა გაჰგზავნა რუსეთში თავადი ივანე და არქიმანდრიტი პახომი. 1650 წ. ნიკიფორე მათეს-ძე ტოლოჩანოვი მივიდა იმერეთს რუსთა მეფის მინდობილებით ალექსანდრე და თეიმურაზ მეფეებთან. მან დიდის გაჭირვებით განვლო გზა ასტრახანსა, ტერკსა, ორსავე ყაბარდოსა ბალქარის მხარეზე და რაჭის გზით მიაღწია საქართველოს; მიღებულ იქმნა ქუთაისში 1551 წ. ივლისს. იმავე წელს ანუ მომავალ წლის დამდეგს თეიმურაზმა რუსეთში გაჰგზავნა აღსაზდელად ბატონიშვილი ნიკოლოზი, თავისი მეორე შვილი-შვილი. ახალგაზრდა ბატონიშვილის ამალას ყაბარდოში შამხალის შეგონებით თავს დაესხნენ, მაგრამ მან მოასწრო მშვიდობით გადარჩენა და ყიზლარს მისვლა, საიდამაც მოსკოვს მიაღწია. ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც მაშინ 1655 წ. მოსკოვში იყო,—იხსენიებს ბატონიშვილს ნიკოლოზს და იმის დედას ელენეს, რომელიც მას ენახა. თითონ თეიმურაზი, მეფე ალექსი მიხეილის-ძის მიწვეული, მივიდა მასთან 1658 წ. ზაფხულს. იმავე დროს თუშებმა,

ფშავებმა და ხევსურებმა,—რომელნიც მთიან კახეთის ჩრდილოეთ სამზღვრად სცხოვრობდნენ,—როგორც ვასსალებმა ფიცი მიიღეს რუსეთის მორჩილებისა. ალექსი მიხეილის ძემ დიდად მოწყალედ მიიღო თეიმურაზი, ერთის წლის შემდეგ გაისტუმრა დიდის პატივისცემით და საჩუქრებით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ თეიმურაზმა შეიტყო დედოფლის ხვარეშანის გარდაცვალება. მალე მოუკვდა უფროსი შვილის შვილი ლუარსაბიც და აგრედვე სიძე ალექსანდრე. ამ უბედურებისაგან თავ-მობეზრებული თეიმურაზი შაჰს მიენდო. ამ დროს კახეთის მმართველმა სალიმ-ხანმა და ზაალ ერისთავმა მოუწოდეს და დაასახლეს მთელს ამ მხარეში 15 ათასი კომლი მომთაბარე თათრებისა, რომელთაც ააგეს სამი ციხე და მუდამ ეკლესიებს ჰბილწავდნენ და შეურაცხ-ყოფას აყენებდნენ ხალხს; ამის შემდეგ ზაალ ერისთავი და დიდებულები შეითქვნენ და დანიშნულ დღეს ამოსწყვიტეს თათრები, ხოლო სალიმ-ხანი აიძულეს უკუ ქცეულიყო 1659 წ. ამ შეთქმულების მოთავენი—შალვა და ელიზბარი,—რომელნიც ქსნის ერისთავის გვარისანი იყვნენ,—შეიპყრა მურტუზ-ალი-ხანმა, სალიმის მოადგილემ, და გაჰგზავნა სპარსეთს, სადაც მათ თავი მოჰკვეთეს. საქართველოს ეკკლესია იხსენიებს მათ სახსოვარს 15 სექტემბერს. ამ სახითვე ზაალიც სპარსების შეგონებით მოკლულ იქმნა თავის ძმისწულის მიერ.

ქართლის მეფემ შაჰ-ნავაზ I-მა დიდის პატივით მიიღო სპარსეთში მიმავალი თეიმურაზი ტფილისში 1611 წ., თანხმად ყეენის ბრძანებისა; შაჰ-ნავაზმა სამგზავრო ხარჯიც მისცა და თეიმურაზი წავიდა ისპაანს. პირველ მიღებაზე შაჰ-აბაზ II-მ დიდი პატივი სცა თეიმურაზს და საჩუქრებით აავსო. შემდეგ კი მაჰმადიანობის მიუღებლობისათვის შაჰმა გაჰგზავნა ამრაფში, მაზანდარანს; იქიდამ, შემდეგ სჯულის გამოცვლაზედ მეორედ უარ-ყოფისა, ყეენმა ბრძანა ასტრაბადში გადაეყვანათ. შემდეგს წელს დაბრუნდა რუსეთიდამ თვის პა-

პის დაბარებით და შაჰის მიწვევით ბატონიშვილი ნიკოლოზი,—რომელმაც სახელი გამოიცვალა და ერეკლე დაირქვა; არ ვიცით რა მიზეზისა გამო, ერეკლე დაესახლა დედით თუშეთს. თუშებმა არ გაუშვეს ერეკლე სპარსეთს; მაშინ შაჰ-ნავაზი შევიდა კახეთში, დაამარცხა ერეკლე და აიძულა შესულიყო თორლას ციხეში, საიდამაც ჩუმად გამოიპარა დედითურთ და რამდენსამე ხანს თუშეთის მთებში სცხოვრობდა.

მეფე თეიმურაზი ღრმა მოხუცებაში, 74 წლისა, გარდაიცვალა ასტრაბადს 1663 წელს ზამთარში. სიკვდილის წინად—მან მონაზონობა მიიღო. თეიმურაზი იყო სასიქადულო კაცი და ძლიერის სულის პატრონი, ნამდვილი ღვთის-მოსავი და ნიადაგ თავის ბედის წინააღმდეგ მებრძოლი. ის იყო აგრედვე წარჩინებული პოეტი. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ თეიმურაზი ღირსი იყო უმჯობესის სვე-ბედისა. თეიმურაზის შემდეგ კახეთი დარჩა უკანონო მფლობელის ხელში. შაჰის ნება-დართვით ქართლის მეფემ გაუქმებულ ტახტზე დასვა უფროსი თავისი შვილი არჩილი, რომელიც მაშინ 15 წლისა იყო. ერეკლემ მოსვენება არ მისცა არჩილს და კახეთს ორჯელ თავს დაესხა, მაგრამ ორჯელვე დამარცხდა. შემდეგ ამისა ის მეორედ წავიდა რუსეთში. შაჰმა დაიბარა იგი თავისთან და, როდესაც ერეკლე გამოეცხადა შაჰსა, მან მოწყალედ მიიღო და აღვიარა იგი მეფედ. მაშინ არჩილიც წავიდა სპარსეთს და ძალა-უნებურად გამაჰმადიანდა შაჰ-ნაზარ-ხანის სახელწოდებით. ის იყო გონიერი კაცი, რაინდულის ხასიათის პატრონი და მამის დახმარებით ბედნიერად მეფობდა; სხვათა შორის მან ლეკებიც დატუქსა. არჩილს დიდის ხნის დანიშნული ჰყავდა ნოდარ ციციშვილის ქალი, მაგრამ რაღაც აქამომდე გამოურკვეველის მიზეზისა გამო აღარ შეურთავს. შაჰ-ნავაზს გაეგონა მშვენიერება ახალ-გაზდა ქეთევანისა,—რომელიც განსვენებულის თეიმურაზის შვილის-შვილი იყო და რომელიც მაშინ საწინდრად ახალ-ციხის ფაშას წაეყვანა იმის მამიდის, იმერეთის დედოფლის

დარეჯანის ვალში,—მან დიდი ფული გამოიღო მის გამოსასყიდლად და შერთო თავის შვილს არჩილს 28 მარტს 1668 წ., კახელების დიდად სასიხარულოდ. არჩილის ბრძნულის მართვის დროს კახეთი აღორძინდა და აოხრების და გავერანების კვალი თანდათან გაჰქრა; ყოველივე უქადდა არჩილს ბედნიერს მეფობასა.

1671 წ. ერეკლე დაბრუნდა რუსეთიდამ, არ ვიცით, თავის საკუთარის სურვილით, თუ შაჰის დაბარებით, რომელსაც არ ეჭაშნიკებოდა თავის ვასალის შაჰ-ნავაზის გაძლიერება. ერეკლემ დაჰყო ასტრახანში რამდენიმე ხანი და შემდეგ თუშეთს გადავიდა. ერეკლე ყოყმანში იყო და არ იცოდა გარკვევით, რა გზას დასდგომოდა. შაჰნავაზს მოუვიდა შაჰის ბრძანება, რომ შეიპყროს ერეკლე. დედა მისი ხუთის წლის შემდეგ, ე. ი. 1675 წ. დაბრუნდა კახეთში. ერეკლე რომ გზად მიდიოდა, არჩილმა ძლიერ მეგობრულად მიიღო და აახლა ამალა ისპაანს გასაცილებლად.

შაჰ-სულეიმანმა, შაჰ-აბაზის მემკვიდრემ, დიდის პატივისცემით მიიღო ერეკლე და დედა მისი და გულის მოსაგებად რუსეთის მეფისა, რომლის ელჩი დოლგოვი ამ ბატონიშვილისათვის შუამდგომლობდა, აღიარა იგი კახეთის მეფედ, ხოლო მის მოადგილედ დაჰნიშნა კახაბერი გორჯასპი. ამით კახელები უკმაყოფილოდ დარჩნენ, მოისყიდეს სპარსელი დიდებულები, შეითქვნენ გორჯასპის წინააღმდეგ და აიძულეს წასულიყო კახეთიდამ. შაჰმა დაჰნიშნა მის ადგილას აბაზყული, განჯის ხანი, და ამასობაში ყოველ ღონისძიებას ხმარობდა ერეკლე გაემაჰმადიანებინა, რისთვისაც კახეთის მეფობას ჰპირდებოდა.

მეორე მხრით თავი მოაბეზრეს მაჰმადიანებმა არჩილს, რომლის მეგობარნი აქეზებდნენ ხელ-ახლავ დაეპყრა იმერეთის სამეფო. მამის დაუკითხავად არჩილი ანაზდად თიანეთს წავიდა და იქიდამ—ახალციხეს 1675 წ. დამდეგს. მიზეზი იმის და შაჰ-ნავაზის აშლილობისა ის იყო, რომ არაგვის ერისთა-

ვები ჰფლობდნენ კახეთში ერთობ დიდს მამულებს, რის გამოც დიდი გავლენაც ჰქონდათ და, როდესაც არჩილმა განიზრახა იმათ მამულების ჩამორთმევა, შაჰ-ნავაზი არ დასთანხმდა წაერთმია ის, რაც შაჰის წყალობით ჰქონდათ მინიჭებული. ამასობაში ოთარ ერისთავი წავიდა სპარსეთს საჩივლელად არჩილზე იმ შევიწროებისათვის, რომელიც არჩილმა მიაყენა; მაშინ ქართლის მეფემ ააოხრა იმის მამულები. ეს რომ ოთარმა შეიტყო, მოუმატა ჩივილს, მაგრამ აღარ მიუშვეს შაჰთან, და როცა დაატყო, რომ ჩივილისაგან არა გამოვიდოდა-რა, დაბრუნდა შინ.

ცოტა ხანს უკან შაჰ-ნავაზი, გზად მიმავალი ესპაანს, მოკვდა, ხოლო ერეკლე საჯაროდ აღიარებულ იქმნა კახეთის კანონიერ ბატონად 1676 წ., რაც ცხადად სჩანს იმის სახელით დაწერილ გუჯრებიდამ. რამდენსამე წელს ისევ დარჩა სპარსეთში და იცავდა ქრისტეს სჯულს, ხოლო კახეთს ბეჟან-ხანი განაგებდა. ამ ხანში აიშენა სასახლე ყარაღაჯს, სამხრეთ ქიზიყში, და უბრძანა კახელებს, იქვე სახლები დაედგათ. კახელები დიდად უკმაყოფილონი იყვნენ იმისი და საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ქართლის მეფემ, გიორგიმ, უბრძანა ესროლათ მისთვის თოფი. ამით გაჯავრებულმა ბეჟანმა მოიწვია და შეუსია კახეთს მტარვალნი ლეკნი, რომელნიც ამ დროდან დაწყებული მუდამ და დაუწყნარებლად იკლებდნენ ქვეყანას და მკვიდრნი ტყვედ მიჰყავდათ. ეს ამბავი რომ აუწყეს შაჰს, მან ბეჟან-ხანის მოადგილედ სხვა ხანი დაჰნიშნა, რომლის სახელიც ჩვენ არ ვიცით. მაშინ სამი დიდებული: რევაზ ჩოლოყაშვილი, აბელ ქიზიყის მოურავი და მერაბ ელისენის მოურავი განაგებდნენ ყველაფერს კახეთში და გიორგი მეფის შეგონებით შეითქვნენ ხანის წინააღმდეგ, რომლის მაგიერ 1688 წ. დასვეს აბაზ-ყული ხანი, განჯის ბეგლარ-ბეგი. ამ ნაირის ურჩობით კახელები სცდილობდნენ შაჰს ერეკლე კახეთში გამოეშვა; ეს განზრახვაც მალე აუსრულდათ.

აბაზ-ყული-ხანს, თუმცა კარგი მეგობრობა ჰქონდა მეფე გიორგისთან, იძულებული იყო პატივი ეცა ერეკლე ნაზარ-ალი-ხანისათვისაც, რომელიც სპარსეთიდამ ქართლის მეფის წოდებით მოვიდა. გიორგი მეფე ამაოდ სცდილობდა თავისი ძმა არჩილი ხელ-ახლავ კახეთში გაემეფებინა; თუმცა ზოგიერთნი დიდებულნი დაითანხმა, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეასრულა. ნაზარ-ალი-ხანის მოთხოვნილებით, აბაზ-ყული-ხან შეეწია მას, როგორც ერწო-თიანეთის მაზრის ჩამორთმევაში არაგვის ერისთავთაგან, აგრედვე იმ ლაშქრობაში მეფის გიორგის წინააღმდეგ, რომელიც ხანდისხან სრულიად უნაყოფოდ თავდებოდა. ბოლოს ერეკლე იძულებული შეიქმნა გასცლოდა ქვეყანას, თუმცა ტფილისი, სადაც სპარსების მეციხოვნენი იდგნენ, მის უფლებაში დარჩა; მან აუწყა ყოველივე ყეენს, რომელმაც უბრძანა შეპყრობა აბაზ-ყული-ხანისა და ჩამორთმევა ყველა იმის მამულებისა.

კახელები ზოგნი გიორგის მიემხრნენ და ზოგნი—ნაზარ-ალი-ხანს. ახლად დანიშაულმა ქელბ-ალი-ხანმა განჯის ჯარით 1695 წ. დაუწყო ბრძოლა გიორგი მეფეს, რადგან ლეკებმა და ჭარელებმა არ მოიშალეს კახეთზე თავ-დასხმა და დაღესტნლების შემოყვანა ამ ქვეყანაში, ქელბ-ალიმ შეიწყნარა კახელების თხოვნა, და ნება მისცა, ჭარელებს დასცემოდნენ. პირველ შებრძოლების დროსვე ჭარელები ამოსწყვიტეს, მაგრამ, საუბედუროდ, გამარჯვების შემდეგ კახელები შესასვენებლად დარჩნენ ამ მხარეში და იქ იყოფდნენ ნადავლს; ამასობაში ჭარელებმა შემოიკრიბეს ძალ-ღონე, ანაზდად დაეცნენ, წაართვეს ნადავლი და აიძულეს უკუ-ქცეულიყვნენ.

ამ ამბავმა გაახარა ქელბ-ალი-ხანი, რომელსაც ლეკებთან პირობა ჰქონდა შეკრული: ლეკები აძლევდნენ ხარკს და ნება აღებული ჰქონდათ განეგრძოთ ქვეყნის აკლება. სპარსების დახმარებით ერეკლე მეფობდა ქართლში; როცა მეფე გიორგი დარწმუნდა, რომ ქართველების უმეტესი ნაწი-

ლი არ მემოჩრილებაო, წავიდა კახეთს, იქ დაესახლა და ემსახურერებოდა ქელბ-ალი-ხანს, შემდეგ გადასწყვიტა შაჰს ჰხლებოდა და სრულს იმის მორჩილებაში ყოფილიყო.

მაშინ ერეკლემ რამდენსამე ხანს შეისვენა და დაიწყო შაჰმადიანურის წესისამებრ განცხრომით ცხოვრება. სამწუხაროდ, კახელებმაც შეითვისეს გარყვნილი ზნე-ჩვეულება თავის მფლობელებისა და ქრისტიანობაც თანდათან დასუსტდა ამ მხარეში.

დედოფალი ელენე გარდაიცვალა 1695 წ. ახლო ხანებში. ერეკლემ დაიბარა ისპაანიდან თავისი მეუღლე, ანნა ჩოლოყაშვილის ქალი, და თავისი ასული ელენე; მისი ვაჟები კი დავით იმამ-ყული-ხანი და კონსტანტინე მამედ-ყული-ხანი ყეენთან დარჩნენ მძევლად.

ყანდაარს გაგზავნილმა მეფე გიორგიმ გამოიჩინა, როგორც საოცარი ვაჟკაცობა, აგრეედვე ბრძნული განკარგულება; ყეენმა დასაჯილდოვებლად დაუბრუნა გიორგის ქართლი. ერეკლე კი დაჰნიშნა კახეთის მეფედ 1703 წ., მაგრამ უკმაყოფილო დარჩა ამით, წავიდა სპარსეთს და გამოითხოვა კახეთის სამეფო თავის კანონიერის უმფროსის შვილის დავითისათვის; თითონ კი შაჰის ყულარ-აღასობის თანამდებობა მიიღო და საუდამოდ დასახლდა სპარსეთში

საქართველოს მეფეთა თავ-გარდასავალის ასახსნელად, უნდა ვთქვათ, რომ მეფე ერეკლე ცნობილია თანამედროვე მოგზაურთა და მეისტორიეთაგან ხასიათის სისუსტით, რომლისა გამო მუდამ დაახლოვებულ კაცთა ხელში სათამაშოდ ჰხდებოდა. ვინმე ჰაჯი-ალი-ხანი, რომელიც წინად ადერბეიჯანის ბეგლარ-ბეგი იყო, ისე ათამაშებდა ერეკლეს, ვითარცა ბავშვს; მან მიუყენა ერეკლეს თავისი კიასო ანუ მოადგილე, რომელმაც ვერაგის მოქმედებით და ცრუ დაბეზღებით ყველა აღძრა ერეკლეს წინააღმდეგ და ჩამოაცალა მეგობრები და მომხრენი. ამასთან შაჰ-აბაზის მიერ შემოღებული სისტემა ის იყო, რომ არავითარი უფლება არც ქრისტე-

ანე მეფეებისა და არც სხვა თანამდებობის კაცთა შეწყნარებული არ ყოფილიყო, რითაც საქართველოში შეღლი, უთანხმოება და არევ-დარევა დაითესა: არავინ დაიმედებული არ იყო თვით უახლოეს მომავალზე და უცხო ხელი მუდამ მზად იყო ჩარეულიყო იმ ცილობაში, რომელიც ურთიერთის წინააღმდეგობით ჩნდებოდა. ამ გვარი იყო მდგომარეობა ივერიის ქვეყნებისა.

დავით III, იგივე იმამ-ყული-ხანი, მივიდა კახეთში და დაესახლა ყარაღაჯს. თუმცა დავითი სცხოვრობდა მაჰმადის წესზე, მაგრამ ქართველების ზნე-ჩვეულებაც შეითვისა და ცნობილია, ვითარცა კარგი მცოდნე სპარსულისა და ქართულის ლიტერატურისა. ცოლი მისი ფახრი-ჯან-ბეგუმი იყო ასული ჩუხუ რაზადისა, ერევნის ბეგლარ-ბეგისა, შამხალის შვილისა. დავითმა დაათვალიერა კახეთი, შემდეგ გარდავლო ჯვარი და მივიდა მცხეთას, სადაც ინახულა მეფე ვახტანგი, რომელთანაც შეჰკრა კავშირი.—დავითმა შემუსრა ჭარელები და ხარკი დაადო. 1706 წ. ხელ-ახლავ გაილაშქრა ჭარელების წინააღმდეგ. ამ გალაშქრებაში მოიწვია ყველა მთიულნი, რომელნიც კახეთის მეზობლად სცხოვრობდნენ. პირველ შებრძოლებაზედ გაიმარჯვა, მაგრამ შემდეგ დავითის გაუფრთხილებლობის გამო ჭარელები გზაში ჩაესაფრნენ და დიდი ზარალი მისცეს მეფის ჯარს; მაშინ მტარვალებმა იწყეს გალმა მხრისა და აღმოსავლეთ კახეთის დარბევა ისეთის ძალით, რომ დავითი იძულებული შეიქნა ზამთარში ყარაღაჯიდამ თელავს გადასულიყო, ხოლო ზაფხულს—მაღაროში. თუმცა არ სდევნიდა ქრისტიანებს და არ არომევდა ეკკლესიებს მამულებს და შემოსავალს, მაგრამ წინანდელ მეფეებზე უფრო ბევრს უგზავნიდა შაჰს—სანუქფოდ იმის საჩუქრებისა—ორი-საევ სქესის ტყვეებს, რომლებსაც დიდებულთ პირველ გვარებს სტაცებდა.—თავის მამის, ერეკლეს, სიკვდილს შემდეგ სპარსეთში, 1710 წ., დავითი წავიდა შაჰთან, რომ მოეხსენებინა თავის ქვეყნის საჭიროებანი. გზად მიმავალმა ინა-

ხულა ტფილისში ვახტანგი და ვახტანგის ასული ცოლად უთხოვა თავის ძმას თეიმურაზს, რომელიც სამღვდელოების ნება-დართვით უნდა გაჰყოლოდა ბაინდურ ერისთავის ასულს. დავითის სპარსეთში ყოფნის დროს თეიმურაზი განაგებდა კახეთს თავის დედის ანნას ზედამხედველობის ქვეშე.

ლეკები ძველებურად სასტიკად მძვინვარებდნენ და არ-ბევდნენ კახეთს, რომლის მკვიდრნი არამც თუ ამარცხებ-დნენ მტერს, არამედ ხშირად თითონ აქეზებდნენ და ჰბაძავ-დნენ ლეკების მაგალითს. ქიზიყის მოურავმა, ლევანმა, შე-მოიყვანა მტარვალები და შეუსია ელისენის მოურავის, მე-რაბის, მამულს. მერაბი გაიქცა და უშველა თავს, დაიქირავა მეორე ბრბო ლეკებისა და დაეცა რევაზის მამულს. ამნაირის საქციელით წაქეზებულმა ლეკებმა თანდათან განავრცელეს თავისი ნავარდობა, მიერეკებოდნენ ტყვეებს, საქონელს და თავისს მხეცურ ბუნებისამებრ ყველაფერს აოხრებდნენ. ხან-დისხან დაწყნარდებოდნენ, მოკლე ხნით შეისვენებდნენ და შემდეგ ხელ-ახლავ იწყებდნენ მტარვალობას. ლეკებს ხელს უწყობდნენ ზოგიერთა არამზადა კახელებიც, რომელნიც სა-რგებლობდნენ თავის მეზობლების დასუსტებით, შემოჰყავდათ წინადვე განზრახულ სახეირო საქმის მოსახერხებლად მიხვე-ულ-მოხვეულ გზებით დანიშნულ ადგილას ბოროტ-მოქ-მედების ჩასადენად; მერე იმავე გზით ბრუნდებოდნენ შინ; არც მდევარის გამოკიდება, არც დასჯა მათთვის! რომ ეს ამ-ბავი მოგონილი არ არის ისტორიკოსის მიერ, არამედ სრუ-ლიად ნამდვილია, სხვათა შორის, სჩანს დავით მეფის მრა-ვალ წერილებიდან, რომლებითაც ამ ამბავს დავითი აუწყებს ვახტანგს 1712 წ. თეიმურაზმა ჯვარი დაიწერა თამარზე და, აიღო რა დიდი მზითევი, დასახლდა მანავში და გულითადის მწუხარებით შეჰყურებდა თავის მამულის აკლებას.

მეფე დავითმა ხუთი წელი დაჰყო სპარსეთში და 1715 წ. დაბრუნდა; შაჰის შეგონებით დაუმოყვრდა იასეს, ალი-ყული ხანს, ვახტანგის ძმას. მან მიათხოვა იასეს თავისი და ელენე,

რომელიც დიდის ხნის დანიშნული ჰყავდა, — თუმცა მისი პირველი ცოლი ცოცხალი იყო. საქორწინო მზადებაში ლეკები დაეცნენ მეფის ამალას და მოჰკლეს გლეხებს გარდა 24 დიდებული. კახელები უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნენ და, ნიკოლოზ ალავერდელის რჩევით, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მეფე დავითზე, — ყოვლად საზიზღარი ცბიერობა იხმარეს: კახელებმა წაჰბაძეს ლევან II-ს მაგალითს 1574 წ. და გარდასწყვიტეს, ლეკები მოეცილებინათ მით, რომ გაუამხანაგდნენ, წინამძღვრობა გაუწიეს და შეიყვანეს ქართლსა, შამშადილსა, ყარაბაღსა და შირვანში. მიუხედავად ამისა, ჭარელებმა არ დაზოგეს არც კახეთი, რომელიც ააოხრეს. მაშინ მეფე დავითმა შესაწევნად მიიწვია თავისი სიძე იასე, რომელიც ჯარით შევიდა კახეთში და პირველად დაამარცხა მტერი მაღაროში, თუ წინა-მინდორში, მაგრამ შემდეგ ლეკებმა გაიმარჯვეს და დიდის ნადავლით დაბრუნდნენ შინ. — შემდეგის წლის გაზაფხულზე იასე მეორედ შევიდა კახეთში ანნა დედოფლის სიკვდილისა გამო, დაბანაკდა საგარეჯოს, დაჰყო იქ სამი თუ ოთხი თვე, მაგრამ ვერც ახლა გაარიგა რა. ლეკებმა დაიპყრეს შილდა და ყვარელის ციხე, რომლის მეციხოვნენი მედგრად იცავდნენ თავს, გასწყვიტეს აუარებელი ხალხი, დასწვეს ციხე-სიმაგრეები. კახელები დაედევნენ, მაგრამ ლეკებმა მოასწრეს ათასობით ტყვეების წაყვანა. მაშინ კი კახელებმა გარდასწყვიტეს აესრულებინათ ის განზრახვა, რომელიც წინად მოვიხსენიეთ: შეიყვანეს ლეკები სამხრეთ სომხითში და აიკლეს ბოლნისის სოფლები, საიდამაც გადავიდნენ შირვანის და შემახიის მაზრაში.

ამასობაში თუშები შეიარაღდნენ და დაეცნენ ლეკებს, რომელთაც განაცხადეს, რომ ჩვენ კახელების მოკავშირენი ვართ და მეფე დავითს მოსთხოვეს, თუშებთან მოგვარიგეო. მეფე იძულებული შეიქნა — თუმცა უმეტესი ნაწილი მთიულებისა ამის წინააღმდეგი იყო, — ძალა დაეტანებინა მათთვის,

შემდეგში აღარ დასცემოდნენ ჭარელებს, ხოლო ნადავლი უკანვე დაებრუნებინათ.

1719 წ. მეფე დავითმა საფურცლეში ინახულა ქართლის მეფე, რომელმაც გაზაფხულზე გაგზავნა ჯარით კახეთში სარდალი ერასტი ყაფლანიშვილი. ერასტიმ სამი თვე დაჰყო კარდანახში, ჩრდილოეთ ქიზიყში, მაგრამ კახელებმა არ მიუშვეს ჭარელებთან საბრძოლველად. შემდეგ ზამთარში შაჰმა ჭარელების გასაწყვეტად გამოგზავნა ბეგლარ-ბეგი ქალბალი-ხანი. რაცგან მან მეფე დავითისაგან ცნობა ვერ მიიღო, შაქს წავიდა. ჭარელები დაეცნენ ანაზდად, მოჰკლეს ბეგლარ-ბეგი და ყოველი იმისი ქონება წარიტაცეს. მაშინ განრისხებულმა შაჰმა უბრძანა ვახტანგს ჭარის დაპყრობა. მთელმა კახეთის სამღვდელოებამ და დიდებულებმა დაბეჯითებით სთხოვეს ვახტანგს აღასრულე შაჰის ბრძანებაო. 1721 წ. იანვარში ვახტანგი შევიდა კახეთში, მაგრამ არ აცნობეს ლეკების შემოსევა ხაშმსა და უჯარმაში. შემდეგში კახელები იმართლებდნენ თავს მით, რომ ამ ბრბოს ამოწყვეტით არა გამოვიდოდარაო. ქართლის ჯარი მათ ბანაკში გააჩერეს ორმოც და ხუთი დღე, მარტო იმისათვის, რომ თითონ ესარგებლნათ დიდძალის ჯარით და რამეს გამორჩენოდნენ. ამ დროს ჭარელებმა მოციქულები გამოუგზავნეს; ამას გარდა, მეფეს შაჰის ბრძანება მოუვიდა, შენს საფლობელოში დაბრუნდიო; შაჰს ლეკების დაპყრობა შირვანის ხანისათვის მიენდო.

ორის წლის ავადმყოფობის შემდეგ მეფე დავითი გარდაიცვალა მაისში 1721 წ. იმისი გვამი დაასაფლავეს ქუმთას, სადაც ქართველ გამაჰმადიანებულ მეფეებს ჰმარხავდნენ.

კონსტანტინე II, იგივე მამედ-ყული-ხანი, იყო თუმცა უფროსი, მაგრამ ქრისტეანულ წესით უკანონო შვილი დავითისა და ისპაანს მდივან-ბეგად ირიცხებოდა. ხალხს ის არ უყვარდა, რადგან მუსულმანი იყო და ცოლად ჰყავდა ფურიჯან-ბეგუმი, შამხალის ასული, და შირაზის ბეგლარ-ბეგი-

სა. დავითის სიკვდილს შემდეგ დიდებულებმა და სამღვდელოებამ განიზრახეს ტახტზე დაესვათ თეიმურაზი, დავითის უმცროსი ძმა, მაგრამ მან თავისს სინიდისიანობით, თუ რაიმე სხვა მოსაზრებით, უარი განაცხადა გადაჭრით, ძმას მოციქულები გაუგზავნა და იბარებდა მალე მოსულიყო და ტახტი დაეჭირა.

კონსტანტინე უკვე დანიშნული იყო ნაიბად, კახეთის გამგედ, დავითის ავადმყოფობის დროს; აქამომდე დაცულია ერთი გუჯარი, თუმცა ეს გუჯარი ჯერ კარგად არ არის გამოკვლეული, რომელშიაც კონსტანტინე დავითის სიცოცხლეშივე მეფედ იწოდება; ხოლო მეორე გუჯარი, რომელსაც 11 მაისის 1722 წ. თარიღი აქვს,—ცხადად ამტკიცებს რომ შაჰისაგან მიიღო კახეთის სამეფო, ყაზახის, ერევნისა და შამშადილის მაზრები. იმის ჩამოსვლამდე თეიმურაზი იმამყული-ხანის მეუღლის ზედამხედველობით განაგებდა კახეთს და მან შემოსეული ლეკები რამდენჯერმე განდევნა, მაგ. ხორდშამოში.

ამ დროს მეფე ვახტანგმა, რომელიც ადერბეიჯანის ბეგლარ-ბეგად დაინიშნა, განიზრახა ყაზახის მაზრის შემოერთება. კონსტანტინე წინააღუდგა, დაიქირავა ჭარელები და არ ისურვა ვახტანგის პირადად ნახვა დაზავებისათვის, თითქო ეშინოდა, ვახტანგი რაიმე ხიფათს შემამთხვევსო. ამ დროს აჯანყდა გოგჯანურას თათრის ელი, ყაზახში მცხოვრები; იმათ დასამშვიდებლად ვახტანგმა გაჰგზავნა ჯარი. კახელებმაც შეშოიყვანეს იქ მხედრობა და ორივე დასი იბრძოდა ამ პაწია მაზრისათვის. კახელები დამარცხდნენ; ვახტანგმა დაიფლო კონსტანტინეს ყოველივე ქონება. მაშინ კონსტანტინემ დაიქირავა უფრო მომეტებული რიცხვი ლეკებისა, ააოხრა წინწყარო და წაართვა ვახტანგს ცხენების ჯოგი, რომელიც იმის მიდამოში იყო. მაგიერის გარდასახდელად იასე და ბაქარი ვახტანგის შვილი, დაეცნენ საგურამოს მაზრას და დაამარცხეს ზოგიერთ შეტაკებაში ბატონიშვილი თეიმურაზი. მაშინ

კონსტანტინე იძულებული შეიქნა გაეგზავნა თეიმურაზი ტფილისს ზავის შესაკვრელად. მან შეარიგა მეფეები, რომელთაც კავშირი შეჰკრეს ერთმანეთში. ამის შემდეგ შაჰ-თამაზ II-მ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, წაქეზებულმა კონსტანტინეს მოხსენებით, ქართლის სამეფო მას გარდასცა.

შემდეგ ტფილისის აღებისა ოსმალების მიერ და იქიდამ ვახტანგის გასვლისა, კოსტანტინე გაიქცა და ლეკებთან და ოსმალებთან დაიჭირა საქმე; ისინი შემოესიენ კახეთს, აიკლეს ქვეყანა, შებილწეს ეკკლესიები და მკვიდრნი ტყვეთ წაასხეს. თეიმურაზი გადავიდა ანანურს და თან წაიღო სამეფო განძი, რომელთა შორის იყო ქეთევან დედოფლის ნაწილები. არაგვში გასვლის დროს ეს წმ. ნაწილები დაიკარგა. — კოსტანტინე შეუერთდა ყაზახში ჭარელებს, მაგრამ ერთმა იმათმა ბრბომ სრულიად გაძარცვა მეფე; მაშინ კოსტანტინემ აღარ იცოდა, რა ექმნა, და თეიმურაზი ტფილისს გაუგზავნა ბაქარს შემწეობის სათხოვნელად. ამნაირისავე თხოვნით მიიქცა შაჰთან და კახეთის ჯარითა და ლეკების დამხმარებელ რაზმით ყაზახის მაზრაში შევიდა. ოსმალები დაეცნენ და წაართვეს ყოველივე, სხვათა შორის არამხანაც. მაშინ კოსტანტინე წავიდა განჯას, რომელსაც ჰფლობდა მისი დისწული მაჰმედ-მირზა, მაგრამ იქ ვერა გაარიგარა და კახეთში დაბრუნდა; ვახტანგის წასვლის შემდეგ, დაჰნიშნეს ქართლის გამგედ; შაჰმა უბოძა ფული, რომელიც მოიხმარა ჯარის სარჩენად და თავისს მომხრეების დასაჯილდოვებლად. იქიდამ ისევ კახეთში დაბრუნდა. თელავიდამ გაჰყარა ლეკები, რომელთაც ალყა შემოერტყათ ამ ქალაქისათვის. ამის შემდეგ შეურიგდა ლეკებს და გაუშვა ისინი ქართლის ასაკლებლად.

ამ შემთხვევის შემდეგ მაჰმად-ყული-ხანი შეეწია ოსმალებს გალაშქრებაში ქსნის და არაგვის ერისთავების წინააღმდეგ, რომელნიც უკანასკნელ ომში მტრულად მოეპყრნენ მას. იუსუფ-ფაშას სძულდა კოსტანტინე, მაგრამ სადარბაზოდ

მიიწვია გორს,—ალბად რაიმე ცუდის განზრახვით. როდესაც კოსტანტინემ უარი შეუთვალა, უსუფ-ფაშა წავიდა დაღესტანში, სადაც ეძრახა ლეკების წინამძღომელს სურზავს. კოსტანტინე ჯერ წინააღმდეგი იყო ფაშას დაახლოვებისა, შემდეგ კი, ალავერდელისა და ლუარსაბ თარხნიშვილის რჩევით 1729 წ., გარდასწყვიტა მისულიყო მასთან. ფაშამ მეგობრულად მიიღო, ხოლო იმ დროს, როცა კოსტანტინე ცხენზე ჯდებოდა, მაჰმად-ბეგმა, ისაყ-ფაშის საჭურველის მტვირთველმა, უკანიდამ ესროლა თოფი და მოჰკლა. კახელები აქეთ-იქით გაიქცნენ, ვინც როგორც მოასწრო, ხოლო დანარჩენნი ოსმალებმა აჰკუწეს. კოსტანტინეს, ალავერდელს, რევაზ ერისთავს და ზოგიერთ სხვებს დასჭრეს თავები, რომელნიც ისაყმა სტამბოლს გაჰგზავნა. კოსტანტინეს სიკვდილის წლის შესახებ დიდი უთანხმოებაა. ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსი სწერს, რომ მოჰკლეს 1732 წ. და ზოგი კი მიაწერს მის სიკვდილს 1735 წ., თუმცა შეურყეველი საბუთი არც ერთს არ მოჰყავს.

ისაყ-ფაშასთან შეთანხმებით სურხანმა, შემდეგ ომისა, აიღო თელავი და გაძარცვა მთელი გაღმა მხარე. თეიმურაზი გაიქცა ფშავეთს; ოსმალებმა დაიჭირეს ეს მხარე და ააშენეს მაღაროში ციხე ლეკების შესაშინებლად. ლეკები გუნდ-გუნდად შეესიენ მთელს მხარეს და ბოლნისამდე მივიდნენ; მათ დაედევნა ისაყ-ფაშა და ისე დააზიანა და დაამარცხა, რომ ლეკებმა ამიერიდგან მოსპეს თავისი შემოსევა საქართველოში. თეიმურაზი მაშინ დიდ სიღატაკეში ჩავარდა და დააპირა რუსეთში წასვლა, მაგრამ 1731 წ. კახელებმა შემოიყვანეს თელავში.

თეიმურაზმა ტფილისში ინახულა იუსუფ-ფაშა და აღიარებულ იქმნა კახეთის მფლობელად იმ პირობით, რომ ერთგულად ემსახუროს ოსმალოს მართებლობას, მაგრამ 1734 წ. თამაზ-ყული-ხანმა დაიპყრა შირვანისა და კურმუხის მაზრები რუსთა სოფელ ენდერამდი, ანუ ენდრეევამდი,—სადაც

შეჩერდა და მერე განჯას მივიდა. ეს რომ იუსუფ-ფაშამ შეიტყო, გაჰგზავნა ქიზიყში ჯარი, რომელსაც კახელები, აბელ-მოურავის რჩევით, დაეცნენ ღამით; მრავალი დაჰხოცეს და დიდი ნადავლი აიღეს. ოსმალთაგანი ვინც გადარჩა, განთიადისას ტფილისს გაიქცნენ; მაშინ ოსმალებთან ერთად იყვნენ შანშე, ქსნის ერისთავი, გივი ამილახვარი და ზოგიერთი სხვა ქართველები თავისის ოჯახობით.

1735 წ. თამაზმა მოციქული გაუგზავნა იმამ-ყული-ხანს და სთხოვდა ცოლად იმის ქალს. თეიმურაზმა შაჰის ბრძანება აასრულა და თვითონ ეახლა მრისხანე მბრძანებელს, რომელმაც მიიღო შესაფერად იმის ხარისხისა. რუსის ელჩი თავადი სერგეი გოლიცინი, რომელიც მაშინ სპარსეთში იყო, დაესწრო წირვას, რომელიც თეიმურაზის კარის ეკკლესიის მღვდელმა შეასრულა, რადგან გოლიცინს მართლ-მადიდებელი მღვდელი თან არა ჰყავდა.

როცა ოსმალებმა შეიტყეს, სპარსებმა მიანდეს თეიმურაზს ჯარი იმ პირობით, რომ ჭარელები ამოსწყვიტონო, იმათ ყარაღაჯიდამ უკან დაიხიეს ტფილისს. კახელებმა დააქციეს ეს ციხე და წავიდნენ თავის მეფის და სპარსელების შესახვედრად. ზოგიერთმა ჭარელებმა მედგრად დაიცვეს თავი, დანარჩენები იარაღით ამოსწყვიტეს და ქვეყანა მათი გადასწვეს და გაანადგურეს. ამ გამარჯვების შემდეგ შაჰ-თამაზმა ერევანში დაიბარა თეიმურაზი, რომელიც დაუყონებლივ გამოეცხადა. შაჰმა გააბრუნა შინ იმ პირობით, რომ თავისი ოჯახიც მოეყვანა. გზაში მიმავალმა თეიმურაზმა გაიგო, რომ ყირიმის თათრები შ. მოსულან დარუბანდშიო და ძლივს უშველა თავს გაქცევით,—ფშავლებში შეაფარა თავი. მაშინ თამაზმა იარაღით დაიპყრა კახეთი და მრავალი ტყვე იქიდამ ხორასანს გაჰგზავნა. შემდეგ დაბრუნდა დარუბანდს. ჭარელებმაც კი დიდი ზარალი მისცეს სპარსელების ჯარს და ზოგიერთნი ტყვენი გზიდამ გამოიქცნენ და დაბრუნდნენ ქართლსა და კახეთში.

როცა 1737 წ. ნადირი შაჰად აღვიარებულ იქმნა მულანის თვალ-უწვდენელ ველზე, თეიმურაზი ხელ-ახლავ დაეპატრონა თავისს სამფლობელოს და, ტფილისის ხანის მიერ მიწვეული, წავიდა ქ. გორს, სადაც შეიპყრეს და იქიდამ ისპაანს გაჰგზავნეს. თუმცა სპარსეთის მბრძანებელმა შეიტყო, რომ თეიმურაზი თვისის ნებით კი არ გამოეცხადა, არამედ ცბიერებით დატუსაღებული იყო, მაინც მოწყალედ მიიღო. ნადირმა თან წაიყვანა ყანდაარის ლაშქრობაში. შაჰმა მოსთხოვა ვაჟი ერეკლე და ასული ქეთევანი, რომელნიც წაასხეს სპარსეთში თებერვალს 1737 წ. ბატონის ასული მიათხოვეს ნადირის ძმისწულს, ალი-ყული-ხანს. მისი ძმა-კი ინდოეთზე გალაშქრების დროს ნადირს თან ახლდა და მონაწილეობას იღებდა ომში, რომელიც დიდის სინამდვილით და ცხოველის სურათებით აწერილია ერთს იმის წერილში. ერეკლე იქიდამ დაბრუნდა საქართველოში სექტემბერს 1739 წ.

დავით III-ს შვილი ალექსანდრე, — იგივე ალი-მირზა, — დანიშნული იყო ქართლის ვალიად და შევიდა კახეთში ამ ქვეყნის დასაპყრობად. 1736 წ. მან გამოსცა რამდენიმე სამეფო სიგელი და ბრძანებანი, რომლებშიაც დიდს სიფიცხეს და მრისხანე კილოს იჩენდა; მაგრამ დედოფალმა თამარმა, თეიმურაზის მეუღლემ, თავის მხნეობით და სიმტკიცით იმის ყველა მოქმედება გააქარწყლა და აიძულა ბედკრული ბატონიშვილი წასულიყო ინდოეთში შაჰ-ნადირთან, სადაც ომში მოჰკლეს. ხოლო თეიმურაზი ერეკლეს მისვლის უმალ დაბრუნდა კახეთში 1738 წ. და განაგებდა ამ ქვეყანას შაჰ-ნადირის ძმის, იბრაჰიმ-ხანის ზედამხედველობის ქვეშ.

როცა იბრაჰიმ-ხანმა გაილაშქრა ჭარელებზე, თეიმურაზი კახეთის ჯარით თან ახლდა. ჭარელების მაზრა დაიპყრეს და ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს, ციხე-სიმაგრეები და აქციეს და მკვიდრნი ტყვეთ წამოასხეს. ამ დიდის დამარცხების შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ლეკებმა შემოიკრიბეს ძალ-ღონე და ანაზდად დაეცნენ სპარსელებს, როცა ისი-

ნი მოსვენებაში იყვნენ; სპარსებმა ველარ მოასწრეს თავის დაცვა, მრავალი დაიხოცა,—თვით სარდალიც ომან ველზე მოიკლა—და ქართველებიც დიდად დაზარალდნენ.

როგორც კი ბატონიშვილი ერეკლე ინდოეთიდამ დაბრუნდა, შეირთო ვახტანგ ყაფლანიშვილის ასული,—რომელსაც მალე გაეყარა - და მეორედ დაქორწინდა ანნა ფხეიძის ანუ აბაშიძის ასულზე. 1741 წ. შაჰ-ნადირი მოვიდა არდებადს და თეიმურაზს უბრძანა მეორედ გაელაშქრა ჭარელებზე. ამ გალაშქრების დროს საქართველოს მტარვალების ბუდე სრულიად ამოფხვრილ და დაქცეულ იქმნა: ვაჟკაცები ტყვეთ წამოიყვანეს, ხოლო ქალებს პატივი აჰყარეს და მონებად გახადეს. ამის შემდეგ მეფე თეიმურაზი მოსვენებით სცხოვრობდა თავისს სატახტო ქალაქს თელავში.

გივი ამილახვარმა, რომელიც მაშინ ქართლის ვექილად იყო დანიშნული, თეიმურაზს წინადადება მისცა შაჰ-ნადირს ავუჯანყდეთო. როცა თეიმურაზმა უარი შემოუთვალა, გივმა დააბეზღა ტფილისის ხანთან, რომელმაც დაიბარა თეიმურაზი და სთხოვა დახმარება დაღესტანზე გალაშქრებისათვის. მეფე არ გამოეცხადა ხანს და შემოუთვალა, რომ მზადა ვარ დაგეხმაროვო. ამ პასუხის მიღების შემდეგ ხანი გაჯავრდა, შეესია საგარეჯოს და აიკლო ეს მაზრა. მაშინ თითონ თეიმურაზი წავიდა შაჰ-ნადირთან დარუბანდში და ცოტა ხანს შემდეგ დედოფალი თამარი და მთელი მეფის ოჯახიც გაჰყვა მას უკან. ნადირი დარწმუნდა, რომ მეფე ერთგული ყოფილა ჩემიო და დააბრუნა კახეთში იმ პირობით, რომ მეფეს თავის წინამძღოლობით და ხარჯით გამოეყვანა ხუთასი საუკეთესო მეომარი. ნადირი დასთანხმდა ეპატივებინა 300 თუმანი ხარჯი, რომელიც ქართველებს ემართათ, ხოლო კახეთის მართვა სრულიად მიანდო თეიმურაზს.

1742 წ. ალავერდის ტაძარი საოცარის მიწის-ძვრისაგან, რომელმაც 40 დღეს გასტანა, დაინგრა.

ახლო ხანებში ლეკების რაზმი, რომელიც 7000 კაცი-

საგან შესდგებოდა და რომელსაც ბელადები გალეგა და მალიჩა უწინამძღვრებდნენ — გივი ამილახვარს ეახლნენ და ემსახურებოდნენ. თეიმურაზს შაჰის ბრძანება მოუვიდა, ლეკები გასწყვიტეო. სარდალმა ფათ-ალი-ხანმა, ნადირის ცოლის ძმამ, და აჯი-ალი-ხანმა თეიმურაზს დაახმარეს ჯარი, რომელმაც ჭალაში, ერეთის ციხესთან, გორის ახლოს მტარვალები დაამარცხეს. გივი ამილახვარმა სპარსებს ისე მოაჩვენა თავი, ვითომც დაგმორჩილდითო და დაარწმუნა, ლეკები თავის ნადავლით კახეთზე გაეშვათ შინ; ხოლო ლეკები მან ჩააყენა საფარში, საიდამაც შეტაკების დროს გამოცვივდნენ და უმეტესი ნაწილი სპარსების ჯარისა დაჰხოცეს. ამას შემდეგ შაჰმა გადააყენა ფათ-ალი-ხანი და ქართლში გაჰგზავნა თავისი დაახლოვებული კაცი ქარიმ-ხანი დიდძალის ჯარით, რომელიც შეუერთდა ქართლის ხანს იმამ-ყულის. მაშინ შეშინებული გივი შევიდა სხვილოსის ციხეში. სპარსებმა დაიჭირეს სამთავისი და ჭალის ციხე და სხვილოს გარშემოადგნენ. იმამ ყული-ხანი გადააყენეს და იმის ადგილზე დანიშნეს ხოჯა-ხანი, რომელიც ლმობიერი კაცი იყო. გივი შეურიგდა მას და მძევლებიც მისცა. როგორც იყო, შაჰმა სრულიად დაამარცხა ლეკები, ბრძანა დაებრუნებინათ მძევლები და არ ისურვა მეამბოხეებთან რაიმე პირობით შერიგება, არამედ მოითხოვა სრული მათი მორჩილება. ამასთანავე მან მიიწვია თეიმურაზი მეუღლითურთ და ორთავეს უდიდესი პატივი სცა.

თუმცა სპარსებმა მრავალი ღონისძიება იხმარეს გივის დასამარცხებლად, მაგრამ ის მაინც გამაგრდა; მუდამ დღე იმდენი დამხმარებელნი ემატებოდნენ, რომ საციციანოს, საბარათიანოს მაზრები და სომხეთი ემორჩილებოდა და, თუ წინაალმდეგობას იწყებდნენ, ლეკების ჯარით თავს ესხმოდა. ავღანელები, — რომელნიც უმთავრესს რაზმს შეადგენდნენ და რომელთაც აჯი-ხანი და ქართლელი ალი-ხანი წინამძღოლობდნენ — იკლებდნენ სურამის ჭალას.

1743 წ. შაჰ-ნადირმა ოსმალებზე გაილაშქრა. მაშინ ლეკებმა იპოვეს ვილაც საათა, რომელიც ვითომც შაჰ-სულთან ჰუსეინის შვილი ყოფილიყოს, სპარსეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ აღიარეს და დიდი ამბოხება მოახდინეს შირვანის მაზრაში. ნადირის შვილი ნასრ-ულლა გაგზავნილ, იქმნა საბრძოლველად ტახტის მაძიებელის წინააღმდეგ. ნასრ-ულლამ დაიპყრა შამახია, უმთავრესი ბურჯი საათას მომხრეებისა. ტახტის მაძიებელი შაჰ-ზადე,—რომელიც ნასრ-ულლამ ცხვირის მოჭრის შემდეგ განათავისუფლა,—გაიქცა დაღესტანში და მიწერ-მოწერა გაჰმართა ხვანთქართან, რომელმაც დიდი ფული გამოუგზავნა.

1742 წ მოჰკლეს ბეჟან ერისთავი. არაგვის ხეობის ზოგიერთმა მკვიდრმა თეიმურაზს მიჰმართა თხოვნით, შეგვეწიე ⁊ დაგვიფარეო. თეიმურაზი დასთანხმდა და მით დაასწრო ისაყ ბეგს, — იესეს შვილისშვილს,—რომელსაც დანარჩენთ მკვიდრთ მიჰმართეს. ორმავე დასმა სთხოვა შაჰს გარდაწყვიტე ჩვენი საქმეო. შაჰმა თეიმურაზს უბოძა ეს ქვეყანა იმ პირობით, რომ დაეპყრა და დაემორჩილებინა შაჰისათვის.

ყარსს გალაშქრების დროს ოსებმა, ჩერქეზებმა და ლეკების აუარებელმა ბრბომ გაახშირეს ქართლში შემოსევა. თეიმურაზმა შეჰკრიბა დიდ-ძალი ჯარი თავის ქვეშევრდომებში და დამორჩილებულ ანწუხელებსა, ტაბუხელებსა და სხვა მთიულთაგან და წავიდა ანანურს. შაჰ-ნადირის ნება-დართვით მან დაიჭირა ასავალს მთელი საერისთავო და იწყო დაპყრობა საამილახვროსა და ქსნის საერისთაოს მიდამოებისა. თეიმურაზი ორსავე სამეფოს შეუცილებლად განაგებდა. მაშინ კახეთმა იწყო აღყვავება და ბევრი ქართველი გარდაესახლა იქ, რადგან იქ უფრო მყუდროება იყო. ამავე დროს ცრუ შაჰ-ზადე შემოვიდა კახეთში, საიდამაც აპირებდა დასავლეთისაკენ წასვლას ამილახვრის სანახავად და შეერთებას იმის მფარველებთან—ოსმალებთან. ნამდვილად არ ვიცით, გამყოლებმა

დაუბნიეს გზა, თუ შანშემ, ქსნის ერისთავმა, გასცა, შაჰ-ზადე ხელში ჩაუვარდა თეიმურაზს, რომელიც მაშინ თინში იყო. თეიმურაზმა მიიყვანა ნასრ-ულლასთან და ბატონიშვილს ერეკლეს ჩააბარა. მაშინ შაჰმა თეიმურაზის ერთგულობა და დიდი სამსახურის გაწევა დაასაჩუქრა მით, რომ მას მიუბოძა ქართლის სამეფო, ხოლო მეფის ძე ერეკლე დაჰნიშნა კახეთის მთავრად.

სამცხე-საათაბაგოს ისტორია

შემდეგ განყოფილ.

სამცხის მაზრა, — რომელიც მტკვრისა და ჭოროხის სათავეში მდებარეობს, — თავდაპირველად ოძრახოსისა და ჯავახოსის, მცხეთოსის შვილების, ხვედრი იყო. პირველმა მეფემ ფარნავაზმა იქ დაადგინა სამი ერისთავი: ოძრახისა, წუნდისა და კლარჯეთისა. ეს მხარე რამდენსამე ხანს სომხების უფლების ქვეშ იყო და მეორე საუკუნეში, ქრ. შ. შ., ხელ-ახლად ქართველების ხელში გადავიდა. ყარზა-ბაქარის მეფობაში კლარჯეთი მიემხრო ბერძნებს; გურგასლანმა ხელ-ახლად დაიპყრა და გადასცა სამცხე თავის უმცროს შვილებს, ლევანს და მირდატს. მირდატი განაგებდა ამ მხარეს ფარავნის ტბიდამ ზღვამდე ქართველთ მეფის უზენაეს უფლების ქვეშ. მან მიათხოვა თავისი და გურამს, რომელიც ტომით ებრაელი იყო, და რომელიც საქართველოს ბაგრატიონის ვვარის მამათ-მთავრად შეიქმნა; გურამის შთამომავლობა ორ უმთავრეს ნაწილად დაიყო: უმფროსი შტო მეფობდა აღმოსავლეთ ივერიაში, რომელიც ფრიად შევიწროებული იყო ტფილისში დამკვიდრებულ მუსულმანების ემირებისაგან. უმცროსი შტო, რომლის დედა-ქალაქად არტანუჯი იყო, დარჩა კლარჯეთსა და ტაოს მაზრაში და სრულიად განჰქრა მე-XI საუკუნის დამდეგს. ეს უკანასკნელი მთავრები პირდაპირ ბერძნების დამოკიდებულებაში იყვნენ. ჩვენ ვიცით მათი ვინაობა, სახელი, ნათესაობრივი კავშირი და თარიღები მათის გარდაცვალებისა. იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა გადმოგვცა დაწვრილებით ზოგიერთი მათი ამბავი. ამ მოთხრო-

ბაში არის გამოხატული ბაგრატიონის გვარის დამოკიდებულება ვიზანტიასთან კონსტანტინეს დრომდე. ამ დროიდან მე-XIII საუკუნის ნახევრამდე სამცხის მხარე საქართველოს მეფეების სრულს მორჩილებაში იყო.

აქ ჩვენ არ შევალთ იმის გამოკვლევაში, თუ საიდგან წარმოსდგა სახელი სამცხე, რომელიც ისტორიულად ვერ გამოურკვევიათ, ხოლო ფილოლოგიურად ძნელი ასახსნელია. ჩვენ მოვიხსენებთ მხოლოდ იმას, რა ნაირად შეიცვალა ეს ძველი სახელი და დაერქვა სამცხეს საათაბაგო. თამარის დროს ვინმე ივანე ახალციხელი, ე. ი. ახალციხის მფლობელი, 1207 წელს, ყარსის აღების შემდეგ, წოდებულ იქმნა ათაბეგათ და ემირთ-ემირათ. ისტორიკოსნი არ მოგვითხრობენ ამ ივანეს ვინაობას და იმის მემკვიდრეებს უწოდებენ მთავრებად, ახალციხის მფლობელებად, სპასალარებად, მანდატურთ და მეჭურჭლეთ უხუცესებათ, ე. ი. სარდლებათ, მეფის მცველების უფროსებად, და არა ათაბეგებათ. თავდაპირველად სარგის მე-II-მ მიიღო 1320 წელს მეფე გიორგი ბრწყინვალისაგან ათაბეგის ხარისხი, რომელიც თვითეულს იმის შთამომავალს უნდა გამოეთხოვა და დაემტკიცებია, სანამ მე-XIV საუკუნეში სრული მათი დამოუკიდებლობა არ აღვიარეს. აქედგან წარმოსდგა საათაბაგოს სახელი, რომელსაც მე-XIX საუკუნემდე ჰხმარობდნენ. მონგოლების შემოსევის დროს აღმოჩნდა ვინმე სარგის ჯაყელი, ე. ი. მფლობელი ჯაყის ციხისა და იმ ქვეყნისა, რომელიც ახალციხის სამხრეთ-დასავლეთისკენ მდებარეობს. სარგისი იყო შთამომავალი იმ გვარისა, რომელიც ძველადვე ცნობილი იყო ამ ქვეყნის მფლობელად და ამავე სახელით ისტორიაში იხსენება ბაგრატ IV-ს დროიდამ. შემდეგ თამარისა და იმის მემკვიდრეების მეფობაში სარგისი ირიცხება სამცხის პირველ დამოუკიდებელ მფლობელად, რომელმაც მთელი მხარე შემოიკრიბა თავის უფლების ქვეშ. გარდაიცვალა 1285 წ. მისმა შვილმა ბექა I-მა დაიპყრა სამცხე-კლარჯეთი ტაშის კარამდე,—ეხლანდელ

ბორჯომის ხეობამდე,—და ფრიად განძლიერდა. მან მიათხოვა თავისი ქალი ტრაპიზონის იმპერატორს ალექსი მე-II-ს და საჩუქრად მიიღო ჭანეთი, ე. ი. ესრედ წოდებული ლაზისტანი. გარდაიცვალა 1306 წელს.

შემდეგ ქართლის მეფემ გიორგი VI ბრწყინვალემ შეაერთა მთელი საქართველო და 145 წლის განმავლობაში სამცხის ერისთავნი საქართველოს ვასსალები იყვნენ, როგორც მაგალ. სარგის ჯაყელი II, ბექას შვილი, რომელიც 1334 წელს მოკვდა. მეფე გიორგი ბრწყინვალის ნება-დართვით მისი უფლება შვილზე—ყვარვარე I-ზე—გადავიდა. 1364 წ. იმის მემკვიდრედ, ბაგრატ V ნება-რთვით, შეიქმნა შვილი მისი ბექა II [1]); იმის სიკვდილს შემდეგ 1391 წ. მეფე გიორგი VII-მ გარდასცა ათაბეგობა იმის შვილს აღბუღას, რომელმაც შეადგინა ფრიად შესანიშნავი სჯულ-დება, აქამომდე ხელ-ნაწერად დაცული. აღბუღას შემდეგ, რომელიც 1451 წელს გარდაიცვალა, მეფე გიორგი VIII-მ დააყენა იმისი ბიძა, ყვარყვარე II, თუმცა განსვენებულ ათაბეგს (აღბუღას) შვილები დარჩა. ყვარყვარემ მიიმხრო მესხები—სამცხის მაზრის მკვიდრნი—და საიდუმლოდ წააქეზა ბაგრატ მე-II, იმერეთის მფლობელი, რომ უარი ეთქვა ქართლის მეფის დამოკიდებულებაზე,—რისთვისაც შემწეობა აღუთქვა. ბაგრატსაც ეს უნდოდა. გიორგიმ, ქართლის მეფემ, მოსთხოვა ყვარყვარეს დახმარება იმ გალაშქრებაში, რომელიც განიზრახა ბაგრატის წინააღმდეგ. ცბიერი მოკავშირე აუჩქარებლად გაემზადა საომრად და განიზრახა გარემოების მიხედვით მოქცეულიყო. გიორგი დამარცხდა 1463 წ., ხოლო ყვარყვარემ სამცხეში გადიბირა მეფის მომხრენი და დაისაკუთრამათი ადგილ-მამული.

როცა გიორგი მეფემ დავრიშ-გილაქის შემოსევა თავიდან მოიცილა, მოვიდა სამცხეში. მაშინვე მისნი მომხრენი, ადგი-

---

[1]) ქართლის ცხ.-ში ბექა II-ს შემდეგ ათაბეგად აღნიშნულია ძე მისი, იოანე (1391—1444) და იმას შემდეგ ძე მისი აღბუღა(1444—1451).

ლობრივნი ერისთავნი, წინააღუდგნენ ყვარყვარეს, მაგრამ ამ უკანასკნელს შეუერთდნენ იმერთ მფლობელი ბაგრატ და გურიელი კახაბერი. მაშინ ყვარყვარემ თავისი მტრები ზოგი გასწყვიტა და ზოგი განაძევა. იმათ შორის იყო ზაზა, ფანასკერტის მფლობელი, რომელიც შეიხიზნა ქარელში და შეიქმნა მამათ-მთავრად დიდებულის გვარის ციციშვილებისა. ძეფე გიორგიმ რომ დაატყო ყვარყვარეს გაძლიერება, მეორედ შევიდა ჯარით სამცხეში, მაგრამ ფარავნის ტბის ახლოს დამარცხდა და დატყვევებულ იქმნა 1465 წ. ამას შემდეგ ყვარყვარემ დაიფლო მთელი მხარე და სახელი საათაბაგოსი, ე. ი. ათაბეგის სამფლობელოც ყველასაგან ცნობილი შეიქმნა. ყვარყვარე 1466 წ. მოკვდა იანვარში.

შვილი და მემკვიდრე მისი ათაბეგი ბაადურ შიშობდა, როგორც ოსმალების გაძლიერებას, რომელნიც ხშირად აოხრებდნენ სამხრეთ სამცხეს, აგრეთვე მასაც, რომ ბაგრატს, იმერეთის მფლობელს, როგორც კი დამკვიდრდებოდა ტახტზე, არ გამოეცხადებინა მისთვის ომი; მან განა თავისუფლა მეფე გიორგი და აღუთქვა შემწეობა გალაშქრებაში დასამორჩილებლად კახელებისა, რომელნიც განუდგნენ ქართლის მეფეს. ბაადურმა ეს დაპირება კიდეც აასრულა. მაშინ მესხებმაც მიატოვეს ქართველები და ისევ ბაადურს მიემხრნენ.

ათაბეგმა არ ისურვა პირადად ხლება ქართლის მეფის კონსტანტინე III-ს წინაშე და გაუგზავნა სამეფო გვირგვინის კურთხევაზე ადგილობრივი ეპისკოპოზები, თანახმად იმათის თხოვნისა, ხოლო შემდეგში უკმაყოფილო შეიქმნა იმათის წასვლით და იწყო სამცხის სამღვდელოების დამცირება. ჯავახეთი, ამ ქვეყნის უმჯობესი ნაწილი, აქამომდე ქართლის მეფის ხელში დარჩა და ბაადურმა, რათა დაიმსახუროს მისი მეგობრობა, ზოგიერთ გალაშქრებაში შემწეობა აღმოუჩინა. გარდაიცვალა 1475 წელს.

ბაადურის მემკვიდრედ მისი ძმა მანუჩარ I-ლი შეიქმნა.

მანუჩარი სრულიად არ ემორჩილებოდა ქართლის მეფეს და არ შეეწია იმერეთს გალაშქრების დროს. როცა უზუნ-ჰასანი შემოვიდა სომხეთისა და საქართველოს დასაპყრობად, მან მიიმხრო მანუჩარი ამ განზრახვის ასასრულებლად.

საქართველო ცეცხლითა და მახვილით იქმნა აოხრებული, ხოლო მისნი მკვიდრნი ტყვეთ წაასხეს. შემდეგ მეფე კონსტანტინემ იმერლების და მეგრელების დახმარებით დაიპყრო 1481 წელს ჯავახეთი, რომელიც ხელ-ახლად მალე აუჯანყდა და გადუდგა; მაშინ ათაბეგი აღარ დასთანხმდა არავითარ შერიგებაზე.

1486 წ. იაყუბ-ყაენი, უზუნის შვილი, შემოესია ტაშირს და უბრძანა მეფე კონსტანტინეს სამცხის აკლება. ათაბეგმა შეკრიბა ჯარი და მტრის დასახვედრად მოემზადა. იაყუბი შევიდა სამცხეში, აიღო ციხე ახალ-ქალაქი, იერიშით მივიდა და დააქცია ახალციხე და მთელი მხარე ააოხრა. აწყური თუმცა თავის ნებით დაჰმორჩილდა, თათრებმა მაინც მოიტაცეს აწყურის ღვთის-მშობლის ხატი. ეს მოტაცება იმითი უნდა ავხსნათ, რომ იაყუბი მაშინ ძალიან გაჯავრებული იყო მით, რომ თავადმა ბარათაშვილებმა დიდად დააზიანეს იმისი ჯარი სომხეთში დამარცხებით.

შესახებ აწყურის განთქმულის ღვთის-მშობლის ხატისა აი რას მოგვითხრობს მემატიანე: 1472 წელს უზუნ-ჰასანი დაეცა სამცხეს ყვარყვარეს ათაბეგობის დროს და მოიტაცა აწყურის ხატი, რომელიც შვიდის წლის განმავლობაში თათრების ხელში იყო. ამისთვის ღმერთმა დასაჯა ისინი ჭირით, მათი ქვეყანა უნაყოფო შეიქმნა და ქალებსაც შვილები აღარ ეძლეოდათ. ბოლოს თათრები მიხვდნენ, რა იყო მიზეზი ამისთანა საშინელის უბედურებისა და ხატი დაასვენეს გაუხედნავს კვიცზე, რომელმაც თითონ, კაცის გაუყოლებლად, მოასვენა აწყურს. ამას შემდეგ აღარაფერი აბრკოლებდა მესხებს, რომელნიც, შემდეგ იმათის ქვეყნის დაპყრობისა, ქართლში გადასახლდნენ. მესხნი ათასობით დაბრუნდნენ შინ, თუმცა

მეფე კონსტანტინე არ უშვებდა. მეფე კიდევაც გამოედევნა ჯარით და 13 მარიამობისთვეს 1483 წ. მოჰხდა ომი ყვარ-ყვარე ათაბეგსა და ქართლის მეფეს შორის. ქართლელები ძლიერ დამარცხდნენ არადეთს.

ჩვენის აზრით, ამ გარდმოცემაში მოხსენებული სახელი ყვარყვარე ათაბეგისა აფიქრებინებს კაცს, რომ აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს და ეს ლეგენდა შეთხზული თუა ავტორის მიერ, რომელსაც კარგად არ სცოდნია არც ისტორია და არც ქრონოლოგია.

იაყუბ-ყაენის საშინელის შემოსევის დროს მანუჩარმა ვერ შეაჩერა აუარებელი მტრის რიცხვი, მხოლოდ შესწირა დიდძალი ფული წმ. ხატის გამოსასყიდლად. მეორე ნაამბობით, ღვთის მშობლის ხატი, გაძარცული ძვირფას სამკაულთაგან და დასაწვავად ცეცხლში ჩაგდებული, თითქმის სრულიად დაუზიანებლად გადარჩა და დაცულ იქმნა ვინმე ქრისტეანის მიერ, რომელიც მართლ-მადიდებელი არ ყოფილა და რომელსაც დაუბრუნებია იგი აწყურის ტაძრისათვის; ხოლო ნაცვლად იმ ეპისკოპოზისა, რომელმაც მტერს გარდასცა ქალაქი, დაუყენებიათ სიმეონ ტრაპიზონელი, რომელიც იყო ეპისკოპოზი ტბეთისა, შავშეთში მდებარისა. ცხადდება ბუნდოვანი განმეორება წინად მოყვანილ ლეგენდისა, რომელშიაც იგია ჩართული. მანუჩარი გარდაიცვალა 1487 წ.

ყვარყვარე მე-III, შვილი აღბუღასი, 59 წლისა იყო, როცა ათაბეგობა მიიღო და მთელი მხარე დაიჭირა.

1490 წელს მან უარი შეუთვალა კონსტანტინეს და არ შეეწია ოსმალებთან შებრძოლებაში. შემდეგ მტრის გაბრუნებისა ყვარყვარე დაუახლოვდა მეფეს. იმის ბატონობის დროს ერთი სამცხელი ვაჭარი შეურაცხჰყვეს შირვანის ერთის მედუქნის თაოსნობით, რომლისგანაც ის აბრეშუმს ჰყიდულობდა. სამცხელი აქებდა და ადიდებდა თავის ბატონს, რომელიც უთუოდ მაგიერს გარდაგიხდის ამ შეურაცხყოფისათვისაო. ყურებით არ დამაბას შენმა ბატონმა დუქნის დარაბაზეო.

გამწარებულმა ვაჭარმა შესჩივლა ათაბეგს, რომელმაც შეკჭრიბა 500 რჩეული მხედარი, გარდავიდა დმანისის ხეობით შირვანს, ანაზდად გაჩნდა შაქში და მიაქედა ყურებით მედუქნე იმის დუქნის დარაბას. გამობრუნების დროს ყარაიაზზე და მუხრანის მაზრაზე ათაბეგს დაუხვდა დიდებული ციცი ციციშვილი ქართლში შეკრებილ ჯარით. ათაბეგს მოსთხოვეს, რომ აღვიარებინა მეფის უზენაესი უფლება, ვითარცა ერთგულ ქვეშევრდომს. ათაბეგი იმართლებდა თავს მით, რომ გზაზე არც ერთ ქართველისათვის ვნება არ მიმიცია, ხოლო ჩემის მოქმედებით განვადიდე ქართველის სახელიო. მიუგზავნეს რუისის ეპისკოპოსი, მაგრამ ვერც იმან გააწყო-რა; მაშინ მოჰხდა სასტიკი ომი არადეთის მთასთან, რომელსაც ამის შემდეგ დაერქვა „ცეცხლის ჯვარი“. ათაბეგმა და იმისმა მხლებლებმა საოცარი ვაჟკაცობა გამოიჩინეს; ქართლელები დიდად დამარცხდნენ და მათი ეპისკოპოზიც დაატყვევეს.

ყვარყვარე მე-III-მე შშვიდობიანად ჰმართავდა თავის სამფლობელოს და შემდეგ შეურიგდა მეფეს. ყვარყვარე მოკვდა 1 იანვარს 1560 წ., როდესაც შეუსრულდა 72 წელიწადი.

შვილი და მემკვიდრე ყვარყვარესი, ქაიხოსრო I, განაგებდა ქვეყანას მხოლოდ ორს წელიწადს და სცდილობდა საჩუქრებით შეეჩერებინა არზრუმისა და ტრაპიზონის ოსმალნი, რომელნიც ჭანეთის მაზრას ხშირად შეესეოდნენ ხოლმე.

1502 წ. იმის მემკვიდრედ შეიქმნა შვილი მისი მზე-ჭაბუკ-დიდი, რომელიც შეურიგდა მეფე კონსტანტინეს. როცა მზე-ჭაბუკმა შეიტყო, რომ ოსმალებმა თითქმის წაართვეს გურიელს ჭანეთი, საჩუქრებით დაამშვიდა ისინი და დაიფლო, როგორც ჭანეთი, აგრეთვე აჭარის მაზრაც. 1572 წ. ოსმალები წავიდნენ ჯარით საქართველოს დასაპყრობად და საათაბაგოზე გადაიარეს. მზე-ჭაბუკმა ჩააყენა ციხეებში მცველები, თითონ კი ოსმალებს გზაზე შეეგება და დაითანხმა, რომ იმისი მხარე არ აეოხრებინათ. მან სურსათი მისცა და

გზირები გააყოლა იმერეთში. ამას შემდეგ ჰმართვიდა მხარეს მშვიდობიანად და ისე ბრძნულად, რომ ქვეშემრდომებმა უწოდეს სახელად მზე-ჭაბუკ-დიდი. მან მშვიდობიანობაში გაატარა თავისი ათაბეგობა; თვით ოსმალნიც კი ერიდებოდნენ. მოკვდა 1516 წელს.

შვილი და მემკვიდრე მისი, ყვარყვარე მე-IV, კიდევ უფრო მეტად დაუმეგობრდა ქართლის მეფეს დავითს. როცა 1520 წ. ოსმალებმა ქართლის დაპყრობა განიზრახეს და სამცხეზე გადმოიარეს, ათაბეგმა აიძულა მკვიდრნი ჩაკეტილიყვნენ ციხე-კოშკებში. რადგან მტერს გასაძარცვავად არა დახვდარა, შეესია თრიალეთს, სადაც მეფე დავითმა სრულიად დაამარცხა ისინი. დაბრუნების დროს ყვარყვარემ განფანტა გამოქცეულნი, რომელთაც თან სურსათიც მოჰქონდათ.

შემდეგ შეეწია დავითს ბრძოლაში სპარსელებთან; მათმა წინამძღოლმა შაჰ-ისმაილმა სამცხის დასარბევად გაჰგზავნა ერთი ნაწილი თავის ჯარისა, რომელიც ტფილისს გარს ერტყა დევალის სარდლობით. ამას გარდა ყვარყვარე შეეწია ქართლის მეფეს გიორგის წმინდა ადგილებში გასალაშქრებლად; იქიდან ქართლელნი გამარჯვებულნი დაბრუნდნენ [1]). მაშინ იმერეთის მეფე ბაგრატი განრისხებული იყო მით, რომ ათაბეგმა მზე-ჭაბუკმა შემოიყვანა ოსმალები იმერეთში და ისარგებლა მით, რომ სამცხე აოხრებული იყო სპარსელების მიერ, შეუერთდა დადიანს და გურიელს და დაეცა სამცხეს ფერსათის მთიდამ. ომში, რომელიც მურჯახეთში, ახალ-ქალაქს ახლოს, მოჰხდა, ათაბეგი დამარცხდა. ათაბეგი დაატყვევეს და იმერეთში წაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა.

შემდეგ ათაბეგად არავინ არ იყო აღვიარებული. ბაგრატმა დაიპყრა საათაბაგო და გურიელს, თანახმად დაპირებისა, მისცა აჭარა და ჭანეთი; თითონ კი სამცხეს სცხოვრობდა. ამასობაში ოთარ შალიკაშვილმა მიიკანა სტამბოლში ათა-

---

[1]) ამ ლეგენდაზე იხ. შენიშვნა ქართლის ისტორიაში

ბეგის შვილი, ქაიხოსრო, მოახსენა ხონთქარს ყოველივე, რაც კი მოიქმედა ბაგრატმა სამცხეში. შალიკაშვილი არწმუნებდა ხონთქარს, ბაგრატი იმიტომ მოეპყრა ასე სასტიკად სამცხეს, რომ ყვარყვარემ იმერეთში ოსმალები შეიყვანაო.

განრისხებულმა ხონთქარმა სულეიმანმა გამოჰგზავნა ქაიხოსრო სამცხეში დიდძალის ჯარით და არტილერიით, რომელსაც მუსტაფა ფაშა სარდლობდა. როგორც კი ოსმალები მივიდნენ, ბაგრატი გურიელის დახმარებით შეებრძოლა და ამოსწყვიტა ისინი 1542 წელს ომში თვით მუსტაფა-ფაშაც მოჰკლეს. ხონთქარი ამის შემდეგ უფრო განრისხდა და გამოჰგზავნა ახალი ჯარი, რომელიც შეაგროვა არზრუმის და დიარბეკირის მაზრებში. მაშინ ბაგრატმა შემწეობა მოსთხოვა ქართლის მეფეს ლუარსაბს და 1545 წელს იერიშით მივიდა ოსმალებზე ბასიანის მაზრაში, სოხოისტანს. ქართველები დამარცხდნენ ამ ბრძოლაში მესხების ჯიუტობით, რომელნიც მოწინავე რაზმში არ ჩაყენეს, როგორც ისინი თხოულობდნენ, თანახმად ზეპო ქართველების ძველებურის უფლებისა; რადგან ამაზედ უარი უთხრეს, ომში მონაწილეობა აღარ მიუღიათ. ორნივე მეფენი დაბრუნდნენ შინ. ოსმალებმა დაიჭირეს ციხეები საათაბაგოში ოთარის შეგროებით, რომელსაც ეშინოდა, რომ ბაგრატის სასარგებლოდ არ გადატრიალებულიყო საქმე.

ქაიხოსრო მეორე შეიქმნა ათაბეგად, ხოლო ოსმალნი უკან გაბრუნდნენ და დაავალეს ქაიხოსროს, სპარსელები არ შემოეშვა. მან შეირთო ცოლად ვახტანგ მუხრან-ბატონის ასული, „დედის იმედი", რომელიც ამპარტავანი და ულვთო, ავისა და შეუთვისებელის ხასიათის ქალი იყო და დიდი ვნებაც მოუტანა თავის ქვეყანას.

რადგან ოსმალებმა, თანახმად იმათის ზნე-ჩვეულებისა, შეავიწროეს ქაიხოსრო, მან და ოთარმა წერილობით განუცხადეს სპარსთ მორჩილება და სთხოვეს თურქების განდევნა. ამის გამო შაჰ-თამაზი შემოვიდა სამცხეში. ხონთქარი სუ-

ლეიმანი შეიარაღდა. ქაიხოსრომ განიზრახა ორნივე მებრძოლნი შეეკავებინა და არც ერთი არ შემოეშვა თავის სამფლობელოში; ამისთვის სთხოვა შაჰს, რომ მიეცა წერილი, რომელშიაც შაჰი თავის უკმაყოფილებას და რისხვასაც უცხადებდა ქაიხოსროს. ეს რომ მიიღო ქაიხოსრომ, მაშინვე გარდასცა ხონთქრის მთავრობას, რომელიც დარწმუნდა ამით ათაბეგის ერთგულებაზედ და შეაჩერა სამხედრო მოქმედება. სპარსელებიც ასე მოიქცნენ და ამ სახით საათაბაგო გადარჩა ომიანობის საშინელებას.

იმერეთის მეფე ბაგრატი 1546 წ. დაეცა სამცხეს და მოასწრო მხოლოდ აწყვერის ღვთის-მშობლის ხატის მოტაცება და წამოსვენება ჯერ ციხის ჯვარში და შემდეგ იმერეთში. ხოლო დადიანი ლევანი, რომელიც ბაგრატმა ცბიერებით შეიპყრა და გელათის სამრეკლო კოშკში ჩასვა, ათაბეგის განკარგულებით განთავისუფლებულ იქმნა ზოფილანდრე ჩხეიძის მიერ; დადიანი გურიელის დახმარებით სამცხედან სამეგრელოში გადაიყვანეს. შემდეგს წელს ათაბეგმა მიიღო მონაწილეობა მეფე ლუარსაბის და კახთა ბატონის გალაშქრებაში ადერბეიჯანს; როდესაც 1548 წ. შაჰ-თამაზი გარს შემოადგა ტფილისს, განაცხადა სურვილი ათაბაგთან დაახლოვებისა მოყვრობის კავშირით; რადგან ქაიხოსროს ქალი არ ჰყავდა, მან მიათხოვა შაჰს თავის ნათესავის ოთარის ასული. მეფე ლუარსაბს ეს ეწყინა, მოიმხრო მესხთა რამდენიმე დიდებული, წაართვა ათაბეგს ჯავახეთი და ყველა ის მიწები, რომელიც მტკვრის იქითა მარჯვნივ ნაპირზე მდებარეობდა.

1550 წლიდან 1552 წლამდე ხონთქარმა თავის მხრით გამოჰგზავნა ისკანდერი, არზრუმის ფაშა, რომელმაც დაიპყრო ტაოს მაზრა, არდანუჯი, არტაანი და ფარავანის მიდამო. ქაიხოსრომ შეატყობინა ეს შაჰ-თამაზს, რომელმაც განდევნა შირვანიდან ქართველთ ჯარი და წაართვა ოსმალოს ყველა მათმიერ დაპყრობილი ციხეები: ვარძია, თმოკვი, ვანისი, მღვიმე,

ასპინძა და ვარენთი, რომელნიც გადასცა კანონიერ მფლობელს, ათაბეგს, ხოლო იმის გამცემნი იჯაშერ მაზანი და ვახუშტი სიკვდილით დასაჯა. შაჰმა დააბრუნა აგრედვე აწყვერის ხატი, რომელიც ამ ლაშქრობის დროს ხელში ჩაიგდო.

იმის გაბრუნების შემდეგ 1553 წ. იმერეთის მეფე გიორგიმ ხელ-ახლავ დაიპყრა აწყვერი; ხონთქარმა გაამაგრა ყარსის ციხე, თავისი ჯარი ბასიანამდე წამოსწია და მით აიძულა შაჰ-თამაზი არტაანში წასულიყო. 1556 წ. შაჰმა დაიპყრო სამცხე და სამცხელები, რომელნიც აუჯანყდნენ ათაბეგს; ჩამოართვა ძამულები და სიკვდილით დასაჯა ზოგიერთნი, მაგალ. ომანი და იჯა; ამას შემდეგ, როგორც ოსმალები, ისე სპარსელები, დაბრუნდნენ შინ.

მაგრამ შაჰ თამაზმა, შეშინებულმა ოსმალების გაძლიერებით, გაჰგზავნა ჯარით დასავლეთისაკენ თავისი შვილი ისმაილი, რომელიც იერიშით მივიდა ყარსზე და აიღო. შემდეგ დაიპყრა მთელი სამცხე და, სრულიად განთავისუფლებული მტრებისაგან, დაუბრუნა ათაბეგს. 1562 წ. ათაბეგის ცოლის ძმებმა, არჩილმა და აშოთანმა, აწყვერს თავი შეაფარეს სპარსელებისგან, რომელთაც ქართლი გაძარცვეს და ტყვეთ წაიყვანეს მეფე ლუარსაბის დედა. იმერეთის მეფე გიორგი შეურიგდა ათაბეგს და დაუბრუნა აწყვერის ხატი.

1564 წ. ათაბეგის შვილმა, ყვარყვარემ, შეირთო მარეხი, დადიანის ასული.

თუმცა იმ ჟამად საათაბაგოს მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესდა, ოსმალებს მაინც ეჭირათ ტაო, შავშეთი და კლარჯეთი და ძალიან ავიწროებდნენ ხალხს. ქაიხოსრო დარწმუნებული იყო, რომ მარტო საკუთარის ძალ-ღონით ვერას გააწყობდა, ამიტომ მიჰმართა შაჰ-თამაზს ⁄ 1570 წ. სთხოვა მფარველობა. ყეენმა დიდად მოწყალედ მიიღო და უარი არ უთხრა შემწეობის აღმოჩენისა, მაგრამ დაპირების ასრულება დაგვიანდა. ამასობაში ათაბეგი 1573 წ. ყაზბინს გარდაიცვალა. მას დარჩა სამი ვაჟი: — ყვარყვარე, მანუჩარი და ბექა —

და ერთი ქალი თამარი, რომელიც 1563 წ. ვახტანგ გურიელმა შეირთო, ხოლო როდესაც 1592 წ. ვახტანგი გარდაიცვალა, მისი ქვრივი მიათხოვეს მანუჩარ დადიანს.

ყვარყვარე V, შვილი განსვენებულ ათაბეგისა, შეიქმნა იმის მემკვიდრეც და განაგებდა ქვეყანას დედის და ვარაზის, ოთარ შალიკაშვილის ძის, გავლენის ქვეშ. ეს შალიკაშვილი მოაკვლევინა მმართველმა დედის იმედმა ცრუ დაბეზღების გამო კახელის ოთარ ჩოლოყაშვილისა, როგორც ამას წინად მოვიხსენეთ. შაჰმა განიზრახა თავის ცოლის ძმის მოკვლისთვის მაგიერი გადაეხადა, მაგრამ ერიდებოდა ოსმალთა, რომელნიც დაუთ-ხანმა, ტფილისის მფლობელმა, მოიწვია შემწეობისათვის. შაჰი შეესია სამცხეს და საშინელის დარბევის შემდეგ გაბრუნდა და ამ სახით მომავალ დროსათვის ეს მხარე იმერეთით და ოდიშითურთ ხონთქარს მიანება. მაშინ ათაბეგი, აკლების დროს გარდასახლებული ოჯახითურთ, დაბრუნდა და ხელ-ახლად დაეპატრონა თავის მამულს. ამასობაში კიკოლამ, ვარაზის შვილმა, ხონთქართან დააბეზღა ათაბეგი, რომელიც გაიქცა და თავი შეაფარა მეტეხის ციხეში. თავის 16 წლის ბიძაშვილით, ერეკლე მუხრან-ბატონით და იქიდან 1576 წ. სთხოვდა შაჰს შეწყნარებასა და შემწეობას.

მეამბოხეთა რიცხვი თანდათან მატულობდა, ორთავე დასთა შორის მუდამ დღე ბრძოლა იმართებოდა: ერთი იცავდა ერთ ციხეს, მეორე იერიშით იღებდა მეორეს; ერთი რომ ოსმალებს ემხრობოდა, სხვები ეწინააღმდეგებოდნენ და სპარსელებთან ჰქონდათ ურთიერთობა. მაგრამ შაჰ-თამაზის სიკვდილამდე 1576 წ. სპარსები არ გაერევნენ ამ არეულობაში, რადგანაც არ სურდათ დაერღვიათ ზემოხსენებული ზავი, რომელიც მათ შეჰკრეს ოსმალებთან. ეს უკანასკნელნი კი განუწყვეტლად ომობდნენ და სძარცვავდნენ ყველაფერს, რასაც კი მოასწრებდნენ. ბოლოს გამარჯვება ათაბეგს დარჩა, რომელმაც დაიპყრო ციხეები: ოდადის, ქვალნი, ფოსო, ქაჯის ციხე, თმოგვი, ყველი და აწყვერი. ეს რომ შეიტყეს

ოსმალებმა, ლალა-ფაშის წინამძღოლობით სამცხეს შეესივნენ დიდძალის ჯარით და შემდეგ ომისა სხვათა შორის აიღეს ქაჯის-ციხე. აგვისტოში 1578 წ. ლალა-ფაშას შეუერთდნენ ვანისა და არზრუმის ფაშები. როცა ეს ამბავი იუწყა ხუდაბენდემ, შაჰ-თამაზის მემკვიდრემ, გამოჰგზავნა ჯარი, რომლის რიცხვი 15,000 აღემატებოდა, თოფა-ხანის, მაჰმედ-სულთანის, ყარა-ხანის და სხვათა წინამძღოლობით. ისინი დაბინავდნენ პალაკაციოს, ეხლანდელ ჩილდირის ტბასთან. პირველ შებრძოლებაზე სპარსელებმა გააქციეს თურქნი, მაგრამ მერე დამარცხდნენ; მაშინ ოსმალებმა ციხეები: ქაჯის-ციხე, არტაანი, ხერთვისი, ახალ-ქალაქი დაიპყრეს, ხოლო მანუჩარმა და ყვარყვარემ დედით მორჩილება განუცხადეს; მანუჩარი ახლდა ფაშას სვიმონის წინააღმდეგ გალაშქრებაში. ლაშქრობის შემდეგ სვიმონი და მისი ძმა წაიყვანეს სტამბოლს 1579 წ. მურად ხონთქრის წინაშე წარსადგენად. ამასობაში მეორე იმისი ძმა, ანუ ათაბეგის ახლობელი ნათესავი თვალშვენიერი, რომელიც წინად ათაბეგს ქაიხოსროს სპარსეთში თან გაჰყვა, ყვარყვარეს განდგომილობის შემდეგ დააპატიმრეს სპარსეთში, საიდანაც სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. მანუჩარი გამაჰმადიანდა და მიიღო ოლთისა და აწყვერის სანჯახები, ხოლო ყვარყვარე ქრისტეანედ დარჩა და 1580 წ. ათაბეგად დაბრუნდა შემდეგ იმისა, როცა ჭიდაობაში, რომელსაც თვით ხონთქარი დაესწრო, ფალავან თათარს მოერია; რაც შეეხება ყვარყვარეს უნცროს ძმას, ბექას, ოსმალები ამას სრულიად პატივს არა სცემდნენ, თუმცა გამაჰმადიანდა საფარ-ფაშის სახელით.

ამ დროსვე მძვინვარებდა ჭირი ახალციხეს და ათაბეგის ოჯახში ყველანი ავად დახდნენ, მაგრამ მარტო ერთად ერთი მათგანი, ბერი, რომელიც თავის მოქმედებით სრულიად უცნობი არ არის, იმსხვერპლა ამ საშინელმა სენმა. შემდეგ 1581 წ. ოსმალები შევიდნენ ქართლში. სინან-ფაშამ, რომელსაც მანუჩარი ახლდა, აიღო ლორე, ტფილისი, გორი,

ხოლო ყვარყვარე ათაბეგი იმერეთში გაჰგზავნა. როგორც-კი სინანის ჯარი დამარცხდა მუხრანში 1552 წ., მანუჩარმა შეირთო ელენე, ქართლის მეფის სვიმონის ასული. ამას შემდეგ ყვარყვარე მალე გარდაიცვალა.

იმის ძმის და მემკვიდრის, მანუჩარ I-ს (II?),—იგივე მუსტაფა ფაშას—მოკვლა დააპირეს ოსმალებმა, ალბად იმიტომ, რომ გულ-წრფელად არ იცავდა მაჰმადიანობის წესრიგს. ოსმალოს ჯარი მუჰამედ-ფაშის წინამძღოლობით გაგზავნილ იქმნა სურსათის მისატანად ტფილისს დამცველთათვის. ეს ჯარი დმანისის გზას დაადგა და მერე აპირებდა ალტალღანასა და გორზე გადასვლას. მანუჩარი შეუერთდა მათ ახალქალაქთან და საჩუქრად ძვირფასი ხმალი მიიღო იმ სამსახურისთვის, რომელიც აღმოუჩინა ჯარს. მუჰამედის ამალა რომ მივიდა გორის ველად, გარშემორტყმულ იქმნა ქართველთა დიდძალის ჯარით. ოსმალები ველარ შეებრძოლნენ და აქეთ-იქით გაიქცნენ. გაჯავრებულმა მუჰამედ-ფაშამ უბრძანა მანუჩარი მოეკლათ. მანუჩარი ეცა მუჰამედ-ფაშას თვით კრების წინაშე, დასჭრა მუჰამედი, რომელსაც თავი გაუპო, თვითონ კი თავისის მხლებლებით გავარდა ბანაკიდგან. შემდეგ ყოველივე აუწყა ხონთქრის მთავრობას. შემდეგ ამისა მან დაუტევა მაჰმადიანობა და 1584 წ. ჯვარი დაიწერა მეფის ასულზე. სინან-ფაშა ამ დამარცხების შემდეგ გამოსცვალეს და მის ადგილას ფერხად-ფაშა დაჰნიშნეს. მანუჩარის ოსმალებიდგან განდგომის შედეგი ის იყო, რომ ბატონიშვილი თვალ-შვენიერი გაანთავისუფლეს. ის იყო ათაბეგის ქაიხოსრო II შვილი და, შემდეგ მამის სიკვდილისა, სპარსეთში იმყოფებოდა.

როცა ლალა-ფაშამ აიძულა ყვარყვარე ათაბეგი შეერთებოდა ოსმალებს, შაჰმა ჩააგდო თვალ-შვენიერი ორმოში, საიდანაც ამოიყვანეს მხოლოდ 1582 წელს. შაჰ-აბაზი რომ გამეფდა, თან წაიყვანა ხვარასანს, სადაც გასაოცარი ვაჟკაცობა გამოიჩინა 1587 წ. ამის გამო შაჰ-აბაზმა დიდად დაა-

ჯილდოვა. შემდეგ ისტორია აღარ იხსენიებს ამ ბატონ-შვილს.

შაჰ-აბაზმა მიიღო თავის მფარველობის ქვეშ მანუჩარი და იმისი დედა დედის-იმედი. იმავე 1587 წ. ოსმალებმა გადააკეთეს ახალციხისა და გორის ციხეები, თუმცა მეფე სვიმონი, რაც შეეძლო, ებრძოდა ამ დროს. მანუჩარს გარს ერტყნენ მოღალატენი, ამიტომ ახალ-დაბისკენ დაიწია, ხოლო დედა მისი და ქაიხოსრო, ყვარყვარეს შვილი, საკანაფე ციხეში სცხოვრობდნენ. ეღია დიასამიძემ, რომელიც საავალი-შვილო მაზრაში დემოთის ციხის მეციხოვნეთა უმფროსი იყო, მიითვისა ყოველი საგანძური, რომელიც იქა და საფარის მონასტერში დაცული იყო; ამით მტკიცდება ამ ქვეყნის უბედური მდგომარეობა.

მანუჩარმა ცოტახანს შეისვენა ახალ-დაბას და შემდეგ მოახერხა თავის მტრების შეჩერება და, მეფე სვიმონის დახმარებით, რომელმაც მაშინ დაამარცხა ოსმალები ხატის სოფელში, სამცხის მხარე დაიპყრო. ოსმალების ხელში მარტო ახალციხე დარჩა. ამ მდგომარეობაში მანუჩარმა განიზრახა დაზავება ოსმალებთან და ამ სურვილის მისაღწევად გაჰგზავნა სტამბოლს აწყვერის მიტროპოლიტი და ზოგიერთნი დიდებულნი ამანათებად. ამასთანავე მისი დედა და ძმისწული ქაიხოსრო წარდგნენ ახალციხის ფაშის წინ და მორჩილება განუცხადეს. თითქმის ამავე დროს ხაიდარ-მირზა გაგზავნილ იყო შაჰის მიერ ხვანთქართან ზავის ჩამოსაგდებად. ხვანთქარმა შეიწყნარა მანუჩარის თხოვნა, აღვიარა ათაბეგად და ნება დაჰრთო, ქრისტეანედ დარჩენილიყო. შემდეგ მშვიდობიანობა აღარ დარღვეულა საათაბაგოში. მანუჩარმა მხოლოდ 1604 წ., როდესაც ერთობ შეავიწროეს ოსმალებმა, გაჰგზავნა თავისი შვილი მანუჩარი შაჰ-აბაზთან და შეიყვანა სპარსელთა მეციხოვნენი ხერთვისისა და რამდენსამე სხვა ციხეში. ოსმალოს წინაშე თავს იმართლებდა მით, რომ მინ-

დოდა დამეფარა ჩემი საფლობელო მძვინვარე ბტრის დარ-ბევისაგანო.

სპარსეთის ისტორიკოსი ისკანდერ-მუნჯი გვარწმუნებს, რომ მანუჩარმა შაჰს მიჰმართა თავის ცოლის შეგონებით, რომელიც ძალიან უკმაყოფილო იყო ოსმალების ბატონობით და იმ მცირე სარჩოთი, რომელიც ჰიჩენილი ჰქონდა; ამ მიზეზით სთხოვა აგრედვე შემწეობა ოსმალების წინააღმდეგ შაჰ-უსუფ-ფაშას, რომელიც ზემოხსენებულის ბეგის შვილი უნდა ყოფილიყოს. სპარსელებმა, ემირ ხუნა-ხანის წინამძღოლობით, დაიჭირეს არტაანი და ახალციხე და დაატყვევეს შაჰ-უსუფ-ფაშა, მაგრამ მანუჩარმა მაინც დიდხანს ვერ მოისვენა. შემდეგს წელს ფურხად-ფაშა და ყირიმის ჯელალ-ფაშა, ქართლში გზად მიმავალნი, შევიდნენ სამცხეს; მანუ-ჩარს იმდენი ჯარი არა ჰყავდა, რომ შეჰბმოდა იმისთანა მძლავრ მტერს და შეიხიზნა თავის ბიძაშვილის, მეფის ლუარ-საბის, სამეფოში. ეს თათრის ჯარი საშინლად დამარცხდა 1610 წელს, როცა ომში დიდმა მოურავმა საოცარი ვაჟკა-ცობა გამოიჩინა. ამ დამარცხების შემდეგ ოსმალების უფლე-ბა საათაბაგოში თანდათან შესუსტდა.

1609 წელს მამია გურიელმა დაიპყრა აჭარა; ათაბეგმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია, რადგან ხალხმა ჯეროვანი შემ-წეობა არ უღმოუჩინა. მაგიერის გარდახდას მანუჩარი სხვა უფრო მარჯვე დროს ჰფიქრობდა, მაგრამ 1614 წელს მო-კვდა.

ხვანთქრის ბრძანებით სამცხელებმა ერევნიდამ მიიწვიეს და ათაბეგათ აღვიარეს მანუჩარ III, შვილი განსვენებულის ათაბეგისა. მანუჩარმა საცხოვრებლად მიუჩინა მეფე თეი-მურაზს ოლთისი შემდეგ კახეთის მეორედ აკლებისა შაჰ-აბაზის მიერ. მანუჩარის ათაბეგობის დროს ერის სულის ძლიერება საათაბეგოში თანდათან დასუსტდა, მაჰმადიანობამ იწყო გავრცელება და კანონიერის ათაბეგის უფლებას ხში-რად არ აქცევდნენ ყურადღებას არც ოსმალები და არც

მკვიდრნი. მანუჩარი მაინც არ გადასდგომია ქრისტეანობას და ამისთვის ცნობილ იქმნა დამნაშავედ არზრუმის ფაშის მიერ, რომელმაც 1624 წ. სამცხეში ჯარი გამოჰგზავნა მის დასასჯელად. ათაბეგი ახალდაბას გაიქცა და იქიდან, დიდის მოურავის თხოვნით, მონაწილეობა მიიღო მარაბდის ომში სპარსელების წინააღმდეგ. ქართველების დამარცხების შემდეგ მან უკანვე ახალ-დაბაში დაიხია. თან ჰყავდა 300 მხედარი. შემდეგ შეურიგდა ოსმალებს სტამბოლში. მარაბდის ომის შემდეგ დიდმა მოურავმა გაჰგზავნა თავისი ოჯახი სამცხეში და თვითონაც იქ შეიხიზნა. სპარსელები დაედევნენ, დაიჭირეს ხერთვისი, ახალციხე და რამდენიმე ციხე სამცხისა. ახალციხეში იჯდა მუსტაფა-ფაშა, რომელმაც ერთის წლის წინად დაიჭირა სპარსელ სარდლის სელიმ-ხანის წასვლის შემდეგ; ეს სელიმი შეშინდა, როდესაც ოსმალოს ჯარმა გამოილაშქრა არზრუმიდან ჩრდილოეთისაკენ. აქ ოსმალები რამდენსამე ხანს იცავდნენ თავს, შემდეგ კი ციხე, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იყო, უნდა დაჰმორჩილდებოდა. ამასთანავე მოურავი შეებრძოლა სპარსელებს, დაამარცხა ასპინძის ახლოს, აიძულა უკან დახეულიყვნენ და გადასცა ხვანთქარს ყველა ადგილები, მის მიერ დაპყრობილი. მანუჩარი სტამბოლიდან დაბრუნდა, ხელ-ახლად აღვიარებული ათაბეგად, [1]) ქრისტეს სარწმუნოება გამოუცვლელი, და ეწვია თავის ბიძას ბექას. ამ ბოროტმა კაცმა, რომელიც ყველას სძულდა და ყველას მიერ პატივ-ახდილი იყო, განიზრახა საშინელი საქციელი: მან მოსწამლა თავისი ნათესავი და ბატონი 1625 წ.

ბექა III, ყვარყვარეს შვილი, აღვიარებულ იქმნა ათაბეგად საფარ-ფაშის სახელით. თანხმად ოსმალთ წეს-რიგისა, მან დააწესა შემდეგი ხარჯი: ფულად შვიდ აბაზ ნახევარი

---

[1]) ბექას ანუ საფარ-ფაშის შემდეგ საათაბაგოს მმართველები ახალციხის ფაშებათ იწოდებოდნენ და არა ათაბეგებად.

ვახუშტი.

კომლზე, ორი შაური—ცხვარზე, აბაზი — ხარზე, ექვსი შაური — ცხენსა და კამეჩზე. ფაშის სასარგებლოდ ამ ფულად გარდასახადს გარდა დაწესებული იყო აგრეედვე ორ აბაზ ნახევარი. დააწესა აგრედვე მეშვიდედი მიწის ყოველ გვარის შემოსავლისა. მაშინ ქრისტეს სჯული საათაბაგოში თანდათან ისპობოდა, სამლვდელო ბა ჰქრებოდა, ეკკლესიები და მონასტრები დაეცნენ და ოსმალებმა ჯამეებათ გადააკეთეს, არამც თუ მარტო სამცხეში, არამედ ტაოსა, შავშეთსა და კლარჯეთში, რომელნიც ოსმალებმა დაიპყრეს. საფარ-ფაშის ჯარი შეუერთდა მოურავისას, რომელიც ხკანთქრის სამსახურში შევიდა.

როცა 1635 წ. საფარ ფაშა მოკვდა, მისი შვილი უსუფ, ვითარცა მემკვიდრე, ხკანთქრის ბრძანებით, აღვიარებულ იქნა ახალციხის ფაშათ. მან ნება მისცა სამცხეზე გავლისა ქართლის მეფეს, როსტომ ხანს, რომელიც მიდიოდა იმერეთში დასაქორწინებლად მარიამ დედოფალზე, ლევან დადიანის დაზე.

უსუფის მართვა შესანიშნავი იყო მხოლოდ მით, რომ მუსულმანთა ზნე-ჩვეულება და წეს-რიგი თანდათან გავრცელდა საათაბაგოში და ქრისტეანობა-კი დასუსტდა; სპარსეთის ისტორიკოსის მოთხრობით, უსუფი გაუმასპინძლდა ნოდარ ციციშვილს, რომელიც ხოვლეს დამარცხების შემდეგ იქ გაიქცა. უსუფი 1647 წ. მოკვდა.

უსუფის შვილი როსტომი 12 წელს ჰმართავდა საათაბაგოს; სტამბოლს წავიდა ფაშობის ხარისხის მისაღებად და იქიდგან დაბრუნდა „ფრიად მაჰმადიანი“ და აიძულებდა თვით დიდებულთა ცოლებსაც მიეღოთ მაჰმადის სჯული. რადგან მისი ცოლი არ დაეთანხმა და გაქცევა დააპირა, როსტომმა შეიპყრა და ისე შეავიწროვა, რომ ცოლმა კლდეზე გადავარდნა და თავის დახრჩობა განიზრახა; ბოლოს საბრალო დასთანხმდა იმ პირობით, თუ ყველა წარჩინებულთ ცოლები იმაზე უწინ გამაჰმადიანდებოდნენ. ეს უკანასკნელნი დაეძორ-

ჩილნენ ფაშის ბრძანებას და როსტომის ცოლმა უნებურად აასრულა თავისი დაპირება.

მაშინ ეკკლესიები წინანდელზე უფრო აოხრებულნი შეიქმნენ, ჯვრები და წმ. ხატები გაჰქრნენ, სამღვდელოება საშინლად დამცირდა და უვიცი ხალხი შთავარდა სრულს სიბნელეში. მაშინ შემოიღეს თათრული წოდებანი: ფაშა, ბეგი, ალი-ბეგი, სანჯაყი და აღა. ათაბეგი ფაშის სახელ-წოდებით ჰმართავდა ახალციხეს და ოლთისს; მეორე ფაშა იჯდა კოლას, მდ. ტაკვრის სათავეში, ბეგები განაგებდნენ შავშეთს და აჭარას, ალი ბეგები და აღები სხვა უფრო მცირე მაზრებს. ქრისტეანე ერი იძულებული შეიქმნა ომში გასულიყო თავის თანამორწმუნეთა წინააღმდეგ. როსტომი ორჯელ შეეწია ჯარით ლიპარიტ დადიანს, რომელიც ლევანის სიკვდილის შემდეგ სამცხეში შეიხიზნა; შეეწია აგრედვე ქაიხოსრო გურიელს 1569 წ. და ვურიის მთავრობა დაუბრუნა; მაშინ ახალციხის ფაშას ოსმალოს მთავრობის მინდობილებით ზედამხედველობა ჰქონდა იმერეთზე, აგრედვე მთლად შავის ზღვის ნაპირებზე, სადაც კი ქართველი ტომი ესახლა. როსტომი უმთავრესი გამგე იყო ყველა იმ ქვეყნებისა და მხოლოდ სამძიმო საქმეებში რჩევას ეკითხებოდა არზრუმის ფაშას. როსტომი 1659 წ. გარდაიცვალა.

ასლან პირველი შეიქმნა თავის მამის, როსტომის, მემკვიდრედ და აღვიარებულ იქმნა სტამბოლში ფაშად. ბოლოს იქიდამ დაბრუნდა ახალციხეს და წავიდა იმერეთს, სადაც მიიწვიეს. ასლანმა დაუბრუნა ტახტი დაბრმავებულს ბაგრატს, თითონ კი დიდის ნადავლით მალე მოვიდა ახალციხეს. ასლანმა თან წამოიყვანა ტყვეთ ვახტანგ ჭუჭუნაშვილი ცოლით დარეჯანით, რომელნიც ოლთისის ციხეში ჩასვა. მას შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, რომ შაჰ-ნავაზ, ქართლის მეფე, გაჯავრებული მით, რომ ვამეყ დადიანმა მიათხოვა თავისი ქალი სხვას[1]) და არა იმის უფროს შვილს, არჩილს, რომელსაც

[1]) ბეჟან ღოღობერიძეს.

წინად აღუთქვა, შეესია იმერეთს და იქიდან 1663 წ. სამეგრელოს და, ვამიყის მოკვლის შემდეგ სვანების მიერ, არჩილი იმერეთის ტახტზე დასვა. ეს ამბავი ასლანმა მოახსენა ხვანთქარს და 1663 წ. მეორედ შევიდა იმერეთში, ხელ-ახლად ტახტზე აიყვანა ბაგრატი, ხოლო დარეჯანი და იმისი ქმარი განათავისუფლა ფულით. რადგან ფული ხელში არა ჰქონდათ, ასლანმა დაიტოვა ამანათათ ქეთევანი, თეიმურაზ მეორეს შვილიშვილი.

1669 წ. ასლანი დასთანხმდა 80 ქისა აეღო ახალგაზდა ბატონის ასულის [2]) გამოსასყიდლად და გაამეფა ბაგრატი, რომლის შვილი ალექსანდრე მძევლად ჰყავდა ასლანს, ნიშნად იმისა, რომ მამა მისი აასრულებდა თავის დაპირებას. შემდეგ აღმოჩნდა იმერეთის ტახტის მაძიებლად ქართლის ბატონიშვილი ლუარსაბი, ფაშამ მიიღო მისგან ძღვენი, მაგრამ მასხარად აიგდო და 1674 წ. შინ გაისტუმრა. შემდეგს წელს არჩილმა დასტოვა კახეთი და მივიდა იმერეთს ტახტის საძიებლად; არჩილი მეგობრულად მიიღო ასლანმა, რომელიც დიდად პატივს სცემდა იმის ცოლს ქეთევანს, მაგრამ გურიელი შეიქმნა მისი მეტოქე და ისიც ეძიებდა იმერეთის ტახტს. ფაშამ ვერ იკისრა ამ საქმის გადაწყვეტა და მოახსენა ხვანთქარს, რომელმაც ბრძანა არჩილის დაპატიმრება. ეს ბრძანება შეასრულა ასლანმა და რამდენსამე ხანს დაატუსაღა არჩილი, შემდეგ კი გაანთავისუფლა. არჩილმა მალე განდევნა, როგორც გურიელი, აგრედვე ბაგრატი, რომელნიც ასლანთან გაიქცნენ. დაქრთამულმა ასლანმა მოახსენა ეს ამბავი ხვანთქარს, რომლის ბრძანებით არზრუმის ფაშა წამოვიდა იმერეთს. როცა არჩილის წერილით არზრუმის ფაშა დარწმუნდა, რომ არჩილის გამეფება და შემდეგ ამისა საქმეების არევ-დარევა მოჰხდა სამცხის ფაშის თანხმობით და მონაწილეობით,—რადგან დაქრთამული იყო,—1679 წ. უბრძანა თავი მოეკვეთათ ასლან-ფაშისათვის.

---

[2]) ქეთევანი გამოისყიდა შაჰ-ნავაზმა.

უსუფ II, ასლანის შვილი, წავიდა სტამბოლს ფაშობის საძიებლად, რაიცა ერთობ ძვირად დაუჯდა. უსუფი დაბრუნდა ახალციხეს 1680 წ. მაშინ სტამბოლში ვინც მეტს ქრთამს გაიღებდა, ის ადვილად მიიღებდა ამა თუ იმ სამკვიდრო მამულს. ამ სახით, ერთმა მღვდელმა, ფირიაღის შვილმა, ფულით იყიდა ჯავახეთის ფაშალიყის მფლობელობა, რომელიც XVIII საუკუნის ნახევრამდის კიდეც ეკუთვნოდა იმის ოჯახს. ამ სახით, მაჰმადიანობა, რასაკვირველია, თანდათან გავრცელდა ხალხში, ხოლო ქრისტეანობამ თანდათან იკლო და ბოლოს კიდეც მოისპო და მეჩითმა აჯობა ეკკლესიას.

უსუფ-ფაშის დროს ალექსანდრე, ბაგრატის შვილი, იქმნა გამეფებული იმერეთს შემდეგ იმისა, როცა ქართლის მეფემ გიორგიმ გარდასცა ის ფაშას. ამავე უსუფმა 685 წ. მოჰკვეთა თავი ქაიხოსრო გურიელს და თვითონაც გარდაიცვალა 1690 წ.

დიდძალის ფულის დახარჯვით უსუფის ძმამ სალიმმა მიიღო მისი მემკვიდრეობა და ქვეყნის მართვაში იმას მიჰბაძა. გაუმასპინძლდა ქართლის მეფეს გიორგის და შეეწია, რომ მისი ძმა არჩილი გამეფებულიყო იმერეთს. შემდეგ ხვანთქრის ბრძანებით შეიპყრა მეფე გიორგი სოფ. ოშორს და ტყვედ წაიყვანა ახალციხეს, მაგრამ ენგიჩარებმა გაათავისუფლეს 1691 წ. ამას შემდეგ მან იმერეთში მეფედ დასვა ალექსანდრე, რომელიც ქართლიდან მეფე ერეკლეს შემწეობით გადმოვიდა. არჩილი გაიქცა და ალექსანდრეს დარჩა მეფობა; ცოტახანს უკან ალექსანდრე ისევ ფარ-ჰყვეს და არჩილი გაამეფეს. ხვანთქარი უკმაყოფილო დარჩა ამნაირის ხშირის ცვლილებით და ბრძანა არჩილის გაძევება და იმის მაგივრად სვიმონის, ალექსანდრეს შვილის, გამეფება 1698 წ. უსუფი 1701 წ. გარდაიცვალა. იმისმა შვილმა და მემკვიდრემ ისაყ-ფაშამ განიზრახა დაესვა იმერეთის ტახტზე გიორგი, ზემოხსენებულის სვიმონის ძმა; ამით უნდოდა მოესპო გიორგი აბაშიძის გავლენა, რომელიც თანდათან ძლი-

ერდებოდა იმერეთში. ახალციხის ფაშებს უფრო მოსწონდათ ეს განუწყვეტელი ლაშქრობა და არევ-დარევა, ვიდრე მშვიდობიანი მდგომარეობა იმერეთისა, იმიტომ რომ ლაშქრობის დროს ისინი თავის ნებაზე განაგებდნენ ყველაფერს, საჩუქრებს შოულობდნენ, დავლას იღებდნენ და ქრისტეანების ტყვეთა ყიდვით მდიდრდებოდნენ. ხვანთქარმა გამოჰგზავნა არზრუმის ფაშა დიდძალის ჯარით იმერეთში და დაავალა მტკიცედ დამკვიდრება იქ წეს-რიგისა. იმავე დროს ისაყ-ფაშა შეესია იმერეთს კაკას ხიდის გზით.

ახმედმა, რომელიც იმ დროს ავიდა ხვანთქრის ტახტზე, უკან დააბრუნა არზრუმის ფაშა სერასკირი და ისაყ-ფაშა, რომელთაც იმერეთის მეფედ გიორგი, ალექსანდრეს შვილი, დასვეს 1703 წ. ახალციხეს მოსვლის უმალ ისაყმა მოსჭრა თავი კოლის ფაშას, რადგან არ ემორჩილებოდა. ხვანთქარმა ბრძანა თითონ ისაყის სიკვდილით დასჯა, მაგრამ ისაყ-ფაშა გაიქცა და რამდენსამე წელს სტამბოლს იმალებოდა.

1705 წ. ასლან II, სალიმის შვილი, შეიქმნა ისაყის მემკვიდრედ. იმის მმართველობის დროს საათაბეგოში მკვიდრთა შორის ძლიერ შემცირდა ქრისტეანეთა რიცხვი, თუმცა ქართლიდან და სამცხედან ბევრი დაესახლა ჯავახეთში; აგრედვე ბევრი ტყვეთ წამოყვანილი იმერლები დაესახლნენ იქ და მშვიდობიანად სცხოვრობდნენ; ისინი იხდიდნენ მხოლოდ თითოეულ კომლზე დაწესებულს ხარჯს. ისაყმა ისარგებლა დიდის ვეზირის გამოცვლით, გამოცხადდა მთავრობის წინაშე, ხელახლავ მიიღო ფაშობა და დაბრუნდა ახალციხეში. სალიმის შვილი ასლანი წავიდა სტამბოლს 1708 წ. ისაყმა აამაღლა თვისნი მომხრენი, ხოლო სალიმის მეგობრები დაამდაბლა და მამულები ჩამოართვა. მის დახმარებით 1712 წ. მეფე გიორგიმ დაიფლო იმერეთი, მაგრამ ცოტა ხანს უკან გაძევებულ იქმნა იქიდგან; 1713 წ. ხელახლავ დაბრუნდა იქ. ასლან-ფაშამ წაართვა ფაშობა ისაყს და ორის წლის განმავლობაში ძრიელ შეავიწროვა მისი მომხრეები. ბოლოს ისაყმა აჯობა ასლანს, რომელსაც

მისცეს მეორე ფაშალიყი. 1719 წ. ისაყმა ხელახლავ გაჰგზავნა თავისი სარდალი იმერეთში მეფე გიორგის ტახტზე ასაყვანად, რომლის სიკვდილს შემდეგ, მან გამოსთხოვა ქართლის მეფეს ალექსანდრე, გიორგის შვილი, დასვა იმერეთის ტახტზე 1721 წ. და მზრუნველად დაუყენა ლევან დადიანი.

ორის წლის შემდეგ ისაყი გაჰყვა ქართლს სერასკირს, არზრუმის ფაშას; მათ დაიპყრეს ტფილისი, მთელი ქართლი სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე, აგრედვე კახეთიც, ხოლო საათაბეგოს მართვა ისაყმა მიანდო თავის მოადგილეს. მაშინ საათაბეგო და ჯავახეთი აღყვავებულ მდგომარეობაში იყო. მხოლოდ ჯარის ხშირად მისვლა-მოსვლა აწუხებდა. ახლო ხანებში ლეკებმა დაიწყეს ყველა ამ ქვეყნებში თარეშობა და დაუსჯელად მუსრს ავლებდნენ ხალხს. წინააღმდეგობას ვერავინ უწევდა. ოსმალების განჯიდგან განდევნის შემდეგ თამაზ ყული-ხანის მიერ, ქართველებმა მიატოვეს ისაყი და დაეცნენ სამცხეს და ჯავახეთს, მაგრამ ისაყის მოადგილემ დაამარცხა და უკუ აქცია ისინი. თითონ ისაყი, რომელიც ქართლის დაპყრობის დროს სამთუღიანი ფაშა იყო, ახლა ორთუღიანი შეიქმნა და 1737 წ. თავის ნებით ადგილი დაუთმო თავის შვილს უსუფს, რომელმაც დიდი სასყიდელი გაიღო სტამბოლში ფაშობის შესაძენად.

უსუფ მე-VII ჰმართავდა საათაბაგოს მამის სიცოცხლეში, რომელიც ახლა მოსვენებით სცხოვრობდა. ერთხელ აჭარლები პატივით არ მოეპყრნენ უსუფის მოხელეს; ფაშა შევიდა ჯარით აჭარაში და ააოხრა აჯანყებული მაზრა. ზოგიერთნი აჭარელნი წავიდნენ სტამბოლს და უჩივლეს უსუფს, რომელიც იძულებული შეიქმნა თითონ გამოცხადებულიყო სტამბოლს თავის გასამართლებლად და ძლივს ქრთამითა და ძღვნით გადიცილა თავიდან სასჯელი.

1741 წ. მან გაჰგზავნა ჯარით იმერეთში თავისი სიძე, ჯავახეთის ფაშა, ფირიოლაშკილი, დასასჯელად მეფე ალექსან-

დრესი, რომელიც აღარ ემორჩილებოდა. ალექსანდრე გადაყენეს და იმისი ძმისწული გიორგი გაამეფეს.

უსუფმა პირველად აღმოუჩინა მფარველობა შანშე ერისთავს, რომელიც შაჰ-ნადირს აუჯანყდა, შემდეგში კი შეეშინდა ირანის მბრძანებელის მუქარისა, შეჰკრა შანშე და გადასცა სპარსელებს. შემდეგ ამისა უსუფმა იმერეთის ტახტზე ხელ-ახლავ ალექსანდრე დასვა. 1742 წ. სამცხის სამხრეთ ნაწილს დაეცა სპარსეთის ჯარი და ააოხრა. ამ ჯარმა ძლიერ დაამარცხა აგრედვე ყარსის სერასკირი. ბოლოს 1744 წ. ხვანთქარმა გარდასცა უსუფს დიდძალი ფული ლეკებისათვის დასარიგებლად, რომელნიც შაჰ-ნადირს არ ემორჩილებოდნენ. როდესაც ის ჯარით კახეთს მიდიოდა, ქართლზე დაქსნის ხეობაზე გადიარა და ისე დამარცხდა ცხინვალსა და მარტყოფში, რომ უსუფი ძლივს სიკვდილს გადარჩა და ცოტა ხანს უკან ჯავრით მოკვდა. მაშა მისი, მოხუცი ისაყ, ისევ საათაბეგოს მმართველი შეიქმნა.

ამას შემდეგ საათაბეგოს ისტორია უერთდება საქართველოს საზოგადო ისტორიას და ძლიერ ძნელდება იმის გამორკვევა, ვისი შთამომავალნი არიან საათაბაგოს უკანასკნელნი მმართველნი, რომელნიც ხვანთქრის ბრძანებით ინიშნებიან და იცვლებიან.

ი ს ტ ო რ ი ა

ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა შემდეგ საქართველოს განეოფილებისა: ისტორიული მიმოხილვა სამეგრელოსი და გურიისა.

ჩვენ განვიზრახეთ მოკლე ისტორიული აღწერა იმ ქვეყნისა, რომელიც მდებარეობს შავის ზღვის პირად: ჩრდილოეთით—გაგრიდგან დაწყებული ლაზისტანის სამხრეთ საზღვრამდე, დასავლეთით—შავი ზღვიდგან აღმოსავლეთისაკენ ლიხის მთამდე. ეს ქვეყანა შემდეგ იყოფა ძველ სამცხისა და ქართლისაგან იმ მთებით, რომელიც აძლევს მიმართულებას, როგორც მდ. მტკვრის, აგრედვე ჭოროხის მიმდინარეობას. ამ სივრცეზე სცხოვრობდა ერი, რომელსაც ერთი ენა ჰქონდა, თუმცა მისის ქართულის კილო, მეტადრე განაპირად, ცოტა არ იყოს, შეცვლილი იყო და მცირედ არ განსხვავდებოდა ქართულისაგან. ამ ქვეყნების მკვიდრნი, თუ პირდაპირ არ ეკუთვნიან ივერიის ერის მოდგმას, მისი მახლობელნი ნათესავნი მაინც არიან.

ყველა ეს მკვიდრნი ძველს დროში ურთიერთ შორის პოლიტიკურად შეკავშირებულნი იყვნენ და მათი სვე-ბედი მუდამ ერთი და იგივე იყო. მაშასადამე, ისტორიკოსი[1]) საფუძვლიანად აერთებს სამს სახელ-წოდებას: ეგრისს, აფხაზეთს და იმერეთს, რომელიც წარმოგვიდგენს სამს შესანიშნავს ამ მხარეში მომხდარს ცვლილებას. თავდაპირველად, ეგროსი—ზეპირ გადმოცემით—ძმა ქართლოსისა—დაესახლა მდინარის

---

[1]) ვახუშტი.

პირად, რომელსაც დაერქვა მისი სახელი ეგრისი, ეხლანდელი ენგური. ეგროსისაგან წარმოსდგა სრულიად კანონიერად წარმოებული სახელ-წოდება მეგრელისა. ამ მხარეს სომხის ძველი მწერლები უწოდებენ ეგერ, ეგერაცტან და იქ მყოფთ ეგერაცად. ეგროსის შთამომავლობა გავრცელდა ზემოხსენებულს საზღვრებს შუა და ცნობილი იყო ბერძნების მიერ კოლხთა სახელით, რომელნიც ვითომც ეგვიპტის ტომისანი უნდა ყოფილიყვნენ. ძნელად დასაჯერებელია თქმულება, ვითომც სეზოსტრისს დაეპყროს კოლხიდა და ამ მხარეში დაეფუძნებინოს ეგვიპტის ახალშენი.

კოლხიდამ ბერძენთა შორის სახელი განითქვა ჯერ ისევ 1200 წლამდე ქრ. შ. წ. ეს მოჰხდა არგონავტების ლაშქრობის დროს. არგონავტები მოვიდნენ საძებრად რაღაც ოქროს მატყლოვანის ვერძისა, ანუ იმ საუნჯისა, რომელიც წამოელო ვითომ ვიღაც ფრიკსს, თესსალიის მთავარს. ეს მხარე სახელ-განთქმული შეიქმნა აგრედვე გულთმისანის მედეას მეფობით. სახელწოდება: კოლხოს, კოლხიდა მოგონილია ბერძნების მიერ და გავრცელებული იყო მთელს ევროპაში ბერძნების მწერლებისაგან. ჯერ კიდევ ვერ აუღსნიათ რიგიანად, თუ საიდგან წარმოსდგა ეს ლექსი.

გადმოსახლებულმა ბერძნებმა გაჰმართეს ახალშენები შავის ზღვის როგორც ჩრდილოეთის ნაპირად, აგრედვე აღმოსავლეთისა და სამხრეთისად იმ დროს, როდესაც სპარსეთის მეფეებმა, ქაიანის დინასტიის შთამომავლებმა, დაიპყრეს ივერია. იმ ადგილებს, რომელიც ბერძნებმა დაიჭირეს ენგურის დასავლეთისკენ, სახელდობრ: ირაკლია, დიოსკურია, სევასტოპოლი ანუ ანაკლია, ისკურჩე ღა სოხუმი და სხვ., არხონტები განაგებდნენ. ალექსანდრე დიდის გარდაცვალების შემდეგ, კოლხიდა, ენგურის გაღმა-გამოღმა მდებარე, ე. ი. სამეგრელო, იმერეთი, გურია და ლაზისტანი ივერიის სამეფოს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ—პონტოს სახელმწიფოს, რომელ-

საც ეჭირა თავის სამზღვრებით სამხრეთის პირი შავის ზღვისა და ჩრდილოეთის ნაწილი მცირე აზიისა.

მე-III საუკუნეში, ქრ. შობ. შ., ისტორიაში პირველად იხსენიება სახელი ლაზებისა, როდესაც იმპერატორმა დიოკლიტიანემ დაიფარა ისინი ჩრდილოეთ ერთა შემოსევისაგან, რომელთაც თანდათან დაიპყრეს პონტოს სამეფო. ლაზების სახელს დრო-გამოშვებით იხსენიებენ აქა-იქ მე-IV საუკუნემდე, როდესაც პონტოს სამეფო სრულებით მოისპო. ვახტანგ გორგ-ასლანის შემდეგ ერთი ნაწილი ამ ქვეყნისა დაიპყრეს მისმა უმცროსმა შვილებმა, რომელთ შთამომავალნი ბიზანტიის მეფეების უზენაესს მფლობელობის ქვეშ იყვნენ. ჯერ არ არის გამოკვლეული, რა მიზეზით დაერქვათ ლაზები ეგრისის მკვიდრთაცა, იმ ქვეყნის მკვიდრთ, სადაც შესდგა სამეფო, რომელიც მდებარეობდა მდ. რიონისა და ჭოროხის მიდამოთა შორის, აპშეგების, ანუ აპესეგების და მისილიანების ქვეყნამდე, რომლის მცხოვრებნი შავის ზღვის ჩრდილოეთის ნაპირად იყვნენ დაბინადრებულნი. უნდა შევნიშნოთ, რომ ბერძნები გარკვევით ვერ სწერენ ლაზიკის ამბებს; გეოგრაფიულ აღწერაში ხშირად შეცდომებიც შეჰპარვიათ; თვით ქართველები სრულიად არ ჰხმარობენ ლაზიკის სახელწოდებას. მე-VI საუკუნეში ლაზიკის დაპყრობისათვის ცილობა ასტყდა ბერძენთა და სპარსთა შორის და ამ ცილობაში ბევრი სისხლი დაიღვარა. ბერძნებმა მოიწადინეს დაპყრობა ლაზიკისა და ივერიისა, ვითარცა ქვეყნებისა, რომელთაც მათგან მიიღეს ქრისტეანობა. ბერძნები დიდხანს იბრძოდნენ ამ ქვეყანაში და უნდა სცოდნოდათ აქაურ ადგილების მდებარეობა. მაგრამ ისინი გვარწმუნებენ, რომ ლაზიკა მდებარეობდა ფაზისის ორსავე ნაპირადაო, იმ ფაზისისა, რომელიც მომდინარეობდა სამხრეთით, სახელდობრ სომხეთიდგანაო. რიონს ფაზისად უწოდებენ და დასძენენ, რომ რიონი გამომდინარეობს იმ ხეობიდან, რომელიც ჰყოფს ლაზიკასა და ივერიას. მაშასადამე, ბერძნებს არ სცოდნიათ, რომ რიონი

გამოდის კავკასიის მთებიდან, რომ რიონს ერთვის ყვირილა, ხოლო ყვირილას — ძირულა და ამ უკანასკნელს ჩხერიმელა, რომელიც გამოდის ლიხის მთიდან, და ეს მთა აქ სამხრეთით საზღვრავს იმერეთს. 461 წელს ლაზების მეფე გუბაძე I ძალა-უნებურად უნდა მიჰნდობოდა ბიზანტიის იმპერატორს. მან მიიღო ლეონ I-საგან ინვესტიტურა ანუ ნიშნები სამეფო ღირსებისა. შემდეგ გუბაძე მიემხრო სპარსელებს და იძულებული შეიქმნა გარდაეცა გვირგვინი თავის შვილისათვის.

522 წ. ლაზების მეფემ ცატემ მიიღო ქრისტეანობა და ინვესტიტურა კონსტანტინოპოლში იმპერატორის იუსტინ I-საგან. ამით სპარსელები უკმაყოფილო შეიქმნენ, გაჰგზავნეს 523 წ. ჯარი ეხლანდელ ბორჯომის ხეობით და დაიპყრეს შორაპნისა და სკანდის ციხე.

ცატეს მემკვიდრეთ შეიქმნა შვილი მისი გუბაძე II. ამ მეფემ 528 წ. წაართვა სპარსელებს ლაზიკის ყველა ადგილები, რომელიც მათ ეჭირათ 533 წ. და შეჰკრა მათთან ზავი.

ამასობაში ივერიის მფლობელნი: გურგენ, ზამანარსი და მრავალი სხვა დიდებულნი მიიქცნენ კონსტანტინეპოლს, რითაც დიდად აწყენინეს სპარსთა მეფეს და იქ შეაფარეს თავი სპარსელების დევნისაგან, რომელნიც სცდილობდნენ ივერიასა და ლაზიკაში გაევრცელებინათ ცეცხლის თაყვანის მცემლობა.

541 წ. ლაზები აუჯანყდნენ ბერძნებს, რომელთაც აეშენეს ჩრდილოეთ გურიაში ციხე პეტრა, — ამ ციხის მდებარეობა ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული, — მოუწოდეს სპარსელებს და იმათის შემწეობით მოინდომეს განთავისუფლება ბიზანტიის მხედართ-მთავრებისაგან, რომელნიც მეტად ავიწროვებდნენ. სასანიდის მეფე ხოსრო ანუშირვანს ესიამოვნა ეს თხოვნა და გამოჰგზავნა სარდალი ანიაბედი, რომელიც ტაოს მხრიდან შემოვიდა ლაზიკაში და აიღო პეტრა. შემდეგ მებრძოლთ დასდვეს პირობა, რომ ოთხის წლის განმა-

ვლობაში აღარ ეომათ; ამ ვადის გასვლამდე გამოგზავნილ იქმნა ლაზიკაში სპარსეთის სარდალი მერმეროი, რომელსაც ჰქონდა მინდობილი მოეკლა მეფე გუბაძე და სპარსელებისათვის დაემორჩილებინა ეს ქვეყანა. გუბაძე მალე მიუხვდა ამ განზრახვას, უბრძანა დაეწვათ სპარსელთა მიერ ფლოტისათვის მომზადებული მასალა და სთხოვა შემწეობა იმპერატორს იუსტინეს, რომელმაც გამოჰგზავნა დაგისტე ჯარით, მაგრამ მან ვერ წაართვა პეტრა სპარსელებს; ლაზებმა მაინც შემუსრეს 14,000 ჯარი მერმეროისა და სულ ამოსწყვიტეს ზოგი ტაშის კარის ხეობაში, ზოგი მდინ. ფაზისის ფონში. ამ სახით, სპარსელნი იძულებულნი შეიქნენ მიეტოვებინათ ლაზიკა 549 წელს.

მერმეროის მოადგილე ხორიანი შემდეგს წელს თავს დაესხა ჩრდილოეთ ლაზიკას, მაგრამ საშინლად დამარცხდა მუხარიზის ანუ ვაკის მინდორზე; თითონ ხორიანი ომის ველზედ მოჰკლეს. 551 წ. პეტრაც დაუცალეს ბერძნებს, შემდეგ სასტიკის ომისა. ბოლოს სპარსეთის სარდალმა ნაბედმა დაიჭირა ლაზიკა აფხაზეთის სამზღვრამდე და მერმეროი, რომელიც ამაოდ მოვიდა პეტრას მისაშველებლად, გავიდა რიონს გაღმა და მიაშურა ლაზების დედა ქალაქს არხეოპოლისს, რომელიც ეხლანდელი ნაქალაქევი უნდა იყოს, მდ. აბაშას და ტეხურს შუა. შორაპნის, როდოპოლისის, ანუ ვარდ-ციხის და სკანდის ციხეები თვით ლაზებმა დააქციეს იმ განზრახვით, რომ სპარსელებმა თავი ვერსად შეაფარონო.

რიონსა და ტეხურს შორის ბერძნებს გამაგრებული ჰქონდათ ბანაკი, რომელიც უმთავრესი საფუძველი იყო იმათის სამხედრო მოქმედებისათვის და რომელსაც ისინი უწოდებდნენ ინსულს, ეხლანდელი ასულეთი ანუ ისულა ე. ი. კუნძული. მერმეროიმ სრულიად ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ორსავე სახელმწიფოს ჰქონდა დადებული პირობა არ ეომათ ხუთის წლის განმავლობაში, დაიზამთრა ქუთაისს, მახლობლად ბერძნების ბანაკისა, აიღო რამდენიმე

სიშაგრე, როგორც, მაგალითად, უხიმერიონი, ქუთაისიდგან ჩრდილოეთად მდებარე, ტელეფა და პატარაციხე მდ. ქვევრ-ლის პირად. მაგრამ ვერ აიღო ვერც წიფელის ციხე აფ-ხაზეთში და ვერც არხეოპოლისი; მერმე მიჰმართა უნაგე-რის ციხეს, მისგანვე აშენებულს, მახლობლად ამ ქალაქისა და დაეცა ბერძნების ბანაკს. ამ ლაშქრობაში გახდა ავად და გარ-დაიცვალა მცხეთას 552 წელს. ლაზთა ერს სძულდა ბერძ ნები, რადგანაც ცუდად ეპყრობოდნენ. მაგრამ მეფე გუბა-ძეს მაინც არ სურდა დაახლოვებოდა სპარსელებს ჯ აცნობა ყო-ველივე იმპერატორს იუსტინიანეს. მან გამოჰგზავნა ლაზი-კაში სარდლები: გარეგინ, ბესსა, იუსტინ და სხვანი. ამ სარდ-ლებმა მოუწოდეს გუბაძეს, ვითომც სათათბიროდ იმის შესახებ, თუ როგორ ავიღოთ უნაგერაო, — და მოჰკლეს. შემდეგ ამისა ბერძნების ჯარი ძრიელ დამარცხდა სპარსთა სარდლის ნახა-რაგანის მიერ, რომელიც მოვიდა ციხის მოსაშველებლად. ამასთან ერთად იბრძოდნენ ციხიდგან გამოსული სპარსელე-ბიც. ბერძნები იძულებულნი შეიქმნენ უკან დაეხიათ თავიანთ გამაგრებულ ბანაკში. ლაზები დიდს გაჭირებაში ჩავარდნენ და არ იცოდნენ, ვის მინდობოდნენ, სპარსელებსა თუ ბერძ-ნებს. დიდებულის პარტაძის რჩევით, გარდასწყვიტეს მივენ-დოთ ბერძნებსაო. იმპერატორმა იუსტინიანემ აღვიარა ლაზ-თა მეფედ გუბაძის ძმა ცატე, და ბრძანება გასცა დაეტუ-საღებინათ ის სარდლები, რომელთაც მოაკვლევინეს გუბაძე.

552 წლის დამდეგს მისსიმიანები, რომელნიც სცხოვ-რობდნენ აპსილსა და სვანეთს შუა, ჩამოეცალნენ ბერძნებს და მიემხრნენ სპარსელებს. წინამძღოლი სპარსელებისა, ნა-ხარაგანი, ამაოდ მივიდა იერიშით ბერძნებისაგან გამაგრებულ ინსულზედ და შემდეგ ფაზის ციხეზედ, რომელიც მდებარე-ობდა პალეოსტომის ტბის პირად მდ. ნადართის დასავლეთს; მან დაიხია უკანვე ივერიაში, რადგან იმედი დაჰკარგა გამარ-ჯვებისა. მაშინ ხოსრო მეფემ, გულ-დაწყვეტილმა ამდენის სისხლის ამაოდ დაღვრით და ფულის დახარჯვით, ასე და-

შორებულ ქვეყანაში, მით უმეტეს რომ სპარსელები განდევნილ იყვნენ როდოპოლისიდგანა და ჩრდილოეთ ლაზიკის მხრიდგან,—მოურიგდა იმპერატორს იუსტინიანეს 556 წ., ჯერ შვიდის წლის ვადით, ხოლო შემდეგ ეს ზავი ორმოც და ათის წლის ვადით შეჰკრეს. ამ მორიგებით სვანეთიც განთავისუფლდა, რომელზედაც სპარსებს ხელი ააღებინეს. 590 წ. სპარსეთის სარდალმა ბეხრამ ჩუბინმა გაილაშქრა სვანეთზე და დაბრუნდა იქიდამ გამარჯვებული, თუმცა დაწვრილებული ამბავი ამ გალაშქრებისა არა ვიცით რა. შემდეგ ამისა სპარსელები აღარ გამოჩენილან ლაზიკის მიდამოთა შორის და კმაყოფილდებოდნენ მარტო უზენაესის მფლობელობით ივერიაში. რაც შეეხება ერისთავთ გვაროვნობის გაძლიერებას, უნდა შევნიშნოთ რომ ისინი არიან გადმოსახლებულნი ყაბარდოდგან ქსნისადა არაგვის ხეობაში, იმპერატორის იუსტინიანეს ნება დართვით,—როგორც ზეპირ-გარდმოცემით ვიცით—მაშინ, როდესაც ლაზიკაში წარმატებით იბრძოდნენ ბერძნები.

შემდეგ ლაზიკის დაპყრობისა, ბერძნებმა დასვეს იქ თავისი მმართველები, რომელთაგან პირველი იყო საჭურისი ევფროზი, საყვარელი კაცი იმპერატორისა. იუსტინიანემ მოსპო აქ ორ-მეფობა, რომელიც ძველის დროიდგან იყო დამყარებული, მიაღებინა ქრისტეანობა ხალხს, რომელიც მანამდე ხეს სცემდა თაყვანსა, აღაშენა აფხაზეთის უკიდურეს სამზღვარზედ დიდებული ბიჭვინთის ტაძარი, რომელიც დღემდის არსებობს. ზემოხსენებულნი ცნობანი ლაზიკის შესახებ ჩვენ ბიზანტიელების ნაწერებიდან ამოვკრიფეთ. მეორეს მხრით საქართველოს მემატიანე მოგვითხრობს მხოლოდ იმას, რომ მე-IV საუკუნის ნახევარში ვახტანგ გორგასლანმა წაართვა ბერძნებს აფხაზეთი და ჯიქეთი და შემდეგ დაუბრუნა ეს მხარენი იმპერატორს ლევანს, ნაცვლად ტაოსა და კლარჯეთისაო. მან მიიღო აგრედვე ადგილნი, მდებარენი კელასურსა და ენგურს შუა, მზითვად მეუღლისა თვისისა, რომელიც იყო საბერძნეთის მეფის ასული. ეს ადგილები დარჩა მას

აქეთ საქართველოს ხორსროიანთა დინასტიის მეფეთა მფლობელობაში იმპერატორის ირაკლის დრომდის, რომელმაც ისევ ჩამოართვა ამ მეფეებს და დასვა აფხაზეთში თავისი მმართველი. ჩვენამდის დაცულია სია მმართველებისა, რომელნიც ამ დრომდე და შემდეგ მე-VIII საუკუნის გასვლამდის რიგრიგად იყვნენ დანიშნულნი, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს სია ვერ არის სწორედ შედგენილი და ამიტომ ვერ ვბედავთ მკითხველს წარვუდგინოთ.

მურვან-ყრუმ დაიჭირა სამეგრელო და იმერეთი 732 წ. ახლო ხანებში. მეფე მირმა და არჩილმა თავი შეაფარეს აფხაზეთში. მეფე არჩილმა ამ მასპინძლობისა და სამსახურისათვის დააჯილდოვა აფხაზეთის მმართველი ანუ ერისთავი ლევან I მით, რომ აღვიარა დამოუკიდებელ მეფედ, და მიათხოვა თავისი ძმისწული.

ახლა მოვიხსენოთ რამდენისამე სიტყვით აფხაზეთის პირვანდელ მთავართა ბიოგრაფია, რომელიც უფრო დაწვრილებით მოთხრობილი გვქონდა საქართველოს ძველს ისტორიაში.

ლევან I-ის მემკვიდრემა და ძმისწულმა ლევან II-მ გაჰყო აფხაზეთი რვა საერისთაოთ: 1) აფხაზეთისა და ჯიქეთისა, 2) ცხომისა და ალანისა, 3) ბედიისა, 4) გურიისა, 5) რაჭისა და ლეჩხუმისა, 6) სვანეთისა, 7) შორაპნისა და არგვეთისა და 8) ქუთაისისა. გარდა პირველის სატახტო ქალაქის ანაკოფიისა, მან დააარსა კიდევ მეორე — ქუთაისი და, საფიქრებელია, მანვე დააარსა აფხაზეთის კათალიკოზობა ბერძნების თანხმობით. იგი გარდაიცვალა 806 წ., ხოლო იმეფა ოცი წელი.

ლევანის შვილმა, თევდოსე I-მა შეირთო ქართლის მეფის აშოტ კუროპალატის ქალი. შემდეგ ეომა თავის სიძეს ბაგრატ I და, რა დამარცხდა თურქის ბუღასაგან კვერცხაბში, დაბრუნდა შინ დვალეთით და გარდაიცვალა 845 წ. გიორგი I-მა, თევდოსეს ძმამ, დაიპყრო ივერია, დასვა ჩიხის

ერისთავად ძმისწული თვისი თინენი და გარდაიცვალა 877 წ.

იოანე მამის (გიორგის) მემკვიდრეთ შეიქმნა. მისმა დედამ მისთვის გვირგვინის მოსაპოვებლად მოჰკლა თინენი და განდევნა ზღვის გადაღმა უნცროსი ძმა მისი ბაგრატი. ბაგრატი გადურჩა ზღვის ღელვასა და ქარიშხალს და მივიდა კონსტანტინეპოლს. იოანე გარდაიცვალა 879 წ.

შვილი მისი ადარნასე, რომელსაც ჰყავდა ქართლის მეფის გურამ კუროპალატის ასული, შემდგომად რვა წლის მეფობისა, მოკლულ იქმნა ბაგრატისაგან, რომელიც დაბრუნდა კონსტანტინეპოლიდან 887 წ.

ბაგრატ I-მა შეირთო ქვრივი ადარნასესი. შემწეობას აძლევდა თავის ცოლის ძმას ნასრეს, როდესაც ეომებოდა ადარნასეს, ქართლის მეფეს, მაგრამ დამარცხდა. ის გარდაიცვალა 906 წ.

მემკვიდრედ დარჩა შვილი მისი კონსტანტინე, რომელიც ქართლელებს მიემხრო და ეომებოდა სომხის მეფეს სუმბათს და კიდეც დაამარცხა. მიეშველა აგრედვე კვირიკეს, კახეთის ქორიკოზს, რომელიც ეომებოდა მუსულმანს აბულკასიმს და პატრიკ ადარნასეს; როცა დაამყარა იგი მფლობელად, კონსტანტინე დაბრუნდა აფხაზეთში და გარდაიცვალა 921 წ.

ბაგრატის სიკვდილს შემდეგ სრულიად აფხაზეთის მფლობელად დარჩა გიორგი II, შვილი კონსტანტინესი, რომელიც წელიწად ნახევარს ეომებოდა თავის ძმას ბაგრატს. იგი იყო ღვთის მოყვარე და ააშენა მრავალი ეკლესია. გიორგიმ მიათხოვა თავისი ქალი გურანდუხტ ქართლის ბატონისშვილს გურგენს, დაიჭირა ქართლი, შემდგომ ადარნასე კუროპალატის გარდაცვალებისა, და დასვა იქ თავის მოადგილედ შვილი თვისი კონსტანტინე. კონსტანტინე გადუდგა მამას და აღარ ემორჩილებოდა; მაშინ გიორგიმ გადააყენა მოადგილეობიდამ და დაასაჭურისა. შემდგომ ამისა მოწოდებულ

იქმნა კახეთის კარიკოზის კვირიკეს მიერ და მან დაიფლო კახეთიცა. გარდაიცვალა 955 წ.

ლევან III-მ შეიქმნა მემკვიდრედ მამისა გიორგისა, მიათხოვა თავისი ქალი დავითს, ქორიკოზის კვირიკეს შვილს და, იმის გარდაცვალების შემდეგ, გაილაშქრა კვირეკეზე. ამ ლაშქრობაში ავად გახდა და გარდაიცვალა. მან იმეფა მხოლოდ ოთხი წელიწადი, თუ ვერწმუნებით ისტორიკოსს, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იმეფა 964 წლამდის მაინც, ამიტომ რომ კუმურდოს ტაძრის აშენება დაწყებულ იქმნა მეფე ლევანის დროს, სახელდობრ 164 პასექის წელს (994 წ. ქ. შ.), როგორც ამბობს ტაძრის წარწერა, რომელიც აქამდე დაცულია. აქ უნდა შევნიშნო, რომ აფხაზეთის მეფეების ქრონოლოგიაში იპოვება შეცდომანი, რომელთა შესწორებაც ეხლა ძრიელ ძნელია მასალების უქონლობის გამო; მაგალითად, განა შესაძლებელია ვირწმუნოთ, რომ მეფე გიორგი II-მ, რომელმაც იმეფა 34 წელი და გარდაიცვალა 955 წ., როცა იქნებოდა ასე 55 წ., მიათხოვა თავისი ქალი გურანდუხტი გურგენს, ბაგრატ სულელის შვილს, რომელმაც დაიწყო მეფობა 958 წ. და გარდაიცვალა 994 წ.?—გურგენი შეიქმნა ბაგრატის მემკვიდრედ და თვითონ გარდაიცვალა 1008 წ. არ ვიცით, როდის გარდაიცვალა დედოფალი გურანდუხტი, მაგრამ ვიცით, 979 წ. ბაგრატ, შვილი მისი, ძალიან ყმაწვილი იყო, მაშასადამე გიორგი II-ს ქალს არ შეეძლო გათხოვება იმ დროს, რომელსაც ისტორია გვისახელებს. ჩვენ შევნიშნავთ აგრედვე, რომ აფხაზეთის სამეფო შეიცავდა მე X და XI საუკუნის დამდეგს, არა მარტო ჩრდილოეთ მხარეს შავი ზღვის პირისას, სადაც აგებულნი იყვნენ საოცარნი ნაშთნი ქრისტეანობის ხუროთ-მოძღვრებისა—მდიდარნი საეპისკოპოზო ტაძარნი ბედიისა, მოქვისა და დრანდისა, არამედ მთელს სამეგრელოს, სადაც მარტვილის ეკლესია აშენებულია ბაგრატ III-გან 976 წ.; შეიცავდა აგრედვე იმერეთს, სადაც მეფეებს სატახტო ქალაქი ჰქონდათ,

სადაც ააშენეს სავანის ეკლესია 981 წ., ქუთაისის დიდებული ტაძარი 1003 წ., ნიკორწმინდის მონასტერი რაჭაში, კაცხისა — არგვეთში და სხვანი. აფხაზეთი შეიცავდა კიდევ ჩრდილო ქართლს, სადაც აშენებულია წვიმოეთის ეკკლესია 1002 წ. და მრავალნი სხვანი; დასასრულ, აფხაზეთის სამეფოს საზღვართა შორის იყო სამცხეს მხარე, როგორც სჩანს კუმურდოს დიდებულ ეკლესიის ნაშთისაგან, აგრედვე წყაროსთავისა, ზედა-თმოგვისა და სხვა ეკლესიების წარწერათაგან; მაშასადამე, უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ მაშინდელი აფხაზეთი დუღდა და გადმოდიოდა მცხოვრებლებით, სახელ განთქმული იყო ქრისტეანობით, სიმდიდრით და განათლებით.

შემდეგ ლევანისა მეფედ დაჯდა ძმა მისი დიმიტრი. აფხაზნი ამაოდ სცდილობდნენ მის გადაგდებას და მიენდვნენ იმის ძმას თევდოსეს, რომელიც დაიბარეს კონსტანტინეპოლიდან.

შემდეგ დიმიტრის სიკვდილისა 979 წ. გამეფდა მისი ძმა თევდოსე, ძმის მიერ ღალატით დაბრმავებული. ეს მეფე არ უყვარდა ერს, რომელმაც სასაცილოდ დაარქვა „ჩალა-მეფე". 985 წ. დასვეს მის მაგიერ ბაგრატი, გურგენის და გურანდუხტის შვილი. სავანის ეკკლესიის კარებზე დღესაც არის წარწერა, გამოქანდაკებული 981 წ., რომელიც ამტკიცებს, რომ ბაგრატ კუროპალატი მაშინაც ცნობილი ყოფილა აფხაზეთის მფლობელად, თუმცა მეფის სახელი ერქვა მის ძმას. ეს ბაგრატ III ერმა ამოირჩია პირველ მეფედ აბხაზეთ-ქართლისა და იმის სკიპტრას ქვეშ იყო შეერთებული მთელი საქართველო და ხანდისხან ნაწილი ჩრდილო სომხეთისა და სპარსეთისა, სანამ 1259 წ. მოჰხდებოდა სამეფოს დანაწილება.

ქართლის ისტორიიდან სჩანს, რომ რუსუდანის შვილი დავით I, ნარინი, იმერეთის მეფე, განუდგა მონგოლებს 1259 წელს და გამეფდა ქუთაისში. ლიხის მთებით,—რომელიც ჩრდილოეთით სამხრეთისკენ მიიმართება ქართლის მინდვრის

საზღვარზე,—განიყოფებოდა ნარინისა და დავით, გიორგი ლაშას შვილის, სამეფოები. იმ მხარეს, რომელიც მდებარეობდა ლიხის მთის იქით ტფილისისაკენ, უწოდებდნენ ამერს, ხოლო იმ მხარეს, რომელიც მდებარეობდა ლიხის მთებიდგან დასავლეთისკენ—იმერს. აქედგან წარმოსდგა სახელწოდება იმერეთი, სადაც მეფობდა დავით ნარინი და მისი შთამომავლობა. აქედან დაწყებული განვლო 72 წელმა, როდესაც გიორგი ბრწყინვალემ ხელ-ახლავ დაიმორჩილა იმერეთი. დავითი გარდაიცვალა 1297 წ.

დავითის შემდეგ მისი შვილი კონსტანტინე გამეფდა. მას არ დაემორჩილა ძმა მისი მიქელი და დაიპყრო რაჭისა და ლეჩხუმის მხარე. ამის შემხედავმა დადიანმა გიორგი I-მა დაიპყრო ცხომის საერისთაო ანაკოფიამდე და მთელი ოდიშის მაზრა; შარვაშიძემ დაიფლო აფხაზეთი, გურია ემორჩილებოდა ვიდაც ერისთავს და სვანეთიც გადაუდგა იმერეთს.

საქართველოს მატიანედანა სჩანს, რომ დადიანის თანამდებობა იხსენება ივერიაში მე-XI საუკუნის დამდეგიდან. სიტყვა დადიანი სწარმოებს სპარსულ სიტყვიდან დად და სომხურიდან დათავორ—მსაჯული. მატიანე იხსენიებს ზოგიერთს დადიანს, სანამ დადიანობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა ერთ გვარში, თამარ მეფის დროს, როდესაც ერთი ვინმე ვარდანი მოხსენებულია თავის შვილებით, შვილის-შვილებით და შთამოებით ძველს ხატზე ხოპის მონასტერში. ვარდან იყო მსახურთ-უხუცესი მეფისა; მისი შვილის-შვილი ბედიანი იყო მანდატურთ-უხუცესი, ე. ი. მეფის ადიუტანტების უფროსი და დაესახლა ცხომში რუსუდანის მეფობის დროს. ამ ჟამსვე ერთი ვინმე, სახელად ცოტნე, რომლისაც გვარი არ არის ცნობილი, დადიანობდა. ზემოხსენებულმა გიორგი I-მა, ვგონებ, ბედიანის შვილმა, დაიმკვიდრა თავისთვის სამეგრელო და მთელი შავი-ზღვის პირი, თუმცა რაოდენადმე იმერეთის მეფის ფეოდალურ დამოკიდებულებაში იყო, რადგან მეფე უფრო ძლიერი იყო იმაზედ, და ეკუთვნოდა მეფის შთამომავლობას.

შარვაშიძე, ე. ი. შვილი შირვან შაჰისა, ქართულად შარვაშა, იყო შთამომავალი ბენიშედადის ოჯახისა, რომელიც ჰფლობდა ოდესმე შირვანს და რომლის უმცროსი შტო ქ. ანში ბატონობდა. ერთი ანელი მთავართაგანი, რომელიც ერგო ტყვედ მეფე დავით აღმაშენებელს, 1122 წ. წამოყვანილი იყო აფხაზეთში და იქიდან აღარ დაბრუნებულა თავის მამის მამულში.

მესამე სამთავროს შთამომავლობა, გურიელებისა, მოხსენებულია ისტორიაში რუსუდანის მეფობის დროს, თუმცა იმ გურიელის სახელი კი არ არის მოყვანილი. შემდეგ მემატიანე მოგვითხრობს, რომ 1330 წ სვანები აჯანყდნენ წინააღმდეგ მეფე გიორგი ბრწყინვალისა და გადასწვეს ქუთაისი. მეფემ გამოჰგზავნა იმათ წინააღმდეგ დადიანი და გურიელი და გადააყენა სვანეთის ერისთავი ვარდანიძე, რომელიც დაჰნიშნა გურიის ერისთავად; სვანეთის ერისთავად დაინიშნა ერთი ვინმე გელოვანი. ამ ვარდანიძეებიდგან, რომელნიც შეიქმნენ შთამომავლობით მფლობელნი გურიისა, წარმოსდგნენ ის გურიელნი, რომელნიც არიან მოხსენებულნი, თუმცა დაუსახელებლად, საქართველოსა და ევროპის სხვა და სხვა მატიანეში მე-XIV საუკუნეს. შემდეგში მოვიყვანთ პირველის გურიელის გარდაცვალების წელსა, რომლის სახელიც არის მოხსენებული გურიის ისტორიაში.

გელოვანის გვარი დარჩა უპირველეს გვარად სვანეთში, მაგრამ ამ გვარს არავითარი ისტორია არა აქვს.

ეს ზემოხსენებულნი მთავარნი, რომელნიც თანდათან გაძლიერდნენ, ბოლოს იმერეთის მეფის კონსტანტინესაგან დამოუკიდებელ მმართველებად შეიქმნენ. გიორგი I დადიანს, რომელიც გარდაიცვალა 1323 წ., — დარჩა მემკვიდრედ შვილი მამია I.

შემდეგ კონსტანტინეს გარდაცვალებისა, 1327 წ., ძმამისი მიქელ ამაოდ სცდილობდა ძველებურად დაემორჩილებინა ზემოხსენებული ერისთავები. მან მხოლოდ ის მოახერხა,

რომ დაითანხმა ემსახურნა ისინი ლაშქრობის დროს იმერეთის მეფისათვის. გარდაიცვალა 1329 წ. ამას შემდეგ საქმეები თანდათან უფრო აიწეწა.

მიქელის შვილი იყო ბაგრატ I, რომელსაც უმცროსს უწოდებდნენ, რადგან ქართლში მეფობდა მეორე ბაგრატი, წოდებული უფროსად. ამ ბაგრატ I-ს არ სცნობდნენ მეფედ, დიდებულნი მისის მცირე-წლოვანებით სარგებლობდნენ და იკლებდნენ მხარეს. ეს რომ მეფე გიორგი ბრწყინვალემ შეიტყო, შეთანხმდა იმერლებთან, დაიმორჩილა მთელი იმერეთი, რომელიც 130 წლ. განმავლობაში,—ე. ი. სანამ საქართველო განიყოფებოდა სამ ნაწილად,— დარჩა ქართლის მეფის მფლობელობის ქვეშ. მხოლოდ დავით ნარინის შთამომავლობა ირიცხებოდა ერისთავად და იღებდა ინვესტიტურას ქართლის მეფეთაგან. ამ გვარ დამოკიდებულებაში იყო ბაგრატიც, რომელმაც შეირთო, საქართველოს მეფის დავითის ნება-რთვით, ელენე, ყვარყვარე ათაბაგის ქალი, 1355 წ.

გიორგი ბრწყინვალეს ნება-რთვით დადგენილ იქმნა დადიანად გიორგი II 1345 წ. შემდეგ იმის მამის მამიას გარდაცვალებისა. თითონ გიორგი II მოკვდა 1384 წ. და მეფე ბაგრატმა უფროსმა დადიანად დააყენა შვილი მისი ვამიყ I.

უმცროსი ბაგრატი გარდაიცვალა 1372 წ. და, ქართლის მეფის ბაგრატის ბრძანებით, ერისთაობა მიეცა მის შვილს ალექსანდრეს.

ალექსანდრე პირველმა ისარგებლა ქართლის სამეფოს შესუსტებით, რადგან თვით ბაგრატ უფროსი ტყვედ იყო წაყვანილი ლანგ-თემურის მიერ და არც შვილი მისი გიორგი იყო მაშინ იმერეთში. ალექსანდრე არამც თუ აღარ ემორჩილებოდა ქართლის მეფეს, არამედ მან დაიფლო მთელი იმერეთი და გამოაცხადა თავისი თავი მეფედ. ეკურთხა სამეფო გვირგვინით გელათში და ურჩევდა აგრედვე დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და სვანეთის ერისთავებს, რომ ისინიც განდგომოდნენ ქართლის მეფეს, მაგრამ იმის შიშით, რომ ქუ-

თაისის ციხეში იდგა ქართლის ჯარი, ვერ მიემხრნენ ალექსანდრეს. ალექსანდრემ მაინც დაიჭირა იმერეთში რამდენიმე ციხე და განამტკიცა თვისი უფლება. გარდაიცვალა 1389 წ.

ალექსანდრეს შემდეგ გამეფდა ძმა მისი გიორგი I; ეს მეფე გაძლიერდა რამდენისამე ციხის აღებით,—რომელიც ეჭირათ ქართლელებს,—და ცდილობდა დაემორჩილებინა უმთავრესნი დიდებულნი. დაუკითხავად ქართლის კათალიკოზისა, მან დაჰნიშნა 1390 წ. აფხაზეთის კათალიკოზად ვინმე არსენი. რადგანაც დადიანი არ ემორჩილებოდა გიორგი მეფეს, მან ომი გამოუცხადა დადიანს. ვამიყმა თავის მეგრელებით ძლიერ დაამარცხა იმერეთის მეფე, რომელიც მოკლულ იქმნა ომის ველზე. დადიანის მოწოდებით საქართველოს მეფემ დაიჭირა იმერეთი. გიორგის ძმამ და ძმისწულმა თავი შეაფარეს ბასიანის მხარეს და დარჩნენ იქ ოთხს წელიწადს.

1396 წ. იმერლები ქართლის ჯართან ერთად შეებრძოლნენ ლანგ-თემურს, მაგრამ დამარცხდნენ.—ვამეყ დადიანმა გაილაშქრა ჯიქებისა და ალანების ქვეყნებში და გაიმარჯვა. ამ ლაშქრობის შესახებ დაცულია წარწერა ხოპის მონასტრის ეკვდერის ქვაზე, რომლის ქვეშ დაუმარხავს თავისი მშობლები და თავისი და მარეხი ვამეყ დადიანს. ამ გალაშქრების შემდეგ მეს მრავალი განძი და ნადავლი წამოუღია. იგი გარდაიცვალა იმავე წელს და გარდასცა დადიანობა თავის შვილს მამია II ს

კონსტანტინე II-ს ძმამ და იმერეთის მეფის მემკვიდრემ გიორგიმ დაიპყრა მთელი იმერეთი, ისე, რომ ქართლელებს წინააღმდეგობა არ აღმოუჩენიათ, რადგანაც ისინი ლანგ-თემურს ეომებოდნენ. კონსტანტინე მეგრელებმა 1401 წელს მოჰკლეს ჩალოღანს ანუ ჩალიანში, რომლის მდებარეობა არ არის ჯერ გამორკვეული. ჩვენ არ ვიცით არც ის, თუ რისთვის მოჰკლეს კონსტანტინე. მას ვაჟი არ დარჩენია.

კონსტანტინეს მემკვიდრედ შეიქმნა დიმიტრი, ალექსანდრე I-ს შვილი. იმის მცირე-წლოვანობით და სისუსტით

ისარგებლა გიორგიმ, ქართლის მეფემ, შემოვიდა იმერეთში დადიანის და იმერლების შემწეობით, შეიპყრა დიმიტრი, გაჰგზავნა იგი სომხეთში და დაიპყრა იმერეთი. გიორგის მემკვიდრემ, კონსტანტინემ, აღარ გამოუშვა ის, მაგრამ ალექსანდრე გაიტაცა დიმიტრის დის თამარის მშვენიერებამ, შეირთო იგი ცოლად და დაუბრუნა თავის ცოლის ძმას იმერეთი, როგორც საერისთაო.

მამია დადიანს, რომელიც მოკლულ იქმნა ომში აბხაზებთან 1414 წ., დარჩა მემკვიდრედ შვილი ლიპარიტ I.

შემდეგ დიმიტრის გარდაცვალებისა, მისმა შვილმა, ბაგრატ II-მ, მიიღო ინვესტიტურა ქართლის მეფის გიორგისაგან. ყვარყვარე ათაბეგმა შეაგონა ბაგრატი და მან აღუთქვა მიენიჭებინა სრული დამოუკიდებლობა სამეგრელოსა, გურიისა, აფხაზეთისა და სვანეთის ერისთავებისათვის, რითაც მიიმხრო ისინი ბრძოლაში, რომელიც მან განიზრახა. ის წინააღუდგა ქართლის მეფეს, გაჰყარა ყველა ციხის უფროსები, რომელნიც იყვნენ დაყენებულნი იმერეთის სიმაგრეებში მეფე გიორგისაგან, რომელმაც შეჰკრიბა თავისი ჯარი და შევიდა იმერეთში. ბაგრატმა აღარ მოუცადა ათაბეგს, რომელიც უნდა მიჰშველებოდა თავის ჯარით, ეომა გიორგის ჩიხორში და დაამარცხა, რის შემდეგაც გიორგი გაიქცა ქართლს 1462 წ.

გამარჯვებული ბაგრატი ეკურთხა სამეფო გვირვინით ქუთაისში, ყველა თავის მოკავშირეთა თანხმობით, რომელნიც დასაჯილდოებლად მათის სამსახურისა, აღიარებულ იყვნენ დამოუკიდებელ მფლობელებად. მათ დაედოთ მხოლოდ ერთი ვალდებულება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში უნდა აღესრულებინათ სამხედრო სამსახური, ჯარით შესწეოდენ მეფეს და უნდა ყოფილიყვნენ იმერეთის მეფის უზენაესს მფლობელობის ქვეშ. ამას შემდეგ იმერეთის მფლობელნი იწოდებოდნენ მეფეებად. სამეგრელო დარჩა დადიანებს, გურია — ვარდანიძეებს, აფხაზეთი და ჯიქეთი — შარვაშიძეებს და სვანეთი — გელოვანებს.

ყვარყვარე ათაბეგის ორჭოფა მოქმედებამ ამ განხეთქილების დროს განარისხა მეფე გიორგი, რომელმაც ძალით გააგდო ის სამცხიდან და აიძულა გაქცეულიყო იმერეთში. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც დარვიშ გილიაკი დაეცა ქართლს, ბაგრატი შეეწია ათაბეგს და მან ისევ დაიფლო საათაბაგო. ყვარყვარემ დაამარცხა მეფე გიორგი 1465 წ., წაიყვანა ტყვედ და აღარ გამოუშვია, სანამ ბაგრატმა არ ისარგებლა ამ ხელშემწყობ გარემოებით და არ დაიმორჩილა მთელი ჩრდილოეთი ნაწილი ქართლისა. ბაგრატი ისე მოქმედებდა, თითქო კახეთის დაპყრობაც განიძრახოო. 1466 წ., როცა მან შეიტყო განთავისუფლება გიორგი მეფისა, დაბრუნდა შინ.

რადგანაც კონსტანტინე, გიორგის მემკვიდრე, დარაჯობდა იმერეთიდგან ლიხის მთის გასავალ ადგილებს, ბაგრატმა შეჰკრიბა დიდი ჯარი, შევარდა უეცრად შუა ქართლში, დაიჭირა იგი და აგრედვე სხვა ადგილებიც, რომელიც მდებარეობდა სამხრეთ ნაპირად და იძულებულ ჰყო მეფე გიორგი თავი შეეფარა ტფილისში და დაკმაყოფილებულიყო სომხეთით. თითონ კი ჰფლობდა თავის ნებაზე ქართლს 7 წლის განმავლობაში და ამ დროს სიგელებიც მრავალი გამოსცა. ამასთანავე იგი აქეზებდა და ურჩევდა კახეთის მფლობელს, რომ დაებრუნებინა უკანვე კახეთის ის ადგილები, რომელიც წაართვა მეფე კონსტანტინემ. ერთის სიტყვით, ოცნებობდა დაეარსებინა ერთ-მეფობა საქართველოში.

ლიპარიტ დადიანის მემკვიდრედ შეიქმნა 1470 წ. შვილი მისი შამან-დავლე, რომელიც 1474 წ. გარდაიცვალა. იმის მემკვიდრედ შეიქმნა ბიძა მისი ვამეყ II, რომელიც გულ-გრილად ვერ იტანდა ბაგრატის თანდათანს გაძლიერებას. აფხაზეთის და გურიის შემწეობით ხშირად დაეცემოდა ხოლმე იმერეთს, სძარცვავდა და იფლობდა სხვა და სხვა მხარეებს. ამის გამო ბაგრატი საჩქაროდ გამობრუნდა თავის ჯარით, რომელშიაც ქართლის ჯარიც ერია. ვამეყი დამარცხებულ იქმნა 1477 წ., სამეგრელო ააოხრეს და ციხეებიც იმერლებმა დაი-

ბყრეს; მაშინ ვამეყი უნდა დამორჩილებიყო და ეთხოვნა მეფისათვის შეწყნარება. მეფემ დაუბრუნა საფლობელო და დასტოვა ადრინდელ მდგომარეობაში.

შემდეგ ამისა ბაგრატი დაეცა ხელ-ახლად ქართლის მაზრებს, საშინლად ააოხრა და მეფე კონსტანტინეს გადააგდებდა ტახტიდამ, თუ რომ უზუნ-ასანი არ შემოსულიყო ქართლში. ბაგრატი აღარ შეებრძოლა უზუნ-ასანს მას შემდეგ, როცა კონსტანტინე დაემორჩილა ამ უკანასკნელს. შემდეგ ბაგრატი გადავიდა რაჭაში და იქ გარდაიცვალა 1478 წ.

ჩვენ მოვიხსენეთ ზემოდ, რომ მეფე გიორგი I-მა დააწესა აფხაზეთის კათალიკოზობაო, მაგრამ ისტორიაში არაფერი არ არის მოხსენებული არც არსენის გარდაცვალებაზე, რომელიც ვითომ კათალიკოზად აკურთხეს და არც მის მოადგილეებზე. რადგან ასის წლის განმავლობაში იმერეთის მეფეები სუსტნი იყვნენ, ალბად იმიტომ არ ჰქონდათ შეძლება ეზრუნათ საეკლესიო იერარქიის დაწესებისათვის. ახლად დამკვიდრებულმა იმერეთის მეფემ, ბაგრატმა, 1472 წ. თავის სიკვდილის რამდენისამე წლის წინად დასვა აფხაზეთის კათალიკოზის ტახტზე ადრე ნამყოფი არხიეპისკოპოზად ცაიშისა და ობედიისა იოაკიმე, რომელიც აკურთხა ანტიოქიის პატრიარქმა იხეილმა. ჩვენამდის დაცულია ოფიციალური სიგელი, ამ შესამჩნევ გარემოებით გამოწვეული. ამ სიგელით და ისტორიის ნაშთების საშუალებით შესაძლებელია შედგენა კათალიკოზების განუწყვეტელ სიისა აფხაზეთში მე-XVIII საუკ. დამლევამდე, როდესაც ამ კათალიკოზების კათედრა მოისპო.

როცა ალექსანდრე II, ბაგრატის შვილი, გამეფდა, მოიწოდა დაგვირგვინების დროს ოთხივე მთავარი, რომელნიც იყვნენ მის ხელ ქვეით. დადიანმა და სხვებმაც არ მიიღეს მიპატიჟება. როგორც კი შეიტყო მეფე კონსტანტინემ, შემოვიდა იმერეთს 1479 წ. მას ეწეოდენ იმერლები და დადიანიც, რომელსაც სურდა მაგიერი გადაეხადა ადრინდელ შეურაცხყოფისათვის. დადიანმა გადასცა კონსტანტინეს ქუ-

თაისის ციხე. ალექსანდრემ შეაფარა თავი უშიშარ ადგილს. — სამის წლის შემდეგ ვამეყის მემკვიდრეთ შეიქმნა მისი ძმისწული ლიპარიტ II, შამან დავლეს შვილი. 1480 წ. გარდაიცვალა პირველი ისტორიში მოხსენებული გურიელი კახაბერი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ანნა. ერთს ხატზე, რომელიც არის შემოქმედის მონასტერში, იმას უწოდებენ ერისთავთ-ერისთავად, „ერისთავად სვანეთისა". ამითი მტკიცდება სიმართლე ზემოხსენებულ მოთხრობისა, რომ ვარდანიძეების გვარი გადმოსულია სვანეთიდან გურიაში.

როგორც კი მეფე კონსტანტინე დამარცხდა ათაბეგისაგან, ალექსანდრე შემოვიდა მაშინვე ქუთაისში, რაჭველების და ლეჩხუმელების შემწეობით, და მეფედ ეკურთხა 1484 წ. ხელ-ახლად მოწოდებული დადიანისაგან კონსტანტინე მეორედ შემოვიდა იმერეთში და აიძულა ალექსანდრე დაეცალა ქუთაისი. მას ჰქონდა გარდაწყვეტილი აღარ გასულიყო ქუთაისიდან, სანამ არ მოსპობდა ალექსანდრეს მეფობას და კიდევაც აღასრულებდა ამ განზრახვას, რომ ასან-ბეგი, სპარსეთის შაჰის იაყუბის მიერ წარმოვლენილი, არ შემოდგომოდა ასაღებად ტფილისს. ამის გამო კონსტანტინე იძულებული შეიქმნა დაბრუნებულიყო ქართლში. ალექსანდრემ ისარგებლა მისის წასვლით, დაიფლო ქუთაისი და მთელი იმერეთი, მოურიგდა დადიანს და გურიელს და დაიმორჩილა აფხაზეთი და სვანეთი.

შემდგომ ამისა ალექსანდრე დაუახლოვდა კონსტანტინეს და სცდილობდა წესიერებაში მოეყვანა, როგორც მთელი სამეფო, აგრეთვე სახელმწიფო საქმეები. მან დაამცირა თავისი მტრები, ქვეყნის მართვა მიანდო კეთილ-საიმედო კაცებს და მოსთხოვა დადიანს და გურიელს, რომ დაწესებული, როგორც სამხედრო, აგრეედვე ნადირობის სამსახური, მტკიცედ აღესრულებინათ. შემდეგ კონსტანტინეს გარდაცვალებისა, შეესია ქართლს, დაიჭირა ქ. გორი ისე მალე, რომ მეფე დავითმა წინააღმდეგობაც ვერ გაუწია, მაგრამ იძულებული იყო მალე დაბრუნებულიყო, რადგანაც ჯიქები დაეც-

ნენ იმერეთს. ჯიქებმა უომოდ დაიხიეს უკან. შემდეგ ამისა მეფე ავად გახდა და გარდაიცვალა 1510 წ. ამავე წელს გარდაიცვალა აგრედვე დედოფალი თამარი, რომელიც დაიმარხა მასთან ერთად გელათის მონასტერში.

ბაგრატ III, ალექსანდრეს შვილი, 15 წლისა იყო, როდესაც აღიარებულ იქმნა მეფედ ყველა იმერთა და მთავართაგან. მისის მეფობის მეორე წელს თათრის ჯარმა დაიჭირა მთელი სამცხის მხარე და აიძულა ათაბეგი დაჰმორჩილებოდა მას. ათაბეგის შემწეობით ეს ჯარი შემოვიდა იმერეთში ფერსათის მთით და აიკლო მთელი ქვეყანა ცეცხლითა და მახვილითა. რადგან მეფემ ვერ შესძლო მათი შებრძოლება, შეაფარა თავი ციხე-სიმაგრეში, სადაც ხალხიც შეიყვანა. თათრებმა გაძარცვეს მთელი მხარე, დააცარიელეს ქუთაისი და გელათი და დაბრუნდნენ. მაშინ ბაგრატი გამოვიდა თავის საფრიდან და სცდილობდა შეემსუბუქებინა ხალხისათვის ეს საშინელი ოხრება.

იმავე წელს გარდაიცვალნენ: ლიპარიტ დადიანი, რომლის მემკვიდრედ დარჩა, მეფის თანხმობით, ნათესავი მისი მამია III,—და გიორგი გურიელი, რომლის მემკვიდრედ მეფემ იცნა შვილი მისი, მამია IV.

ვახტანგი, უმცროსი ძმა მეფე ბაგრატისა, რომელიც ემდუროდა მას რაღაც მიზეზისა გამო, გაიქცა ქართლში დიდის ამალით, რომელიც შესდგებოდა თავადთა და აზნაურთაგან. მეფე გამოეკიდა და დაეწია მოხისს, სადაც სასტიკი ომი გაიმართა. მეფემ გაიმარჯვა და თან წამოიყვანა ძმა იმერეთში.

შემდეგ ამისა მამია გურიელი გაემგზავრა ქართლში შესარიგებლად მეფე დავითისა და იმის სიძის ლევანის, კახეთის მთავრისა, და როდესაც დავითმა უარი განაცხადა, მოჰხდა ომი მოხისში, სადაც დავითი დამარცხდა და დასთანხმდა შეჰრიგებოდა ლევანს.

სულთან სულეიმან მეორის დროს მეფე ბაგრატმა ქართლისა და კახეთის მეფეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს

იერუსალიმს გალაშქრებაში, რომელიც მოხსენებულია ქართლის ისტორიაში [1]).

შემდეგ ქუთაისის ეპისკოპოსის გერასიმეს გარდაცვალებისა 1529 წ., რომლის ნაცვლად დადგა ძმისწული მისი სიმონ, მეფე ბაგრატმა დააწესა იმერეთში კიდევ ორი საეპისკოპოსო ქუთაისის გარდა. გელათის პირველ ეპისკოპოსად მან დაჰნიშნა მელქისედეკ საყვარელიძე. დიდებული წინამძღვარი გელათისა ილარიონი გარდაიცვალა ათის წლის წინად ამ ამბავამდე, მაგრამ არ ვიცი, ვინ დაჰნიშნეს მის ადგილზე, მანამ აქ ეპისკოპოზობა დაწესდებოდა. მეორე ეპისკოპოსათ ხონში დააყენეს მცხეტიძე, რომელიც იყო ნაკურთხი კათალიკოზის მალაქია აბაშიძის ძიერ ბიჭვინტის ტაძარში ერთად ზემოხსენებულ მელქისედექთან. ჯერ არ არის კიდევ გამოკვლეული, როდის დაარსდა იმერეთში მეორე საკათედრო ეპისკოპოსობა ნიკორწმინდისა და მეხუთე—ლეჩხუმში. ერთი უცნობი მემატიანე მოგვითხრობს, ვითომც რამდენისამე ხნის შემდეგ ბაგრატს დაუთმეს მთელი ნაწილი ქართლისა, დასავლეთისკენ იმ მდინარისა, რომელიც ჩამოდის არადეთის ძირში. ამ ადგილებს შეადგენდა: სურამი და ახალდაბა. ისტორიკოსი არ იხსენიებს, რა მიზეზით მოჰხდა ამ ადგილების დათმობა.

ჯიქნი, რომელნიც სცხოვრობდნენ შავი-ზღვის პირად გაგრამდე, ხშირად თავს ესხმოდნენ სამეგრელოს და გურიას. იმათ დასასჯელად მამია დადიანი და მამია გურიელი მივიდნენ ჯიქეთში ზღვით. ჯიქები დახვდნენ მათ და ომში დადიანი მოჰკლეს, ხოლო გურიელი ტყვედ წაიყვანეს; დავლა დარჩა მტერს. 1532 წ. ლევან I აღვიარებულ იქმნა დადიანად. გურიელი, რომელიც მისმა შვილმა ტყვეობიდან გამოისყიდა, გარდაიცვალა 1534 წ. და როსტომ დარჩა მის მემკვიდრეთ.

ერთ-მეფობის დროს რაჭის მაზრა ირიცხებოდა მეფის

---

[1]) როგორც ანაქრონიზმი.

სრულს დამოკიდებულებაში. თამარის, გიორგი ლაშასა და რუსუდანის დროს აქ იყვნენ ძლიერნი ერისთავნი, მაგრამ, რაოდენადაც ვიცით, იმათ არ ჰქონდათ უფლება საერისთაოს მემკვიდრეობით გადაცემისა. რაჭა რაოდენადმე ეკუთვნოდა არგვეთისა და ქუთაისის მაზრებს. ეხლა კი მეფე ბაგრატმა განიზრახა რაჭაში დაეწესებინა ერისთაობა, რომელიც მამისაგან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა, და უნყალობა შოშიტა ჩხეიძეს რამდენიმე სამეფო სოფელი, ციხე, მინდორი და დაჰნიშნა ის რაჭის ერისთავად. ჩვენის აზრით ამავე დროს უნდა დაარსებულიყო ნიკორწმინდის საეპისკოპოზო.

ამას შემდეგ ბაგრატმა შეიტყო, რომ სამცხის მხარე აეკლო სპარსეთის სარდალს დევალს; თან გაიხსენა, რომ ოცის წლის წინად ათაბეგმა მზე-ჭაბუკმა შემოიყვანა იმერეთში ოსმალოს ჯარი. ამიტომ შეჰკრიბა სამეგრელოსა და გურიის ჯარი და დაეცა სამცხეს, ეომა ყვარყვარე ათაბეგს სოფელს მურჯახიდში 1534 წ. ათაბეგი დამარცხდა და ის ტყვეთ წაიყვანა გურიის მთავრის მელვინეთუხუცესმა ისაკ არტულაძემ, რომელმაც გარდასცა ბაგრატს. ბაგრატმა დაიჭირა მთელი სამცხე და გარდასცა გურიელს როსტომს აჭარის და ჭანეთის მხარე, რომელნიც მას წაართვა ათაბეგმა შემდეგ ოსმალების ლაშქრობისა.

შაჰ-თამაზის პირველსავე ომის დროს მეფე ლუარსაბთან, როდესაც სპარსებმა სომხეთი დაიჭირეს, ბაგრატი გამოეცხადა შაჰს ყარაბაღში 1538 წ. და სთხოვა შემწეობა და თავის ხარით აღუთქვა მთელის საქართველოს დაპყრობა. შაჰმა მოწყალედ მიიღო და დაასაჩუქრა იმ სიმარდისათვის, რომლითაც შვილდ-ისარს ჰხმაროობდა, მაგრამ, რადგანაც სხვა საქმეში იყო გართული, იმის წინადადება უარ-ჰყო. სპარსეთი ისტორიკოსი ისკანდერ მუნჯი ამბობს, რომ შეყრა მეფისა და შაჰისა მეორედ შაჰის საქართველოში შემოსვლის დროს მოჰხდა 1546 წელსაო.

ათაბეგ ქაიხოსროს შვილი მიენდო ოსმალთა, რომელ-თაც მისცეს მაშველი ჯარი დიდ-ძალის არტილერიითურთ, მუსტაფა-ფაშას სარდლობით. ბაგრატმა დაუყოვნებლივ მიჰ-მართა დადიანსა და გურიელსა და სთხოვა შემწეობა, მაგ-რამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო უარი შემოუთვალეს. მაშინ ბაგრატმა შეჰკრიბა იმერლები, დაეცა და დაამარცხა ოსმალოს ჯარი ტაოს მხარეში. ამ ომში მუსტაფა-ფაშა მოჰკ-ლეს, მრავალი ოსმალი ამოსწყვიტეს, გადარჩა მხოლოდ ის, ვინც გაქცევა მოასწრო. დიდი დავლა და ზარბაზნები დარ-ჩათ იმერლებს 1541 წ. მაგრამ ამითი საქმე არ გათავებულა. გაბრაზებულმა ხონთქარმა უბრძანა არზრუმის და დიარბეკი-რის ფაშებს შეეკრიბათ ყველა თავისი ჯარი და თავს დასხ-მოდნენ ბაგრატს. რაკი დადიანმა ბაგრატს შემწეობაზე უა-რი შემოუთვალა, ბაგრატმა მიჰმართა თავის სიძეს, მეფე ლუ-არსაბს, და ქართლის ჯარით შევიდა ბასიანის მაზრაში, სა-დაც ოსმალები დაბანაკებული იყვნენ. ბრძოლა 1545 წ. მოჰ-ხდა სოხოისტანში, რომლის მდებარეობა ჯერ არ არის გამორ-კვეული. ახლა კი ბედმა უღალატა ქართველებსა, იმიტომ რომ მესხნი არ ემორჩილებოდნენ მეფეს და ომის დროს ცი-ლობა დაიწყეს. ღალატიც კი იქმნა შემჩნეული. აქ მოიკლა ქაიხოსრო გურიელის შვილი და მასთან მრავალი ქართველი. ბაგრატმა შეაფარა თავი ქუთაისში. შემდეგს წელს მან წა-მოიღო აწყურის ღვთის-მშობლის ხატი და დაასვენა ციხე-ჯვარში, შევიდა სამცხეში, მაგრამ ციხეები ვეღარ წაართვა ოსმალებს. მიუხედავად ამისა ბაგრატმა განიზრახა შემოერ-თება დადიანისა და გურიელის სამთავროებისა. ამ აზრის აღსასრულებლად მიიწვია დადიანი, ვითომც სანადიროდ, ხო-ნის ტყეში, და შეიპყრა 1545 წ. შემდეგ მიჰმართა გურიელს ამ გვარისავე მიწვევით და თან ჰპირდებოდა, დადიანის სამ-თავროს გიწყალობებო. გურიელმა საეჭვოდ მიიჩნია ეს მიწ-ვევა და ბოდიში მოიხადა, ვერ მოვშორდები ჩემს ქვეყანას, ბედზედ ჰკიდია ჩემი მდგომარეობა, ისე ვარ შევიწროებუ-

ლი სხვა და სხვა მტერთა შორისაო. ამასთანავე ურჩევდა მეფეს გაენთავისუფლებინა დადიანი. მეფე არ უშვებდა დადიანს, რომელიც ჰყავდა შეპყრობილი გელათის სამრეკლოში და ეშინოდა, რომ შემდეგ იმის სიკვდილისა მეგრელები არ შეერთებოდნენ გურიელს. ათაბეგის ჩაგონებით, ხოფილანდრე ჩხეიძემ გამოუშვა დადიანი, მოიყვანა ახალციხეს და გურიელმა გზა მისცა ოდიშისაკენ. ბაგრატი სახტად დარჩა, ეს რა მომიხერხესო.

ამასობაში თათრები დაეცნენ გურიელს, რადგან უნდოდათ დაესაჯათ ბაგრატის შეწევნისათვის, წაართვეს ჭანის მაზრა და დაიწყეს ბათუმის ციხის შენება. ლევან დადიანი მისდა მადლობის გრძნობით სავსე, გაეშურა მისაშველებლად. მეფე ბაგრატმა გაუგზავნა ძმა თვისი ვახტანგი, გაატანა დიდძალი ჯარი და დაავალა, სხვა და სხვა მანქანებით უნდა დააშორო ეს ორი მოკავშირეო. მოკავშირეთა ჯარის მოსვლამდე გურიელმა დაამარცხა ხმელეთად ოსმალნი, რომელნიც გავიდნენ მდ. ჭოროხს გაღმა და დაიწყეს აშენება გონიის ციხისა. რადგანაც გურიელმა ვერ იშოვნა ნავები, წყლის პირას დარჩა. ვახტანგი მოელაპარაკა დადიანს რიონის შესართავთან და დააჯერა, რომ შევარდნილიყო გურიაში და არ მოეკვლევინებინა თავისი თავი გურიელისთვის, რომელიც ფიქრობდა ვითომ სამეგრელოს დაპყრობასა. დადიანმა დაუჯერა ამ სიცრუეს. ვახტანგმა ახლა კი მიანება თავი დადიანს. რადგანაც გურიელს არ ჰქონდა ნავები, ველარ დაუშალა ოსმალებს ციხის აშენება. როდესაც გონიის ციხე აშენდა, მაშინ წაართვეს მას აჭარისა და ჭანის მაზრები. ბაგრატმა იმეფა 38 წელი და გარდაიცვალა 1548 წ,

შემდეგ ამისა იმეფა გიორგი II-მ, ბაგრატის შვილმა, რომელიც მოურიგდა გურიელს და მოიყვანა წესიერებაში იმერეთის საქმეები. პატივსაცემლად დედისა თვისისა თამარისა მან 1556 წ. თავი შეაფარებინა მის მეუღლესა მეფე ლუარსაბს, რომელიც იყო დამარცხებული შაჰ-თამაზისაგან. გიორ-

ბი დაუმეგობრდა აგრედვე ათაბეგს ქაიხოსროს 1562 წ. და დაუბრუნა აწყურის ღვთის-მშობლის ხატი, რომელიც იყო ციხე ჯვარიდგან შაჰ-თამაზის მიერ ცხრა წლის წინად წაღებული და რომელიც ხელ-მეორედ მანვე, გიორგიმ, წაართვა შაჰ-თამაზს. შემდეგ პირველ მეუღლის გარდაცვალებისა მან შეირთო 1563 წ. რუსუდან შარვაშიძის ქალი; ამ დროიდამ საქართველოს ჩვეულებისამებრ დაიწყო სიგელებში მოხსენება ახალის ინდიკტიონისა, ე. ი. თვისის მეფობის წელთ-აღრიცხვისა თავის მეორე მეუღლის შერთვის შემდეგ. გელათის ტაძარში სჩანს ეხლაც დახატული სახე მისი, რუსუდანისა და მათის ვაჟის ბაგრატისა, რომელიც დაებადათ შემდეგ ორის წლისა დაქორწინების დღიდან.

მეფე გიორგიმ როსტომ გურიელის მემკვიდრედ, რომელიც გარდაიცვალა 1564 წ.,—დაჰნიშნა შვილი მისი გიორგი II. ლევან დადიანმა, რომელიც განშორდა თავის მეუღლეს, როსტომის ასულს, მოსტაცა ცოლი თავის ბიძას ბათულიას, და შეირთო. გიორგი გურიელს, რასაკვირველია, ძალიან ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომც აქ არაფერიაო, დაუახლოვდა დადიანს და შეირთო მისი ასული, რომელიც მალე გააგდო სახლიდან მაგიერის გარდასახდელად თავის დის შეურაცხყოფისათვის. გურიელისადმი შურის გრძნობით აღძრული დადიანი დაუახლოვდა მეფე გიორგის, რომელმაც მიათხოვა გურიელს თავისი ქვრივი მამიდა. შემდეგ ამისა დადიანი ხელ-ახლად მოურიგდა გურიელს და დაეცა უეცრად მეფეს იანეთში. თან ახლდნენ დადიანს ხოსრო, მეფე გიორგის ძმა, რევაზ ჭილაძე, ლიპარტიანელები და მეგრელები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ომში. მეფემ დაამარცხა და გააქცია მოკავშირენი 1568 წ.

შემდეგ ამისა მეფე და გურიელი შეერთებულის ჯარით დაეცნენ დადიანს და დაამარცხეს. დადიანი წავიდა სტამბოლს და მისმა მტრებმა დაიჭირეს სამეგრელო. ლევანი მალე დაბრუნდა არზრუმის და ტრაპიზონის ჯარით, რომე-

ლიც მისცა სულთანმა, და დადგა იმ ადგილას, რომელსაც ჟუძახიან სატყეპელას. გურიელი შეშინდა და ათი ათასი დრახმის (15 ათასი მანეთი) დახარჯვით გადირჩინა თავი.

მეფე გიორგიმ ბრძანება გასცა, რომ მოეკლათ ღალატისათვის ჯავახ ჭილაძე, მაგრამ ლევანმა და გურიელმა ნება არ მისცეს მეფეს, რომ მამული ჩამოერთმია მისთვის და ის მამული თითონ გაიყვეს სანახევროდ.

1572 წ. ლევან დადიანი გარდაიცვალა მარცხის გამო, რომელიც შეემთხვა ნადირობის დროს: მისი ცხენი დაეტაკა ვიღაც ჯაიანის ცხენს. დადიანობა მიიღო მისმა შვილმა გიორგი მე-III. მან მიათხოვა თავისი და 1573 წ. მეფე ბაგრატის შვილს გიორგის. მეფისა და დადიანის ამნაირის დაახლოვებით გაჯავრებულმა გურიელმა მიიწვია ძმა დადიანისა, მამია, შერთო თავისი და ცოლად და დაეცა ზუგდიდს. დადიანი დამარცხდა და გაიქცა ანაკოფიაში. მამიამ მიითვისა დადიანობა. მაშინ ორთავე მოკავშირემ სთხოვეს მეფე გიორგის, დაებრუნებინა სამეგრელოსთვის ჭილაძის მამული, რომელიც მას ჰქონდა წართმეული. მეფე პატივსაცემად ნათესავურის კავშირისა დასთანხმდა ამაზე. სამნივე მთავარნი იქნებოდნენ მშვიდობიანად, რომ გაქცეული დადიანი არ დაბრუნებულიყო ოსმალოს ჯარით. როგორც კი ეს ამბავი შეიტყო, გურიელმა მიაშველა თავისი ჯარი მამიას, რომელმაც ხელ-მეორედ განდევნა გიორგი დადიანი. დადიანმა ხელ ახლად შეაფარა თავი აფხაზეთში.

1578 წ. გარდაიცვალა გიორგის მეუღლე რუსუდანი და შვილი მისი ბაგრატი. ამავე წელს გარდაიცვალა აგრედვე კათალიკოსი ევდემოს ჩხეიძე, რომელმაც 1568 წ. დაიჭირა საპატრიარქო კათედრა, მაგრამ, არ ვიცით, რომელ წელს ეკურთხა პატრიარქად. არ არის გამორკვეული, თუ ევდემოსი მალაქია აბაშიძის შემდეგ პირველი პატრიარქი იყო.

როდესაც ლალა-ფაშა შევარდა ქართლში და იქიდამ დაბრუნებული მოადგა ლიხის მთებს, იმერლებმა დაიჭირეს მა-

გარი ადგილი და იქ უდარაჯებდნენ ოსმალების მოახლოვებას. როცა გამოჩნდნენ, დაეცნენ, მრავალი მათგანი დაჰხოცეს და წამოიღეს დიდი ნადავლი.

დადიანად ნამყოფი გიორგი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა და სთხოვა მეფეს შებრალება. მაშინ მეფემ ჰკითხა რჩევა გურიელს და მამიას. გურიელი, რომელიც კმაყოფილი იყო მით, რომ მიატოვა თავისი ცოლი, ლევან დადიანის ქალი, —თხოულობდა მხოლოდ, რომ გიორგის მიეცა სამაგიერო, რომელიც ერგებოდა მისის დის მატოვებისთვის. თუ გიორგი ამ პირობას აასრულებდა, გურიელი ჰპირდებოდა— მამია დადიანობაზე ხელს აიღებსო. გიორგი დადიანი დასთანხმდა ამაზე იმ პირობით, რომ მეფე გიორგის მიეთხოვებინა მისთვის თავის ცოლის და. რადგანაც დადიანს ფული არ ჰქონდა, გირაოდ ფულის გადახდამდე დაუტოვა ხოფის მაზრა. მამია დადიანი დააკმაყოფილეს რევაზ ჭილაძის შამულითა და შემდეგ ამისა მშვიდობა დამყარდა მეფესა და მთავართა შორის.

ბათულიას სურდა როგორმე ამოეყარა ჯავრი მისის ცოლის წართმევისათვის; მან მოუყარა თავი საჯავახოელებს და რამდენსამე მეგრელს და განიზრახა გიორგი დადიანის გადაგდება. დადიანმა შეუტყო ეს ამბავი და მოახსენა მეფეს. მეფემ ყოველივე ეს საქმე მიანდო გურიელს და დაჰპირდა საჯავახოს მიდამოების გადაცემას დადიანის თანხმობით. გურიელმა იკისრა ასრულება მეფისა და დადიანის სურვილისა და ბათულია 1580 წ. ერთ ვიღაც ავაზაკს დაახრჩობინა; მშვიდობიანობა ისევ დამყარდა ამ მხარეში.

სიმონ ფაშას,—რომელიც იყო დაყენებული შემდეგ მუსტაფა ლალა-ფაშისა,—ეშინოდა, გიორგი თავს არ დამეცესო და ურჩია ყვარყვარე ათაბეგის პირით, რომ გალაშქრებულიყო ქართლის მეფის სიმონის წინააღმდეგ. გიორგიმ შეჰკრიბა ჯარი, მოიწვია აგრედვე ჯარი დადიანისა და გურიელისა, დაეცა ქართლს და აიკლო იქაურობა.

შემდეგ გიორგი დადიანისა, რომელიც გარდაიცვალა 1581 წ., მის მემკვიდრედ შეიქმნა მისი ძმა მამია. გიორგი გურიელმა, რომელსაც ძველებურად სძაგდა მამიას წინაპარნი და ოჯახი, მოიტაცა ლევანი, გიორგი დადიანის შვილი, და შეპყრობილი ჰყავდა შხეფის ციხეში. ეს ყმაწვილი თავისუფლების წართმევით სასოწარკვეთილი გადავარდა ციხის მაღალ კედლიდან და იქვე სული დალია. ამ მიზეზის გამო მამია დადიანი ანაზდად დაეცა გურიელს და აიძულა გაქცეულიყო სტამბოლს, ხოლო გურიელად დასვა ვინმე ვახტანგი, გურიის მთავრის ოჯახის შვილი 1583 წ.

იმავე წელს მეფე გიორგიმ დაატუსაღა ძმა თვისი კონსტანტინე და შვილი მისი როსტომი. რადგან მისი შვილი ლევანი ჯერ მცირე წლოვანი იყო, მეფეს ეჭვი ჰქონდა კონსტანტინესა და იმის შვილზე, ლევანს გვირგვინი არ წაართვანო. მას შემდეგ რამდენსამე ხანს მშვიდობიანობა დამყარდა ამ მხარეში. მეფე გიორგი გარდაიცვალა 1585 წ.

გიორგის შემდეგ გამეფდა 12 წლის ლევანი. მან განათავისუფლა ბიძა თვისი კონსტანტინე შვილითურთ, რომელთაც დაიფლეს იმერეთის აღმოსავლეთი ნაწილი მდ. რიონის გაღმა. 1586 წ. მეფემ შეირთო ლევან დადიანის ქალი მარეხი და დაუწყო ომი კონსტანტინეს, წაართვა სკანდისა და კაცხის ციხეები და მთელი არგვეთის მხარე; მიუჩინა კონსტანტინეს შესაფერი საუფლისწულო და მით დაამშვიდა მხარე. შემდეგს წელს ვახტანგ გურიელი გარდაიცვალა და გიორგი II-მ დაიჭირა ხელ-ახლად გურია თათრების შემწეობით.

კონსტანტინე რომ გარდაიცვალა, საქართველოს მეფემ, სიმონმა, გაიხსენა სიავე და ცუდი ყოფა-ქცევა ლევანის მამისა,—რომელმაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმერეთში,—ისარგებლა ლევანის სიყმაწვილით, მიიმხრო თავისკენ ზოგიერთი იმერლები და გაილაშქრა იმერეთზე. ლევანმა შეჰკრიბა ჯარი, ხოლო დადიანმა და გურიელმა დახმარებაზე უარი შეუთვალეს. იმერლებმა დაიბანაკეს ჩხარულას პირზე,

გოფანთოში, და როგორც კი მოახლოვდა სიმონი, დაეცნენ თავსა, მაგრამ ძლიერ დამარცხდნენ 1588 წ.

ლევანმა შეიფარა თავი ლეჩხუმში, ხოლო მთელი იმერეთი დაიფლო გამარჯვებულმა სიმონ მეფემ. როცა სიმონი დაბრუნდა ქართლში, ლევანი ისევ შევიდა თავის სამეფოში, დაუწყო ომი მამია დადიანს, რომელიც მოადგა ქუთაისს, ომში დაამარცხა და 1520 წ. წაიყვანა ტყვედ მეფე ლევანი. იმავე წელს საბრალო მეფე გარდაიცვალა ოდიშს შხეფის ციხეში.

რადგან ლევანი უშვილოდ გარდაეგო, იმერლებმა დასვეს ტახტზე როსტომი, შვილი ზემოხსენებულის კონსტანტინესი, რომლის დროსაც დიდი არეულობა მოჰხდა.

მამია დადიანის შემდეგ დადიანობდა ძმა მისი მანუჩარ I, რომელმაც შეირთო კახეთის მეფის ალექსანდრეს ასული ნესტან დარეჯანი და მიიღო დიდებული მზითევი. თუ ვერწმუნებით შაჰ-აბაზ I-ს სიტყვებს, მოხსენებულს ერთს მის სიგელში, ეს მზითევი შესდგებოდა იმ ნივთებისაგან, რომელიც გაუგზავნა მან საჩუქრად მეფე ალექსანდრეს, როცა შაჰ-აბაზმა განიზრახა იმის ქალის შერთვა. ვახუშტი სწერს, რომ დადიანის ქორწინება მოჰხდაო 1591 წ., მაგრამ იმ საბუთებიდან, რომელიც არის დაცული რუსეთის არხივში, სჩანს, რომ ეს ქორწინება მოჰხდა უფრო გვიან, 1596 წ. ერთის წლის შემდეგ დედოფალი დარეჯანი გარდაიცვალა და დასტოვა შვილი ლევანი, რომელიც შეიქმნა შემდეგში სახელ-განთქმულ დადიანად ლევან მე II-ს სახელ-წოდებით.

გიორგი გურიელი ემტერებოდა მეფე როსტომს, შევარდა იმერეთში და აიძულა გაქცეულიყო იქიდამ. გიორგი გურიელმა ჩააბარა იმერეთი თეიმურაზ მეფის შვილს, ბაგრატს, რომელიც იყო ბაგრატ მე-III-ს ბიძაშვილის ძე. გურიელმა დაიჭირა მხოლოდ საჩინოს მხარე და საბეკის ციხე, რომელიც ჩააბარა ჩიჯავაძეს.

ამავე წელს სიმონ მეფე მეორედ შევიდა იმერეთში, აიღო ქუთაისი და თან წაიყვანა ბაგრატი.

უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი როსტომ მეფე შეევედრა მანუჩარ დადიანს შემწეობა აღმომიჩინეო. მანუჩარმა შეჰკრიბა ჯარი, დაიჭირა იმერეთი და ჩააბარა მეფეს. ეს რომ შეიტყო სიმონ მეფემ, მესამედ დაეცა იმერეთს უფრო დიდძალის ჯარით და დიდის ზარბაზნებით. სიმონს მიემხრო ზოგი ნაწილი იმერლებისა, რომელთა შემწეობით მან დაიკავა ყოველად მაგარი ციხეები და ქუთაისი და აიძულა როსტომი წასულიყო სამეგრელოს. რადგანაც როსტომი ერთად ერთი მემკვიდრე იყო მეფის შთამომავლობისა, სიმონი გამოეკიდა და სურდა იმის შეპყრობა. სიმონმა არ შეისმინა დადიანის რჩევა შერიგების შესახებ, ოფიშკვითში შეებრძოლა როსტომსა და დადიანს, სრულიად დაიმედებული, რომ გაიმარჯვებდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. დადიანი დიდად განრისხებული იყო სიმონის ამაყობით, შეჰკრიბა რიცხვ-მრავალი ჯარი და სრულიად დაამარცხა მეფე სიმონი. ამბობენ, რომ სიმონს ორი ცხენი ჰყავდა: ფალავანი და შურდანი. როცა მეფეს გამარჯვების იმედი ჰქონდა, შეჯდებოდა ფალავანზე, ხოლო როცა არა, შურდანზეო. რადგან იგრძნო, რომ ვერ გაიმარჯვებდა, უბრძანა მოეყვანათ შურდანი; იმიტომ რომ პირველ შეტაკებიდანვე აღმოჩნდა, რომ ომი წაგებული იყო. სიმონის წინად-გრძნობაც მალე გამართლდა. ქართლელები ველარ გაუმაგრდნენ მტერს და სიმონ მეფემ ძლივს მოასწრო ქართლში გაქცევა 1590 წ. დადიანს დარჩა ზარბაზნები, რომლითაც დაამშვენა თავისი სამყოფი ქალაქი ზუგდიდი და რუხის ციხე. მთელი იმერეთი დაემორჩილა როსტომს და მშვიდობა დამყარდა მებრძოლ დასთა შორის.

შემდეგს წელს მამია გურიელმა დაამარცხა და განდევნა აფხაზთა ჯარი, რომელიც ზღვით მოვიდა გურიაში.

როსტომ მეფემ შეირთო 1597 წ. მანუჩარ ათაბეგის ქალი თინათინ, რომლისაგანაც შვილი არ ჰყოლია. ხოლო მა-

ნუჩარ დადიანმა პირველის ცოლის სიკვდილს შემდეგ შეირთო თამარი, ათაბეგის ქალი და ვახტანგ გურიელის ქვრივი და ამავე დროს გაჰგზავნა თავისი მცირე წლოვანი შვილი ლევანი მის პაპასთან, კახეთის მეფე ალექსანდრესთან. შემდეგ ამისა მეფე როსტომ, დადიანი და გურიელი მშვიდობიანად და თანხმობით სცხოვრობდნენ. გურიელი გარდაიცვალა 1600 წ. დადიანმა რომ შეიტყო ავი ყოფა-ქცევა კახეთის ბატონიშვილის დავითისა, — რომელმაც გადააგდო ტახტიდან მამა თვისი 1603 წ., — წამოიყვანა ზემოხსენებული შვილი ლევანი, რომელიც მაშინ 13 წლისა იყო, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ხოლო ზემოხსენებულ ანგარიშით, ის უნდა ყოფილიყოს 8 წლისა. როსტომი გარდაიცვალა 1605 წ. დედოფალმა თინათინმა იცოცხლა მას შემდეგ ხუთი წელი.

როსტომის შემდეგ გამეფდა მისის ძმის, კონსტანტინეს, უკანონო შვილი გიორგი III, რადგან სხვა მემკვიდრე მეფის შთამომავლობისა აღარავინ იყო. ის ეკურთხა მეფედ ქუთაისში და იმეფა რამდენსამე ხანს მშვიდობიანად.

რადგან ამ დროს დიდი არეულობა იყო ამ მხარეში და ძლიერ გავრცელდა კაცის კვლა, ცოლ-ქმართა განშორება, ტყვეების საიდუმლო გაყიდვა, ქართლის კათალიკოსი მალაქია და აფხაზეთისა ევდემონი და ეპისკოპოზნი: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონ, ჭყონდიდელი, ბედიისა, მოქვისა, დრანდისა — ფილიპე, ცაგერისა — კოზმან, ხონისა — ზაქარია, ნიკორწმინდისა — იოაკიმე და ცაიშისა — კვირიკე, შეკრბენ და დაადგინეს წეს-რიგი და სასჯელი ყველა ამ დანაშაულობათათვის. სამწუხაროდ, არ ვიცით ნამდვილად, რა დროს მოჰხდა ეს კრება, რადგანაც არაა გამორკვეული, რა დროს სცხოვრობდნენ ეს სასულიერო კაცნი. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონ გარდაიცვალა 1578 წ. ს მალაქიამ დაიწყო პატრიარქობა ქართლში მეფე გიორგი მე-X-ს დროს, მაშასადამე, იმისა და ევდემონის ერთად შეყრა საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ.

მამია გურიელმა დაიჭირა აჭარა და გასწყვიტა იქ მყოფნი ოსმალნი 1609 წ. მანუჩარ დადიანი გარდაიცვალა 1611 წელს შემდეგის ახირებულის შემთხვევის გამო: ნადირობის დროს გამოეკიდა ირმებს, რომელთაც ისე დაბეჟეს და დაამტვრიეს, რომ ველარ მორჩა. ეს ამბავი მართლდება აგრედვე დადიანის მოხელე დომენტის ჩვენებით, რომელიც მან მოახსენა რუსის დესპანს ელჩინს 1639 წ. ხოლო ილორის ეკკლესიის ხატზე წარწერა მანუჩარის სიკვდილს მიაწერს შემთხვევით მის ცხენის შეტაკებას ვიღაც ფარუხა გოშანარის ცხენთან.

იმის მაგიერ დაჯდა შვილი მისი ლევან მე-II და იმასავით დიდი მარცხი შეემთხვა, ცხენიდან გადმოვარდა ნადირობის დროს.

ლუარსაბ და თეიმურაზ მეფეებმა, რომელთაც სდევნიდა შაჰ-აბაზი, იმერეთში მყუდრო საფარი მოიპოვეს. 1615 წ. შაჰ-აბაზი ამაყად და უზრდელად თხოულობდა მათ გაცემას. მეფე გიორგი დაეკითხა დადიანს და გურიელს და დიდის რიხით უარი შეუთვალა; თავის მ:რით გაუგზავნა შაჰს ქართლის კათალიკოზი მალაქია და თავადი აბაშიძე სათხოვნელად, რომ დაებრუნებინა უბედურ მეფეთათვის მათი სამფლობელო. შაჰმა, რასაკვირველია, გადაჭრილი უარი შემოუთვალა. ლუარსაბი მოსტყუვდა შაჰის მიერ დაიმედებით და გამოეცხადა მას. სპარსეთის ისტორიკოსი გვარწმუნებს, რომ ლუარსაბს ეშინოდა, გიორგიმ არ წამართვას ქართლის გვირგვინი თავის შვილისათვისაო. ხოლო თეიმურაზი წავიდა კახეთში ჯარით. იმერეთის მეფემ, დადიანმა და გურიელმა დაულოცეს გზა. მეფე დამარცხდა და იძულებული შეიქმნა ხელმეორედ გადასულიყო იმერეთში 1616 წ.; მეფემ და მთავრებმა თეიმურაზს ახლაც დიდი მასპინძლობა გაუწიეს.

ამასობაში ვინმე დაფეხვილი, კუტი პაატა წულუკიძე, რომელსაც მეტ სახელად „წუწკს“ ეძახდნენ, განუდგა მეფე გიორგის და მიენდო ლევან დადიანს, რომელიც ცბიერი,

ავი და შურის მაძიებელი კაცი იყო. პაატა წულუკიძის შეგონებით, დადიანი წინააღუდგა თავის ხელმწიფესა და მით მრავალი უსიამოვნება და უბედურობა გამოიწვია. 1618 წ. მეფემ შერთო თავის შვილს ალექსანდრეს მამია გურიელის ქალი თამარი, რომელსაც ეყოლა შვილი ბაგრატი და რომელიც მალე გაისტუმრა შვილითურთ მამის სახლში მისმა მეუღლემ, რადგან ეჭვი აიღო თავის ცოლზედ. ამნაირის შეურაცხყოფით განრისხებული გურიელი შეუერთდა დადიანს და თავის შვილს სვიმონს ცოლად შერთო დადიანის და მარიამი, რომელიც ათაბეგის სახლის შვილი იყო. დადიანი, რომელმაც დაიახლოვა აფხაზნი, ჯიქნი და სვანები, სცდილობდა გურიელთან დამეგობრებას და ამის შემთხვევაც აგერ კარს მიადგა. ქორწინება მოჰხდა 1621 წ.

1617 (ანუ 1618) წ. სამეგრელოში იყო მიწის ძვრა, რომლისაგანაც დაიქცა საძირკვლამდე ცაიშის საეპისკოპოსო ტაძარი და გალავანი. ეს უბედური შემთხვევა მოხსენებულია ხატების წარწერაში მაშინდელ ეპისკოპოზის მალაქიას სახელით, რომელიც იყო მღვდელ-მთავარი გურიელის მთავრის გვარისა წარწერაში მოგვითხრობს, რამდენი შრომა და ხარჯი გავსწიე ეკკლესიის განახლებისათვისაო; მოგვითხრობს აგრედვე იმასაც, რომ აფხაზეთის კათალიკოზად ვეკურთხე 1619 წ., როგორც სჩანს, ზემოხსენებულ უბედურობის ახლო ხანებში.

დადიანისა და გურიელის დამეგობრებამ მეფე გიორგი ძლიერ დააღონა; ბევრს ხანს აღარ დააყოვნა და ომი აუტეხა მოკავშირეთა. შევიდა ვაკის მხარეს, გოჭოურის მაზრაში, და აიძულა დადიანი მისის მოკავშირეებითურთ ომი დაეწყოთ. ბედმა უმტყუნა მეფეს და საჩქაროდ უკან დაიხია. დადიანს დიდი ნადავლი დარჩა; თან წაიყვანა მრავალი ტყვე, რომელთა გამოხსნაც ძალიან ძვირად დაუჯდა მეფეს. თუ ვერწმუნებით ილორის ეკკლესიის ხატზე წარწერილს, ზემოხსენებული ომი მოჰხდა ოღასკვრის გალმა, ახალ-სოფელში. სამეფო

დროშა დარჩა დადიანს, რომელმაც ეს დროშა გაჰგზავნა წალენჯიხის ეკკლესიაში.

1625 წ სიმონმა ჩაიდინა საზიზღარი კაცის კვლა: მან მოჰკლა მძინარე მამა თვისი, მამია გურიელი. ლევან დადიანმა მოსთხოვა დაუყოვნებლივ, ჩემი და მარიამი გამოჰგზავნეო. რადგან სიმონმა უარი შემოუთვალა, მოჰხდა ომი ლანჩხუთში. დადიანმა დაამარცხა გურიელი, დაატყვევა და დასთხარა თვალები, ხოლო მთავრობა დაულოცა მის ნათესავს ქაიხოსროს, ვახტანგ გურიელის შვილს. სიმონ გურიელის მეუღლე, სახელ-განთქმული მარიამი დაბრუნდა სამეგრელოში და, როგორც ქართლის ისტორიაში მოვიხსენიეთ, როსტომ მეფეს გაჰყვა ცოლად. სიმონი დადიანმა განათავისუფლა ერთის წლის ტყვეობის შემდეგ; სიმონი სტამბოლის გზით წავიდა იერუსალიმში, შედგა იქ ბერად, იცოცხლა ღრმა მოხუცებამდე და 1672 წ. კიდევ ჰქონდა მიწერ-მოწერა თავის ცოლად ნამყოფთან, სათნო დედოფალ მარიამთან.

იმ ხანად დიდი მოურავი გადმოვიდა ქართლიდან, გარდმოვლო საათაბაგო და იმერეთში შემოვიდა. მეფემ კარგად მიიღო, მისცა ჯარი სპარსთა დასამარცხებლად, მაგრამ მოურავს ბედმა უმტყუნა, თვითონაც დამარცხდა და მეფეც დაიზარალა.

1692 წ. მეფე გიორგიმ შეჰრთო თავისს შვილს ალექსანდრეს ნესტან-დარეჯანი, თეიმურაზ მეფის ქალი, რომელიც წინად მიათხოვეს არაგვის ერისთავს ზურაბს. ქორწინება მუხრანში გადაიხადეს.

ლევან დადიანი დაეცა აფხაზებს ხუფუს, ეხლანდელს სოუქსუში, სადაც თავადნი შარვაშიძენი იმყოფებოდნენ, ააოხრა მხარე მუწუხ-წყალსა და კაპოეტის წყალს გაღმა და გამარჯვებული დაბრუნდა. დადიანმა განდევნა აგრედვე უცხო ქვეყნების მეკობრენი (პირატები), კაზაკები და ჯიქები, რომელნიც მუდამ აწუხებდნენ სამეგრელოს ნაპირებს. გურიელის შემწეობით ლევანმა განავრცელა და გაამაგრა თავისი

სამფლობელო. ხშირად ესხმოდა თავს იმერლებს, უფრო დღეასწაულს დღეებში, იტაცებდა ტყვეებს და ყოველ წლივ ათასობით ჰყიდდა თათრებში. ამ სახით, ლევან დადიანი დასავლეთ საქართველოში ყველაზე მდიდარი და საშიში მფლობელი შეიქმნა.

1632 წ. როსტომ-ხანმა, როგორც კი ქართლის სამეფო ტახტზე დამკვიდრდა, მოციქული გამოუგზავნა დადიანს, რომ მიეთხოვებინა მისთვის თავისი და მარიამი, რომელიც სიმონ გურიელს ჰყავდა ცოლად. დადიანი დასთანხმდა. როსტომი საცოლოს მისაგებებლად გაემგზავრა ჯარით სამხრეთ იმერეთისაკენ. დადიანი თავის მხრით მიეგება სასიძოს, განვლო სამიქელაოს ვაკე და გავიდა რიონში; ჩაბარა მეფეს საცოლო მდიდარის მზითვით, რომლის სია დღემდის დაცულია.

მეფე გიორგიმ იფიქრა, ახლა მაქვს დრო ლევან დადიანის ჯავრის ამოსაყრელადაო, ჩაესაფრა გზაში და ჯარით უდარაჯებდა ბაღდადთან. დადიანმა შეიტყო მეფის განზრახვა და ერთი ნაწილი თავის ჯარისა გაჰგზავნა მეფესთან საომრად. ამ ჯარმა უკანიდან შემოუარა მეფე გიორგის, დაატყვევა და მიჰგვარა ლევანს. სპარსეთის შაჰმა, რომელიც სპარსეთის გავლენას აძლიერებდა, საჩუქრად გამოუგზავნა ლევან დადიანს ათასი თავრიზული თუმანი (40 ათასი მანეთი). მადლობის გადასახდელად ლევანმა გაჰგზავნა ელჩი სპარსეთში. მეფე გიორგის ახლდნენ მისი შვილები: მამუკა და ალექსანდრე და სიმამრი მეფე თეიმურაზი, რომელთაც ომში მონაწილეობა მიიღეს და დამარცხების შემდეგ თავს უშველეს მით, რომ გაიქცნენ. სამეფო დროშაც დადიანს ჩაუვარდა ხელში. დროშას ჰქონდა გაკეთებული თავზედ ბროლის ჯვარი, რომელშიაც სჩანდა ღვთის-მშობლის ხატი. ალექსანდრე იძულებული იყო თავის მამის დასახსნელად მიეცა დადიანისთვის სომხები და ურიები, რომელნიც ვაჭრობდნენ ჩხარსა და ჩიხორში. ლევანმა დაასახლა ისინი რუხის ციხის მიდამოთა შორის, იქ, საცა ხალხი გადიოდა და გამოდიოდა ენგურის მდინარე-

ში. უბედურმა მეფე გიორგიმ ვერ აიტანა ამისთანა მძიმე შეურაცხყოფა და გარდაიცვალა ზამთარში 1638—39 წ. მას დარჩა სამი ვაჟი: ალექსანდრე, მამუკა და ბერი.

იმის მეფობის დროს დაწყებულ იქნა მიწერ-მოწერა რუსეთსა და დასავლეთ საქართველოს მეფეთა შორის. მეფე თეიმურაზმა იმერეთში ყოფნის დროს გაჰგზავნა ქურმეტის ღვთის-მშობლის მონასტრის არხიმანდრიტი ხარიტონი, რომელიც მივიდა მოსკოვს 1619 წ. მან მიიტანა იქ ქაღალდები თეიმურაზისა, იმერეთის მეფის გიორგისა და გურიის მეფის მამიასი—ასე უწოდებს თავის თავს მამია რუსეთს გაგზავნილ ქაღალდებში.—ისინი უცხადებდნენ მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს სურვილს საუკუნოდ ქვეშევრდომობისას; ლევან დადიანმა ვერ მოასწრო ამ ქაღალდებთან ერთად გაეგზავნა თავის მხრითაც წერილი. მეფე მიხეილ თეოდორეს ძემ დაითხოვა ხარიტონი აპრილში 1621 წ. და თან გამოატანა გრამოტები მეფე გიორგისთან და გურიელთან. რუსეთის მეფე სწერდა მეფე გიორგის, რომ მიმიღიხარ ჩემს მფარველობის ქვეშეო. ვიშუამდგომლებ შენდა სასარგებლოდ შაჰის წინაშეო, ხოლო გურიის მეფეს არწმუნებდა, რომ კეთილის-მყოფელად მიგულეო და უთვლიდა, ორსავე მეფეს ჩემის მხრით ელჩებს გამოგიგზავნითო. შემდეგში დავინახავთ, რა ნაყოფი მოჰყვა ამ მიწერ-მოწერას.

მეფე გიორგის შვილი ალექსანდრე ეკურთხა მეფედ ქუთაისში. ლევან დადიანი ადრინდულად თავს ესხმოდა იმერეთს დღესასწაულ დღეებში; იცოდა, რომ იმერლები საუფლო და სადღესასწაულო დღეებში უფრო ძნელად დაინძრევიან და სამსახურშიც ისე მუყაითნი არ არიანო. ამ მიზეზის გამო ალექსანდრემ დიდად გაამაგრა ქუთაისი და იქ ჰყავდა თავ-შეფარებული იმერეთის დიდებულნი თავიანთ ოჯახებით. ამით ალექსანდრეს სურდა არ მიეცა დიდებულებისათვის საშუალება დადიანის მხარეზედ გადასულიყვნენ, თუნდ კიდეც განეზრახათ. დადიანმა აიშენა სამეგრელოში თორმეტი სასა-

ხლე, მოწყობილი ყოველისავე საჭირო ავეჯითა, რომ ადვილად შესაძლებელი ყოფილიყო ერთის ადგილიდან მეორეზე გადასვლა; მის მართებლობას ხალხი ისეთს პატივს სცემდა, რომ ოქროსა და ვერცხლის ფიალები, რომელნიც მისის განკარგულებით ყოველ წყაროსთან მგზავრის სახმარებლად ძეწკვით იყვნენ დაკიდებულნი, არც ერთი არ მოუპარავთ. მაგრამ ხსენება მისი შებღალული არის საზიზღარის ბოროტმოქმედობით. სიყმაწვილეში ჰყავდა ცოლად აფხაზეთის მთავრის ქალი,—რომელიც ზემოხსენებულს წუწკს (წულუკიძეს) სძულდა. თავის მხრით, ალბად, იმ ქალსაც სძაგდა წუწკი. ამ ქალს ბრალი დასდეს, ცუდის ყოფა-ქცევისა არისო; დადიანმა დაამახინჯა საცოდავი და დაუბრუნა ნათესავებს, ხოლო შეწამებული მისი მოარშიყე მიაკვრევინა ზარბაზნის ტუჩზედ და უმოწყალოდ დააგლეჯინა. ამ ნაირივე უბედურება მიაყენა თავის ძმას იესეს, რომელსაც ლევანის წინააღმდეგ შეთქმულობა შესწამეს. იესეს თვალები დასთხარეს. შემდეგ ამისა ლევან დადიანმა გაილაშქრა აფხაზებზე 1629 წ. ამ ხანებში მან მოსტაცა თავის ბიძას, გიორგი ლიპარტიანს, ცოლი, განთქმული ნესტან-დარეჯანი, ჭილაძის ასული, და შეირთო 1628 წ საბრალო გიორგი შემდეგ ორმოცის დღის გლოვისა საყვარელ ცოლისათვის, რამდენსამე ხანს უკან ჯავრით გარდაიცვალა. ამბობენ, რომ დარეჯანმა მოაწამლვინა ორი ვაჟი ლევანისა, დაბადებული აფხაზეთის ბატონის ასულისაგან, რადგან განიზრახა დაემტკიცებინა დადიანობა თვისისა და ლევანის უკანონო შვილის ვამეყისათვისაო. ნესტან-დარეჯანს ეყოლა ორი ვაჟი: ალექსანდრე და მანუჩარი, და ორი ქალი: გულ და ზირა ანუ ზილიხანი. ყველა მისი შვილები სუსტის აგებულებისანი იყვნენ; ვაჟები-კი დამბლადაცემულნიცა. ალექსანდრემ შეირთო გურიელის ქალი და გარდაიცვალა ერთის წლის შემდეგ. მანუჩარის და გულის თავ-გადასავალისა არა ვიცით-რა. ზილიხანი მიათხოვეს იმერეთის მეფის ალექსანდრეს უფროს ვაჟს. ამ სახით, სამეგრე-

ლოს მრისხანე მფლობელს არ დარჩენია პირდაპირი მემკვიდრე. ცოდვების შესანდობლად და მოსანანიებლად ლევანმა შესწირა ბიჭვინთის ღვთის-მშობლის ეკკლესიას რამდენიმე კომლი კაცი და ადგილები, რომელიც მოხსენებულია ხატების წარწერებსა და სხვა სიგელებში. ნამდვილად ვიცით, რომ დარეჯანი გარდაიცვალა პირველ ივნისს 1638 წ. ლევანი პატივსა სცემდა დარეჯანს და ი^ის სახელის მოსახსენებლად შესწირა სხვა და სხვა ეკკლესიებსა და ხატებს ძვირფასნი სამკაულნი, რომელნიც არიან მოხსენებულნი სხვა და სხვა წარწერაში 1640 წ. და შემდეგს წლებში. 1645 წ. ლევან დადიანმა, რომელიც განხორციელებული ეშმაკი იყო, გაილაშქრა დიდის ჯარით ქუთაისის ასაღებად. წარწერაში, რომელიც დღემდის დაცულია, ლევანი იხსენიებს, რომ იმერეთის დედა-ქალაქი დაცული იყოცო, გარდა იმერთა და სვანთა, ვინმე საფარ ფაშის ჯარითაო [1]), რომელიც ციხის კედლებსა და ტაძრის შუა იყო ჩაყენებული. ლევანი ღამე იერიშით მიადგა ეკკლესიის გალავანს, აიღო გალავანი, დაუშინა ზარბაზნები და თოფები ორს ქვითკირის შენობას, სადაც თავი ჰქონდა შეფარებული მტერს. აიღო ის შენობებიც შემდეგ სასტიკის ბრძოლისა. მერე დაეშვა ქვევით რიონისკენ და დაეცა ქვემო ქალაქის ნაწილს. მან დაანგრია ზარბაზნებით ახლად აშენებული მეფის სასახლე და გაძარცვა ახლო-მახლო მდებარე სოფლები.

ლევან დადიანმა ერთ კვირას დაასვენა თავისი ჯარი ჯიხურას და შემდეგ მეორედ დაეცა ქუთაისს, სადაც მრავალი დავლა იშოვნა და მოიტაცა უწინდელზე ბევრად უფრო მეტი ტყვე. შემდეგ წლის თებერვალს ხელ-ახლა დაეცა იმერეთს, დასწვა აჯამეთში მეფის სასახლე, გადაჰბუგა და ააოხრა

---

[1]) ათაბეგი საფარ-ფაშა გარდაიცვალა 1635 წ. მაშასადამე, ან ეს ომი ადრე უნდა მომხდარიყოს და ან ზემოხსენებული საფარ-ფაშა ათაბეგი არ ყოფილა.

მთელი არგვეთის მხარე, დაბა ჭალა-ტყეს აქეთკენ მდებარე. ააოხრა გოფინთო, ფხეიძეების მამული და გავიდა რიონში, ბალახვანთან, ქუთაისის ქვემოდ, მტრის თვალ წინ. ლევანშა წაიღო თან აუარებელი დავლა.

1647 წ. მეფე ალაქსანდრეს ძმა, მამუკა, რომელიც ლამაზი და მამაცი კაცი იყო—შეებრძოლა მტერს, რამდენჯერმე დაამარცხა ისინი და ჰხოცდა და ტყვედ მოჰყავდა მეგრელები ას-ასობით. ბოლოს ლევანმა გაიგო, რა ადგილს იდგა მამუკა თავის ჯარით და შეება. საუბედუროდ, მეფე ალექსანდრემ დაიტოვა მამუკას საყვარელი წაბლის ფერი ცხენი. გაცხარებულ ომში მამუკას ცხენმა წაიფორხილა და მამაუკა ცხენიდამ გადმოვარდა. მეგრელები მაშინვე ეცნენ და სიხარულითა და კიჟინის ცემით მიჰგვარეს ლევანს, რომელმაც საპყრობილეში ჩასვა, სადაც ძლიერ სასტიკად ეპყრობოდნენ. ლევანს სძულდა მამუკა, მარტო იმისთვის კი არა, რომ აწუხებდა სამეგრელოს, არამედ უფრო იმისათვის, რომ მამუკამ უარ-ჰყო მისის ქალის შერთვა, რადგან თავ. ჩხეიძის ქალი ჰყავდა დანიშნული. ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ ქართლის ზოგიერთმა დიდებულმა ურჩია ღრმად მოხუცებულ როსტომს,—რომელიც ახლად შემოსული იყო საქართველოში,—დაჰნიშნე შენს მემკვიდრედ იმერეთის უფლისწულიო და, რადგანაც ძალიან ჩქარობდნენ ამ მემკვიდრის მიწოდებას, განიზრახეს მეფის მოკვლა. როსტომმა სიფრთხილის გამო ისე მოაჩვენა თავი, ვითომც არა ვიცი რა მაგ საზიზღარის განზრახვისაო და ურჩია მამუკას, ახალციხეს გადადი, საფარ-ფაშასთანაო. რასაკვირველია, ამ შემთხვევამ შეარყია მეგობრობა იმერეთისა და საქართველოს მეფეთა შორის, ხოლო დადიანის დის შერთვა როსტომის მიერ ისეთი გარემოება იყო, რომელიც უფრო ამწვავებდა მათს ურთიერთობას.

ამ ნაირ შევიწროებულს მდგომარეობაში მეფე ალექსანდრე მიიქცა მეფე ალექსი მიხეილის ძესთან მფარველობის

სათხოვნელად და გაჰგზავნა რუსეთში თავადი ხოსია ჯაფარიძე. ლევანმა ამ შემთხვევაშიაც დაასწრო და საქმე ჩაუშალა.

მეფე თეიმურაზს, — არ ვიცით, რა მიზეზის გამო, არ ჰქონდა მეგობრობა დადიანთან. თავის წერილში 25 აპრილს 1639 წ. თეიმურაზი ამტკიცებს, რომ მაშინაც ლევანს ჰქონდა მიწერ-მოწერა რუსეთის მეფესთანაო და აგვიწერს მის მოქმედებას ძალიან ცუდის მხრით. მართლაც, ლევანმა მეუღლის შეგონებით, რომელსაც მოსწონდა ყოველივე რუსებისა, გაჰგზავნა ელჩად რუსეთის მეფესთან მღვდელი გაბრიელი 1636 წ. ივნისში. ვიდრე ამ ამბავს აუწყებდნენ თარკის მოურავს რომადანოვსკის, მანამ ის მიიღებდა უმაღლესად ბრძანებას, ამ უცხო ქვეყნის სტუმარს შეეგებეო, მანამ მიტროპოლიტი ნიკიფორე, რომელიც მაშინ მოსკოვში იყო მეფე თეიმურაზისაგან გაგზავნილი, — დაბრუნდებოდა, გაიარა კარგა ხანმა და გაბრიელი ჩავიდა მოსკოვს მხოლოდ 16 ნოემბერს 1638 წ. მეფემ აუდენცია დაუნიშნა და მიიღო გაგზავნილი კაცი 12 დეკემბერს. ელჩმა გამოუცხადა მეფეს, რომ ლევან დადიანს სურვილი აქვს თქვენს სამსახურში იყოს ისე, როგორც სხვანი, თქვენის უდიდებულესობის მონანიო. ელჩი-მღვდელი არწმუნებდა მეფეს, რომ დადიანის ტიტული ხალხში არის „ხანტიპი", ე. ი. ანტიპი ანუ ანტიპატრიკი, რომ სამთა მფლობელთა შორის, რომელთაც უჭირავთ ეხლა საქართველო, ლევანი ყველაზე უძლიერესიაო, რომ ის არავის ხარკს არ აძლევს და მის სამთავროში 5 ქვითკირის ქალაქია, გარდა სამზღვრებზე გაშენებულ ციხეებისაო. გაბრიელმა სთხოვა აგრედვე მეფეს, ბრძანება გაეცით, რომ კაზაკები აღარ დაეცნენ ხოლმე სამეგრელოს ზღვის პირს, რადგან ამით ისპობოდა ყოველივე ვაჭრობა თათრებთან და სამეგრელოში ველარ შემოჰქონდათ ვერც მარილი და ვერც სხვა საჭირო საქონელი. მეფე დასთანხმდა მიეღო თავის მფარველობის ქვეშ ლევანი და მიანდო ელჩს ფედოტ ელჩინს, წასულიყო სამეგრელოში, თან წაეყვანა მღვდელი პავლე ზა-

ხარიევი, დაეფიცებინა ლევანი და გარდაეცა მისთვის მეფის ბრძანება და საჩუქრები—სახლის ავეჯეულობა, რომელიც ეთხოვნა ლევანს. ელჩინი და გაბრიელი გამოვიდნენ მოსკოვიდან 2 ივნისს 1639 წ. გაბრიელი მოვიდა არაგვის ერისთავის სამფლობელოში ოქტომბრის დამლევს და იქიდან რამდენისამე დღის შემდეგ—სამეგრელოში. ლევან დიდი მგლოვიარე იყო ამ დროს, მოეპარსა ულვაშები და წვერი მეუღლის გარდაცვალების გამო და ძაძით შემოსილიყო. მეუღლე მისი გარდაცვალებულიყო 1 ივლისს. ეს დაიხვია ხელზედ და არ მიიღო ელჩინი; არ მიიღო კიდევ იმიტომ, რომ უკმაყოფილო იყო, ამდენს ხანს რად გააჩერეს ჩემი ელჩი რუსეთშიო. სამეგრელოს დიდებულთ დაჰყავდათ ელჩინი სხვა და სხვა ეკლესიებისა და მონასტრების სანახავად. ელჩინის აღწერილობაში, სამწუხაროდ, არ არის მოხსენებული ყველა ეკლესიისა და მონასტრის სახელი დაწვრილებით. ელჩინის სამეგრელოში ყოფნის დროს იქ იმყოფებოდა ერთი სპარსელი, ბაირამ ყული, რომელიც ხუთის წლის წინად ჩამოსულიყო. ის იყო უთუოდ იმ დროს მოსული, როცა მარიამი მიათხოვეს მეფე როსტომს დადიანს ჰქონდა ხანდისხან შაჰთან მიწერ-მოწერა და იღებდა მისგან ყოველ-წლივ ათას თუმნობით.

პირველ იანვარს 1640 წ. ელჩინმა მიიღო დადიანისაგან სხვა და სხვა წვრილმანი საჩუქარი; ელჩინს მაინც კიდევ ატარებდნენ სხვა და სხვა მონასტერში 23 აპრილამდე, როცა დანიშნული იყო ელჩინის სადარბაზოდ მიღება სოფელ ჯიხურში, სადაც წაკითხულ იქმნა მეფის ღრამატა, ხოლო დადიანის მიერ ფიცი ერთგულობისათვის არსად არ არის მოხსენებული ამ დროის საბუთებში. 18 მაისს ელჩინი გამოესალმა ლევანს და მოვიდა მოსკოვს 4 დეკემბერს 1640 წ. მისი აღწერილობა ძლიერ საყურადღებოა მაშინდელ სამეგრელოს ცხოვრების შესწავლისათვის. 1646 წ. რუსეთში გაგზავნილ იქმნა შესაწირავის მოსაგროვებლად ხოპის მონას-

ტრის მიტროპოლიტი. ამავე წელს მეფე ალექსი მიხეილის ძემ გამოჰგზავნა საქართველოში თავისი ელჩი ათანასე ბობორიკინი, რომელსაც ახლდა თეიმურაზის მიერ გაგზავნილი ელჩი თავადი გრიგოლ შალიკაშვილი. ორივენი დაიღუპნენ კასპიის ზღვაში.

სამის წლის შემდეგ იღუმენი ვასილი იქმნა გაგზავნილი იმერეთის მეფის ალექსანდრესაგან. ამ ელჩის შესახებ აქამდის არა გვაქვს დაწვრილებულნი ცნობანი. ზემოხსენებულიდგან უნდა ვიგულისხმოთ, რომ რუსის მთავრობას შეეძლო გაცნობა სამეგრელოს საქმეების მდგომარეობისა ხოსია ჯაფარიძის მისვლამდე.

შვილი-შვილის დავითის გარდაცვალების შემდეგ, მეფე თეიმურაზი ეწვია თავის სიძეს, მეფე ალექსანდრეს, და ერთის წლის გლოვის შემდეგ, გაემგზავრა დადიანთან, რომელმაც მიიწვია. ალექსანდრემ სთხოვა, შემარიგეო დადიანსა და მამუკას გამოსყიდვაზე დაითანხმეო. დადიანმა მიიღო თეიმურაზი, როგორც ეკადრებოდა, და აღუთქვა ყოველისავე თხოვნის აღსრულება, მაგრამ წუწკმა (წულუკიძემ) შეაგონა და მანაღარ შეასრულა დაპირება. თეიმურაზმა ვერა გაარიგა-რა და მალე, დადიანის ბრძანებით, დასთხარეს თვალები მამუკას და ეს ჩინებული ყმაწვილი კაცი გარდაიცვალა 1654 წ. ჩვენ არ გვჯერა, რომ ვითომც მამუკას თავი მოეკლას, როგორც ზოგიერთნი ამტკიცებენ.

1660 წ. მეფე ალექსი მიხეილის ძემ გამოჰგზავნა იმერეთში ელჩად მეფესთან ნიკიფორე მათეს ძე ტოლჩანოვი და მასთან დიაკი ალექსი ივლევი. თან მრავალი საჩუქრებიც გამოატანა. წამოსულებმა გადმოიარეს დიგორი; რაჭის სამზღვარზე მიეგება მათ ლომ-კაცი ჯაფარიძე და გიორგი არეშიძე, ქუთაისში მიაღწიეს 20 ივნისს 1651 წ. და მიღებულ იქმნენ ალექსანდრესაგან 29 ამავე თთვეს წირვის დროს საკრებულო ტაძარში. ისინი ძლიერ განცვიფრებულნი იყვნენ საეკლესიო სამკაულების ბრწყინვალებით და წირვის მშვენიერ

აღსრულებით. არა ნაკლებ განცვიფრებულნი დარჩნენ სამეფო სუფრის სამკაულითა და ჭურჭლის სიმდიდრით. ეს ამბავი მით უფრო დასაჯერებელია, რომ იმ დროამდე იმერეთი თავისუფალი იყო თათართა შემოსევისა და ცარცვა-რბევისაგან

შემდეგ ალექსანდრე გადავიდა სკანდას, სადაც იმყოფებოდა მეფე თეიმურაზი. რუსის ელჩებმა დაათვალიერეს ქუთაისის ციხის შესანიშნავის გვირაბით გამოყვანილი წყალი, აგრედვე გელათის მონასტერი, სადაც აჩვენეს ერთი ჭური, რომელშიაც ჩადიოდა 91,250 ბოთლი ღვინო, და სხვა და სხვა ადგილები.

ამ დროს მოვიდნენ ალექსანდრესთან ოსმალებისა და სპარსების ელჩები და მოსთხოვეს, რომ მიენდოს მარტო მათ მეფეებს და არა სხვას, მაგრამ ალექსანდრემ უარ-ჰყო ხონთქრისა და შაჰის ბრძანება, ამტკიცებდა, რომ მე და რუსის მეფე ერთის სარწმუნოებისანი ვართო. მეფემ გარდასწყვიტა შეეფიცნა ალექსი მიხეილის ძისათვის ერთგულობა. 14 სექტემბერს 1651 წ. მან მიიღო ფიცი მეფისა და მის მემკვიდრეების ერთგულებისათვის, როგორც თავის მხრით, ისე თავის შვილის ბაგრატის მხრითაც, რომელიც მაშინ სამეგრელოში იყო, და ძმის მამუკას სახელითაც. კათალიკოზმა მაქსიმემ, უმაღლესმა სამღვდელოებამ და ბევრმა დიდებულმა მიიღო მონაწილეობა ამ ფიცში. რადგან მეფემ წერა არ იცოდა, ამის გამო საგანგებოდ გამოჭრილი იყო ამ შემთხვევისათვის ბეჭედი შემდეგის წარწერით: „მონა უფლისა მეფე ალექსანდრე გიორგის ძე, მოსამსახურე მოსკოვის დიდის ხელმწიფის ალექსი მიხეილის ძისა“. ამას გარდა, 12 დიდებულმა დაასვა თავისი ბეჭედი ამ ფიცის ფურცელზე. როგორც კი ტოლოჩანოვმა შეასრულა თავისი მინდობილება, დასტოვა ქუთაისი და გაემგზავრა რუსეთს. გზაში კიდევ ორას თუ სამას კაცს მოაწერინა ხელი. ელჩს თან გაჰყვნენ ლომ-კაცი ჯაფარიძე და არხიმანდრიტი ევდემონი. მივიდა მოსკოვს 1652

წელს. მისი აღწერილობა ადგილთა, ზნეთა და ხალხის ჩვეულებათა ძლიერ შესანიშნავია და საინტერესო.

ზემოდ მოვიხსენეთ, რომ მეფე ალექსანდრემ თავის მეუღლესთან ერთად გაჰგზავნა თავისი შვილი ბაგრატი გურიაში; რადგანაც დარჩა უმემკვიდროდ, მან იშვილა უმცროსი შვილისშვილი მეფე თეიმურაზისა გიორგი, რომელიც გარდაიცვალა 1650—1651 წ. შემდგომ მამუკას გარდაცვალებისა დარჩა უკიდურეს მდგომარეობაში, მოუწოდა ბაგრატს და გამოაცხადა ტახტის მემკვიდრედ.

1657 წ. სიკვდილმა იხსნა ალექსანდრე თავის საშინელის მტრის ლევანისაგან. ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე გვარწმუნებს, რომ დადიანმა თითონ მოიკლა თავიო: თავის გარდაცვალებულის შვილის ჯავრით მან კეტი დაირტყა თავშიო. არ არის ცნობილი, თუ სად დამარხეს ლევანი, წელენჯიხის ეკლესიის აკლდამაში, რომელიც ჰქონდა მომზადებული, როგორც თავისთვის, აგრედვე ცოლისა და შვილის ალექსანდრესათვის, თუ სხვაგან სადმე. მეგრელებმა ამოირჩიეს დადიანად ლიპარიტ მე-III-ე, ლევანის ძმის წული. ეს არჩევანი არ იყაბულა მეფე ალექსანდრემ, რომელიც დაეცა სამეგრელოს, ააოხრა იქაურობა და წამოიყვანა ტყვედ ბევრი დიდებული და ძვირად დაუსვა მათ თავის დახსნა. მეფემ დააყენა დადიანათ ვამეყ III, რომელიც, თანახმად სიგელებისა და წარწერებისა, შვილი იყო გიორგი ლიპარტიანსა. ზოგიერთის თქმით, ის იყო შვილი ლევანისა და ლიპარიტიანის ცოლისა. ალექსანდრემ დაიჭირა ერთი ნაწილი ოდიშისა, რომელიც მდებარეობს უნაგერას მთის აღმოსავლეთით, ნაქალექევის ძველ არხეოპოლის ზემოდ.

მაშინ ლიპარტიანმა შეეწეობა სთხოვა საქართველოს მეფეს როსტომს, თავის ბიძას, ათაბეგს როსტომ-ფაშას და თავის ნათესავს ქაიხოსრო გურიელს. ჭილაძეები და მიქელაძეები შეუერთდნენ აგრედვე და ერთად დაეცნენ ვამეყს. ქართლის მაშველი ჯარი, რომელსაც სარდლობდნენ მუხრან-

ბატონი ბახუტა და ერისთავი არაგვისა ზაალი, დაიგვიანა გზაში, რადგან სარდლებს უთანხმოება მოუხდათ ურთიერთ შორის.

მეფე ალექსანდრე თავის მხრით გავიდა ცხენის წყალს გაღმა და სასტიკი ომი ასტყდა ივნისის თვეში 1658 წ. სოფ. ბანძას. ბედი შეეწია მეფის ჯარს. მეგრელები ძრიელ დამარცხდნენ და ბევრი ტყვედ წამოიყვანეს. თითონ ლიპარიტი და მისი ძმა მამუკა ბრძოლაში დაიხოცნენ ანუ, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ლიპარიტი და გურიელი გაიქცნენ სტამბოლს, სადაც ლიპარიტი მალე გარდაიცვალა. გამარჯვებულმა მეფემ დაამტკიცა ვამეყი დადიანად და გურიელად დასვა სიმონის შვილი, რომლის და, ელენე, ჰყავდა ცოლად ვამეყ დადიანს. ქაიხოსრომ, ათაბეგის როსტომ ის შემწეობით, აიძულა დიმიტრი გაქცეულიყო იმერეთში, მაგრამ მალე, დიმიტრის ჩაგონებით, მოკლულ იქმნა ღალატობით. დიმიტრი შეიქმნა ისევ მთავრად, ხოლო ქაიხოსროს შვილებმა შეაფარეს თავი ათაბეგთან.

პირველს მარტს 1660 წ. მეფე ალექსანდრე გარდაიცვალა და დაუტოვა თავის მემკვიდრეს ბაგრატს სამეფო ძრიელ სამწუხაროსა და არეულს მდგომარეობაში.

აქ იწყება 29 ზედიზედ განუწყვეტლივ მომხდარი პოლიტიკური არევ-დარევა და შლილობა ამ უბედურ მხარეში 66 წლის განმავლობაში, რომლისაგანაც თანდათან სრულიად დაირღვა ხალხის დაწესებულებათა ძალ-ღონე.

ბაგრატ მე II ავიდა ტახტზე და ეკურთხა მეფედ ქუთაისში. დედინაცვალმა, დედოფალმა დარეჯანმა, მიათხოვა ცოლად ქეთევანი, თავისი ძმისწული, დავითის ქალი. ექვსის თვის შემდეგ წაართვა ისევ და თითონ მოინდომა მისი ცოლობა; რადგან ბაგრატმა უარი განაცხადა, თვალები დასთხარეს. მაშინ დარეჯანმა განიზრახა თავის მამის, თეიმურაზის, გამეფება იმერეთში. რადგან თეიმურაზი არ დასთანხმდა, დარეჯანმა შეირთო ვახტანგ ჭუჭუნიას შვილი, რომე-

ლიც მეფის შთამომავლობისა იყო და ბატონობდა იმერეთში. ბაგრატის მომხრეებმა ეს ამბავი ასლან-ფაშას შეატყობინეს. ასლან-ფაშა შემოვიდა იმერეთში. დადიანი, გურიელი და იმერლები წინ მიეგებნენ. დადიანმა, ოტია ჩხეიძის რჩევით, გაუშვა ბაგრატი ქუთაისიდან; ვამიყმა მიიღო თავის ბანაკში და ძალით დაიჭირა დედა-ქალაქი. ამ დედოფლის მეუღლეს ვახტანგს, რომელიც ამავე ოტიას ცბიერებით ქალაქიდამ განდევნეს,—დასთხარეს თვალები; დარეჯანი და ქეთევანი ჩაუვარდნენ ხელში ასლანს, რომელმაც დაასახლა ისინი ოლთისში და მეფობა გადასცა ისევ ბაგრატს. უსინათლო ბაგრატის მეფობა არ მოსწონდათ იმერლებს. ზოგმა მოუწოდა ვამიყს და ზოგმა—საქართველოს მეფეს ვახტანგს. ამ ორ მფლობელთ გაიყვეს იმერეთი ორ ნაწილად; აღმოსავლეთი ნაწილი დარჩა მეფე ვახტანგს, დასავლეთი—ვამეყს. ხოლო ბაგრატი მაინც ქუთაისში იმყოფებოდა.

საქმე ამით არ დასრულდა. ვამიყ, თავის მეუღლის რჩევით, აეშალა მეფე ვახტანგს, უარი უთხრა თავის ქალის მითხოვებაზე,—რომელიც იყო დანიშნული იმის შვილის არჩილის-მიერ,—და მისცა თავისი ასული ბეჟან ღოღობერიძეს.

ვახტანგი ეზრახა დიმიტრი გურიელს და ზოგიერთ დიდებულთ, მოაკვლევინა ბეჟან ღოღობერიძე და შევიდა იმერეთში. ვამიყი დახვდა ვახტანგს საჩხერეს, მაგრამ ვერ გაბედა შებრძოლება, რადგან მთელი ჩრდილოეთ-იმერეთის დიდკაცობა მიემხრნენ მეფეს. დადიანი დაბრუნდა სამეგრელოში.

სვერი, კაცხი და სკანდა,—სადაც იმყოფებოდა თეიმურაზი, რუსეთიდგან ახლად დაბრუნებული,—ვახტანგს დაემორჩილა. მეფემ შემდეგ ომისა აიღო ქუთაისიც და ბაგრატი ტყვედ დარჩა. მოკავშირენი გადავიდნენ სამეგრელოში, დაიპყრეს ციხეები, სხვათა შორის, ჯაქვითის ციხე, სადაც დაცული იყო ყველა საგანძურნი ვამიყისა, თვითონ ვამიყმა შეაფარა თავი სვანეთში, ხოლო მისი ცოლი და შვილები,—რომელნიც გაიქცნენ აფხაზეთს,—ჩაუვარდნენ ხელ-

ში გამარჯვებულ ვახტანგს. ვახტანგმა აიღო აგრედვე ზუგ-
დიდი და შარვაშიძე და აფხაზნიც დაიმორჩილა.

შემდეგ ვამიყი მოკლულ იქმნა ვახტანგის ბრძანებით;
დადიანობა მან მისცა შამან-დავლეს, რომელიც იყო შვილი
იესესი ანუ იოსებისა, ლევანის ძმისა, და შერთო მას თავისი
ძმის წული თამარი. ახალმა დადიანმა, ბიძის პატივსაცემლად,
დაირქვა სახელად ლევან მე-III. შამან-დავლე გაიქცა საქარ-
თველოში თავის ბიძის სიკვდილს შემდეგ. იქიდამ როსტომ
მეფემ შაჰის პატივის-ცემის დასამსახურებლად გაჰგზავნა
სპარსეთში შაჰმა კარგად მიიღო და შეეწია ფულით. ეს იყო
მიზეზი იმის ამაღლებისა.

როცა ვახტანგი დაბრუნდა იმერეთში, გურიელისა და
ყველა იმერლების თანხმობით, დასვა მეფედ თავისი შვილი
არჩილი 1661 წ. და დაბრუნდა ქართლში ნადავლით. თან
წაიყვანა უსინათლო ბაგრატიცა.

არჩილმა იმეფა თითქმის ორი წელიწადი იმერლების
თანხმობით, მაგრამ იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა იმე-
რეთი ოსმალების ბრძანებით, რომელთაც გამოჰგზავნეს იმე-
რეთში ჯარით ასლან-ფაშა და იუსუფი, ყარსის ფაშა, არჩი-
ლის გადასაყენებლად. ხონთქრის თხოვნით, შაჰმა უბრძანა
მეფე ვახტანგს დაებრუნებინა იმერთათვის ბაგრატი, მათი კა-
ნონიერი მფლობელი, რომელსაც ჰყავდა დანიშნული თინა-
თინი, უნცროსი და დადიანის მეუღლის თამარისა. ამ ხნო-
ბით ბაგრატმა იმეფა ხუთი წელიწადი. ეს მოჰხდა შემოდგო-
მას 1667 წ. დადიანი უკმაყოფილო დარჩა ამ ცვლილებითა,
დაეცა იმავე წელს ბაგრატს, დამარცხდა და ტყვედ იქმნა წაყ-
ვანილი. ბაგრატმა წაართვა დადიანს ცოლი თამარი და თითონ
შეირთო. ხოლო თინათინი განუტევა, რომელზედაც ჯერ
ჯვარი არ დაეწერა. თამარის მაგიერ დადიანს მიათხოვა თა-
ვისი საკუთარი და, რომელიც ძალიან უყვარდა და რომელიც
წინად ჰყავდა ცოლად ვინმე გოშაძეს.

ამ დროს დიდი არეულობა და შფოთი იყო იმერეთში.

დიდებულები მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. ვისაც კი შეეძლო, იქერდა ტყვეებს და ჰყიდდა ოსმალეთში. მთავრები სძარცვავდნენ ერთმანერთს.

კათალიკოსი სიმონ ჩხეიძე გარდაიცვალა 1666 წ. და იმის ადგილას დაინიშნა ევდემონ საყვარელიძე. ამავე წელს სეხნია ჩხეიძე დაემდურა ბაგრატს და გადასცა ქუთაისის ციხე ოსმალთა, რომელნიც ბეჟან ლორთქიფანიძემ მალე გამოდევნა იქიდან. რაც შეეხება დედოფალს დარეჯანს, იგი დაჰპირდა 60 ათას მარჩილს (12 ათას მანეთამდის) ასლან-ფაშას, ოღონდ კი ხელ ახლავ ჩამაბარე სამეფოვო. ხოლო რადგან ფული არა ჰქონდა, თავისი ძმის-წული ქეთევანი დაუგირავა. ეს ქეთევანი შემდეგში გამოისყიდა ქართლის მეფემ ვახტანგმა და შერთო თავის შვილს არჩილს. ფაშამ მიიღო რა ფული სრულად, მოიყვანა ქუთაისს დარეჯანი და მისი მეუღლე. ბაგრატმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია და გაიქცა ქართლში თუ ლეჩხუმში; შემოდგომაზედ 1668 წ. ფაშამ დასვა დარეჯანი და მისი ქმარი იმერეთის მმართველებად. მალე იმერლებმა მოისყიდეს მათი საყვარელი კაცი ხოსია ახვლედიანი (?) ანუ ლაშხიშვილი, ლეჩხუმის მეციხოვნეთა უფროსი[1]). მან დაარწმუნა დარეჯანი და მისი მეუღლე, რომ გადმოგცემთ ბაგრატსაო, მიიწვია ისინი თავის სახლში და მოაკვლევინა თოფით დარეჯანი; თითონ ხოსიამ კი მოჰკლა ვახტანგი. უსინათლო ბაგრატმა ხანჯალი ჩასცა გულში მოკლულს დედოფალს, რომელიც მიწაზე ეგდო. გელათის ეპისკოპოზი სოფრონიოზიც,— რომელიც დარეჯანის ბოროტი მრჩეველი იყო,—აგრეთვე მოკლულ იქმნა. გარდაცვალებულნი ჯერ დაასაფლავეს ქუთაისის ტაძრის კარის ბჭეში და შემდეგ გელათში დაჰმარხეს.

---

[1]) დარეჯანი ხოსია ლაშხიშვილმა მოჰკლა. ავტორის მხრით ახვლედიანის ხსენება lapsus calami უნდა იყოს. ვახუშტით, „დარეჯან დედოფალი მოჰკლა შუბით ხოსია ლაშხის შვილმა, თავადმა ლეჩხუმისამ.

მთარგმ.

იმერლებმა მოიწვიეს მეფედ დემეტრე გურიელი, რომელმაც იმეფა ძლიერ მოკლე ხანს, ზემდეგ დასთხარეს თვალები და, როგორც კი გარდაიცვალა, ასლან ფაშამ გურიელად დაჰნიშნა ბიძა მისი გიორგი მე-III და, იმერლების თხოვნით, მეფე ვახტანგმა გამოისტუმრა ბაგრატი მეფედ იმერეთში 1669 წ

ბაგრატის მტერმა სეხნია ჩხეიძემ, დაიპყრა რა ვერაგობით ქუთაისის ციხე, გადასცა ოსმალთა,—რომელთაც დიდხანს ეჭირათ ეს ციხე,—და მოიწვია დადიანი. წინააღმდეგ მეფისა. ლევანი მოვიდა ჯარით. ბრძოლაში, რომელიც მოჰხდა ჩხარის ქალაქთან, ჩხეიძე მოიკლა. დადიანი უკან დაბრუნდა; მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თამარის წართმევის ჯავრის ამოსაყრელად 1671 წ. ხელ ახლავ შემოადგა ქუთაისს. ბაგრატი გაიქცა რაჭაში და დადიანს, მდგომს ბანაკად გეგუთს, დაუტოვა ქვეყანა, რომელიც მან სრულიად აოხრა. შემდეგ ამისა მეფემ შეჰკრიბა რაჭისა, ლეჩხუმისა და ზოგიერთ იმერლების ჯარი და დაეცა გეგუთს დადიანსა, დაამარცხა მისი ჯარი და თვითონ დადიანი დაატყვევა. მანამ არ გაუშვა ტყვე, სანამ დადიანმა არ შეჰფიცა, რომ შემდეგში მეგობრობას გაგიწევო.

გიორგი გურიელმა, რომელიც შესანიშნავი ვაჟ-კაცი იყო და მასთანავე უღმერთო სისხლის მსმელი,—შეიყვარა დედოფალი თამარი და ასლან-ფაშას დაჰპირდა აუარებელ ქრთამს, ოღონდ კი მოიტაცე ჩემთვის თამარიო. ფაშა დაეცა ბაგრატს, რომელმაც, როსტომ ჩხეიძის რჩევით, გაჰგზავნა თავისი მეუღლე კვარის ციხეში. როგორც კი ფაშა შემოვიდა ქუთაისში, იმერლები გაიქცნენ და მიატოვეს ბაგრატი, რომელიც შემოდგომაზე 1672 წ., იმ დროს, როცა შარდენი იყო იმერეთში, ფაშამ დაატყვევა.

რადგანაც ასლანმა ვერ შეიტყო, სად იყო დედოფალი დამალული და ვერც აიღო კვარის ციხე, შეიწყნარა ბაგრატის თხოვნა და გაათავისუფლა, მხოლოდ გირაოდ იმ სა-

ჩუქრისა, რომელიც აღუთქვეს, წაიყვანა შვილი მისი ალექსანდრე, რომელიც ეყოლა ერთის ლეჩხუმელის ქალის კოჩილასაგან. ზამთარში ბაგრატი დაეცა გურიელს და აიძულა გაქცეულიყო, რის შემდეგ ბაგრატმა აიკლო მისი სამფლობელო.

ამ დროს ქართლის მეფემ ვახტანგმა განიზრახა მიეთხოვებინა თავისი შვილის შვილი დარეჯან, რომელიც არჩილის ქალი იყო და მაშინ მეშვიდე წელში გადადგა, მანუჩარისათვის, ლევან დადიანის შვილისაოვის,—რომელიც აგრედვე შვიდის წლისა იყო, მაგრამ ეს ქორწინება აღარ მოჰხდა, როგორც დროთა ვითარების გამო, აგრედვე იმიტომაც, რომ დადიანს ბაგრატმა შეაგონა, საფიქრებელია მანუჩარი შაჰს გაუგზავნონო. შეშინებულმა დადიანმა მოაპარვინა თავისს მსახურებს მანუჩარი და მოაყვანინა სამეგრელოში.

ბაგრატმა 1674 წ. წაართვა ოსმალებს ქუთაისის ციხე, მაგრამ ისევ თავის ნებით დაუბრუნა ნაცვლად თვისის შვილის ალექსანდრესი, რომელიც გამოუგზავნა ასლან-ფაშამ. ორის წლის შემდეგ დედოფალს თამარს შეეძინა შვილი გიორგი, რომლითაც დიდად განიხარეს მშობლებმა.

ზემოხსენებულ გალაშქრების დროს ვამეყ დადიანზე მეფე ვახტანგმა წამოიყვანა და ჩასვა საპყრობილეში, სომხეთს, ეპისკოპოზი ჭყონდიდელი, რომელიც კაცია ჩიქოვანის ძმა იყო. ეპისკოპოზი გამოიქცა შულავრიდამ და ისევე მიიღო თავისი საეპისკოპოზო, დაუახლოვდა ლევან დადიანს, რომელიც მიენდო მას. ჭყონდიდელმა შეაგონა ლევანს, რომ იმის ძმას კაციას უწყალობოს სალიპარტიანოს მაზრა და ამ სახით თავისთვისაც გაიადვილოს ლეჩხუმის მაზრის დაჭერა. ცნობილია რომ სალიპარტიანო არის საუკეთესო მაზრა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის სამეგრელოისა და რომ ის ეკუთვნოდა მემკვიდრეობით დადიანის გვარის უნცროს შტოს, რომელიც ვამეყის სიკვდილით მოისპო. თითონ კაცია იყო ღარიბ აზნაურის შვილი, დაიბადა დაბა გორდში და სვანეთში

თაფლით ვაჭრობდა. მოიპოვა რა ცოტაოდენი გავლენა ლეჩ-ხუმში და დადიანის ნდობა, კაცია შეიქმნა საინასარიძო და სალიპარტიანო მაზრების მფლობელი. ეს მხნე და გამჭრიახი, მაგრამ მესისხლე კაცი, ნიადაგ ურჩევდა ლევანს, დიდებულები უწყალოდ გაეწყვიტა. ამის მეტს ჩვენ ვერას ვიტყვით კაცია-ზე, რადგან მარტვილში იმის სასაფლაოზე უცნობის ხელით წარწერაში წაშლილია ყველა ის ადგილი, რომელიც უფრო საინტერესოა ისტორიისთვის. მართალია, ოყურეშის ეკკლე-სიის კედლებზე ლეჩხუმში დღემდის დაცულია ერთი ნაწი-ლი წარწერისა კაციას შთამომავლობის შტოს შესახებ, მაგ-რამ ეს არ არის საკმაო ჩიქოვანების წარსულის გასაცნობად. ეხლანდელ დროში ჩიქოვანთა გვარი ძლიერ გავრცელებუ-ლია სამეგრელოში და ბევრგან შეჰხვდებით ამ გვარის კაცს სასულიეროსა და სამოქალაქო უწყებაში.

როცა მეფე ბაგრატმა შეიტყო, რომ ვახტანგის შვილს, ზემოხსენებულს არჩილს, სურდა იმერეთის ტახტზე ასვლა, დაუმოყვრდა გიორგი გურიელს და მიათხოვა ცოლად თავი-სი ქალი დარეჯანი 1675 წ., მაგრამ მალე დადიანმა, კაციას შეგონებით, მოიმხრო იმერლები და მათის შემწეობით სეკ-ტემბერს 1678 წ. დასვა არჩილი მეფედ.

ბაგრატი გაიქცა გურიაში და დასტოვა სკანდას დედო-ფალი თამარი, რომელიც, ამ ციხის აღების შემდეგ, არჩილმა დაუბრუნა ლევან დადიანს, მის კანონიერ ქმარს. ხოლო თა-ვისი სიძე მანუჩარი არჩილმა დაიბარა და თავის თან ჰყავ-და მოუშორებლად.

ახალციხის ფაშა დაჰპირდა შემწეობას ბაგრატს, მაგრამ ქართლის მეფემ, გიორგიმ, მოიტაცა შვილი მისი ალექსანდ-რე, რომელიც იყო ამანათად მიცემული, როგორც ზემოდ მოხსენებულია. ბაგრატი ამის გამო მით უფრო შესწუხდა, რომ, თვისის შვილის გიორგის სიკვდილს შემდეგ, ალექსანდ-რეს მეტი მემკვიდრე აღარავინ ჰყავდა. ფაშის მოხსენების შემდეგ, ხონთქარმა გაჰგზავნა იმერეთში არზრუმის სერას-

ქერი ჯარით და თან გააყოლა ბაგრატი. იმერლებმა მიატოვეს არჩილი და დაემორჩილნენ ბაგრატს. არჩილმა შეაფარა თავი რაჭაში; უკან დაედევნენ მრავალნი ოსმალნი. მთელი მხარე აოხრებულ იქმნა ცეცხლითა და ძახვილითა. თავის თავის საშველად არჩილი იძულებული შეიქმნა დაებეზღებინა სერასკერთან ასლანი, რომ ქრთამს იღებდა და ორპირად იქცეოდაო, რის გამოც ფაშას თავი გააგდებინეს 1679 წ. მიზეზი ასე სასტიკად მოქცევისა ის იყო, რომ ხონთქარი ეჭვობდა, ყველა ამ არეულობის მიზეზი საიდუმლო გავლენაა შაჰისაო; ეს ამბავი ხონთქარმა შეიტყო თავის სპარსელ ელჩისაგან, რომელმაც მოახსენა აგრეედვე, რომ არჩილი თავის ნებით ედავებოდა ბაგრატს ტახტს. მაშინ არჩილი მიხვდა, რომ შაჰმა ხელი აიღო ჩემზეო და ყოველივე ასლანს დააბრალა. ბაგრატმა უკანასკნელად იმეფა კიდევ ორი წელიწადი.

ბაგრატმა მალე გაილაშქრა სამეგრელოს, დაამარცხა დადიანი, წამოიყვანა თავისი მეუღლე თამარი და დაბრუნდა ქუთაისს. ლევანმა, გურიელის შემწეობით, რომელსაც დაუწინდრა თავისი შვილი მანუჩარი, დაიჭირა ისევ სამეგრელო; გარდაიცვალა 1681 წ. რადგან ლევანს არ ჰყავდა მემკვიდრე, გარდა მანუჩარისა, გურიელმა აღარ დაუბრუნა იგი მეგრელებს და დადიანობა თითონ დააპირა. დიდებულები არ დასთანხმდნენ; მაშინ გურიელმა მოაკვლევინა ყმაწვილი მთავარი. მეგრელები ამაზე უფრო გაბრაზდნენ და აღარ შეუშვეს გურიელი სამეგრელოში.

ამასობაში არჩილმა დაიჭირა ჩხერის ციხე და დაუყო იმერლებს მოციქულობა, რომელმაც გასწია რვა თვემდე,— და რადგან ვერას გაჰხდა, წავიდა ოსეთში და ერთის წლის შემდეგ რუსეთში გადავიდა; მივიდა თარკში ივნისს 1682 წ., იქიდან — ასტრახანს, საიდანაც ისევ თარკს დაბრუნდა. როდესაც ასტრახანში იყო, გაჩნდა დიდი ცეცხლი და ქალაქის გადაწვის დროს არჩილს დაეღუპა ყოველივე თავისი ქონება, გარდა წმინდა სამჭვალისისა, რომელიც წამოღებული იყო და-

დიანის საუნჯიდგან მეფე ვახტანგის მიერ 1661 წ. ეს წმინდა სამჭვალისი არის ეხლა დაცული მოსკოვის ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარში, შემკობილი გვირგვინითა და ზედ ქართულის წარწერითა, საიდანაც სჩანს, რომ პირველი გამკეთებელი ამ გვირგვინისა ყოფილა მეფე დავით ნარინი, შვილი რუსუდანისა. არჩილმა გარდასცა რუსებს ის ლუსმანი იმ სახით, როგორც გადაარჩინა ცეცხლსა. 1685 წლის ახლო ხანებში არჩილი, მიწოდებული მოსკოვს მეფე პეტრე ალექსის ძის მიერ, დარჩა იქ რამდენსამე ხანს და იყო მისგან წყალობით მიღებული.—1681 წ. მეფე ბაგრატი გარდაიცვალა. მას არ დარჩენია კანონიერი მემკვიდრე და იმერლებმა გიორგი გურიელი დასვეს მეფედ.

იმერეთის ისტორია ამას შემდეგ თანდათან ირევა და იხლართება; სამეფო ტახტის მაძიებელნი თანდათან გამრავლდნენ; აღარავინ ერიდებოდა სხვის საკუთრების მითვისებას, კანონისა და სიმართლის დარღვეკას. ცოლ-ქმრობის კავშირი მარტო ფულის სიხარბითა ანუ პატივის მოყვარეობით იკვრის, თითქო სავაჭრო რამ საქმეაო. საქტრისტეანო და სამოქალაქო კანონებს აღარავინ დაეძებს. შფოთმა და არეულობამ უმწვერვალესობამდე მიაღწია. უმთავრობის დროს სამეგრელოში, კაცია ჩიქოვანმა, რომელიც ამ მხარეს ჰმართავდა, უწყალოდ ამოჰხოცა წარჩინებულნი, ჭყონდიდელ მიტროპოლიტის შეგონებით, და შეიქმნა მთელ სამეგრელოს მფლობელად და თავის უფლებას ამყარებდა მხოლოდ ხმალზე. ამ დროს აფხაზებმა აიკლეს სამეგრელოს ზღვის ნაპირი და ყველა საეპისკოპოზო, გარდა დრანდისა და მოქვისა, მოსპეს. კაციას შემდეგ იმის შვილმა გიორგიმ დაიჭირა სალიპარტიანო და ჰმართავდა იმავე წესით, რომელიც დაამყარა იმისმა მამამ. ამ სახით, დიდებულნი თითქმის სრულიად გაწყდნენ და გლეხნიღა დარჩნენ.

გიორგი გურიელმა შეირთო დედოფალი თამარი, მეფობდა იმერეთში და სამეგრელოს დაჭერაც განიზრახა, მაგ-

რამ გიორგი ლიპარტიანმა მოსთხოვა ახალციხის ფაშას უკანონო შვილი ლევან დადიანი, და დასვა მთავრად ლევან მე II-ის სახელით. ქართლის მეფემ გიორგიმ გამოჰგზავნა აგრედვე იმერეთში ალექსანდრე, ზემოხსენებულის მეფე ბაგრატის შვილი. ფაშა დასთანხმდა და 1682 წ. ხონთქრის ბრძანებით დასვა ტახტზე ახალგაზდა ბატონის შვილი. გურიელი გამოვიდა იმერეთიდან; დედოფალი თამარი წავიდა სამეგრელოში იმ განძრახვით, რომ ჩაჰშალოს ამ ქვეყნის შეერთება ალექსანდრეს სკიპტრას ქვეშ და ერთის წლის შემდეგ გარდაიცვალა. მაშინ გიორგი გურიელმა შეირთო კაცია ჩიქოვანის ქვრივი, რომელიც რაჭის ერისთავის შოშიტას ძმისწული იყო და დიდად მოწადინებული იყო იმერეთში გაბატონებისა. ალექსანდრე IV, ბაგრატის მემკვიდრე, სცდილობდა თავისკენ მიემხრო პაატა აბაშიძე, არგვეთის მფლობელი, მიათხოვა მას თავისი და, დარეჯანი, რომელიც მიატოვა გიორგი გურიელმა. ამ დამოყვრებით მან განამტკიცა იმერეთში თავისი მეფობა. ამას შემდეგ მის მოწინააღმდეგეებად დარჩნენ მარტო გიორგი ლიპარტიანი, შოშიტა ერისთავი და ბეჟან ლორთქიფანიძე. მოკავშირენი 1684 წ. შეებრძოლნენ როკითში მეფეს, რომელსაც ახლდნენ აბაშიძეები და მიქელაძენი. მოჰხდა საშინელი ბრძოლა; გურიელმა, შოშიტამ და ბევრმა სხვამ დასდეს თავი. ლიპარტიანი გაიქცა. ალექსანდრეს მოუკლეს ლევან აბაშიძე, მაგრამ გაიმარჯვა და მრავალი ტყვე დარჩა, რომელთ გამოსყიდვით დიდ ძალი ფული შეიძინა. გიორგის სიკვდილს შემდეგ იმის მამამ მამიამ დაიჭირა გურია, ხოლო მისი ძმისწულები წავიდნენ ახალციხეს.

შემდეგ ამისა ალექსანდრემ სთხოვა ჯერ საქართველოს მეფეს გიორგის ქალი მისი და შემდეგ მის ძმის ლუარსაბის ქალი. ორივეზე უარი მოუვიდა. ალექსანდრემ გაილაშქრა რაჭის ერისთავის პაპუნას წინააღმდეგ, რომელიც ბატონიშვილის ლუარსაბის ცოლის ძმა იყო, და შემოადგა ასაღებად ნინიას ციხეს, მაგრამ ქართლელები მოეშველნენ პაპუნას და

აბაშიძეებიც გადუდგენ მეფეს, რომელიც იძულებული შეიქმნა უკან დაეხია. შემდეგ ამისა პაპუნა, ალექსანდრეს რჩევით, გაეყარა თავის ცოლს, ბეჟან ლორთქიფანიძის ქალს, და შეირთო დარეჯან ბატონიშვილი, რომლის ქმარი, პაატა აბაშიძე, გარდაიცვალა როკიტის ომში მიღებულ ჭრილობით. პაატას ძმა, გიორგი, რომელიც გაკრეჭილი ბერი იყო, შეიქმნა აბაშიძეების გვარის უფროსად. მან შეირთო ქვრივი კაცია ჩიქოვანისა და გიორგი გურიელისა და დიდი სიმდიდრე და გავლენა შეიძინა. მიათხოვა თავისი ქალი ელენე,— რომელიც პირველ ცოლის ხელში შეეძინა,—ქაიხოსრო მეორეს, გიორგი გურიელის შვილს, რომელმაც 1685 წ., მალაქიას გაგდების შემდეგ, პაატა აბაშიძის შემწეობით, დაიჭირა გურია. ახლად დაყენებულმა მთავარმა სიტყვა მისცა ახალციხის ფაშას, მალაქიას მშვიდობიანად ვაცხოვრებო და, როგორც კი დრო იხელთა, დასთხარა თვალები. ფაშამ იწყინა ესა და გამოჰგზავნა იმის დასასჯელად შავშეთის ბეგი, რომელმაც მიიწვია ქაიხოსრო მეგობრულ მუსაიფისათვის, მოჰკლა 1689 წ. და გარდასცა მთავრობა დაბრმავებულ მალაქიას. იმავე წელს ფაშამ შეიწყნარა გურულების თხოვნა, რომელთაც კარგი ქრთამი მიართვეს, და გარდასცა მთავრობა მამია მე-III-ს, ქაიხოსროს ძმას. მალაქია ბერად შედგა და დაინიშნა შემოქმედის მიტროპოლიტად. მამიამ შეირთო ზემოხსენებული ელენე აბაშიძისა.

როკიტის ბრძოლაში, როგორც წინად მოვიხსენეთ, ბევრნი დიდებულნი დაიხოცნენ. ვინც გადარჩა, გიორგი ლიპარიტიანმა ლევანის სახელით ზოგი მოაკვლევინა და ზოგი თათრებს მიჰყიდა. მისის თანხმობით ლევანმა, ცრუ დედიანმა, შეირთო თინათინი, ბაგრატ მეფის ქალი, და ალექსანდრესი. ამ ქორწინებით ლიპარტიანს სურდა მოეცილებინა მეფე და გურიელი, რომელთაც განიზრახეს დაეჭირათ სამეგრელო, აოხრებული აფხაზების მიერ და დასუსტებული ლიპარტიანის სასტიკის მმართველობით. ამ დროს მეფე ალექ-

სანდრე, რომელმაც შეურაცხყოფად მიიღო ორჯელ უარის თქმა დამოყვრებაზე ქართლის მეფე გიორგისთან, მიემხრო ერეკლე ნაზარ ალი-ხანის დასს და დაეცა რაჭას, სადაც შეაფარა თავი მეფე გიორგიმ, რომელსაც ჰყავდა ცოლად პაპუნა ერისთავის ძმის-წული. მთელი მხარე აოხრებულ და გაძარცულ იქმნა. რაჭვილებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. ალექსანდრეს დაბრუნების შემდეგ პაპუნა ისევ დამყარდა თავის სამფლობელოში. ამ დროს 1688 წ. დამლევს, არჩილი, მოწოდებული თავის ძმის გიორგისაგან, მოვიდა რუსეთიდამ ოსეთში თავის ორის ვაჟით: ალექსანდრეთი და მამუკათი. არჩილმა შვილები დასტოვა მთებში და თვითონ შეუდგა იმერეთის დაფლობას. არჩილს მოეგებნენ მისნი მომხრენი გველის თავს, ჩრდილოეთ-დასავლეთ რაჭაში. იქ უცდიდნენ არჩილს: პაპუნა ერისთავი, გიორგი ლიპარტიანი, ჭილაძეები, მიქელაძეები და სხვანი. აკლდათ მხოლოდ ორი დიდებული კაცი—გიორგი აბაშიძე და სიმონ ქუთათელი, რომელთა შემწეობით ალექსანდრემ მოაგროვა ჯარი და გველის თავს დახვდა არჩილს. ოსმალებმა შემწეობა აღმოუჩინეს მეფეს და ამ სახით გაჰფანტეს მოკავშირენი.

არჩილმა სამეგრელო გარდავლო და მივიდა აფხაზეთს, სადაც შარვაშიძეებმა დიდი პატივი სცეს. აქედგან მან გამართა მიწერ-მოწერა ყირიმის ხანთან, რომელსაც სთხოვდა შემწეობას, მაგრამ ამ დროს ალექსანდრემ გადაიბირა გიორგი ლიპარტიანი, რომელსაც უწყალობა ლეჩხუმის მაზრა. რადგან არჩილმა ვერა გაარიგარა, სთხოვდა მეფეს თავისუფლად გაეშვათ მაინც რაჭის გზით ოსეთში და ფიცით აღთქმა მისცა, რომ ამიერიდან ხელს ვიღებ იმერეთზედაო. ივნისში 1691 წ. არჩილი წავიდა: მისი ძმა, გიორგი მეფეც, გურიაში გადავიდა.

არჩილს მალე დაავიწყდა თავისი აღთქმა და ყოველს ღონისძიებას ჰხმაროობდა ხონთქრის წინაშე, რომ გადაეგდო ალექსანდრე. არჩილი აღთქმას სდებდა, რომ გარდავიხდი

ოცის წლის ხარკს, რომელიც იმერეთს ადევსო. ამ საქმისთვის ყირიმის ხანმა საგანგებოდ გაუგზავნა ხვანთქარს ელჩი, რომელმაც იმდენი მოახერხა, რომ ხონთქარი დასთანხმდა არჩილის წინადადებაზე და გამოჰგზავნა იმერეთში ფორმალური განცხადება, გამოიკითხეთ, ვისი მეფობა სურთ იმერთაო. ამ ფირმანის მომტანი, რასაკვირველია, ალექსანდრემ არ შეუშვა იმერეთში და, როცა დაბრუნდა ახალციხეს, იქ ნახა მეფე გიორგი. იქ გამოსჭრეს სამეფო და სხვა ბეჭდები და ფირმანზე ბევრმა მოაწერეს ხელი. არჩილმა, არზრუმის სერასკირის შემწეობით, მიიღო სამეფო ხმალი და ხალათი, წამოვიდა ოსეთიდან და ავიდა ტახტზე 1692 წ. მეფე გიორგიმ, თანახმად დაპირებისა, მისცა ამანათად ოსმალებს თავისი ძმისწული ვახტანგი. ხოლო მეორე ძმისწული ელენე, რომლის შერთვა სურდა მეფე ალექსანდრეს, მიათხოვეს დიდებულს თავადს ქაიხოსრო იაშვილს. თითონ გიორგი საცხოვრებლად დარჩა ახალციხეს. ორის თვის შემდეგ მეორე არეულობა მოჰხდა. როცა გიორგი აბაშიძემ შეიტყო, რომ არჩილს ოსმალებთან აღარა აქვს მეგობრობაო, მოურიგდა ლიპარტიანს და მოიწოდა მეფედ ალექსანდრე. პაპუნა ერისთავმა, სიმონ ქუთათელმა და სხვებმა *) არჩილს არ უღალატეს. 1691 წ. დეკემბერში მოწინააღმდეგენი შეებრძოლნენ გოდოგანში. ალექსანდრე დამარცხდა და გაიქცა გორს. მეფე ერეკლემ მოახსენა ეს ამბავი შაჰს, რომელმაც შიკრიკი გაუგზავნა ხონთქარს. როცა არჩილს აუწყეს, რომ ახალციხის ოსმალებმა საპყრობილეში ჩასვეს მეფე გიორგი, შენი ძმაო, ის გარს შემოერტყა ქუთაისს და რადგან სურდა გიორგი ლიპარიტიანის გადმობირება, უწყალობა მას ლეჩხუმი, მაგრამ ამით ვერა მოიგო-რა.

ლიპარტიანმა მაინც უღალატა. მან ღამით გამოაპარა ქუთაისის ციხიდან ოსმალთა ჯარი და მიაშველა სურსათი.

---

*) გიორგი მიქელაძემ და ბეჟან ლორთქიფანიძემ. ვახ.

ციხიდან გამოსულმა ოსმალებმა ჯავრი ამოიყარეს იმითი, რომ დაანგრიეს ქუთაისის ღვთის-მშობლის ტაძარი 1693 წ. მეფე გიორგიმ მოახერხა ახალციხიდან გამოქცევა და დაიფლო ქართლი. რუისში შეიპყრა ალექსანდრეს ცოლი და შვილები, მაგრამ ალექსანდრე, ახალციხის ფაშის შემწეობით, შევიდა იმერეთში და აიძულა არჩილი გაქცეულიყო რაჭასა და ქართლში, საიდამაც მერე ოსეთში დაბრუნდა.

ამ დროინდელ აწეწილ-დაწეწილის საქმეების გარკვევა ისტორიკოსს დიდის გაჭირვებით შეუძლიან. ნამდვილად და დალაგებით ვერ აგვიწერს იქ მომხდარს ხშირსა და უეცარს არევ-დარევას. ამ შემთხვევაში ჩვენ ვსარგებლობდით არჩილის წერილებით, რომელიც აქვს მიწერილი მეფე იოანე და პეტრე ალექსის ძესთან. ვსარგებლობდით აგრედვე სხვა ოფიციალურ საბუთებით. ამ საბუთებზე დავაფუძნეთ ჩვენი თარიღებიც, რომელიც ხანდისხან არ ეთანხმება ვახუშტის ჩვენებას.

ალექსანდრემ იმეფა 11 წელიწადი. არჩილი წავიდა ჩრდილოეთისკენ და, როდესაც გადავიდა მცირე ყაბარდოში, მეტად რიცხვ-ნაკლები აძალა ახლდა. 1693 წ. ღალატით შეიპყრა თავადმა ყულჩუყ ქილიქ-ბიტიევმა, შამხალისა და შაჰის ბრძანებით. ყულჩუყი გაჯავრებული იყო იმაზედ, რომ მეფე გიორგიმ, არჩილის ძმამ, წააყვანინა მისი ქალი თავის შვილის ბაგრატის საცოლოდ და, როდესაც მოუკვდა შვილი ბაგრატი, აღარ შეატყობინა ყულჩუყს საქმროს სიკვდილი და დაიტოვა მისი ქალი თავის სახლში. შემდეგ ეს ქალი მეფე ვახტანგ სჯულმდებელის მეუღლე გახდა, რუსუდან დედოფლის სახელით. თუმცა არჩილმა საკვირველი ვაჟ-კაცობა გამოიჩინა, მაგრამ მაინც იმავე ღამეს შეიპყრეს და დაატყვევეს. გაათავისუფლეს არჩილი მხოლოდ ჩერქეზთა ქალების თხოვნით, რომელნიც განცვიფრებულნი იყვნენ არჩილის სილამაზითა და ვაჟ-კაცობით. ჩერქეზთა ქალებმა მოსთხოვეს თავიანთ ქმრებს იმისი განთავისუფლება. არჩილი დაბრუნდა ბალქარს, რო-

მელიც მდებარეობს მალკის სათავესთან, და იქ უცდიდა უკეთეს დროს და ხელ-საყრელს გარემოებას.

მეფე ალექსანდრემ მიატოვა თავისი მეუღლე, — დიდებულის ოჯახის შვილი, — რომლისაგანაც ჰყავდა ორი ვაჟი, — გიორგი და სიმონი. — როგორც ზემოდ მოხსენებულია, ეს ვაჟები მეფე გიორგის დაჭერილი ჰყავდა ქართლში. ალექსანდრემ შეირთო გიორგი აბაშიძის ქალი თამარი, რომელიც მაშინ ათის წლისა იყო. ახლო ხანებში გიორგი ლიპარტიანმა, გაძლიერებულმა დიდებულთა ამოხოცვით და ტყვეების გაყიდვით, გადააგდო ლევან დადიანი, რომელიც წავიდა სტამბოლს და იქ მალე გარდაიცვალა. ლიპარტიანი დარჩა სრულ მფლობელად სამეგრელოისა და ლეჩხუმისა, თუმცა დადიანად არ იწოდებოდა.

თუმცა იმერეთის დიდებულნი არ დაეთანხმნენ მეფე ალექსანდრეს, როდესაც მან ხელ-ახლად გამოაცხადა, რომ მინდა დავეხმარო ერეკლე ნაზარ ალი-ხანს წინააღმდეგ მისის მტრისა, გიორგისაო, ალექსანდრემ მაინც შეჰკრიბა ჯარი, დაეცა დაბა ალს და ააოხრა მისი არე-მარე. არჩილი, რომელიც იმყოფებოდა მაშინ ტაშის კარში, დახვდა გზაზე უკან დაბრუნებულს ალექსანდრეს და დაატოვებინა იმერლებს ნადავლი, რომელიც ქართლიდან მიჰქონდათ. შემდეგ ამისა ორთავე ძმებმა — არჩილმა და გიორგიმ — შეაგონეს იმერლებს, რომ მეფე ალექსანდრეს საქციელი ყოვლად საზიზღარიაო; და თუმცა ახოვანი და გულ-უხვი კაციაო, მაგრამ ამასთანავე უჭკუო და ულვთო, ტყვის გამყიდველი მმართველიაო. მართლაც, ამ დროს ალექსანდრეს სურდა გაჰყროდა თავის ცოლს თამარს და ურჩევდა აბაშიძეს, მიათხოვე მეფე გიორგისაო. მოთმინებიდან გამოსულმა აბაშიძემ შეაგონა იმერლები, კათალიკოზი და ერისთავი პაპუნა, რომელნიც თავს დაესხნენ ალექსანდრეს სკანდის ციხეში და წაჰგვარეს ქართლის მეფე გიორგის; მეფემ მოაყვანინა დაბა რუისს, დაარჩობინა და დამარხა იქაურ ეკკლესიაში. ამ სახით, არჩილმა თა-

ვიდამ მოიცილა თავისი მუდმივი მეტოქე და დაჯდა იმერეთის ტახტზე 1695 წ.

ამავე წელს არჩილი დაესახლა საჩხერეში თავის ძმით, გიორგით, რომელმაც დაჰკარგა ქართლის ტახტი. დედოფალმა, თამარ აბაშიძის ქალმა, შეუთვალა, ცოლად გამოგყვებიო და ამასთანავე ტახტიც აღუთქვა ჯერ არჩილს, რომელიც ცოლს განშორებოდა და მერე—გიორგის. ორთავემ უარი შეუთვალეს ამ უსინდისო წინადადებაზე. როცა გიორგი წავიდა ისპაჰანს, აბაშიძე ეძრახა გიორგი ლიპარტიანს, უპოვნა თავის ქალს საქმროდ ვიღაც გიორგი, რომელიც მეფის ნათესავი იყო, და დასწერა მათ ჯვარი. თამარის თანხმობით, იგი გამოაცხადეს მეფედ და არჩილი გაიქცა ოსეთში 1696 წ.

გიორგი—ხალხში „გოჩია“ მეფედ წოდებული—სრულიად უღირსი იყო თვისის მაღალის წოდებისა. იყო უზნეო, გაუნათლებელი და სახით მახინჯი. ქვეყნის მართვა მან მიანდო აბაშიძეს, რომელსაც ემორჩილებოდნენ იმერეთის დიდებულნი, დადიანი და გურიელი. ერთის წლის შემდეგ დედოფალმა შეიძულა ეს უზრდელი კაცი და ისურვა მისი მიტოვება და მამის საშუალებით ისევ განუახლა არჩილს თვისი წინადადება. არჩილი მაშინ ერწოს მაზრაში სცხოვრებდა. რუსეთიდან მოელოდა ცოტაოდენს ჯარს, გადავიდა დვალეთს და დაჰყო ზამთარი ზრამაგში. დიდებულებმა გააგდეს მეფე გიორგი—გოჩია—და მოიწვიეს ისევ არჩილი, რომელიც დიდ უარს ამბობდა, რადგან ერთის მხრით იცოდა, რომ დიდხანს ვერ დარჩებოდა და მეორეს მხრით დარწმუნებული იყო, რომ იმერლები მაშინ ცბიერნი, ბოროტნი, ერთმანეთზე მიმხტომნი, ტყვეთა გამყიდველნი და სხვა მრავალ [1]) ბიწიერების მიმდევარნი იყვნენ. ბოლოს დასთანხმდა ხალხის მიწოდებაზე და 1698 წ. შევიდა იმერეთში.

---

[1]) „ვახუშტით, „რამეთუ არღა-რა იყო პირ-მტკიცეობა, არამედ იყვნენ გარყვნილნი, ფიცის-მტეხელნი, მხდომნი, მკრეხელნი, უკეთურნი, არა თუ წარჩინებულნი, გარნა მდაბიურნიცა“.

არჩილი თავისმა წინად-გრძნობამ არ მოატყუა. მალე ახალციხის სელიმ-ფაშამ მოახსენა ხონთქარს ყოველივე ეს ამბავი და მიიღო ბრძანება, რომ გადააგდოს არჩილი ტახტიდან. სელიმმა მოსთხოვა მეფე ერეკლე ნაზარ-ალი-ხანს სიმონი, მეფე ალექსანდრეს შვილი, რომელიც ღირსეულად იზრდებოდა ქართლის მეფის სასახლეში, და მოიყვანა იმერეთს. არჩილმა დასტოვა იმერეთი და გადავიდა რაჭას თავის ძმის წულით, ვახტანგითურთ, შემოდგომაზე 1698 წ., დაიზამთრა ტაგაურში და წავიდა შემდეგს გაზაფხულს რუსეთში სამუდამო საცხოვრებლად. მან იმეფა იმერეთში ხუთჯერ და მისმა ხუთჯერ მეფობამ გასტანა სულ ექვსი წელიწადი. ზემოხსენებულიდამ ცხადია, რომ არჩილ მეფე ვერ იყო რიგიანი ქრისტეანი და ვერც რიგიანი მმართველი. არ იყო საქმის კაცი და არც პირ-მტკიცე, მაგრამ განთქმული იყო, როგორც რაინდულის ვაჟკაცობით, აგრედვე დიდის პოეტურის ნიჭით. არჩილი შეუდარებლად მაღლა იდგა ყველა იმათზედ, რომელთაც სრულიად უსამართლოდ ედავებოდა გვირგვინს კახეთიდამ წამოსვლის შემდეგ [1]).

სიმონის ტახტზედ ასვლის შემდეგ ფაშა დაბრუნდა ახალციხეს. ცოტა ხანს უკან მეფემ შეირთო გიორგი აბაშიძის ქალი ანიკა, რომელიც დანიშნული ჰყავდა ნასყიდა იაშვილს, ამავე დროს გიორგი აბაშიძეს მოუკვდა პირველი

---

[1]) მოგვყავს იმერეთში დაცული არჩილ-მეფის ტაეპი, რომელიც ამ ბედკრულმა მეფემ ნაღვლიანად წარმოსთქვა, როცა იმერეთს გამოეთხოვა:

გუგულის ქედსა გარდავსდეგ,
ავყარე სევდა გულისა,
დავხედე ქართლის სირონსა,
ღვთისაგან დასახულისა;
დავაგდე ქაჯთა ქვეყანა,
ღვთისაგან დაწყევლილისა;
და ვინც გახდეს მათი მოყვარე,
იქმნეს მაჰმადის სჯულისა.

ცოლი და ითხოვა მეორე, რომელსაც მალე გაეყარა, და შეირთო ბეჟან ლორთქიფანიძის ქალი, პაპუნა ერისთავის ქვრივი. ამ საშუალებით დიდი გავლენა განიმტკიცა იმერეთში. როცა სიმონი დარწმუნდა, რომ იმერლები ყურს აღარ უგდებდნენ და უფრო ემორჩილებოდნენ მის ცოლის დას, დედოფალ თამარს, მიატოვა იმერეთი და გაიქცა ქართლში.

ამ დროს ბეჟან ლორთქიფანიძის შვილი გრიგოლი დაჯდა კათალიკოსად. ვახუშტის თქმით, გრიგოლი ეკურთხა კათალიკოსად შემდეგ ევდემონ საყვარელიძისა, რომელიც გარდაიცვალა 1699 წ. ახლო ხანებში, მაგრამ საბუთებიდან სჩანს, რომ ევდემონი გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან 1675 წ. და მისი ადგილი დაიჭირა დავით ნემსაძემ, რომელიც აიყვანა საკათალიკოსო კათედრაზე მეფის თანხმობით ლევან მე-III დადიანმა. მემდეგ დავითისა მიიღო კათალიკოსობა ვინმე ნიკოლოზმა, რომელიც 1610 წ. კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ ეს ჩვენება საეჭვო საბუთზეა დამყარებული. ეს ნიკოლოზიც გარდაყენებულ იქმნა მეფისაგან. იმის შემდეგ დადგა კათალიკოსად ზემოხსენებული გრიგოლი, რომელიც გარდაიცვალა 1642 წ.

რადგან ზოგიერთნი ლეჩხუმელნი არ ემორჩილებოდნენ ლიპარტიანს და ხშირად ეცემოდნენ ოკრიბის მაზრას, აბაშიძემ თავის მეგობრის, ლიპარტიანის, თხოვნით, გარდავლო ზამთარში დათოვლილი რაჭის მთები, შევიდა ლეჩხუმში და ყველა ურჩნი დაიმორჩილა. აქ უნდა მოვიხსენიოთ, რომ აბაშიძის ქალს თამარს ძრიელ სურდა შეუღლება ლიპარტიანთან. ლიპარტიანს ჰყავდა ცოლად თავადის მიქელაძის ქალი, რომელთანაც შვიდი შვილი შეეძინა, მაგრამ მაინც გაეყარა და შეირთო თამარი. ამის შემდეგ ყველა ადიდებდა თამარს და უწოდებდა მას ოდიშისა და იმერეთის დედოფალს.

აბაშიძემ დაამშვიდა რაჭა, რომელიც აუჯანყდა. ამ დროს მამია გურიელმა მოსთხოვა ერეკლე ნაზარ-ალი-ხანს, ახალ-

ციხის ფაშის შუა-კაცობით მეფე სიმონი და განიზრახა მისი კვლავ ტახტზე დასმა. ერეკლემ გარდასცა იგი მამიას. მამიამ აიძულა სიმონი გაჰყოლოდა ანუკა აბაშიძის ქალს და შეერთო მამიას და. შეურაცხყოფილმა ამით აბაშიძემ სთხოვა დახმარება ლიპარტიანს და ორთავემ ურჩიეს მამიას სიმონის გაძევება. მამია დიდ განსაცდელში ჩავარდა. მაშინ მოკავშირეებმა მოჰკლეს მეფე 1701 წ., როცა ის თავის საწოლ ოთახიდან ღამე კარში გამოვიდა.

მამია მე-III გურიელი გამეფდა მცირეს ხნით. ერეკლე ნაზარ-ალი-ხანი სიმონ მეფის მოკვლით ძრიელ გაჯავრებული იყო აბაშიძესა და მამიაზე. იმათ დასასჯელად მოვიდა დაღალულას და ისე აჩვენა თავი, ვითომც განეზრახოს დაფლობა ხეფინის ხევის ხეობისა. ამ დროს გურიელი, რაკი ყველა სამეფო შემოსავლით აბაშიძე სარგებლობდა და გურიელს აღარაფერი რჩებოდა იმერეთის დიდებულთა დასაჯილდოვებლად, განშორდა იმერეთს და დაბრუნდა გურიაში.

1702 წ. გიორგი აბაშიძე გამეფდა იმერეთში და იწოდებოდა გიორგი V. ლიპარიტიანის თხოვნით მან გაილაშქრა აფხაზეთის მთავრის წინააღმდეგ, რომელნაც ააოხრა სამეგრელო და იქიდამ ბევრი ტყვე მოიტაცა. გიორგიმ სამაგიერო გარდაუხადა.აფხაზეთი ცეცხლითა და მახვილით გარდაიარა და წაართვა შარვაშიძეს სამეგრელოს სოფლები, რომელიც დაეჭირა და დაბრუნდა დიდის დავლითა. გაამპარტავნებულმა ამ ნაირის გამარჯვებით მან უარი შეუთვალა ისაყ-ფაშას ხარკის გადახდასა და საჩუქრების გაგზავნაზე. ისაყ-ფაშამ მოიწვია ქართლიდან სიმონ მეფის ძმა, გიორგი, და ყოველივე ხონთქარს მუსტაფას მოახსენა. ხონთქარმა უბრძანა არზრუმის სერასკირს გაგზავნა იმერეთში ზღვითა და ხმელეთით დიდის ჯარისა, დაჭერა იმ ქვეყნისა შვიდის წლის ვადით და დაქცევა ყოველ სიმაგრეთა და ციხე-კოშკთა. აბაშიძემ შემოიერთა გურიელი და დადიანი, შეკრიბა იმერეთის ჯარი, ხალხი დახიზნა მთებში, სიმაგრეები დაიჭირა და შეუკრა მტერს ყველა გზები. სერასკირი გა-

ვიდა გურიაში ჭოროხზე. მისი მოადგილე ისაყ-ფაშა გადმოვიდა კაკას ხიდზე, გაჰფანტა იმერლები დიდრონის ზარბაზნების საშინელის სროლით და შევიდა ბაღდადში. ამავე დროს სამეგრელოს ზღვის პირზე გამოვიდა ხომალდებიდან ჯარი, მაგრამ ამითაც ოსმალნი ვერას გააწყობდნენ, უკეთუ გურიელს არ გაეტეხა აბაშიძისათვის მიცემული სიტყვა და არ დაეკრა ფაშისათვის თავი, უკეთუ მიქელაძეც ლიპარტიანის სიძულილის გამო არ დამორჩილებოდა სერასკირის მოადგილეს, არ შეეყვანა იგი შუაგულ ქვეყანაში და არ შეეტყობინებინა სერასკირისათვის აბაშიძის მდგომარეობა. სერასკირი შევიდა იმერეთში და გაჰგზავნა თავისი მოადგილე არგვეთს, სადაც მან შემოარტყა ჯარი ჭალა-ტყის კოშკებს, რომელიც აბაშიძეს გამაგრებული ჰქონდა. მეციხოვნენი დიდის თავ-განწირულობით იბრძოდნენ, მაგრამ ისაყ-ფაშამ მოახერხა თხრილის აღება ბ სამის კოშკის ნაღმით აფეთქება. აგრედვე რუხის ციხეც აიღეს ოსმალთ ხანგრძლივის ბრძოლის შემდეგ, შიგ ჯარი ჩააყენეს და ანაკლიაშიც ციხე ააშენეს. ყოველივე ეს მოჰხდა 1703 წ. მუსტაფა ხონთქრის სიკვდილმა და არეულობამ, რომელიც მოჰყვა მის სიკვდილს ოსმალეთში, აიძულა აჰმედი, ახალი ხონთქარი, გაეყვანა იმერეთიდამ სერასკირი, რომელიც შეურიგდა აბაშიძეს იმ პირობით, რომ დაენგრია შორაპნის ციხე და საჩუქრები მიერთმია მისთვის ბანაკში. აბაშიძე გამოეცხადა 500 შეიარაღებულის მხედრით. ისაყმა დაითანხმა ის, რომ ეშვილა ბატონიშვილი გიორგი და ეცნო მეფედ, მაგრამ ისაყ-ფაშის გაბრუნებამ მაინც მშვიდობიანად არ ჩაიარა აბაშიძის წაქეზებით იმერლები დაედევნენ ისაყ-ფაშას და დაჰხოცეს მრავალნი ოსმალნი ფერსათის მთაში, მოჰკლეს კოლას ფაშა, დასჭრეს ხელში თვითონ ისაყ-ფაშა და დაბრუნდნენ მდიდარის დავლით. სერასკირი დაბრუნდა გურიაზე. ოსმალთ მიატოვეს სამეგრელო და აბაშიძე ისევ გაიმართა წელში.

გიორგი მე-VI, მეფედ წოდებულს, ეშინოდა აბაშიძისა,

ჩაიკეტა ქუთაისის ციხეში და, გიორგი მიქელაძის შეგონებით, შეირთო როდამი, რომელიც იყო ყოფილის ქართლის მეფის გიორგი მე-VI ქალი; რადგან დიდს სიღარიბეში იყო, ვახტანგმა გამოუგზავნა დიდძალი ფული, მაგრამ იმერეთს ისევ აბაშიძე განაგებდა.

აბაშიძის ქალი თამარი, ლიპარტიანის მეუღლე, საშინლად გაბრაზებული იყო თავის პაპაზე, მიქელაძეზე, ზემოხსენებულ მის მოქმედებისათვის. მისის შეგონებით გიორგი აბაშიძემ წაართვა მიქელაძეს საჭილაო და სამიქელაო და გარდასცა ლიპარტიანს. მიქელაძე წავიდა ქართლში. იესემ ანუ იოსებმა, ლიპარტიანის ძმამ, რომელსაც ჰყავდა ცოლად ბატონის ასული მარიამი, მამიდა მეფე გიორგი მე-VI, შეაფარა თავი ლეჩხუმში. შეშინებული ლიპარტიანი წავიდა ლეჩხუმს, გამოდევნა იქიდან იესეს მომხრენი, დადიანად აღიარა თავისი უფროსი შვილი კაცია, ლეჩხუმის მაზრა მეორე შვილს ბეჟანს ჩააბარა, ხოლო უმცროს ძმას გაბრიელს,—რომელიც ბერად შემდგარიყო,—მისცა ჭყონდიდის საეპისკოპოზო, თვითონ გიორგი დარჩა ისევ ლიპარტიანად და უზენაესი ზედამხედველობა ჰქონდა თავის შვილებზე

ამასობაში იმერეთის დიდებულებმა დაიფლეს, ვისაც რა შეეძლო. რაჭა გლოლითურთ და ჯაფარიძეებით ერგო ერისთავს, ყვარა—თავად იაშვილებს, ხოტევი—წულუკიძეებს, სვეტრი—აბაშიძეებს, რომელთაც მიიღეს ეს მამული მეფის შაჰნავაზისაგან მის აქ გამოლაშქრების დროს. ლეჩხუმი, საჭილაო და სალომინაო ჩიჯავაძეებითურთ დაიფლო ლიპარტიანმა.

გიორგი აბაშიძემ მოიყვანა წესიერებაში იმერეთის საქმეები, აღკრძალა ძარცვა, ერთმანეერთის მიხდომა და ტყვეთა გაყიდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონიერი ნება-რთვა ექნებოდა გამყიდველს.

ქართლის მეფე ვახტანგმა გაჰმართა მასთან მიწერ-მოწერა კავშირის შესაკვრელად და აგრედვე იმის შვილის ლევანის და თვისის ასულის დაქორწინების შესახებ; ამასთანა-

ვე ვახტანგი ჰპირდებოდა, რომ ახალ დაქორწინებულთ დაუთმობდა სააბაშიო მამულს ქართლში. აბაშიძემ არ მიიღო ეს წინადადებანი, როგორც იმიტომ, რომ ეშინოდა იმისი შვილი სპარსეთში არ გაეგზავნათ, აგრედვე იმიტომაც, რომ მეფე გიორგი მე-VI-ს, მის მტერს, ჰქონდა დამოკიდებულება ვახტანგთან და სთხოვდა მას შემწეობას. კათალიკოზი, გელათის ეპისკოპოზი და შოშიტა ერისთავი,—რომელსაც ჰყავდა ცოლად მეფე ალექსანდრეს ქალი,—გიორგის მხარეზე იყვნენ და 1707 წ. საჯაროდ მეფედ აღვიარეს იგი.

მეფე გიორგი მე-VI-მ დაუყონებლივ უბრძანა აბაშიძეს, რომ ხელი აეღო ყველა სამეფო მამულებზე და დაკმაყოფილებულიყო თავის სამკვიდრო სამფლობელოთი. კათალიკოსს და გენათელს, რომელიც აბაშიძემ მოციქულებად გაუგზავნა, არავითარი პასუხი არ გასცა მეფემ და დააკავა ისინი. ამ ნაირ ფიცხად მოპყრობის შემდეგ, მთელი იმერეთი მიემხრო გიორგის. აბაშიძის შეგონებით ლიპარტიანი დაეცა ვაკის მაზრას, თუმცა იმერეთის და რაჭის ჯარით ყველა ვაკის ადგილები მეფემ უკანვე დაიბრუნა, მაგრამ აბაშიძემ მალე დაამარცხა მეფის ჯარი, ბევრი ტყვე წამოიყვანა და გაჰყიდა. ამ დროს აბაშიძის ქალი თამარი საშინელის სენით მოკვდა და ლიპარტიანის შვილებმა თავის დედის გაუპატიურებისათვის მიატოვეს მამა თვისი ლიპარტიანი და მიემხრნენ მეფე გიორგის. აბაშიძის ძმისწულები—ზურაბი, სიმონი და ვახუშტი—აგრედვე მიემხრნენ მეფეს, რადგან ამ უკანასკნელმა,—ვახუშტიმ,—შეირთო მეფე ვახტანგის ქალი. აბაშიძე მარტო დარჩა; ყველა მას დაშორდა. როგორც კი მეფე გაძრიელდა, გამოვიდა ქუთაისიდან და თანდათან შემოიკრიბა ის მაზრები, რომელიც აქამდე მას არ ემორჩილებოდა. შემდეგ შემოარტყა ჯარი კაცხის ციხეს. ლიპარტიანმა დააჯერა რაჭის ერისთავი შოშიტა, აბაშიძის შვილის-შვილი, რომ მოჰხმარებოდა და ორთავე მოკავშირენი მოვიდნენ ფარცხანაყანევს. შეიტყო თუ არა მეფემ ეს ამბავი, ღამით წაიყვანა ჯარი, დაეცა

მეგრელებს და საშინლად დაამარცხა 1709 წ. გამარჯვებულს მეფეს დიდი ნადავლი და ბევრი ტყვე დარჩა. იქიდამ დაბრუნებულმა აიღო კაცხის ციხე, რომელიც აბაშიძის შვილმა პაატამ გარდასცა; ამას შემდეგ მეფე შემოადგა სვერის ციხეს, რომელშიაც იყო გამაგრებული თვითონ აბაშიძე, მაგრამ ვერა გააწყო-რა და გადავიდა რაჭას. წულუკიძენი და ზოგიერთნი სხვანი ერისთავის მომხრენი იყვნენ; ღამე ბრძოლის დროს ერისთავმა მოჰკლა მეფის სახლთუხუცესი და აიძულა მეფე დაბრუნებულიყო ხოტევს. გიორგი შემოადგა აგრედვე აბაშიძეების ნავარძეთის ციხეს. ამ დროს შოშიტა ერისთავმა განუტევა თავისი ცოლი, მეფის და, და შეირთო მეფის მამიდა მარიამი, რომელიც ჰყავდა ცოლად იესე ჩიქოვანს.

ნავარძეთის აღების დროს ლიპარტიანის შვილებმა—კაციამა და ბეჟანმა—სთხოვეს მეფეს, რომ განედევნა მამა მათი და სამეგრელო მათთვის მიეცა. მეფე დასთანხმდა, დასტოვა ნავარძეთში ქველი წერეთელი და წავიდა სამეგრელოს. შარვაშიძე წინააღუდგა მეფეს, მაგრამ შემდეგ მოურიგდა: მეფემ დააყენა დადიანად კაცია და დაბრუნდა იმერეთში; ნავარძეთის ციხის აღების შემდეგ მან წამოიღო იქიდან ციხის ზარ-ბაზნები.

შოშიტა ერისთავმა, რომელმაც აბაშიძესთან შეჰკრა კავშირი, არ მიჰხედა ამას, გაძარცვა ჭალა-ტყე და წამოიღო იქიდამ ნადავლი თავის სასარგებლოდ. გურიელმა თავის სიძის აბაშიძის პატივსაცემლად მტრობა დაუწყო მეფე გიორგის. მაშინ მეფე გიორგი დაეცა გურიას და დაიპყრო ეს ქვეყანა. ამ ომის დროს ლეჩხუმელები ბეჟანის[1]) სარდლობით დამარცხდნენ საჯავახოს მაზრაში.

ამ დროს კაცია დადიანი გარდაიცვალა. მისმა მამამ, ლიპარტიანმა, დაიჭირა ხელ-ახლავ სამეგრელო და შეირთო ცოლად გურიელის ქალი თამარი. აბაშიძე უკიდურესს მდგო-

---

[1]) ლიპარტიანის შვილი.

მარეობაში ჩავარდა, გამოვიდა სვერიდანდა წავიდა ქართლს. თან ახლდა დიდძალი ამალა, რომელიც ვახტანგ მეფემ გამოუგზავნა. მისი ძმის-წული ვახუშტი იმაზედ წინად გადავიდა და დაესახლა ქართლში. 1711 წ. მეფემ შეირიგა ლიპარტიანი და დაიჭირა რაჭა სხვავამდე. ლიპარტიანმა მალე უღალატა მეფეს. შეუერთდა რაჭის ერისთავს, გურიელსა და ბეჟანს, ლეჩხუმის ბატონს, შეითქვნენ და გადააგდეს მეფე,— რომელიც შეიძულეს მისის ბოროტის გულისა და სიხარბისათვის,—და იმავე წელს მეფედ გახდა ხელ-მეორედ მამია მე-III გურიელი, რომელმაც ცოტა ხანს იმეფა.

მეფე გიორგი გაიქცა ქართლში და მიღებულ იქმნა გორში, სადაც იმყოფებოდა აბაშიძე. გურიელმა გურიის მთავრობა გარდასცა თავის შვილს, თვითონ კი ჰმართავდა იმერეთს. მალე გაეყარა თავის ცოლს, ელენე აბაშიძის ქალს, და შეირთო შოშიტა ერისთვის ქალი თამარი, რომელიც წაართვა პირველ ქმარს პაპუნა ფხეიძეს [1]). მეფედ ყოფილს გიორგის სურდა ჯავრი ამოეყარა აბაშიძესი მტრობისათვის, მაგრამ ვახტანგმა შეარიგა ისინი და დააბრუნა უკანვე აბაშიძე თავის მამულში.

მაშინ მეფემ სთხოვა მფარველობა ისაყ-ფაშას. ფაშისა, ლეჩხუმის ბატონის ბეჟანისა და ზურაბ აბაშიძის დახმარებით, მეფე გიორგიმ ღამით გარდავლო არგვეთი და იქიდამ გადავიდა ლეჩხუმს; შეჰკრიბა ჯარი და შევიდა არგვეთის მაზრაში. გურიელმა იმერლებითურთ, რაჭველებითა და სხვებით, იქითკენვე გასწია. მეფე დაუხვდა თხილთა-წყაროსთან. მოჰხდა ომი დაბა ჩხარში. გურიელი სრულიად დამარცხდა და წავიდა რაჭას. მეფის მოკავშირეთ დარჩათ დიდი ნადავლი; გაჰყიდეს აგრედვე ბევრი ტყვე სათათრეოში, ნამეტურ გურულები, რომელთაც გადუხადეს ამ ნაირად სამაგიერო.

გიორგი მე-VI-მ დაიჭირა სვერი ზურაბის დახმარებით,

---

[1]) ვახუშტით „ჩხეიძეს“.

რომელმაც მეცხოვნეთ აღუთქვა დიდი წყალობა[1]). მაშინ მისი მტერი აბაშიძე დაბრუნდა ისევ ქართლში, ხოლო მეორე მტერი გურიელი რაჭასა და ცხინვალზე ქართლშივე გადავიდა ამალით, რომელიც ბატონიშვილმა ბაქარმა გაუგზავნა. კათალიკოსმა დომენტიმ მიიწვია ის და განსაკუთრებული პატივი სცა. შემდეგ გააცილეს ახალციხემდე თავის სიძესთან, ალან-ფაშასთან, და იქიდან შემდეგ გადავიდა გურიაში.

აბაშიძე შემოდგომაზე დაბრუნდა ქართლიდამ რაჭაში კუდაროს მაზრაზე. როგორც კი ზურაბმა შეიტყო ესა, მეფეს მოახსენა, რომ გიორგი აბაშიძეს აქვს საიდუმლო დამოკიდებულება დ მიწერ-მოწერა ნიჟარაძესთანაო. მეფეს უყვარდა ამ ნიჟარაძის ცოლი, დაათხრევინა ნიჟარაძისათვის თვალები, მოიტაცა მისი ცოლი და მით გაახარა ზურაბი, რადგანაც გადამტერებული იყო გიორგი აბაშიძეზე.

ჩვენ დაგვრჩა შევავსოთ ცნობანი შესახებ არჩილისა. ბედკრული მეფე წავიდა მოსკოვს 1699 წ. და მას აქეთ ისტორია აღარ იხსენიებს არჩილს. თან ახლდა ვინმე ეგორ ლეონტიევიჩი, დადიანის ლევან მე-IV-ს შვილი, რომელიც შევიდა რუსეთის სამსახურში. სამსახურში შესულ დაამტკიცეს კნიაზად და ღერბიც უმაღლესად უბოძეს. იგი იყო შუამდგომლად და თარჯიმნად რუსთ მეფეთა და ვახტანგ ქართლის მეფეს შორის მის მისვლამდე რუსეთში. მან შეირთო რუსის ქალი და შეიქმნა წინაპრათ დადიანის გვარისა. ზოგიერთ ამ დადიანების საფლავი დონის მონასტერშია. დადიანი ეგორი გარდაიცვალა 1765 წ. 82 წლისა.

არჩილი სცხოვრობდა აგრედვე მოსკოვში და იქ 1712 წ. გარდაიცვალა. მისი უმფროსი ვაჟი ალექსანდრე, რომელმაც ფელცეხმეისტრის თანამდებობა მიიღო, ნარვის ომის დროს 1700 წ., შვედებმა ტყვედ წაიყვანეს და გარდაიცვალა რიგაში 1711 წ.

---

[1]) ზურაბ აბაშიძისა.

როცა გიორგი მეფე ქუთაისში იმყოფებოდა, და მას ახლდნენ ზურაბ და სიმონ აბაშიძეები და იმერლები, გურიელი, დადიანი შოშიტა, ბეჟანი და სხვები შემოვიდნენ ოკრიბას შემოდგომაზე 1713 წ. სიმონ აბაშიძე დახვდა მოწინავე ჯარს და გაჰფანტა. გურულები მიეშველნენ თავიანთ მომხრეებს გიორგი მიეშველა სიმონს, მაგრამ დამარცხდა. იმერლები გაიქცნენ შემდეგ ფიცხელის ომისა და ბევრი მათგანი ტყვედ გაჰყიდეს თათრებში.

მამია გურიელმა იმეფა ორი თვე. გარდაიცვალა იანვარში 1714 წ. მემკვიდრედ დარჩა შვილი მისი გიორგი მე-IV. რაც შეეხება მეფე გიორგის, მან შეაფარა თავი ტფილისში ბატონიშვილ სიმონთან, გადავიდა იქიდან ახალციხეს და დაიწყო მოციქულობა ბეჟანთანა და ზურაბთან. ერისთავს სურდა იმათი გაცალკევება და გადმოიბირა ბეჟანი, რისთვისაც აჩუქა ჭყვიშის ციხე, რომელიც წაართვა თავის სიძეს ბააკა ჩიქოვანს ამ ორმა კაცმა ძალ-დატანებით შეჰრთეს მერაბ წულუკიძეს ზემოხსენებულის ნიჟარაძის ცოლი; თანხმობა არც მერაბსა და არც აბაშიძეს არ ჰკითხეს; და ეს საქმე მოახერხეს მხოლოდ იმიტომ, რომ წაერთმიათ ის ქალი მეფე გიორგისათვის.

გაზაფხულზე მეფე გიორგიმ ისევ დაიჭირა იმერეთი. მან ბრძანა გადაეგდოთ კლდიდამ დაბრმავებული ნიჟარაძე, რომელმაც იქვე განუტევა სული. დადიანი, გურიელი და შოშიტა სცხოვრობდნენ განმარტოვებულნი თავიანთ სამფლობელოში. ბეჟანს, ლეჩხუმის ბატონს, ჰქონდა იმედი, რომ მეფე შეირთავდა იმის დას, მაგრამ გიორგიმ, თუმცა მიატოვა თავისი მეუღლე, უფლის წული როდამი, რომელიც მაშინ ქართლში იყო, შეირთო შოშიტას და, მამია გურიელისა და დადიანის ქვრივი. ამას შემდეგ ბეჟანი და ზურაბი განუდგნენ მეფეს. ქართლის მეფის იესეს თხოვნით, რომელმაც დაუბრუნა ჩხარის ჯვარი და გამოუგზავნა როდამი, მეფე გიორგიმ დაუტევა ერისთავის და და დასთანხმდა, მიეღო კვლავ თავისი

მეუღლე, დაუნიშნა მას საცხოვრებლად სავანეს მონასტერი, სადაც არის ეკლესია, აშენებული 981 წ., ბაგრატ მე-III მეფობის დროს. რაც შეეხება ვახტანგის მეუღლეს რუსუდანს და მის შვილებს, რომელნიც გაიქცნენ რაჭაში, ისტორიკოსი ვერ გვიხსნის, რატომ არ გაუგზავნა გიორგიმ ისინი ისევ იესეს, რომელიც დაჯდა ქართლის მეფედ ვახტანგის წასვლის შემდეგ.

ჩხარის ჯვარი, რომელიც ეხლა ქართლშია, ატოცის მონასტერში დასვენებული, როგორც მახსოვს, ნაქები იყო მით, რომ შიგ ჩასვენებულია წმინდა გიორგის ნაწილები. ერთი სომხის მემატიანე მოგვითხრობს, რომ ქართლის მეფემ, სახელად დავითმა, რომელიც სცხოვრობდა მე-XVII საუკუნის დამდეგს, თავის შვილის ბეჟო ანუ ბეჟანის მოსარჩენად დაიბარა ეს ნაწილები ოანავანკის მონასტრიდამ, რომელიც ეჩმიაძინის მახლობლად მდებარეობსო. ბეჟანი ვარდაიცვალა და ეს ნაწილები მეფე დავითმა სხვა და სხვა გარემოების გამო აღარ დაუბრუნა სომხებს. შეინახა ჯერ კორანტში, მერე იქიდგან გადაიტანეს ხაზარეთში თუ ჩხარში და შემდეგ ატოცში. ეს გარდმოცემა ჩხარის ჯვარის შესახებ, ჩვენის აზრით, სიმართლეს მოკლებული არ უნდა იყოს.

პაატა ფხეიძე გადღდგა მეფეს იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მან მიაყენა პაპუნას, თამარის მეუღლეს. მეფემ შემოარტყა ჯარი საწირის ციხეს, წყალ-წითელის სათავეში, და გამოათხრევინა კედლები ციხის ასაფეთქებლად, მაგრამ ციხეში მყოფთ შეუტყეს ეს, მოჰკლეს მუშები და წაართვეს წამალი. მეფე დაბრუნდა გეგუთს.

შემდეგ ამისა ლეჩხუმის ბატონმა ბეჟანმა მიართვა მეფეს დიდძალი ფული და დაითანხმა იმის მამა ლიპარტიანი განეძევებინა და დადიანათ ბეჟანი დაესვა. გიორგი ანგარების გამო დათანხმდა. ლიპარტიანმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ბეჟანმა ჩაიგდო ხელში დადიანობა, მაგრამ მალე ლიპარტიანმა ხელ-ახლავ დაიჭირა ეს მხარე და დაეცა იმერეთს იმო-

დენის ჯარით, რომ შეშინებულმა მეფემ მიატოვა ბეჟანიც, შოშიტაც და სხვებიც და დაუბრუნა ლიპარტიანს მისი სამფლობელო. იმერეთში დაბრუნების შემდეგ მეფემ მიიწვია ლიპარტიანი გეგუთს და აღუთქვა, ბეჟანს მოვაკვლევინებო. როცა ბეჟანი დარწმუნდა, აუცილებელია ჩემი დაღუპვაო, მოურიგდა მამას კათალიკოსის გრიგოლის შუამდგომლობით. ბეჟანმა გაუწია მამას მასპინძლობა საკვირველის პირმოთნეობით და ღამე დაატუსაღა ისიცა და მისი ცოლიც, რომელიც გაგდებული ჰყავდა ქმარს, და ორნივე ერთად ჩასვა ციხეში. ცოლ-ქმარნი გარდაიცვალნენ ამ საპყრობილეში. დადიანობა ერგო ბეჟანს, რომელმაც მამის მომხრენი ზოგი მოაკვლევინა, ზოგს მამული ჩამოართვა და ზოგი ტყვედ გაჰყიდა.

ზამთარში მეფე ერისთავის შემწეობით დიეცა ზურაბ აბაშიძეს და ააოხრა მისი მამული. ზურაბ აბაშიძემ და დადიანმა მოიწოდეს ახალციხის ფაშა მეფე გიორგის გადასაგდებლად და გურიელის გასაძევებლად ფაშა მოვიდა ჯარით; დადიანი და ზურაბი მიეგებნენ; მეფე რაჭაში გაიქცა. ოსმალნი ერთი თთვე იდგნენ ბანაკად ქვა-ციხეში და შემდეგ გადავიდნენ ქუთაისში. მტრები საბრძოლველად შეიყარნენ სიმონეთში 1716 წ. მეფე სრულიად დამარცხდა და წავიდა ქართლს. გამარჯვებულნი დაეცნენ სავანეს და გაძარცვეს მეფის სასახლე და მთელი სოფელი.

გიორგი მე-IV გურიელმა იმეფა მარტო სამი თთვე. ბეჟანმა და ზურაბმა თავისკენ გადაიბირეს შოშიტა ერისთავი, რომელმაც მიათხოვა თავისი ქალი დადიანის შვილს, ოტიას, და მით განამტკიცა მასთან კავშირი. ფაშა დაბრუნდა ახალციხეს.

ამ დროს მოჰქონდათ გურიიდან იმერეთში გურიელების ბარგი. რაჭველები სრულიად მოულოდნელად დაეცნენ სალომინაოში, გაძარცვეს მებარგულნი და თვითონ ისინიც ტყვედ გაჰყიდეს. ეს რომ გურიელმა შეიტყო, მიატოვა იმერეთი და გაიქცა; იმერეთი დარჩა ხელში სამს ზემოხსენებულ

დიდებულს გურიელის დედა, ელენე, დიდად შესწუხდა ამ ცვლილებით, მოიხმო თავისი მეორე შვილი, რომელიც ბერად იყო შემდგარი, გაკრიჭა, უწოდა სახელად ქაიხოსრო მე-III-ე და დასვა გურიელად, იმერეთის დიდებულების თანხმობით. გადაყენებულმა გიორგი გურიელმა კავშირი შეჰკრა ახალციხის ფაშასთან. ახალციხეში იმყოფებოდა აგრეთვე ლიპარტიანის მეუღლე თამარი, გურიელის ქალი, რომელიც მეფემ ცოლად შეირთო. რადგანაც ისაყ-ფაშა და მისი ნათესავი ასლან-ფაშა ერთმანეთზე გადამტერებულნი იყვნენ და ვერ მისცეს მათ შემწეობა, მეფე და გურიელი სტამბოლს წავიდნენ.

არზრუმის სერასკირმა, როცა მასთან გამოცხადდა გურიელი, მისცა ჯარი. ამ ჯარით გურიელმა დაიპყრო გურია 1717 წ. და გააგდო იქიდან ელენე და ძმა თვისი. გურიის ერისთავმა და ბეჟან ნაკაშიძემ, რომელნიც იყვნენ ელენეს მომხრენი, მოიწვიეს ბეჟან დადიანი, ნაკაშიძის შვილის სიმამრი, და მისის შემწეობით გააგდეს გიორგი გურიელი, მაგრამ მან მალე ისევ დაიპყრა გურია.

ზამთარში-კი ბეჟან დადიანი და ერისთავი რაღაც მიზეზის გამო დაეცნენ ზურაბ აბაშიძეს და წაართვეს სვერის ციხე. ცოტა ხანს უკან ბეჟანმა შეიპყრა მანუჩარი, ერისთვის ძმა. ერთის სიტყვით, ბეჟანი ისე მოქმედებდა, თითქო ქვეყნის სრული პატრონი ყოფილიყოს. ეს არ მოეწონა ზურაბს და ერისთავს, რომელმაც წაართვა ბაკა ჩიქოვანს თავისი და და მიათხოვა დავითს, ზურაბის შვილს. მეორეს მხრით დადიანი გიორგი გურიელის თხოვნაზედ დასთანხმდა და მიათხოვა თავისი ქალი, რომელიც ადრე ცოლად ჰყავდა ზემოხსენებულ ნაკაშიძეს. გურიელმა განუტევა შერვაშიძის ქალი და დასაჯა ნაკაშიძე მით, რომ წაართვა ციხე და აგრეთვე ცოლიც, რომელიც თითონ შეირთო; ერისთავმა დაიჭირა ჯვარი-ციხე და იაშვილების გვარს მთელი მამული ჩამოართვა. ზურაბმა გასწყვიტა და გაჰყიდა ფხეიძეები; ასევე იქცეოდა დადია-

ნიც ოდიშსა და ლეჩხუმში. აი რა სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა ამ დროს იმერეთი.

მეფე გიორგი მოვიდა სტამბოლიდგან. ხონთქრის ბრძანებით ისაყ-ფაშამ გაისტუმრა იმერეთში ჯარი აგვისტოს 1712 წ. მეფე მოვიდა ქუთაისს; გარდა მდაბიო ხალხისა არავინ არ მიჰგებებია. სამივე მთავრები თავმოყრილნი იყვნენ ოკრიბაში. რადგანაც მათ უარი განუცხადეს გიორგის გამეფებაზე, ოსმალნი დაეცნენ და სრულიად დაჰფანტეს ისინი. ოსმალებმა აიკლეს ოკრიბა და იქიდგან წავიდნენ სამეგრელოში. დადიანმა ველარ შესძლო წინააღმდეგობა და დიდის გაჭირვებითა და საჩუქრებით შეაჩერა ოსმალები და მოურიგდა მათ, მეფემ გადმოიბირა სამივე მთავარი და დაიფლო იმერეთი მეოთხეჯერ ნახევარ წლით.

თებერვალსა ანუ მარტში 1720 წ. სიმონ აბაშიძემ დაჰპატიჟა მეფე დიდებულთა შეგონებით თხმელის ციხეში და ნადიმის დროს მოჰკლა, ყველა მისი მხლებელი დაიჭირა და გაჰყიდა. მეფის საგანძური ჩაუვარდა ხელში ერისთავს, რომელმაც აიღო კაცხის ციხე, სადაც ინახებოდა ის განძეული. იმერეთი ხელ-ახლავ აირ-დაირია. სანამ მშვიდობიანობა იყო, ერისთავი ლევან აბაშიძეთი მოეხმარა ქართლის მეფეს, ვახტანგს, რომელიც მაშინ ქსნის ერისთავს ებრძოდა,—და იქიდამ დაბრუნდა საჩუქრებითა და ნადავლით. ლევან აბაშიძემ ზამთარში შემოარტყა ჯარი ხარაგაულის ციხეს იმ დროს, როდესაც მისი მფლობელი, მამუკას შვილი, იქ არ იყო, მაგრამ მაინც ვერ აიღო ეს ციხე, რადგან ამ დროს ისაყ-ფაშა მოუახლოვდა იმერეთს შემდეგის მიზეზის გამო: მეფე ვახტანგის სასახლეში იზრდებოდა უფლის წული ალექსანდრე, განსვენებულის იმერეთის მეფის გიორგის შვილი; ისაყ-ფაშამ გამოსთხოვა ვახტანგს ეს ბატონის შვილი და სურდა იმის აყვანა იმერეთის ტახტზედ. შეიძლება თვითონ ალექსანდრემ სთხოვა ისაყ-ფაშას გამეფება თვისი. ვახტანგმა გარდასცა ეს ახალგაზდა ბატონის შვილი ფაშას, რომელმაც გაჰგზავნა

იმერეთში და მით ჩაუშალა აბაშიძეს მისი განზრახვა. ზურაბ აბაშიძე, ერისთავი და ბეჟან დადიანი ხარაგაულის კოშკის აღების შესახებ ვერ შეთანხმდნენ ერთმანერთში, ხოლო ზურაბ აბაშიძეს და ბეჟან დადიანს არ მოსწონდათ ალექსანდრეს გამეფება. ერისთავი კი მიეგება მეჯეს და გადასცა საგანძური, რომელიც იპოვნა მან კაცხში. ალექსანდრემ ეს საგანძური აჩუქა ფაშას და თვით ჯარით მიესია ზურაბის ციხეს ცუცხვატს. შემდეგ ერთის თთვის გარშემორტყისა და ერთის კვლის წამლით აფეთქებისა, მეციხოვნენი ლამე გაიქცნენ. როგორც კი ოსმალებმა დაიჭირეს ეს ციხე, წავიდნენ ლეჩხუმს წინააღმდეგ ბეჟანისა და ზურაბისა. შემდეგ ჩვეულებრივის ძარცვისა, დაბრუნდნენ ქუთაისში. ფაშამ მიიღო დადიანისაგან 12 ქისა ფული და გააგდებინა თავი მის მტერს, ოტია ჩხეიძეს. მან დასვა ალექსანდრე მეფედ 1721 წ. და მზრუნველათ დაუნიშნა ბეჟან დადიანი, თვითონ კი დაბრუნდა ახალციხეს.

ამას შემდეგ, როგორც იყო, იმერეთმა შეისვენა. შემდეგ სამოცის წლის არევ-დარევისა და შფოთისა, დამყარდა მტკიცე წესი და შინაგანი მშვიდობიანობა, რომელიც თუმცა სრული არ იყო, მაინც შედარებით წარსულ დროს შფოთსა და უწესოებასთან, დიდს ღვთის წყალობად უნდა მიეჩნიათ.

ალექსანდრე მე-V-მ ტახტზე ასვლის შემდეგ შეირთო ცოლად მარიამი, ქალი ბეჟან დადიანისა, რომელიც ყოველივეს განაგებდა იმერეთში. ნადედოფლარ თამარი და გაბრიელ, ჭყონდიდის მიტროპოლიტი, რომელნიც უკმაყოფილონი იყვენ ახალის წესის დამყარებით, წავიდნენ სერასკირთან და დააბეზღეს ისაყ-ფაშა, ბეჟანისაგან ქრთამი მიიღო და იმიტომ ალექსანდრე ბეჟანის უფლებას დაუმორჩილაო ეს რომ შეიტყო მეფემ, ბეჟანის შეგონებით მისწერა წერილი სერასკირს, თან გაუგზავნა შესაფერი საჩუქრები

და შეუთვალა, რომ ისაყ-ფაშა მართალია ამ საქმეში და მე გამომიგზავნე დამბეზღებლებიო. სერასკირმა საქმის განხილვის შემდეგ გამოუგზავნა ალექსანდრეს თამარი და ჭყონდიდელი, რომელნიც გამოატანა ისაყ-ფაშას. ფაშამ ბოროკილები დაადო ორივეს და ისე გადასცა მეფეს. მეფემ თამარი გაჰგზავნა დეხვირის ციხეში; ხოლო რადგან ჭყონდიდელი სასულიერო წოდებისა იყო, თუმცა გარყვნილი და ბოროტებით სავსე, მაინც არ ჩააგდო ციხეში, მხოლოდ საჭყონდიდლო ჩამოართვა. ამ დროს, 1722 წ., გარდაიცვალა გიორგი აბაშიძე ქართლში და კაცხს იქმნა დამარხული.

1723 წ. აბაშიძეები და რაჭველები მიეშველნენ ქართლის მეფეს ვახტანგს, რადგან ზოგიერთნი მფლობელნი აღარ ემორჩილებოდნენ. შემდეგს წელს იმერეთის მეფემ აიღო აფეთქებით ჯვარის ციხე, რომელიც ეჭირა გენათელს გედევანს, ერისთვის ძმას. გაიარა ოტა ხანმა და შოშიტა დაეკა მეფეს სკანდას, მაგრამ ბევრი ვერა ავნო-რა. ბეჟან დადიანმაც დააპირა რამდენჯერმე მეფის მოკვლა, მაგრამ მეფე თვისის მეულლის მეოხებით გადარჩა სიკვდილს. 1725 წ. ოსმალებმა ააშენეს ორი ციხე: ერთი ფოთში,—რომელიც ჩააბარეს ფაშას, გამგეს ზღვის ნაპირებისას, და მეორე—ანაკლიაში, რომელიც ააგეს იმ მასალით, რაც დარჩა შემდეგ რუხის ციხის დანგრევისა. ამავე წელს ალექსანდრე შევიდა რაჭაში, დაარბია წულუკიძეების მამული, რადგანაც ერისთვის მომხრეები იყვნენ და სოფელ სევამდისინ მთელი მხარე ცეცხლითა და მახვილით გადაიარა. შემდეგ ამისა მეფე და დადიანი გარს შემოერტყნენ და აიღეს შორაპანი, რომელიც ეჭირა ლევან აბაშიძეს, გიორგის შვილს, და საიდგანაც ისა და რაჭველები ხშირად თავს ესხმოდნენ იმერეთს. დადიანმა, რომელიც მოთავე იყო ამ ციხის აღების საქმეში, გარდასცა ციხე ზურაბს, ხოლო ყოველივე საუნჯე, რაც იქ მოიპოვებოდა, დადიანმა წინადვე გამოზიდა.

1726 წ. გიორგი გურიელი გარდაიცვალა და გურიე-

ლობა დარჩა მამია მე-IV, მის შვილს, რომლის დედა შარვაშიძის ქალი იყო. იმავე წელს გარდაიცვალა აგრეთვე მეფის ასული მარიამი, შოშიტა ერისთავის მეუღლე. შოშიტა შეურიგდა დადიანს და შეირთო ქვრივი განსვენებულის გურიელისა. ამით უკმაყოფილო დარჩა ზურაბ აბაშიძე და მოიწვია ისაყ ფაშა, რომელმაც გაჰგზავნა იმერეთში თავისი შვილი უსუფი. ამ უკანასკნელმა ჰნახა ალექსანდრე, და, მისის თანხმობით, მიიპატიჟა სადარბაზოდ ბეჟან დადიანი 1728 წელს და მოაკლევინა მაჰმუდ-ბეგს, რომელიც მის საჭურველის მტარებელი იყო. დადიანის შვილი ოტია გაიქცა. ოსმალები გამოუდგნენ და ააოხრეს სამეგრელო, მაგრამ ოტიამ დადიანობა მაინც ხელთ იგდო. ისაყ-ფაშამ შეარიგა მეფე და შოშიტა. ოტია დადიანი წაეჩხუბა თავის ძმას კაცოს და გაუგზავნა იგი ერისთავს, რომელმაც ჩასვა კვარას ციხეში. მერმე მეფე ალექსანდრემ შემოარტყა ჯარი შორაპნის ციხეს. ზურაბ აბაშიძემ გადასცა ეს ციხე ოსმალებს. ერისთავი შემოერტყა აგრეთვე დაბა სადმელს, რომელიც ეკუთვნოდა იაშვილების გვარს.

ალექსანდრემ გაჰგზავნა იმასთან საბრძოლველად ლევან აბაშიძე, რომელიც დედით ერისთვის ძმა იყო და რომელიც ერისთავმა ღალატით შეიპყრა და გაუგზავნა ტყვეთ დადიანს. როცა ეს შეიტყო ალექსანდრემ, საიდუმლო გზით ღამე გადავიდა მთებზე, გავიდა რიონში, დაეცა ერისთავს მზის ამოსვლისას სადმელს და აიძულა გაქცეულიყო. დადიანმა განთავისუფლა აბაშიძე, რომელიც შემდეგ შოშიტას გარდაცვალებისა მიემხრო მეფეს.

კაცოც გაიპარა კვარადან. ახლო ხანებში დედოფალი, ბეჟან დადიანის ქალი, გარდაიცვალა. ალექსანდრემ შეირთო ლევან აბაშიძის ქალი 1732 წ., ხოლო თავისი ქალი, დადიანის ასულისაგან ნაშობი, მამია გურიელს მიათხოვა. ერისთავი და ზურაბ აბაშიძე გადუდგნენ მეფეს; იმათ მალე მიემხრო დადიანი ამას გარდა მათ მიიპირეს მეფის ძმა მამუკა,

რომელსაც ცოლად ოტიას და მიათხოვეს. ამას შემდეგ მოკავშირენი გაძლიერდნენ და რაჭის ერისთვის წინამძღოლობით მივიდნენ გეგუთს. მეფე, რომელსაც თან ახლდნენ ლევან აბაშიძე და გენათელი, განსვენებულ შოშიტა ერისთვის ძმა, ქუთაისში ჩაიკეტა. აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ გენათელმა გედევანმა წაართვა თავის ძმის-წულს, პაპუნას, ცოლი მისი, მეფე ვახტანგის ქალი, შეირთო იგი და მიემხრო ალექსანდრეს და მისის წყალობით შეიქნა ბარის ანუ ვაკის მაზრის ერისთავად. მოკავშირენი ჯერ გარს შემოერტყნენ ქუთაისს, მაგრამ მოსწყინდათ იქ ყოფნა, თან შეეშინდათ ოსმალებისა და გაიქცნენ შინ. ამ სახით, მეფე მთელს იმერეთში ბატონობდა.

ამ დროს, ე. ი. 1733 წ., ოსმალოს ახალი ფაშა მოვიდა ფოთში, იმ აზრით, რომ უნდა დაეპყრა მთელი ზღვის ნაპირი აზოვამდის. ალექსანდრემ არ დაუჯერა ოტიას და დადიანთან მტრობის გამო შეუერთდა მას.

მეგრელები, რასაკვირველია, გაიხიზნენ სხვა და სხვა ადგილას. თათრები და იმერლები მოვიდნენ ილორის დაბას, გაძარცვეს ილორის ეკკლესია და მთელი მხარე ააოხრეს. იქიდან ოსმალები აფხაზეთს გადავიდნენ და დაიმორჩილეს შარვაშიძე, რომელიც იძულებულ იქმნა მიეღო მაჰმადის სარწმუნოება.

კოდორს გაღმა რომ გავიდნენ, ფაშას სურდა მეფე გაჰყოლოდა ჯიქეთსა და აზოვამდე, მაგრამ ალექსანდრემ უარი განაცხადა, ძლივს მიაღწია ინგურს, რომელშიაც გავიდა თავის დიდებულებთან ერთად, ხოლო ჯარი დარჩა გაღმა და ხელში ჩაუვარდა ოსმალთა. ძლივს ზოგმა მოასწრო და უშველა თავს სამეგრელოში გაქცევით. აფხაზები დაუბრუნდნენ ისევ ქრისტეს სარწმუნოებას, დაიწყეს უწყალოდ ძარცვა და კაცის კვლა, როგორც თავისიანებისა, აგრეთვე უცხოებისა და აიძულეს ფაშა მალე დაბრუნებულიყო ზღვით.

როდესაც დადიანმა, ერისთავმა და ზურაბ აბაშიძემ ხელ-

მეორედ დააშორეს მეფეს ბატონიშვილი მამუკა, შეითქვნენ, რომ ჩამოერთმიათ ტახტი, ან არა და მოეკლათ ალექსანდრე. 1734 წ. მეფე გურიელის, ლევან აბაშიძის, დადიანის ძმის, კაციას, და სხვების შემწეობით, დაეცა შეთქმულებს ჩიხორში და დაამარცხა. დადიანი მეფემ ტყვეთ წაიყვანა, მისმა ძმამ კი, კაციამ დასდვა ამ ომში თავი. თუმცა დიდი თოვლი იდვა, იმერლები მაინც გამოეკიდნენ გაქცეულებს, ბევრი დაამარცხეს და ბევრი წაიყვანეს ტყვედ და გაჰყიდეს.

დადიანმა არ დაუთმო მეფეს ლეჩხუმის მაზრა. ნაცვლად ამისა მეფემ ზურაბ აბაშიძეს საჭილაო და სამიქელაო წაართვა ოსმალთა ჯარის შემწეობით, რომელიც გამოუგზავნა ისაყ-ფაშამ, და რომელსაც სარდლობდნენ მაჰმედ ბეგი და გივი ამილახვარი. შემდეგ მიათხოვა თავისი და მაჰმედ-ბეგს და მოურიგდა თავის ძმას, მამუკას, რომელსაც უწყალობა ზემოხსენებული მამული. ახალგაზდა ბატონის შვილმა შეუერთა ამ მამულს საჩიჯავაძოც.

1735 წ. თამაზ ხანმა, თფილისში ჩასვლისათანავე, მოსთხოვა ალექსანდრეს დამორჩილება. მეფემ პასუხიც არ გასცა, მხოლოდ ურჩევდა ოსმალებს, რომელთაც ეჭირათ იმერეთი, რომ ფრთხილად ყოფილიყვნენ. შემდეგ შევიდა ჯარით საწერეთლოს დასასჯელად პაპუნა წერეთლისა, რომელიც გადუდგა, მაგრამ ვერ აიღო ციხე „მოდი-ნახე". შემდეგ დაეცა ხარაგაულის ციხეს, რომელიც წაართვა მამუკას შვილს ზურაბ აბაშიძემ; მეფემ აიღო ციხე და დაუბრუნა კანონიერს მფლობელს და სასტიკად დასაჯა ის მოღალატე მეციხოვნე, რომელმაც ორჯერ სხვას გადასცა ჩაბარებული ციხე. ამნაირ საქმის გარემოებით შეწუხებული მეფე ალექსანდრე შეირიგა პაპუნამ და ზურაბმა, რომლის შვილმაც დავითმა განუტევა თავისი ცოლი, ერისთვის და, და შეირთო და მეფისა. 1738 წელს მეფემ გაჰგზავნა რუსეთში ქუთათელი ტიმოთე რაღაც მინდობილებით, რომელიც ჯერ არ არის გამოკვლეული. შემდეგ ამისა მეფის ბრძანებით იაშვილი შემოადგა ჯარით

კვარას ციხეს და აიღო ერთის მეთევზის საშუალებით, რომელიც მდ. კრიხულის პირიდგან იყო. როცა ერისთავმა შეიტყო ეს ამბავი, შევიდა ღამე კიბით ციხეში და ყველა, ვინც იპოვნა ციხეში, უმოწყალოდ გაჰყიდა. ამავე დროს, 1740 წ., ალექსანდრემ თან წაიყვანა ვარციხეს დავითი, ზურაბის შვილი და პაპუნა წერეთელი, რომელნიც მოაკვლენა სრულიად უმიზეზოდ; მაშინ პაპუნას მეუღლე ისე გამაგრდა მოდი-ნახეს ციხეში, რომ მეფემ ვერა ავნო-რა. როცა ზურაბ ერისთავმა და დადიანმა დაატყვეს, რომ მეფეს სურს დაამციროს და აღმოჰფხვრას ყველა თავისი ურჩნი, შეერთებულის ძალით წინააღუდგნენ. ალექსანდრემ სთხოვა შემწეობა ქსნის ერისთავს შანშეს, რომელმაც მოიყვანა ლეკის ჯარი. შანშემ მოიყვანა, გარდა თავის საკუთარის ჯარისა, 500 კაცი და აიძულა მოკავშირენი დაფანტულიყვნენ. ყველა ციხეები დააქცეს. იმერეთი სრულიად აოხრებულ იქმნა ცეცხლითა და მახვილითა. ლევან აბაშიძის რჩევით მეფემ შეაწყვეტინა ლეკებს მათი თავსდასხმა და არ მისცა ნება იმერეთიდგან ტყვეები გაეყვანათ. შემდეგ ამისა მეფე ალექსანდრემ გაჰგზავნა თავისი ძმა გიორგი და ლევან აბაშიძე წინაალმდეგ ვახუშტი აბაშიძისა, რომელიც სცხოვრობდა ქართლში, ტეზრის ციხეში, ტაშის კარის ხეობის შესავალთან. ვახუშტი უკიდურეს მდგომარეობაში ჩაყარდა და დაჰმორჩილდა. ვახუშტი შეიპყრეს და ნავარძეთის ციხეში ჩასვეს. მის გამოსასყიდლად მეფე თხოულობდა 500 ქისას და არა სცა პატივი ისაყ-ფაშის თხოვნას, რომელსაც ქრთამი მიართვა და შეევედრა კათალიკოსი დომენტი.

დადიანი ზემოხსენებულის მოქმედების სამაგიეროს გარდასახდელად დაეცა იმერეთს შეერთებულის ძალით: აფხაზების, ერისთავისა და ზურაბისა, დასწვა მეფის სამყოფი ვარციხე და აოხრა მთელი მხარე 1741 წ.

ისაყ-ფაშამ ვახუშტის დასახსნელად გამოჰგზავნა თავისი სიძე ფირიღლის შვილი, რომელსაც დიდებულები მიეხმრნენ.

მეფე ველარ შეებრძოლა იმას, წავიდა საქართველოში და თან წაიყვანა თავისი ტყვე. მას ახლდნენ მისი ძმა მამუკა, ლევან აბაშიძე და ბარის ერისთავი. ოსმალებმა გამოაცხადეს მეფედ გიორგი, რომელიც, თუმცა ალექსანდრეს ძმა იყო, მაგრამ დედით ერთნი არ იყვნენ.

ალექსანდრე ჯერ გაიქცა შანშე ერისთავთან, რომელიც წინააღუდგა შაჰ-ნადირს, მაგრამ მალე განთავისუფლა ვახუშტი და თითონ გამოეცხადა ხანს, რომელიც ებრძოდა ერისთავს. ხანი გაუმასპინძლდა და, მიიღო დიდის პატივისცემით, როგორც ეკადრებოდა მეფეს, მაგრამ შემდეგ ამისა შეიპყრა. მაშინ ყველა დიდებულნი გაიქცნენ იმერეთში, გარდა ბარის ერისთვისა, რომელიც ალექსანდრემ გაუგზავნა შაჰ-ნადირს მორჩილების გამოსაცხადებლად. ნადირის ბრძანებით ისაყფაშამ დიდის პატივით შეიყვანა ალექსანდრე იმერეთში შემოდგომას 1741 წ. და შეარიგა დიდებულები. გიორგი, რასაკვირველია, მაშინვე წავიდა იმერეთიდგან. შემდეგ ამისა დიდებულები გადუდგნენ მეფეს; მეფემ დააბრალა დიდებულების ღალატი თავის დედინაცვალს თამარს,—რომელსაც მეტ სახელად კოჭია ბროლს უწოდებდნენ,— და უბრძანა მისთვის თავი მოეკვეთათ. აგრევე უწყალოდ მოეპყრო ალექსანდრე საჩინო ბარათაშვილს, თავის ძმის მომხრეს. დადიანი და ერისთავი მოვიდნენ ჯარით გეგუთს. მეფე არ გამოსულა ქუთაისიდან და იქიდან სთხოვდა ისაყ-ფაშას შემწეობას. მანამ ოსმალები მოვიდოდნენ მოსაშველებლად, ლევან აბაშიძემა და ბარის ერისთავმა მოინდომეს შეეტყოთ, რა ძალა ჰქონდათ მოკავშირეთა და წავიდნენ მათ დასახედავად. მოკავშირეთ ეგონათ, მტრის მოწინავე ჯარი მოდისო, და გაიქცნენ. ამ უცაბედ შეტაკებაში გრიგოლ ერისთავს მოხვდა თოფი და მოკვდა. 1743 წ. მისი ძმა და მემკვიდრე ვახტანგი შეურიგდა მეფეს და მშვიდობა დამყარდა ამ მხარეში. 1744 წ. მეფემ დაიჭირა სვერის ციხე,—რომელიც წაართვა ლევან აბაშიძეს მაჭავარიანის ქალმა—და იქიდან წამოიღო

ყოველივე საუნჯე ზურაბისა. ლევანმა თავის მხრით აიღო შროშის ციხე, სადაც იმყოფებოდა ზურაბის შვილი ზაალი, და გაუგზავნა ზაალი ქართლში მის მამას, ნუნისში მცხოვრებს.

დასასრული.

Т.Ц.Н.-ИСТОРИЧЕСКАЯ БИБЛИОТЕКА

უმთავრეს შეცდომების გასწორება:

გვერდი	სტრიქონი	დაბეჭდილია	უნდა იყოს
2	31	Hist. du regue Ferdinand ab Isabelle par Presco	Hist. du règne de Ferdinand et d'Isabelle par Prescott
6	25	ფემ დაჰსახელით	სახელით
„	28 ⁊ 29	მენიშნა	მეფემ დანიშნა
10	30	კახეთის	კახთ მეფის
20	6	ყაზაზის	ყაზახის
25	27	60,000	80,000
31	11	1636	1629
46	22	1793	1693
56	23	1958	1658
59	20	ოსეთში	მისი
„	21	გასცვალა	გაჰყიდა
158	20	აწყევინეს	აწყენინეს
164	10	994	964
173	12	1584	1484
188	22	1692	1629